საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ალექსანდრე ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

IX

თბილისი
„მეცნიერება"
1997

63.3 (2 Г)
ბ 254

ალექსანდრე ბარამიძის ანონდელი „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (წიგნი IX), წინა წიგნების მსგავსად, წარმოადგენს ავტორის შრომების კრებულს.

რედაქტორი პროფ. ალ. გვახარია

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები:

ი. კალაძე და ბ. დარჩია

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4666

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 20.10.1990. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.4.1994. ქაღალდის ზომა $60\times90_{16}$; ბეჭდვა მაღალი. გარნიტურა ვენა; პირობითი საბეჭდი თაბახი 24,5; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,0; ტირაჟი 200; შეკვეთა № 193.

ფასი ხელშეკრულებით

4603020102
ბ ——————— 102—97
M 607 (05)—97

© გამომცემლობა მეცნიერება 1997

ISBN 5—520—01073—0

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ. № 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Д. Гамрекели 19.

380060, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას პრ. № 29,
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის
კორპორაციის № 4 სტამბა

380060 г.. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 29.
Типография № 4 Издательско-полиграфического корпорации

რუსთველოლოგიური საკითხები

შოთა რუსთველი

შოთა რუსთველი ქართული პოეტური კულტურის მიუწვდომელი მწვერვალია და მსოფლიო პოეზიის დამამშვენებელი შემოქმედი. ჩვენ დრომდე მოღწეულია მისი მხოლოდ ერთადერთი პოემა ვეფხისტყაოსანი. ამ პოემას ქართველმა ერმა „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“ (ილია ჭავჭავაძე).

რუსთველი ორჯერ არის დასახელებული პოემის პროლოგში:

> დავჯე. რ უ ს თ ვ ე ლ მ ა ნ გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი.
> მე. რ უ ს თ ვ ე ლ ი, ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი.

რუსთველის ავტორობას გვიმოწმებს პოემის ეპილოგიც. რუსთველს თელის ვეფხისტყაოსნის ავტორად XV—XVIII სს. ქართული მწერლობა (ამაზე ადრინდელი ცნობები არ მოგვეპოვება). რ უ ს თ ვ ე ლ ი (ახლა უფრო გავრცელებულია ფორმა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი) არც სახელია პოეტისა, არც გვარი, არც ფსევდონიმი; იგი უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტს რუსთავს და ნიშნავს ან რუსთავიდან წარმოშობილ პირს (რუსთავის მკვიდრს), ან რუსთავის მამულის გამგებელს თუ მფლობელ-მეპატრონეს. რუსთველის დროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე საფიქრებელს ხდის, რომ სწორი უნდა იყოს მეორე მნიშვნელობა. რუსთველს სახელად რქმევია შოთა. ამის თაობაზე პირდაპირ ცნობას გვაწვდის მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი (1589—1663). 1629 წლამდე გადმოქართულებულ ერთ პოემაში თეიმურაზი ამბობს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების შესახებ:

> ესენი შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ მ ა ნ შეამკო არსთა მკობითა.

შოთას უწოდებენ რუსთველს XVII—XVIII სს. სხვა ქართველი მწერლებიც. პოეტს რომ სახელად შოთა ერქვა, ამას ადასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე შემონახული რუსთველის ფრესკული პორტრეტი წარწერითურთ. ფრესკა და წარწერა წარმოშობით ძველია, XIII ს. პირველი ნახევრის გასულს ვერ გადმოსცილდება, მაგრამ მათ დასტყობია შემდეგი დროის რესტავრაციის ნაკვა-

ლევი. იმავე ჯვრის მონასტრის სააღაპო წიგნით დაწესებული ყოფილა მოსახსენებელი ვინმე „შოთაძსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ“. ეს სააღაპო მოსახსენებელი შესრულებულია XIII ს. ხელით და ჩაწერილია XII—XIII სს. სხვა ცნობილ ისტორიულ პირთა მოსახსენებლებს შორის. 1757—1758 წლებში იერუსალიმში ნამყოფი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი ტიმოთე გაბაშვილი გვიამბობს, რომ „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუხლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“. ჯვარის მონასტრის მომხატვინებლად თელის შოთა რუსთველს კედლის ფრესკის წარწერაც: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ, რუსთველი“. ერთ დროს მუქი მწვანე ფერის ზეთის საღებავის სქელი ფენით დაფარული ფრესკა გამოავლინა, მისი ზუსტი ფოტო-პირი გადმოიღო, წარწერა გაშიფრა და განმარტა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციამ 1960 წლის შემოდგომაზე, ექსპედიციაში შედიოდნენ ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი. ჯვარის მონასტრის ფრესკა სააღაპო წიგნის მოსახსენებელი და ტ. გაბაშვილის აღწერილობა გვაფიქრებინებს, რომ პოეტი შოთა რუსთველი და შოთა მეჭურჭლეთუხუცესი უნდა იყოს ერთი და იგივე პირი. ამით კი ირკვევა შოთა რუსთველის ბიოგრაფიის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. შოთა ყოფილა სამეფო კარის დიდი მოხელე, ვაზირი, მეფესთან დაახლოებული პირი. როგორც მეჭურჭლეთუხუცესს, მას ევალებოდა ქართულ საკულტო ძეგლებზე ზრუნვაც. შოთას შეუკეთებია და განუახლებია ჯვარის მონასტერი, რის სანაცვლოდაც კედელზე გამოუხატავთ მისი პორტრეტი და დაუწიშნავთ მოსახსენებელი დღე. თავის მხრივ ფრესკამ და მოსახსენებელმა ხელი შეუწყო იმ აზრის გავრცელებას, თითქოს პოეტი მოხუცების ჟამს გაემგზავრა იერუსალიმში, ხელი მიჰყო კტიტორულ საქმიანობას, აღიკვეცა ბერად, იქვე აღესრულა და იქვეა დასაფლავებული. ყველაფერი ეს შესაძლებელია, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული არ არის. შოთას, როგორც ვაზირს, შეეძლო საქართველოდან გაეგზავნა მონასტრის შესაკეთებლად საჭირო სახსარი (ასე მოიქცა XVII საუკუნეში, მაგალითად, ლევან დადიანი). არ მართლდება გადმოცემა პოეტის ბერად შედგომაზე: ფრესკაზე გამოხატული პირი ქართველი დიდებული ერისკაცის სამოსელშია გამოწყობილი.

წერილობით წყაროებს არ შემოუნახავს შოთას ბიოგრაფიის სხვა ცნობები. სამაგიეროდ მდიდარია ხალხური გადმოცემები შოთას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეს გადმოცემები დაჟინებით უსვამს ხაზს შოთას მესხურ წარმოშობას. მესხად თელის შოთას XVII ს. მეფე-პოეტი არჩილიც (1647—1713). შოთას მესხობაზე ერთგვარად მინიშნებულია ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებშიც. შესაძლებელია შოთას სა-

ხელი უკავშირდებოდეს სწორედ მესხეთის რუსთავს, რომელიც მდებარეობს ახალციხე-ასპინძის შარაგზის მახლობლად. ახლა იქ აღმართულია შოთას ძეგლი.

როგორც ჩანს, მეჯურჯულეთუხუცესი შოთა რუსთველი კარის პოეტის მოვალეობასაც ასრულებდა. ვეფხისტყაოსნის პროლოგის რამდენიმე სტროფი შეიცავს მეფე-პატრონების ქებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მესამე და მეოთხე სტროფები:

ვის შვენის — ლომსა — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
— მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა. —
მას. არა ვიცი, შევმართო შესხმა ხოტბისა შერისა?!
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა სამს, მართ მიშერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეულსა.
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეულსა.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს დაესეას ლახვარი გულსა ხეული.

მესამე სტროფში შექებულია ორი პირი: ღაწვ-ბალახშოვანი, თმა-გიშეროვანი მზე-თამარი და მისი ლომი, რომელსაც შვენის საომარი საჭურველი. უეჭველია, რომ მეტაფორული ლომი ნიშნავს თამარის მეუღლეს დავით სოსლანს. პოემის ეპილოგში მეტაფორა გახსნილია და დავითი მოხსენიებულია თავისი პირდაპირი სახელით. მეოთხე სტროფით პოეტი აცხადებს, რომ იგი შთააგონა და პოემის დასაწერად განაწყო თვითონ თამარმა. პროლოგის მე-19 სტროფით პოეტი გვიმხელს, რომ თამარის სახელი ქვემორე, ე. ი. პოემის თხრობით ნაწილში, აღბეჭდილი აქვს „შეფარვით“.

ამრიგად, ვეფხისტყაოსანი შეთხზულია დიდი თამარისა და მისი მეუღლის, დავით სოსლანის, ზეობის პერიოდში ანუ 1189—1207 წლებს შუა (1189 წელს თამარი და დავითი შეუღლდნენ, ხოლო 1207 წ. დავითი გარდაიცვალა).

შეუძლებელია ვეფხისტყაოსანი ყოფილიყო პოეტის პირველი ნაწარმოები. იგი შეთხზულია ავტორის სრული შემოქმედებითი მოწიფულობის ასაკში. აღნიშნულის კვალობაზე ცხადი ხდება, რომ შოთა რუსთველი უნდა დაბადებულიყო XII საუკუნის სამოციან-სამოცდაათიან წლებში (სამოციანი წლების გასულს, ან სამოცდაათიანის დასაწყისში). რუსთველის დაბადების 800 წლისთავი, რომელიც 1966 წ. აღინიშნა, ამ ვარაუდს ემყარება.

პროლოგის მეცხრე-სტროფში იკითხება:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ტკბილ და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭირმანები.
ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნება.

ამ ტექსტის აზრი ისაა, თითქოს რუსთველს ხელთ ჰქონია სპარსულიდან მომდინარე რაღაც ქართული პროზაული მოთხრობა და ის „გადაუთქვამს“, ლექსად შეუწყვია. ვეფხისტყაოსნის პირველმა მეცნიერმა გამომცემელმა და კომენტატორმა ვახტანგ VI-მ (1675—1737), რომელიც კარგად ფლობდა სპარსულ ენასა და ლიტერატურას, აღნიშნა: „ეს ამბავი სპარსში არ არის... სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“. სწავლული კომენტატორის სიტყვით, რუსთველმა ვეფხისტყაოსანი „ამბავი თვითან გააკეთა“ და ლექსადაც თვითონ გააწყო. მაშასადამე, ვახტანგის საბუთიანი დასკვნით, რუსთველს ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის სიუჟეტიც (ფაბულაც) და ლექსიც. ამაო აღმოჩნდა ყოველივე ცდა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წყაროს ძიებისა აღმოსავლურ სამყაროში. რასაკვირველია, პოემის ღირსებას ვერაფერს დააკლებდა, მისი სიუჟეტი რომ ნასესხები ყოფილიყო, მაგრამ უნიადაგოა კეფხისტყაოსნის სიუჟეტის უცხოური წარმოშობილობის თვალსაზრისი. ყველაფრიდან ჩანს, რომ „სპარსული ამბის“ მომიზეზებით რუსთველმა გამოიკენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი სიუჟეტური გაუცხოურების ანუ სიუჟეტური შენიღბვის ხერხი. ამიტომაა ვეფხისტყაოსნის ამბავი უცხოეთში გადატანილი და დიდ გეოგრაფიულ ფონზე გაშლილი.

პროლოგში პოეტი გვაცნობს თავის მოძღვრებას შაირობასა და მიჯნურობაზე, რაც შემდეგ სრულქმნილია პოემის ნარატიულ ნაწილში. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგიო“, აცხადებს რუსთველი და კომპოზიციურად საუცხოოდ შეკრულ რთულ სიუჟეტურ ამბავში ბუნებრივად აქსოვს თავის ბრძნულ აზრებს.

მდიდარია და მრავალფეროვანი ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა წრე. რუსთველს სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს სხვადასხვა მოდგმის, სხვადასხვა სოციალური რანგის, სხვადასხვა სახასიათო თვისებათა მქონე ადამიანები, ქალები და კაცები. სიუჟეტით მკაფიოდ არის განსაზღვრული თვითეული მათგანის ადგილი და როლი პოემის სახეობრივ სისტემაში. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები XII საუკუნის ქართული რეალურ-ისტორიული სინამდვილიდან აღებული ცოცხალი, ინდივიდუალიზებული სახეებია. ავტორი თხრობას ისე ავითარებს, რომ ძალდაუტანებლად, ბუნებრივ ვითარებაში, მოქმედების საშუალებით ხსნის თავისი გმირების ხასიათებს. პოეტს არ იტაცებს პერსონაჟთა მოქმედების გარეგნული ფორმები. იგი მხატვრული სიმართლით გვაცნობს გმირების შინაგანი, სულიერი ცხოვრების ატმოსფეროს. პერსონაჟების სულიერი განცდების სათუთი ანალიზი, პერსონაჟების სულიერი ცხოვრების სრულყოფილად წარმოსახვა შეადგენს რუსთველის შემოქმედებითი ნოვატორობის ნიშანდობლივ მხარეს.

ვეფხისტყაოსნის იდეალური პერსონაჟები გვხიბლავენ სიცოცხ-

ლის მოყვარულობით, საარაკო ვაჟკაცური მხნეობით. შემართებით და შეუპოვრობით, ამასთან ერთად — რაინდული ზრდილობით, თავდაჭერით, სულდიდობით. ამ სისხლ-ხორცით სავსე გმირებისათვის უცხო არ არის ადამიანური სისუსტენიც.

ვეფხისტყაოსნის უძირითადეს გმირს, ქალთა შორის უტურფეს: სათნოსა და ფაქიზ ნესტან-დარეჯანს თუმცა ბევრგზის დაატყდა თავს ცხოვრების ჯოჯოხეთური რისხვა, წუწუნი არ დაუწყია, სასო არ წარუკვეთავს, მოწამებრივი სიმშვიდით, მხნედ და ამაყად, დიდი ღირსებით მიდიოდა ხოლმე ყოველთვის სამსჯავროსაკენ. ნესტანი ქალი რაინდია, უშიშარი, ქედმოუხრელი. მისი ქალური ბუნების სისუსტეს აწონასწორებდა და ადიადებდა მორალური გმირობის ძალა. უშფოთველი და უდრტვინველი ხვდებოდა ეს მებრძოლი სათნოება ცხოვრების ბიძგებს, ფხიზლად ეგებებოდა ყოველგვარ ხიფათს, გულს იმაგრებდა, გონივრულად სჯიდა:

ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა,
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!

ამქვეყნიური წუვდიადის სიმბოლოდ წარმოსახულ შემზარავ ჭაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანი თავის სათაყვანებელ მიჯნურს სთხოვდა მიჯნურული შმაგობის დაძლევას და მტრების ანაბარად უმწეოდ დარჩენილი მშობლიური ქვეყნის დასახმარებლად გაშურებას:

წადი, ინდოეთს, მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელაღუპყრობელსა.

ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტის დროს პატრიოტ ქალს ის ადარდებდა, ამ კონფლიქტს რაიმე ზიანი არ მოეტანა ინდოეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის.

ვეფხისტყაოსანი მკითხველს ასწავლის, რომ უშრომლად, გაურჯელად, უმსხვერპლოდ შეუძლებელია წარმატების მოპოვება, შეუძლებელია ნაყოფის მოსთვლა: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებია“. გაურჯელად მოგებულ გამარჯვებას ეკარგებაო სიტკბოს მადლი. ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდენ სიტურფეს ფასი აკლდებაო, ამბობს პოეტი: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“.

შრომა, გარჯა, ჯაფა, ბრძოლა — ვეფხისტყაოსნის მიხედვით — აწრთობს და აკაჟებს ადამიანის ნებისყოფას, სიძნელეთა დ დაბრკოლებათა დაძლევის ნიადაგზე ყალიბდება ვაჟკაცის ხასიათი. რუსთველი შთამაგონებლად უმღერის მამაცობას, გმირობას, რაინდობას. „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვიტკირსა“ საუკუნიდან საუკუნეში

იმეორებდა აღმოსავლელ თუ დასავლელ აგრესორებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმული, სულიერად მხნე და გაუტეხელი ქართველი ხალხი.

რუსთველი ამხილებს და დაუზოგავად ჰკიცხავს მხდალსა და ლაჩარ კაცს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს ცრუსა და სიტყვის გამტეხელს, ორპირს, ქვემძრომს, მუხთალსა და მოღალატეს, შინაგამცემელს („მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია"). რუსთველი გმობს ტირანიასა და დესპოტიას, გუნდრუკს უკმევს კაცურკაცობას, პატიოსნებას, ზნეობრივ სიწმინდეს. რუსთველის გმირებმა ბევრი ჭირი და ვარამი ნახეს ცხოვრებაში, უსამართლობით გატანჯულებმა ბევრი ცრემლებიც ღვარეს, მაგრამ ყველაფერი ვაჟკაცურად გადაიტანეს, დაძლიეს დაუძლეველი და ბრძოლებით მოგებული ნაყოფით დატკბნენ. რუსთველის მოძღვრებით, „მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა", „ყოლე ლხინსა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი".

ვეფხისტყაოსნის დიადი იდეები უპირატესად სიყვარულისა და ძმობა-მეგობრობის სამოტივო ამბებშია ჩაქსოვილი. სიყვარული (მიჯნურობა) და ძმობა-მეგობრობა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნამდვილი ხერხემალია და პოემის იდეური შინაარსის მთავარი ღერძი. ავთანდილის პირით რუსთველი გვამცნობს — „სიყვარული აგვამაღლებს". ადამიანის ღირსების ამამაღლებელი და მისი ცხოვრების დამამშვენებელი სიყვარული აცხოველებს ადამიანის არსებაში პოტენციურად შთასახულ ყველა სასიკეთო თვისებას. სიყვარული ააზრიანებს, ალამაზებს და აფაქიზებს ადამიანის ცხოვრებას, უნერგავს მას გმირულ სულისკვეთებას და საზოგადოებრივ მოვალეობათა გრძნობას უმახვილებს. ნესტანი რომ სიყვარულს უმხელდა ტარიელს, საგანგებოდ აფრთხილებდა მას:

> ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?
> სჯობს, საყვარელსა უჩენნე საქმენი საგმირონია!

ნესტანი ხორციშესხმული სიკეთეა, აბსოლუტური მშვენიერება, მარადიული ქალურობის ადრინდელი გამოსხივება პოეზიაში. ნესტანისა და თინათინის სახეებით რუსთველმა უკედავყო პოეზიაში ქალის ღირსება. ნესტანი შეფარვით გამოხატული თამარია. შოთა რუსთველმა ვეფხისტყაოსნით პირდაპირი პასუხი გასცა მაშინდელი საქართველოს ერთ ყველაზე უფრო მტკივნეულ საზოგადოებრივ კითხვას — ქალის გახელმწიფების შესაძლებლობას. მეფე გიორგი მესამეს (1156—1184) არ ჰყავდა მემკვიდრე ვაჟი. აშკარა გახდა დინასტიური კრიზისი. გიორგიმ იპოვა გამოსავალი, მან ტახტზე აიყვანა და მეფედ დალოცა თავისი ასული თამარი. ქალის გამეფების უჩვეულობამ შეაშფოთა და ფეოდალურად შეკრული

ვატიული ნაწილი. მეტისმეტად გართულდა ქალ-უფლისწულის მდგომარეობა. მამის გარდაცვალების შემდეგ. შეთქმულება და აჯანყება ერთიმეორეს ცვლიდა. თამარს ჯერ თავზე მოახვიეს გადამთიელი კაცის მეუღლეობა. როცა მეფე-დედოფალმა ჩამოიშორა უღირსი ქმარი, რეაქციულმა ფეოდალურმა წრეებმა ქმარყოფილი თავიანთ მეთაურად გამოაცხადეს. იმის დროშის ქვეშ დაირაზმნენ და ქვეყანა მიიყვანეს უკიდურესი ხიფათის კარამდე. ქალის უფლებისა და ღირსების კითხვა მოექცა მოაზროვნე საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სწორედ ამას ეხმაურება რუსთველი და მისი პოემა. რუსთველი გადაჭრით იცავს ქალ-უფლისწულის გამეფების კანონზომიერებას და გონივრულობას. ამისათვის შექმნა სხარტი, პოეტური ფორმულა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. რუსთველი მხატვრული ენით ასაბუთებს „ქალ-უფლისწულის მამაკაც-უფლისწულთან თანასწორობის“ თვალსაზრისს (ი. ჯავახიშვილი, მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა თამამი აფორიზმით, მან შექმნა თამარის პოეტიზირებული დიადი სახე — ნესტანი. პოეტი ილაშქრებს საზოგადოდ ქალის გრძნობებზე ძალდატანების წინააღმდეგ. იგი ქალს თვლის დედა--კაცად, მორალურად და ინტელექტუალურად სრულყოფილ ადამიანად. გარკვეულ პირობებში პოეტს შესაძლებლად მიაჩნია ქალისა და კაცის პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორობაც. სხვას არავის უმღერია შუა საუკუნეებში ასე ძლიერად და აღმაფრენით ქალის ღირსებაზე, მის უფლებაზე და ზნეობაზე. მის ინტელექტზე. ასე ბუნებრივად, უშუალოდ და გამჭვირვალედ აირეკლა ვეფხისტყაოსანში ისტორიული საქართველოს ცოცხალი სინამდვილე.

ვეფხისტყაოსნით ასახული სიყვარულის გამარჯვება მაინც შეუძლებელი იქნებოდა რუსთველის გმირებს რომ ერთმანეთისათვის მეგობრული ერთგულება და ძმური თავდადება არ გამოეჩინათ, უმწიკვლოდ არ შეესრულებინათ ძმადნაფიცობის წესები. პოეტი ვადაჭრით ამბობს, რომ „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“,. ძმობა-მეგობრობას ეძღვნება პოემის ერთი უმშვენიერესი აფორიზმი:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ვეფხისტყაოსნის ძმადშეფიცულმა გმირებმა შემუსრეს ქაჯეთის ციხე, ნესტანი გამოიხსნეს გველეშაპის კლანჭებიდან, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. სიყვარულმა იზეიმა საბოლოო გამარჯვება, რუსთველი ასკვნის: „ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდენა“.

ვეფხისტყაოსნის ამბავი სიუჟეტურად მუსლიმანურ ქვეყნებში გადატანილი (გაუცხოურებულია), ამიტომაც პერსონაჟებიც მუსლიმა-

ნებ არიან. ამისდა მიუხედავად, მათში „ქართული გული ძგერს". ავტორი გამჭვირვალედ გვიმხელს თავის სარწმუნოებრივ მიდრეკილებას, იგი გარკვეულად ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარია, თუმცა ერიდება სარწმუნეობრივ აღმსარებლობითი საწესო ფორმების ჩვენებას და პირდაპირ არც ახსენებს ქრისტიანულ ძე-ღმერთს, ღვთისმშობელს ან წმინდანებს. პროფ. შ. ნუცუბიძემ დამარწმუნებლად დაასაბუთა, რომ ვეფხისტყაოსანში აღბეჭდილია ე. წ. არეოპაგიტული ქრსტიანობის ნაკვალევი. პოემაში დამოწმებულია კიდევაც დიონისე (ფსევდო-დიონისე) არეოპაგელი. ტექსტის ერთი სტროფის — ფარგლებში მოკლედ და სხარტად გადმოცემულია არეოპაგიტული მოძღვრების არსი:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავ-ბოროტსა არ დაჰხადებს
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს.

ვეფხისტყაოსანი სახავს ადამიანის ამქვეყნიურ იდეალებს. რუსთველი ეტრფის ადამიანის შინაარსიან, ლამაზ სიცოცხლეს, სამაგიეროდ, სასტიკად ტუქსავს სიცოცხლეს „ნაზრახსა" და „აუგიანსა". პოეტი ბრძნული სიმშვიდით აფასებს სიკვდილს, როგორც ბუნების მკაცრსა და ულმობელს, მაგრამ კანონზომიერ მოვლენას. ამაზეა აგებული პოემის ბრწყინვალე აფორიზმი:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა იწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

რუსთველი ამბობს, რომ მშვენიერია და მომხიბლავი „მრავალი ფერით" შემკობილი ქვეყანა, „ტურფა საბაღნარო", რომ ეს „ტურფა საბაღნარო" შექმნილია ადამიანთა საკეთილდღეოდ. რუსთველი უარყოფს ასკეტობასა და განდეგილობას, გმობს ფატალისტურ მცონარეობასა და მშვრეტელობას. პოემის უსაყვარლესი გმირი უკიდურესი განსაცდელის დროს გამოსავალს მხოლოდ გონივრულ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი ხედავდა:

ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!
რა მისჯირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!

ვეფხისტყაოსნის იდეალიზებული პერსონაჟები მებრძოლი გმირული სულით ანთებული, აქტიური საწყისის გამომხატველი სახეებია, რომელთა მოქმედებას ვერც ღვთაებრივი განჩინება ზღუდავს და ვერც ბრმა ბედისწერა. რუსთველის ფიქრით, „კაცი არ ყველა სწორია, დი-

დი ძეს კაცით კაცამდის“. პოემის ზოგიერთი პერსონაჟი, უპირატესად გულისთქმას არის აყოლილი (მაგალითად, ტარიელი), ზოგიც, ასევე უპირატესად, გონებრივი განსჯის კარნახით ხელმძღვანელობს (მაგალითად, ავთანდილი), მაგრამ სამოქმედო გზების არჩევისათვის თავისუფალია მათი ნებელობა.

რუსთველი იცავს ერთმეფობის, გაერთიანებული და ცენტრალიზებული მმართველობის სისტემას, კიცხავს ფეოდალურ სეპარატიზმს და და კუთხურ განკერძოებას, საიდეალოდ თვლის ჰუმანურ საფუძვლებზე აგებული პატრონყმური ურთიერთობის წესრიგს, მოითხოვს მეფე-პატრონისადმი ერთგულებას, ოღონდ მეფეთათვისაც სავალდებულოდ თვლის სამართლიანი ქცევის საჭიროებას. მეფის უსამართლობით აღშფოთებული ერთგული, მორჩილი და ზრდილი მოყმე იძულებულია მოაგონოს პატრონს:

მაგრა თვით იცით: ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა!

პატრონყმური საზოგადოების იდეალიზებული ზნეობრივ-ეთიკური ცხოვრების ნორმებს რუსთველი მკვეთრად უპირისპირებს ვაჭრული წრეების ყოფითს სინამდვილეს. თუმცა რუსთველმა შუა საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში ერთმა პირველთაგანმა დახატა ვაჭართა საზოგადოების ცოცხალი, კოლორიტული სურათი, ის მაინც ცხადლივ ამჟღავნებს ამ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების მიმართაც კი ირონიულ დამოკიდებულებას. თუმცა ვეფხისტყაოსანი შუა საუკუნეთა მხატვრული ძეგლია, ავტორი შეგნებულად გაურბის მისი დროის მწერლობისათვის დამახასიათებელ ფანტასტიკურობასა და ზღაპრულობას. იშვიათი ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების აღწერათა პირობებშიც რუსთველი რეალისტურ პოზიციებზე დგას. პოეტი ზოგჯერ აზვიადებს თავისი საყვარელი გმირების ფიზიკურ ძალასა და მორალურ თვისებებს, მათ გარეგნულ სილამაზეს. ამისათვის იგი ფართოდ იყენებს ჰიპერბოლის ხერხებს, თავისუფალ გასაქანს აძლევს თავის მდიდარსა და ლაღ ფანტაზიას. მაგრამ მისი მხატვრული აზროვნება ყოველთვის ობიექტურ სინამდვილეს. რეალისტურ საფუძვლებს ემყარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალისტურია რუსთველის მხატვრული ასახვის მეთოდი. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვლაპარაკობთ რეალიზმზე, როგორც გარკვეული კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ლიტერატურულ-შემოქმედებითს მეთოდზე ან ლიტერატურულ მიმართულებაზე.

ვეფხისტყაოსანი რომ მისი დროის აღმოსავლურ და დასავლურ დიდ მხატვრულ ძეგლებს შევუდაროთ, რასაკვირველია, ვიპოვით ტიპოლოგიურად რიგ ცალკეულ საერთო მოტივებს, მაგრამ, როგორც ცნობილი ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე პროფესორი მორის ბაუ-

რა ამბობს, ქართველი პოეტი „მიდის თავისი საკუთარი გზით“. ვეფხისტყაოსნის პირველი სრული რუსული თარგმანის ერუდიტი ავტორი კონსტანტინე ბალმონტი ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი „სიყვარულის საუკეთესო პოემაა, რომელიც კი ოდესმე ევროპაში წარმოშობილა“.

რუსთველი დიდი ჰუმანისტი პოეტი-მოაზროვნეა. მისი ყურადღების ცენტრშია სხვადასხვა ინდივიდუალური ხასიათისა და მიდრეკილების, სხვადასხვა სოციალური წრისა და ინტერესების ცოცხალი ადამიანი. ამქვეყნიური, მიწიერი, მაგრამ ამაღლებული ეთიკური იდეალებით (ამაღლებული ეთიკური იდეალების გამომხატველი არიან პოემის იდეალიზებული გმირები), რომელთათვის ადამიანური სისუსტეც კი არ არის უცხო და მოულოდნელი. თავისი მოწინავე იდეებით, სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობით, ადამიანთა რეალისტური სახეებით. მათი ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური აწალიზით ვეფხისტყაოსანი შორს ტოვებს შუასაუკუნეობრივ აზროვნებას და მხატვრული წარმოსახვის საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმებს. თავისი ტკბილი ქართული ენით რუსთველმა მკაფიოდ გამოამჟღავნა ის სულიერი განწყობილებანი და ის იდეური მიდრეკილებანი გამოხატა, რაც ჩვეულებრივ ევროპული რენესანსის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებად არის მიჩნეული. რუსთველი ადრეული რენესანსია მებაირახტრეა საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში. ამასთან, რუსთველისათვის უცხოა ეროვნული განკერძოებისა და შეზღუდულობის რაიმე გამოვლინება. ვეფხისტყაოსანს თავიდან ბოლომდის მსჭვალავს ჰუმანისტური სულისკვეთება და ხალხთა სოლიდარობის იდეა.

ვეფხისტყაოსანი ორპლანიანი რთული სიუჟეტის მქონე პოემაა. აქ მოთხრობილია ორი ამბავი (ინდოეთისა და არაბეთისა). ეს ამბები უმჭიდროესად არის ერთმანეთთან გადახლართული. თავის ნახრივ ძირითადი სიუჟეტი გამდიდრებულია შენაკადი ეპიზოდური ამბებით (ფრიდონის ამბავი, ფატმანის ამბავი...). შენაკადი ამბები რიგ მძაფრ სიტუაციებსა და სამოტივო დეტალებს შეიცავს, რომლებიც ორგანულად ერწყმისდ რამატული კოლოზიებით სავსე ამბების ლოგიკურ, დინამიკურ მიმდინარეობას. კომპოზიციურად ვეფხისტყაოსანი განუკვეთლადაა შეკრული, ერთიანია და მთლიანი, იგი უაღრესად საინტერესო და მიმზიდველად საკითხავი დიდი პოემაა, გინა რომანი ლექსად.

ვეფხისტყაოსნის პოეტური ენა ისევე მშვენიერია და წარმტაცი, როგორც სამაგალითოა სიღრმითა და სიახლით მისი იდეური შინაარსი. ვეფხისტყაოსნის ენა არსებითად ახალი სალიტერატურო ქართული ენაა, რომელიც ძლიერ განსხვავდება სასულიერო-მწიგნობრული ენი-

საგან და წალხის სამეტყველო, ცოცხალ ენას უახლოვდება. რუსთველმა შეისისხლხორცა და ამოსწოვა მთელი სიმდიდრე ქართველი ხალხის ენობრივი საუნჯისა, მან დახვეწა, კიდევ უფრო მეტი მოქნილობა და ელვარება მისცა მშობლიურ ბარაქიან სიტყვას. პოემა დაწერილია ლიდებული, დარბაისლური სტილით. რუსთველი „ენა-მზე" პოეტია. ენა-მზეობას იგი იყენებს, უწინარეს ყოვლისა, აზრის მკაფიოდ, სათლად და ემოციურად გადმოსაცემად. მეტად მდიდარია პოემის ენობრივი სამკაულები. მას ამშვენებს მოხდენილი მეტაფორები, იშვიათი შედარებანი, ზუსტი ეპითეტები, სხვადასხვა სახის პარალელიზმები (განსაკუთრებით უხვადაა კონტრასტული პარალელიზმები), მხატვრული განმეორებანი, ბგერწერის საოცრებანი (ალიტერაციები, ასონანსები). ვეფხისტყაოსნის სიდიადის ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მისი სალექსო ფორმა — შაირი. წარმოშობით შაირი ხალხურია. მისი გამომხატველობითი შესაძლებლობანი რუსთველმა აიყვანა უმაღლეს მწვერვალამდე .

ქართველმა ერმა ვეფხისტყაოსნით მსოფლიო კულტურის სარბიელზე თქვა საკუთარი. შთამბეჭდავი პოეტური სიტყვა. მსოფლიო პოეზიის სავანძურში რუსთველმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი. მან შეავსო და გაამდიდრა ეს საგანძური. ესაა რუსთველის დამსახურება მშობლიური და მსოფლიო სულიერი კულტურის ისტორიაში. რუსთველის პოეზიის საერთაშორისო აღიარებას დიდად შეუწყო ხელი ვეფხისტყაოსნის თარგმანებმა. ამჟამად გვაქვს ვეფხისტყაოსნის ექვსი სრული და რამდენიმე ნაწილობრივი რუსული თარგმანი, შვიდი თარგმანია გერმანულ ენაზე. ოთხი ინგლისურზე. ოთხი ფრანგულზე. პოემა გადათარგმნილია აგრეთვე ესპანურ, იტალიურ, იაპონურ, ჩინურ, ებრაულ, არაბულ და სხვა მრავალი ხალხის ენაზე. ვეფხისტყაოსანი 70-ჯერ გამოიცა ქართულ ენაზე. პირველი გამოცემის ტექსტი დაიბეჭდა თბილისში 1712 წელს ვახტანგVI-ის საფასით, რედაქციით და კომენტარებით („თარგმანი"). ვახტანგისეული რედაქციის ტექსტი სრულად აღადგინა და გამოაქვეყნა ა. შანიძემ (თბილისი, 1937), ამისი ფოტოპირი დაიბეჭდა 1975 წელს. უკანასკნელი დროის საყურადღებო გამოცემებია: საიუბილეო 1966 წ., ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით (1966 წ., ე. წ. ვარიანტებიანი გამოცემა), გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით (1966 წ.), პ. ინგოროყვას რედაქციით (1970 წ.), მ. წერეთლის რედაქციით, (პარიზი. 1977), აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა (1988).

1984 ‘

ისევ ვეფხისტყაოსნის დევნის საკითხის გარშემო

ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის დევნას მკვლევარნი ადრე ჩვეულებრივ უყოყმანოდ აღიარებდნენ. უცხოელი ქართველოლოგის დაკვირვებითაც: „მოგვიანებით, პოემას (ვეფხისტყაოსანს, — ა. ბ.) თავს დაესხნენ ღვთის მსახურნი, რუსთაველი უზნეო მწერლადაც კი გამოაცხადეს[1] ზოგი სერიოზული რუსთველოლოგი (პ. ინგორყვა, შ. ნუცუბიძე) იმის დამტკიცებასაც ცდილობდა, თითქოს რუსთველი სიცოცხლეშივე იდევნებოდა, დიდი პოეტი სამშობლოდან გააძევესო, თუ იძულებული გახადეს გარდახვეწილიყო და უცხოეთში ეძებნა თავშესაფარიო. მკვლევართა უმეტესობის ფიქრით ვეფხისტყაოსნის დევნა, ან მის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო ქართულ მწერლობის ე. წ. აღორძინების ხანაში (XV—XVIII საუკუნეებში)[2]. ბევრის ვარაუდით, ამ ბრძოლას უნდა მოჰყოლოდა პოემის უხეში ხელყოფა და მისი განადგურების ცდა.

ბოლო დროს საეჭვოდ, გაზვიადებულად და ხელაღებით შეთხზულადაც ეჩვენებათ ვეფხისტყაოსნის დევნის ამბავი. ამ მხრივ დამახასიათებელია ცნობილი რუსთველოლოგის, პროფესორ აკაკი გაწერელიას თვალსაზრისის ევოლუცია. დიდად პატივცემულმა მკვლევარმა 1938 წელს გამოაქვეყნა ერთი ნაშრომი საგულისხმო სათაურით — „კლერიკალური რეაქცია და რუსთაველი“[3]. მაშინ იგი ამტკიცებდა, რომ კლერიკალური რეაქციის უმაღლეს გამოხატულებას ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა წარმოადგენსო“, რომ ანტონის „მთელი მოღვაწეობა რეაქციული იყო თავისი შინაარსით და ტენდენციით“ (დას. ნაშ., გვ. 42—43). რომ წყობილსიტყვაობის შეფასებით „ანტონ პირველი პირდაპირ ამბობს იმას, რასაც ეკლესია ფიქრობდა რვა საუკუნის მანძილზე“ (იქვე, გვ. 44). ამჟამად მეცნიერი მთლიანად უარყოფს ადრინდელ შეხედულებას. იგი ასე ასათაურებს თავის ახალ ნაშრომს — „სდევნიდნენ თუ არა ვეფხისტყაოსანს, ან მის ავტორს?“[4]. კალისტრატე ცინცაძე „დამაჯერებლად უარყოფს

---

[1] ქეთრინ ვ ი ე ი ა ნ ი. ვეფხისტყაოსანი: ელემენტები აღმოსავლური და დასავლური კულტურიდან „ლიტერატურული საქართველო“, 26.5.84.

[2] გამოჩენილი მწერლისა და მკვლევრის გრიგოლ აბაშიძის მოსაზრების თანახმად, „რუსთაველის გმობა და ვეფხისტყაოსნის დევნა გვიანდელი მოვლენაა და იმ ეპოქის უშეალო გამოძახილი, როცა საქართველოს სახელმწიფო დაკნინდა და ქვეყნის კულტურის საერთო დონის დაცემასთან ერთად ქართული ეკლესიაც მატერიალურად და სულიერად გაღარიბდა და დაქვეითდა“ („მოგზაურობა რუსთაველის ეპოქაში“, წიგნიდან — გრიგოლ ა ბ ა შ ი ძ ე, თხზულებანი სამ ტომად, ტომი III, თბ., 1974, გვ. 472).

[3] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ., 1938, გვ. 31—45.

[4] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1977, გვ. 215—218.

ქართული ეკლესიის მხრივ შოთას დევნის უსაფუძვლო აზრსო" (გვ. 49). ა. გაწერელიას მხედველობაში აქვს კათალიკოს კ. ცინცაძის (1866—1952) ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობისათვის", რომელიც ავტორს დაუწერია 1936 წელს, მაგრამ დიდხანს მის არქივში ყოფილა დაცული და მხოლოდ 1966 წელს უხილავს ნაშრომს დღის სინათლე. დამოწმებული ნარკვევი დაბეჭდილია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულში — „შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი" (თბილისი, 1966, გვ. 226—274; ხელმოწერილია კ. ეკაშვილის ფსევდონიმით). ნარკვევს ახლავს სარედაქციო შენიშვნა. აქ, სხვათა შორის, იკითხება: „ავტორს (ე. ი. ეკაშვილს — კ. ცინცაძეს, — ა. ბ.) მთელი რიგი საკითხები ანლებურად აქვს დაყენებული და ორიგინალურად გადაწყვეტილი. ავტორის მიზანია დაასაბუთოს, რომ შოთა რუსთაველი არის ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოეტი. აქვე შევნიშნავთ, რომ ავტორის ზოგიერთ დებულებას რედაქცია არ ეთანხმება, ან უკეთეს შემთხვევაში, საკამათოდ მიაჩნია" (გვ. 227, შნშ.).

კ. ცინცაძის ნარკვევი ნამდვილად დიდად ფასეულია. ჩვენ დაბეჭდვისთანავე გამოვეხმაურეთ მას და აღვნიშნეთ: „კ. ცინცაძის ნაშრომი საერთოდ ფრიად საყურადღებოა. ავტორი საბუთიანად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსნის რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველია ქრისტიანული აღმსარებლობა. ამასთან ერთად ნარკვევში განვითარებულია რიგი აშკარად მართალი და მიუღებელი მოსაზრება. ალბათ, ამით არის გამოწვეული საგანგებო სარედაქციო შენიშვნა", რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ[5].

კ. ცინცაძის ამ ნაშრომის თაობაზე იმას ვიტყვით, რომ მკვლევარი სრულიად ვერ ასაბუთებს, თითქოს უსაფუძვლოა კლერიკალური საზოგადოების მხრივ ვეფხისტყაოსნის დევნის თვალსაზრისი. მეტიც. კ. ცინცაძე იზიარებს მოსაზრებას ანტონ კათალიკოსის მხრივ ვეფხისტყაოსნის ხელყოფაზე. კ. ცინცაძე წერს: „ფაქტი უტყუარია: ანტონმა (გარდაიც. 1788) ჯერ „აღუკრძალა ქართველთა კითხვა ვეფხისტყაოსნისა", ხოლო როდესაც ამ საშუალებამ ვერ გაჰრა, მიმართა ადმინისტრაციულ ზომებს, „მრავალნი დაბეჭდილნი ვეფხისტყაოსანნი დასწვნა და შთააყრევინა მტკვარში"[6]. ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რამ აიძულა მეთვრამეტე საუკუნის ქართველთა შორის „სწორუპოვარი მეცნიერი" (პროფ. კ. კეკელიძე) ჩაედინა ასეთი ბარბაროსობა. ვიმეორებთ, ფაქტი უტყუარია და მას აღვნიშ-

---

5 ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V. თბ., 1971. გვ. 103 (კურსივი ახალია. — ა. ბ.).

6 სქოლიოში მითითებულია „მოხილვა" (ტიმოთე გაბაშვილისა). გვ. 154. შენიშვნა პლატონ იოსელიანისა.

ნავთ მწუხარებით, მაგრამ იგი არ მიეკუთვნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების კლერიკალურად განწყობილი წრეების სულისკვეთების შედეგად“ (გვ. 230). შენიშვნებში კ. ცინცაძე ეხება მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის ცნობას ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის განადგურების თაობაზე და ამბობს, ამ ცნობას ბოლხოვიტინოვს მიაწვდიდაო მისი მთავარი კონსულტანტი მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი: „ვეფხისტყაოსნის დაწვა, მტკვარში გადაყრის ამბავი ვარლამს თვით ექნება გაგონილ-ნანახი, იგი მოწაფე იყო ანტონ კათალიკოსისაო“ (იქვე. გვ. 264—265, შნშ. 24).

ანტონის მოქმედებას კ. ცინცაძე უწოდებს „აუტოდაფეს“ და ასკვნის: „ანტონის აუტოდაფეში არც კლერიკალურად და არც არაკლერიკალურად განწყობილ ქართველ საზოგადოებას წილი არ უძევს, ანტონმა. ჩანს რაღაც განსაკუთრებული მოსაზრებით ჩაიდინა ეს საქმე, მაგრამ ვეფხისტყაოსნის პოპულარობა ვერ შეარყია. თავის სახელს კი საკმაოდ დიდი ჩრდილი მიაყენა. სწორედ რომ იმაზედ შეიძლება ითქვას ის, რაც მან თქვა რუსთაველისათვის, — „ამაოდ დაშვრა, სანანურ არს ესე!“ (გვ. 231)..

ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით კ. ცინცაძის დამოკიდებულებას ბოლხოვიტინოვის ცნობისადმი. აქ მოკლედ შევეხებით მის ზოგიერთ მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კ. ცინცაძე უთუოდ სწორუპოვარი ავტორიტეტია „საღვთო წერილის“ ცოდნაში. სავსებით დამარწმუნებელია მის მიერ მოხმობილი და გაანალიზებული მასალები ვეფხისტყაოსნის ბიბლიურ მოტივებზე. სამწუხაროდ. ამასვე ვერ ვიტყვით კ. ცინცაძის შეხედულებაზე ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული რაობისა და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ. ჩვენ ადრეც ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ, რომ ყოველად შეუწყნარებელია და აშკარად მცდარია ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟების — ნესტანისა და ტარიელის ცინცაძისეული დახასიათება: კ. ცინცაძის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის „მთავარი ღადებითი ხასიათის გმირი არ არის ტარიელი“[7]. ტარიელი თვითონ „ღვთაებრივია“ (გვ. 247). აჰყოლია „განებივრებული ქალის (ე. ი. ნესტანის — ა. ბ.) სურვილს და არბევს ხატაეთს“ (გვ. 242). „ის არის აღმასრულებელი ამ თვითნება უფლისწულის ახირებისა და ბოროტი რჩევა-დარიგებისა“ (იქვე. კურსივი ჩემია — ა. ბ.). ტარიელი მხოლოდ „თავის მკლავზე იყურება“ (გვ. 243). თითქოს უარყოფითი ხასიათის პატრონი ყოფილა ნესტან-დარეჯანი. კ. ცინცაძე ამბობს, რომ ნესტანი ტარიელს აძლევს ისეთ რჩევა-დარიგებას, „რომელშიაც შეზავებულია ცრუობა, ურცხვობა, ვერაგობა, მშობელთა უპატივცემულობა,

---

[7] ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობისათვის. (კურსივი ავტორისაა, ა. ბ.).

მეფის დამცირება-შეურაცხყოფა, ქვეყნისა და სამშობლოს განწირვა და მხოლოდ და მხოლოდ თავმოთნეობა“ (გვ. 243). თურმე „ნესტანის სულიერი განწყობილება... სწორედ შვიდთა ვნებათა კონას წარმოადგენდა“ (გვ. 271). ნესტანი თითქოს „თვალხარბია“, „სულსწრაფი“, რომელიც „ოცნებობს მამის სიცოცხლეშივე ხელმწიფედ გახდომას“, „ადრე იწყებს დიაცურად ცხოვრებას“, „საზოგადოდ, ზრუნავს მხოლოდ პირადი გრძნობების დაკმაყოფილებისათვის“ (გვ. 246)). დავარჭაჯის „მოწაფისაგან“ აბა, სხვა რა იყო მოსალოდნელიო. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ნესტანისა და ტარიელის „ბოროტად დაწყებული საქმე ბოროტადვე გათავდაო“ (გვ. 244). ვეფხისტყაოსნის მკვლევართ კი გვეგონა, რომ ვეფხისტყაოსნის იდეას გამოხატავდა რუსთველის უკვდავი სიტყვები „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ თურმე ნუ იტყვით, ბოროტად დაწყებული საქმე ბოროტადვე დამთავრებულა! სადღაა სიყვარულის ზეიმი?!

კ. ცინცაძე ტარიელს მთლად მიწასთან ასწორებს. მკვლევარი ადვილად უსწორებს ანგარიშს რუსთველის ლირიკულ შეძახილს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი; მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!“ აქაოდა ეს „ცრურუსთველის“ ნაყალბევი შაირიაო (გვ. 241, 244). კ. ცინცაძეც თავისუფლად იყენებს იმ ყბადაღებულ მეთოდს აკვიატებული აზრისათვის მიუღებელ ტექსტებს რომ უსაბუთოდ ყალბად აცხადებენ. კ. ცინცაძე თვლის, რომ მთლიანად ყალბია ვეფხისტყაოსნის პროლოგ — ეპილოგი: „ვეფხისტყაოსნის მშვენიერ სხეულზე მიკორძებულია ორი ჯორცმეტი წინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის სახითო“ (გვ. 241). კ. ცინცაძე იმეორებს კ. კეკელიძის ადრინდელ და შემდეგ მის ძიერვე უარყოფილ თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის სწორედ უმშვენიერესი ნაწილის, პროლოგის ჩანართობის თაობაზე. ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ოღონდ ვიტყვით, რომ კ. ცინცაძის წარკვევს მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი კ. კეკელიძის ძველი (1924 წლის დროინდელი) რუსთველოლოგიური ნააზრევის ზემოქმედება. ამით აიხსნება კ. ცინცაძის განცხადება: „რუსთაველი და შოთა ჩვენ პირობით „ტერმინებად“ მიგვაჩნია ვეფხისტყაოსნის ავტორისათვისო“ (გვ. 261), შნშ. 7). მკვლევარი იქვე იმოწმებს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (პირველი გამოცემის) მეორე ტომის შესაფერის გვერდებს.

ვკარგი. ვთქვათ, ვეფხისტყაოსანს მოვკვეთეთ რუსთველური „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“, რა ვუყოთ პოემის სათაურს (ვეფხისტყაოსანი“?) ვეფხისტყაოსანი ხომ ვეფხის ტყავით შემოსილი პერსონაჟის მხატვრული სახეა! ეს პერსონაჟი ხომ ტარიელია. ამიტომაც პოემის ზოგიერთმა უცხოელმა მთარგმნელმა გაშიფრა ამ სახის მნიშვნელობა და ძეგლს ეწოდა „ტარიელი“

უწოდა (ვეფხისტყაოსნის ქართულ ხალხურ ვერსიასაც „ტარიელიანი“ ეწოდება!). ამით კი ამ მთარგმნელებმა ძლიერ გააღარიბეს დიდებული პოეტური სახის ავტორისეული მდიდარი მხატვრული შინაარსი. მერე და ტარიელი იმიტომ არის ვეფხის ტყავით შემოსილი (ვეფხისტყაოსანი) რომ ვეფხი ასახიერებს ნესტანს. ბუნების ეს ლაღი და მშვენიერი ქმნილება ნესტანის პოეტური სიმბოლოა. მოვიყოლოთ თვითონ ტარიელის სიტყვები (657,1—2):

> რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
> ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს.

თქმული, ვგონებ, კმარა[8]. მცდარია კ. ცინცაძის ვარაუდი, თითქოს ვეფხისტყაოსნის კომპოზიციისა და იდეური შინაარსისათვის მთავარია არაბეთის ამბავი, ხოლო ინდოეთის ამბავი მხოლოდ „შედარებით წვრილმანია“ (გვ. 273, შნშ. 60).

ძალზე საინტერესოა, ორიგინალურია და ანგარიშგასაწევი (თუმცა სადავოა) კ. ცინცაძის მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის შექმნის გარემოებისა და თარიღის თაობაზე. ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ ვეფხისტყაოსანი ავითარებს ქალის პატივისცემისა და თაყვანისცემის იდეას, ქალისა და მამაკაცის მორალურ-ინტელექტუალური თანასწორობის თვალსაზრისს. გარკვეული ასპექტით რუსთველი შესაძლებლად თვლის ქალისა და მამაკაცის თანასწორობას პოლიტიკურ-უფლებრივ სფეროშიც. პოეტი იცავს ქალის გახელმწიფების კანონზომიერებასა და გონივრულობას. ამისათვის იგი გვთავაზობს „მოსწრებულ მხატვრულ აფორიზმს“ — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ამის გამო კ. ცინცაძე შეგვნიშნავს: „ეს „მოსწრებული მხატვრული აფორიზმი“ კი არ არის, როგორც ფიქრობს ა. ბარამიძე, არამედ პერიფრაზია ქრისტიანული სწავლის ერთ-ერთი მთავარი დებულებისა, — „არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ“ (გალ. 3,28). ეს სიტყვები მოციქულისა ის ქვაკუთხედია, რომელზედაც აშენებულია ვეფხისტყაოსანი და რომლებმაც მოახდინეს უდიდესი რევოლუცია ქართველთა შეგნებაში ქალის ვაჟთან თანასწორობის საკითხში“ (239). განა ლეკვი ლომისა სწორია...“ კარგავს მშვენიერი აფორიზმის თვისებას იმიტომ, რომ შესაძლებელია (თუმცა აუცილებელი არაა) ის ერთგვარად ეძყარებოდეს საღვთო წერილის მოძღვრებას? მაგრამ ეს არ არის მთავარი. დამოწმებული აფორიზმის მოხმობა და თინათინის გახელმწიფე-

---

[8] ვრცლად ამის თაობაზე საუბარია ჩვენს მონოგრაფიულ ნარკვევში: „შოთა რუსთველი“ (1958, 1966, 1975), თავი — „ვეფხისტყაოსნის მთავარი თემისა და მთავარი პერსონაჟების შესახებ“.

ბის ეპიზოდი რომ XII ს. საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის (— თამარის გახელმწიფების) ანარეკლია, ახლა ეს თითქმის საყოველთაოდ გაზიარებული აზრია. ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, ჯერ კიდევ XVII ს. ისტორიკოსმა ფარსადან გორგიჯანიძემ შეამჩნიაო, რომ რუსთველის აფორიზმი („ლეკვი ლომისა...") სწორედ თამარის გამეფების ამბავს გულისხმობსო[9]. ი. ჯავახიშვილი, ჩვენც და ზოგი სხვაც ვფიქრობდით, რომ რუსთველმა მხატვრული ენით დაასაბუთა თამარის გამეფების კანონზომიერება და გონივრულობა. ი. ჯავახიშვილი ამბობს, რომ მართალია, გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგი მესამემ თამარის გახელმწიფებით გადაწყვიტა ქალის გამეფების შესაძლებლობის საკითხი, მაგრამ ამით „ბრძოლა არ ჩამქრალა", ქალის გამეფების მოწინააღმდეგე კონსერვატიული ძალები ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ ძველი წესების აღსადგენად. „არაერთი გარემოება გვაფიქრებინებს, — წერს ი. ჯავახიშვილი, — რომ ქალის მეფობის პრობლემა შოთას დროს სრულებითაც დრომოჭმული საკითხი არ ყოფილა. ჩვენი მგოსანი ამ უფლებამოსილობის საუკეთესო მომხრე მებრძოლთაგანი ჩანს... ქალის უფლების პრობლემისა, საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა და, კერძოდ, თამარის პირადი თავგადასავალის ანარეკლი შოთას თხზულებაში საკმაოდ მოჩანს"[10].

კ. ცინცაძე სულ სხვანაირად ფიქრობს და სხვაგვარად მსჯელობს. კ. ცინცაძის თვალსაზრისით, როდესაც საქართველოში დინასტიური კრიზისი შეიქმნა (მეფის გვარის გამგრძელებელი ვაჟიშვილი არ ჰყავდა), გიორგიმ მტკიცედ გადაწყვიტა „ტახტზე აეყვანა თავისი ქალი თამარი". გიორგიმ კარგად იცოდაო, რომ საკარო საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ კარის მგოსნები. გიორგიმ მოისაზრაო თავისი მიზნისათვის გამოეყენებინა იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი შოთა რუსთველი. მეფემ თავისი განზრახვა გაანდო პოეტს და დაავალაო მას დაეწერა შესაფერისი თხზულება[11]. რუსთველს დიდებულად სრულუყვია ეს დავალება („დავითა"). კ. ცინცაძე წერს: „გიორგი მესამის დინასტიურმა წაღილმა საქართველოს მისცა „ღმერთისა სწორი მეფეთა-მეფე თამარი" და გენიალური მხატვრული ნაწარმოები ვეფხისტყაოსანი" (გვ. 240).

---

[9] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 46.

[10] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 27—28 (ნარკვევი დაწერილია 1934 წელს).

[11] კ. ც ი ნ ც ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, გვ. 237—240, 269.

რა თქმა უნდა, კ. ცინცაძე გეთაევაზობს თავისთავად საინტერესო კონცეფციას[12]. ოღონდ იგი მკვლევრის მაცთუნებელი ვარაუდია და საბუთიანობის ნიშანწყალი არ ახლავს. შეკვეთით თხზულებების შექმნა მიღებული იყო შუა საუკუნეების აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. დაკვეთითაა შესრულებული რიგი დასავლური სარაინდო როძანები და აღმოსავლური წარმოშობის სამიჯნურო და საგმირო პოემები. შორს რომ არ წავიდეთ, დაკვეთით შეიქმნა ფირდოუსის შაჰნამე, გორგანის ვისრამიანი, ნიზამის ზოგიერთი პოემა. ოღონდ პოეტი— ავტორები საგანგებოდ აღნიშნავდნენ ხოლმე ამ გარემოებას და ღირსებისამებრ ქება-დიდებით ამკობდნენ მათ კეთილისმყოფელ დამკვეთებს. ვეფხისტყაოსანში საამისოდ არაფერია თქმული (გიორგი მეფის სახელი შინიშნებული არაა). სამაგიეროდ რუსთველი ხოტბას უძღვნის მეფე მზე — თამარს და მის „ლომს", რომელსაც „ჰშვენის ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა". პროლოგის მეტაფორა („ლომი") გახსნილია ეპილოგში და მის შესატყვისად დასახელებულია დავითი (—თამარის მეუღლე დავით სოსლანი).

კ. ცინცაძის კონცეფციით, ვეფხისტყაოსანი შეთხზულია ღუკას ბატონიშვილის აჯანყების ჩაქრობისა და გიორგის სიცოცხლეში თამარის მეფედ ხელთდასხმას შორის, ე. ი. 1177—1179 წლებს შუა[13]. გიორგი მესამის მოუხსენებლობას და თამარის ქების ვითომდა უადგილობას მკვლევარი ადვილად იცილებს თავიდან. იგი წერს: „წინასიტყვაობაში აღნიშნული თამარის ხსენება (სტროფი 3—5) არაბუნებრივად არის ჩართული სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებთა ნაფლეთებში" (გვ. 237). როგორც ზემოთაც შევხიშნეთ, კ. ცინცაძის ფიქრით, ვეფხისტყაოსნის პროლოგ ეპილოგი თითქოს შეუსაბამო ცნობების შემცველია, რუსთველს არ ეკუთვნის და სხვადასხვა ავტორის ნახელავია (კ. ცინცაძე არ ცდილა ამოეხსნა პროლოგის მეტაფორული ლომის ვინაობა, ვინც არ უნდა ყოფილიყო პროლოგის ამ ნაწილის ავტორი).

კ. ცინცაძის ნააზრევში შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა. ერთგან მკვლევარი მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ ტიმოთე გაბაშვილი, რომელიც საშინლად კიცხავს რუსთველს, არაფერ საეუგოს არ ამბობს „ვისრამიანის", „ლეილ-მეჯნუნიანის", „ბარამგურიანისა" და სხვა მათ მსგავს თხზულებებზე. ეს იმიტომო,

---

[12] ეს კონცეფცია გაიზიარა (წყაროს დაუსახელებლად) და განავითარა თამაზ ჭილაძემ („ვარდის ფურცლობის ნიშანი", „მნათობი", 1963, № 10, 11; შდრ. ჩვენი რეცენზია დასახელებულ ნაშრომზე — „ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებურად წაკითხვის გამო", „მნათობი", 1984, № 2).

[13] კ. ცინცაძე, ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, გვ. 237—240.

განმარტავს კ. ცინცაძე, რომ: „აღნიშნული თხზულებანი ნათარგმნია უცხო ენიდან და ეკუთვნიან არაქრისტიან ავტორებს, ვეფხისტყაოსანი კი დაწერილია არა მხოლოდ ქართველის და ისიც ქრისტიანის მიერ, არამედ „ბერისაგან“ (გვ. 262). მართალია, ბერისაგან მკვლევარს წინწკლებში აქვს მოთავსებული, მაგრამ მისი შინაარსი ესმის ან თავისი პირდაპირი მნიშვნელობით (ბერი, მონაზონი), ან მოსუცის (ბერიკაცის) მნიშვნელობით. ასეთი იყო ტრადიციაო და მიუთითებს წყაროზე რუსთველის იერუსალიმში ჩასვლისა და ჯვრის მონასტრის განახლების შესახებ. ბერ — მონაზვნად გავიგებთ სიტყვა „ბერს“ თუ ბერიკაცად, სულ ერთია, იგი შეუფერებელი იქნება რუსთველისათვის, თუკი ვეფხისტყაოსანი პოეტს დაუწერია 1177—1179 წლებს შუა. მკვლევარი გრძნობს ამ წინააღმდეგობას და მის დასაძლევად აქეთ გამოსავალს პოულობს. მსოფლიოს ბევრი კლასიკური ნაწარმოები („ღვთაებრივი კომედია“, „ფაუსტი“, „ევგენი ონეგინი“) ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნებოდა, იქნებ ვეფხისტყაოსნის დაწერამაც ასევე დიდი დრო მოითხოვაო. გიორგი მეფეს დინასტიური საკითხი აწუხებდა, მისი ღაღალებით მომზადდა ვეფხისტყაოსანი, „შეიძლება გიორგის სიცოცხლეში დაიწერა და გამოქვეყნდა (პოემის) ნაწილი, თუნდაც 34—192 სტროფები. რაც გიორგი მეფისათვის საესებით საკმარისი იყოო“ (გვ. 269). კი, მაგრამ მაინც რა დროის განმავლობაში იწერებოდა ვეფხისტყაოსანი? 1177—1179 წლებში რუსთველი ძლიერ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, ჯვრის მონასტრის ფრესკის მიხედვით კი იგი ღრმად მოხუცია[14]. საეჭვოა და დაუსაბუთებელი ვეფხისტყაოსნის ასე ნაწილ-ნაწილ შეთხზვა-გამოქვეყნება. თუ გიორგი მეფისათვის საინტერესო ნაწილი პოემისა მის სიცოცხლეში გავრცელდა, რატომ ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია პოეტმა თავისი მბრძანებელი და შრომის დამკვეთი? რატომ დაარღვია ტრადიციით განმტკიცებული წესი? და კიდევ რამდენი ამდაგვარი კითხვის დასმაა შესაძლებელი?

კ. ცინცაძე იცნობს და იყენებს ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნს— „Историческое изображение Грузии...“ ამ წიგნის შესახებ საკმად ბევრია თქმული და დაწერილი ჩვენშიც, რუსეთშიც და უცხოეთშიც. ცნობილია, რომ ბოლხოვიტინოვის წიგნის ზეგავლენით შეუდგა ახალგაზრდა მარი ბროსე ქართულის შესწავლას. ბიბლიოგრაფიულ

---

[14] თანამედროვე თვალსაზრისით, რუსთველი უნდა დაბადებულიყო XII საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს, თუ სამოცდაათიანის დასაწყისში. ამ ვარაუდს დაემყარა რუსთველის დაბადების 800-წლისთავი, რაც დიდი ზეიმით აღინიშნა ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც 1966 წელს.

იშვიათობად ქცეული ეს წიგნი 1978 წელს ფოტოტიპურად გამოსცა და დამატების სახით თავის გამოკვლევას დაურთო გურამ შარაძემ[15].

გ. შარაძის ნაშრომის პირველი ნაწილი საყურადღებო გამოკვლევაა, სადაც, ჩემი შთაბეჭდილებით, ძირითადად სწორადაა განხილულ-გაანალიზებული ბოლხოვიტინოვის წიგნთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, საერთოდ სწორადვეა შეფასებული რუსი მეცნიერის რუსთველოლოგიური დაკვირვებანი. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ თვითონ ბოლხოვიტინოვის წიგნი მრავალ სწორ საინფორმაციო მასალასთან ერთად შეიცავს რიგ აშკარად მცდარ ცნობას ჩვენი ისტორიული წარსულიდან. ბოლხოვიტინოვი ტენდენციურად აშუქებს და უხეშად ამახინჯებს ისტორიული სინამდვილის ცალკეულ ფრიად მნიშვნელოვან მხარეებს, რითაც მკითხველს ყალბ წარმოდგენას უქმნის ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ვითარებაზე. ბოლხოვიტინოვის წიგნის გამოცემა საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ გამომცემელს კრიტიკულად უნდა განეხილა და მკითხველისათვის მიეთითებინა ამ უხეში შეცდომების თაობაზე (რასაკვირველია, იმას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ბოლხოვიტინოვის შეცდომებისათვის პასუხისმგებელი არიან უპირატესად მისი ქართველი ინფორმატორები და კონსულტანტები. მთავარი ინფორმატორი და კონსულტანტი იყო მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი).

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის შეცდომათა მხილების უგულებელყოფით გ. შარაძემ თვითონ დაუშვა სამწუხარო შეცდომა (ამ შეცდომის გამოსწორებას იგი შემდგომ შეეცადა).

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება. გ. შარაძე ძალიან გულმოდგინედ და გამოწვლილვით იკვლევ-იძიებს ყველაფერს, რაც კი ბოლხოვიტინოვის შესახებ ჩვენში დაწერილა, კერძოდ, რუსი სწავლულის დამოკიდებულებაზე ვეფხისტყაოსნის საკითხებისადმი. მკვლევარი საგანგებოდ და ვრცლად იხილავს ძველსა და ახალ ცნობებს ვეფხისტყაოსნის დევნის თაობაზე. ამავე დროს მას მხედველობიდან გამორჩენია კ. ცინცაძის ზემოთ დამოწმებული რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა და სხვა საკითხთა შორის ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ხელყოფის საკითხსაც ეხება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ცინცაძე თავის მხრივ ადასტურებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების ცდის სისწორეს. კ. ცინცაძე თვლის, რომ სათანადო ინფორმაციას ბოლხოვიტინოვს მიაწვდიდა მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, რომელსაც რუსთველის პოემის „დაწვა, მტკვარში გადაყრის ამბავი თვით ექნებოდა

---

15 გ. შ ა რ ა ძ ე, ეგეგნი ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთველოლოგი. თბ., 1978, 102—104 გვ.

გაგონილ-ნანახი, იგი მოწაფე იყო ანტონ კათალიკოსისაო" (გვ. 265). ვიმეორებთ, ჩვენ გვიკვირს, როგორ გამორჩა მკვლევარს მისთვის ეგოდენ საჭირო წყარო.

ე. ბოლხოვიტინოვის ცნობას ნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ „პირველად ყურადღება მიაქცია ალ. ბარამიძემო". — წერს გ. შარაძე თავის მონოგრაფიაში (გვ. 77) და სქოლიოში მიუთითებს ჩვენს სხვადასხვა ნარკვევზე, სადაც კი საძიებელ საკითხზეა საუბარი. პირველად დასახელებულია „ერთი ფაქტიური ცნობა ვეფხისტყაოსნის დევნის ისტორიიდან", რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა („ლიტერატურული საქართველო", № 10) და გადაბეჭდილია ჩვენი „ნარკვევების" პირველი წიგნის 1945 წლის გამოცემაში. ცნობა და მითითება, რა თქმა უნდა, ზუსტია. ოღონდ იმავე 1936 წლით არის დათარიღებული კ. ცინცაძის გამოკვლევაც. მაშასადამე, ჩვენ და კ. ცინცაძეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთდროულად შეგვიწვდია ბოლხოვიტინოვის წიგნი, ერთსა და იმავე საკითხზე გაგვიმახვილებია ყურადღება და არსებითად ერთი და იგივე დასკვნა მიგვიღია (ეს გარემოება, რასაკვირველია, მეტყველებს დასკვნის თავისთავად ობიექტურ ხასიათზე). თქმა არ უნდა, არც ჩვენ და არც გ. შარაძეს არ შეგვეძლო გვცოდნოდა კ. ცინცაძის გამოკვლევის არსებობა 1966 წლამდე, უკეთ, ამ წლის მიწურულამდე, როდესაც იგი დაიბეჭდა ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულში. ჩვენ გამოქვეყნებისთანავე მივაქციეთ ყურადღება კ. ცინცაძის ნარკვევს და ის განვიხილეთ მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე 1967 წლის 29 აპრილს (მოხსენების ტექსტი დაბეჭდილია ჩვენი „ნარკვევების" V წიგნში. 1971 წ.). გ. შარაძის სპეციალური მონოგრაფია ბოლხოვიტინოვზე გამოვიდა 1978 წელს (კ. ცინცაძის წერილის პუბლიკაციიდან 12 წლის შემდეგ) და, ცხადია, მას მოეთხოვებოდა ანგარიში გაეწია კ. ცინცაძის ნაშრომისათვის. მაგრამ, ჩანს, როგორღაც იგი გამორჩა. ამით არის გამოწვეული, რომ გ. შარაძე გვეპაექრება ჩვენ და ბატონ აკაკი შანიძეს (ა. შანიძეს დამოწმებული აქვს ჩვენი წერილი).

ქართული მწერლობის საკითხებს ეძღვნება ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის VI და VII კარები: VI О грузинских летописях и других в народе обращающихся книгах (79—83); VII. О грузинском стихотворстве и музыке (83—96).

ე. ბოლხოვიტინოვი ამბობს, რომ ბევრი ძველი ძეგლის დაღუპვის მიუხედავად, ქართველებმა მაინც შემოინახეს „ზოგიერთი ვადანაშთი" თავიანთი მწერლობისა. ასახელებს საისტორიო თხზულებებს, ანტონის „წყობილსიტყვაობას" და „მარტირიკას", სხვადასხვა ნათარგმნ სასუ-

ლიერო და საისტორიო ნაწარმოებებს, „თელემაკს“ და ეზოპეს იგავ-არაკებს. საერო მწერლობიდან დამოწმებულია (ნათარგმნი სპარსულიდანო) ალექსანდრე დიდის ისტორია, იოსებ — ზილიხანიანი, ყარამანიანი, ომანიანი, ნარიმანიანი, ლეილ-მაჯნუნიანი და „სხვანიო“. დასახელებულია ავრეთვე სიბრძნე სიცრუისა (Сибрдзне-сицруе, т. е. мудрогание), ქილილა და დამანა, რომანები ბარამიანი, როსტომიანი, „განსაკუთრებით“ ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს შეთხზული „ორი სახელოვანი რომანი“ მოსე ხონელის ამირან-დარეჯანიანი და სარგის თმოგველის ვისრამიანი. ქართველები დიდად აფასებენ ორ უკანასკნელს „შეუდარებელი სილამაზის სტილისა და მრავალი სურათის მოძ-ხიბლაობისათვისო“.

VII კარში ნათქვამია, რომ ქართველებს ჰყავდათ თავისი გმირები და მათ აქვთ საგმირო პოემები. დასახელებულია როსტომიანი და „სხვანი“. „განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი უფრო ძველი ქართული პოემა — ვეფხისტყაოსანი (т. е. Барсова кожа) და თამარიანი (т. е.. Хвала Тамаре)». ორივე შეთხზულიაო თამარის „შთაგონებით“ მისი მახლობელი დიდებულების რუსთველისა და ჩახრუხაძის მიერ. „ორივე, — განაგრძობს ბოლხოვიტინოვი, — ქართველებს დღემდე შემონახული აქვთ სრულად“, თუმცა საქართველომ განიცადა საუკუნეების მანძილზე მრავალგზისი შემოსევები, აოხრებანი, დაპყრობანი, რის შედეგადაც განადგურდაო მათი ბევრი ლიტერატურული ძეგლი (გვ. 86). ვეფხისტყაოსნის შინაარსი „თითქმის რომანიულიაო“, ამბობს რუსი მეცნიერი. დასასრულ ბოლხოვიტინოვი წერს, „Поэма сия (ე. ი. ვეფხისტყაოსანი — ა. ბ.) при царе Вахтанге V была в Тифлисе напечатана, однакож вскоре изтреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной Экземпляры» (იქვე).

ე. ბოლხოვიტინოვის ამ ცნობამ ჩვენ გვაფიქრებინა, რომ ვახტანგის გამოცემული ვეფხისტყაოსანი ძალით მოუსპიათ, გაუნადგურებიათ (ასე ფიქრობდა კათალიკოსი კ. ცინცაძეც). ჩვენ იმასაც ვამბობთ, რომ ბოლხოვიტინოვის მოწმობა ამაგრებს — მეთქი პლატონ იოსელიანის მონათხრობს ვეფხისტყაოსნის დევნის თაობაზე.

გ. შარაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბოლხოვიტინოვის ტექსტი გულისხმობსო ვეფხისტყაოსნის განადგურებას მალე („ვსკორე“) დაბეჭდვის შემდეგ ოღონდ, რასაკვირველია, „ვსკორე“ არ ნიშნავს პოემის მოსპობას „გამოცემისთანავე“, როგორც ამბობს გ. შარაძე (ევგ. ბოლხოვიტინოვი..., გვ. 91). თუმცა მალეს ამგვარ გაგებას იქვე ურთავს საგანგებო შენიშვნას: ე. ი. 1712 წლის მახლობელ

ხანებშიო"[16].მკვლევრები კი პოემის განადგურებას ვარაუდობენ. ანტონ კათალიკოსის დროს (ანტონი კათალიკოსად პირველად ეკურთხა 1744 წელს, 1755 წელს ის გადააყენეს; ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ტახტზე ასელის, ე. ი. 1762 წლის, შემდეგ ერეკლემ კვლავ დაუბრუნა ანტონს კათალიკოსის თანამდებობა), ამიტომაც მალე არ ეგულება ამ დროსო. სავსებით საბუთიანი შენიშვნაა. საყურადღებო და ანგარიშგასაწევია გ. შარაძის მეორე შენიშვნაც. ბოლხოვიტინოვის წიგნის მესამე კარში (О богослужении и церковных книгах грузинских и о их церковной типографии, გვ. 60—64) მოთხრობილია, რომ საქართველოში ღვთისმსახურება სრულდება მშობლიურ ენაზე, რომ თურქების, სპარსელებისა და მთიელი ტომების ხშირმა გამანადგურებელმა თავდასხმებმა კინაღამ მთლიანად მოსპო ქართული საღვთო წერილი, ხელნაწერთა გადამნუსხავებმა კი დაამახინჯეს ტექსტები. ვახტანგ VI-მ თბილისში გახსნა სტამბა და მოასწრო დაებეჭდა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი, რომ „«за сим вскоре напали на Грузию персиане и при опустошении все сие заведение его истребили. Едва несколько печатных экземпляров спасено от погибели" (გვ. 61). ეს ციტატა, წერს გ. შარაძე, „გასაოცარი მსგავსებით„ თითქოს მისი ბუნებრივი გაგრძელებააო, გვაგონებს წიგნის 86-ე გვერდზე ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობის შესახებ მოწოდებულ ცნობას" (გვ. 96). დამოწმებულ ციტატებს შორის მსგავსება უდავოა, მაგრამ ვფიქრობთ, ეს მსგავსება არ გამოდგება მკვლევრის დასკვნისათვის, თითქოს ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდი წიგნებიც იმსხვერპლა „გარეშე აგრესორულმა ძალებმა". „ყველა ნიშნით, იუწყება გ. აშარაძე, აქ იგულისხმება შინაური აშლილობის ხელისშემწყობი გარეშე აგრესორული ძალების მიერ 1723 წელს თბილისზე თავდასხმა, დედაქალაქის აოხრება და ვახტანგისეული სტამბის ნანგრევებად ქცევა, მისი მიწასთან გასწორება და, ბუნებრივია, ვახტანგისეული ნაბეჭდი წიგნების განადგურება" (გვ. 98, კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია, — ა. ბ.). მკვლევარი განაგრძობს: „ე. ბოლხოვიტინოვი გასაოცარი სიზუსტით

---

16 ბოლხოვიტინოვის საანალიზო ტექსტს პირველად გამოქვეყნებულ ნარკვევში რამდენჯერმე სრულად ვიმოწმებთ" (1936, 1945, 1952 წწ.), ხოლო ბოლოს კი 1966, 1975 წწ.) შეკუმშულად, მრავალწერტილის გამოყენებით. გ. შარაძე შეგვნიშნავს, თითქოს ჩვენ „უკანასკნელ ხანს", ალბათ განზრახ შევკუმშეთ ტექსტი, რომ სიტყვა „ვსკორე" აგვეშორებინა (ვითომ მკითხველის შეცდომაში შესაყვანად?). უამისოდ მეცნიერული ღირებულება ეკარგება ტექსტსო (გვ. 89). გ. შარაძის შენიშვნა უადგილო და უსაფუძვლოა. ფაქტის მიფუჩეჩება (თუ დამალვა) ჩვენ არაფერს გვიკადრებია. უბრალოდ, საჭიროდ არ ჩავთვალეთ ხუთჯერ მთლიანად გაგვემეორებინა ერთი და იგივე ტექსტობრივი მასალა. ბოლოდროინდელ ნარკვევში ყურადღების ცენტრი სხვა საკითხზე გვქონდა გადატანილი.

ჩამოთვლის ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიური და საეკლესიო შინაარსის წიგნებს: სახარება (1709 წ.) — დავითნი (1709, 1711, 1712, 1716 წწ.), სამოციქულო (1709 წ.), კონდაკი (1710 წ.), ლოცვანი (1710, 1717 წწ.), კურთხევანი (1713 წ.) — ჟამნი (1710, 1717, 1722 წწ.), რომელთა ცალები განადგურებულა 1723 წლის ისტორიული კატასტროფის დროს. ე. ბოლხოვიტინოვის მოწმობით, ასეთივე ბედი ხვეოდა ვახტანგის სტამბაში 1712 წელს დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს" (გ. შარაძე, გვ. 101—102).

ვახტანგისეული სტამბის საეკლესიო წიგნების განადგურებას ე. ბოლხოვიტინოვი აქ მიაწერს სპარსელებს (გვ. 61), წიგნის წინა (60) გვერდზე საეკლესიო წიგნების მოსპობის მიზეზად ის საერთოდ თვლის მუსლიმანების (თურქების, სპარსელების, მთიელების, ე. ი. ლეკების) აულაგმავ, ამაოხრებელ თავდასხმებს. ბოლხოვიტინოვის მონათხრობს ბუნებრივად აზის გარკვეული კონფესიური სულისკვეთების დაღი. თბილისის აოხრება (და, ალბათ, ვახტანგის სტამბის დანგრევა) არსებითად გამოიწვია შინაგანი უკეთური ძალების მოქმედებამ (ქართლ-კახეთის საბედისწერო კონფლიქტმა). მაგრამ, ასე თუ ისე, საფიქრებელია, მართლაც განადგურდა ვახტანგის სტამბ·ში შემორჩენილი ხაბეჭდა პროდუქცია, მით უფრო ბევრი ჯერ კიდევ ხელუხლებელი გვიან ნაბეჭდი (მაგალითად, ჟამნის ბოლო გამოცემა ეკუთვნის 1722 წელს) და გაუსაღებელი წიგნები.

ვერც იმას დავივიწყებთ, რომ სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურას მაინცდამაინც ფართო მკითხველი არც ეყოლებოდა (და, მაშასადამე, სტამბაში იქნებოდა დაგროვებული). სტამბის „საწყობში" დახვავებული წიგნების განადგურება არ იქნებოდა საძნელო საქმე. ვითომ „ჩაწოლილი" წიგნების კატეგორიას ეკუთვნოდა ვეფხისტყაოსანი? მოვიგონოთ ცნობილი მეფისა და პოეტის თეიმურაზ პირველის (1589—1663) აღიარება: „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა, „თუ საღვთო რამე მესიბრძნა, შიგა არვინ ჩაიხედევდა". ჩემს „ნალაობევ" პოემებს კი დიდი მოწონება და ბევრი მკითხველი ჰყავდაო. თქმულს ადასტურებს არჩილიც (1647—1713), „წახდა ბევრი საღვთო წიგნი უყდოთა და უბუდობით, საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით ან ნახლობით". საშაირო წიგნებად, საეკვო არაა, უწინარეს ყოვლისა იგულისხმება ვეფხისტყაოსანი. არჩილი თვითონ რუსთველს ალაპარაკებს (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა): „საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს, ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ ვისცა გული უწუხს". ნათქვამი შეეხება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს. ვახტანგი თავმომწონედ აცხადებდა მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაში· „ამ ბეჭდვამ... გაცუდნა ყოვლნი მჩმახელნიო". ნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი ახალი

ხილი იყო და მას დიდი ფასი მისცემია, ნაბეჭდს თითქოს ხელნაწერ-საც ამჯობინებდნენ. ასეთი საზოგადოებრივი განწყობილების ვითარებაში 1712 წელს დაბეჭდილ სანუკვარ წიგნებს 11 წლის მანძილზე ვინ გააჩერებდა სტამბაში უმოძრაოდ „აგრესორების“ გასაჩანაგებლად? გ. შარაძე გვარწმუნებს (ბოლხოვიტინოვის დამოწმებით) თითქოს „ნანგრევებად ქცეულ“ ვახტანგის სტამბაში დაიღუპა ვახტანგისვე ნაპირნახულევი ვეფხისტყაოსანი. ეს დაუჯერებელია. ე. ბოლხოვიტინოვის ციტირებული სიტყვები გულისხმობს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის შეგნებული, გააზრებული, ორგანიზებული მოსპობა-განადგურების ფაქტს.

ბოლხოვიტინოვის ცნობა მართლაც ამაგრებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების თაობაზე არსებული დაჟინებითი გადმოცემის უტყუარობას.

ვეფხისტყაოსნის ხელყოფის შესახებ ჩვენ გვაქვს XIX საუკუნის ორი ცნობილი და ავტორიტეტული მეცნიერი ისტორიკოსის დოკუმენტური მოწმობა. ესენია პლატონ იოსელიანი (1809—1875) და თედო ჟორდანია (1854—1916). ამათი მოწმობის გაბათილების ცდას გ. შარაძემ მიუძღვნა თავისი მეორე მონოგრაფიული ნარკვევი — „პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი“ (თბილისი, „მეცნიერება“, 1980, 216 გვ.).

1852 წელს პ. იოსელიანმა გამოსცა ტიმოთე გაბაშვილის „მოხილჯა“. როგორც ვიცით, ტიმოთე უდიერად იხსენიებს შოთა რუსთაველს („მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ამისა ჰყენს უმეცართა სალმთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“[17]. ამას თავის მხრივ პ. იოსელიანმა დაურთო: „ამა ჰაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონი პირველი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი ჰეფის ვახტანგის დროსა, 1710 (sic!) წელსა, ვეფხისტყაოსანნი დაჰსწვნა და შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამის ქართველთა“. შესანიშნავ შრომაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, რომელიც ავტორს გაუსრულებია 1867 წელს, გიორგის ნაამბობის თანახმად პ. იოსელიანი იმეორებს თავის წინანდელ ცნობას და წერს, ანტონ კათალიკოსმაო „დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი (ვეფხისტყაოსანი, — ა. ბ.) ვახტანგ მეფისვე დროსა, შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამველელი ქრისტიანთა გონებისა და გრძნობისა“. 1870 წელს „კავკაზში“ დაიბეჭდა პ. იოსელიანის საკმაოდ ვრცელი წერილი შოთა რუსთველზე. ამ წერილის მიზანია განხილვა-შეფასება რუსთველის ცხოვრება-წე-

[17] ციტირებულია ე. მეტრეველის გამოცემის მიხედვით: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, თბ., 1956, გვ. 80. შნშ.

ხოქმედებისა (საგანგებოდ რუსულის მკითხველი საზოგადოებისათვის). მიუხედავად თავისი გარკვეული დანიშნულებისა, პ. იოსელიანს მაინც საჭიროდ დაუნახავს აღენიშნა, რომ ქრისტიანული ზნეობის დაცემამ და სპარსული პოეზიით გატაცებამ ანტონ კათალიკოსი აიძულა, აეკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვა. მკითხველი ეძებდა მასში (ვეფხისტყაოსანში. — ა. ბ.). თაფლს, პოულობდა კი საწამლავსო". პ. იოსელიანის სიტყვით, ბევრი გაუმართლებლად თვლიდა კათალიკოსის საქციელსო. პ. იოსელიანი ხაზგასმით ამბობს, კათალიკოსის წადილი იყოო, რომ დაცემული ზნეობის აღსადგენად საზოგადოებას დიდი პოეტის გასართობი შაირები კი არ უნდა ეკითხა, არამედ ქრისტეს სარწმუნოების შემცველი წიგნებისათვის მიემართაო. თუმცაღაო, ურთავს პ. იოსელიანი, ანტონ კათალიკოსი თვითონ იყო პოეტი და კარგად ესმოდა მისი მნიშვნელობა. ანტონს არ შეეძლო არ ყვარებოდა რუსთველი მისი მაღალი პოეზიისთვისო.

გ. შარაძე თავისებურად განმარტავს პლატონისეულ ამ წერილს: „როგორც ვხედავთ, პ. იოსელიანი აქ პრინციპულად სულ სხვა მოსაზრებას გვთავაზობს: ანტონ I კათალიკოსს ვეფხისტყაოსანი არც დაუწვავს და არც მტკვარში ჩაუყრია, არამედ, როგორც კათალიკოსმა, ქვეყნისა და სარწმუნოების ინტერესებისათვის აკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვა. ... ამით პლ. იოსელიანი თვითონ აცილებს ყოველგვარ ბრალდებას კათალიკოსს" (გვ. 157—158. კურსივი ჩვენია. — ა. ბ.).

დასკვნითი სახით გ. შარაძე უფრო ბეჯითი კილოთი იმეორებს თავის მოსაზრებას: „მაშასადამე, როგორც დავრწმუნდით (!), პლ. იოსელიანს საბოლოოდ (გაზეთი „კავკაზ", 1870) თვითონ შეუცვლია თავისი კატეგორიული ცნობა ანტონ I კათალიკოსის მიერ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ფიზიკური განადგურებისა და მოსპობის თაობაზე" (გვ. 160, კურსივი გ. შარაძისაა. — ა. ბ.).

ამრიგად, გ. შარაძის განცხადებით, „როგორც დავრწმუნდით", პ. იოსელიანს „საბოლოოდ" თვითონ შეუცვლია აზრი ანტონ კათალიკოსის შესახებ, თითქოს იოსელიანის ახალი შეხედულებით, ანტონს „ვეფხისტყაოსანი არც დაუწვავს და არც მტკვარში ჩაუგდია". მართალი მოგახსენოთ, ჩვენ სრულებით ვერ დავრწმუნდით (მკვლევარი ვერ გვარწმუნებს) მისი დასკვნის სისწორეში. კი, პლ. იოსელიანი მესამედ არ იმეორებს პირველ ორ შემთხვევაში მოთხრობილ ამბავს ვეფხისტყაოსნის დაწვის შესახებ, მაგრამ საიდან ჩანს, რომ მან უარყო უწინდელი ცნობა?! განა პ. იოსელიანი მოვალე იყო მესამედ გაემეორებინა ორგზის უკვე თქმული? თუ მან ძველი შეხედულება უარყო (და ისიც საბოლოოდ), ამას ისევე დაუფარავად და პირდაპირ იტყოდა, როგორც დაუფარავად და პირდაპირ მოგვაწოდა სა-

ამისო ცნობა. საქმე ისაა, რომ წინანდელ შემთხვევებში სიტუაცია მოითხოვდა ისტორიკოსს სიტყვა ჩამოეგდო კათალიკოსის მოქმედების გარკვეულ მხარეზე.

პლატონ იოსელიანმა გამოსცა ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვა". ტიმოთეს მხრივ რუსთველის უდიერ დახასიათებას ბუნებრივად დაურთო კომენტარი — „ამა ჰაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონი პირველი..." პლატონისავე გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში ასეთი ბუნებრივად მოთხრობილია კათალიკოსის სიკვდილზე გიორგის ნააზრევის მიხედვით. სულ სხვაა „კავკაზის" წერილი. აქ პ. იოსელიანი მიზნად ისახავდა გაეშუქებინა შოთა რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი საკითხები, რაც მან თავის დროისათვის მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულა (ამ წერილს დღემდე არ დაუკარგავს შემეცნებითი მნიშვნელობა). თავისი მიზანდასახულობის შესაბამისად პ. იოსელიანმა საგანგებო ყურადღება მიაქცია XVII—XVIII საუკუნეების ქართველი საზოგადოების ზნეობრივ დაკნინებას და ამ საკითხთან ანტონ კათალიკოსის დამოკიდებულებას. პლატონი კითხვას სვამს. თუ რამ გამოიწვია განათლებული კათალიკოსის საყვედური (укор) რუსთველის ჩიმართ „ამაოდ დაშვრაო". კითხვას თვითონვე უპასუხებს. ზნეობრივი ღაცემულობის სნეულებათა სამკურნალოდ კათალიკოსი იძულებული გახდა „აეკრძალა რუსთველის კითხვა", რადგანაც ეს ხელს უწყობდა სპარსული პოეზიით (მავნებლურ) გატაცებასო (ქართველი საზოგადოების ზნეობრივ-სარწმუნეობრივი დაცემის მიზეზად პ. იოსელიანი თვლიდა სპარსულ-ყიზილბაშური ყოფის დამკვიდრებას ჩვენს სინამდვილეში). ქართველი „ხალხი ეძებდა მასში (ე. ი. ვეფხისტყაოსანში. — ა. ბ.) თაფლს, პოულობდა კი საწამლავსო", ასე გადმოსცემს პ. იოსელიანი ამ საკითხში ანტონის თვალსაზრისს. საგულისხმო ისაა, რომ ამგვარად აფასებდა ანტონ კათალიკოსი პ. იოსელიანის მონათხრობის მიხედვით ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას წინათაც: ანტონმა „აღუკრძალა კითხვა წიგნისა აბის (ე. ი. ვეფხისტყაოსნისა. — ა. ბ.) „ქართველთა" (მიმოხილვა); „წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა" (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა). მაშასადამე. ადრეც და ახლაც (1870 წ.). პ. იოსელიანის ცნობით. ანტონ კათალიკოსი ვეფხისტყაოსანს მიიჩნევდა ქართველი მკითხველი საზოგადოების გონებისა და გრძნობის მომწამვლელ, მავნებელ წიგნად.

პლატონ იოსელიანს სრულიადაც არ შეუცვლია თავისი აზრი ვეფხისტყაოსნის ანტონ კათალიკოსისეული გაგების თაობაზე. პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ანტონ კათალიკოსი თვითონ იყო პოეტი და იცოდა მისი მნიშვნელობა. მას არ შეეძლო არ ყვარებოდა რუსთველი მისი პოეზიისათვის", მაგრამ ქართველი საზოგადოების

ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ინტერესებისათვის ზრუნვა აიძულებდა აეკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვა, როგორც ამ საზოგადოების გონებისა და გრძნობის მომწამვლელი მავნებლური თხზულება. ჩვენ არ ვიცით, რა ვუწოდოთ ამას, თუ არა პოემის დევნა. დიდად განსწავლული და განათლებული, პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული და გრძნობიერი კათალიკოსი თავისი საქმიანობით აქეზებდა, ასე ვთქვათ (თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ), მაშინდელ ულტრაკლერიკალ ექსტრემისტ ფანატიკოსებს ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ საბრძოლველად. ანტონ კათალიკოსის დიდი აპოლოგეტი მკვლევარი აპოლონ როგავა ფიქრობს — „შესაძლებელია“ და „მოსალოდნელიც“, რომ მართლა დაეწვათ ან ცდილიყვნენ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობას რეაქციული და ფანატიკური ეკლესიური საზოგადოების უკიდურესი წარმომადგენლები, რომლებმაც თვითონ ანტონ კათალიკოსიც არ დაინდვეს და დაწვეს „აპოლოგია“[18]. ა. როგავას აზრით, ვეფხისტყაოსნის მკრეხელური ხელყოფა შეეძლოთ ჩაედინათ მისდამი „შურით და მტრობით“ განწყობილ ანტონის მტრებს, რომ შემდეგ კათალიკოსისათვის გადაბრალებინათ თავიანთი ბარბაროსული საქციელი[19]. ა. როგავა წერს: „არა ანტონ პირველმა, არამედ, შესაძლებელია, ვინმე სხვებმა დაწვეს XVIII საუკუნეში ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ეგზემპლარები და გვიან, უთუოდ ანტონისა და ერეკლეს სიკვდილის შემდეგ მათმა მტერმა ანტონ კათალიკოსს მიაწერა ასეთი დანაშაული“[20]. მკვლევარი ბოდიშს ხდის ანტონ კათალიკოსს და (განსაკუთრებით) ტიმოთე გაბაშვილს, ისინი შეზღუდული იყვნენ თავიანთი მოქმედებით, ანგარიშს უწევდნენ საზოგადოებრივ აზრს და ულტრაკლერიკალური წრეების განწყობილებასო. ა. როგავა იუწყება „XVIII საუკუნეში ეს რეაქციული კლერიკალური ფრთა საქართველოში იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თვით ანტონ პირველის ერთ-ერთ შეგობარს, მწერალ ტიმოთე გაბაშვილს არა თავისი საკუთარი რწმენით, არამედ მხოლოდ ამ რეაქციული ფრთის იძულებითი ზეგავლენითა და რიდით (სქოლიოში ფრჩხილი გახსნილია — „ზაქარია გაბაშვილის ანგარიშსწორების შიშით“ — ა. ბ.)ჩაუწერია თავის მოგზაურობის აღწერაში შემდეგიო“ და მოყვანილია ტიმოთეს ცნობილი საუგო შეფასება რუსთველისა(გვ. 6).

ა. როგავას ვარაუდით, თვითონ ანტონი ფიქრობდა, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა „საერთოდ არაა დასაწუნიო“, მაგრამ „აშკარა, პირდაპირ ქებას ამ გამოცემისას მისი (—ვახტანგის,

---

18 ა. როგავა, ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო მხატვრული მწერლობისადმი. თბ., 1981, გვ. 34.

19 იქვე, გვ. 28—29, 33—36.

20 იქვე, გვ. 37.

ა. ბ.) დასახელებით ანტონი, რა თქმა უნდა, მოერიდა ულტრაკლერიკალური წრისაგან მოსალოდნელი ბრალდების გამო" (გვ. 18.). სხვაგან როგავა წერს, რომ „სპეკალში" ანტონი „სიამოვნებით" იგონებს ჰომეროსის „ილიადის" გმირებსო და იგი ჰომეროსის თაყვანისმცემელი ყოფილაო", ხოლო თანამედროვე ულტრაკლერიკალური წრისაგან მოსალოდნელი ბრალდების რიდით, თავის ნაწარმოებში ანტონმა მშობლიური ქვეყნის შვილის — ქრისტიანი შოთას გმირები ვერ გამოიყვანაო" (გვ. 22). ჩვენ უფრო დიდი წარმოდგენის ვართ ანტონ კათალიკოსზე და ტიმოთე გაბაშვილზე და არა გვგონია, რომ ძათ ეისმე „შურისძიების შიშით ან„ ბრალდების რიდით" თავიანთი რწმენის საწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოეთქვათ ამა თუ იმ საკირბოროტო პრინციპულ საკითხზე.

ელენე მეტრეველის მოსაზრებითაც, რუსთველის განმაქრქებელი დახასიათება ტიმოთეს იმიტომ ჩაურთავს თავის წიგნში, რომ ამით „დაეყუჩებინა თავისი „დროის უფალნი", ზაქარია გაბაშვილის რეაქციულ-კლერიკალური ჯგუფი, ამ დროისათვის აღზევებული და ქვეყნის სასულიერო ცხოვრების წარმმართველი" (მიმოხილვა, თბ., 1956, გვ. 062).

ანტონ კათალიკოსის დიდი თაყვანისმცემელი ზვიად გამსახურდიაც არსებითად იმეორებს ა. როგავას მოსაზრებას და თავის მხრივ შენიშნავს, რომ ანტონის სიტყვები შოთაზე „ამაოდ დაშვრა" იყო ზაქარია გაბაშვილის ჯგუფისადმი გაღებული „ხარკი", ასეთივე „ხარკი" იყო „ტიშოთე გაბაშვილისეული დახასიათება რუსთველისა და მისი პოემისა". თქმულს ზ. გამსახურდია საგანგებოდ ურთავს: „სულიერი განძარტოების ჟამს როგორც ანტონი, ისე ტიმოთე უთუოდ ქენჯნიდნენ თავს ამგვარი უკანდახევის გამო" (რუსთველი და ანტონ I, ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნე", 1984, № 1, გვ. 79; კურსივი ჩემია. — ა. ბ.). ზოგი მკვლევრის დაკვირვებით, მაშასადამე, ისეთი ძლიერი ყოფილა კლერიკალური წრეების ბრძოლა ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის წინააღმდეგ, რომ თვითონ კათალიკოსი ანტონი და მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი უკან იხევდნენ, ერთგვარად თავიანთ რწმენას ღალატობდნენ და სასინანულო (სინდისის საქენჯნელ) საქმეს ჩადიოდნენ. აღნიშნულის შემდეგ განა შეიძლება სადავო იყოს, რომ XVIII საუკუნეში ნამდვილი ბრძოლა (და არა უწყინარი პოლემიკა) იყო გაჩაღებული რუსთველის გარშემო!

ამას წინათ გ. შარაძემ მოიპოვა ნაბეჭდი ზატიკის ერთი ცალი, რომელსაც მინაწერის სახით შემოუნახავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ხელით შესრულებული ფრაგმენტები ვეფხისტყაოსნისა (სულ 8 სტროფი. შვიდი შაირი პოემის ძირითადი ტექსტია, ერთიც პოემის გაგრძელებიდან). თავის მხრივ, ვიღაც კლერიკალ ავტორს ამ

ტექსტისათვის მიუწერია: „აქ, ვისაც ეს დაუწერია, ზემო ლექსები, დაუშავებია, რომ აქ დაუწერია სამღთო წიგნში“ (გ. შარაძე, საქართ. ველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, გაზ. „თბილისი“, 28, 6, 84).

ერთი რამ სავსებით ცხადია, XVIII საუკუნეში ძლიერ გამძაფრებულა იდეოლოგიური ბრძოლა, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის გარშემო. ამ ბრძოლაში ჩაბმულა არაერთი წარჩინებული საეკლესიო მოღვაწე და მწიგნობარი. ღასახელებულთ გარდა, თვალსაჩინოა მიტროპოლიტ რომანოზის მოღვაწეობა (რომანოზი დაბადებულა 1685 წლის ახლო ხანებში, გარდაცვლილა დავით გარეჯში დაახლოებით XVIII ს. შუა წლებში). რომანოზი ყოფილა გიორგის არაგვის ერისთავის შვილი და ძმა ბაქარ ბატონიშვილის მეუღლის ანასი[21]. კ. კეკელიძე იმოწმებდა რომანოზ მიტროპოლიტის მაშინ ცნობილ ერთადერთ თხზულებას „წინწილი ღაღადებისა“, რომელიც „მიმართულია თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგო“. ენრიკო გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ გამოაელინეს რომანოზის სხვა თხზულებანიც ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის სფეროდან. ჩვენი საკითხისათვის მაინც მთავარია უკვე ღასახელებული „წინწილი ღაღადებისა“. ავტორისავე მოწმობით მისი შეთხზვა დაუწყია მოსკოვში 1745 წლის სექტემბერში (ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტომი I_2, თბ., 1976, გვ. 206—211). „წინწილი ღაღადებისა“ შედგენილია ძველი და ახალი აღთქმის საგანგებოდ გამოკრებილი ტექსტებისაგან, რომელთაც „სულთა განმანათლებელი“ დოგმატიკური და ზნეობრივ-მორალური ხასიათი აქვთ. რომანოზ მიტროპოლიტი რამდენიმეჯერ იმეორებს, რომ ტექსტები „გაშოკრიბა და შეაერთა“. „შეაწყო“, ერთი მთლიანი ნაწარმოების სახე მისცა და უწოდა „წინწილი ღაღადებისა“. რომანოზი თვლის, რომ „წინწილი“ მისი თხზულებაა და გადამწერებს ანდერძად უდებს: „ვიცი ეჭვრები, ვინცა აღწეროთ ესე წიგნი, ჩემ მიერ თქმულად და ნაშრომად აღსწერდეთ“. „ჩემ მიერ ცოდვილისა და უღირსისა მონაზონისა, მდაბლისა რომანოზისა მიერ თქმული არისო“. მთელი წიგნი მიმართულია საერო აზროვნების და საერო მწერლობის წინააღმდეგ. იგი მოფიქრებულია, „როგორც ქუხილნი და ელვანი და ტეხანი მეხთანი“ იმათ მიმართ, ვინც თავისითა მუცლითა მეზღაპრობენ და გარეშეთა წიგნებითა იმოწმებენ და ეძიებენ. და გამოეძიებენ ცუდთა და ამაოთა საძიებელთა“.

---

[21] ენრიკო გაბიძაშვილი, რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება (მრავალთავი, 2. თბ., 1973). გვ. 75—92); მიხეილ ქავთარია. XVII—XVIII საუკუნების ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, რომანოზ ერისთავის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა (მრავალთავი, 4, თბ., 1975, გვ. 206—216); კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 19 0), გვ. 349).

ანტონის „წყობილსიტყვაობაში“ ვახტანგ მეექვსეზე ნათქვამია:

ვახტანგ შაირნი შეაწყუნა შუენიერად,
სიბრძნის-მოყუარე დაემოწაფა სიბრძნეს,
ძნელნი გამოჰსთქუნა ალფავიტათა ზედა,
სხუანიცა თჳისნი აღლესნა შაირობად,
საქებ არს მისნი შაირ — სიტყუაობანი.

ა. როგავა ამბობს, თითქოს „ძნელნი გამოჰსთქუნა ალფავიტათა ზედა“ გულისხმობს ვახტანგის კომენტარს (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ „თარგმანს“) და ვითომაც „დაკვირვებულ მკითხველს“ აგრძნობინებს „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი საერთოდ არაა დასაწუნი“, თუმცა ამ გამოცემის პირდაპირ ქებას მოერიდაო. მართალი გითხრათ, ჩემ თავსაც ვთვლი დაკვირვებულ მკითხველად, მაგრამ უწყებული მაინც ვერ ვიგრძენი, ვერ ვგრძენი იმიტომ, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ გამოცემაზე გაკვრითაც კი არ არის კრინტი დაძრული. ვახტანგს „ალფავიტაზე“, ე. ი. ანბანზე, არ გაუწყვია თავისი „თარგმანის“ ტექსტი. „ალფავიტაზე“ გამოთქმული შეეხება ვახტანგის სხვადასხვა რიგის ანბანთქებას. დამოწმებული სტროფით ანტონი აქებს საერთოდ ვახტანგის პოეტურ შემოქმედებას (შაირსიტყვაობას), ისე, როგორც შესაფერის ქებითს დახასიათებას უძღვნის ყველა ღირსეულ ქართველ პოეტს (რუსთველს, თმოგველს, ჩახრუხაძეს, ორივე თეიმურაზს, არჩილს...). საინტერესო ისაა, რომ ანტონ კათალიკოსი უქებს შაირობას კონფესიურად მისთვის მიუღებელ სულხან-საბა და ვახტანგ ორბელიანებს. „საბას არ ვაქებო“, აცხადებს ანტონი, ვინაიდან წმინდა ეკლესიას განუდგა „სამოთხის კარნი. გარნა ჯოჯოხეთის ბჭე, აწერა სულთა წარწყმედად. თვითცა წარჰსწყმდა, „მაგრა შაირნი მისნი საქებელობენ“. სულხან-საბას „შაირსა ვაქებო“, იმეორებს ანტონი და განაგრძობს: „უცხო არს იგი. საქებელ პიიტიკა, რაცა სოფლიოთ გამოჰსთქუა სულხან-საბა“. ვახტანგ ორბელიანის პოეზიას თუმცაღა „ამაოთად“ თვლიდა ანტონი საამქვეყნო-საერო ხასიათის გამო. „მაგრა საბას უკეთეს ჰსთქმიდაო“, „უცხოდ შეაწყუნის, განსაკვირვოდ და... დასატკბობელად მჰსმენელთა გონებისა... რიტორი შუენიერ. მჴევრმეთქვი საკვირველი, ფილოსოფოსი, პიიტიკოსი უცხო“. ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, რომ პოეტური ბუნების პატრონი და თვითონ შემოქმედი პოეტი ანტონ კათალიკოსი, რომელიც ქებითი იამბიკოებით ამკობდა ქართველ პიიტიკოსებს, რასაკვირველია, აღტაცებული იყო რუსთველის „უცხო საკვირველ პიიტიკოს — მესტიხეობით“, მაგრამ არ ფარავდა და ხაზგასმითაც შენიშნავდა „ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესეო“. საყურადღებოა, რომ ასევე საყვედურით იხსენიებდა მის მოძღუარ ვახტანგ ორბელიანსაც, თუმცა მშვენიერი მოშაირე იყო, „ამაოთად ჰშურებოდაო“.

შარაძე სავსებით მართებულად წერს: „ჩვენ ვერსად გავექცეკით პლ. იოსელიანის დაბეჯითებით ცნობებს, რომელიც. ა. შანიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ამ სამარცხვინო ამბის“ ჩამდენად ანტონ პირველ კათალიკოსს მიიჩნევს“[22]. ამავე დროს გ. შარაძე ცდილობს საეჭვო გახადოს და გააბათილოს პ. იოსელიანის მოწმობა იმ მოტივით, რომ პლატონს „დიდ ობიექტურობას ვერ მოვთხოვთო“ (გვ. 155). საქმე ისაა, რომ პლატონის ძირითადი ინფორმატორი უნდა ყოფილიყო მისი პაპა ონისიმე იოსელიანი (1739—1816) მამამისის, გიორგი მეფესთან დაახლოებული ეგნატე იოსელიანის (1767—1843) მეშვეობით. პ. იოსელიანის ოჯახში კი ანტონისადმი „დიდი ხნის სიძულვილი“ სუფევდაო (გვ. 154), რადგანაც თავის დროზე ონისიმე ანტონ კათალიკოსს ძალზე გაუნაწყენებია, მამული ჩამოურთმევია და მღვდელობიდან გადაუყენებიაო (გვ. 155): თავის მხრივ მეფე გიორგიც „ცოტა ტენდენციურად იყო განწყობილი“ ანტონისადმიო. პლატონის გადმოცემით, გიორგი ბატონიშვილი „კათალიკოსსა ანტონის პირველსა არა სწყალობდა სიყრმიდანვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსაო“ (გვ. 153). „მაშასადამე, განაგრძობს გ. შარაძე, მომავალ მეფესა და კათალიკოსს შორის იმთავითვე, მეტი რომ არა ვთქვათ, არაჰარმონიული დამოკიდებულება არსებულა, რაც კათალიკოსის შესახებ მეფის მიერ მოწოდებულ ცნობებს სუბიექტურობისა და ტენდენციურობის ჩრდილს აყენებს“ (გვ. 154). ამრიგად, გ. შარაძის მოსაზრების თანახმად, „პლ. იოსელიანის ცნობის ორივე შესაძლებელი ზეპირი წყარო — გიორგი XII და ონისიმე იოსელიანი ტენდენციური მოჩანს და ვფიქრობთ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ პლ. იოსელიანი თავის უკანასკნელ რუსთველოლოგიურ ნაშრომში... უკვე აღარაფერს ამბობს ანტონ I-ის მიერ მეფის ვახტანგის დაბეჭდილ ვეფხისტყაოსნის დაწვასა და მტკვარში ჩაყრაზე“. აქ იგი ანტონს გენიოსს უწოდებს და ლაპარაკობს ანტონ I-ის მიერ მხოლოდ ვეფხისტყაოსნის კითხვის აკრძალვაზე“ (გვ. 156).

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ბოლო წერილში პლატონს აზრი არ შეუცვლია. მისი ცნობით, ანტონ კათალიკოსს ვეფხისტყაოსნის კითხვა იმიტომ აუკრძალავს, რომ მკითხველის გრძნობასა და გონებას სწამლავდაო. ვერც გიორგის და ვერც პლატონს არაობიექტურობას და ტენდენციურობას ვერ დავწამებთ. პლატონი ანტონ კათალიკოსს გენიოსს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ თურმე მის ოჯახში ანტონისადმი „დიდი ხნის სიძულვილი იყო“ დამკვიდრებული. თუ ეს სწორია (და ჩანს, რომ სწორია), პლატონს დაუძლევია ოჯახური შეხედულება და ანტონის დიდი თაყვანისმცემელი გამხდარა. პლატონი,

---

[22] გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი, გვ. 149.

ვითარცა მრაზროვნე მამულიშვილი, ამაღლებულა ვიწრო საოჯახო თვალსაზრისზე და პირუთვნელად, შეულამაზებლად გადმოუცია ინფორმატორების მიერ მიწოდებული ცნობები. პლატონ იოსელიანს შეეძლო მოსვლოდა ცალკეული შეცდომა, უზუსტობა, უნებლიე ლაფსუსი, არეოდა თარიღი და ა. შ., მაგრამ იგი თავისით ვერ მოიგონებდა, ვერ შეთხზავდა რაიმე ამბავს, მით უფრო მისი სათაყვანებელი პიროვნების ღირსების დასამცირებლად გამიზნულს. საყურადღებო ისაა, რომ პაპამისის გამო გიორგი მეფე თურმე სიყრმითგანვე „არა სწყალობდა“ ანტონ კათალიკოსს, მაგრამ ობიექტურად აფასებდა მას, თვლიდა ბრძენკაცად და ამბობდაო, ბატონი კათალიკოსი „არა [არს] ჩემგან საკიცხველიო“ (გვ. 151). ერთი სიტყვით, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ გიორგი მეფემ, ან სხვა ვინმემ, კერძოდ კი პლატონ იოსელიანმა, შეგნებულად ცილი დასწამა, მოიგონა, შეთხზა და „სამარცხვინო საქციელი მიაწერა ანტონ კათალიკოსს“. ასევე უსაფუძვლოა აპოლონ როგავას ლიტონი განცხადება. თითქოს პლატონ იოსელიანი „ანტონის ძველ მტერთაგან მოგონილ ჭორს აყოლია“[23] და „არასანდო“ ცნობებს გვთავაზობს[24]. კათალიკოსის„ ძველ მტერთა შორის“ ა. როგავაც გულისხმობს ონისიმე იოსელიანს (ეგ. 28, შნშ. 68).

საბოლოოდ რომ დავასკვნათ. ჩვენ ვთვლიდით და ვთვლით, რომ არა გვაქვს საფუძველი უნდობლობა გამოვუცხადოთ პ. იოსელიანის ცნობებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური ხელყოფის თაობაზე. ამასთან ერთად. ჩვენ ადრეც ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ: „ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას საკუთრივ ვინ შეეცადა ვეფხისტყაოსნის მოსპობას, ანტონ კათალიკოსი თუ ვინმე სხვა. მთავარი ისაა. რომ ჩადენილი ყოფილა დიდი მკრეხელობა შესაძლებელია, ანტონი არ იყოს ვეფხისტყაოსნის უშუალოდ ხელისმყოფელი, მაგრამ მისი ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა მაინც უცილობელია“[25].

ივ. ჯავახიშვილი წერს: „შოთა რუსთაველის პოემას ძველ საქართველოში ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შეჰხვედრიან; მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა და მადიდებელთა გვერდით, ძლიერი მოწინააღმდეგენიცა და მტრულად განწყობილნიც ყოფილან. უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის... ანტონ კათალიკოსმა სიტყვიერი და წერილობითი პაექრობა არ აკმარა, არამედ თხზულების სრული მოსპობა და ცეცხლით დაწვა ამ-

---

23 ა. რ ო გ ა ვ ა, ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო მხატვრული მწერლობისადმი, გვ. 28.

24 იქვე, გვ. 12,

25 ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 453—454.

ჯობინა" (შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის გამო (ეს წერილი პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში", გადაბეჭდილია წიგნში — „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები", თბ., 1956, გვ. 6).

კ. კეკელიძეც აღიარებდა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის დევნისა და ხელყოფის ფაქტებს, ოღონდ პოემის განაღგურების მცდელობას ხსნიდა „ეკონომიური ნიადაგით" და ამ მცდელობას მიაწერდა კალიგრაფისტების (გადამწერლების) კორპორაციას (ქართული ლიტერატურის ისტორია, II 1958, გვ. 125—126. შნშ, 3. 4). ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ხელყოფას კათალიკოსი კ. ცინცაძე მიაწერდა ანტონ კათალიკოსს. თავის მხრივ, არც გ. შარაძე უარყოფს ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ „მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის" გაჩაღებას ე. წ. აღორძინების ხანაში. მკვლევარი ამბობს: „უნდა გვახსოვდეს (და ამას ხაზს ვუსვამთ), რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების საკითხი არასგზით არ უნდა გავაიგივეოთ ვეფხისტყაოსნის გარშემო ძველ საქართველოში, კერძოდ, XV—XVIII საუკუნეებში, მიმდინარე მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, უეჭველად დადასტურებული ფაქტია". (პლატონ იოსელიანი — „რუსთველოლოგი, გვ. 161, კურსივი ავტორისაა.

— ა. ბ. სქოლიოში მითითებულია: ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, შმდ.; გ. შარაძე, ევგენი ბოლხოვიტინოვი — პირველი რუსი რუსთველოლოგი. თბ., 1978, გვ. 103).

1884 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში" (ჟურნ. „ივერია", 1884, № 2, 3) ისტორიკოსი თედო ჟორდანია წერდა: „სხვა საერო წიგნებთა შორის მხედრულის შრიფტით დაიბეჭდა მეფე ვახტანგის სტამბაში უკვდავი ქმნილება რუსთაველისა — ვეფხისტყაოსანი. ჩვენამდე მოღწეულის ცნობებით ამ წიგნის დაბეჭდვამ დაჰბადა ცილობა მაშინდელი კათალიკოსის დომენტი მესამის და ვახტანგის შორის და ამ ცილობამ ორად გაჰყო მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რომლის მოთავე იყო ასკეტური შეხედულებისა და წმინდის ცხოვრების მიმდევარი კათალიკოსი, უწოდა ამ წიგნსა ჯოჯოხეთის კარად, განმხრწნელად ზნეობისა. თესლად უსჯულოებისა და თვით რუსთაველს — მჭადაგებლად და მოციქულად ეშმაკისა, რომლისა გამო სდევნიდნენ დაბეჭდილს შოთას წიგნს, ხევდენ და სწვავდენ: მაგრამ მეორე. უმთავრესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნოდა თითონ მეფე, წინააღმდეგ ამისა. ღირსეულად აფასებდა პოეტს და მის ნაწერს და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომლებზედაც ზედაც მოწინააღმდეგენი უთითებდნენ, ალეგორიულად ხსნიდნენ" (ჟურნ. „ივერია", 1884, № 2, გვ. 48, შნშ. კურსივი ჩემია. — ა. ბ.).

მომდევნო 1885 წელს იმავე ჟურნალ „ივერიაში“ თ. ჟორდანია მოკლედ ამასვე იმეორებდა: „ჩვენ გვინახავს ვახტანგ მეფის სტამბისგან გამოსული ვეფხისტყაოსანი დაბეჭდილი 1712 წელსა თვით მეფის ვახტანგის წინასიტყვაობით. ეს წიგნი ეხლა ძნელი საშოვნელია, რადგან კათალიკოსმა დომენტი III და შემდეგ თვით განათლებულმა კათალიკოსმა ანტონიმ (პირველმა) და მრავალთა სამღვდელოთაგანთა დევნა დაუწყეს მას და მრავლად დასწვეს“ (მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში“, „ივერია“, 1885, № 10, გვ. 109—110, სქოლიოში ავტოი იმოწმებს ზემოთ დასახელებულ თავის პირველ წერილს). ამ მეორე წერილში თ. ჟორდანია დომენტი კათალიკოსთან ერთად ვეფხისტყაოსნის მდევნელად და ხელისმყოფელად თვლის ანტონ კათალიკოსსაც.

უნდა ვაღიაროთ, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის დევნისა და ხელყოფის საკითხების განხილვისას ყურადღების ცენტრი გადატანილი იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე და ანტონ კათალიკოსზე. თედო ჟორდანიას ცნობა კი დომენტი კათალიკოსზე შედარებით ჩრდილში მოექცა. სოლომონ ყუბანეიშვილი თავის საინტერესო სპეციალურ წერილში (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში, „ლიტერატურული ძიებანი“, I, თბ., 1943. გვ. 109—123) შენიშნავდა: „დომენტი კათალიკოზი, ვახტანგ VI-ის ძმა, იყო უაღრესად განათლებული პიროვნება და მწერლობის დიდი მოამაგე. თუ პოემაში ის „ზნეობის გამხრწნელ“ ელემენტებს ხედავდა და მას „თესლად უსჯულოებისა“, ხოლო რუსთველს ეშმაკის მოციქულად აღიარებდა, მას შეეძლო პოემა აეკრძალა სანამ ის სტამბაში გაიგზავნებოდა, მით უმეტეს, რომ ვეფხისტყაოსნის სამზადისი დიდი ხნიდან წარმოებდა, რაც მისთვის უცნობი არ შეიძლება ყოფილიყო“ (გვ. III). ყოველივე ეს ს. ყუბანეიშვილმა სიტყვასიტყვით გაიმეორა თავის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.)“. (გვ. 22—23). ეს მოსაზრება მით უფრო საკვირველია, რომ მკვლევარის ფიქრით, ვახტანგს როგორ გაუბედავდნენ მის სიცოცხლეში ცდილიყვნენ მის მიერ გამოცემული და კომენტირებული ვეფხისტყაოსნის მოსპობას (ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 116, შენშ. 2; ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 36). აქაოდა დომენტი ვახტანგის ძმაც იყო და „უაღრესად განათლებული პიროვნება“, მას ვერ დავწამებთ ვეფხისტყაოსნის ხელყოფის შეუფერებელ საქციელსო. ასე მსჯელობს ზ. გამსახურდიაც: „ასევე არ შეიძლება მსგავსი „დევნა“ დავაბრალოთ დომენტი კათალიკოსს, რომელიც, ანტონის მსგავსად, ფართო განათლებისა და ჰორიზონტის სასულიერო პირი იყო“ (დასახ. წერილი,

გვ. 79).. განა ცოტა განათლებული პირი ყოფილა ჩვენშიც და სხვა განაც, რომელსაც უსაქციელო საქციელი ჩაუდენია? დომენტი ვახტანგმა კათალიკოსად დანიშნა ჯანიშინობის დროს (1705 წ.). ს. ყუბანეიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, როგორ „გაუბედავდა" დომენტი თავის ხელმწიფე ძმის ნამუშაკევის ხელყოფას, სანამ იგი ქართლის სამეფოს განაგებდა? ვინ მისცემდა კათალიკოსს უფლებას აეკრძალა ვეფხისტყაოსნის გამოსაცემად გამზადებული ხელნაწერი, „სანამ ის სტამბაში გაიგზავნებოდა"? სხვა საქმეა ის დრო, როდესაც ვახტანგი ფაქტობრივ სპარსეთის შაჰის ტყვეობაში იმყოფებოდა და ქვეყნის საქმეები მას აღარ ეკითხებოდა.

ა. როგაეა ეთანხმება ს. ყუბანეიშვილს და თავის მხრივ კატეგორიული ფორმით აცხადებს: „დომენტი კათალიკოსსაც. რასაკვირველია. ცილს ვერ დავდებთ ვეფხისტყაოსნის ფიზიკურად განადგურებაში. თ. ჟორდანია, უეჭველია, შეცდომას უშვებს ამ საკითხში (დას. ნაშრომი, გვ. 33; კურსივი ჩვენია.— ა. ბ.). მკვლევრისეული „რასაკვირველია" და „უეჭველია" შეუფერებელი გამოთქმებია.

გ. შარაძე სავსებით მართებულად ახასიათებს თედო ჟორდანიას, როგორც წყაროთმცოდნე მეცნიერს. იგი იყოო „ძველი ქართული მწერლობის პირველხარისხოვანი მკვლევარი". თ. ჟორდანიას ცნობას დომენტი კათალიკოსის შესახებ „არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს... რატომ უნდა ყოფილიყო იძულებული თ. ჟორდანია, რომ ასეთი პიროვნების (ე. ი. დომენტი კათალიკოსის. — ა. ბ.) დამაკნინებელი და თან უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ-ისტორიული ამბავი, და ისიც დეტალებში, შეგნებულად და წინასწარ განზრახვით მოეგონებინა. ამისი მაგალითი თ. ჟორდანიასთან სხვა შემთხვევაში ჩვენ არ გვეგულება. მისი მეცნიერული რეპუტაცია ამ მხრივ დღემდე შეუბღალავია"[26].

თედო ჟორდანიას მეცნიერული რეპუტაცია ნამდვილად შეუბღალავია და მისი ცნობების მიმართ უაპელაციოდ უნდობლობის გამოცხადება უმართებულო იქნებოდა. სამწუხაროდ, თ. ჟორდანიას ცნობების მიმართ არც გ. შარაძე იჩენს სათანადო ყურადღებას.

თ. ჟორდანია კონკრეტულ წყაროს არ ასახელებს, მაგრამ გარკვევით კი ამბობს „ჩვენამდე მოღწეული ცნობებითო". აქაც იმასვე ვიტყვით, რაც ითქვა პლატონ იოსელიანზე. შეიძლება თ. ჟორდანიას უზუსტობა, უნებლიე შეცდომა ან კალმის ლაფსუსი მოუვიდეს, მაგრამ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მან შეგნებულად და წინასწა-

---

[26] გ. შარაძე, ეგვენი ბოლნელიტინოვი..., გვ. 92.

რი განზრახვით მოიგონა (შეთხზა) „უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ ისტორიული ამბავი“.

XVIII საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში, ქართლ-კახეთის საბედისწერო კონფლიქტის დროს, „როდესაც თბილისის ბედი ბეწვზე ეკიდა, ვახტანგს ხაფანგს უგებდნენ საკუთარი ძმებიც — იესე და სვიმონიო“, იმოწმებს გ. შარაძე ქრისტინე შარაშიძის სიტყვებს[27]. ძმები ვახტანგს არც ადრე, კერძოდ, 1713—1714 წლებში (ვახტანგი რომ ისპაჰანში იმყოფებოდა) აყრიდნენ ხეირს. განსაკუთრებით განმაცვიფრებელი და სამარცხვინო ნაბიჯი გადაუდგამს სწორედ „გაწათლებულ“ დომენტი კათალიკოსს. უზომო კარიერიზმის ჟინით შეპყრობილ კათალიკოსს გადაუწყვეტია დაეტოვებინა კათალიკოსობა და საერთოდ სასულიერო უწყება, დაბრუნებოდა ერისკაცობას, ცოლი შეერთო და გამაჰმადიანებულიყო, რომ მოეპოვებინა ქართლის არცთუ მთლად ვაკანტური სამეფო ტახტი[28]. საინტერესო ისაა, რომ დომენტი კათალიკოსს თურმე გვერდში ედგა ქართველი სამღვდელოება. ვახტანგმა ქრისტიანობისათვის თავი გამოიდო, არ გამაჰმადიანდა, რის გამოც შაჰმა ის მეფედ არ დაამტკიცა. ქრისტიანობისათვის თავდადებულ ვახტანგს კი განუდგნენ თვითონ ეკლესიის მესვეურები და შაჰის მხარე დაიჭირეს. შეშფოთებით, გაცებით და უზომო გულისტკივილით აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი: „ეჰა, უცხო. რამეთუ ქრისტესთვის იძულებულისა ვახტანგისათვის ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღვდელოთამან“[29].

თავის სპეციალურ გამოკვლევაში ვარლამ დონდუა ასეთ კომენტარს ურთავს ვახუშტის დამოწმებულ სიტყვებს: „ესე იგი „ქრისტეს მხედრობამ“ სწორედ ქრისტეს სარწმუნოებისათვის სპარსეთში სულიერად გვემული... მოღვაწე არ დაინდო და გააშავა. ეკლესიის მესვეურებმა კვერი დაუკრეს, „დამოწმება სცეს“ ტფილისისა და ისპაანის ყიზილბაშებს, ვახტანგი ჩამოეცილებიათ საქართველოსათვის“[30]. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომში ვკითხულობთ: „მცხეთის კათალიკოსის (დომენტის. — ა. ბ.)— „სულიერი მეუფისა და ღმერთის მოადგილის“ ასეთი მდაბალი აღტყინება ალბათ

---

27 იქვე, გვ. 98.

28 ვარლამ დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (კრებული „მიმომხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 30, 33 და შმდ.); მისივე, დავით გურამაშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. (4; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბ., 1973, გვ. 405. „მიმომხილველში“ გამოქვეყნებული ნარკვევი შეტანილია ვ. დონდუას წიგნში „საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1967, გვ. 146—191.

29 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 193.

30 ვ. დონდუა, დას. წერილი, გვ. 36.

მკრთალად გამოიყურებოდა დიდი ხნის წინათ გამაჰმადიანებული პრინცების საქციელთან შედარებით“ (გვ. 405). სავსებით მართებულად შენიშნავს ვ. დონდუა, რომ დამოწმებულ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს ვახტანგი, როცა ქირმანში გასახლებული მამულიშვილი დიდი გულისწყრომით ამბობს თავის ლირიკულ ლექსში (სალბუნად გულისა, გვ. 93): „ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს. არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს“[31].

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ზნეობრივი დაცემულობის იმაზე უფრო ამაზრზენი საქციელი, რაც ჩაუდენია ქართლის კათალიკოს დომენტის. მაგრამ ვახტანგის მომხრე პატრიოტებიც ფხიზლობდნენ. მათ დროზე შეუპყრიათ სამეფოდ გამზადებული კათალიკოსი და მიუგვრიათ ბატონიშვილი ბაქარისათვის, „რათა აღმოხადოს თუალნი“. სასჯელისაგან იგი დაუხსნია ვახტანგის მეუღლეს, რუსუდან დედოფალს[32].

აი, ჩვენი „უაღრესად განათლებული“ დომენტი კათალიკოსი!

რასაკვირველია, უზნეო კათალიკოსს შეეძლო ჩაედინა ყოველგვარი სისაძაგლე ვახტანგის სახელის გასატეხად და სამღვდელოების გულის მოსაგებად. შემთხვევითი როდია, რომ დომენტი კათალიკოსის თანამდგომი ყოფილან „ეპისკოპოსნი და სამღვდელონი“, სწორედ ისინი, ვინც არაორაზროვნად ამხილა ვახტანგმა მისეული ვეფხისტყაოსნის კომენტარებში („უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ — მეცნიერის კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა“). აი, ამ საზოგადოებისაგან იყო მოსალოდნელი ახლად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის უდიერად ხელყოფა. ამიტომაც სრულიად უნიადაგოა სოლომონ ყუბანეიშვილის, აპოლონ როგავას და სხვათა მოსაზრებანი, თითქოს „უაღრესად განათლებული“ კათალიკოსი დომენტი არ იკადრებდა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის დევნას. რა უნდა ყოფილიყო ვეფხისტყაოსნის დევნა იმასთან შედარებით, რაც უკადრებიათ ზნეწამხდარ კათალიკოსს და მის მრევლს ქრისტიანობისათვის „სულიერად გვემული“ ვახტანგის წინააღმდეგ. შექმნილ სიტუაციაში და თავისი მუხანათური განზრახვის სისრულეში მოყვანის გასაადვილებლად (გარკვეული იდეოლოგიური კაპიტალის მოსახვეჭად) დომენტი კათალიკოსი შარჯვედ გამოიყენებდა კიდევაც ვახტანგის ნაჭირნახულევი ვეფხისტყაოსნის დაუნდობლად ხელყოფის შემთხვევას. მაშინ უპრიანი იქნებოდა სწორედ დომენტი კათალიკოსზე გავრცელებულიყო ე. ბოლხოვიტინოვის მონათხრობი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობის თაობაზე. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა 1712 წელს. დომენტი

[31] იქვე. გვ. 36. შნშ 4.

[32] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 493.

კათალიკოსისა და სამღვდელოების ღაშქრობა ვახტანგის დასამხობად. კი მომხდარა 1713 თუ 1714 წელს. ამას ხომ არ გულისხმობს გამოთქმა „вскоре была изтреблена?"? ჩვენ მხოლოდ ვსვამთ ასეთ კითხვას, როგორც ერთგვარად სავარაუდებელ თუ დასაშვებ ჰიპოთეზას.

ერთი ახალი სპეციალური ნარკვევის ავტორი, დაკვირვებული მკვლევარი მიხეილ ჭავთარია გვიამბობს, რომ ვახტანგ VI-ქვსემ „1705 წელს ქართული ეკლესიის მესაჭეობა თავის ძმას დომენტის ჩააბარა და ამით ეკლესია თავისი მიზნების სამსახურში ჩააყენა" (იხ. ფე — მწიგნობარი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1983, № 2, გვ. 2, გვ. 43; კურსივი ჩემია. — ა. ბ.). სწორია, ჯანშინობის დასაწყისში ვახტანგმა ქართული „ეკლესია თავისი მიზნების სამსახურში ჩააყენა", მაგრამ როდესაც ქვეყანას პოლიტიკური კრიზისის ჟამი დაუდგა, იმავე ეკლესიამ და მისმა მეთაურმა კათალიკოსმა დომენტიმ ზურგი შეაქციეს ქრისტიანობისათვის (ე. ი. ქართველობისათვის) თავგამოდებულ ვახტანგს და მუხანათური ღალატიც არ ითაკილეს. ამისი დავიწყება არ შეიძლება. ისიც აღსანიშნავია, რომ თავის საძრახის საქციელს კათალიკოსი დომენტი შემდეგ მოგონილად და ტყუილად აცხადებდა. იესე ტლაშაძე ასე ალაპარაკებს დომენტის თავის ცნობილ პოემაში „ბაქარიანი" თუ „კათალიკოს-ბაქარიანი" (თბილისი, 1963, სტროფი 30, 1—2): „მე მამიგონეს ტყუილი, კაცის ყურს სმოდეს აროდეს; აწ ჩემნი ყმანი შეითქვნეს, ჩემს დაჭერასა ჩქაროდეს".

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ აღვნიშნო, რომ ჩვენი ძირითადი დებულება ისაა, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში, კერძოდ, XVII—XVIII საუკუნებში მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა იყო გაჩაღებული ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის გარშემო. ეს ბრძოლა გაუმწვავებია პოემის პირველ ბეჭდურ გამოცემას, კერძოდ და განსაკუთრებით — ვახტანგის „თარგმანს". კლერიკალურად განწყობილ წრეებს უცდიათ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ხელყოფაც კი. ჩვენი ღრმა რწმენით, ვეფხისტყაოსნის გარშემო ატეხილი დავა სრულიადაც არ აკნინებს იმჟამინდელი საზოგადოებრივი აზრის ხასიათს. იმჟამინდელი საზოგადოებრივი აზრი არ იყო ერთხაზოვანი, ის რთული და წინააღმდეგობრივი იყო თავისი იდეური შინაარსით. ეს გარემოება არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან აღძრული საკითხის თანამედროვე მკვლევარს.

პროფ. თამარ კუკავა გვაუწყებს: „ანტონის შესახებ დიდხანს იყო გავრცელებული აზრი, თითქოს მას დაეწვას ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა და, საერთოდ, ეწარმოებინა ამ თხზულების

დევნა-განქიქება, მაგრამ ეს არასწორი თვალსაზრისი საბოლოოდ უკუგდებულია“. (ანტონ კათალიკოსი, „ცისკარი“, 1985, № 4, გვ. 132; კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩემია. — ა. ბ.).

თ. კუკავა განაგრძობს: „ასევე იყო ფეხმოკიდებული შეხედულება, რომ ანტონმა და მისმა სკოლამ შემოიტანა ძველი, დრომოჭმული ქართული ენა. რითაც დააბრკოლა მისი წინსვლა-განვითარება. კერძოდ, ამ თვალსაზრისს უპერდნენ მხარს ქართული ენის ისეთი დიდმკვლევარი, როგორიცაა აკად. არნ. ჩიქობავა, პროფ. ივ. ქავთარაძე და სხვ. მკვლევარი ნიკ. კანდელაკი... ხაზს უსვამდა მისი (ანტონ კათალიკოსის — ა. ბ.) ენის ხელოვნურობასა და სიმძიმეს“ (იქვე, გვ. 133).

„ამჟამად, — ასკვნის თ. კუკავა, — ეს თვალსაზრისი უკუგდებულია და თვით მისი (ე. ი. ანტონის, — ა. ბ.) ენის სიმძიმე ახსნილია ანტონის გარკვეული პატრიოტული და ეროვნული მიზნებით“.

ვეფხისტყაოსნის თაობაზე უკვე ვიმსჯელეთ. რაც შეეხება ანტონ კათალიკოსის ენობრივ მხარეს (თ. კუკავა ვერ იძლევა მთლად ზუსტ ინფორმაციას), ჩვენი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ უყურადღებოდაა დატოვებული ქართული ენის უბადლო მკვლევრის აკად. აკაკი შანიძის თვალსაზრისი. ბატონ აკაკის კი სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ალძრულ საკითხზე (ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბ., 1964, 94 გვ.). რა საკადრისია აკაკი შანიძის „და სხვებში“ მოქცევა? მაინც ვინ დაარღვია, ან უკუაგდო, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას და ივანე ქავთარაძის მოსაზრებანი? დიდად გვაკვირვებს (მეტი რომ არ ვთქვათ) თ. კუკავას უაპელაციო, უარგუმენტაციო და კატეგორიული ხასიათის დასკვნები ეგოდენ სათუთ, დელიკატურ და საპასუხისმგებლო სპეციალურ საკითხებზე.

1986

აკრძალული ილეთებით პაექრობის გამო

„მნათობის“ 1984 წლის მეათე ნომერში დაიბეჭდა გურამ ბარნოვის წერილი „ისევ ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო“ (გვ. 143—156). წერილის საბაბი გამხდარა ჩვენი რეცენზია (თამაზ ჭილაძის ნაშრომზე) „ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებური წაკითხვის გამო“ („მნათობი“, 1984, № 2, გვ. 119—137). თ. ჭილაძის ნაშრომიც „მნათობში“ გამოქვეყნდა — „ვარდის ფურცლობის ნიშანი („მნათობი“, 1983, №№ 10 და 11)“. თ. ჭილაძე შეეცადა, როგორც თვითონ ამბობს, პოეტურად წაეკითხა რუსთველის დიდებული პოემა და ამოეჭხნა მასში „ჩამარხული საიდუმლო“, რაც დღემდის გაუშიფრავი რჩებოდაო. თ. ჭილაძემ არსებითად მცდარად მიიჩნია რუსთველოლოგიის სფეროში დამკვიდრებული თითქმის ყველა შეხედულება (ნაწილრბრივ შეიწყნარა მხოლოდ ტექსტოლოგიური კვლევის შედეგები) და წარმოგვიდგინა ვეფხისტყაოსნის გაგების ახლებური თვალსაზრისი. ჩვენ თავაზიანი ფორმით განვიხილეთ თ. ჭილაძის შემოთავაზებული კონცეფცია და ჩვენი მხრივ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა მისი უსაფუძვლობა[1].

გ. ბარნოვი ჭომაგობს თ. ჭილაძეს (თუმცა ზოგ რამეში თითქოს არც ეთანხმება მას) და გამოღმა გამოდავების პოზიციიდან თავს გვესხმის ძირითადად ნიკო მარისა და ილია ჭავჭავაძისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხში. მთავარ სანიშნო წყაროდ აუღია ჩვენი მონოგრაფია „შოთა რუსთველი“. რომლის გავრცობილ-გაფართოებულ ვარიანტი დაიბეჭდა 1966 და 1975 წლებში. უფრო მოკლე რედაქცია კი 1958 წელს. სამწუხაროდ, გ. ბარნოვი ზერელედ მოკიდებია თავის წყაროს (ე. ი. ჩვენს მონოგრაფიას). იგი ამბობს, რომ ჩვენ (წინასიტყვაში) საგანგებოდ ვასახელებთ სამ მონუმენტურ ნაშრომს: 1. ვეფხისტყაოსნის სიმფონიას (შედგენილს ა. შანიძის ხელმძღვანელობით, თბ., 1956); 2. გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურას“ (თბ., 1957) და 3. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებისა და ბეჭდური გამოცემების ვარიანტების წიგნებს ხუთ ნაკვეთად (თბ., 1960—1964). ამ დროს, „როგორც ვხედავთ, — წერს გ. ბარნოვი, — აქ დასახელებული არ არის რამდენადმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც საგანგებოდ იყოს გამიზნული. ანდა გულისხმობდეს მაინც. პოემის მხატვრული თავისებურებების შესწავლას“ (გვ. 144).

---

1 ო. ჭილაძის ნაშრომი რუსთველის ფილოსოფიური შეხედულებების თაობაზე მკაცრად გააკრიტიკა შალვა ხიდაშელმა — ვეფხისტყაოსანი და ჩვენ, ანუ „საქნის უცოდინარი მკითხველები“, („კრიტიკა“, 1984, № 2, გვ. 128—144). კიდევ ერთ მწვავედ ჯურაბ ჭავჭავაძის წერილი „დვირე და წუელი“ („კრიტიკა“, 1984, № 1, გვ. 92—113).

გ. ბარნოვი შემდეგ უფრო ამუქებს სურათს. „შოთა რუსთველის“ ავტორი ვეფხისტყაოსნის პოეტურად წამკითხველებს საერთოდ „ბოლომდე სერიოზულ მკვლევარ-რუსთველოლოგებად არ თვლისო“, „პოეტურად წამკითხველს“ აშკარად ირონიით ხმარობსო“ (გვ. 144). მართალია, „ზოგიერთს „პოეტურად ჩინებულ წამკითხველებსაც“ კი უწოდებს, მაგრამ მათი ნააზრევის მიმართ ადრინდელი სიჩუმისა და იგნორირების სუსხი უკვე თავისთავად წარმოშობს ამ სიტყვების გულწრფელობაში დაეჭვების საფუძველსო“ (გვ. 156. დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

გ. ბარნოვი აშკარად ცილს გვწამებს. ვეფხისტყაოსნის „პოეტურად ჩინებული წამკითხველი“ ვუწოდეთ ნოდარ დუმბაძეს („მნათობი“, 1984, № 2, გვ. 123). ნ. დუმბაძის წერილი კი დაიბეჭდა 1976 წლის მეორე ნახევარში (ჩემი რუსთაველი, „ცისკარი“, 1976, № 7). ჩვენი მონოგრაფიის პირველი გამოცემა, როგორც ვთქვით, გამოვიდა 1958 წელს, მეორე — 1966 წელს, ბოლო, მესამე გამოცემა— 1975 წელს როგორც შეგვეძლო დაგვემოწმებინა თუგინდ ბოლო, 1975 წლის გამოცემაში ერთი წლის შემდეგ დასტამბული ნაშრომი ნ. დუმბაძისა? სად არის აქ „სიჩუმისა და იგნორირების სუსხი?!“.

ჩვენს რეცენზიაში ვეფხისტყაოსნის პოეტურად წამკითხველებად დასახელებული არიან აგრეთვე პაველ ინგოროყვა („მნათობი“, 1984, № 2, გვ. 123) და გურამ პეტრიაშვილი (იქვე, გვ. 127). პ. ინგოროყვას ყოველთვის პატივს ვსცემდით როგორც მეცნიერსა და მკვლევარს. იმის გამოკვლევებზე ბევრი გვიწერია. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის დამოწმებული გვაქვს პ. ინგოროყვას 1927 წლის ნაშრომი. მაშასადამე, „სიჩუმესა და იგნორირებას“ ვეღარ დაგვწამებს. გურამ პეტრიაშვილსაც პატივს ვსცემთ როგორც მწერალს და როგორც მკვლევარს. „პოეტი და მკვლევარიო“, ვამბობთ იმის შესახებ და მივუთითებთ 1981 წელს დასტამბულ მის რუსთველოლოგიურ ნაშრომზე (გვაქვს უთვალავი ფერითა, „საბჭოთა ხელოვნება“, № 8), რომელიც სწორედ სადავოდ ქცეულ საკითხს შეეხება. აბა, სადღაა „სიჩუმე და იგნორირება?! 1975 წლის ნაშრომში როგორ დავიმოწმებდით გ. პეტრიაშვილის 1981 წლის ნაშრომს?!

სამივე ავტორს ჩვენ ვიმოწმებთ სრული სერიოზულობითა და კოლეგიალური პატივისცემით. „ირონია“, „სიჩუმისა და იგნორირების სუსხი“, „არაგულწრფელობა“ გ. ბარნოვის ცილისწამებაა მხოლოდ.

ახლა ჩვენი მონოგრაფიის წინათქმაში დასახელებული ლიტერატურის შესახებ.

გ. ბარნოვის სიტყვით, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ „სამ ფუნდამენტურ ნაშრომს“ (ვეფხისტყაოსნის სიმფონიას, გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურას“, პოემის ხელ-

ძირითადი დასკვნებისათვის ნ. მარს არასოდეს უღალატია, თუმცა ეს კია, რომ ზოგ გამოკვლევაში ცდილობდა მათ შენიღბვას" (გვ. 149). დიდზე დიდი უსამართლობა იქნებოდა იმის დაშვება, თითქოს ვეფხისტყაოსნის გაგების საკითხში ნ. მარი ინიღბებოდა. ნ. მარი ყოველთვის გარკვეით, მკაფიოდ და თამამად გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს რუსთველის პოემის თაობაზე (სულერთია, მართალი იყო თუ უმართებულო ეს მოსაზრებანი), პირველი თავისი წერილი ვეფხისტყაოსანზე მარმა ქართულად გამოაქვეყნა 1890 წელს (გაზეთი „თეატრი", № 12, 18 მარტი). მაშინ ის ბეჯითად აცხადებდა, რუსთველს „სპარსულიდგან ნათარგმნი ამბავი უნდა გაელექსოსო, და „რავდენად შეჰცვალა დედანი პოეტმა. გაავრცელა. ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება. რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავო", ნ. მარი ასახელებდა კიდევაც ბრიტანეთის მუზეუმის ერთ სპარსულ ხელნაწერს, რომელსაც „შაჰრიარ ნამე" ეწოდება და, „იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანიაო". ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა: ბრიტანეთის მუზეუმის „შაჰრიარ ნამე" არ აღმოჩნდა „ტარიელ ნამე". ე. ი. ტარიელის წიგნი (ვეფხისტყაოსანი).ნ. მარმა მაინც არ დაიხია უკან. მეტიც, მან კიდევ უფრო გააღრმავა ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობის თვალსაზრისი. მე ვმედოვნებ, რომ ადრე თუ გვიან ამოტივტივდება ის სპარსული პროზაული თხზულება, რომლის თარგმანი რუსთველს გაუელექსავსო. თუმცა მარს ხელთ არ ჰქონდა საჭირო წყარო, ის მაინც კატეგორიული ფორმით ასკვნიდა, რომ რუსთველი „подпал под иго литературной подражательности, и не только заимствовал чужлый сюжет, но, что важнее подчинился условности персидских литературных приемов и «поэтических» описаний. и тем лишил свое детище истинно национального значения" (წერილი რუსუდანიანის შესახებ. «Восточные заметки», СПБ., 1895, გვ. 228).

მაგრამ ნ. მარი იძულებული გახდა დაედასტურებინა. რომ სპარსულ ლიტერატურაში არათუ ვეფხისტყაოსნის დედანს ვერ ვპოულობთ. არამედ მის რაიმე ნაკვალევსაც კი ვერ ვამჩნევთო.

გავიდა გარკვეული დრო და ნ. მარმა არსებითად შეცვალა თავისი შეხედულება ვეფხისტყაოსანზე. ჯერ აღიარა რუსთველის მხატვრული ენის, კერძოდ. მისი ლექსის მუსიკალობის „მომაჯადოებელი" ხასიათი და ამით გახაზა მისი ეროვნული მნიშვნელობა (1902 წ.). მოგვიანებით სიუჟეტის უცხო წარმოშობილობის დაჟინებული დაცვისა. ნ. მარმა იმავე დროს ერთგვარად გაიზიარა ვეფხისტყაოსნის შინაარსის ეროვნულ-ისტორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისი. იგი წერდა: „ადვილად შესაძლებელია, რომ ვეფხისტყაოსნის გულდასმითი შესწავლა წარმოაჩენს ამ ლექსად გადამუშავებულ ნათარგმნ სპარ-

სულ რომანში ქართველი ავტორისათვის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენების პოეტური ნართაულობით (თუ მოარაკებით) შეგნებულ დასურათხატებას, რაც განსაკუთრებით ნათელი იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს ნართაულობის პოეზია (поэзия намеков) რამდენადმე ახლაც იგრძნობაო" (Древнегрузинские одописцы, СПБ., 1902, გვ. 56). უფრო შორს წავიდა ნ. მარი ვეფხისტყაოსნის ეროვნული მნიშვნელობის შეფასებაში 1910 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით (Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой шкуре", რომელსაც ახლავს სპეციალური ნარკვევი „Культ женщины и рыцарство в поэме". ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის საფუძვლიანი ანალიზის კვალობაზე ნ. მარი ასკვნიდა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორს ასულდგმულებსო ორი ძირითადი იდეა — ქალის კულტი და ძმადნაფიცობა. ორივეს, ქალის კულტისა და ძმადნაფიცობის ძირებს. ნ. მარი ეძებდა და პოულობდა ქართულ ეროვნულ-სოციალურ სინამდვილეში. ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცობა ქართული ეროვნული მოვლენაა და არა უცხოეთიდან შემოხიზნული რამ, „ადგილობრივი ცხოვრების პროდუქტია (ქართული) ღვიძლი ინსტიტუტი და არა გარედან შემოტანილი კულტურულ-სოციალური (განყენებული) ცნება" (დასახ. ნაშრ., გვ. XXXVIII). „ყმის ანუ მოყმეობის ინსტიტუტს ფესვები აღმოაჩნდა ქართველი ხალხისა და საერთოდ იაფეტური ხალხების ძმადნაფიცობაშიო". იმეორებდა მარი შემდეგაც. ამიტომაცო, განაგრძობდა, „ქართველ პოეტს (შოთა რუსთველს, — ა. ბ.) ძმობის წყაროდ გამოჰყავს არა ისლამი, საერთოდ არა რელიგია, არამედ ქართული ხალხური ინსტიტუტი — ძმადნაფიცობა" (1917 წ.).

ქართულ ეროვნულ-სოციალურ ფესვებს უკავშირებდა ნ. მარი ვეფხისტყაოსნის უძირითადეს იდეურ-თემატიკურ მოტივს — ქალის თაყვანისცემასა და სიყვარულს (დასახ. ნაშრომი, გვ. XII, XIII, XLIV). მით უფრო, წერდა მარი სხვა დროს, რომ „ქალის კულტს... ჩვენ ვერ ვპოულობთ აღმოსავლურ მუსლიმანურ ვერც ერთ ცნობილ ლიტერატურაშიო" (1917 წ.). ნ. მარი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ძველთაგანვე იქმნებოდა ხალხური თქმულებები არა მარტო გმირობაზე, არამედ სიყვარულზეც. მეცნიერი სვამდა კითხვას: „იმათ ხომ არ იქონიეს გავლენა ქართულ განათლებულ საზოგადოებაში ქალის კულტის განვითარებაზეო". ყოველ შემთხვევაში საგულვებელიაო გრძელი გზის გავლა, ვიდრე თამარის ეპოქაში ქალის კულტი და ქალისადმი თავისუფალი სიყვარული აღიარებას მიაღწევდაო (გვ. 1). საჭირო იყოო, განაგრძობდა მარი. „გარდატეხა ზნეობიივ შეხედულებებში... საჭირო იყო საკუთარი ფსიქოლოგიური სიმწიფე, თორემ ისე „ზნეობრივ შეხედულებებში გარდატეხისა და შინაგანი მოუმზადებლობის გარეშე — ძველი ქართული საზოგადოება ვერც გა-

მიიმუშავებდა, ვერც შეითვისებდა ქალის ბაყვანისცემასო" (იქვე). ნ. მარს მიმოხილული აქვს ქართველი ფეოდალური საზოგადოების მრავრავ შეხედულებათა გარდატეხისა და შინაგანი ფსიქოლოგიური ძვრების ის „გრძელი გზა". ნ. მარი გადაჭრით ასკვნის — „ქალის კულტი" და „იდეალიზებული სიყვარული" „ღვიძლი შვილია" «Изысканно образованного грузинского общества эпохи Тамары» (გვ. XXXVIII).

ამრიგად, ნ. მარი გადაჭრით ასაბუთებდა, რომ ვეფხისტყაოსნის წასულდგმულებელი იდეები, ვეფხისტყაოსნის უძირითადესი იდეურ-თემატიკური მოტივები (ძმადნაფიცობა და სიყვარული) ემყარება ქართველობის ეროვნულ-სოციალური სინამდვილის საძირკველს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი ასე აფასებდა ნ. მარის დამოწმებულ ნაშრომს. ივ. ჯავახიშვილს უწერია: „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენიერად დაწერილი მონოგრაფია აქვს ნ. მარის კალამს ეკუთვნის" (შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ.. 1956, გვ. 10).

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება, რომელსაც უღვთოდ ამახინჯებს გურამ ბარნოვი.

საკითხავია, რამ განაპირობა ნ. მარს შემობრუნება ვეფხისტყაოსნის შეფასების თაობაზე? ჩვენი ფიქრით, ამ შემთხვევაში უთუოდ დიდი როლი შეასრულა ქართველი მოწინავე მოაზროვნე საზოგადოების, კერძოდ და განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის მხრივ ნ. მარის ადრინდელი, სათავეშიე მცდარი, შეხედულებების მკაცრმა, მაგრამ პრინციპულმა და სამართლიანმა კრიტიკამ.

როგორც ცნობილია, თავისი შესანიშნავი მეცნიერულ-პოლემიკური ნაშრომით „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" ილია ჭავჭავაძემ თავისი მიუზღო ნიკო მარსაც. ილიას ეს ნაშრომი ჯერ წერილების სახით, იბეჭდებოდა „ივერიაში" 1879 წელს, ხოლო შემდეგ იმავე წელსვე ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა. ეტყობა. ნ. მარს მწარედ მოხვდა გულში ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ბასრი ნახვილი. იგი განაწყენებულა და გაგულისებულა. მაგრამ ბოლმა დაუფარავს. უფრო საყურადღებო ის არის, რომ ნ. მარს ერთგვარად გაუცრუებია თავისი შეხედულება ვეფხისტყაოსანზე, უწინარეს ყოველისა, ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ზეგავლენით. ყოველ შემთხვევაში ნ. მარი აწ მორიდებულად აღნიშნავდა: „Естественно, в современной Грузии к вопросу охотнее подходят с национальной точки зрения". რამდენადაც ქართველები ვეფხისტყაოსანში ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ა დ ხედავენო „высшее проявление своего гения в литерату-

ре"; იმას უყურებენო „როგორც ნაციონალურ სიმაყეს", მეტიც, როგორც „священную реликвию родной исторической жизни, народную святыню". ნ. მარის მიერ მოხმობილია სწორედ ილია ჭავჭავაძის განსაზღვრებანი. კერძოდ, პირველად ილია ჭავჭავაძემ უწოდა ვეფხისტყაოსანს ქართველთა „წმინდათა-წმინდა" წიგნი. ეს ცნება, რაც ნ. მარის „священная реликвия" და „народная святыня". თავის წერილში „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი" ილია ამბობს: „ჩვენ ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა შექმნილია ჩვენის ერის დიდებულობის დროსა; ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვქადულობთ". აღნიშნულის აშკარა აზრობრივი და ტექსტობრივი გამოძახილია ნ. მარის სიტყვებისა იმის თაობაზე, რომ ამ ძეგლში (ლაპარაკია ვეფხისტყაოსანზე) «грузины по праву видят высшее проявление своего гения в литературе, они в нем инстиктивно ценят современника, конечно не случайно, эпохи политического могущества и блеска родного государства, и на славу «Витязя в барсовой коже» с давних пор смотрят как на национальную гордость».

ასე ვწერდით ჩვენ 1957 წელს ნარკვევში „ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები" (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1957, გვ. 51—52; კურსივი ძველია, — ა. ბ.). ჩვენ ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე ვრცელი ამონაწერის მოხმობისათვის, მაგრამ ეს სისრულისათვის იყო საჭირო. გ. ბარნოვს ძალზე შეკვეცილად აქვს მოყვანილი ჩვენი ნაშრომის ეს ნაწყვეტი.

ეინც გულდასმითა და წინასწარშემუშავებული შეხედულების გარეშე შეადარებს ერთმანეთს ვეფხისტყაოსნის ილია ჭავჭავაძისეულსა და მარისეულ ტექსტებს, დაგვეწმუნება, რომ სწორია ჩვენი მოკრძალებული დასკვნა —ნ. მარის სიტყვები აშკარა აზრობრივი და ტექსტობრივი გამოძახილია ილიასეული სიტყვებისა. ჩვენ ამას აღარაფერს დავუმატებთ. ჩვენ გვაოცებს და გვაკვირვებს, რა სინდისმა უკარნახა გ. ბარნოვს, რომ დაეწერა: „ნ. მარის ეს ნათქვამი პარადოქსია უფრო უნდა იყოს, ვიდრე ილიას სიტყვების „აშკარა აზრობრივი გამოძახილი", („მნათობი", 1984, № 10, გვ. 146). ვაი, რომ ქაღალდი ყველაფერს იტანს!

ნ. მარის მეორე დიდი მონოგრაფია „რუსთველის ვეფხისტყაოსანი და ახალი ისტორიულ-კულტურული პრობლემა" (ИАН. 1917); თომცა შეცავს მკვლევრის ცალკეულ საყურადღებო დაკვირვებებს, „მოულოდნელი და სათავეშივე მცდარი აღმოჩნდა", როგორც ეწერდით ჩვენ ამის თაობაზე. მარის ამ ნაშრომის მიხედვით, ვეფხის-

ტყაოსანი თითქოს უნდა შექმნილიყო მესხეთში. როდესაც იქ ფეხს იკიდებდა მუსლიმანური სარწმუნოება, სახელდობრ XIV საუკუნეში; თითქოს ჩვენი დიდებული პოემა გამსჭვალულია მუსულმანური აღმსარებლობის სულისკვეთებით და თითქოს მისი ავტორი იყო ქართველი მუსლიმანი. გ. ბარნოვი იმოწმებს ჩვენს მოსაზრებას და ამბობს: როგორ უნდა შევუთანხმოთ ბარამიძისეული ეს მოსაზრება მისსავე სიტყვებს 1966 წლის მონოგრაფიაში, რომ ნ. მარი „მეცნიერული ობიექტურობით ასაბუთებს ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის სრულ ორიგინალობას, ნათელყოფს მის ქართულ-ნაციონალურსა და ხალხურს ხასიათსო“ (გვ. 149). ჩვენს მოსაზრებებში გ. ბარნოვი ხედავს ერთიმეორის გამომრიცხველ „ურთიერთსაპირისპირო შეფასებას“, „ან ერთია მართალი, ან მეორეო“ (იქვე) არა, ჩვენს მოსაზრებებში არაეითარი წინააღმდეგობა არ არის. თვითონ ნ. მარი იყო წინააღმდეგობრივი ბუნების მკვლევარი. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს საქმის ეს ვითარება. მარისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში გვიწერია: „ნ. მარი, როგორც რუსთველოლოგი, არ იყო თანმიმდევარი მკვლევარი. მას მოსდიოდა მძიმე შეცდომები, ავითარებდა ერთიმეორის გამომრიცხავ შეხედულებებს. ზოგჯერ ვეფხისტყაოსნის საკითხი მსგეერპლად ეწირებოდა ნ. მარის სხვადასხვა კონიუნქტურულ-კონცეფციურ შთანაფიქრებს. მაინც ნ. მარმა ძლიერ ბევრი გააკეთა ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის გასარკვევად, პოემის ეროვნულ-სოციალური საფუძვლებისა და მხატვრული რაობის ნათელსაყოფად, ვეფხისტყაოსნის მსოფლიო-საკაცობრიო მნიშვნელობის დასასაბუთებლად“ (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, V, 1971, გვ. 262. 270). ასეთივე თვალსაზრისია გატარებული ჩვენს სხვა გამოკვლევებშიც — „ნ. მარი, როგორც რუსთველოლოგი“ (რუსულ ენაზე) (ნარკვევები, V, 279—288). „ნ. მარის შეცდომების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გაშუქებაში“ (ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953). ეტყობა, ჩვენს ამ ნაშრომებს გ. ბარნოვი არ იცნობს. როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ არაოდეს დაგვიფარავს ნ.მარის შეცდომები, ყოველთვის პირუთვნელად მიეუთითებდით მარის ნაფიქრ-ნააზრევის მცდარ მხარეებზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვაფასებდით და ვაფასებთ ნ. მარის უცილობელ დიდ ღვაწლს ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში.

1917 წლის „ახალი“, სათავეშივე აშკარად მცდარი თეორია ნ. მარმა მალე თვითონვე უარყო კერძოდ, პოემა კვლავ დაუბრუნა XII საუკუნეს. თავის ზოგიერთ მერმინდელ ნაშრომში. განსაკუთრებით პარიზში წაკითხულ ლექციაშიც, ნ. მარი დიდი მონდომებით ასაბუთებდა მთელი ქართული სულიერი კულტურის თავისთავადობას, მიუთი-

თებდა ამ კულტურის უძველეს ეროვნულ-ხალხურ ფესვებზე. ნ. მარმა გადააჭარბა კიდევაც და საერთოდ უარყო ყოველგვარი ლიტერატურული სესხებისა და გავლენების არსებობა. რა თქმა უნდა, ნ. მარმა აქ ღირსებისამებრ დააფასა ვეფხისტყაოსანიც. ზოგიერთი რუსთველოლოგი (რუსთველოლოგიის ისტორიკოსიც კი) შეცდომაში შეიყვანა ამ გარემოებამ. მათ დაასკვნეს, თითქოს ნ. მარმა უარყო ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის თუ ფაბულის უცხოური წარმოშობილობაც (იხ. ვ. ბერიძე, რუსთველოლოგიის ისტორიისათვის, ნიკო მარი, „რუსთველის კრებული", თბ., 1938, გვ. 118—119; გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 105, 110). ეს არ არის სწორი. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის (ფაბულის) სპარსული ნიადაგიდან წარმომავლობის თვალსაზრისი ნ. მარს არასოდეს უარუყვია. პარიზში წაკითხულ ლექციაშიც იმეორებდა თავის ძველ აქვიატებულ შეხედულებას ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის (ფაბულის) ნასესხობაზე, „სპარსული ზღაპარიაო" (conte persan) (იხ. ნ. მარი, ქართული ენა (ფრანკულ ენაზე, პარიზი, 1928, გვ. 13).

გ. ბარნოვი ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი, ვითომ ჩვენ ღირსეულად არ ვაფასებდეთ ილია ჭავჭავაძის ნაფიქრ-ნააზრევს ვეფხისტყაოსანზე. ჩვენ არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, რომ ვეფხისტყაოსანს ილია განიხილავდა როგორც ისეთ უდიდეს ლიტერატურულ ძეგლს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული მოწიფულობა, ქართველი ხალხის უფლება ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. „ამიტომაც იყო ილია ჭავჭავაძე შეუპოვარი ქომაგი რუსთველის ღირსებისა და დაუნდობელი მებრძოლი ამ დიდი ეროვნული განძის „განმაქიქებელთა წინააღმდეგ". ამიტომაც აღიმაღლა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა თავისი გოლიათური ხმა" ი. მარის თეორიის წინააღმდეგ (ლძ, VIII, გვ. 49). ჩვენ ვწერდით, რომ „დიდზე დიდია" მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილისა „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი; რომ ეს იყო „ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში პ. იოსელიანისა და ერთი უცხოელის (—არტურ სუტნერის) შემდეგ". „ილია პირველი იყო, — განვაგრძობდით ჩვენ, — რომელმაც ვეფხისტყაოსანი განიხილა ლიტერატურულ ესთეტიკური თვალსაზრისით... ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემისა და პოემის იდეური შინაარსის გაგების ახალი, ორიგინალური თეორია (შოთა რუსთველი, 1975, გვ. 97). ადრეც ილია ჭავჭავაძის წერილს ვუწოდებდით „მეცნიერულ-კრიტიკულ შემოქმედებითს შედევრს" („ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები", გვ. 41).

ამასთან, ჩვენ ისიც ვთქვით, რომ „სახელოვანი მწერალი და მოაზროვნე უეჭველად აჭარბებდა", როდესაც „რამღენადმე განყენებულად" განიხილავდა „ზოგადი ადამიანის ცნებას" მხატვრული ნაწარმოების „ეროვნული სამკაულის" როლთა შეპირისპირებისას (იქვე, გვ. 97—98). იქნებ, ჩვენი ეს მოსაზრება სადავოა, საცილობელია. ამის თაობაზე შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საღაა აქ ჩვენი მხრივ ილია ჭავჭავაძის როგორც მკვლევარი-მოაზროვნის მნიშვნელობის შეუფასებლობა?!

ილია ჭავჭავაძე საკვირველი ცოდნით, სიფაქიზითა და სიფრთხილით იკვლევდა ქართული სულიერი კულტურის წარსულს და აწმყოს, სახავდა მომავლის პერსპექტივებს. მისი მოსაზრებით, ისეთი გენიოსი, როგორიც იყო შოთა რუსთველი, ციდან არ იყო ჩამოსული. რომ გენიოსი „ისეთი ნაყოფია თავისი დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერი მხრებით ამოიტანს. ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ — მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა",. ჩვენ მოყვანილი გვაქვს ილიას ეს სიტყვები და ვურთავთ „რამდენად მცდარია ილია ჭავჭავაძის ნააზრევთან შედარებით აკად. ნ. მარის მიერ ერთ დროს წამოყენებული დებულება, ვითომც შოთა რუსთველი მეტეორივით გამოჩნდა ქართული კულტურის ცაზე და თითქოს მას არაფერი საერთო არ ჰქონია არც ქართულ მწიგნობრობასთან, არც ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასთან" („ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები" თბ., 1957, გვ. 28).

ასე ვუპირისპირებდით ჩვენ ილია ჭავჭავაძესა და ნიკო მარს. ჩვენ არადეს დაგვიფარავს და მიგვიჩქმალავს ნ. მარის შეცდომები ქართული მწერლობის საკითხებში.

გვიან, თავის ცხოვრების მიწურულში, ახალი გუნება-განწყობილების ვითარებაში (ვულგარული სოციოლოგიზმითა და ვულგარული მატერიალიზმით გატაცების დროს) ნ. მარს გახსენებია ილია ჭავჭავაძის ადრინდელი კრიტიკული გამოსვლა და თავშეუკავებლად უთქვამს: Отселе (ლაპარაკია XIX ს. 90-იან წლებზე.— ა,. ბ.) мишень всех националистических нападок, особенно острых со стороны грузинских националистов, вождь которых, известный писатель кн. Чавчавадзе, при общем молчаливом сочувствии пригвоздил его (т. е. Н. Я. Марра. — А. Б.) публично к позорному столбу, как ученого, продавшегося врагам Грузии" (Н. Я. Марр, Избранные работы, I, 1933, გვ. 271).

დამოწმებულ ტექსტს ჩვენ შემდეგი კომენტარი დავურთეთ:. „აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. ჯერ ერთი, 30-იან წლებ-

ში სხვაგვარ მეცნიერულ გუნება-განწყობილებაზე მყოფ ნ. მარს თავი მოაქვს იმით, რომ თურმე ერთ დროს იგი სამარცხვინო ბოძზე გაუკრავს ქართველი ნაციონალისტების ბელად ილია ჭავჭავაძეს. მეორე მხრით, სახელმოხვეჭილი მეცნიერი ნებას აძლევს თავის თავს იმდროინდელი „რაპპული“ გემოვნების შესაბამისად ილიას უწოდოს თავადი ჭავჭავაძე. ამ ეითომცდა ოდიოზური დახასიათებით მარი, ნებსით თუ უნებლიეთ, ცდილობდა სახელი გაეტეხა დიდი ქართველი პოეტისათვის. ნ. მარს ავიწყდებოდა, უკეთ, იგი შეგნებულად ივიწყებდა, რომ ქართველი ხალხი „თავად“ ჭავჭავაძეს (მიუხედავად თავადიშვილური წარმოშობისა) ერთსულოვნად აღიარებდა თავისი უკეთილშობილესი სულიერი ზრახვების გამომხატველ უდიდეს მოწინავე მოაზროვნე პოეტად, მხურვალე მამულიშვილად და უანგარო საზოგადო მოღვაწედ, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის უშიშარ წინამძღოლად, რომელიც სახალხო ინტერესების საბრძოლო სარბიელს მხოლოდ ცარიზმის მოსყიდული აგენტების ვერაგულმა ტყვიამ ჩამოაშორა“ (ილია ჭავჭავაძე, საუბილეო კრებული, თბ.. 1957, გვ. 52, ლძ. VIII, გვ. 50).

ამ ჩვენ ძველ კომენტარს ახალს ვერაფერს დავუმატებთ. მკითხველი ნათლად ხედავს, როგორ ვახასიათებდით ჩვენ, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძეს და, მეორე მხრივ, ნიკო მარს. ნიკო მარს ჩვენ არ ვაიდეალებდით და არ ვაიდეალებთ. იმის არც დიდ ღვაწლს ვიეიწყებთ და არც შეცდომებს. ვფიქრობთ, ეს ამ წერილიდანაც ჩანს. გ. ბარნოვის „პოლემიკა“ ტენდენციური, ცილისმწამებლური გამოხდომაა. ვეფხისტყაოსნის შემდეგ გ. ბარნოვი გადადის თამარიანის საკითხის განხილვაზე, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ თავის განთქმულ წერილში — „ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა“ ჩაურთო ჩახრუხაძის დახასიათება, ილიას ნარკვევი დაწერილი ყოფილა 1860 წელს, პირველად დაიბეჭდა 1861 წელს „ცისკარში“ (№ 4, იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, I, 1927, პ. ინგოროყვას კომენტარები, გვ. 407—408).

ილია წერდა: „ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული, მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედმესრულით დაიწყობა და თითქმის ზედმესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჰკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედმესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი

აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც" (შვ. 7, დაყოფა ჩემია,—ა. ბ.). ჩახრუხაძეს გამოექომაგა სარდიონ მესხიევი. ამის გამო ილიამ შენიშნა: „ჩახრუხაძეს აქებს და არაფრით კი არ ამტკიცებს. ცარიელი სიტყვები არ დაგვაჯერებენ, რომ ჩახრუხაძე დიდი მწერალია. ფაქტი უნდა, ფაქტი" (იქვე, გვ. 372); პ. ინგოროყვას შენიშვნის თანახმად, ილიას ეს პასუხი დაწერილი უნდა იყოს 1861 წელს, მაგრამ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულაო (გვ. 424—435.).

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1957) ჩვენ, რასაკვირველია, ვეხებით ჩახრუხაძის ილიასეულ შეფასებას და ვამბობთ: „მესამოციახელთა იდეურ-ესთეტიკური პოზიციებიდან ილია ჭავჭავაძემ არ დაინდო პოეტი ჩახრუხაძე და მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა მის სახოტბო ლექსებს" (გვ. 34). გ. ბარნოვი აღუშფოთებია ჩვენს შეფასებას. მისი სიტყვით, „ილიასეულ შეფასებას მოჰყვა თამარიანის „რეაბილიტაცი ის" ცდები" (გვ. 151). კაცმა რომ თქვას, თამარიანი ჩვენამდე დიღი ხნით ადრე იყო „რეაბილიტირებული". საინტერესოა ერთი დეტალი: გ. ბარნოვი კენწლავს კ. კეკელიძეს, რომელიც თამარიანით სპეციალურად დაინტერესებულ პირებს ალ. ბარამიძის ნარკვევებზე მიუთითებსო (გვ. 151; იგულისხმება „ნარკვევები", III, 1956). გ. ბარნოვი ირონიის ხერხსაც იმარჯვებს და წერს: „ალ. ბარამიძე თამარიანთან დაკავშირებით ილიას ერთგვარ „გამართლებასაც" ცდილობს და მიგვითითებს მთელ რიგ „შემამსუბუქებელ" გარემოებებზე: „მოტანილ სტრიქონს წერდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე პოლემიკური გაცხარების პირობებში". (ხაზგასმა ჩვენიაო, აფრთხილებს ბარნოვი მკითხველს, გვ. 152). ახალგაზრდობა რა შუაშია, ილია მაშინ სავსებით სწორად აფასებდა ანტონ კათალიკოსის ისტორიულ როლს, თუმცა სამოციანელები „თავისი იდეურ-ესთეტიკური პოზიციით" „სწორედ პირველ რიგში და უშუალოდ უპირისპირდებოდნენ" ანტონ კათალიკოსსო და იმოწმებს ანტონის შესახებ ილიასეულ ციტატას (გვ. 152). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არგუმენტაციაც და ციტატაც ჩვენივე წერილშია სრულად მოცემული (საიუბილეო კრებული, გვ. 28). გ. ბარნოვი ამას იმეორებს წყაროს დაუსახელებლად. მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. გ. ბარნოვი გაუგულისებია სხვა „შემამსუბუქებელ" გარემოებაზე მითითებას. ჩახრუხაძის ღირსების დასამტკიცებლად ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა ფაქტებს. „ფაქტი კი არ ჩანდა. არ ჩანდა იმიტომ, რომ, — ეწერდით ჩვენ — თამარიანი უაღრესად ენაწყლიანი სახოტბო ძეგლია, სადაც დიდი ადგილი უჭირავს წრეგადასულ ქებათა ქებას. თამარიანის ხელოვნურ სიტყვამჭევრობა-

ში იჩრდილებოდა ტექსტის იდეური შინაარსი. ამის გამო არ იყო გაგებული ამ ძეგლის იდეურ-აზრობრივი მხარე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თამარიანი საუცხოოდ გამოსცა და ამ ძეგლს შესანიშნავი იდეური შინაარსი, მისი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი იდეოლოგია გამოავლინა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მაგრამ ეს მოხდა 1902 წელს. ილია ჭავჭავაძეს კი შემდეგში აღარ მისცემია შემთხვევა დაბრუნებოდა ჩაჩრუხაძის პოეზიის საკითხს" (გვ. 34) მთელი ჩვენი მსჯელობა და ნ. მარის კეთილი სიტყვით მოხსენიება გ. ბარნოვს ჩაუთვლია ილია ჭავჭავაძის შეურაცხყოფად. როგორ თუ ილია ჭავჭავაძე „ვერ ჩაწვდა თამარიანის ვერც პოეტურ სიღრმეს და ვერც მის იდეურ შინაარსსო" (გვ. 152). ჯერ ერთი, ჩვენ არ გვითქვამს, რომ ილია „ვერ ჩაწვდა თამარიანის ვერც პოეტურ სიღრმეს და ვერც მის იდეურ შინაარსს". ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც კრიტიკული რეალიზმის დამამკვიდრებელი მოაზროვნისათვის, საერთოდ საჩოთირო უნდა ყოფილიყო სახოტბო პოეზია, მეფეების ქება (მოვიგონოთ ილიას შენიშვნა „ქართლის ცხოვრების" თაობაზე). აი, ეს გვქონდა მხედველობაში, როდესაც ვლაპარაკობდით მესამოციანელთა იდეურ-ესთეტიკურ პოზიციაზე. თამარიანი შეიცავდა მნიშვნელოვანწილად დამახინჯებულ ანუ, აკაკი წერეთლის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „დაბურდულ და დახლართულ" ტექსტს. ნიკო მარმა თავისი გამოცემით (Древнегрузинские одописцы, ТР. IV, 1902), უთუოდ, დიდი საქმე გააკეთა თამარიანის (აგრეთვე „აბდულმესიანის") იდეურ-მხატვრული რაობის შესამეცნებლად, თუმცა აქაც ძრაერთი თვალშისაცემი შეცდომა მოუვიდა. ვიმეორებთ, გ. ბარნოვი სწორედ იმან გააწიწმატა, რომ მოვიწონეთ მარის გამოცემა და ვერ გავიზიარეთ თამარიანის ილიასეული შეფასება. თამარიანის „რეაბილიტაცია" ჩვენ არ გვიკისრია. ეს „რეაბილიტაცია", უწინარეს ყოვლისა, ნ. მარის დამსახურებაა. რამდენიმე წყაროს დავიმოწმებ.

პოემის მარისეულ გამოცემას სპეციალური რეცენზია მიუძღვნა აკაკი წერეთელმა. მისი სიტყვით, ეს არის „სამაგალითო შრომა". „გადავსინჯე და კმაყოფილი დავრჩი. ეს შრომა... მართლა რომ მოსაწონია. რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა ბატონ მარს წესიერად აღუდგენია და შესაფერი ლექსიკონიც ჩაურთავს". საყურადღებო ისაა, რომ აკაკის ეს რეცენზია დაიბეჭდა „ივერიაში" (1902, 21 ივლისი, № 154; აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, მთავარი რედაქტორი გიორგი აბზიანიძე, ტომი XIV, თბ., 1961, გვ. 129—134; იქვე, შენიშვნები, გვ. 616).

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ აკაკი წერეთლის რეცენზიას „ივერიაში" ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „ვბეჭდავთ ამ წერილს

პატივცემულ პროფ. ნ. მარის შესანიშნავ გამოკვლევის შესახებ იმ ფიქრით, რომ მცოდნე მწერალთა შენიშვნების მეოხებით გამოირკვას, შემცდარიჰ თუ არა აზრი პროფესორის მარრისა შავთელის ხოტბის შესახებ". მაშასადამე, „ივერიის" რედაქცია ეთანხმება აკაკი წერეთელს და თავის მხრივაც თვლის, რომ ნ. მარის ნაშრომი „შესანიშნავი გამოკვლევაა". რედაქციას საეჭვოდ მიუჩნევია მხოლოდ ნ. მარის მოსაზრებანი შავთელის ხოტბის თაობაზე (ეს მართლაც საეჭვოა!). მართალია, აკაკი წერეთლის რეცენზიის გამოქვეყნების დროს ილია ჭავჭავაძე უშუალოდ არ ხელმძღვანელობდა „ივერიას", იმის რედაქტორი იყოს ილიას ერთგული თანამებრძოლი და თანამშრომელი ალექსანდრე სარაჯიშვილი, მაგრამ ძნელია ვიფიქროთ, რომ „ივერიამ" დაბეჭდა ეს წერილი ილიასთან შეუთანხმებლად. აქ ხომ არა პირდაპირ არსებითად უარყოფილია ილიას თვალსაზრისი „თამარიანის" რაობაზე. ამას რედაქცია არ დაუშვებდა ილიასთან დათათბირების გარეშე.

ივანე ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, II, 1914, 1948): „ჩახრუხაძის შესხმა ძალიან დამახინჯებული იყო გადამწერთაგან და მხოლოდ მას შემდგომ, რაც პროფ. ნ. მარმა დიდის გონებამახვილობით მათი პირვანდელი სახე აღადგინა და თვით ნაწარმოებს ვრცელი ახსნა და გამოკვლევა დაურთო. მარტო ამის შემდგომ ჩახრუხაძის საგულისხმიერო ქმნილების დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდა... ჩახრუხაძე სწორუპოვარი მელექსე იყო" (გვ. 309/657).

ექვთიმე თაყაიშვილი ნ. მარის „ძველ-ქართველ მეხოტბეებს" უწოდებს „მშვენიერ" ნაშრომს (რჩეული ნაშრომები, I, 1968, გვ. 10).

პ. ინგოროყვამ ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ჩახრუხაძეს („კავკასიონი", 1924, № 1—2, გვ. 271—320; № 3—4, გვ. 58—79). აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ნიკო მარრმა. შესძლო დაედგინა, საზოგადო ხაზებში, თამარიანის ტექსტი, რომელიც საოცარის დამახინჯებით იყო მოღწეული. ნიკო მარრმა პირდაპირ გენიალური გონებამახვილობით აღმოაჩინა, რომ თამარიანი არის ცალკე ლექსების კრება, და ამასთან მიაგნო ძირეულ რეალურ საზომს, რომლის მიხედვით მტკიცედ ირკვევა ცალკე ნაწარმოებთა ზოგადი ფარგლები" („კავკასიონი", № 1—2, გვ. 272. დაყოფა ჩემია, — ა.ბ.). „ჩახრუხაძე არის ყველაზე ორიგინალური ფიგურა საშუალ-საუკუნეთა პოეზიაში" („კავკასიონი", № 3—4, გვ. 64). ჩახრუხაძე „დიდი-ტალანტია", მისი ლექსი „ნატიფია" (№ 1—2, გვ. 287—288). „თავისი თავისუფალი საიერო სულით და ჰუმანიტარული მსოფლმხედველობით იგი ფიქრობ რენესანსის ეპოქას ეკუთვნის" (№ 3—4, გვ. 64).

„იოანე შავთელის „აბღულ-მესია“ და ჩახრუხაძის ხოტბანი ხომ მაშინდელი საქართველოს მაღალხარისხოვანი კულტურის გამომხატველია... უმაღლესი ლექსთაწყობა, რომლის მაგალითებიც მათი ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განსაცვიფრებელი ოსტატობით არის მიმობნეული, მხოლოდ უაღრესად დახელოვნებული პოეტისათვის იყო მისაწვდომი“ (აკად. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, პროფ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 194).

„თამარიანი“ ქართული სახოტბო პოეზიის ერთ-ერთი მაღალმხატვრული ძეგლია“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 446); „ჩახრუხაძე სწორუპოვარი მელექსე იყო“ (იქვე, გვ. 447). „თამარიანი მძაფრი პოლიტიკური განწყობილების ამსახველი ძეგლია. ავტორი ავითარებს გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვალსაზრისს. ის გამომხატველია შესაფერისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა“ (იქვე, 448).

„ჩახრუხაძის მხატვრული თვალსაწიერი ფართოა... მხატვრული აზროვნების სიფართოვე პოეტს რენესანსულ აზრთა წყობასთან აახლოებს“. „თამარიანის“ ავტორი... ეროვნული იდეოლოგიის მღაღადებელი პიროვნებაა...“ (ქართული მწერლობა, ლექსიკონი - ცნობარი, წიგნი I; თბ., 1984, გვ. 260—261).

სხვა ავტორებს აღარ ვიმოწმებთ. მსგავს შეხედულებას ავითარებს ძველი და ახალი თაობის ყველა მკვლევარი, ვინც კი ჩახრუხაძის შემოქმედებას შეხებია.

დასასრულ მოვიყვან მხოლოდ თამაზ ჭილაძის სიტყვებს (სწორედ იმის ქომაგობას კისრულობს გ. ბარნოვი): „იმდროინდელი (ე. ი. XII საუკუნის, — ა. ბ.) კარის სახოტბო პოეზიას ა მ შ ვ ე ნ ე ბ ს ორი შესანიშნავი პოეტი: ჩახრუხაძე და შავთელი“ (ვარდისფურცლობის ნიშანი, „მნათობი“, 1983, № 11, გვ. 111, კურსივი ჩემია, ა. ბ.).

რა გამოირკვა?

მთელი ქართული მეცნიერება და მწერლობა (იქნებ ჯავჯავაძის „ივერიაც“!) ნიკო მარის გამოკვლევის შემდეგ თამარიანს ერთხმად და ერთსულოვნად თელის ქართული პოეზიის დამამშვენებელ ძეგლად, ხოლო მის ავტორს — დიდებულ პოეტ-მოაზროვნედ. ამ შეფასებას მცდარად მიიჩნევს მხოლოდ გურამ ბარნოვი! ცდება აკაკი წერეთელი, ცდება ივანე ჯავახიშვილი, ცდება ექვთიმე თაყაიშვილი, ცდება კორნელი კეკელიძე, ცდება პაულე ინგოროყვა, ცდება „ივერიის“ რედაქცია, რაღა თქმა უნდა, ვცდებით ჩვენც... სიმართლე მხოლოდ გ. ბარნოვის მხარეზეა!

თქმული იმას კი არ ნიშნავს, რომ ნ. მარის ყველა მოსაზრება ჩახოტბეებზე მისაღებია. ჩვენი ღრმა რწმენით (რაც არაერთგზის წერი-

ლობით გვაქვს დაფიქსირებული) მარს აქვს პრინციპული ხასიათის შეცდომებიც. ასეთია, კერძოდ, ჩახრუხაძისა და რუსთველის იგივეობის საკითხი. ჯერ ბროსემ გამოთქვა ასეთი ვარაუდი. მას მიემხრო მოსე ჯანაშვილი. ნ. მარი გაიტაცა ბროსეს იდეამ და შეეცადა მის დასაბუთებას (სხვათა შორის, მარს მხარი დაუჭირა აკაკი წერეთელმა). ნ. მარი რუსთველს უწოდებდა „გ ე ნ ი ო ს ქართველ პოეტს“ (ძველქართველი მეხოტბენი, 73). მისი ფიქრით, თმარიანი მხატვრულობით არ ჩამოუვარდება ვეფხისტყაოსანს (იქვე). თამარს ბევრი მეხოტბე ჰყავდა. „განა უფრო საფიქრებელი არაა, რომ იმ სახოტბო ძეგლებიდან გადარჩა ის, რაც აღბეჭდილი იყო რუსთველის გენიით („было запечатлено геннем Руставели“, ДО. 72—73). ეს ძეგლია თამარიანი, რომელიც ჩახრუხაძეს მიეწერება. აქედან გამომდინარეობს მარისეული დასკვნა „გენიალობით აღბეჭდილი“ სახოტბო ძეგლისა და „რომანტიკული პოემის“ გენიოსი ავტორის საფიქრებელ იგივეობაზე. მარისათვის თამარიანიც და ვეფხისტყაოსანიც თავიანთი იდეურ-მხატვრული რაობით ერთი დონის ორი ნაწარმოებია, რომელთა ავტორიც ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო — შოთა რუსთველი ჩახრუხაძე. ჩვენ უკომპრომისოდ გაეკრიტიკეთ მარის ეს შეხედულება და, სხვათა შორის, იმასაც გავუსვით ხაზი, რომ მარმა თვითონვე გამოუთხარა ძირი თავის პიპოთეზას. მას „ვერ წარმოედგინა — ვწერდით ჩვენ, — XII საუკუნეში, თამარის სამეფო კარზე, ყოფილიყო ორი, ერთი და იმავე ძალის პატრონი გენიოსი პოეტი, სხვადასხვა პირი... რაც შეეხება თამარის დროს ორი კონგენიალური პოეტის არსებობას, აქ გასაკვირი არაფერია. თამარის კარზე და საერთოდ თამარის დროს ბევრი დიდად გამოჩენილი მწერალი უნდა ყოფილიყო (როგორც ამას ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის პროლოგი, სხვა მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ), მაგრამ ჟამთა სიავემ წარხოცა მათი სახელი“ (ნარკვევები, III, 1956, გვ. 266). გენიოსად (თუ გენიალურ პოეტად) ჩვენ კი არ ვთვლიდით ჩახრუხაძეს, არამედ ნ. მარი. ჩვენ პრინციპული ასპექტით ვსვამდით კითხვას, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ერთ ქვეყანაში, ერთდროულად, ყოფილიყო ზეაღმატებული, გინა გენიო.ი ორი პოეტი. თვითონ ჩახრუხაძეს ჩვენ შედარებით თავშეკავებულად ვახასიათებთ, ვამბობთ, რომ: „თამარიანს ველარ განვიხილავთ, როგორც ვიწროდ გაგებულ სახოტბო პანეგირიკულ — პოემას, რომლის დანიშნულება იქნებოდა ოფიციალური საკარო წრეების მხატვრული გემოვნების დაკმაყოფილება და ოფიციალური იდეების გამოხატვა“ (ნარკვევები. III, გვ. 248; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 126; ავრეთვე, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ა. ბ რ ა მ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 257;

კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 233). აღნიშნულის კვალობაზე შეძლებისდაგვარად ვიხილავთ თამარიანის ისტორიულ-ლიტერატურულსა და იდეურ-მხატვრულ მხარეებს (ძირითადად ვეყრდნობით ნ. მარის გამოკვლევას).

გ. ბარნოვმა ერთი აურზაური ატეხა. ალ. ბარამიძემ რუსთველი დაამცირა, მას ჩახრუხაძე გაუტოლაო. ეს მოგონილია. ამის მსგავსი რამ ჩვენ არასოდეს ფიქრად არ მოგვსვლია. თამარიანზე უკვე ვთქვით. რუსთველის თაობაზე გვიწერია: „მე-12 საუკუნის ქართული პოეტური კულტურის გვირგვინი და ღრმედ დაუძლეველი მწვერვალია შოთა რუსთველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი“ (ს. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 243); „კლასიკური პერიოდის ქართული პოეტური კულტურის მიუწვდომელი მწვერვალი და მსოფლიო პოეზიის შედევრია შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი“ (საქართველოს სსრ, ქსე სპეციალური გამოცემა, თბ., 1981, გვ. 255; კურსივი ორგანვე ახალია.—ა. ბ.). თუ რუსთველი „დაუძლეველი და მიუწვდომელი მწვერვალია“, როგორღა ვუტოლებთ მას ჩახრუხაძეს? რუსთველს თავისი ადგილი აქვს ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში და ჩახრუხაძეს თავისი. ოღონდ ვერასგზით ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს: „ვეფხისტყაოსანი და თამარიანი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა“ (გ. ბარნოვი, გვ. 150).

ნიკო მარის უმოწყალოდ განკიცხების ცდისა და ჩვენი შერისხვის შემდეგ, გ. ბარნოვი მკითხველს სთავაზობს საკვირველ ინფორმაციას: „ილიასეულ შეფასებას მოჰყვა თამარიანის „რეაბილიტაციის“ ცდები, რაც თავის მხრივ იქცა ვეფხისტყაოსნის უნებური ნიველირების მიზეზად. ამან ბუნებრივად მიგვიყვანა იქამდე, რომ „ვეფხისტყაოსანს“ „ძაღლისტყაოსანიც“ კი შეუდარეს („ძაღლისტყაოსანი“ ნახევრად ფოლკლორული პორნოგრაფიული პოემაა). შეუდარეს, რა თქმა უნდა, არა ვეფხისტყაოსნის დამცირების, არამედ ძაღლისტყაოსნის მაღალი მხატვრული დონის ნათელყოფის კეთილი სურვილით და ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: „...с точки зрения поэтического мастерства эти строки (ლაპარაკია „ძაღლისტყაოსნის“ პორნოგრაფიულ სტრიქონებზე. —გ. ბ.). не уступают тем стихам, изменением и подражанием которых они являются“ (იგულისხმება ვეფხისტყაოსანი. — გ. ბ.)“ (გვ. 151, კურსივი ჩემია, — ა. ბ.). ეს ინფორმაცია იწვევს ორ ბუნებრივ კითხვას: ვინ არის (ან ვინ არიან) (ბარნოვი ხმარობს მრავლობით ფორმას „შეუდარეს“ — ორჯერ, „მიუიდნენ“) „პორნოგრაფიული ძაღლისტყაოსნისა“ და ვეფხისტყაოსნის უმსგავსო შეპირისპირების ავტორი თუ ავტორები? რატომ არ არის

მითითება წყაროზე? (სხვა შემთხვევაში გ. ბარნოვი ასე თუ ისე წყაროს ასახელებს!).

გ. ბარნოვი გარკვეულად ცდილობს დააბნიოს მკითხველი. იგი ამას სჩადის შეგნებულად, გააზრებულად, შორს გამწვდენი განზრახვით. დამოწმებული ინფორმაცია ხომ სახელს უტეხს დაუსახელებელ ავტორს (ავტორებს). გ. ბარნოვი მსჯელობას ისე ავითარებს, რომ ოდიოზურ ავტორად მკითხველმა ჩათვალოს ან ნ. მარი, ან აღ. ბარამიძე. მთელი კატეგორიულობით ვაცხადებთ — „ძაღლისტყაოსანთან" აბსოლუტურად არაფერი საერთო არა აქვს არც ნ. მარს და არც ამ სტრიქონების ავტორს. მოსაზრებანი „ძაღლისტყაოსანზე" (და მოხმობილი ციტატა) სხვას ეკუთვნოდა. როგორც ვთქვით, გ. ბარნოვი ოდიოზურ ავტორს (ავტორებს) პირდაპირ არ ასახელებს და არც ჩვენ დავასახელებთ. ოღონდ ვიტყვით, რომ გ. ბარნოვმა გამოიყენა მეცნიერებაში მიუღებელი და აკრძალული, ხოლო ლიტერატურული ეთიკით დაგმობილი ხერხი თუ ილეთი. უნდა ვიცოდეთ, რომ ანონიმურად დარჩენილმა ავტორმა თავის შრომიდან დროულად ამოიღო და გააუქმა ყველაფერი რაც შეეხებოდა „ძაღლისტყაოსანს". გ. ბარნოვმა ორი უწესობა ჩაიდინა: 1. მოიხმო და განსჯის საგნად აქცია ოფიციალურად არარსებული ოდიოზური ლიტერატურული მასალა: 2. ეს ოდიოზური მასალა მოიხმო იმ განზრახვით, რომ მისი ავტორობა დაბრალებოდათ და სახელი გატეხოდათ სრულიად უცოდველ პირებს.

ასეთია გ. ბარნოვის პოლემიკური წერილის არასახარბიელო ხასიათი.

* * *

მ ი ნ ა წ ე რ ი

მალე ცნობილი გახდა ზოგი ახალი საინტერესო მასალა ნ. მარის შესახებ.

ფრიად საგულისხმო პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული წერილი გაუგზავნია ნიკო მარს ოლივერ უორდროპისათვის (8.III.1911), ს. — პეტერბურგი) ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით. ნ. მარი, სხვათა შორის, წერდა უორდროპს: „ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენ ასე ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი ოქსფორდში ქართული კათედრის მოწყობას. მე ვფიქრობ, იმისათვის, რომ თქვენი თანამემამულენი (აგრეთვე ზოგიერთი სხვა ევროპელიც) დაინტერესოთ ქართული ენით, საჭიროა გულდასმით გაირკვეს ის უზარმაზარი

საერგებლობა, რის მოტანაც შეუძლია ქართველთმცოდნეობას. 1. ენათმეცნიერებისათვის, 2. ბიბლიური ტექსტებისათვის, 3. ქრისტიანული ლიტერატურისათვის. მე არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული, დააფასებს კი სათანადოდ ევროპელი ძველი ქართული საერო წერლობის მთელ მომხიბვლელობას, თუნდაც შოთა რუსთაველისას? (გურამ შარაძე. წერილები უორდროპებისადმი, „მნათობი“, 1983, № 3, გვ. 158, კურსივი ჩემია.— ა. ბ.; იხ. აგრეთვე, გურამ შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984, გვ. 370). იმავე წლის 29 მარტის თარიღით ნ. მარს მიუწერია ოლივერ უორდროპისათვის: „მსურდა პირადად მეცნახეთ, რათა გვემსჯელა ქართველთმცოდნეობის ბედზე. ეს ევროპაში ჩემი ოთხკვირიანი მოგზაურობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს“ (იქვე. „მნათობი“, გვ. 159; ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, გვ. 371).

1985

ნიკო მარის დასაცავად

ნებსით თუ უნებლიეთ, ნიკო მარის სახელი უშუალოდ გადაეხლართა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ქართული მონაკვეთის საკითხს. აქაო და ამისი ნაკლი შეაპირობა ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციების მარისეული მოდელების მიდევნებამო.

ნიკო მარის მოღვაწეობის შეფასება იმთავითვე სხვადასხვაგვარი იყო. ქართველი მოაზროვნე საზოგადოების დიდი ნაწილი თვლიდა, რომ მარი ტენდენციურად აშუქებდა ძველი ქართული კულტურის სასიცოცხლო საკითხებს. მეტისმეტად აზვიადებდა უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობას ქართულისათვის და გარკვეული ხასიათის ნიჰილიზმსაც იჩენდა. ცნობილია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა გულისწყრომა ამ მხრივ. მარს მოსარჩლეობდნენ მისი უშუალო მოწაფეები (ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, იუსტინე აბულაძე, ვუკოლ ბერიძე, აკაკი შანიძე) და ქართული კულტურის რიგი სხვა მოაზროვნე (ექვთიმე თაყაიშვილი, კიტა აბაშიძე, დავით კარიჭაშვილი...) ივანე ჯავახიშვილმა სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა ამ დავას — „მამულიშვილობა და მეცნიერება“ (თბ., 1904). მარის ღვაწლს დიდად აფა-

სებდნენ კორნელი კეკელიძე, პავლე იოგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია[1], სერგი გორგაძე და სხვ.

მარისადმი ორგვარი დამოკიდებულება მწვავედ საგრძნობი გახდა ჩვენს დროშიც. სულ ბოლო დროს დაიბეჭდა რევაზ თვარაძის ერთი საგანგებო წერილი, რომლის ძირითადი პათოსია მარის ადამიანური და მეცნიერული ღირსების დამცირება — „ერისკაცის საღიდებელი“ (ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 2), მას მხარი აუბა გურამ ბარნოვმა, — „ისევ ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო“ („მნათობი“, 1984, № 10).

ბევრი გრძნობდა რ. თვარაძის წერილის უმართებულობას, მაგრამ მათ დუმილი ამჯობინეს. მე და ელენე მეტრეველმა გავბედეთ და შევეცადეთ მარის ღირსების დაცვას, საამისო წერილი გამოვაქვეყნეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (11.2.83) — „წერილი რედაქციას“. ეს წერილი პირველად შევთავაზეთ გაზეთ „კომუნისტს“, რედაქციამ მისი გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გულისყურით მოეპყრა ჩვენს წერილს, უყოყმანოდ და დაუბრკოლებლად დაბეჭდა იგი მისდამი რწმუნებული გაზეთის უახლოეს ნომერში. ბეჭდმა გამოთქვა თავისი კმაყოფილება ამ წერილის გამო. მადლობა მითხრა, მაგალითად, ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ (ვ. ჭელიძესაც ეუთხარი მადლობაო, დასძინა).

ჩვენმა გამოსვლამ ნაყოფი გამოიღო, გაზეთ „სამშობლოში“ დაიბეჭდა რამდენიმე წერილი, რომლებიც ამუქებენ ნ. მარის დიდ ღვაწლს ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგში: აკაკი შანიძე, აკადემიკოსი ნიკო მარი (1983. № 5, მარტი); გ. ჯიბლაძე, აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს (1983, № 6. მარტი); ალ. ბარამიძე, ნიკო მარის ერთი მიეწუებული წერილის გამო (იქვე).

ა. შანიძე მოუთხრობდა მკითხველს ნ. მარის დიდ დამსახურებაზე ქართული და სომხური ფილოლოგიის წინაშე და მოითხოვდა სათანადოდ აღნიშნულიყო მარის დაბადების მომავალი 120 წლისთავი.

ხმა ამოიღო გაზეთმა „კომუნისტმაც“. აქ დაიბეჭდა (7.8.83) თენგიზ ბუაჩიძის სტატია — „ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში“. წერილი საგულისხმიერო ამბავით იბურება: „ბოლოს და ბოლოს საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა იცოდეს, სიხაძდეღლეში რა

---

[1] ბატონ კონსტანტინეს სიტყვით, „თუ შესაძლოა ფილოლოგი გენიოსად იქნეს შერაცხული, აკად. ნ. მარი აბსოლუტური გენიოსი იყო“ (სერგი დურმიშიძე. კონსტანტინე გამსახურდია — 90, „მნათობი“, 1983, № 5. გვ. 133).

სულისკვეთების ადამიანი იყო ამ საუკუნის დიდი მეცნიერი, პატარა ქართულ ოჯახში გაზრდილი ნიკო მარი".

გადაწყდა ფართოდ აღნიშნულიყო ნ. მარის დაბადების 120-ე წლისთავი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაეკალა საიუბილეო ღონისძიებათა ჩატარება. აკადემიის პრეზიდიუმმა 1984 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა სათანადო გეგმა. პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამია: „აკად. ნიკო მარის მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში უმთავრესი ადგილი უკავია ქართველოლოგიას. იგი ითვლება ქართული მეცნიერული ფილოლოგიის ეოთერთ ფუძემდებლად და მის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად. ამასთანავე ე. წ. „პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის" მეთაურად. ნიკო მარმა მთელი ეპოქა შექმნა ამ სამეცნიერო დისციპლინის განვითარებაში და აღზარდა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კადრები, მათ შორის მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ქართული ფილოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დარგებში".

საქმე აეწყო და იუბილე კარგად ჩატარდა დედაქალაქში, ჩოხატაურში, ქუთაისსა და სოხუმში. საქმაო ითქვა და დაიწერა ნიკო მარის მართლაცდა ისტორიულ ღვაწლზე, თუმცა არც მისი შეცდომები ყოფილა მიჩქმალული. ვაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა ერცელი წერილი — „მსოფლიო მეცნიერი" (ქვესათაურით: აკადემიკოს ნიკო მარის დაბადების 120 წლისთავი). რომელსაც ხელს აწერდა ქართველ სწავლულთა ჯგუფი (ე. ხარაძე, გ. ჯიბლაძე, შ. ძიძიგური, ა. აფაქიძე, ა. ბარამიძე, ე. მეტრეველი, თ. გამყრელიძე, ს. ცაიშვილი).

აღნიშნულის მიუხედავად, საიუბილეო პერიოდშიც დაიბეჭდა მარის მეცნიერული ღირსების დამამცირებელი ნარკვევები (გ. ბარნოვის წერილები „მნათობის" 1984 და 1985 წლებში).

საკითხის გასაშუქებლად ცოტა უკან უნდა დავიხიოთ და მოვიგონოთ მწერალ თამაზ ჭილაძის გახმაურებული მონოგრაფია — „ვარდის ფურცლობის ნიშანი" („მნათობი", 1983, № 10, 11). ჯუმბერ თითმერია მართებულად წერს: „იშვიათად, რომ ბოლო ხანებში იმდენი ხმაური გამოეწვიოს ჩვენში რომელიმე პუბლიკაციას, რამდენიც გამოიწვია თამაზ ჭილაძის ვრცელმა ლიტერატურულმა ესეიმ „ვარდის ფურცლობის ნიშანი" („კრიტიკა" — ჩვენი კრიტიკული აზროვნების ავანგარდში, „ლიტერატურული საქართველო", 1.3.85). ჯერ იყო და გაჩუთ „თბილისის" რედაქციის შეკითხვაზე „პირადად თქვენთვის რით იყო გამორჩეული, დამახასიათებელი შარშანდელი წელიწადი?" — ღრამატურგ გურამ ბათიაშვილს უპასუხნია: „გამორჩევით დამახსომდა თამაზ ჭილაძის ბრწყინვალე გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე" („თბილისი", 13.I.84, კურსივი ჩემია, — ა. ბ.). „მნათობის" რედაქციას რამდენიმე წერილი მიუვიდა თ. ჭილაძის ნაშრომზე. რე-

დაჭკიამ შეარჩია და თითქმის რიგს გარეშე დასტამბა ჩემი კრიტიკული წერილი — „ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებური წაკითხვის გამო“ („მნათობი“, 1984, № 2. გვ. 120—137)[1].

თავისი ნაშრომით თ. ჭილაძე ახდენს მთელი რუსთველოლოგიური მეცნიერების მიერ აღიარებულ ძირითად პრინციპულ დებულებათა რევიზიას და გვთავაზობს საკუთარ ახლებურ თვალსაზრისს, დასრულებულად ჩამოყალიბებულ კონცეფციას. ავტორი არ ცდილობს ამ კონცეფციის დასაბუთებას, იგი მის შინაარსს გვამცნობს მთაბეჭდილებების სახით. თუმცა დასკვნებს გამოხატავს კატეგორიული ფორმით და ზოგჯერ ჰკუის სწავლებას (მენტორობას) კისრულობს.

ჯ. თითმერია თ. ჭილაძის ნაშრომს „ესეისტურ ტრაქტატს“ უწოდებს. ვიმოწმებთ პატივცემული კრიტიკოსის წერილის ნაწყვეტს:

„ჟურნალ „მნათობს“ თ. ჭილაძის ეს ნაშრომი არ უნდა გამოექვეყნებინა „რუსთველოლოგიის“ რუბრიკით. — „ვარდის ფურცლობის ნიშანს“, ვფიქრობ, არ უნდა ჰქონდეს „წმინდა მეცნიერული“, აკადემიური ნაშრომის პრეტენზია. საზოგადოებრიობის, უწინარეს ყოვლისა, რუსთველოლოგთა უკმაყოფილება, ალბათ, ამანაც გამოიწვია. ვიმეორებთ, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ არის პოეტის, მწერლის ვრცელი ესეისტური ტრაქტატი, რომელმაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა და არც შეიძლებოდა არ გამოეწვია. თ. ჭილაძემ თვითონ გადაუგდო ხელთათმანი ყველა დროის მრავალ ქართველ, რუს თუ ღცხოელ რუსთველოლოგს და „დუელი“ შედგა... (კურსივი ჩემია, მრავალწერტილი ჯ. თითმერიასი. — ა. ბ.).

მწერლის უწყინარი, უპრეტენზიო „ესსე“ ეწოდა თ. ჭილაძის ნაშრომს გიორგი ციციშვილმაც საქართველოს მწერალთა კავშირის X ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში (1986 წლის მაისში).

რასაკვირველია, პატივცემული ავტორები ტყუილად უხდიან ბოდიშს თ. ჭილაძეს, თ. ჭილაძის ნაშრომი დიდი პრეტენზიითაა დაწერილი. მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ მწერალი თურმე დიდი ხანი ემზადებოდა ამ ნაშრომის დასაწერად და გამოსაქვეყნებლად. თ. ჭილაძე სავანგებოდ მოგვითხრობს ამის თაობაზე „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე (21.8.85).

„ვარდის ფურცლობის ნიშანი“ რომ თ. ჭილაძეს უპრეტენზიო ესეისტურ ნაფიქრ-ნააზრევად მიეჩნია, გულწრფელად ეაცხადებ, კალამს

---

[1] ძალიან მწვავე ხასიათის ორი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა ალმანახ „კრიტიკაში“: „დვირე და წვეული“ (ზურაბ ჭავჭავაძისა, „კრიტიკა“, 1984, № 1); „ვეფხისტყაოსანი და ჩვენ, ანუ „საქმის უცოდინარი მკითხველი“ (შ. ხიდაშელისა, იქვე, 1984, № 2). შედარებით მოგვიანებით დაიბეჭდა ელიზბარ ჯაველიძის წერილიც მის ნაშრომთა კრებულში — „შტუდიებიო“ (თბ., 1985, გვ. 166—200).

არ ავიღებდი მის გასარჩევად. სწორია ჯ. თითმერიას შენიშვნა, რომ თ. ჰილაძემ „თვითონ გადაუგდო ხელთათმანი ყველა დროის... რუსთველოლოგს“. სწორედ ამან მაიძულა შევსიტყვებოდი ახალ რუსთველოლოგიურ ნაშრომს. ჩვენ ტაქტიანად, თავაზიანად და აკადემიური კილოთი (ოღონდ კრიტიკული თვალით) განვიხილეთ თ. ჰილაძისეული ახალი თვალსაზრისი. თ. ჰილაძე კი, იმის ნაცვლად, რომ ყურადღება ჩვენი საქმიანი შენიშვნები, განაწყენდა, ანგარიშსწორებისა და გაღმა გამოდავების წესით შეეცადა ჩვენი მეცნიერული სახელის დისკრეტიზაციას. თუმცა ისიც სათქმელია, რომ თავისი საჟურნალო ნაშრომი თ. ჰილაძემ 1984 წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა. აქ მან ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა (ჩვენი კრიტიკის შედეგად, ოღონდ ამის დაუსახელებლად), სახელდობრ, თამარ მეფეს ჩამოაცილა „ბეცი პოლიტიკოსის“ იარლიყი აქედან გამომდინარე გარკვეული დასკვნებით (შეადარეთ „მნათობის“ 1983 წლის მეათე ნომრის 141-ე გვერდის ტექსტი — წიგნის — „ვარდის ფურცლობის ნიშანი“. თბ., 1984 — 56—57-ე გვერდების ტექსტს).

ისიც მართალია, რომ გარეგნულად და მოჩვენებითად თ. ჰილაძე თითქოს საქმეში არც ჩარეულა. ძმაკაცურად მას შეეხიდა გურამ ბარნოვი უწყინარი სათაურის მქონე წერილით — „ისევ ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო“ („მნათობი“, 1984, № 10. გვ. 143—156). გ. ბარნოვი ქომაგობს თ. ჰილაძეს და აკრძალული ილეთების გამოყენებით თავს გვესხმის და ბრალს გვდებს, ვითომც ჩვენ ვამცირებთ ილია ჭავჭავაძის სახელს და იმის როლს რუსთველოლოგიაში, ხოლო სამაგიეროდ ვადიდებთ და ვაიდეალებთ ნიკო მარს, სიმართლის დასადგენად კი მომიხდა ატეხილ დავაში ჩაბმა. სრულიად აუხსნელი მიზეზით „მნათობის“ რედაქციამ დიდი დაგვიანებით და გარკვეული „ჩალხის“ გაკვრით დასტამბა ჩემი წერილი — „აუცილებელი განმარტება“ („მნათობი“, 1985, № 9; თავდაპირველი რედაქციითა და ერთი ახალი თავის დამატებით ეს წერილი დაიბეჭდა ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნეში“, 1985, № 2; „მნათობისა“ და „მაცნეს“ წერილები გამოქვეყნდა ერთდროულად).

გასაოცარი ის არის, რომ ჩემს „განმარტებას“ („მნათობის“ მ ე ც ხ რ ე ნომერში რომაა დაბეჭდილი), ელვის სისწრაფით, იმავე ჟურნალის უკვე მომდევნო მ ე ა თ ე ნომერში მოჰყვა გ. ბარნოვის ერთგვარი პასუხი — „ურემი გადაბრუნდა, გზა მაინც არ ჩანს“ (გვ. 114—126). ეს წერილი იმად არ ღირს, რომ იმაზე სიტყვა გავაგრძელო, დავკმაყოფილდები მხოლოდ რეპლიკით.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ამახინჯებს გ. ბარნოვი სხვის ნაფიქრ-ნააზრევს და მისი შენათხზის კვალობაზე გამოაქვს შორს გამწვდენი დასკვნები, დავიმოწმებ ორ მაგალითს:

1. გ. ბარნოვი წერს, რომ ნ. მარის 1910 წლის (Tp, XII) „ნაშრომში ვხვდებით საინტერესო ლინგვისტურ დაკვირვებებს „მოყმეზე" და „ჭაბუკზე" და რომ „მარის ამ დაკვირვებას" (შდრ. „დაკვირვებებს" — „დაკვირვებას", — ა. ბ.) მაღალ შეფასებას აძლევს ბატონი ივანე ჯავახიშვილი" (გვ. 116, კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია. — ა. ბ.) დამოწმებულ ტექსტს შევადაროთ ი. ჯავახიშვილის საკუთარი სიტყვები:

„ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნიკო მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ ვეფხიტყაოსნის შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობის წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადალახა და ცხადყო ის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგოსნის უკვდავ ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მიენიჭოს" („შოთა რუსთაველის 750 წლისთავის ზეიმის გამო", წიგნიდან— „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები", თბ., 1956, გვ. 10, კურსივი ჩვენია, — ა. ბ.).

როგორც სრულიად გარკვევით არის აღნიშნული, ივანე ჯავახიშვილი აქ ეხება ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის, მიზანდასახულობისა და პოეტური მრწამსის მარისეული გაშუქების საკითხებს. ი. ჯავახიშვილის დასკვნით, სწორედ ამ საკითხების „მშვენივრად" გაშუქებამ რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების ფარგალი გააფართოვა, საერთაშორისო ხასიათის მასშტაბი მისცა და „ახალი ხანა შექმნა".

გ. ბარნოვი უხეშად და უმოწყალოდ ამახინჯებს ივანე ჯავახიშვილის მაღალ, პრინციპულ შეხედულებას ნიკო მარის ღვაწლის თაობაზე რუსთველოლოგიის დარგში.

2. განხილულის შემდეგ რა გასაკვირი იქნება, გ. ბარნოვი რომ ჩემს მოსაზრებებს ამახინჯებდეს. მაინც ერთ სანიმუშო მაგალითს ამ სფეროდანაც მოვიყვანთ.

გ. ბარნოვი ბრალს გვდებს და შემოგვჩივის:

„ილიას. როგორც მოღვაწის, დაკნინებაა იქ, სადაც ფაქტიურად მართო „დატოვეთ" ნ. მარის წიხაა ღმდეგ და თითქმის არაფერს ამბობთ იმის შესახებ, რომ ილიას მხარში ედგნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მხარში ედგა მთელი ქართველი

მოწინავე საზოგადოება, ანდა, პირიქით, ილია ედგა მათ მხარში“ (გვ. 124).

ამ შემთხვევაშიც უღვთოდაა დამახინჯებული ჩვენი თვალსაზრისი და წარმოდგენილია აშკარად ყალბი ინფორმაცია. აი, რას ვკერდით ჩვენ ჯერ კიდევ 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღძრულ საკითხზე:

„რუსთველის ვეფხისტყაოსანი იყო ილიას შთამაგონებელი პოეტური ძეგლი, მისი სულიერი საზრდოს უშრეტი წყარო. დაახლოებით ასეთსავე როლს თამაშობდა ვეფხისტყაოსანი საზოგადოდ XIX საუკუნის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ხელმძღვანელი მოღვაწისათვის. ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაბელს... თავი მოჰქონდათ ქართული სულიერი კულტურის ამ უჭკნობი გვირგვინით — შოთა რუსთველის გენიალური ვეფხისტყაოსნით“ (ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, წიგნიდან: „ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული“, თბ., 1957, გვ. 37; აგრეთვე, ჩვენი „ნარკვევები“, VI, 1975, გვ. 273).

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმული ქართველი საზოგადოებისათვის ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა ისეთ უბადლო მხატვრულ ძეგლს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა, სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებები. ამიტომაც იყო შეუპოვარი ქომაგი რუსთველის ღირსებისა და დუნდობელი მებრძოლი ქართველთა ამ ეროვნული დიდების განმაჭიქებელთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღვაწლმოსილი მესვეური ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა ივ. ჯაბადარს, მან არ დაინდო არც ნ. მარის ზოგიერთი შეუფერებელი გამოსვლა. ნიჰილისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ილიას გვერდში ედგნენ და მხარს უმშვენებდნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართველთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ცნობილი წარმომადგენელი“ (ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 464).

ჩვენ არაერთგზის ვამბობთ, რომ ვეფხისტყაოსნის ღირსების აღიარებისა და დაცვის საქმეში სრული ერთსულოვნება სუფევდა ქართ-

ველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ცნობილ მოღვაწეთა შორის, რომ ილია ჭავჭავაძეს „გვერდში ედგნენ და მხარს უმშვენებდნენ“ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა.

ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ ეროვნულ მოღვაწეთაგან ზოგიერთს (მაგ., ნიკო ნიკოლაძეს) თავისი საკუთარი, განსხვავებული შეხედულება ჰქონდა რუსთველოლოგიის სფეროში. ილიას თვალსაზრისი განსხვავდებოდა აკაკი წერეთლის თვალსაზრისისაგან, ორივესი — ნიკო ნიკოლაძისაგან. მაგრამ ყველანი ეროვნული კონცეფციის ნიადაგზე იდგნენ. აკაკი წერეთლის კონცეფცია განხილული გვაქვს მონოგრაფიაში შოთა რუსთველზე (თბ., 1958, 1966, 1975), ასევე ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისიც, რომელიც ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად მკაცრად გააკრიტიკა (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, VI, გვ. 285—290). რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, მას ჩვენ მივუძღვენით სპეციალური ნაშრომი — „ვაჟა-ფშაველას რუსთველოლოგიური ნააზრევი“ (ნარკვევები, VI, გვ. 110—120; იხ. აგრეთვე ჩვენი წერილი ვაჟასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, თბ., 1961, გვ. 29—39). აქაც ვავითარებთ ზემოთ დამოწმებულ მოსაზრებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა შეხედულებების თაობაზე. სახელდობრ ჩვენ გვიწერია:

„ვაჟა-ფშაველასთვის, ისე როგორც ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა და საზოგადოდ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთათვის, რუსთველის ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა იმ უბადლო მხატვრულ ძეგლს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ერის კულტურული მოწინფულობა, სოციალური თავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებები“ (ნარკვევები, VI, გვ. 38). შესაფერი უხვი მასალით ვასაბუთებთ, რომ ვაჟა-ფშაველა დამარწმუნებლად აბათილებს ნ. მარის მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის (ფაბულის) სპარსული წყაროს არსებობის შესახებ და მწვავედ შენიშნავს: „არ ვიცი ბ. მარრი და კომპ(ანია) საიდან იპოვნიან ამ არ-არსებულ! ?“

ჩვენ ჩვენის მხრივ გადაჭრით ვასკვნით:

„საკითხის ამგვარად დასმითა და მისი მახვილგონივრული გადაწყვეტით ვაჟა-ფშაველამ ძირი გამოუთხარა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის (შარისეულ) თეორიას და მეცნიერულად დაასაბუთა მისი ორიგინალობა. ვაჟამ ნამდვილად აღმოაჩინა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნასესხობის გამაბათილებელი ურყევი საბუ-

თი. თანამედროვე რუსთველოლოგიური მეცნიერება მთლიანად იზიარებს ვაჟა-ფშაველას პრინციპულ მოსაზრებასაც და მის საბუთიანობასაც“ (ნარკვევები, VI, გვ. 114).

ახლა მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სწორია გ. ბარნოვის ინფორმაცია და მართლა მარტოდ დავტოვეთ ილია ჭავჭავაძე ნ. მარრს წინააღმდეგ და თითქოს არაფერს ვამბობთ „იმის შესახებ, რომ ილიას მხარში ედგნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მხარში ედგა მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოება“.

ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ გ. ბარნოვი ან კარგად არ იცნობს საგნის სპეციალურ ლიტერატურას, ან ზერელედ ეცნობა მას. ან კიდევ (რაც განსაკუთრებით სამწუხაროა) შეგნებულად ამახინჯებს და აყალბებს დოკუმენტურ მასალებს.

გ. ბარნოვის წერილს ახლავს პოსტსკრიპტუმი, რომელიც ასე იწყება:

„წინამდებარე წერილი რედაქციაში მქონდა გადაცემული, როცა „მნათობის“ მეცხრე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ (რედაქტორი ალ. ბარამიძე) მეორე ნომერში ერთდროულად აღმოჩნდა დაბეჭდილი ერთი ავტორის (ალ. ბარამიძის) ერთი და იგივე იდენტური წერილი, ოღონდ სხვადასხვა სათაურით. „მაცნეში“ — „აკრძალული ილეთებით პაექრობის გამო“ და „მნათობში“ — „აუცილებელი განმარტება.“ მოხდა სრულიად უნიკალური შემთხვევა, რასაც მე პირადად ამ ორსათაურიანი სტატიის ავტორის „თადარიგიანობით“ ვხსნი, ვიდრე თავისი კოლეგის, „მნათობის“ რედაქტორის უპატივისმცემლობით“ (გვ. 123).

ამის შემდეგ გ. ბარნოვი იმოწმებს „მაცნედან“ სამ ფრაზას, რითაც იგი განსხვავდებაო „თავისი ტყუპისცალისაგან...“. როგორც ჩახს, ალ. ბარამიძემ თავს უფლება მისცა „საკუთარ ჟურნალში უფრო „ბუნებრივი“ და „შინაურული“ ყოფილიყო“.

სწორია, რომ ორ სხვადასხვა ორგანოში დაიბეჭდა ჩემი თითქმის ერთი და იგივე წერილი ორი განსხვავებული სათაურით. საქმე ისაა, რომ ჩემი წერილი თვეობით უმოძრაოდ იყო „მნათობის“ რედაქციაში. მტკიცე დაპირების მიუხედავად, რედაქციამ რამდენიმეჯერ გადადო მისი გამოქვეყნება. ბოლოს, როცა იმედი გადამეწურა, რომ ჩემი წერილი „მნათობით“ იხილავდა დღის სინათლეს, დაეურთე მას ერთი ახალი თავი და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის დადგენილებით შევიტანე დასაბეჭდად „მაცნეს“ მეორე ნომერში („მაცნე“ ჩემი „საკუთარი ჟურნალი“ არაა, იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ორგანოა!). წერილი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად, როცა, მაშინ ავადმყოფს, 1985 წლის აგვისტოს ერთ საღამოს, წავკისში ამომი-

ტანეს გადასახედად „მნათობის“ მეცხრე ნომრისათვის განკუთვნილი საკორექტურო ანაბეჭდი ჩემი წერილისა რედაქციის მიერ გადასხვაფერებული სათაურით და ტექსტობრივი ხასიათის ზოგიერთი ცვლილებით. ასე გამოქვეყნდა ჩემი წერილის ორი რედაქციული ტექსტი. „მნათობის“ პატივცემული რედაქტორის, ბატონ არჩილ სულაკაურის მიმართ არავითარი „უპატივისმცემლობა“ არ გამომიჩენია. ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ორივე წერილი ერთდროულად გამოქვეყნდა და მათ ერთმანეთისათვის ხელი არ შეუშლია (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, „მაცნეს“ ტირაჟია 1600 ცალი, „მნათობისა“ — 33 000).

მაკვირვებს, როგორ მოხდა, რომ ჩემს წერილს, რომელიც „მნათობის“ მე-9 ნომერში დაისტამბა (როგორც ვთქვით, დიდი დაგვიანებით). მაშინვე, ჟურნალის მომდევნო მე-10 ნომერში მოჰყვა გ. ბარნოვის ერთგვარი საპასუხო წერილიც. „მნათობის“ დასაბეჭდად გამზადებული ყოველი ნომრის ტექსტი ხომ ორი თვით მაინც ადრე მიდის სტამბაში. ცხადზე უცხადესია, რომ ჩემი წერილი წინასწარ გაუცვნიერებიათ დაინტერესებულ პირს საჯიჯგნელად და თავისი ახალი წერილის შესაკოწიწებლად თუ შესაკეთებლად.

1986

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის[1]

(პ. რატიანის წერილის გამო)

ჟურნალ „მნათობის“ 1968 წლის 2, 3, 4 და 5 ნომრებში საკითხის განხილვის წესით დაიბეჭდა პროკოფი რატიანის ვრცელი ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“. მკვლევრის ძირითადი მოსაზრებანი და მათი საბუთიანობა გადმოცემულია „მნათობის“ მეორე ნომერში (გვ. 150—178), ე. ი. პირველსავე წერილში. დანარჩენი წერილები, განსაკუთრებით მესამე და მეოთხე, პირველთან შედარებით, რაიმე ახალსა და პრინციპულად მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს. ამიტომაც ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვექნება სწორედ პირველი წერილი.

პ. რატიანი აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საკითხი „ამჟამად არსებითად იმავე დონეზე დგას, რა დონეზეც ამ ასი წლის წინათ იდგა“ (მნათობი, 2, გვ. 151). „ვეფხისტყაოსნის ავტორის

[1] დაიწერა და დაიბეჭდა ელენე მეტრეველისა და სარგის ცაიშვილის თანაავტორობით.

ვინაობის ძიება გამოუვალ ჩიხში მოემწყვდიაო". ამისი მიზეზიაო არა მარტო წყაროების ნაკლებობა, არამედ „საკითხისადმი ცალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომა" და „რუსთველოლოგიაში გაბატონებული ზოგიერთი ყალბი პრინციპით" ხელმძღვანელობა (იქვე, გვ. 152; დაყოფა აქაც და ქვევითაც ყველგან ჩვენია, რატიანისეული კურსივები საგანგებოდ აღინიშნება, ავტ.).

პ. რატიანი ყალბად თვლის შეხედულებას რუსთველის ერისკაცობაზე. „საკითხის გულდასმით და ყოველმხრივ შესწავლამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ რუსთველი — იმ პერიოდში, როდესაც იგი თავის პოემას წერდა — არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა ერისკაცი". „ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო, — განაგრძობს მკვლევარი, — დიდად განათლებული სასულიერო პირი, — ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით — რომელსაც გარკვეულ დროს ეჭირა რუსთავის (ბოსტან ქალაქის) ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა (კათედრა) და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთველად" (გვ. 150; კურსივი რატიანისაა. ავტ.).

პ. რატიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმეორებს, რომ „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის შესწავლა მეცნიერულად არ დგას სწორ გზაზე, ემყარება ყალბ წანამძღვრებს და უგულებელყოფს რეალურ-ისტორიულ სინამდვილეს. მკვლევარი გვპირდება არსებული „ყალბი დებულებების" გაბათილებას და თავისი „ახალი თვალსაზრისის" დასაბუთებას (გვ. 154).

პ. რატიანი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს სახელწოდება რუსთველის ანალიზი არავითარ ეჭვებს არ ტოვებს, რომ ამ „ტიტულის" მატარებელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თბილისის ახლოს მდებარე ქალაქ რუსთავის (ბოსტან ქალაქის) ეპისკოპოსი თუ მთავარეპისკოპოსი. ასეთივე უეჭველი დასკვნა გამომდინარეობსო ვეფხისტყაოსნის პროლოგის ანალიზიდანაც. საერთოდ, ძველ საქართველოში ეს საკითხი ცილობას არც იწვევდაო. როგორც ხალხური გადმოცემები, ისე, ე. წ., აღორძინების პერიოდის (XV—XVIII საუკუნეების) ლიტერატურული წყაროები ერთხმად ადასტურებენო, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო რუსთავის ეპისკოპოსი, „ეს საკითხი იმ დროს ყველასათვის ნათელი იყო" (გვ. 167, 176).

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის კვლევის თვალსაზრისით „ქართულ ლიტერატურაში აშკარად ორი პერიოდი შეიმჩნევაო", იუწყება პ. რატიანი. ერთი პერიოდი ყოფილა თეიმურაზ ბაგრატიონამდე (1782—1846), მეორე პერიოდი კი — თეიმურაზის შემდეგ („პირველი პერიოდი იწყება დაახლოებით XV საუკუნის ბოლოდან და გრძელდება XIX საუკუნის 30—40-იან წლებამდე. ხოლო მეორე პერიოდი — 30—40-იანი წლებიდან — დღემდე", (გვ. 167).

პ. რატიანის ძიების თანახმად, თეიმურაზ ბაგრატიონამდე ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საკითხში თურმე სრული ერთსულოვნება სუფევდა. ბაგრატიონთა შერყეული ოჯახის განდიდების სურვილმა აიძულაო სწავლული ბატონიშვილი შეემუშავებინა მთელი კონცეფცია, რისა გამოც მას მოუხდა შოთა რუსთველის ბიოგრაფიის გადაკეთება და თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის შეგუება (გვ. 168), თეიმურაზისეული კონცეფციით (ეს კონცეფცია ჩამოყალიბებული სახით წარმოდგენილიაო ვეფხისტყაოსნის განმარტებებში, რაც 1843 წელს დასრულდაო), შოთა რუსთველი ყოფილა ერისკაცი, ბაგრატიონთა გვარის შვილი, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი. „მართალია, თეიმურაზი პირდაპირ არ ამბობს, რუსთველი ბაგრატიონი იყოო, მაგრამ მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ასეთი დასკვნა მისი კონცეფციიდან უკვე თავისთავად გამომდინარეობდაო“, შენიშნავს პ. რატიანი (გვ. 169). „თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მიმდევართა წყალობით“, თურმე დაკარგულა ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელწოდების სწორი ფორმა რუსთველი და მის ნაცვლად გაჩენილა „საერო ელფერის დაწერილობა „რუსთაველი“ (გვ. 176).

„ერთი სიტყვით ყველა ჩვენთვის ცნობილი ფაქტი და მოვლენა, თუ მათ ობიექტურად განვიხილავთ და თვალს წინასწარ შედგენილი აზრით არ დავიბრმავებთ, გვიჩვენებს, რომ აღორძინების ხანაში კარგად სცოდნიათ, რუსთველი რომ სასულიერო პირი, გამოჩენილი პოეტი და მღვდელმთავარი იყო“ (გვ. 176).

პროკოფი რატიანი მოუწოდებს ყველას, „დროა უკუვაგდოთ თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მიმდევართა ზემოხსენებული ყალბი კონცეფცია და გავათავისუფლოთ რუსთველოლოგია მისი უარყოფითი გავლენისაგან“ (გვ. 170).

ბარაქალა თეიმურაზს, თუ მან შეძლო მკვლევართა მთელი თაობების დაბრმავება და მისეული კონცეფციის დამკვიდრება რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში!

პ. რატიანი ასახელებს XIX საუკუნის ოციანი წლების ერთ ძეგლს — „მცირე უწყებას ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც მისი გამომცემლის, ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევის მიხედვით, 1820—1827 წლებში უნდა იყოს დაწერილიო. ამ ძეგლში, ამბობს პ. რატიანი, „რუსთველის ვინაობის ზუსტად ისეთივე გაგებაა გადმოცემული, რაც აღორძინების ხანაში საყოველთაოდ მიღებული იყო... მაგრამ სულ მალე, როგორც ითქვა, მდგომარეობა შეიცვალა: ტრადიციული შეხედულება ეჭვს ქვეშ იქნა დაყენებული და გაჩნდა ახალი, თავსატეხი პრობლემები, რომელთა ირგვლივ დაუსრულებელი დავაკამათი გაჩაღდა“ (გვ. 177).

ჩვენც ამ ძეგლით („მცირე უწყებით“) დავიწყებთ ვეფხისტყაოს-

ნის ავტორის ვინაობის თაობაზე „ახალი თვალსაზრისის“ კრიტიკულად განხილვას.

„მცირე უწყება“ დაიბეჭდა „ძველ საქართველოში“ (I, 1909), შემდეგ იგი ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნა მისმა გამომცემელმა (საისტორიო მასალანი, I, 1913, 60 გვ).

გამოცემული ტექსტის შენიშვნებში ე. თაყაიშვილი წერდა, რომ „მცირე უწყება“ ვერ არის გამართული და „რიგიანად გადმოწერილი“, შეიძლება „რაიმე აკლდეს“ კიდეცო, „საჭიროა მოინახოს ამ სტატიის დედანიო“ (გვ. 59). „მცირე უწყების“ დედანი კარგა ხანია, რაც მოპოვებულია. ესაა იოვანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (იხ. კალმასობა, ტომი მეორე, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 162—214). ახლა გარკვეულია „კალმასობის“ ყველა სადავო ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი. აღდგენილია„ მცირე უწყების“ მართლაც საკმაოდ შეკეთებული ტექსტი. ყველაფერი ეს უცნობი დარჩენილა პ. რატიანისათვის. ჩვენი მკვლევარი „მცირე უწყების“ პირველი გამოცემის, ე. ი. ორმოცდაათი წლის წინანდელი ცოდნის დონეზე დგას ახლაც. მართალია, პ. რატიანს გაუგია, რომ ე. წ. მცირე უწყების (ეს შერქმეული სათაურია) ავტორია იოვანე ბატონიშვილი (და არა თეიმურაზი, როგორც ფიქრობდა ე. თაყაიშვილი), ოღონდ აქედან მას არ გამოუტანია საჭირო დასკვნა. ეს კია, რომ საგულვებელი დასკვნა აბათილებს „ახალი თვალსაზრისის“ ერთ მთავარ დებულებას. როგორც ვიცით, პ. რატიანის მოსაზრებით, თითქოს ფორმა რუსთაველი შემოიღო თეიმურაზმა. ნამდვილად ეს ფორმა დამოწმებულია კალმასობაში, ე. ი. იოვანე ბატონიშვილის ნაწარმოებში (იხ. კალმასობა, I, გვ. 53, 272, 275, 276, 282; II, გვ. 184). ფორმა რუსთაველი დამოწმებულია „მცირე უწყების“ თაყაიშვილისეული გამოცემითაც (გვ. 25). ამ გამოცემით სარგებლობდა პ. რატიანი. თუ პ. რატიანი აღიარებს, რომ „მცირე უწყების“ ავტორი იოვანე ბატონიშვილია, იგი ვალდებულია ისიც აღიაროს, რომ ფორმა რუსთაველი თეიმურაზის განმარტებაზე ადრე ყოფილა გამოყენებული. ამით ირღვევა პ. რატიანის დებულება — ფორმა რუსთაველი თეიმურაზმა შემოიღო თავისი კონცეფციის შესაბამისად. პ. რატიანი გამოუვალ ჩიხში მოექცა: იმას კი ამბობს, რომ კალმასობის ავტორი იოვანე ბატონიშვილია, მაგრამ მკითხველს უმალავს, იოვანე რომ ფორმა რუსთაველს ხმარობს. ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ფორმა რუსთაველს ხმარობენ თეიმურაზის მასწავლებელი დავით რექტორი ალექსიშვილი და ანტონ კათალიკოსი.

მთავარი სხვაა. პ. რატიანი ხომ ამტკიცებს, რომ რუსთაველი ერისკაცად პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა მონათლაო. საეჭვო მწერალთა შემოქმედების განხილვას კალმასობა იწყებს საგანგებოდ გა-

მოყოფილი სათაურით: „შობა რუსთაველისათვის და სხვათა ერისკაცთა პიიტიკოსთათვის (კალმასობა, II, გვ. 184). გარდა რუსთაველისა, აქაა სარგის თმოგველი, დილარგეთი, ჩახრუხაძე, ბაგნაკორელი, თეიმურაზ I, არჩილი და სხვ. მოყვანილი სათაური მოიპოვება კალმასობის დედანში, „მცირე უწყების" გამოცემულ ტექსტში იგი არ არის. ამრიგად, გამოირკვა, რომ იოვანე ბატონიშვილს თეიმურაზზე ადრე უხმარია ფორმა რუსთაველი და თეიმურაზზე ადრე უწოდებია რუსთველისათვის ერისკაცი. ყოველივე ამით საფუძველი გამოეთხარა პ. რატიანის თეორიას თეიმურაზის „კონცეფციის" თაობაზე.

ექვთიმე თაყაიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „მცირე უწყება" უშუალოდ „სარგებლობს ანტონ კათალიკოსის წყობილსიტყვაობით და იმავე რიგით აღნუსხავს მოღვაწეთა და მწერალთა სიას, როგორც ანტონ კათალიკოსს აქვს მოყვანილი" (გვ .55). სრული ჭეშმარიტებაა. კ. კეკელიძე ადასტურებს ე. თაყაიშვილის დაკვირვებას და თავის მხრივ ურთავს, წყობილსიტყვაობა იოვანე ბატონიშვილს „წინ უდევს, იმავე რიგით აღნუსხავს მოღვაწეებსა და მწერლებს, ზოგჯერ პარაგრაფების სათაურსაც ისევე იწყებს"[2].

ანტონ კათალიკოსის წყობილსიტყვაობა შეთხზულია არა უგვიანეს 1745 წლისა, ე. ი. თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებათა დაწერამდე ასი წლით ადრე (თეიმურაზის განმარტება ვეფხისტყაოსნისა 1843 წელს დასრულდა). წყობილსიტყვაობის მეშვიდე ნაწილი წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის ერთგვარი სისტემური მიმოხილვის საყურადღებო ცდას. ანტონი მოკლედ ახასიათებს როგორც საეკლესიო, ისე საერო მწერლებს. წყობილსიტყვაობის ეს (VII) ნაწილი ასეა დასათაურებული — „თვის ქართველთა სიბრძნისმოყვარეთა კაცთა მწიგნობართა"[3]. წყობილსიტყვაობის მეშვიდე ნაწილი შედგება რვა თავისაგან. პირველ შვიდ თავში გარკვეული რანგის მიხედვით დასახელებული და დახასიათებული არიან საეკლესიო მწერლობის წარმომადგენელნი, მერვე თავი დათმობილი აქვს საერო მწერლობას. პირველ თავში დახასიათებულია სამწერლო მოღვაწეობა კათალიკოსებისა, მეორე თავში — ეპისკოპოსებისა. მესამე — მეშვიდე თავებში — რიგი გამოჩენილი მამებისა (არქიმანდრიტების, ეკლესია-მონასტერთა წინამძღვრე-

---

2 ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ, 1960, გვ. 17; შდრ. იგივე, II, თბ., 1958, გვ. 17—18.

3 გამოცემულია პლ. იოსელიანის მიერ 1853 წელს. გამოცემის ტექსტი საჭირო შემთხვევებში შედარებული გვაქვს საუკეთესო ხელნაწერ დედანთან (ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 1).

ბის და უფრო დაბალი რანგის სხვადასხვა მღვდელ-მონაზვნებისა). პირველ შვიდ თავში დასახელებულ ყველა მწიგნობარს ამკობს ეპითეტი მამა („თვის მამისა იოანე კათალიკოსისა“ და ა. შ.). მერვე თავში, როგორც ვთქვით, ანტონი იხილავს საერო მწერლებს. რანგობის პრინციპი აქაც დაცულია, ჯერ მეფე მწერლებისა რიგია (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგი. თეიმურაზ II), მერმე დანარჩენი მწერლები მოდიან. რაღა თქმა უნდა, VIII კარში მოქცეულ მწერლებს აღარ უძღვის ეპითეტი მამა, რადგანაც ისინი ერისკაცები არიან.

საერო მწერლობის მიმოხილვას ანტონი იწყებს თეიმურაზ პირველით. მაგრამ სანამ საკუთრივ თეიმურაზის დახასიათებას შეუდგებოდა, ანტონს საზოგადოდ შეუნიშნავს — არც ერისკაცთა საქებელი საწერლო საქმიანობა დავიდუმოო „რომელთა შორის თეიმურაზ არს“ ასეთი და ასეთიო („არცაღა მათი ხსენება დავიდუმო, რომელნი სიბრძნის ქვემდებარები. სთქმიდეს ერისკაცთანი საქებელთა წერილთა, რომელთა შორის თეიმურაზ არს...“). წყობილსიტყვაობის მერვე თავში მოხსენიებულ მწერლებს ანტონ კათალიკოსი სრულიად გარკვევით უწოდებს ერისკაცებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეფე-მწიგნობრების შემდეგ პირველ ადგილზეა დასახელებული შოთა რუსთველი („თვის შოთა რუსთაველისა“). ამას მიჰყვება სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე...[4] ამრიგად, ანტონ კათალიკოსი, ისე როგორც იოვანე ბატონიშვილი, შოთა რუსთველს სრულიად უცილობლად თვლის ერისკაცად. ამით გაბათილებულია პ. რატიანის კატეგორიული განცხადება: „აღორძინების პერიოდის არც ერთ მწერალს ან მოღვაწეს არ უთქვამს, რუსთველი ერისკაცი იყოო“ (მნათობი, 2, გვ. 170). შესაფერისად ნიადაგი გამოეცალა პ. რატიანის მიერ შეთხზულ თეორიას თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიულ-კულ-

---

4 საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საერო მწერალთა შორის მოუთავსებია ანტონს სულხან-საბა ორბელიანი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ საბამ აღიარა კათოლიკობა დაწერა კათოლიკური აღმსარებლობის გამომხატველი „საკითხის კარი“. ანტონი ამბობს, საბას არ ვაქებ, რადგანაც განუდგა ჭმიდა ეკლესიას, შეთხზა სულის წამწყმედი „საშოთხის კარნი, გარნა ჯოჯოხეთის ბჭე“, „თვითცა წარწყმდაო“. სამაგიეროდ, ანტონი დიდად აფასებს სულხან-საბას საერო შემოქმედებას: „მაირნი მისნი საქებელ პიიტიკა, რაცა სოფლიოთ გამოთქვა სულხან-საბაო“, ანტონი ცნობს და აფასებს მხოლოდ იმას, რაც „სოფლიოთ“, ე. ი. საეროდ, გამოთქვა სულხან-საბამ კრიტიკოსი იმასაც უსვამს ხაზს, რომ საერო ხასიათის ნაწერებში საბას არ ჩაუქსოვებია „ლათინთა განხეთქილება“ და „წვალებაო“. ერთი სიტყვით, ანტონი საბას აღიარებს ღირსეულ საერო მწერლად, შესაფერისად საერო მწერალთა შორის ათავსებს მას და ახასიათებს მის შემოქმედებას. ანტონს საბა როგორც საეკლესიო მწერალთა შორის ჩაერიცხა, უნდა ეხმარა ეპითეტი მამა, მამად კი ანტონი საბას ვერ მოიხსენიებდა უკვე აღნიშნული გარემოების გამო.

ტურულ კოხცეფციაზე. ახლა მკითხველმა განსაჯოს, თუ ვინ აყალბებს ისტორიულ სინამდვილეს.

ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ისიცაა, რომ ანტონ კათალიკოსი ხმარობს ფორმას რუსთაველი. ერთ საგაზეთო წერილში ა. შანიძე და ალ. ბარამიძე აღნიშნავენ, რომ ფორმა რუსთაველი შემოიღო ანტონ კათალიკოსმა[5]. ამ საკითხს ა. შანიძე შემდეგ რამდენიმეჯერ დაუბრუნდა — „რუსთაველი თუ რუსთველი?“[6], „Руставели или Руствели“[7]. ანტონ პირველის გავლენა სალიტერატურო ქართულზე“[8]. ა. შანიძეს დასაბუთებული აქვს, ანტონი იმიტომ ხმარობს ფორმას რუსთაველი, რომ იგი, როგორც გრამატიკოსი, საერთოდ გაურბოდა ფუძეების შეკუმშვას[9]. „არა მარტო შოთას, არამედ ნიკოლაოს მიტროპოლიტსაც იგი რუსთაველობით ახსენებსო“, შენიშნავს ა. შანიძე[10]. ალბათ, ყოველივე ეს არ იცოდა პ. რატიანმა. თუ იცოდა, რად არწმუნებდა მკითხველს, რომ „თეიმურაზისა და მის მიმდევართა წყალობით გაჩნდა საერო ელფერის დაწერილობა რუსთაველიო“? ვიმეორებთ, ფორმა რუსთაველი შემოიღო ანტონ კათალიკოსმა, თეიმურაზზე ერთი საუკუნით ადრე. ამ ფორმას ხმარობს დავით რექტორიც[11] ეს ფორმა სწორედ ანტონისა და დავით რექტორის (და არა თეიმურაზის) წყალობით გავრცელდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ შოთა რუსთველი იყო სასულიერო პირი, პ. რატიანს მოჰყავს აშკარად აბსურდული საბუთი (ბოდიშს ვიხდით ამ გამოთქმისათვის, მაგრამ სხვა შესაფერისი სიტყვა ვერ მოვიგონეთ), თითქოს ანტონის დროს და ადრეც ეპითეტები რიტორი, ბრძენი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი იხმარებოდა მხოლოდ განათლებული სასულიერო პირის აღსანიშნავად (მნათობი, 2, გვ. 170, 173, 174 და სხვ.). მკვლევარს დამოწმებული აქვს შოთა რუსთველის ანტონისეული ცნობილი დახასიათება — „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის, თუ სამ სწადოდა, ღვთისმეტყველიცა მაღალ, უცხო საკვირველ პიიტიკოს-მესტიხე, მაგრა ამაოდ დაშვ-

---

5 რუსთაველი თუ რუსთველი? (გაზ. „კომუნისტი“. 10, 1, 61).

6 ვეფხისტყაოსნის საკითხები, I, 1966, გვ. 260—268.

7 იქვე, გვ. 282—283.

8 თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1964.

9 იქვე, გვ. 78.

10 იქვე, გვ. 34.

11 ალ. ცაგარელი, Сведения, III, გვ. 257. როგორც ტ. რუხაძემ გამოარკვია, 1810 წლის კატალოგი, სადაც დამოწმებულია ფორმა რუსთაველი, შეუდგენია დავით რექტორს (ვინ არის 1810 წლის ძველი ქართული მწერლობის კატალოგის ავტორი? „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 3).

რა, საწუხ არს ესე". მოყვანილი ტექსტის გამო პ. რატიანი შენიშნავს „განსაკუთრებით საყურადღებოა ანტონ პირველის ცნობილი სიტყვები, სადაც რუსთველის ერთგვარ განჭიქებასთან ერთად, პირდაპირ აღიარებულია, რომ რუსთველი ბრძენიც იყო, ფილოსოფოსიცა და ღვთისმეტყველიც... ანტონ კათალიკოსის ეს სიტყვები ყოველ ეჭვს გარეშე მოწმობენ, რომ საქართველოს ეკლესიის გამოჩენილ საჭეთმპყრობელს რუსთველი წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც უმაღლესი რანგის სასულიერო პირი და ფრიად განათლებული ღვთისმეტყველი" (იქვე, გვ. 174).

ჯერ პატარა შენიშვნა: პ. რატიანი მთლად ზუსტად არ გადმოსცემს ანტონის სიტყვების შინაარსს. ანტონი პირდაპირ არ ამბობს, რომ რუსთველი იყო ღვთისმეტყველი, არამედ — რომ მოეწადინებინა, იქნებოდა დიდი ღვთისმეტყველიცო (ა. შანიძის რუსული თარგმანით — „В случае желания он мог бы быть и великим богословом").

ეს სხვათა შორის. სიბრძნის მოყვარეს, ფილოსოფოს გამომთქმელს, მშვენიერ რიტორსა და პიიტიკოსს უწოდებს ანტონი სარგის თმოგველს (რომელიც არისო „შოთაებრი კაცი"); საღმრთო ბრძენი, მაღალ პიიტიკოსი, უცხო რიტორი და ღვთისმეტყველი ყოფილა თეიმურაზ პირველი; ყოვლად მეცნიერი, ბრძენი, სიბრძნისმოყვარე, ქრისტესმოყვარე, „ღვთისად ტრფიალი" ყოფილა თეიმურაზ მეორეც: ვახტანგ ორბელიანი — სიბრძნისა ქვემდებარე, ფილოსოფოსი, პიიტიკოსი უცხო. ფილოსოფოსს უწოდებს ანტონი დიმიტრი ციციშვილსაც. როგორ, სასულიერო პირები იყვნენ თეიმურაზ I და II, სარგის თმოგველი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ციციშვილი და ძმანი მათნი? თუ პ. რატიანს დავუჯერებთ, ქართველობას ძველად აღარ ჰყოლია განსწავლული საერო მწერალი და მოღვაწე. ყველა განათლებული და განსწავლული პირი სამღვდელოთა შორის ყოფილა საძიებელი. ეს დამცირებაა ძველი ქართული დიდებული საერო მწერლობის ა. ეს არის, მართლაც, ძველი ქართული კულტურის ყალბი გაგების შედეგი!

ერთგან პ. რატიანი სერიოზულად წერს: „შოთა რომ ერისკაცი ყოფილიყო, ცხადია, ვერ შესძლებდა მიეღო ასეთი ბრწყინვალე განათლება" (მნათობი, № 5, გვ. 133). სწორედ რომ უცნაურია! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრწყინვალე განათლება ჰქონია მიღებული შოთას თანამედროვე მეხოტბე პოეტ ჩახრუხაძეს. დღესაც გვაცვიფრებს მისი ფართო განსწავლულობა და ლიტერატურული ერუდიცია. ნ. მარი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჩახრუხაძის ოდებით „мы имеем единственный в своем роде источник для изучения своеобразной грузинской культуры XII века. В культурно-историче-

ском отношении источник этот важен не только сведениями о литературных фактах, в нем одном имеющимся, но и общим впечатлением, получаемым от его чтения в пользу изысканной и разносторонней образованности грузинского общества XII века, для развлечения которого писались эти оды".

თურმე ნუ იტყვით, ერისკაცებს სად ჰქონდათ დრო სწავლა-განათლებისა და კითხვისათვის, მათი „დრო და ენერგია, უმთავრესად. სამხედრო წვრთნას, ნადირობასა და ომებს ხმარდებოდა" (მნათობი, 5. გვ. 133).

ჩვენ იძულებული ვხდებით შევახსენოთ მკვლევარ-ისტორიკოსს დავით აღმაშენებლის მაგალითი. საყოველთაოდ ცნობილია დავითის ომებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მშენებლობის ამბები. მაგრამ ამ შესანიშნავ მოღვაწეს ისე ჰყვარებია წიგნების კითხვა, რომ მთელი ბიბლიოთეკა დაჰქონდა თურმე თან ლაშქრობისა და ნადირობის დროს. ბევრს კითხულობდა დავითი როგორც სასულიერო, ისე საერო და სამეცნიერო წიგნებს. მის ისტორიკოსს საგანგებოდ დაუთვლია, რომ მარტო ერთი წლის განმავლობაში დავითს „ოცდაოთხჯერ წარეკითხა" წიგნი სამოციქულო"[12]. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ[13], „გასაოცარი ეს არის, რომ დავით აღმაშენებელს საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც. მუჰამმედი ალ-ჰამავი ამბობს, რომ მეფე დავით ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზედაც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საითგან წარმოსდგაო". დიახ, დავით აღმაშენებელი „ბრძენი და განათლებული" ადამიანი ყოფილა[14]. ვეკითხებით პ. რატიანს, მთავარეპისკოპოსი ხომ არ იყო ის დალოცვილი?

რად ავიწყდება პ. რატიანს, რომ შოთა რუსთველის მოძღვრების თანახმად, სანაქებო რაინდის სავალდებულო თვისებად (სხვა თვისებებთან ერთად) ითვლებოდა განსწავლულობა, სიბრძნე და გონიერება. ამისათვის რაინდს საჭირო „მოცალეობაც" უნდა ჰქონოდა (სტროფი 23). გონიერ, ბრძენ რაინდებად გვიხატავს შოთა რუსთველი თავის საყვარელ გმირებს — ტარიელსა და ავთანდილს (ისინი ფილოსოფიურადაც გაბრძნობილნი იყვნენ). რას გვეტყოდა მკვლევარი ისტორიკოსი, ტარიელი და ავთანდილი მღვდელ-მონაზვნები ხომ არ იყვნენ. ანდა მაღალი რანგის იერარქები?!

სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს პ. რატიანი თავის მოკავშირე-

---

12 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, თბ., 1955, გვ. 348—349.

13 ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 211.

14 იქვე. გვ. 210, 212.

ებად არჩილ მეორეს და მის ინტერპრეტატორ სიმონ ჯანაშიას. არჩილს ეკუთვნის ზნეთსწავლის თავისებური სახელმძღვანელო „საქართველოს ზნეობანი“. აქ დახასიათებულია „საღმრთო“ და „სამზედრო“ (საერო) ზნეობათა სხვადასხვა სახეობანი. ყველა „ზნეობაზე“ მაღლა ავტორი აყენებს განათლებას, განსწავლულობას ანუ სიბრძნეს („სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა“). სწორია ს. ჯანაშიას განმარტება, რომ სიტყვა სიბრძნეს არჩილი „ხმარობს ვიწრო მნიშვნელობით, ღვთისმეტყველებისა, თუ სასულიერო განათლების აღსანიშნავად“. პ. რატიანი იმოწმებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას და უადგილო ადგილას წყვეტს მეცნიერის მსჯელობას (მნათობი, 2, გვ. 173). ს. ჯანაშია კი განაგრძობს: „თავისი დროის ზნეობრივ დაცემას, ყველა ამ „ცრუ ფასობას“, ზაკვა-უნამუსობას, ლიქნასა და „ღვთის შიშის გულით განვარდნას“ არჩილი სწორედ „სამღვთო საქმის“ უმეცრებას მიაწერს. ამიტომ ადგილს უთმობს მას იმდროინდელი ფეოდალისათვის სავალდებულო თვისებებში“[15].

ს. ჯანაშიას დაკვირვების თანახმად, არჩილი სავალდებულოდ უთვლის „იმდროინდელ ფეოდალებს“ სასულიერო განათლების მიღებას, სამღვთო სიბრძნის დაუფლებას. ცხადზე უცხადესია რომ „იმდროინდელ ფეოდალებად“ ს. ჯანაშია გულისხმობს თავადაზნაურობას. უწინარეს ყოვლისა, საერო დიდკაცობას. როგორ, შესაფერისად განსწავლული და საღვთო სიბრძნეს დაუფლებული ყველა იმდროინდელი ფეოდალი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო? აი, ამას ვერ ამჩნევს, ანდა ამჩნევს, მაგრამ განზრახ ხუჭავს თვალს მკვლევარი პ. რატიანი. პ. რატიანი ამახინჯებს ს. ჯანაშიას შეხედულებას აღძრულ საკითხზე.

ახლა თვითონ არჩილზე. ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ, სამწუხაროდ, პ. რატიანს სრულად და პირველი წყაროებით არ შეუსწავლია XV — XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა. ის დაკმაყოფილებულა მარტოოდენ იმ ქრესტომათიული მასალით, რომელიც მოთავსებულია კრებულში „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს“ (თბილისი, 1937). ამ კრებულის მასალებმა კი პირდაპირ სკანდალური ხასიათის შეცდომები დაუშვებინა ჩვენს მკვლევარს. ამისი საბუთია ანტონ კათალიკოსის წყობილსიტყვაობის დამოწმებული ტექსტი და რუსთველობის პრობლემის არჩილისეული გაგების რატიანისეული ინტერპრეტაცია.

---

15 ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 503, ხაზგასმა ჩვენია. — აეტ.

ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ პ. რატიანის „თეორიის“ თანახმად, თითქო ფორმა რუსთაველი შემოიღო თეიმურაზ ბაგრატიონმა, ახლა ვიცით, რომ ეს ფორმა გამოყენებული ჰქონიათ იოვანე ბატონიშვილს, დავით რექტორს და თვითონ ანტონ კათალიკოსს. მაგრამ არც იოვანე ბატონიშვილის და არც დავით რექტორის ცნობები დასახელებულ კრებულში შეტანილი არ არის, ხოლო ანტონის ტექსტი იქ უხეშად არის დამახინჯებული: კრებულის როგორც საკუთრივ ტექსტში, ისე სარჩევში დაბეჭდილია „თვის რუსთველისა“ (გვ. 111). ნამდვილად კი ანტონს უწერია „თვის შოთა რუსთაველისა“[16]. ქრესტომათიის ეს უხეში შეცდომა დაედო საფუძვლად პ. რატიანის შორს გამწვდენ „ახალ თვალსაზრისს“ რუსთველის ვინაობის თაობაზე საზოგადოდ, კერძოდ, ამ საკითხის ანტონისეულ გაგებაზე.

მსგავსი მდგომარეობაა არჩილის შესახებაც. არჩილის ნაწერები გამოცემულია ორ ტომად (არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ 1936; ტ. II, 1937). პ. რატიანის ცოდნა ამოიწურება ქრესტომათიით. მკვლევარს რომ „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ მთელი ტექსტი შეესწავლა, გაიგებდა: არჩილს რუსთველი წარმოდგენილი ჰყავს სახელოვან მ ე ს ხ მ ე ო მ რ ა დ, მოყმე-რაინდად, რომელსაც მონაწილეობა მიუღია თამარ მეფის დროინდელ ყველა ღირსშესანიშნავ ომში, გარდა ბასიანის ომისა. არჩილის პოემის მიხედვით, თეიმურაზი დასცინის რუსთველს, ბასიანის ომის დროს ქ ა ლ ე ბ თ ა ნ ი ბ ღ უ ნ ძ ო დ ი ო. აბა, სად მოყმე-რაინდი და აშიკი პოეტი, და სად დიდი მღვდელ-მთავარი?! ისიც საგულისხმოა, რომ, არჩილის მიხედვით, რუსთველი ყოფილა მესხეთის რუსთავიდან, მესხი მოყმე, რომელსაც არაფერი საერთო არ შეიძლებოდა ჰქონოდა თბილისის მახლობლად მდებარე რუსთავის ეპისკოპოსთან.

თურმე ვახტანგ მეექვსეც სასულიერო პირად თვლის შოთას. საბუთი? საბუთი შემოკითხვის ფორმითაა ფიქსირებული. ვახტანგი ვეფხისტყაოსანს თვლისო „საღვთო ნაწარმოებად“, ხოლო როგორ შეეძლო ვახტანგს „ეფიქრა და დაეწერა ვეფხისტყაოსანში ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ს ა ღ ვ თ ო, მას რომ რუსთველი, ერისკაცად ჰყავდეს წარმოდგენილი“ (მნათობი, 2, გვ. 172). შემოკითხვა მკვლევარს უკვე უნდა ღაეუბრუნოთ. ვახტანგი არსად არ ამბობს, რომ ვეფხისტყაოსანში „ყველაფერი საღვთოაო“. მთელი თავისი „თარგმანის“ მანძილზე ვახ-

16 იხ. წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, სტროფი 802, ხელნაწერი S I, გვ. 99. როგორც ცნობილია (ცნობილი ჩვენთვის, თუმცა პ. რატიანისათვის უცნობი დარჩენილა), ფორმა რუსთაველი დამოწმებულია ანტონის ღრამატიკაშიც (ილ. აბუაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულების შესახებ, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 203).

ტახგი ბეჯითად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანი „საღმთო არის და საეროც, სამღვდელოთაც კარგა ითარგმნება და საეროთაც უთქვამს“[17]. ვეფხისტყაოსნის აეტორი ვახტანგს მაშინაც შეეძლო ერისკაცად დაესახა, პოემას რომ მთლიანად საღვთო ნაწარმოებად მიიჩნევდეს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სწავლული მეფე რუსთველის პოემას ორმხრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. ერთგან გაცხარებითაც ამბობს: „ბევრჯელ მითქვამს რუსთველს სადაც პირი მოუკრავს, სამღვთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივ დაუწერია“, პ. რატიანი მკითხველ საზოგადოებას აწვდის არასწორ ცნობას.

თეიმურაზ მეორესაც „სასულიერო პირად უნდა ჰყავდეს წარმოდგენილი (შოთა რუსთველი). ამას ის ეპითეტები მოწმობს, რომლებითაც ის რუსთველს ამკობს: „ფილოსოფიის დიდი მცოდნე“, „ბრძენი“ და ა. შ. (მნათობი, № 2, გვ. 173). ამ ეპითეტებზე უკვე ვილაპარაკეთ და ახლა აღარ გავიმეორებთ. მკითხველისათვის უკვე ცნობილია ხსენებული საბუთიანობის უნიადაგობა.

საგანგებოდ და ვრცლად ჩერდება პ. რატიანი აღორძინების პერიოდის ადრინდელი მწერლის, XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე სერაპიონ საბაშვილის ცნობებზე. მას მთლიანად მოჰყავს „როსტომიანის“ ტექსტში ჩართული „გაბაასება“. ანალიზის გასაადვილებლად ჩვენც ვიმოწმებთ ამ საყურადღებო ტექსტს:

აქა მელექსე ავად გახდა, რა ექნა ამ მარტვილების გადამკიდე?

ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექნა ნადიმობა;
ხელყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა;
ძველი ტახტი განაახლა, ჰპოა ღვთითა მორჩმულობა,
ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა!

აქა რუსთველისაგან პასუხის შექცევა:

რას მომერჩი ბერი ბერსა; — მე გავლექსე ლამაზ ენა!
აშიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშენა;
შენ ტყუილად შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილად ენა,
თემსა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.

აქა ბაგრატის პასუხის შექცევა:

ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული,
მეფე უნდა ღვთის მოშიში, სიკეთითა დანერგული;
ამ სოფლისა დიდებასა მირჩევნია მცირე სული,
არას შარგებს საუკუნოს საბჯოდ შენი ჭირნახული.

17 ვრცლად ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი (ლიტერატურული ძიებანი; XV, 1963, გვ. 166—167; მისივე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 414—415.

აქ გვაქვს სამი პირის — ბაგრატ მუხრანბატონის (1512—1539), სერაპიონ საბაშვილისა (როსტომიანის გამლექსავის) და რუსთველის „გაბაასება“. სერაპიონი იყო ბაგრატის თანამედროვე და თანამოღვაწე პოეტი. ამ ბაგრატმა 1539 წელს მუხრანბატონობას თავი გაანება და ბერად აღიკვეცა.

დამოწმებული „გაბაასების“ გამო პ. რატიანი შენიშნავს: „რუსთველოლოგები ჩვეულებრივ გვერდს უვლიან“ ლექსის სათაურს — „აქა მელექსე ავად გახდა, რა ვქნა ამ მარტვილების გადამკიდე?“ თავის მხრივ ჩვენი მკვლევარი ფიქრობს: „იქ ლაპარაკია „მარტვილებზე“, რომლებიც სერაპიონს, მისივე თქმით, „გარდაკიდებიან“, ე. ი „აკვიატებიან“. „მაგრამ ვის ეწოდება მარტვილი? — გამოწვევით კითხულობს პ. რატიანი და ავტორიტეტულად გვიხსნის — მარტვილი, როგორც ცნობილია, ეწოდება 'არწმუნოებისათვის წამებულს, თავდადებულს, რაც სწორედ ბერ-მონაზვნებს შეეფერება და არა მოხუცებულ კარისკაცებს“. აქედან კეთდება დასკვნა: საანალიზო ნაწყვეტის თანახმად, რუსთველიც ბერი (ბერმონაზონი) ყოფილა და სერაპიონიც. „ახალი თვალსაზრისით“ გასაგებიაო, „თუ რანაირ „ბერებზე“ ან „მარტვილებზე“ ლაპარაკობს თავის ლექსში პოეტი სერაპიონ საბაშვილი“ (მნათობი, 2, გვ. 171). „რას მომერჩი ბერი ბერსა“ გულისხმობსო არა მოხუცებს, არამედ სასულიერო პირებს (ბერმონაზვნებს). „საწინააღმდეგო გაგებას კი, — კვლავ ავტორიტეტულად გვასწავლის მკვლევარი, — არ გააჩნია არავითარი საფუძველი გარდა თეიმურაზ ბაგრატიონის უალბი კონცეფციისა“ (იქვე, გვ. 172). საწყალი თეიმურაზი! ყველაფერი მის კისერზე გადადის, ყველაფერი მისი ბრალი ყოფილა!

ხუმრობა ხუმრობაა და პ. რატიანი კვლავ უშვებს მკვლევრისათვის მიუტევებელ უხეშ შეცდომას, იმიტომ, რომ მას არ ესმის მოხმობილი ტექსტის შინაარსი.

პ. რატიანს არ სცოდნია, რომ მარტვილს აქვს ორი მნიშვნელობა: ერთი მნიშვნელობით, მარტვილი მართლაც მოწამეა. ოღონდ საკვირველი ისაა, როგორ აეკვიატენ მელექსეს მარტვილები! კიდევ ჰო, წამებულთა აჩრდილებს რომ მოეკითხათ სერაპიონი. მერედა, ვითომ ბერმონაზვნები ყველანი მოწამენი იყვნენ? ერისკაცების მოწამეობა ისტორიკოს მკვლევრისათვის უცნობია? თუმცა ყველაფერ ამას არავითარი კავშირი არ აქვს საძიებელ პრობლემასთან.

პ. რატიანს რომ როსტომიანის მეორე ტომისათვის დართულ ლექსიკონში ჩაეხედა, ნახავდა, რომ მარტვილი ახალგაზრდასაც, უმაწვილს ნიშნავს. უადგილო არ იქნებოდა საბას ლექსიკონის გასინჯვა. იქ ვკითხულობთ: მარტვილი ლათინთა ეხაა,

მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმას უწოდენ[18]. ლექსიკოგრაფი ნ. ჩუბინაშვილი აზუსტებს; მარტვირი მოწამე, ტანჯული; მარტვილი! მესხურად ყმაწვილი, ბოვში[19]. ურიგო არც ის იქნებოდა, რომ გვცოდნოდა. საანალიზო ტექსტი დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს[20]. მასვე აქვს მოცემული ტექსტის ზუსტი რუსული თარგმანი; „Здесь стихотворец заболел, что мне делать с этими детьми"[21].

როგორც მკითხველი ხედავს, პ. რატიანს ვერ გაუგია როსტომიანის ჩანართი ტექსტის მარტივი შინაარსი, ბავშვები (ყმაწვილები) უქცევია მოწამე-მარტვილებად (თუ ბერმონაზვნებად), რომლებიც ვითომ აეკვიატნენ პოეტს. ამიტომაც თვითონ პოეტიც ბერმონაზვნად გამოცხადდა. ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საპასუხისმგებლო საკითხი წყდება ტექსტის მცდარი გაგების ნიადაგზე.

ჩვენ შევასრულეთ პ. რატიანის მოწოდება. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც შევეხეთ იმ ტექსტს, „რომელსაც რუსთველოლოგები ჩვეულებრივ გვერდს უვლიან". ჩვენი ბრალი არ არის, რომ პ. რატიანის გამოწვევამ მისთვის არასასურველი შედეგი გამოიღო[22].

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ პ. რატიანის კიდევ ორი შენიშვნა სერაპიონ საბაშვილის ცნობების გამო. წყაროებით ცნობილია, რომ საბაშვილი იყო „მრევლთა თავი, ხევისბერი". პ. რატიანს უნდა ხევისბერობა ბერობას (ბერმონაზვნობას) გაუთანაბროს და ამის მიხედვით სერაპიონის ბერმონაზვნობა დაგვიდასტუროს: „სერაპიონიც თანამდებობით ბერი, ან უფრო ზუსტად. — ხევისბერი ყოფილა". ისტორიკოსს არ ეკადრება ასეთი „საბუთიანობით" ხელმძღვანელობა: ბერი (ბერმონაზონი) სხვაა

---

18 სულხან საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, I, გამოსაცემად მოამზადა ალ. ბარამიძემ, თბილისი, 1965, გვ. 447.

19 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციით თბ., 1961, გვ. 269.

20 Описание рукописей, I, გვ. 74.

21 მარტვილი, როგორც ყრმის აღმნიშვნელი სიტყვა, დამოწმებული აქვს გ. წერეთელსაც (ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისთვის. „მნათობი", 1962, № 2. გვ. 137).

22 ახლა, ამ წერილს რომ მეორედ ვაქვეყნებთ, აღნიშნულს დავიმატებთ, რომ სულხან-საბა ორბელიანი თვითონ მრავალგზის ხმარობს მარტვილს ყმაწვილის ბავშვის მნიშვნელობით („სიბრძნე სიცრუისა", თბ., 1970, გვ. 106, 123, 166—167. 249, 277. 2[illegible]). ერთან საუბარია რვა წლის მარტვილზე („დიდებულს ერთის რვა წლის მარტვილი ჰყვანდა". გვ. 284), მეორეგან უფრო მცირეწლოვანი მარტვილებიც არიან მოწოწებულნი („წლისა და ორისა და სამის წლისა მარტვილები ესხდეს", გვ. 196). ვითომ სულხან-საბა კუთხურ ქალზე თხზავდა თავის დიდებულ იგავ-არაკებს?! (ავტ.).

და ხევისბერი — სხვა, ავტორისეული „დაზუსტება" საქმეს ვერ უშველის.

პ. რატიანს მოჰყავს ს. კაკაბაძისა და პ. ინგოროყვას მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ სერაპიონი მოხუცი უნდა ყოფილიყოო, 60 (ს. კაკაბაძით) თუ 72 (პ. ინგოროყვათი) წლისა. მკვლევარი არ იწუნარებს ამ მოსაზრებებს და ამბობს: „ზემოხსენებულ კონტექსტში სიტყვა „ბერის" მოხუცებულის მნიშვნელობით გაგებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ჯერ ერთი, არსაიდან არ ჩანს, რომ სერაპიონი მოხუცებული იყო (როგორც ს. კაკაბაძის, ისე პ. ინგოროყვას გაანგარიშება მისი წლოვანებისა სრულიად ნებისმიერია). მეორეც სერაპიონის ლექსის მთელი შინაარსი მოწმობს, რომ იქ ლაპარაკია ბერმონაზვნებზე და არა მოხუცებზე" (გვ. 171).

მკითხველმა უკვე დაინახა, თუ რა ბერმონაზვნებზეა ლაპარაკი სერაპიონის ლექსში. აქ ის გვინდა ვთქვათ, რომ კ. კეკელიძის ფიქრითაც: „სერაპიონი, რატომღაც ხაზს უსვამს „სამოცდათორმეტ ჭიქას". თუ ეს ციფრი შეგნებულადაა მოცემული, უნდა ვიფიქროთ, შრომის დასრულებისას ის 72 წლის კაცი იყო"[23].

საცილობელი საკითხის გასარკვევად უნდა ვიცოდეთ, რომ როსტომიანის სპარსული დედნის ერთი ლირიკული წიაღსვლით ფირდოუსი უჩივის ხანდაზმულობას და წერს:

ჰაჰა დავცალე ორჯერ ოცი და თვრამეტი თასი,
სხვას რას ვიფიქრებ მიწა-მტვრისა და კუბოს გარდა!

ამ ნაწყვეტით ფირდოუსი ამბობს, რომ მას შეუსრულდა ორმოცდათვრამეტი წელი, წინ ვერაფერს სახარბიელოს ხედავს სიკვდილის გარდა.

ფირდოუსის ტექსტის შესატყვისად ქართულ როსტომიანში იკითხება:

ვით, დაამრკოლებს, არ ვიცი, ჯამსა სამოცის წლის მეტი,
ჰიქა სამოცდათორმეტი გაქვს, გმართებს სამარის მეტი?!

შედარებით აშკარა ხდება, რომ მთარგმნელს თუ გამლექსავს შეგნებულად გადაუკეთებია დედნის ტექსტი: ორმოცდათვრამეტი წელი სამოცდათორმეტით შეუცვლია. ამის მიხედვით საფუძვლიანად გვეჩვენება მოსაზრება, რომ ქართული ტექსტის ავტორს შეგნებულად შეუსწორებია დედანი, ფირდოუსის ასაკი თავისი ასაკით შეუცვლია[24]. ეს გარემოება გვიდასტურებს, რომ ქართველი მელექსე მართლაც მო-

---

[23] ქართული ლიტ-ის ისტორია, II, 1952, გვ. 229.

[24] უფრო დაწვრილებით იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 67—70.

ხუცი ყოფილა. „რას მომერჩი ბერი ბერსა“ ნიშნავს, რას მომერჩი „მოხუცებული მოხუცებულსო“. ბერმონაზვნობა ყურით არის მოთრეული.

კიდევ ერთი და უკანასკნელი შენიშვნა სერაპიონ საბაშვილის თაობაზე. სერაპიონი დარწმუნებული ყოფილა, რომ რუსთველი ნამდვილად იყო თამარზე გამიჯნურებული პოეტი. იგი ასე ალაპარაკებს რუსთველს: „აშიკი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა“. შეუძლებელია, რომ სერაპიონს რუსთველი წარმოედგინა თავშეუკავებელ მიჯნურად და მთავარეპისკოპოსად. რუსთველი მას დასახული ჰყავს კარის პოეტად, რომელიც თავისი შრომისათვის გარკვეულ სასყიდელს, ჯილდოს გაცემოდა („თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთაველი აბიბეჭნა“).

ასეთია სერაპიონ საბაშვილის ტექსტის წიგნიერი და ობიექტური ახალიზის შედეგი. ეს მაგალითი ცხადყოფს, რამდენად სავალალოა მკვლევრისათვის ძველი ლიტერატურული ძეგლის ენაში გაურკვევლობა.

ფრიად საყურადღებოა პოეტ-მწიგნობრების მამუკა თავაქარაშვილისა და იოსებ ტფილელის (საკაძის) ცნობებიც სადავოდ ქცეული საკითხის გამო. მამუკა თავაქარაშვილს გადაუწერია და დაუსურათებია ვეფხისტყაოსნის დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერთა შორის უძველესი თარიღიანი ნუსხა 1646 წლისა. XVII საუკუნის სამოციან წლებშია შესრულებული ვეფხისტყაოსნის ტფილელისეული ხელნაწერი (ე. წ. ზაზასეული ვეფხისტყაოსანი). ორივე ამ ძველ ხელნაწერს ამკობს ვეფხისტყაოსნის ავტორის შესანიშნავი პორტრეტი. რა თქმა უნდა, ორივეგან რუსთველი ერისკაცად არის გამოხატული. შ. ამირანაშვილის ვარაუდით, ზაზასეული ხელნაწერით შემონახული პორტრეტი უნდა ეკუთვნოდეს XII საუკუნის მიწურულს[25]. პ. ინგოროყვა მას XV საუკუნით ათარიღებს[26]. როგორც არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის დასახელებულ პოეტ-მწიგნობართა შეგნებით შოთა რუსთველი ერისკაცია და მხოლოდ ერისკაცი. საზოგადოდ, ძველი ქართული იკონოგრაფიული მემკვიდრეობა რუსთველს იცნობს მხოლოდ და მხოლოდ ერისკაცად[27]. პ. რატიანს რომ დაეკითხოთ, ის

25 შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში (თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 166—171).

26 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 875—876.

27 რუსთველის იერუსალემური ფრესკის პორფირ-ბოსონი, პ. რატიანის სიტყვით, სამეფო ტანსაცმელია, რომლის ტარების უფლება XVIII საუკუნეში მიუღია რუსთველ ეპისკოპოსს (მნათობი, 4, გვ. 156—157; № 5, გვ. 115).

მისებურად გვიპასუხებს: აღორძინების პერიოდის „არც ერთ მწერალს ან მოღვაწეს არ უთქვამს, რუსთველი ერისკაცი იყოო“. ნეტარ არიან მორწმუნენი!

ჩვენ ამით ვამთავრებთ XV—XVIII საუკუნეების მწერალ-მწიგნობართა ცნობების მიმოხილვას რუსთველის ვინაობის თაობაზე. არაფერს ვამბობთ ტიმოთე გაბაშვილის შესახებ, რადგანაც იგი რუსთველს გადაჭრით თვლის ერისკაც სახელმწიფო მოღვაწედ („მეჯურჭლეთუხუცესად“) და ქრისტიანობის განმრყვნელ საერო პოეტად. პ. რატიანი, ჩვეულებისამებრ, „ობიექტური ანალიზის“ საფუძველზე ირწმუნება „ტიმოთემ იცოდა, რუსთველი რომ მაღალი რანგის სასულიერო პირი იყო“ (მნათობი, 2, გვ. 174). ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, ესაა სწორედ. თუ ტიმოთემ იცოდა, რომ შოთა რუსთველი ეპისკოპოსი იყო, რად გვიმალავს ამ მნიშვნელოვან ფაქტს? კ. კეკელიძის გამოკვლევის თანახმად, „თავისი რწმენით, მსოფლმხედველობითა და იდეალებით (ტიმოთე) ახლოს იდგა კათალიკოს ანტონისთან“[28]. როგორც უკვე ვიცით, ანტონი რუსთველს თვლის ერისკაცად. ანტონის წყობილსიტყვაობა (სადაც რუსთაველია დახასიათებული) ტიმოთეს „მიმოსლვაზე“ აღრეა დაწერილი. ტიმოთე ავითარებს და აღრმავებს რუსთველის ანტონისეულ უარყოფით დახასიათებას. ესაა და ეს. ტიმოთეს მოკავშირეობა პ. რატიანს სარგებლობას ვერ მოუტანს.

ამრიგად, წინააღმდეგ პ. რატიანის „ახალი თვალსაზრისისა“, XV—XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურული ტრადიცია ერთსულოვნად თვლის, რომ შოთა რუსთველი იყო ერისკაცი, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, სწორუპოვარი პოეტი და თამარ მეფის თავდავიწყებული მიჯნური. სათავეშივე მცდარია პ. რატიანის დებულება, თითქოს თავისი ისტორიულ-კულტურული კონცეფციის შესაბამისად თეიმურაზ ბაგრატიონმა შეიმუშავა განსხვავებული შეხედულება, თითქოს თავისი გვარის განსადიდებლად მან რუსთველი აღიარა ბაგრატიონად, პირველმა გამოაცხადა იგი ერისკაცად და სახელიც გადაუკეთა. თეიმურაზის შეხედულებაში ახალი ისაა, რომ მან შოთა რუსთველად მიიჩნია მონღოლების დროინდელი პოლიტიკური მოღვაწე შოთა კუპარი, ჰერეთის ერისთავი. აღორძინების პერიოდის მწერლობის წარმოდგენით შოთა რუსთველი იყო მესხეთის მკვიდრი.

თავისი „ახალი თვალსაზრისის“ გასამაგრებლად პ. რატიანს მოხმობილი აქვს ფოლკლორული მასალებიც. თუ მკვლევარს ვერწმუნებით, ამ მასალების „გულდასმით“ შესწავლას „იშვიათი ერთსულოვნებით“ დაუდასტურებია „ახალი თვალსაზრისის“ მონაპოვარი, ე. ი. რომ რუს-

---

[28] ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 354.

თეელი იყო ბერი (ბერმონაზონი), სასულიერო პირი (მნათობი, 2, გვ. 166). პ. რატიანი იმოწმებს მ. ჩიქოვანის წიგნში („შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი", 1966) გამოქვეყნებულ მასალებს და ამბობს: „ნაშრომში წარმოდგენილი სახალხო მთქმელები დაჟინებით უსვამენ ხაზს შოთას ბერად შედგომისა და იერუსალიმში გამგზავრების ვერსიას" (იქვე). საზოგადოდ ეს სწორია (თუმცა ზოგი თქმულებით, შოთა სპარსეთში გადახვეწილა, ზოგით — საბერძნეთში). მაგრამ რატომ არ მიაქცია მკვლევარმა ყურადღება იმ გარემოებას, რომ თქმულება-გადმოცემებით ვეფხისტყაოსანი რუსთველს ერისკაცობაში დაუწერია, უცხოეთში შემდეგ გარდახვეწილა და ბერად შემდეგ შემდგარა[29]. ჩვენთვის მთავარია, ერისკაცი იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი თუ ბერმონაზონი. რაც შეეხება შემდეგ მის ბერად შედგომის შესაძლებლობა პრინციპულად არასოდეს არავის არ უარუყვია. ამ მთავარ და ძირითად საკითხს, როგორც ვხედავთ, მკვლევარი სრულიად უვლის გვერდს. ფოლკლორულ მასალას პ. რატიანი იყენებს ცალმხრივად და ტენდენციურად. მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ ყველა ხალხური მასალა, მართლაც ერთსულოვნად და დაჟინებით, რუსთველს თვლის მესხად (ან ჯავახად), მესხეთის რუსთავიდან წარმოშობილად. ხალხური წყაროებით, შოთა რუსთველს აბსოლუტურად არაფერი საერთო არა აქვს თბილისის რუსთავთან და რუსთველ ეპისკოპოსთან. ეს გარემოებაც „ობიექტურად" მოაზროვნე მკვლევარს რატომღაც დავიწყნია.

ერთი სიტყვით, ქართული ფოლკლორი არა თუ მხარს უჭერს და ამაგრებს „ახალ თვალსაზრისს", არამედ მას სავსებით უთხრის ძირს.

ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგით ცნობილია, რომ პოემის ავტორი იყო რუსთველი. ამ სახელწოდებას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. რუსთავის მფლობელ-მეპატრონე; 2. რუსთაკიდან წარმოშობილი, რუსთავის მკვიდრი 3. რუსთავის ეპისკოპოსი თუ მთავარეპისკოპოსი. პ. რატიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ საჭი მნიშვნელობიდან ისტორიულად გამართლებულია და ერთადერთი შესაძლებელი მნიშვნელობაა მესამე, რუსთველი ეპისკოპოსი. „ქართულ საისტორიო წყაროებში, — წერს მკვლევარი, — ცნობილი არ არის რუსთველის სახელწოდების მქონე არც ერთი სამოქალაქო პირი... საქართველოს ისტორიაში დღემდე არ ჩანს არც ერთი რუსთველი ერისკაცი" (მნათობი, 2, გვ. 152). სამაგიეროდ მეექვსე საუ-

29 გამონაკლისს მხოლოდ ერთადერთი გადმოცემა გვაძლევს. ამ გამონაკლისი გადმოცემით, ბერად შემდგარა რუსთველმა „ელუსამეთში დასწერა ვეფხისტყაოსანი და იქიდან გამოგზავნა ჩვენს საქართველოში" (მ. ჩიქოვანი, დას. შრომა, გვ. 151).

კუნით დაწყებული და მეთვრამეტით დამთავრებული ცნობილი არიან რუსთველი ეპისკოპოსებიო. „რუსთველი არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო საერო დიდებულის გვარწოდება“, რამდენგზის და ბეჯითად იმეორებს პ. რატიანი (იქვე, გვ. 153, 154 და სხვ.). ლიტონი სიტყვებია პ. რატიანის განცხადება: „დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებული ჩანს (საიდან ჩანს? ავტ.) აგრეთვე ლიტერატურაში გ ა კ ვ რ ი თ გ ა მ ო თ ქ მ უ ლ ი ა ზ რ ი იმის შესახებ, რომ თითქოს არაა გამორიცხული, „რუსთველი“ სადაურობის მაჩვენებელი სახელი იყოს და, მაშასადამე, რუსთავის მკვიდრს ნიშნავდეს“ (გვ. 151)[30]. „შეუძლებელი იყო, რომ სასულიერო და საერო ტერმინები და ცნებები ერთმანეთს დამთხვეოდნენო“, — განაგრძობს პ. რატიანი თავის დეკლარაციას (გვ. 156). შეუძლებელიაო ორი მანგლელი, ორი წილკნელი, ორი რუსთველი (იქვე). თავისი დებულების უცილობლობის ნათელსაყოფად პ. რატიანს მოჰყავს „კლასიკური სიცხადის“ მქონე მაგალითი. საქართველოში არსებობდაო ორი, ერთნაირი სახელწოდების გეოგრაფიული ადგილი — ტბეთი, ორი ტბეთი. აქედან მივიღეთო ორი სახელწოდება: ერთია ტ ბ ე ლ ი, საერო გვარსახელის მანიშნებელი, მეორე—მ ტ ბ ე ვ ა რ ი, ეპისკოპოსობის მაუწყებელი. „ეს მაგალითი, — ამბობს მკვლევარი, — პირდაპირ კლასიკური სიცხადით გვიჩვენებს, თუ რამდენად მტკიცე იყო საერო და სასულიერო სახელწოდებათა სხვადასხვაგვარი წარმოშობის... კანონზომიერება“ (გვ. 157).

საკმარისია გადაფურცლოთ კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საძიებელი, რომ იქ იპოვოთ პ. რატიანის მიერ მოყვანილი „კლასიკური მაგალითის“ გამაბათილებელი ფაქტები „მ ტ ბ ე ვ ა რ ი. ტ ბ ე ლ ი: ნ. ა ნ ტ ო ნ ტ ბ ე ლ ი, აბუსერიძე ტბელი, დ ა ვ ი თ ტ ბ ე ლ ი, ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი“ (გვ. 647). ამ საძიებლის მიხედვით ჩახედავთ წიგნში და ნახავთ, რომ ტბეთის სასულიერო მესვეურები ხ ა ნ ა ტ ა რ ე ბ ე ნ მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს, ხ ა ნ ა ც ტ ბ ე ლ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა ს, ხოლო თვითონ რატიანისვე მოწმობით, ტ ბ ე ლ ე ბ ი ს გვარ-სახელით ცნობილი არიან ქართლის საერო აზნაურებიც (გვ. 157). გამოირკვა, რომ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ყ ო ფ ი ლ ა ო რ ი ტ ბ ე ლ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა, ე რ თ ი ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ს ი და მ ე ო რ ე ს ა ე რ ო ს ი. თუ კი შეიძლებოდა ყოფილიყო ორი ტბელი, რად არის შეუძლებელი და „უკანონო“ ორი რუსთველი? მით უფრო, რომ რუსთავიც რამდენიმე

30 ნ. მარი ეფხისტყაოსნის ავტორს ჩვეულებრივ უწოდებდა ხოლმე „Шота из Руставп. Руставский поэт“. კ. კეკელიძის სიტყვით, სახელი რუსთველი გვიჩვენებს, რომ ის ან წარმოშობილი ყო რუსთავიდან ან პოლიტიკურ ყო რუსთავისა“ (ქართული ლიტ-ის ისტორია, II, 1958, გვ. 114).

იყო საქართველოში. ყოველ შემთხვევაში ორი რუსთავი რუსთველის სახელის მოჩემედ გვევლინება. მაშასადამე, დარღვეულია პ. რატიანის საყრდენი არგუმენტი ორი რუსთველის შეუძლებლობის თაობაზე.

ქართული საისტორიო წყაროები არ იცნობს რუსთველის სახელწოდების მქონე არცერთ სამოქალაქო პირსო, გვაუწყებს მკვლევარი ისტორიკოსი. არ არის სწორი. ერთ ძველ ჰიმნოგრაფიულ ძეგლში, სადაც შექებულია დავით გარეჯელის სასწაულთმოქმედება, დასახელებულია ვინმე რუსთველი ამირა[31]. (ეს მაზდეანი რუსთველი დავით გარეჯელს ქრისტიანობაზე მოუქცევია). სახელწოდება რუსთველი აქ ნიშნავს ან რუსთავის მბრძანებელს (რუსთავის ამირას), ან ამირას რუსთავიდან. მაგრამ როგორი მნიშვნელობაც არ უნდა მივცეთ ამ სიტყვას—რუსთველი, იგი ყოველ მიზეზ გარეშე მიეკუთვნება საერო სამოქალაქო პირს, ე. ი. ამ ძველ ქართულ წყაროში დოკუმენტურად არის დამოწმებული ერისკაცი რუსთველი (და არამცდაარამც მღვდელმთავარი). ისტორიკოსებმა ს. კაკაბაძემ და ხ. შოშიაშვილმა აღნიშნეს, რომ 1597 წლის ერთი საბუთი დაუწერია ვინმე რუსთველის შვილს მურვანს[32]. ცხადზე უცხადესია, რომ აქ დასახელებული რუსთველი ერისკაცია (ვინც არ უნდა იყოს იგი). ამრიგად, მცდარია პ. რატიანის განცხადება, თითქოს ქართული საისტორიო წყარო არ იცნობს საერო შინაარსის მქონე სახელწოდებას რუსთველი. მოხმობილი და გაანალიზებული მასალები სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რუსთველი ძველთაგანვე უეჭველად იყო საერისკაცო სახელწოდება სასულიერო სახელწოდებასთან ერთად და, მაშასადამე, მოხსნილია ის ძირითადი საბუთი, რომელიც მკვლევარმა საყრდენად მიუჩინა თავის ე. წ. „ახალ თვალსაზრისს".

„მეორე საბუთი, რომელიც სრულიად ეჭვმიუტანლად ამტკიცებს ჩვენ მიერ წამოყენებულ თვალსაზრისს, გახლავთ თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის მონაცემები, განსაკუთრებით კი ცნობილი მერვე სტროფიო", ამბობს რატიანი და იმოწმებს ამ სტროფის პირველ ორ ტაეპს (მნათობი, № 2, გვ. 158):

---

31 პ. ინგოროყვა, თხზულებანი I, გვ. 638; ნ. შოშიაშვილი XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი (ცისკარი, 1965, № 9, გვ. 136—139); თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი (ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებული—„შოთა რუსთაველი", 1966, გვ. 72—73); ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966. გვ. 61—62.

32 ს. კაკაბაძე, დას. ნაშრომი, გვ. 61—62; ნ. შოშიაშვილის წერილი რუსთველის საიუბილეო კრებულში, გვ. 72—73.

მე, რუსთველი ხ ე ლ ო ბ ი თ ა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვ ხ ე ლ ო ბ, მისთვის მკვდარი.

ეს ტექსტი ციტირებულია ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის მიხედვით. ახალ. 1966 წლის, სამივე გამოცემაში[33] პირველი ტაეპი სხვაგვარი პუნქტუაციითაა გაწყობილი, რის გამოც ტექსტში განსხვავებული შინაარსია ჩაქსოვილი. ახალი გამოცემებით ტექსტი ასეა გაწყობილი:

მე, რუსთველი, ხ ე ლ ო ბ ი თ ა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვ ხ ე ლ ო ბ, მისთვის მკვდარი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორივე ტაეპში დამოწმებული სიტყვები ხ ე ლ ო ბ ი თ ა და ვ ხ ე ლ ო ბ. ძველად ხელობა ორგვარად იწერებოდა: ხელობა და ჴელობა. ხელობა ნიშნავს შმაგობას, სიყვარულის ნიადაგზე გიჟობას; ჴელობა — საქმიანობას, პროფესიას, ხელოსნობას, მოხელეობას (ამა და ამ ხელობის კაციაო, რომ იტყვიან).

გვიან, XVII საუკუნიდან, ჴელობას თანამდებობის მნიშვნელობაც მიეცა. ჩვენ დროში კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ვეფხისტყაოსნის საანალიზო ტექსტის ხ ე ლ ო ბ ა უნდა იყოს ჴელობა და ნიშნავდეს მოხელეობა-თანამდებობას. პატივცემული პროფესორი ამბობდა: „რუსთაველი, ლექსისა და სიტყვის შეუდარებელი ვირტუოზი, ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს, ამიტომ პირველ შემთხვევაში (ხელობითა) ლაპარაკი უნდა იყოს არა „ხელობაზე“ — გიჟობაზე, არამედ „ჴელობაზე“. მოხელეობა-თანამდებობაზე; მეორე შემთხვევაში კი (ვხელობ) ლაპარაკია „ხელობაზე“ ან „გიჟობაზე“[34]. თანამდებობის (რუსთავის სახელო, რუსთავის გამგე) მნიშვნელობით განმარტავდა ამ სიტყვას 1957 წლის გამოცემაში ა. შანიძეც[35] (ტექსტიც ამ გამოცემაში შესაფერისად იყო გამართული პუნქტუაციურად). 1957 წლის შემდეგ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ვეხისტყაოსნის მთელი ხელნაწერული მემკვიდრეობა, გამოიცა ხელნაწერთა ვარიანტები ოთხ წიგნად და ვარიანტებიანი კრიტიკული ტექსტიც გამოქვეყნდა; შეიქმნა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი სახელმწიფო კომისია; დამზადდა ძველი ქართული ტექსტების სიტყვათა სიმფონიები; სხვადასხვა ხასიათის

---

33 ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით; ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით; საიუბილეო გამოცემის ორივე ვარიანტი (ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძისა და გ. წერეთლის რედაქციით).

34 ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 122.

35 იხ. ამ გამოცემის ლექსიკონი, გვ. 397. ა. შანიძისეული განმარტება შესაწყნარებლად მიაჩნდა ალ. ბარამიძესაც.

დიდძალი საძიებელი. ტექსტის დამდგენ კომისიას აღრიცხული აქვს ძველი ქართული მწერლობის ნაბეჭდი ძეგლის ყველა სიტყვა და სპეციფიკური გამოთქმა. ხელნაწერულმა ტრადიციამ დაადასტურა, რომ ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფის პირველი ტაეპის ხელობითა სწორედ ასე იწერებოდა და არა ფორმით — ჴელობითა. გამოირკვა, რომ ხელობა თანამდებობის (ჴელობის) მნიშვნელობით არ დასტურდება რუსთაველამდელი და რუსთველის დროინდელი არცერთი წერილობითი ძეგლით. ამის გამოა, რომ ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ყველა გამოცემა ხელობას იგებს შმაგობის მნიშვნელობით. შმაგობად ესმის ახლა ეს სიტყვა ა. შანიძეს. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარმა რედაქციამ ამას წინათ საგანგებოდ განიხილა ვეფხისტყაოსნის მერვე სტროფის საკითხი, დაადასტურა 1966 წლის გამოცემების პუნქტუაციათა სისწორე (მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა“) და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში (მერვე სტროფის როგორც მეორე, ისე პირველ ტაეპში) ხელობა ნახმარია შმაგობის (სიყვარულის გამო გიჟობის) მნიშვნელობით.

როგორც მკითხველი ხედავს, თანამედროვე რუსთველოლოგები წინ იხედებიან, ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულად შემოწმებულსა და გამართულ რედაქციას გვთავაზობენ. ყველაფერ ამას პ. რატიანი ანგარიშს არ უწევს და მკითხველებს აწვდის 1957 წლის აშკარად მოძველებული გამოცემის ტექსტს. ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ დავუბრუნდეთ მერვე სტროფის პირველ ორ ტაეპს (ტექსტი გამართულია 1966 წლის გამოცემათა პუნქტუაციით:)

> მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
> ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.

თანამედროვე ქართულით ეს ნიშნავს: მე, რუსთველი, შმაგობით (სიყვარულის ნიადაგზე გიჟობით) ჩავდივარ ამგვარ საქმეს: იმისთვის ვშმაგობ, იმისთვის ვარ მკვდარი, ვისაც ჯარი (ლაშქარი) ემორჩილება (იგულისხმება მეფე თამარი, — ავტ.). პირველი და მეორე ტაეპები ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. პირველ ტაეპში ნათქვამია, რომ პოეტი შმაგობას შეუპყრია, ხოლო მეორე ტაეპში განმარტებულია, თუ ვისთვის შმაგობს იგი ასე თავდავიწყებით. კ. კეკელიძის შენიშვნას — რუსთველი „ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებსო“, პ. რატიანი დასძენს, შესაძლებელია ეს შენიშვნა ვინმემ სადავო გახადოს, მაგრამ „წარმოუდგენელია სადავო გახ-

დეს და ვინმემ დაიჯეროს, რომ რუსთველს შეეძლო შინაარსობრივი უაზრობა დაეშვა“ (მნათობი, 2, გვ. 162). შინაარსობრივ უაზრობად, შეუსაბამობად და ყალბად, აშკარა დისონანსად თვლის პ. რატიანი ტექსტის ზემორე გაგებას (იქვე, გვ. 160, 162). რა არისო ეს „სიგრცითა... ვგრძობ“. დაცინვის კილოთი კითხულობს პ. რატიანი (გვ. 162). ყოველი დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ საანალიზო ტექსტის დამოწმებული შინაარსი სავსებით აზრიანია, მწყობრია და არავითარ შეუსაბამობას არ შეიცავს (აბა, სიყალბე რა საკადრისია?!). ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ ენობრივ-ვამომხატველობითი თვალსაზრისითაც ტექსტი წმინდად რუსთველურია. თავისი მხატვრული ამოცანის შესაბამისად რუსთველი საგანგებოდ და ხაზგასმით ორჯერ ხმარობს ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას (თუმცა სხვადასხვა ფორმით), რომ აზრი უფრო მკაფიო, უფრო გამომეტყველი და ემოციური გახდეს. სიტყვების თავისებური მხატვრული განმეორებით რუსთველი ამახვილებს ყურადღებას მათ მნიშვნელობაზე. ეს არის რუსთველის მხატვრული ენის უაღრესად ნიშანდობლივი თვისება. მხოლოდ ორიოდე ანალოგიური მაგალითი: „სთმობდეს გაყრისა თმობასა“ (26,2); „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — ბერანი, რამე შავია“ (204,2); „აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად“ (928,4). მესამე მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ერთი ტაეპის ფარგალში მოხვედრილია სწორედ საცილობლად ქცეული ერთი და იმავე მნიშვნელობის ორივე სიტყვა: ხელობითა — ხელად: „ახლა ხელობის, შმაგობის დრო დამდგომია, ამიტომაც ვარ ხელად, შმაგად“. მერვე სტროფის პირველი ორი ტაეპის ტექსტი ამჟამად საყოველთაოდ მიღებული გაგების თანახმად, უაღრესობამდე აზრიანია შინაარსობრივად და ნატიფია ფორმით. როგორ შეიძლება სერიოზულმა მკვლევარმა ამას უწოდოს „შეუსაბამო და ყალბი“? პ. რატიანის ლოგიკით, მაგალითად, შეუსაბამო და უაზრო გამოვიდოდა რუსთველის უბრწყინვალესი პოეტური ფრაზები: „მზე დაიღრეჯს მათის ღრეჯით“ (დაიღრეჯს... ღრეჯით“), „ძრწის და მიეცის ძრწოლასა“ („ძრწის... ძრწოლასა“) და ა. შ. რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ განა ეს ისედაც ცხადი არ არის?

პ. რატიანმა დაიმოწმა პროლოგის მერვე სტროფის პირველი ორი ტაეპის ტექსტი. ჩვენ ახლა მოვიყვანთ მთელი ამ სტროფის ტექსტს (ოთხივე ტაეპს):

> მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
> ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
> დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
> ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

თანამედროვე ქართულით: მე, რუსთველი, შმაგობით ჩავდიგარ ამგვარ საქმეს: იმისათვის ვშმაგობ, იმისათვის ვარ მკედარი, ვისაც ჯარი (ლაშქარი) ემორჩილება; დავუძლურდი, მიჯნურთათვის სხვა გაშოსავალი (სხვა წამალი) არ მოიპოვება (არსით არის), ან განმკურნოს (ე. ი. თანაგრძნობა გამიწიოს სიყვარულში), ან მოკლას (სამარე მომცეს).

ვთხოვთ მკითხველს, ერთი წუთით წარმოიდგინოს რუსთაველის მთავარეპისკოპოსი, რომელიც გაშმაგებული და დაუძლურებულია თამარის სიყვარულით, ემუდარება საქართველოს მეფესა და დედოფალს, თანაგრძნობა გაუწიოს მის გიჟურ ლტოლვას ანდა პირდაპირ სამარის კარზე მიუთითოს.

ეს როლი სრულიად შეუფერებელია მთავარეპისკოპოსის ღირსებისათვის, მსგავსი რამის წარმოდგენა შეუძლებელიაო, გვიპასუხებს მკითხველი. ჩვენც აქა ვართ. ეს პ. რატიანია, რომ გააშმაგა მთავარეპისკოპოსი (ის გვიმტკიცებს, შოთა რუსთველი რუსთაველის მღვდელმთავარი იყოო). მკელევარმა, ეტყობა, ერთგვარი უხერხულობა იგრძნო. ამიტომაც მან მერვე სტროფი შუაზე გაკვეთა, სტროფის მეორე ნახევარს მოერიდა, მორცხვად აუარა გვერდი. თურმე ნუ იტყვით, რუსთაველის მთავარეპისკოპოსისათვის უბრძანებიათ „თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა"... კი, მაგრამ, იკითხავს გაკვირვებული მკითხველი, სხვა საქმე არა ჰქონდა რა იმ მამაცხონებულ ეპისკოპოსს, რომ საქართველოს დედოფლის წარბები და წამწამები, თმები და კბილები არ გაეხადა საქებრადო. როგორ არა, ვუპასუხებთ ჩვენ, ეპისკოპოსს იმ დროს საქმეს ვინ გამოულევდა! ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა სულიერი მოძღვარი და განსწავლული იერარქი ისტორიკოსმა პროკოფი რატიანმა. „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!"

სხვათა შორის, აღძრულ საკითხთან დაკავშირებით პ. რატიანი გვაცნობებს, რომ „ქართლის ცხოვრებაში" არც ერთხელ არ გვხვდება სიტყვა ხელობა გიჟობის მნიშვნელობით, რადგან „ქართლის ცხოვრება" ოფიციალური ისტორიაა, სახელმძღვანელო წიგნია და გასაგებია, რომ მასში გიჟებზე და სიგიჟეზე ლაპარაკი არაა" (მნათობი, 2. 161). ჯერ ერთი, საერთოდ უცნაური მსჯელობაა: რატომ არ შეიძლება საისტორიო თხზულებაში საუბარი იყოს გიჟებზე და სიგიჟეზე, თუ საქმის ვითარება ამას მოითხოვს? მეორეც. პ. რატიანის ეს კატეგორიული განცხადებაც სიმართლეს არ შეეფერება. ქართლის ცხოვრებაში, კერძოდ თამარის ისტორიაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"), მოთხრობილია, რომ თამარის სილამაზის ამბის მსმენნი „ხელდებიან ყოველნიო". რომ ბერძენთა მეფის მანოელის უხუცესი შვილი, მოყმე პოლიკარპოს

„იყო გაჭრითა და გახელებით“ თამარისათვის, „ხელქმნილი“ ყოფილა თამარისათვის აგრეთვე სულტან ყიზილ-არსლანის ერთი შვილთაგანი[36]. კ. კეკელიძის რუსული თარგმანის მიხედვით (იქნებ თარგმანი ვისმესთვის უფრო იყოს გასაგები, ვიდრე დედნის ძველქართული ტექსტი): “Из-за нее (т. е. из-за царицы Тамары) сходили с ума все, кому доводилось слышать о светлом ее облике... Старший сын греческого царя Мануила, витязь Поликарп, одержимый любовью к ней, с ума сходил из-за нее... Равно и один из сыновей султана Кизил-Арслана, взбесившийся из-за нее, с трудом был удержан отцом“[37].

მაშასადამე, ქართლის ცხოვრებაში ყოფილა ლაპარაკი „გიჟებზე“ და „სიგიჟეზე“! ტექსტში ყოფილა გამოყენებული სიტყვები ხელი, ხელქმნილი, გახელებული.

ჩვენ გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობა მკვლევარ პ. რატიანს ქრესტომათიული კრებულით გაუცვნია. მავრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ შუა საუკუნეების სპეციალისტ ისტორიკოსს, როგორც ირკვევა, გულდასმით მაინც არ ჰქონია გადაკითხული ქართლის ცხოვრების წიგნი; სამწუხაროა. დიდად სამწუხარო, მაშინ რაღას იჩემებს რუსთველოლოგიის ერთი უდიდესი პრობლემის ახლებურად და „ყოველ ეჭვს გარეშე“ გადაწყვეტის პატივს?!

პ. რატიანი ვეღარ უარყოფს იმას, რომ შოთა მეჯურჭლეთუხუცესი და პოეტი შოთა რუსთველი იყო ერთი და იგივე პირი. სკეპსისისათვის იგი კარს მაინც ღიად ტოვებს და შენიშნავს: „შოთა რუსთველისა და სააღაპე წიგნში მოხსენიებული შოთა მეჯურჭლეთუხუცესის იგივეობა, ჩვენი აზრით, ჯერ საბოლოოდ დამტკიცებული არ არის“ (მნათობი, № 5, გვ. 117). ისტორიკოს მკვლევარს ყოველ შემთხვევისათვის მომარჯვებული აქვს ჩვენი ისტორიული წარსულისათვის შეუფერებელი, მავრამ მისი თეორიისათვის საჭირო მოსაზრებაც: „რატომ იქნებოდა შეუძლებელი, რომ სასულიერო პირს, მღვდელმთავარს, მეჯურჭლეთუხუცესის თანამდებობა დაეკავებია“ (იქვე, გვ. 117; იხ. აგრეთვე, მნათობი, № 2, გვ. 176). მეჯურჭლეთუხუცესობა საერო საქმე იყო. არცერთი მეჯურჭლეთუხუცესი (ჩვენ მათ ბევრს ვიცნობთ) არ ყოფილა სამღვდელო პირი და რაღა მაინცდამაინც ვეფხისტყაოსნის ავტორი მეჯურჭლეთუხუცესი შოთა უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსი? ამ მოსაზრებას სხვა არავითარი საფუძველი არ მოეპოვება. გარდა პ. რატიანის საეჭვო თეორიის შემაგრების უბრალო სურვილისა.

---

36 ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, გვ. 42.

37 История и восхваление венценосцев, Перевод К. С. Кекелидзе, Тбилиси, 1954, с. 44.

ახლა ორიოდე სიტყვა რუსთველის სახელის შოთას შესახებ. მ-კიბულ-მოკიბული მსჯელობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, პ. რატიანი აღიარებს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელია შოთა, ოღონდ რუსთველის ერისკაცობის დროინდელი სახელი. „შოთა არის რუსთველის საერისკაცო სახელი, ბერად შედგომის შემდეგ კი მას უთუოდ სხვა სახელი ერქმეოდა“, ბრძანებს მკვლევარი (მნათობი, № 5, გვ. 118). საკითხი იბადება, თუ რუსთველს ბერად შედგომის შემდეგ შეეცვალა ერისკაცობის სახელი, რად მოიხსენიება იგი ყველა წყაროში და მათ შორის იერუსალიმის ფრესკის წარწერასა და სააღაპო ჩანაწერში სახელით შოთა? პ. რატიანის დაკვირვებით: „სასულიერო პირის საერისკაცო სახელით მოხსენიება შესაძლებელი ყოფილა როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე ეკლესია-მონასტრებში“ (იქვე, გვ. 121). საილუსტრაციოდ დამოწმებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ოქროპირ-იოვანე. „სახელი ოქროპირი, ისევე როგორც სახელი შოთა, არ არის შეტანილი ქრისტიანი წმინდანების სახელთა სიაში“, მაგრამ ქართველი კათალიკოსი ხშირად იხსენიება ოქროპირადო (იქვე). ანალოგია უეარგისია. პ. რატიანს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ოქროპირი არის ზედწოდება მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი საეკლესიო მამის იოანესი (იოანე ოქროპირი, Иоанн Златоуст). სხვათა შორის, შევნიშნავთ, ქართველ მოღვაწეს სწორედ ამ იოანე ოქროპირის მიბაძვით შეუცვლია ოქროპირი (ბერად შედგომის შემდეგ) სახელით იოანე. სულ სხვაა შოთა. წმინდა საერისკაცო, თუ გნებავთ „წარმართული“ სახელი, რომელიც არასოდეს არ ჰქმევია არცერთ საეკლესიო მოღვაწეს. როგორ, შემოგვედავება მკვლევარი პ. რატიანი, ჩახედეთ საქართველოს ეკლესიის 1948 წლისთვის განკუთვნილ კალენდარში და გაიგებთ, რომ „ქართულ ეკლესიას თავისი საკუთარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეროვნული წმინდანებიც ჰყოლია, რომლეთა სახელები თუმცა კანონიზებული არ ყოფილა, მაგრამ ჩვენს ეკლესიაში მაინც წმინდანებად მოიხსენიებოდნენ“ (მნათობი, 5, გვ. 122). „ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ის არის,— განაგრძობს პ. რატიანი, — რომ ამ „წმინდა“ სახელთა შორის მოხსენიებულია ქართველი ხალხისათვის ძვირფასი სახელი შოთა, აგრეთვე სახელი ოქროპირი და მრავალი სხვა მათი მსგავსი არაკალენდარული ქართული სახელი“ (იქვე, გვ. 123). ევრიკა! თვითდაჯერებული და გახარებული მკვლევარი საქვეყნოდ აცხადებს, რომ მოიპოვა ისეთი „უაღრესად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც „საბოლოოდ სწყვეტს სახელ „შოთასთან“ ქართული ეკლესიის დაკავშირებულების პრობლემას და აქარწყლებს მის მიმართ ყოველგვარ ეჭვებს“ (იქვე, გვ. 122).

გვაოცებს მკვლევარ პ. რატიანის ასეთი გულუბრყვილობა და ზერელე მსჯელობა. საქმე ისაა, რომ შოთა და ძმანი მათნი „წმიდათა“ შორის საკუთარი თაოსნობით ჩაურიცხავს და კალენდარული გაუხდია კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს, რომელიც თავად მკვლევარი იყო, ცდილობდა ვეფხისტყაოსნისა და ქართული ეკლესიის მორიგებას, ეკლესიის პოზიციებიდან შოთა რუსთველის რეაბილიტაციას და ა. შ. ამასთან, კათალიკოსმა კალისტრატემ საზოგადოდ კანონიკურად აღიარა და საეკლესიო კალენდარში შეიტანა. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული „საერო“ სახელები. მკითხველებს უნდა მოვახსენოთ, რომ კათალიკოს კალისტრატეს „წმინდათა“ შორის ჩაურიცხავს და კალენდარული გაუხდია შოთასთან ერთად ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლთა (ამირანდარეჯანიანის, ვისრამიანის, ომაინიანის, როსტომიანის და სხვ.) მრავალი პერსონაჟი, მაგალითად, აბესალომი. ავთანდილი, ამირინდო, ბეჟანი, გოდერძი, გოსტაშაბი, ზაალი, ზურაბი, მანუჩარი, მერაბი, ნარიმანი, ნოდარი, ომანი, რამინი, რამაზი, როსტევანი, როსტომი, საამი, სიაოში, სარიდანი, ტარიელი, უშანგი, ფარემუზი, ფარსადანი, ფეშანგი, ფირანი, ღაზნელი (!), ყარამანი, შიაოშ (ეს იგივე სიაოშია, ავტ.), თინათინი, ნესტანდარეჯანი, როდამი, ფატმანი...

– პ. რატიანმა დაიმოწმა კათალიკოს კალისტრატეს მიერ გამოცემული საეკლესიო კალენდარი. ჩვენ ხელთა გვაქვს ახალი კათალიკოსის, ეფრემ მეორის კალენდარიც, რომელიც 1964 წელს გამოვიდა. ეფრემს ზოგი ვინმე ამოუღია წინამორბედი კათალიკოსის სიიდან, ზოგიც დაუმატებია. ასე, ეფრემის კალენდარში კანონიზებულია ამირანი (ღვთაების ურჩი გმირი), სეფედავლე (!), გივი, გურგენი, სპანდიერი და ა. შ. საგულისხმოა, რომ ორივე კათალიკოსს კალენდარულ სახელთა შორის ჩაურიცხავს ფატმანიც კი. ხოლო სწავლულ ისტორიკოსს თანამედროვე კათალიკოს-პატრიარქების მიერ გარკვეული თვალსაზრისით შედგენილი საკალენდარო სია საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საისტორიო დოკუმენტად მიუჩნევია. აი, ეს არის მეცნიერული გულუბრყვილობა და წინდაუხედაობა. აი, რა მეთოდოლოგიური პოზიციიდან ცდილობს პ. რატიანი ვეფხისტყაოსნის ავტორს ვინაობის რთული პრობლემის ასე ადვილად, საბოლოოდ და „ეპვმიუტანლად“ გადაჭრას.

თუ მკვლევარი პ. რატიანი აპირებდა ქართული კალენდარული სახელების ისტორიული ასპექტით შესწავლას, მას უნდა მოეკითხა სხვადასხვა რედაქციის ძველი საეკლესიო კალენდრები, სვინაქსარები და სადღესასწაულოები; პირველ რიგში ანტონ კათალიკოსის ვრცელი რედაქციის სადღესასწაულო, სადაც ქართველი წმინდანების ხსენებათა გაზრდის მიზნით ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი ქართუ-

ლი, ონომასტიკონი. ანტონ კათალიკოსი სხვა მხრითაც არის საინტერესო. თუ იგი შოთა რუსთველს ეპისკოპოსად თელიდა, რა თქმა უნდა, მის სახელსაც სადღესასწაულოში მოუხსენიებლად არ დაუტოვებდა. პ. რატიანმა უფრო ადვილი გზა აირჩია, ძველ წყაროებს გვერდი აუარა და თანამედროვე კათალიკოსის კალისტრატეს მიერ შეთხზული „დოკუმენტით“ დაკმაყოფილდა.

პ. რატიანის ვარაუდით, შოთა იყო რუსთველის საერისკაცო სახელი. ბერად შედგომის შემდეგ მას ეს სახელი გამოუცვლიაო. ვეფხისტყაოსანი რუსთველს მაშინ დაუწერია, როდესაც ის უკვე სხვა სახელს ატარებდაო. ჩვენი ერის ხსოვნაში რუსთველი უკვდავყო მისმა ვეფხისტყაოსანმა. როგორ მოხდა, რომ ერმა დაივიწყა მისი სათაყვანებელი მგოსნის სწორედ პოეტობის დროინდელი სახელი? რატომ შერჩა ეპისკოპოსს რუსთველს არაკალენდარული, ყრმობის საშინაო სახელი? კალისტრატეს და ეფრემის კალენდარი საქმეს ვერ უშველის, რა მეთოდოლოგიური მანიპულაციებიც არ უნდა გამოიყენოს მკვლევარმა პ. რატიანმა.

ამით ვამთავრებთ პ. რატიანის „ახალი თვალსაზრისის“ განხილვას. ჩვენ ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მკვლევარს ვერ გამოუყენებია მისთვის საჭირო ყველა პირველი წყარო. ზოგი წყაროს შინაარსი მას სწორად ვერ გაუგია და აზრი დაუმახინჯებია, ზოგი წყაროს მასალა ცალმხრივად გაუშუქებია, ზოგი რამ თვითონ შეუთხზავს... პ. რატიანის პრეტენზიები კი უსაზღვროა. უნდა შევახსენოთ პატივცემულ მკვლევარს, რომ ამბიცია სანდო არგუმენტად არ გამოდგება.

1968

იძულებითი პასუხი[1]

ჩვენი კოლექტიური პასუხი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“ (პ. რატიანის წერილის გამო) თავის დროზე დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ („მნათობი“, 1968, VIII, გვ. 164—178). ჩვენ შევეცადეთ თანმიმდევრულად გაგვეხილა და გაგვებათილებინა ქვიშაზე აგებული პ. რატიანის ყველა დებულება. ჩვენ მოველოდით, რომ პ. რატიანი გამოიჩენდა მეცნიერულ გამბედაობას და შეიცნობდა თავის შეცდომებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, დუმილს ამჯობინებდა. არც

[1] დაიწერა და დაიბეჭდა ელენე მეტრეველისა და სარგის ცაიშვილის თანაავტორობით.

ერთი და არც მეორე არ მოხდა. 1969 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა პ. რატიანის წიგნი ძველი სათაურით „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“ (გამომცემლობა „მერანი“). რა თქმა უნდა, შრომის გამოცემას აზრი მაშინ ექნებოდა, თუ ავტორი წიგნიერ პასუხს გასცემდა დაბეჭდილ რეცენზიას, ან ახალ სიბუთებსა თუ ახალ მასალებს წარმოადგენდა თავისი „კონცეფციის“ გასამაგრებლად. მოლოდინი ამ შემთხვევაშიც გაცრუვდა. პ. რატიანმა უცვლელად, ან, უფრო ზუსტად, თითქმის სრულიად უცვლელად გაიმეორა მნათობში გამოქვეყნებული ტექსტი, ოღონდ წიგნს დაურთო ახალი განყოფილება, რომელსაც ჰქვია „ისტორიულ-ლიტერატურული საბუთები რუსთველზე“ (გვ. 169—220), სადაც შეტანილია ამონაწერები სხვადასხვა წყაროებიდან. ეს ის ამონაწერებია (თუ ცნობები), რომლებიც ავტორს უკვე მოხმობილი და გამოყენებული ჰქონდა თავის საჟურნალო წერილებში და აბსოლუტურად ახალს არაფერს შეიცავს, მაშინ ბუნებრივად დაისმება კითხვა, რა საჭიროებამ განაპირობა პ. რატიანის ნარკვევის სასწრაფო ხელმეორე პუბლიკაცია?! ნუთუ ბეჭდვის მხრივ ჩვენ ისეთი ვითარება გვაქვს, რომ მსგავსი „ფუფუნება“ დასაშვებია და შესაწყნარებელი?! ამ კითხვის პასუხი, რასაკვირველია, გამომცემლობასაც მოეთხოვება. ავტორის დაინტერესება და ენერგია საბუთად არ გამოდგება.

ასეა თუ ისე, როგორც ვთქვით, პ. რატიანის ნარკვევი გამოქვეყნდა ცალკე წიგნად, სადაც თითქმის უცვლელად და სიტყვასიტყვით განმეორებულია ძველი ტექსტი. გამოთქმას „თითქმის“ ჩვენ შეგნებულად ვხმარობთ და აი, რატომ. რატიანს მაინც მხედველობაში მიუღია ჩვენი რეცენზია, თუმცა ამას მალავს: რიგ შემთხვევაში მას ჩუმად და მორცხვად შეუსწორებია, თუ შეუკეთებია, თავისი ნარკვევის ტექსტი ჩვენი პირდაპირი შენიშვნების საფუძველზე. მაგრამ ამის თაობაზე არაფერს ამბობს.

მოვიყვანთ ორ მაგალითს:

1. თავის საჟურნალო სტატიაში პ. რატიანი აცხადებს: „საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“. — ფეოდალური ეპოქის ამ უდიდეს ძეგლში,—„ხელი“ ხელობა“ და „სახელო“ იხმარება თითქმის მარტო თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით, ხოლო გიჭის მნიშვნელობით არც ერთხელ არ გვხვდება“ („მნათობი“, 1968, № 2, გვ. 161, კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია. — ავტ.).

ამის შემდეგ პ. რატიანი განაგრძობდა: „ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „ხელი“ და „ხელობა“ არ გვხვდება გიჭის მნიშვნელობით, საკმაოდ ბუნებრივია, რადგან „ქართლის ცხოვრება“ ოფი-

ციალური ისტორიაა, სახელმძღვანელო წიგნია და გასაგებია, რომ მასში გიჟებზე და სიგიჟეზე ლაპარაკი არაა“ (იქვე).

პ. რატიანის ამ მონათხრობის თაობაზე ჩვენ შევნიშნავდით, რომ „საერთოდ უცნაური მსჯელობაა: რატომ არ შეიძლება საისტორიო თხზულებაში საუბარი იყოს გიჟებზე და სიგიჟეზე, თუ საქმის ვითარება ამას მოითხოვს“. თანაც ხაზგასმით ვურთავდით: „პ. რატიანის ეს კატეგორიული განცხადებაც სიმართლეს არ შეეფერება“ და მივუთითებდით თამარის ისტორიკოსის თხზულებაზე, სადაც საუბარია „გიჟებზე“ და „სიგიჟეზე“ და დამოწმებულია შესაფერისი სიტყვები „ხელი“, „ხელქმნილი“, „გახელებული“ („მნათობი“, 1968, № 8, გვ. 176). აღნიშნულის გამო ვასკვნიდით:

„ჩვენ გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობა მკვლევარ პ. რატიანს ქრესტომათიული კრებულით გაუცვნია, მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ შუა საუკუნეების სპეციალისტ ისტორიკოსს, როგორც ირკვევა, გულდასმით მაინც არ ჰქონია გადაკითხული ქართლის ცხოვრების წიგნი. სამწუხაროა, დიდად სამწუხარო. მაშინ რაღას იჩემებს რუსთველოლოგიის ერთი უდიდესი პრობლემის ახლებურად და „ყოველ ეჭვს გარეშე“ გადაწყვეტის პატივს?!“ (იქვე).

ეტყობა, პ. რატიანს ძლიერ ემწვავა ჩვენი შენიშვნა. როგორც ვხედავთ, მას ჩუმად და მორცხვად შეუკეთებია ტექსტი წიგნად გაანაცემული ნარკვევის რედაქციაში.

რომ მთელი ციტატები აღარ გავიმეოროთ, დავიმოწმებთ მხოლოდ შეცვლილ ტექსტებს:

იყო: „არც ერთხელ არ გვხვდება“. არის: „ძალიან იშვიათად გვხვდება“.

იყო: „არ გვხვდება“. არის: „იშვიათად იხმარება“.

იყო: „ლაპარაკი არაა“. არის: „ლაპარაკი ნაკლებადაა“.

მკითხველისათვის აშკარაა, რომ პ. რატიანს მართლაც არ ჰქონია წაკითხული ქართლის ცხოვრება. ხოლო ჩვენი შენიშვნების შემდეგ თავის ნარკვევში შეაპარა პრინციპულად განსხვავებული შინაარსის ტექსტი. რა ჰქვია ასეთ საქციელს, განსაჯოს მკითხველმა!

ეს ცოტაა. თავის ვითომცდა „საპასუხო“ წერილში, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა („ცისკარი“, 1969. № 11, გვ. 123—138; № 12. გვ. 107—127). „წინასწარი შენიშვნების“ განყოფილებაში პ. რატიანს თავი ისე მოაქვს, თითქოს ყველაფერი თავიდანვე ისე იყო, როგორც ეს მის წიგნშია, ხოლო რეცენზიის ავტორებს უკიჟინებს ვითომც საკითხის არსს კი არ ეხებიან. არამედ ქართლის ცხოვრებაში ხმარებული სიტყვების რაოდენობის თვალას შედგო-

მიან. თანაც მენტორული კილოთი ბრძანებს: „სიტყვების გულმოდგინედ თვლა არ არის საკმარისი ისტორიულ მოვლენათა არსის გასაგებად“ (ცისკარი, 1969, № 11, გვ. 126). ამას ჰქვია სიტყვის ბანზე აგდება. სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ უნდა დავადასტუროთ, რომ ისტორიკოს პროკოფი რატიანს ქართლის ცხოვრების ტექსტი გულმოდგინედ არ წაუკითხავს, თავისი შეცდომების გასწორებას ჩუმად გვაპარებს, თანაც ქედმაღლობს, საკითხის არსის ცოდნას იჩემებს, მკითხველს თავს აბრალებს, რეცენზენტებმა შეურაცხყოფა მიმაყენეს. უვიცობას მწამებენო.

პ. რატიანი ჩივის: რეცენზენტები „არა ერთხელ და თანაც სრულიად სერიოზულად გვდებენ ბრალს ისეთი მარტივი საკითხების უცოდინარობაში, რომელთა ცოდნა ყოველ სტუდენტს მოეთხოვება“ (ცისკარი, 1969, № 11, გვ. 126). ასეთი რამ პროფესორ რატიანისათვის ჩვენ არ გვიკადრებია. მაგრამ რახან დაიჟინა, გამოტეხილად ვიტყვით: ის ნამდვილად ისეთ უცოდინარობას იჩენს (და ამ უცოდინარობის გულუბრყვილოდ დაფარვას ცდილობს), რომ მსგავსი რამე სტუდენტს არ მოუვა.

პ. რატიანი ვრცლად და დაწვრილებით იხილავს „როსტომიანის“ ქართული რედაქციის დიდი ნაწილის გამლექსავის. XV—XVI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწის სერაპიონ საბაშვილის ცნობებს რუსთველის შესახებ. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სერაპიონ საბაშვილი ბერ-მონაზვნებით იყო გარემოცული და რუსთველის მსგავსად იგიც სასულიერო პირი, ბერი (ბერ-მონაზონი) იყოო და საგანგებოდ განმარტავს: „რაც მთავარია, თვით სერაპიონიც თანამდებობით ბერი, ან **უფრო ზუსტად** — ხევისბერი ყოფილა, რაც სერაპიონის პირდაპირი განცხადებიდან ჩანს“-ო (მნათობი, 1968, № 2, გვ. 171).

სერაპიონი, როგორც თვითონ ამბობს, ნამდვილად იყო ხევისბერი („მრევლთა თავი, ხევის ბერი, ხელმწიფეთა თანა ზრდილი“, როსტომიანი, II, 313). მაგრამ ხევისბერი სხვაა და ბერი, ბერ-მონაზონი — სხვა. ჩვენ შევნიშნავდით: „ისტორიკოსს არ ეკადრება ასეთი „საბუთიანობით“ ხელმძღვანელობა: ბერი (ბერ-მონაზონი) სხვაა და ხევისბერი სხვა, ა ვ ტ ო რ ი ს ე უ ლ ი „ დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა“ ს ა ქ მ ე ს ვ ე რ უ შ ვ ე ლ ი ს “ (მნათობი, 1968, № 8, გვ. 171).

ამ ჩვენი შენიშვნების შემდეგ, პ. რატიანი ამდგარა და ეს „დაზუსტება“ მთლიანად მოუხსნია, ე. ი. წიგნის ტექსტიდან ამოუკვეთია ზემოთ გახაზული სიტყვები „ან უფრო ზუსტად“ და მსგავსი მანიპულაციის გზით განსხვავებული შინაარსის ფრაზა მიუღია. რა თქმა უნდა, ეს შესწორებაც ჩუმად არის გაკეთებული და ამის თაობაზე არსად არაფერია თქმული. საგულისხმოა, რომ ხევისბერის მნიშვნელობის რატიანისეულ მცდარ გაგებაზე საგანგებოდ ჩერდება

თავის წერილში ისტორიკოსი ნოდარ შოშიაშვილი, იგი უხსნის მკვლევარს ხევისბერის ნამდვილ მნიშვნელობას — „ხევის უფროსი, ხევის ვამგებელი და არა ბერ-მონაზონიო“ და ურთავს: — „ამის არცოდნა ისტორიკოს მკვლევარს არ მიეტევება“-ო (ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ, მნათობი, 1969, № 11, გვ. 168).

საგულისხმოა მეორე გარემოებაც. როგორც ვთქვით, ისტორიკოს-მკვლევრისათვის მიუტევებელი შეცდომის მამხილებელი „დაზუსტება“ პ. რატიანმა ჩვენი რეცენზიის შემდეგ ჩუმად ამოიღო და ახლა აქეთ გვედავება, გვედავება და მოწმედ პროფ. კ. კეკელიძეს ასახელებს. პროფ. პ. რატიანი იუწყება: „ავტორები სრულიად უსაფუძვლოდ გვწამებენ, თითქოს არ გვესმოდეს, რა განსხვავებაა ბერსა და ხევისბერს შორის, მაგრამ ნუთუ გონების დიდი გამჭრიახობაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ლექსში შეიძლება ხევისბერიც უბრალოდ ბერად მოვიხსენიოთ? აკად. კ. კეკელიძე. რომელსაც ამ საკითხის უცოდინარობას ვერავინ დასწამებს. მეცნიერულ გამოკვლევაშიც კი ხევისბერს სერაპიონს, უბრალოდ, ბერის სახელით იხსენიებს („სერაპიონი ყოფილა ხელოვანი მხატვარი, ენატკბილი მელექსე, ხევის ბერი და გრემის თავი, ესე იგი, გრემის ხევის თავი ან ბერი, მეფეებთან გაზრდილი“, ქართ. ლიტ. ისტ., II, გვ. 280) (იხ. პ. რატიანი, ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე, ცისკარი“ 1969, № 11, გვ. 137, შენ. I).

დამოწმებული ტექსტის გამო პ. რატიანს უნდა განვუმარტოთ, რომ, ჯერ ერთი, არ შეიძლება ლექსში ხევის ბერი უბრალოდ ბერად მოვიხსენიოთ, რადგანაც ბერი და ხევისბერი სხვადასხვა შინაარსის მქონე ცნებებია. მეორეც, ტყუილად ჰგონია პ. რატიანს თითქოს, აკად. კ. კეკელიძე ხევისბერ სერაპიონს უბრალოდ ბერის სახელით იხსენიებს. ისტორიკოს-მკვლევარ პ. რატიანს, სამწუხაროდ, ვერ გაუგია მის მიერ ციტირებული კ. კეკელიძის ტექსტის შინაარსი. კ. კეკელიძე ამბობს: „ხევისბერი და გრემის თავი, ესე იგი, გრემის ხევის თავი ან ბერი“. აქედან სრულიად აშკარაა, რომ კ. კეკელიძის გაგებით, გრემის ხევის თავი იგივეა, რაც გრემის ხევისბერი. ეს სრული ჰეშმარიტებაა. პ. რატიანს არ სცოდნია, რომ აღებულ კონტექსტში სოციალური მნიშვნელობით თავი (ხევის თავი) იგივეა, რაც ბერი (ხევის ბერი). აქ ბერი ნიშნავს უფროსს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კ. კეკელიძის გაგებით ხევის თავი იგივეა, რაც ხევის უფროსი (ხევისბერი). აი, ეს ჭეშმარიტება. მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი გარემოება ვერ გაუგია პ. რატიანს. მაგრამ თუ

პ. რატიანს არ ესმის კ. კეკელიძის სიტყვების შინაარსი, რაა გასაკვირი, რომ მას არ ესმოდეს XV—XVI საუკუნეთა პოეტის ლექსის აზრი!

კიდევ ერთი შენიშვნა იმავე ხევისბერ სერაპიონ საბაშვილის შესახებ. როგორც ცნობილია, რუსთველთან გაბაასების შესავალში საბაშვილი შენიშნავს: „აქა მელექსე ავად გახდა. რა ექნა ამ ქართველების გადამკიდე?“ თავის ნარკვევში პ. რატიანი ამტკიცებდა, რომ საბაშვილის მიერ მოხმობილი სიტყვა მარტვილი ნიშნავს სარწმუნოებისათვის წამებულს, თავდადებულს, რომ პოეტ საბაშვილს აკვიატებიან წამებულები. ანუ ბერმონაზვნები, რადგანაც თვითონაც ბერმონაზონი ყოფილაო. ჩვენს სარეცენზიო წერილში შევნიშნეთ, რომ საანალიზო ტექსტის მარტვილი წამებულს კი არ ნიშნავს, არამედ ახალგაზრდას, ყმაწვილს და რომ ეს ტექსტი სწორად აქვს ნათარგმნი პროფ. თაყაიშვილს („Здесь стихотворец заболел, что мне делать с этими детьми?“). თანაც ისიც დავძინეთ, რომ მარტვილის ეს მნიშვნელობა დამოწმებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს („მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმას უწოდენ“) და ლექსიკოგრაფ ნ. ჩუბინაშვილს („მარტვირი მოწამე, ტანჯული; მარტვილი მესხურად ყმაწვილი, ბოვშვი“). აღნიშნულის კვალობაზე ვასკვნიდით: „პ. რატიანს ვერ გაუგია როსტომიანის ჩანართი ტექსტის მარტივი შინაარსი, ბავშვები (ყმაწვილები) უქცევია მოწამე-მარტვილებად (თუ ბერმონაზვნებად), რომლებიც ვითომ აეკვიატნენ პოეტს. ამიტომაც თვით პოეტიც ბერმონაზვნად გამოაცხადა. ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საპასუხისმგებლო საკითხი წყდება ტექსტის მცდარი გაგების ნიადაგზე“ (მნათობ, 1968, № 8, გვ. 171).

ჩვენ შენიშვნებს გაუნაწყენებია პროფესორი რატიანი და ე. წ. საპასუხო წერილში უბრუნდება მარტვილის მნიშვნელობის საკითხს. იგი, რა თქმა უნდა, ვერ უარყოფს მარტვილის ორგვარ მნიშვნელობას: 1. მოწამე და 2. ყრმა, ყმაწვილი, ბავშვი. აქედან, მისი მოსაზრებით, პირველი მნიშვნელობა (მოწამე) ზოგად სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა, მეორე კი — კუთხური, მესხური კილოს გამოხატულება. რადგან საბაშვილი არც მესხი იყო და სიტყვა მარტვილს არც დიალოგში ხმარობს, მის ენაზე მარტვილი მხოლოდ და მხოლოდ მარტვილს, მოწამეს ნიშნავსო. „მაშ, რა საბუთი გვაქვს, — პათეტიკურად კითხულობს პ. რატიანი, — სიტყვა მარტვილის საერთო ქართულ გაგებას ზურგი შევაქციოთ და მისი შინაარსი მესხური კილოს მიხედვით განვმარტოთ?“ კითხვას იქვე გადაჭრითი წესით უპასუხებს „ცხადია, არავითარი!“ (ცისკარი, 1969, № 11, გვ. 136). ამის შემდეგ მკვლევარი კვლავ კითხვითვე განაგრძობს მსჯელობას: „საიდან მოიყვანეს ავტორებმა (ე. ი. რეცენზენტებმა) ამ ლექ-

სში ბავშვები? ვერ ვიტყვით, რადგან ეს მათ საიდუმლოებას შეადგენს და, ერთი შეხედვით, ძალიან უცნაური ამბავიცაა, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც. ჩვენი აზრით. ნაწილობრივ მაინც, შუქს ჰფენს ავტორების ამ საკვირველ საქციელს“ (იქვე, კურსივი ჩვენია)

თურმე ნუ იტყვით, ავტორები (რეცენზენტები) ყოფილან მოქცეული აკად. ნ. მარის რომელიღაც ყალბი თეორიის გავლენის ქვეშ. პირდაპირ გასაოცარია, რა შუაშია ამ შემთხვევაში ნ. მარი (იხ. „ცისკარი“, 1969, № 11, გვ. 135—136)?!

პ. რატიანი ცდილობს დააბეზღოს მკითხველის წინაშე რეცენზიის ავტორები და განაგრძობს: „ნ. მარის ეს ყოვლად უსაფუძვლო თეორია თანამედროვე მეცნიერების მიერ სამართლიანად უარყოფილია, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი რუსთველოლოგი (ე. ი. ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ს. ცაიშვილი — ავტ.) ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ნ. მარის ხელოვნურად შეთხზული სქემების გაელენისაგან და, უთუოდ, ამით აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ მესხური კილოს ადგილობრივი მნიშვნელობის კუთხურ სიტყვას ისინი სალიტერატურო ქართულის წინაშე უპირატესობას ანიჭებენ“. დასასრულ. მკვლევარი რატიანი ნიღაბს იხდის, იქნევს მუშტებს. იმუქრება, გვაშინებს: აქაო და „ავტორებს უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ნ. მარის ყალბი თეორიების ბატონობის დრო დიდი ხანია წავიდა“-ო (იქვე, გვ. 136).

პ. რატიანის უსტარს რომ კითხულობთ, უნებლიეთ გაგონდებათ რუსთველის „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია?“ ყოველივე ეს რატიანს სჭირდება სიტყვის ბანზე ასაგდებად და მეცნიერისათვის შეუფერებელი ინსინუაციისა და ცილისწამებისათვის (ე. თაყაიშვილიც ჰიბრიდული ენის მოტრფიალე იყო?). საქმის ვითარება კი ასეთია, რომ საერთო ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობდა საქართველოს ყველა კუთხე. ბუნებრივადაც ეს საერთო სალიტერატურო ქართული ენა მძლავრად არის გამსჭვალული ცოცხალი ხალხური მეტყველების თვისებებით[2]. რასაკვირველია, საერთო ქართულ სალიტერატურო ენაში შერწყმულია მესხური კილოს ელემენტებიც. სერაპიონ საბაშვილისათვის რომ მარტვილი საერთო ქართულის კვალობაზე ყმაწვილს (ბავშვს) ნიშნავს, ამის კიდევ სხვა უცილობელ ფაქტებს მოვიყვანთ.

როსტომიანის უპოპულარესი ეპიზოდია როსტომისა და ზურაბის საბედისწერო ბრძოლის ამბავი. ზურაბი იყო როსტომის შვილი თურა-

---

2 არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში („ენის კის მოამბე“, III, 1938, გვ. 209—227).

წელი დედისაგან, თუმიანისაგან. ზურაბმა ბავშვობაში საარაკო ფალავნობა გამოიჩინა, დედისაგან გაიგო მამის ვინაობა. „ჯერ რძის სული პირსა“ უდიოდა, როცა დააპირა ერანში წასვლა მამის საძებნელად თურანთა მეფემ აფრასიობმა გაიხარა, ორი ფალავანი აახლა ზურაბს, იქნებ ყმაწვილმა როსტომი მოჰკლას და საშიში მეტოქე მოიშოროთ. ზურაბის თანამგზავრებად მიჩენილ პირებს აფრასიობმა აუხსნა (როსტომიანი, I, 2658):

> როსტომს დაუწყებს ძებნასა ზურაბ მზისაებრ სახული,
> აგებინ მოჰკლას მარტვილმან ბერი, საწუთრო-ნახული.

დამოწმებული ტექსტიდან სრულიად აშკარაა, რომ მარტვილი ნიშნავს ყრმას, ყმაწვილს, ბავშვს (ასეც განმარტავს ამ სიტყვას როსტომიანის მეცნიერი გამომცემელი იუსტინე აბულაძე). ამასთან, სიტყვა მარტვილი (როგორც ყრმა, ყმაწვილი, ბავშვი) უპირისპირდება სიტყვა ბერს (ხანდაზმულს, ხნიერს, მოხუცს). ზურაბი ბავშვია, ჯერ „რძის სული“ უდის პირზე, მამამისი როსტომი კი ბერია, ხანდაზმული, გამოცდილი („საწუთრო-ნახული“). სურათი ნათელია, მაგრამ მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი როსტომიანის მეორე ნაწილიდან. ესაა აგრეთვე პოპულარული ეპიზოდი, რომელსაც ბეჟანისა და მანიჟავის ამბავი („ბეჟანიანი“) ეწოდება. აქ მოთხრობილია, რომ ერანის განთქმულ მეფე ქაიხოსროს მოახსენეს, ქვეყანას შემოესია და აოხრებს სიდიდით სპილოს მსგავსი და „ხმლის სიგრძე“ კბილების მქონე გარეული ღორებიო. ქაიხოსრომ მოუწოდა ფალავნებს გაშურებულიყვნენ სახიფათო ადგილას და დიდი საჩუქრებიც აღუთქვა იმათ „ბრძოლად ვინ წავა ხმლიანი“. ყველა დუმდა. ზე ადგა და სახიფათო დავალების შესრულებაზე თანხმობა განაცხადა ახალგაზრდა ფალავანმა, გივის ძემ ბეჟანმა. მამა შეწუხდა („როსტომიანი, 4182):

> გივსა დია დაუმძიმდა, მით რომ ბეჟან მარტვილია,
> ძლიერსა და დაუცდელსა ბერთან არა შეუძლია.

მკითხველი კარგად ხედავს, რომ დამოწმებული ტექსტის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ცნება: მარტვილი (ყმაწვილი, ახალგაზრდა) და ბერი (მოხუცი, ხნიერი, ხანდაზმული, გამოცდილი). რომ არაფერი დარჩეს საეჭვო, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ როსტომიანი სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლია, ხოლო სპარსულ დედანში[3] მარტვილის შესატყვისია ჯავან, რაც ნიშნავს ახალგაზრდას, ყმაწვილს.

---

[3] იხ. შაჰნამეს სპარსული ტექსტი, ტომი IV, (მოსკოვი, 1967), 90-3, 93-4.

ამრიგად, ყველაფერი ნათელზე ნათელია[4]. მაგრამ პ. რატიანს რომ ჰკითხოთ, ის, ალბათ, კვლავ დაიჟინებს როსტომიანის მარტვილობის მოწამესა და ბერმონაზონს ნიშნავსო. ბერმონაზონნი ყოფილან საბაშვილიც, ზურაბიც. ბეჟანიც... აი, საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ სადამდის მიიყვანს მკვლევარს უცოდინრობა და აკვიატებული აზრის გამოდევნება.

ჩვენ ვრცლად შევჩერდით პოეტ საბაშვილზე, სამოხელეო ტერმინ ხევისბერზე და სიტყვა მარტვილის მნიშვნელობაზე, რომ გვეჩვენებინა პროფესორ პროკოფი რატიანის „პასუხის“ სტილი და მეცნიერული დონე. ასევე მიკიბულ-მოკიბული, უწიგნური, უპასუხისმგებლო და შეთოდოლოგიური უპრინციპობით გამსჭვალულია მისი „პასუხის“ დანარჩენი პუნქტებიც. ჩვენ მათ არ გამოვეკიდებით (უმეტეს წილად დაგვჭირდებოდა თქმულის განმეორება). შევეხებით მხოლოდ პ. რატიანის „პასუხის“ ორიოდე „ახალ“ ასპექტს.

რუსთველის ეპისკოპოსობის დასამტკიცებლად პ. რატიანის ერთი უძირითადესი არგუმენტია მის მიერ მოგონილი „ახალი თვალსაზრისის“ თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიურ ნააზრევთან მისადაგება. ამ მხრივ ისტორიკოსმა მკვლევარმა წარმოგვიდგინა მთელი „კონცეფცია“. როგორც ვიცით, პ. რატიანის მოსაზრებათა თანახმად, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის თაობაზე ქართულ ლიტერატურაში თითქოს „აშკარად ორი პერიოდი შეიმჩნევა: თეიმურაზ ბაგრატიონამდე და მის შემდეგ. პირველი პერიოდი იწყება დაახლოებით XV საუკუნის ბოლოდან და გრძელდება XIX საუკუნის 30—40-იან წლებამდე; ხოლო მეორე პერიოდი — 30—40-იან წლებიდან — დღემდე“ (იქვე, გვ. 167). პერიოდების გამყოფი ზღვარი პ. რატიანს უფრო დაკონკრეტებულიც აქვს. ესაა 1843 წელი, როდესაც დასრულდა თეიმურაზის ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, სადაც ჩამოყალიბებულია თეიმურაზის თვალსაზრისიო (იქვე, გვ. 168). დავიხსომოთ ეს თარიღი. თეიმურაზამდე საკითხი ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ვითომ ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ნ ა თ ე ლ ი ყ ო ფ ი ლ ა, ყველამ იცოდაო, რომ ზედწოდება რ უ ს თ ვ ე ლ ი უეჭველად ნიშნავდაო სასულიერო პირს, სახელდობრ — რუსთავის ეპისკოპოსს, თუ მთავარეპისკოპოსს. ეს დავას არ იწვევდაო. თურმე მდგომარეობა „ძირფესვიანად შეცვლილა“ თეიმურაზ ბაგრატიონის წყალობით (იქვე, 167). თეიმურაზს ვითომ შეგნებულად გადაუკეთებია რუსთველის ბიოგრაფია და იგი შეუგუებია „თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის“ (გვ. 168). რუსთველის ბიოგრაფიას

---

[4] როსტომიანში სხვაგანაც გვხვდება სიტყვა მარტვილი ყმაწვილის. ახალგაზრდის, ბავშვის მნიშვნელობით (როსტომიანი, I, 1846, 1977).

გადაკეთება თეიმურაზს უკარნახაო „ბაგრატიონთა ოჯახის გაწდიღე ბის სურვილმა“ (იქვე). ამისათვის სწავლულ ბატონიშვილს რუსთველ გამოუცხადებია ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლად, ერისკაცად. ჰერეთის მთავრად და რუსთაველად. თეიმურაზის მეოხებით დაკარგულა ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელწოდების სწორი ფორმა, რუსთველი და მის სანაცვლოდ გაჩენილა „საერო ელფერის დაწერილობა“ რუსთაველი (იქვე, გვ. 168—169, 176). „ღროა უკუვაგდოთ თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მიმდევართა ზემოთ ხსენებული ყალბი კონცეფცია და გავათავისუფლოთ რუსთველოლოგია მისი უარყოფითი გავლენისაგან“-ო, გაჰყვირის პ. რატიანი.

კოლექტიურ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ერისკაცად რუსთველი თეიმურაზზე ადრე გამოაცხადეს იოანე ბატონიშვილმა და ანტონ კათალიკოსმა, მათვე აქვთ გამოყენებული ფორმა რუსთაველი. რუსთველის ბაგრატიონობა თეიმურაზს აზრადაც არ მოსვლია. ასეთი რამ თვითნებურად მიაწერა მას პ. რატიანმა. ჩვენი შენიშვნებით რომ ნიადაგი გამოეცალა „ახალ თვალსაზრისს“, ახლა მისი ავტორი მეცნიერისათვის შეუფერებელი წესით ცდილობს ფონს გასვლას. დავიწყოთ იოვანე ბატონიშვილით. წინათ იოვანე ბატონიშვილი იყო მისი საყრდენი, საპასუხო წერილით კი ირკვევა, რომ იგი ოღიოზური გამხდარა. თავის ნარკვევში პ. რატიანი ამბობდა, რომ იოვანე ბატონიშვილის „ერთ ნაშრომში“, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, 1820—1827 წლებში უნდა იყოს შეთხზული. „ზუსტად ისეთივე გაგებაა გადმოცემული, რაც აღორძინების ხანაში საყოველთაოდ მიღებული იყო“-ო. ბოლოს მკვლევარი ასკვნიდა: „XIX საუკუნის ოციან წლებშიც რუსთველზე იგივე შეხედულება ჰქონიათ. რაც წინა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ სულ მალე... მდგომარეობა შეიცვალა“. ნაგულისხმევია თეიმურაზ ბაგრატიანის „კონცეფციის“ ჩამოყალიბების დრო (იქვე, გვ. 177). საქმე ისაა, რომ დაუსახელებელ „ერთ ნაშრომად“ მიჩნეულია „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1909 წელს. მაშინ ე. თაყაიშვილმა არ იცოდა (ეს არც ახლა იცის პ. რატიანმა), რომ „მცირე უწყება“ იყო იოვანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთი ნაწილი[5] და რომ გამოქვეყნებული ტექსტი საკ-

---

[5] ეტყობა, ჩვენი წერილის შემდეგ პ. რატიანს სახელდახელოდ გადაუკითხავს ს. ბნის ლიტერატურა, მაგრამ საკითხში მაინც ვერ გარკვეულა. მას ახლაც ჰგონია, თითქოს „მცირე უწყება“ და „კალმასობა“ ანუ „ხუმარსწავლა“ ერთი და იგივე თხზულებაა (იხ. ცისკარი, 1969, № 11, გვ. 125). ნამდვილად კი ე. წ. „მცირე უწყება“ მრავალტომიანი „კალმასობის“ (ხუმარსწავლის) ერთი მცირედი ნაწილია მხოლოდ.

მარისად შეცვლილია დედანთან შედარებით. დედანში, ავტოგრაფულ ხელნაწერში (ამჟამად ბეჭდურად არის უკვე გამოცემული) დამოწმებულია ვითომ თეიმურაზის მიერ შემოღებული ფორმა რუსთველი. ამასთან, დიდებული პოეტი პირდაპირ (და არა ვითომ, როგორც შენიშნავს პ. რატიანი) აღიარებულია ერისკაცად. ეს დათარი აურია მკვლევარ ისტორიკოსს. მან ერთადერთი გამოსავალი იპოვა. როგორც ვთქვით, გაწირა ადრე მოკაშირედ მიჩნეული სწავლული ბატონიშვილი და გზიდან ჩამოიშორა, იგი აღორძინების ხანის მწერალი არ არისო, არსებითად ანტონის ცნობებს იმეორებსო, თუ რაიმე განსხვავებული უთქვამს, ისიც უმცროსი ძმის თეიმურაზის შთაგონების შედეგად უთქვამსო (ცისკარი, № 12, გვ. 112, შენ. 2).

უნდა მოვიგონოთ, რომ პ. რატიანის შეხედულებით, თეიმურაზის „კონცეფცია" შემუშავდა XIX საუკუნის 30—40-იან წლებში, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო მან 1843 წელს. ამ დროს კი იოვანე ბატონიშვილი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო (იგი გარდაიცვალა 1830 წელს[8]). აი, რა ხერხს მიმართავს ისტორიკოსი პ. რატიანი, რომ როგორმე თავი დაიძვრინოს გამოუვალი ჩიხიდან! უიმედო ცდაა და უვარგისი ხერხი!

კიდევ უფრო უვარგისი ხერხებით ცდილობს პ. რატიანი ანტონ კათალიკოსისაგანაც თავის დაღწევას. თურმე ქართული ენის უებრო მკვლევარს, აკადემიკოს აკაკი შანიძეს სწორად არ ესმის ანტონის ტექსტის შინაარსი. შანიძისეული „განმარტება. ჩვენი აზრით, მიუღებელია"-ო, წერს პ. რატიანი, რომელსაც ხელს არ აძლევს ეს განმარტება, მეტიც, ეს განმარტება ძირს უთხრის „ახალ თვალსაზრისს". პ. რატიანი ანტონ კათალიკოსის რთული ტექსტის უცთომელი ინტერპრეტატორის პატივს იჩემებს და ნებას აძლევს თავის თავს ამის გამო აკაკი შანიძეს ეკამათოს. სასაცილოა, მეტი რომ არა ვთქვათ რა.

ჩვენ ხომ, რასაკვირველია, ვერ ვიგებთ ანტონის ცნობის აზრს და მას ვამახინჯებთ (იქვე, გვ. 114). სადავო აღარაა, რომ სასულიერო მწერლობის მიმოხილვის შემდეგ ანტონ კათალიკოსი თავისი „წყობილსიტყვაობის" მეშვიდე ნაწილის მერვე კარში ახასიათებს საერო მწერლებს. მისეული კონსტრუქციული სქემის შესაბამისად, ანტონი საერო მწერლების დახასიათებას იწყებს მეფე-პოეტებით (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II.) მომდევნო პირველი ადგილი დათმობილი აქვს რუსთველს („თვის შოთა რუსთაველისა"). „წყობილსიტყვაობის" კონსტრუქციიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ შოთა რუსთველს ანტონი თვლის საერო პოეტად და ერისკაცად. ამ მოსაზრებას ეჭვმიუტანლად ადადასტურებს და ამტკიცებს „წყობილსიტყვაო-

[8] „კალმასობა" დაწერილია 1813—1827 წლებში.

ბის“ დასახელებული კარის პირველივე, 795-ე სტროფი, რომელიც თუმცა თეიმურაზისადმი მიძღვნილი ნაწყვეტის კუთვნილებაა, მაგრამ არსებითად წარმოადგენს მთელი კარის ნამდვილ შესავალს. აქ იკითხება:

არცალა მათი ჰხსენება დავიდუმო,
რომელნი სიბრძნის ქვე-მდებარენი ჰსთქმიდეს,
ერისკაცთანი. საქებელთა წერილთა,
რომელთა შორის თეიმურაზ არს მეფე,
შვენიერ-მეთქვი, მაღალ პიიტიკოსი.

მიუხედავად სტილის მაღალფარდოვნობისა, ანტონი აქ სრულიად გარკვევით და ნათლად ამბობს, რომ ვერც იმათ ხსენებას ავუვლი ღუმილით (გვერდს), საქებელთა წერილთა მთქმელ სიბრძნის ქვემდებარე ერისკაცებს, რომელთა შორის არის მშვენიერ-მთხზველი და მაღალპიიტიკოსი თეიმურაზ მეფე.

ამრიგად, თეიმურაზს და იმავე კარში მოხსენიებულ სხვა პირებს, მათ შორის შოთა რუსთველს, ანტონი სრულიად გარკვევით უწოდებს ერისკაცებს. ანტონ კათალიკოსმა თეიმურაზ ბაგრატიონზე ერთი საუკუნით ადრე უწოდა რუსთველს ერისკაცი, ერთი საუკუნით ადრე იხმარა მან ფორმა რუსთველი. ყველაფერი ის, რაც პ. რატიანმა მიაწერა თეიმურაზ ბაგრატიონს, მის მიერაა ნებისმიერად შეთხზული და გამოგონილი. აი, რა საფუძველს ემყარება თვითდაჯერებული ისტორიკოსის „ახალი თვალსაზრისი“ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე.

პ. რატიანის უსაფუძვლო მოსაზრებით, აღორძინების პერიოდის (XV—XVIII საუკუნეების) გამოუკლებლივ ყველა მწერალსა თუ მოღვაწეს რუსთველი მიაჩნია სასულიერო პირად, რუსთავის ეპისკოპოსად. საპასუხო წერილში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ რუსთველის იკონოგრაფიის საკითხს და შევნიშნეთ, რომ აღორძინების პერიოდიდან მოგვეპოვება ორი პორტრეტი (ზაზაძისეული და მამუკასეული ხელნაწერებით შემონახული). ორივე ეს პორტრეტი რუსთველს წარმოგვიდგენს ერისკაცად. პ. რატიანი ვერ უარყოფს, რომ მამუკასეული პორტრეტი რუსთველს გვიხატავს ერისკაცად, მაგრამ ამას არავითარი ღირებულება არ აქვს, რადგანაც მხატვარი „საკუთარ ფანტაზიას დაყრდნობია“ და მას „ხელთ არ ჰქონია არავითარი მასალა“-ო (ცისკარი, 1969, № 12, გვ. 120). მამუკა მდივანი თავაქალაშვილი იყო ცნობილი მწიგნობარი, პოეტი, კალიგრაფი და, შესაძლებელია, მხატვარი, რომელსაც გადაუწერია ვეფხისტყაოსნის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი 1646 წლისა. მასვე იქვე, ოღიშში, ქველმოქმედი მთავრის ლევან დადიანის კარზე (ეს ის ლევან დადიანია, რომლის სახსრებითაც შეაკეთეს იერუსა-

ლიმის ჯვრის მონასტერი 1643 წელს) გადაუნუსხავს ფირდოუსის შაჰნამეს ქართული ვერსიის ტექსტი და გაულექსავს ამ ტექსტის ერთი ეპიზოდი („ზააქიანი"). მამუკას მიერ გადაწერილ შაჰნამეს ქართული ვერსიის ტექსტსაც ამკობს ორი საინტერესო მინიატურა. ლევანის კარზე გადაუწერია მამუკას შაჰნამეს გაგრძელების ქართული ვერსიის ტექსტიც. მასთან ერთად მოღვაწეობდა და მწერლობდა პოეტი ბარძიმ ვაჩნაძე. ერთი სიტყვით, XVII საუკუნის ორმოციან წლებში ლევან დადიანის სამთავრო კარი მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა, სადაც გაჩაღებული იყო ლიტერატურული საქმიანობა, იქ უნდა ყოფილიყო ძველი ქართული ხელნაწერები (აბა, საიდან გადაიწერა ვეფხისტყაოსნისა და შაჰ-ნამეს ქართული ვერსიის ტექსტები?). იქ, ოდიშის კულტურულ წრეში რუსთველს თვლიდნენ კიდეც ერისკაცად. მაშასადამე, მტკიცე ყოფილა რუსთველის ერისკაცობის ტრადიცია.

უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს პ. რატიანი ზაზასეული ხელნაწერის პორტრეტს. ამ შემთხვევაშიაც იგი იძულებულია აღიაროს, რომ რუსთველი გამოსახულია ერისკაცად. ოღონდ ზაზასეული ხელნაწერის პორტრეტი დახატულიაო „სპარსულ ყაიდაზე", რადგანაც მხატვარი „ირანის ფერწერის ძლიერ გავლენას განიცდიდაო" (იქვე, გვ. 122). ამასთან ერთად, თუმცა შოთას გარეგნობა, ჩაცმულობა, ფერხთმორთხმა ირანის ფერწერის ტრადიციათა გავლენითაა აღბეჭდილი, სამაგიეროდ, წინააღმდეგ ხელოვნებათმცოდნეთა მოსაზრებისა, „შოთა რუსთველის პორტრეტის ფონი წარმოადგენს არა საერო დანიშნულების სასახლეს, არამედ ჩვეულებრივ მონასტერსო" (იქვე, გვ. 123—124). ამ გარემოებას პ. რატიანი თვლის „გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთად, რომელიც ერთხელ კიდევ ეჭვმიუტანლად ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის ავტორის ნამდვილ ვინაობას და საბოლოოდ ასამარებს ჩვენი ავტორების უნიადაგო თვალსაზრისს" (იქვე, გვ. 124, კურსივი რატიანისაა.—ავტ.).

მოყვანილი მსჯელობიდან და მაღალფარდოვანი მყვირალა განცხადებიდან („საბოლოოდ ასამარებს") მთავარი ისაა, რომ პ. რატიანი — ვიმეორებთ — იძულებულია აღიაროს, რომ ზაზასეული ხელნაწერის პორტრეტიც რუსთველს წარმოგვისახავს ერისკაცად. ერთი წუთით დაეუშვათ, რომ მართალია პ. რატიანი და დიდებული ქართველი პოეტი გამოსახულია ქრისტიანული მონასტრის ფონზე. მაშინ ხომ მით უფრო იყო მოსალოდნელი მხატვარს იგი სწორედ ეპისკოპოსად წარმოეჩინა, თუკი მას ნამდვილად ეპისკოპოსად თვლიდა? ეპისკოპოსად მიჩნეული პირი თუ მხატვარმა სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილ პოეტად წარმოგვისახა (და ისიც მონასტრის ფონზე), მას დაუმცირებია, დაუმდაბლებია

მღვდელმთავარი, მიწასთან გაუსწორებია მისი მაღალი ღირსება. მზატვარი პორტრეტს ხატავდა თუ კარიკატურას?!

ამრიგად, ზაზასეული და მამუკასეული ხელნაწერების ორივე პორტრეტი რუსთველს გვისურათებს ერისკაცად და, მაშასადამე, ერთხელ კიდევ ბათილდება დებულება, თითქოს აღორძინების პერიოდის არც ერთი მწერალი და მოღვაწე რუსთველს არ თვლიდა ერისკაცად (მნათობი, 1968, №2, გვ. 170).

აღარაფერს ვამბობთ რუსთველის იერუსალიმური პორტრეტის თაობაზე, რადგანაც, პ. რატიანის თვალსაზრისის თანახმად, რუსთველს იქ ამკობს სამეფო (ე. ი. საერისკაცო) პორფირ-ბისონი, რომლის ტარების უფლება მიიღეს რუსთველმა ეპისკოპოსებმა XVIII საუკუნეში (მნათობი, 1968, № 4, გვ. 156—157; მნათობი. № 5. გვ. 115). XVIII საუკუნეზე რა მოგახსენოთ, ხოლო XII—XIII საუკუნებისათვის კი სავსებით გამორიცხულია მღვდელმთავრების მხრივ სამეფო პორფირ-ბისონით მოკაზმულობა[7].

ვინც გაეცნობა პ. რატიანის ნარკვევს და მის „პასუხს“, ადვილად შეამჩნევს, რომ ჩვენი მკვლევარი ისე ირჯება, როგორც ირჯებოდა კრილოვის ცნობილი იგავ-არაკის ერთი „გმირი“. რამდენადაც პ. რატიანს ნაკლები აქვს საბუთი, იმდენად მეტ ზერელობას იჩენს, ყვირის, ხმაურობს. მტვერს აყრის მკითხველს, რომ დაფაროს თავისი უსუსურობა. აბა, გასინჯეთ, რა უსაშველო ბრალი ადენს ქრესტომათიისა და სახელმძღვანელოების გამო! თავის დროზე ჩვენ გაგვაკრიტიკა, რომ აღორძინების პერიოდის მწერლობა პ. რატიანს ქრესტომათიით შეუსწავლია, რამაც განაპირობა მისი რიგი მძიმე შეცდომა. პ. რატიანი ახლა მკითხველს არწმუნებს, თითქოს ჩვენ „მიუტევებელ შეცდომად“ ვუთვლით მას „ქრესტომათიის გამოყენების თვით ფაქტს“, „თუმცა თვითონაც კარგად იცის, რომ, ალბათ, მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიძებნება მეცნიერი, რომელსაც ამა თუ იმ ქრესტომათიით არ ესარგებლოს“[8] (ცისკარი, 1969, № 11, გვ. 125). დამშვიდდით, ბატონო ისტორიკოსო! ქრესტომათია ჯეშმარიტად კარგი რამაა, იმით ყველგან სარგებლობენ. მათ შორის, რასაკვირველია, მეცნიერებიც. საქმე ეს კი არაა. საქმე ისაა, რომ როდესაც მეცნიერი საგანგებოდ იკვლევს ძიებს რაიმე სერიოზულ საკითხს, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს ქრესტომათიით (ქრესტომათია ხომ გამოკრებილ მასალებს შეიცავს?). იგი უნდა გაეცნოს სრულ ბეჭდურ პუბლიკაციებს

---

[7] ნ. შოშიაშვილი. ვეფხისტყაოსნის აეტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ (მნათობი. 1969, № 11. გვ. 172—173).

საჭირო შემთხვევაში თვითონ დედან-ხელნაწერებსაც უნდა მიაკითხოს. აი, ამაზე, ამ ელემენტურ წესზე მივუთითებდით ჩვენ პროფესორ რატიანს. ის კი, როგორც ხედავთ, პასუხის ნაცვლად მტვერს გვაყრის თვალში. ასევე ირჯება ჩვენი სწავლული მკვლევარი საძიებლების საკითხშიც. პ. რატიანი ვიღთომ გვიმტკიცებდა, რომ ტბეთიდან მიღებული ორი ტერმინი ტბელი და მტბევარი — სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებებია, ტბელი აღნიშნავსო მხოლოდ საერო პირს, ხოლო მტბევარი — სასულიეროსო. ჩვენ არ შევწუნარეთ ეს მოსაზრება. მკვლევარს მოვახსენეთ, რომ საკმარისია გადაფურცლოთ კ. კეკელიძის ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საძიებელი, რომ იქ იპოვოთ საწინააღმდეგო ფაქტები. საძიებლების მიხედვით ჩახედავთ წიგნში (მთელი წიგნის გადაკითხვა რომ არ მოგიხდეთ) და ნახავთ: ტბეთის მოღვაწე სასულიერო პირი ზოგჯერ იწოდება ტბელად, ზოგჯერ კი მტბევარად. ცნობილი არიან, ერთი მხრივ, ანტონ ტბელი, დავით ტბელი, პავლე ტბელი და სხვა. მეორე მხრივ, — იოანე მტბევარი, სტეფანე მტბევარი. ეს მონაცემები აბათილებს პ. რატიანის ერთ უმთავრეს დებულებას. თავისი მარცხი რომ დაფაროს, პ. რატიანი კორიანტელს ააყენებს, ქედმაღლურად გვეკითხება, გვასწავლის: „საძიებელი რა ისეთი საბუთია, რომ მეცნიერული კამათის დროს მას დავეყრდნოთ? განა ავტორებმა არ იციან, რომ საძიებელი უბრალო ტექნიკური ცნობარია, რომელსაც უფრო ხშირად ავტორები კი არა, კორექტორები ადგენენ?“ (ცისკარი, № 11. გვ. 128). ეს გულუბრყვილო ფანდიც ვერ უშველის ცრუარგუმენტებით აღჭურვილ ჩვენ მეომარ მკვლევარს. ეს „უბრალო ტექნიკური ცნობარიც“, როგორიც საძიებელია და რომელსაც თურმე „უფრო ხშირად კორექტორები ადგენენ“, მთლიანად არღვევს და სწორედ რომ აცამტვერებს პ. რატიანის დებულებათა ბუხუნულას.

პ. რატიანი გულმოდგინედ არც ქართლის ცხოვრებას კითხულობს, არც სხვა პირველ წყაროებს, არც სამეცნიერო ლიტერატურას. ერთ საგულისხმო ფაქტს დავიმოწმებთ. პ. რატიანი იგონებს იმ დისკუსიას, რომელიც ერთ დროს გაჩაღდა ჩვენს პრესაში რუსთველის იერუსალიმში შესაძლებელი ყოფნისა და იქ გარდაცვალების თაობაზე. ამახინჯებს ალ. ბარამიძის მაშინდელ მოსაზრებასა (საქმე ეხება 1960 წელს გამოქვეყნებულ წერილს) და დასძენს, რომ შემდეგდრო ინდელ ნაშრომებში, კერძოდ, ჯვრის მონასტრისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში („შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში“. საიუბილეო კრებული. „შოთა რუსთველი“. თბილისი, 1966) „ალ. ბარამიძე ერთ სიტყვასაც აღარ ამბობს ჯვრის მონასტრის მემატიანის გიორგი პანამიხაილის ცნობაზე, იმავე, როგორც არც კი ახსენებს პროფ. ალ. ცაგარლისა და მთე-

ლი რიგი სხვა ავტორების მოსაზრებებს რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე" (მნათობი, 1968, № 5, გვ. 130). ნამდვილად კი დასახელებულ ნაშრომში 30 და 31-ე გვერდებზე იკითხება (მოგვყავს ტექსტი მთლიანად):

„აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: 1905 წელს იერუსალიმში გამოქვეყნდა ბერძნულ ენაზე კრებული „ახალი სიონი" (ტომი მეორე), ამ ტომში მოთავსებულია ბერძენი ისტორიკოსის გიორგი პანდ. მიხაილის ნარკვევი ჯვარის მონასტერზე. ეს ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ჯვარის მონასტრის შესაკეთებლად თამარ მეფის დავალებით 1192 წელს იერუსალიმს ეწვიათ გამოჩენილი პოეტი შოთა რუსთველი (С. Лосев, О могиле Шота Руставели «Вечерний Тбилиси», 17.VI.60 г.; И. Стовбун, О Крестном монастыре в Иерусалиме, портрете и могиле Шота Руставели, «Вечерний Тбилиси», 9.VI.65 г.).

ამ ცნობას ემყარება რ. ჟანენის მონათხრობიც, თამარ მეფემ იერუსალიმში გააგზავნა სახელგანთქმული პოეტი რუსთაველი და გაატანა ძვირფასი ძღვენი წმიდა-ჯვრის ეკლესიის გასამშვენიერებლად" (რ. ჟანენ, ქართველები იერუსალიმში. თარგმანი ფრანგულიდან, სტამბოლი, 1921, გვ. 40). დამოწმებული ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია. ძნელია იმის დაშვება, რომ ბერძენმა ისტორიკოსმა განზრახ მოიგონა ან საგანგებოდ შეთხზა ეს ფაქტი. სამწუხაროდ, ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას ემყარება ცნობა შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნის თაობაზე. ეს ცნობა ამოკითხულია ძველი სამონასტრო მატიანედან, თუ მისი წყაროა მონასტერში შემონახული გადმოცემა. ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცნობთ პირველწყაროს, რომ მის ავკარგიანობაში გაერკვეთ. ამიტომაც დიდი სიფრთხილე გვმართებს, კატეგორიული ხასიათის დასკვნის გამოტანას უნდა მოვერიდოთ!"

როგორც მკითხველი ხედავს, ერთი სიტყვა კი არა, ძალიან ბევრიც ყოფილა თქმული დასმული საკითხის თაობაზე. მაშ, რა ჰქვია პ. რატიანის ასეთ საქციელს? ორში ერთი: ან პ. რატიანი გულდასმით არ კითხულობს სამეცნიერო ლიტერატურას, მათ შორის ისეთსაც, რომელსაც იმოწმებს, ანდა მკვლევარს შეგნებულად შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. არა გვგონია, ან ერთი ეკადრებოდეს პროფესიონალ მკვლევარს, ან მეორე. დასკვნის გამოტანა მკითხველისათვის მიგვინდვია.

პ. რატიანის „პასუხში" დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი „მიუტევებელი მეთოდოლოგიური შეცდომების" მხილებას. ეს „შეცდომები" იმით ყოფილა გამოწვეული, რომ თურმე ჩვენ ვიმყოფებით ნიკო მარის ძლიერი გავლენის ქვეშ (ცისკარი, 1969, № 12, გვ. 124—

127). ამიტომაც ავტორები, — წერს პ. რატიანი, — დაბეჯითებით უსვამენ ხაზს ძველი სვინაქსარებისა და აღაპების განსაკუთრებულ მნიშვნელობას“ (იქვე, გვ. 126).

აფერუმ, ბარაქალა, ბარაქალა, შუა საუკუნეების ისტორიკოსო! რა ადვილად ემიჯნებით და უგებთ ანდერძს საისტორიო პირველწყაროებს! რაც მართალია, მართალია, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სვინაქსარებსა და სააღაპო წიგნებს (და არა აღაპებს, როგორც მოგვაწერს პ. რატიანი), ვითარცა საისტორიო და სალიტერატურო პირველხარისხოვან წყაროებს (თუმცა ყოველთვის კრიტიკულად ვსწავლობთ მათ).

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ უდიერად ეპყრობა პ. რატიანი ქართული კულტურის გამოჩენილ მკვლევარს, აკადემიკოს ნიკო მარს. მიუხედავად დიდი და მძიმე შეცდომებისა, რომელებიც აქვს მარს როგორც საკუთრივ ენათმეცნიერულ, ისე საზოგადოდ ფილოლოგიურ თუ სხვა დარგის ნაშრომებში, მაინც უდავოა და დიდად ფასეული მისი ღვაწლი ქართული კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ჩვენი დიდი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ (იქნებ პ. რატიანი არც ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტს სცნობს?), „თავისი სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნარითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიყვარულით, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“. ამას წერდა ივანე ჯავახიშვილი 1937 წელს გამოქვეყნებულ წიგნში (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 10. კურსივი ავტორისაა). სხვათა შორის, იმავე წიგნში ივანე ჯავახიშვილი ეხება ნ. მარის 1910 წელს გამოცემულ ერთ რუსთველოლოგიურ მონოგრაფიას და შენიშნავს, რომ იგი არის „მშვენიერი გამოკვლევა“. რომელიც რუსთველის „სულისკვეთებისა და მსოფლმხედველობის საუკეთესო გამომჟღავნებელად უნდა იქნეს მიჩნეული (იქვე, გვ. 10). ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომშიც ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ ვეფხისტყაოსნის შესწავლის ახალი ხანა შექმნა“ (შოთა რუსთაველის 750 წლისთავის ზეიმის გამო, კრ. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები 1956. გვ. 10).

ვერც ნ. მარის ლანძღვით მოიხვეჭს პ. რატიანი რაიმე მეცნიერულ კაპიტალს.

ამით ვამთავრებთ იძულებითს პასუხს და საზოგადოდ ყოველგვარ კამათს პ. რატიანთან. სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ მკვლევარმა არ მოისურვა საჯაროდ განხილულიყო მისი ნაშრომი სპეციალისტთა წრეში. წერილობითი „დისკუსია“ კი სათავეშივე მცდარი, უნიადაგო პრობლემის გარშემო ძალზე გაჭიანურდა.

1970

„მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა“

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის შრომების VII ტომი დაეთმო მის უმთავრეს რუსთველოლოგიურ გამოკვლევას — „რუსთაველის შემოქმედება“, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე[1]. შ. ნუცუბიძე ბევრს შრომობდა რუსთველოლოგიურ საკითხებზე ამის შემდეგაც. წინამდებარე მონოგრაფიაში შეჯამებულია ავტორის ნაფიქრ-ნააზრევი. ამდენად, ეს გამოცემა ნამდვილად გამოხატავს მის რუსთველოლოგიურ კრედოს. ოღონდ შ. ნუცუბიძე კვლავაც ინტენსიურად განაგრძობდა რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას და არა ერთი და ორი ახალი ნაშრომი გამოაქვეყნა. ამ ნაშრომებში, ერთი მხრივ, განვითარებულია ავტორისეული მონოგრაფიის კონცეფციები (ზოგი რამ შესწორებული და დაზუსტებულია), მეორე მხრივ კი წამოყენებულია პრინციპული მნიშვნელობის ახალი შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე.

შ. ნუცუბიძის მერმინდელ ინტენსიურ კვლევა-ძიებას უთუოდ ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ — ქართველ მეცნიერთა ჯგუფის (ა. შანიძის, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის შემადგენლობით) 1960 წლის იერუსალიმური ექსპედიციის შედეგებმა და რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილემ (აღინიშნა 1966 წელს).

სამწუხაროდ, შ. ნუცუბიძის თხზულებათა კრებულში არ მოიკრიბა მისი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომების შეტანა. მრავალთაგან აქ დავასახელებ შ. ნუცუბიძის მიერ 1959—1968 წლების მანძილზე დაბეჭდილ იმ ნარკვევებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკვლევრის რუსთველოლოგიურ შეხედულებათა განვითარებისათვის:

---

[1] იმ წიგნის რედაქტორობა, ავტორის სურვილის თანახმად, ჩვენ დაგვევალა. დაბეჭდილი წიგნის ერთი ცალი შ. ნუცუბიძემ ჩვენ გვისახსოვრა ლაკონიური წარწერით: „ჩემს უბადლო რედაქტორს პროფ. ალ. ბარამიძეს ავტორისაგან. 5.2.59, თბილისი“.

1. რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სა-მეცნიერო ექსპედიცია. თბილისი, 1961, 42 გვ.

2. მანიქეველობა საქართველოში და რუსთაველის შემოქმედება (ჟურნ. „მნათობი", 1962, № 10, გვ. 131—139).

3. კიდევ ერთხელ ჯვრის მონასტრის მხატვრობისათვის (ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1963. № 9, გვ. 22—28).

4. ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი საკითხისათვის (ჟურნ. „ცისკარი", 1965, № 2, გვ. 124—137).

5. რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა (ჟურნ. „ცისკარი", 1965, № 8, გვ. 133—134).

6. რუსთაველი და ქართველი მოაზროვნენი (ჟურნ. „მნათობი". 1965, № 10, გვ. 103—115).

7. მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა (ჟურნ. „ცისკარი", 1966, № 5, გვ. 97—107).

8. აზრი და საუკუნე (გაზ. „კომუნისტი", 28.9.66).

9. ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო (ჟურნ. „მნათობი", 1968, № 11, გვ. 133—140).

10. აღსარება-ანდერძი (ჩვენი პუბლიკაცია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 5.9.69; აგრეთვე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1971, გვ. 313—383; იგივე რუსულად, ხარკვევები..., VI, 1975, გვ. 94—100).

დასახელებული ნაშრომებიდან დიდ ინტერესს იწვევენ ისინი, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავენ ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური პრობლემის (პოემის სიუჟეტური შედგენილობის) ახლებურად გარკვევას. თავის მხრივ, ტექსტოლოგიურ პრობლემატიკას მკვლევარი უშუალოდ უკავშირებს შოთა რუსთველის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრისა და მსოფლმხედველობის საკითხებს.

როგორც ცნობილია, შ. ნუცუბიძე თავის მონოგრაფიაში „რუსთაველის შემოქმედება" იმ აზრს ავითარებს, რომ ვეფხისტყაოსანში ორი ტექსტობრივი პლასტია მოქცეულიო. მკვლევრის მოსაზრებათა თანახმად, რუსთველის პოემის ძირითადი (პირველადი) ტექსტი გაძსჯვალულია პანთეისტური მატერიალიზმის სულისკვეთებით. სწორედ პროგრესული აზროვნებისათვის დაისაჯა დიდი პოეტი და საქართველოდან გააძევესო (ან იძულებული გახადეს გარდახვეწილიყოო). სამშობლოდან გარდახვეწილ რუსთველს თავშესაფარი უპოვია იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. გზაში თუ მონასტერში, ახალი ინტელექტუალურ-მორალური ვითარების პირობებში, პოეტს გადაუკითხავსო თავისი პოემა და შიგ ჩაურთავსო პანთეისტური მატერიალიზმის იდეებისათვის შეუფერებელი, ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი განწყობილების გამომხატველი რიგი სტროფები. ასე შეიქმნაო ვეფხისტყაოსნის შე-

ორე რედაქცია, რომელიც შეიცავსო პოემის ორ პლასტს, ძველსა და ახალს. მეორე პლასტის ტექსტი ავტორისეული ჩანართებიაო (ავტორისეული ინტერპოლაციები). ავტორისეულ ინტერპოლაციად თვლის მკვლევარი, მაგალითად, პროლოგის მეორე სტროფს, რომლითაც პოეტი მიმართავს ღმერთს:

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ამ ადრინდელ მოსაზრებას შ. ნუცუბიძე აფართოებს და აღრმავებს მერმინდელ ნაშრომებში. მისი აწინდელი შეხედულებით, შოთა რუსთველს თვითონ გაუგრძელებია და გაუსრულებია ვეფხისტყაოსნის ამბავი, დაუმთავრებია პოემის სიუჟეტი მთავარი პერსონაჟების აღსასრულით. შ. ნუცუბიძე უარყოფს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხის ტრადიციულ გაგებას. მისი ფიქრით, ის, რასაც ძველად გაგრძელება ეწოდებოდა, ნამდვილად არის პოემის შინაარსის ლოგიკური განვითარება, კომპოზიციურად და მსოფლმხედველობრივად მისი ბუნებრივი დასასრული. ასე ესახება შ. ნუცუბიძეს მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა. მკვლევარი საერთოდ დიდად აფასებს ვეფხისტყაოსნის ე. წ. ვარიანტებიან გამოცემას[2]. (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით რომ დაიბეჭდა 1966 წელს), მაგრამ, შენიშნავს, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენას „პოეტური წაკითხვაც" ესაჭიროებაო. თითქოს გენიალური პოემის ეს „პოეტური წაკითხვა" ადასტურებს, რომ„ „რუსთველის მიზანი იყო ვეფხისტყაოსნის ლიუეტი მიეყვანა გმირთა სიკვდილამდე"[3] „გაგძელებათა" მიხედვით, წუთისოფელს ყველაზე გვიან გამოესალმა ფრიდონი. შ. ნუცუბიძის ვარაუდით, ასეთი იყო რუსთველის ჩანაფიქრი: „ფრიდონი რუსთაველის გმირების საერთო მეგობარი იყო და მას უნდა დაეგვირგვინებინა მათი ამქვეყნიდან გასვლის ამბავი. ამიტომაც ფრიდონის სიკვდილის შემდეგ პოემა უნდა დასრულებულიყო და აი აქ არის მოთავსებული 2121-ე სტროფის სახით მეორე სამიჯნურო სტროფი — „ვასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა"[4], სხვაგანაც მკვლევარი გადაჭრით ამბობს: „მეორე სტროფის მეორე ნახევარში რუსთაველი

---

2 შ. ნუცუბიძე, ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო (ჟურნ. „მნათობი", 1968, № 11. გვ. 133—140).

3 შ. ნუცუბიძე, მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა (ჟურნ. „ცისკარი", 1966. № 5, გვ. 99).

4 იქვე, გვ. 105, „გაგრძელებათა" სტროფების ნუმერაცია გულისხმობს ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემას (— ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით. გამოსაცემად დაამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1956).

ყოველი ორაზროვნების გარეშე გვეუბნება, რომ მისი მიზანია გაეცეს ვეფხისტყაოსნის გმირებს ცხოვრების დასასრულამდე. მაშასადამე, აქ არავითარ გაგრძელებაზე ან გამგრძელებლებზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი"[5], მთლიანი ვეფხისტყაოსნის იდეას შ. ნუცუბიძე აფუძნებს რუსთველის მსოფლმხედველობის მისეული გაგების თვალსაზრისზე. პოემის რიგი სტროფების მიხედვით (შ. ნუცუბიძის კონცეფციით ეს სტროფები ავტორჩანართებია) წუთისოფელი ბეუთალია და გაუტანელი („ვაჰ, სოფელო... ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა", „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა"....). მკვლევრის მსჯელობის თანახმად, „ვეფხისტყაოსანი მაშინაა სრული, თუ ბრძოლით მოპოვებულ ბედნიერებას მოჰყვება სიავე, რასაც განაგებს „სიმუხთლე ჟამისა" [6]. თავის ნარკვევს შ. ნუცუბიძე ხურავს შემდეგი კატეგორიული დასკვნით: „ვეფხისტყაოსნის ბედნიერების აღმაელობის შეჩერება ეწინააღმდეგება რუსთაველის მსოფლგაგებას და იგი შეიძლება გათავდეს მხოლოდ იქ, სადაც ძალაში შედის სიმუხთლე ჟამისა" (გვ. 107). ავტორის სიტყვით, მისი ახალი კონცეფცია მთლიანი ვეფხისტყაოსნის თაობაზე „ურყევია" (იქვე, გვ. 105), თუმცა მეცხიერული გუნება უკარნახებს მას სიფრთხილე ირჩიოს და საგანგებოდ შენიშნოს: „რა თქმა უნდა, მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა არაა დღეს-ხვალ გადასაწყვეტი ამოცანა. ის დიდ დაკვირვებასა და შრომას მოითხოვს" (იქვე, გვ. 106), ამას წერდა მკვლევარი 1966 წლის ნაშრომში. 1968 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევშიც იგივე აზრია ხაზგასმული: „ვეცადე ფილოლოგიურ-გრამატიკულ დიდი სპეციალისტებისათვის პოეტურ წაკითხვაზე დამყარებული ზოგიერთი დაკვირვება მიმეწოდებინა, რადგან საქმე მაინც პოეტურ ნაწარმოებთან გვაქვს"[7]. აღნიშნულის მიუხედავად, შ. ნუცუბიძეს მართლაც ურყევად სწამდა მოსაზრება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მთლიანობაზე.

ამრიგად, შ. ნუცუბიძის შეხედულების მიხედვით, უნდა გვქონდეს ვეფხისტყაოსნის ორი რედაქცია: ერთი მ ო კ ლ ე, რომელიც საქართველოში დაიწერაო[8], მეორე — უფრო ვ რ ც ე ლ ი, მოიცავსო „მჯნურთ ამბავს" (უკეთ, „მიჯნურთ ამბის" დასასრულს). მეორე რედაქცია მომზადდაო იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში[9]. „თუ სადმე ეს წიგნი (ე. ი. ვეფხისტყაოსნის სრული რედაქცია, — ა. ბ.) გადარჩენილა,— წერს შ. ნუცუბიძე, — ეს იქნება პოეტის საფლავში. თუ როდისმე იქამდე მივაღწიეთ"[10].

5 ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო, გვ. 134.
6 მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა, გვ. 103.
7 ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო, გვ. 140.
8 რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი..., გვ. 35.
9 იქვე, გვ. 29.
10 ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი საკითხისათვის, გვ. 131.

მკვლევრის ვარაუდით, შოთა რუსთველი გარდაიცვალა იერუსალიმში და დასაფლავებულია ჯვარის მონასტერში[11].

შ. ნუცუბიძემ შეარჩია „მთლიანი ვეფხისტყაოსნის“ დასასრული და გადათარგმნა რუსულ ენაზე. შ ე ა რ ჩ ი ა ო იმიტომ ვამბობთ, რომ მკვლევრის მოსაზრებით, მთლიანად ვეფხისტყაოსანში ნავარაუდევია ინტერპოლაციური ტექსტის პლასტი. იგი წერს: „ავთანდილს — პირველი ანდერძის ავტორს — სიკვდილის წინ მეორე ანდერძი უნდა დაეწერა. ამის გამო ინტერპოლატორ-გადამწერლებმა მას მესამე ანდერძიც დააწერინეს, რაც, ცხადია, შეცდომა იყო. რადგან ანდერძი ამ ქვეყანაზე ერთია, როგორც სიკვდილი“[12]. „მთლიანი ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის ტექსტი შ. ნუცუბიძემ ჩვენ გადმოგვცა და გვთხოვა მისი გამოცემისათვის ზრუნვა. ჩვენც სერგი სერებრიაკოვის დახმარებით გავამზადეთ იგი გამოსაცემად და დავურთეთ მას ნუცუბიძისეული თარგმანის სხვადასხვა გამოცემის განსხვავებული წაკითხვები. ამრიგად, ავტორის ანდერძის შესაბამისად, სასტამბოდ გავმართეთ მთლიანი ვეფხისტყაოსნის თარგმანის, ასე ვთქვათ, აკადემიური გამოცემის ტექსტი. ვფიქრობთ, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა შევასრულოთ გამოჩენილი რუსთველოლოგისა და შესანიშნავი მთარგმნელის ნება და მკითხველს მივაწოდოთ ვეფხისტყაოსნის თარგმანის ტექსტი ისე, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა მკვლევარს თავისი სიცოცხლის მიწურულში[13].

1983

რუსთველოლოგიური შენიშვნები

(„ქალისა“ და „დიაცის“ მნიშვნელობათა გაგებისათვის)

მდედრობითი სქესის ადამიანის აღსანიშნავად ვეფხისტყაოსანში იხმარება სიტყვა-ტერმინი დიაცი და ქალი.

ზოგჯერ დიაცი ნიშნავს საზოგადოდ ქალს. ნესტანის სიტყვებია — „ხამს დიაცი დიაცურად“ (592,1). იგივე ნესტანი ერთხელ უსაყვედურებდა თავის თავს (524,4): „დიაცურად რად მოეღორდი?“ ე. ი.

---

11 რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი..., გვ. 35—36.

12 მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა, გვ. 105.

13 ნუცუბიძისეული მთლიანი ვეფხისტყაოსანი 2006 სტროფისაგან შედგება. შედარებისათვის საკმარისი იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში 1587 სტროფია. ამდენივეა პოემის მეორე საიუბილეო გამოცემაში (1966 წლისა). 1937 წლის გამოცემაში 1969 სტროფია, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში —1598.

დედაკაცურად, ქალურად რად მოვტყუვდიო. ფატმანიც ამბობს „ესე ამბავი მასთან ვთქვი დიაცურად, ხელურად", — ქალურად ვთქვიო. ასეთივე ზოგადი მნიშვნელობისაა დიაცის რუსთველური დახასიათებანი „სჯობს სიშორე დიაცისა" (1081,1) და „დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის" (1081,4), რასაც კვერს უკრავს ავთანდილი— „თქვა: დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს ეულსა" (1095,1). მართალია, დამოწმებულ სამ შემთხვევაში სიტყვა დიაცი უკავშირდება კონკრეტულად ფატმანის სახელს, რაც მის შინაარსს გარკვეული ხასიათის შეფერილობას აძლევს, რის თაობაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. უთუოდ, ზოგადი მნიშვნელობისაა ცნობილი აფორიზმი (799,3): „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა". სადაც დაპირისპირებულია ჯაბანი კაცი (მამაკაცი) და მჭმუველი ქალი (დიაცი). შესაძლებელია ზოგადი მნიშვნელობით გავიგოთ აგრეთვე სიტყვა დიაცის სალანძღავად მოხმობილი მაგალითებიც. გაბოროტებული დავარი „როსკიპ, ბოზ დიაცს" უწოდებს უბიწო ნესტანს (1,578,1). მსგავსი სალანძღავი ეპითეტით ამკობს ფატმანს ჩაშნიგირი (1101,1): „გამკიცხე, ბოზო დიაცო" (შდრ. იმავე ჩაშნიგირის შენიშვნას: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთოლასა", 1100,3).

ამრიგად, მოყვანილი მაგალითების მიხედვით, დიაცი უპირისპირდება მამაცს. დიაცი ნიშნავს დედაკაცს (ქალს). მამაცი—მამაკაცი. ერთჯერ ტექსტში ტერმინი დედაკაციც არის დამოწმებული. ნესტანი ამბობს (412,1): „თუცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა".

აქა-იქ თანამედროვე მნიშვნელობითაა მოხმობილი ვეფხისტყაოსანში სიტყვა ქალიც, სადაც იგი უპირისპირდება მამრობითი სქესის ადამიანს — ვაჟს, ყმას. ასე, მაგალითად, თინათინი რომ გამეფდა, უზომო საჩუქარი გასცა (55,4): „არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა". „ღმერთმაო, ამბობს ფარსადანი (508,3): „ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის". ტარიელისა და ნესტანის შეუღლების გამო პოემაში ნათქვამია (1468,4): „აჰა, მიჰსვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა". უთუოდ თანამედროვე მნიშვნელობითაა მოხმობილი სიტყვა ქალი შემდეგ სანიმუშო მაგალითებშიც: „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადიაო", ნათქვამია თინათინზე (39,1). ფარსადან მეფეც თავის მხრივ ამბობდა (476,2): „რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელდებულიო". სიტყვა ქალისაგან არის ნაწარმოები ცნება ქალობა. როშაქმა შეიცნო ნესტანის ქალობა („როშაქ შეატყო ქალობა", 1229,3).

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, ქალსა და დიაცს ვეფხისტყაოსანში აქვს ჯანსაკუთრებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული სპეციფიკური მნიშვნელობა. ამას საგანგებო ყურადღება მიაქცია

ივანე ჯავახიშვილმა. იგი წერს: „Во всей поэме (Вепхисткаосани, — А. Б.) проглядывает исключительно почтительное отношение автора к женщине. С этой точки зрения достойно внимания, что он употребляет два слова „кали“ и „диаци“ из которых второе означает в его устах „женщина“, а первое может быть передано лишь приблизительно словом „дама“ (Личность и мировоззрение. გაზეთი „Известия“, 17.3.1937; ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 15).

აკად. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას სჭირდება ერთგვარი კორექტივი. სწორია, რომ რუსთველის ენაზე დიაცი შეესატყვისება რუსულის „женщина“ სხვათა შორის, ასე ფიქრობდა ნიკო მარიც: „დიაცი—женщина, букв. „самка человек“ (Из пиренейской Гурии, Тб., 1927, с. 45). რაც შეეხება სიტყვა ქალს, ამის შესატყვისად „дама“ არ გამოდგება (თუმცა ისიც სათქმელია, რომ დიდი მეცნიერი საგანგებოდ შენიშნავს „მხოლოდ დაახლოებითო“). საქმე ისაა, რომ „дама“-ს ჩვეულებრივი განმარტება ასეთია (ვიმოწმებთ დ. უშაკოვის ცნობილ განმარტებითს ლექსიკონს, ისევეა ოჟეგოვის ლექსიკონშიც): „Дама (фр. dame) в буржуазно-дворянском обществе — женщина по внешнему виду принадлежащая к состоятельному или интеллигентному кругу; // Замужняя женщина, в отличие от барышни“.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ „დამა“ (барыня, сударыня) ითქმის ქმრიან, ოჯახიან ქალზე (მანდილოსანზე), ქალიშვილი კი გაუთხოვარი ქალია[1], რუსულად — барышня ან девушка (ფრანგულად — demoiselle, mademoiselle).

მიხეილ ჭაბაშვილისა და ალექსი ჭინჭარაულის რედაქციით გამოსული ვეფხისტყაოსნის სიმფონიის (თბილისი, 1973) მიხედვით, პოემაში (ინდო-ხატაელთა ამბის ჩათვლით) ქალობით არიან მოხსენიებული — ნესტანი (65-ჯერ), თინათინი (23-ჯერ), ასმათი (55-ჯერ). ამათ გარდა, ქალი ყწოდება ვიღაც ზანგს, თითქოს დავარის მოახლეს, რომელმაც გვემულ ნესტანს თანაგრძნობა გაუწია, თუმცა მას ვერა არგო რა („ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა“ (579,4).

დიაცი 20-ჯერ გვხვდება პოემაში. აქ ის ნიშნავს ან საზოგადოდ დედაკაცს (ქალს), ან გარკვეულად ქმრიან, ოჯახიან, გათხოვილ ქალს. კერძოდ, დიაცად 11-ჯერ მოხსენიებულია ფატმანი, ერთხელ — დულარდუხტი („დულარდუხტ არის დიაცი“, 1221,1). მართალია, პოემაში პირდაპირ არ არის აღნიშნული, რომ დულარდუხტი განათხოვარია,

[1] ეს გარემოება სწორადაა აღნიშნული „მიჯნურთმეტყველებაში“ (პარიზი, 1974/1975, გვ. 365).

იგი მეფე-რეგენტის როლს ასრულებს, ობლად დარჩენილ ძმისწულებს ზრდის (დავარის მსგავსად) და ყმაწვილქალი არ უნდა იყოს

მოხმობილი მასალებიდან ირკვევა, რომ ვეფხისტყაოსნის კვალობაზე ქალი, ჩვეულებრივ, მიესადაგება ახალგაზრდა, გაუთხოვარ ასულს (რუსულად რომ შეესატყვისება барышня, девушка), ხოლო დიაცი ოჯახიანი, გათხოვილი ქალია, მანდილოსანი (რუსულად женщина, дама)[2].

ჩვენს ლექსიკონებში საანალიზო სიტყვების სხვადასხვაგვარი და ზოგჯერ შეუფერებელი ახსნა დასტურდება. სულხან-საბა ორბელიანით, — დიაცი დედაკაცია. ხოლო კაცს იგი ურთავს საგანგებო კომენტარს: „კაცი ზოგად ყოვლთა ეწოდების; ესე კაცი განიყოფების მამაცად და დიაცად, რომელ არს მამაკაცი და დედაკაცი... სიბერემდე ძესა ვაჟი და ასულსა ქალი ეწოდების". თავის მხრივ ქალზე ნათქვამია — „დიაცი ჩჩვილით ბებრადმდე ქალი არს" (დამოწმებულია „გამოსლვათა", 1,16). საბას ეს განმარტება ვეფხისტყაოსნისათვის არ გამოდგება. ვახტანგ VI „თარგმანით" — „დიაცი დედაკაცია". თეიმურაზ ბატონიშვილიც იმასვე ამბობს 1092-ე სტროფის დიაცის გამო („ისი დიაცი აქა ზის"), მაგრამ მეორეგან (1098,3—„დიაცსა წყენა შეატყო") ამბობს: „დიაცი — დ ა მ ა, დედაკაცი". რუსულისა და ფრანგულის მცოდნე თეიმურაზ ბატონიშვილისათვის, მაშასადამე, სწორედ დიაცია დამა, გათხოვილი ქალი, მანდილოსანი (და არა ქალიშვილი). საყურადღებოა, რომ ვახტანგსაც და თეიმურაზსაც დიაცის განმარტებისას მხედველობაში ჰყავთ ფატმანი.

ახალი დროის ლექსიკოგრაფებისათვის დიაცი, რა თქმა უნდა, ზოგადად დედაკაცს ნიშნავს, მაგრამ მხედველობაში არ არის მიღებული მისი სპეციფიკური მნიშვნელობა ვეფხისტყაოსანში. გაუგებრობაა ნიკო ჩუბინაშვილის განმარტება — „დიაცი გლეხის დედაკაცი", თუმცა იმოწმებს ვეფხისტყაოსნის სტროფებს[3].

არც ერთი ლექსიკოგრაფი, არც ძველი და არც ახალი, არ გვაწვდის ვეფხისტყაოსნის ქალის განმარტებას. ცხადია, მათ ეს სიტყვა ესმით ჩვეულებრივი, თანამედროვე მნიშვნელობით. ოღონდ სწორ მიმანიშნებელ ახსნას გვთავაზობს ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი: „ქ ა ლ ი დედრობითი სქესის ადამიანი, დედაკაცი; ასაკში შესული, გ ა ს ა თ ხ ო ვ ა რ ი დედრობითი სქესის ადამიანი". დამოწმებულია მეორე მნიშვნელობაც: შვილი დედრობითი სქესისა—ასული" (მითითებულია ვეფხისტყაოსანზე—„შენი ქალი არად მინდა"). ერ-

---

[2] ესეც სწორადაა შენიშნული დამოწმებულ ნაშრომში (გვ. 282).

[3] სწორია დავით ჩუბინაშვილის განმარტება: დიაცი — დედაკაცი, женщина, баба (მითითებული ვეფხისტყაოსანზე —1093, I: „თქვა: დიაცსა გინცა უყვარს").

თი სიტყვით, ქართულ განმარტებითს ლექსიკონში სწორი ახსნა-მინიშნებანია, მაგრამ ვეფხისტყაოსნის სპეციფიკური ვითარება გაუთვალისწინებელია[4].

ვასკვნით: ვეფხისტყაოსნის დიაცი არსებითად (სპეციფიკურად) ნიშნავს გათხოვილ დედაკაცს, დიასახლისს, მანდილოსანს; ქალი კი — გაუთხოვარ ასულს, ქალიშვილს, ქალწულს.

როგორც უკვე შევნიშნეთ, ეს საკითხი პრინციპული ასპექტით სწორადაა ახსნილი „მიჯნურთმეტყველებაში". ოღონდ ავტორისეული თვალსაზრისით, დიაცზე თქმული შეეხება მხოლოდ ქალაქელ ქალს, ვაჭართა წრის წარმომადგენელს. დიაცი ვეფხისტყაოსნის კვალობაზე „ორგვარი მოდგმისაა", არისტოკრატული და ვაჭრული საზოგადოებრიობისაო. შრომაში ვკითხულობთ: „არისტოკრატ დედაკაცს, დიაცს სიყვარული აქვს წმინდა, აღმატებული გრძნობა; ხოლო ქალაქის დედაკაცს (ფატმანს) აქვს ხორციელი, ცვალებადობითი ეროტიკული გრძნობა" (გვ. 323, კურსივი ჩემია, ა. ბ.). რამდენადაც დიაცი საგანგებოდ გათხოვილ ქალს გულისხმობს, საზოგადოდ, ვეფხისტყაოსნის აღტყინებული სიყვარული (სიყვარული ნესტანისა და თინათინისა) შეუძლებელია მოვნათლოთ დიაცურ, წმინდა სიყვარულად; პოემით, წმინდა, უმანკო სიყვარული მხოლოდ გაუთხოვარ, ქალწული ქალის გულში პოულობს თავის სამკვიდრებელს. დიაცური სიყვარული ფატმანის სიყვარულია (თუმცა „მიჯნურთმეტყველების" ავტორის სიტყვით, თითქო „ფატმანის სიყვარული წმინდა სიყვარულამდე არის აყვანილი", გვ. 366).

ჩვენი ნარკვევით მიღებული შედეგი საშუალებას გვაძლევს ზუსტად გავიაზროთ ვეფხისტყაოსნით გამოხატული სიყვარულის ორი, რადიკალურად განსხვავებული სახეობა: რუსთველური ამაღლებული, იდეალიზებული სიყვარული (ნესტანისა და თინათინის სიყვარული), პირველი და განუმეორებელი, ქალწულებრივი, უბიწო, უმანკო, წმინდა სიყვარული; მეორე — ქმრიანი, ქმარშვილიანი ქალის, დიაცის (ფატმანის) სიყვარულია (დღეს რომ ერთი უნდის, ხვალე სხვა), მდაბიო, დიაცური სიყვარული. გამოთქმა „დიაცური სიყვარული" ჩვენ შემოვიღეთ. შესაძლებელია ზოგ ვინმეს ის „ყურს ჰკრის", მაგრამ ზუსტად კი გვიხასიათებს რუსთველის მიერ დაგმობილი მდაბიო, ეროტიკული სიყვარულის არსს[5].

1937

---

4 სწორია დავით ჩუბინაშვილის განმარტების ერთი ნაწილი: ქალი — дочь, девица, მაგრამ მცდარია იქვე მოხმობილი მეორე მნიშვნელობა — (რამდენადაც საქმე შეეხება ვეფხისტყაოსანს).

5 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 177; მისივე, ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებური წაკითხვის გამო („მნათობი", 1984, № 2; ნარკვევები..., VIII, 1985).

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული განმარტებანი

როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის პირველ ბეჭდურ გამოცემას ახლავს სწავლული გამომცემლის, ვახტანგ მეექვსის, ვრცელი „თარგმანი“ („თარგმანი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონიშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“). ტერმინი თარგმანი ამ შემთხვევაში ნიშნავს განმარტებას, კომენტარს. განმარტება იწყება პირველი სტროფიდან („რომელმან შექმნა სამყარო“.). უკანასკნელად განმარტებულია 1559-ე სტროფი (1937 წლის საიუბილეო გამოცემით 1570-ე სტროფი). ერთი შეხედვით, განმარტებანი თითქოს მოიცავს პოემის თითქმის მთელ ტექსტს. მაგრამ შიგადაშიგ ბევრი სტროფია განუმარტებლად დატოვებული. კომენტატორი საგანგებოდ აღნიშნავს „თარგმანი მრავალი დამირჩაო“. ამას ორი გარემოებით ხსნის: „ერთად, მოუცლელობისათვის; მეორედ, გზა და რიგი გამირკვევიაო“. ესე იგი, ვახტანგის სიტყვით, მას უჩვენებია კომენტარის მეთოდები და ხერხები. „ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი. და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთო“, მიმართავს პოემის მომავალ კომენტატორებსა და მკვლევრებს. დასასრულ, ერთგვარი იუმორით შენიშნულია: „თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა?“.

ვახტანგი ზოგჯერ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით უდგება ვეფხისტყაოსნის ტექსტებს, ზოგჯერ ცდილობს გააზრიანოს და გასაგები გახადოს პოემის ბუნდოვანი ადგილები, ზოგჯერ კი იძლევა საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული თუ ისტორიულ-კულტურული ხასიათის შენიშვნებს. კომენტატორისათვის მთავარი იყო ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის გახსნა. ვახტანგი მიზნად ისახავდა გაებათილებინა ქართველი საზოგადოების კლერიკალურ-რეაქციული წრეების მძიმე ბრალდებანი რუსთველის პოემის იდეური მხარეების წინააღმდეგ. ვახტანგის კომენტარები წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის მდევნელთადმი გამიზნულ პირდაპირ პასუხს, რის გამოც ამ კომენტარებს თავიდან ბოლომდე გასდევს ძლიერი პოლემიკური კილო და პუბლიცისტური მგზნებარება.

„თარგმანის“ დასაწყისშივე კომენტატორი ავტორიტეტულად აძბობს: „მე ვსწერ ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის, (რომ) უცოდინარობითი და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაოსა მსგავსად თვალთა, რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ჩიქალა ქვად პატიოსნად სახელსდებენ და მარგალიტთა მძივად პატივსცემენ“.

ვახტანგი გვაუწყებს, რომ ვეფხისტყაოსნის „თარგმნა“ მის ღროს ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, თვითონაც უცდია ამ საქმეში თავისი

ძალღონე. „აწ ესე მისმინეთ, — ამბობს კომენტატორი, — ვეფხის-ტყაოსანი მე ასე მითარგმნია. და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მიუხვდი და მითქვამს: რაც რუსთველისაა იმას გარდა არა მითქვამს რა. და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ. სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით ყველა კკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს: აწ ასრე ვსთარგმნე, ვითა მას მთქმელსა ეთქვა“[1].

ვახტანგი ცდილობს გააქარწყლოს ის შეხედულება, თითქოს ვეფხისტყაოსანი უზნეობას ქადაგებდა. „თუცა ვინმე ამ თარგმნისას ამას ბრძანებს, არა ისრე არისო, მე უგბილობაში[2] ჩამომირთმეეიაო“. კომენტატორი იბრძვის კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ ვეფხისტყაოსნის გაგების საკითხში. მისი რწმენით, რუსთველის პოემა არის აღმზრდელობით-დამრიგებლობითი ხასიათის მქონე მხატვრული ნაწარმოები, რომელიც გამოხატავს ადამიანის მაღალ ზნეობრივ იდეალებს. „რუსთველისა წიგნი სულ სასწავლებელი არისო“ (245). „ბევრჯელ ვამბობ ყველა სასწავლო საქმეები უთქვამსო“, აჯამებს თავის შეხედულებას (738). „თარგმანის“ მიხედვით, ვეფხისტყაოსანი ზღაპრულ თემატიკაზე აგებული საერო-მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც გვასწავლის ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების წესებს. „რადგან სამღვთო ნახა, რომ არვინ კითხულობდა: სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხვედენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონაო“, ამბობს და განაგრძობს: „მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოს“ (32).

აქვე შევნიშნავ, რომ ასე ხსნიდნენ საერო პოეზიისადმი მიზიდულობას იმ ეპოქის ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორიც იყვნენ თეიმურაზ პირველი და არჩილი. თეიმურაზი ჩიოდა:

არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა.
. . . . . .
თუ საღმრთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედავდა...
მას არვინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდ-მოდებანი.

---

1 თუ დამოწმებული ნაწყვეტის საერთო კონტექსტს გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ აქ ვახტანგი ლაპარაკობს ვეფხის-ტყაოსნის არა სტროფულ შედგენილობაზე არამედ ტექსტით გამოხატულ შინაარსზე, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რა აზრიც, რა შინაარსიც რუსთველს თავისი ლექსებით გამოუთქვამსო. ზოგიერთი მკვლევრის ფიქრით კი, თითქოს ვახტანგი გვაფრთხილებს — მხოლოდ იმ ტექსტებს (სტროფებს) განვმარტავ, რომლებიც ნამდვილად რუსთველს ეკუთვნისო. ერთ დროს ამ საგანზე ცხარე კამათი გაიმართა (შდრ. კ. კეკელიძე, რუსთველიანა, „მნათობი“, 1927, №—2, გვ. 184; პ. ინგოროყვა. რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო. „მნათობი“, 1927, №—3, გვ. 198—201).

2 სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, უგბილი ნიშნავს ჯიუტს („თვის ჭკუაზე დაჟინებულს“).

არჩილიც აღიარებს:

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით.

ვახტანგ მეექვსის შეხედულებათა თანახმად, რუსთველს სოფლიო ზღაპარი შეუთხზავს, ესე იგი, მას შეუქმნია საერო ხასიათის ნაწარმოები. ოღონდ ამ „სოფლიო“, საერო ნაწარმოებით ალეგორიულად გადმოუცია მაღალი ზნეობრივი მოძღვრება. თუ თავისი პირდაპირი შინაარსით ანუ გარეგნულად ვეფხისტყაოსანი სოფლიო ზღაპარია, შიგ ჩაქსოვილია სამღვთო და საერო სწავლანიო. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ვახტანგის განმარტებით ვეფხისტყაოსანს ჰქონია როგორც საღვთო, ისე საერო დანიშნულება, რომ იგი საღვთო სწავლასაც აშუქებს და საერო ზნეობასაც ასახავს, ერთი სიტყვით „სამღვთოა და საეროცა“, როგორც ნათქვამია ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის პოეტურ ბოლოსიტყვაობაში. ჩვენი შენიშვნის საჭიროება იმითაა გამოწვეული, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გატარებულია ისეთი მოსაზრება, თითქოს ვახტანგი ხაზგასმით აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსანი მხოლოდ საღმრთოა“, საღმრთო მიჯნურობას გულისხმობს, რომ პოეტს ის საეროდ არ უთქვამს“[3]. თუ ასეა, მაშინ პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის ბოლსიტყვაობაში ვახტანგის შეხედულებათა საწინააღმდეგო თვალსაზრისი ყოფილა გატარებული და ამ გამოცემის რედაქცია მართლაც არ შეიძლება ჰკუთვნებოდა სწავლულ მეფეს. საქმის ფაქტობრივი ვითარებით არ დასტურდება წარმოდგენილი ლეგენდების სისწორე. თავისი გარკვეული მიზანდასახულობის კვალობაზე ვახტანგი, რასაკვირველია, განსაკუთრებული მონდომებით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ვეფხისტყაოსანს აქვს საღვთო დანიშნულება, რომ ვეფხისტყაოსანი გამოხატავს საღვთო სწავლას, „სამღვთო მიჯნურობას“ („მიჯნურობას სამღვთოს მიჯნურობისათვის ამბობს“) და, ამასთან, საცოლქმრო სიყვარულის იდეალებსაც ასახავს.

ვახტანგი პოლემიკური გაცხარებით ეპაექრება ყველა იმათ, ვინც ფიქრობს, რომ „რუსთველის ნათქვამში სამღვთო არა ურევია რა“ და სამეძაო აზრებს ავრცელებსო (8). „რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საბოზრად დაგიწამებიათ, იმას საბოზრად კი არ დაუწერია, ბოზებიცა და მისი მდევარიც ნამეტნავად გაულანძღავსო“ (194) რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს, არა თუ მეძაობაზეო, ამტკიცებს ვახტანგი და ტენდენციურობას სწამებს ზოგ კომენტა-

[3] ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 96.

ტორს: „ზოგნი, რაც კარგნი დაუწერია (რუსთველს). ამას კი არ უგდებთ ყურსა და რაც გინდათ ისე თარგმნითო“ (1475). ასევე, „მრუდათ თარგმნას“ უკიჟინებს ზოგიერთებს სხვა შემთხვევაშიც (865). საერთოდ ვახტანგის ადრესატია გაუპიროვნებელი „ზოგი ვინმე“ (8). ვეფხისტყაოსნის მოძულე და აუგად მხსენებელი. როგორც ჩანს, ეს „ვინმეები“ იღვწოდნენ, რათა პოემისათვის სახელი გაეტეხათ მკითხველის თვალში. უეჭველია. ამ „ზოგ ვინმეში“ იგი სამღვდელო პირებს, კლერიკალებსა და მათ მიმდევრებს გულისხმობდა. ვახტანგი აბათილებს ვეფხისტყაოსნის „მრუდად“ გაგების თვალსაზრისს, ოღონდ უკიდურესობაში ვარდება და პოემას ერთგვარად „სამღვთო“ ნაწარმოებად ნათლავს.

აღნიშნულის მიუხედავად, ვახტანგი არამც და არამც არ უარყოფს ვეფხისტყაოსნის საერო ხასიათსა და საერო დანიშნულებას. პირიქით, მთელი „თარგმანის“ მანძილზე იგი ბეჯითად ცდილობს დაასაბუთოს, რომ ვეფხისტყაოსანი სამღვთოცაა და საეროც. ვახტანგი მრავალგზის უბრუნდება ამ საკითხს და ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი აქვს მომარჯვებული. 209-ე სტროფის თარგმანში კომენტატორი ამბობს: „ახლა სამღვთო და საეროდ ისწავლება“. 693-ე სტროფის გამო შენიშნულია: „ეს სამღთოთაც ითარგმნება და საეროთაც ასრე არის“. 726-ე სტროფის თარგმანში ვკითხულობთ: „სამღთოსა და საეროშივე კარგად არის სასწავლო“. 767-ე სტროფი: „ეს სამღთოც არის და საეროც სამღდელოთაც კარგა ითარგმნება, საეროთაც უთქვამს“. იქვე, 774-ე სტროფის გამოც კომენტატორი აღნიშნავს: „ესეც საქღთოსა და საეროზედ უთქვამსო“. ავთანდილის ანდერძის შესახებ კი საერთოდ განმარტავს (778): „აწ ამას იქით გასინჯეთ, თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ, სამღთოდ და საეროდ, როგორ თვითოს რიგით უსწავლებია“. საინტერესო ისაა, რომ 824-ე სტროფის თარგმანის დროს ვახტანგი აზოგადებს თავის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის ზნეობრივი მოძღვრების თაობაზე და ასკვნის: „ბევრჯელ მითქვამს, რუსთველს სადაც პირი მოუკრავს, სამღვთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივ დაუწერია“. აღარავითარი ეჭვი არ არის, რომ ვეფხისტყაოსანი ვახტანგს განუმარტავს, როგორც ზნეთსწავლის გადმომცემი, საღვთო და საერო დანიშნულების მხატვრული ნაწარმოები.

ამრიგად, ვახტანგის თანახმად, რუსთველმა ფართო მკითხველის საზოგადოების მოთხოვნილებას შეაგუა თავისი სალიტერატურო ინტერესები, შეთხზა საერო მხატვრული ნაწარმოები, რომლის სიუჟეტი ააგო სახალხო ზღაპრის („სოფლიო ზღაპრის“) თემაზე. ზღაპრულ სიუჟეტში ჩააქსოვა მაღალი ზნეობრივი („საღვთო“) იდეალები. ვახტანგის კომენტარის კვალობაზე, ვეფხისტყაოსანი ალეგორიული ენით გამოხატავს საღვთო მიჯნურობას, იგი გამოსადეგია როგორც სულიერი,

ისე ამოქალაქო ცხოვრებისათვის, ვეფხისტყაოსანი „სამღთოა და საეროცა".

რა თქმა უნდა, ვახტანგმა ტენდენციურად განმარტა ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსი. პოეტის ნათელი აზროვნება რელიგიურ-მისტიკური „თარგმანის" საბურველში გახვია. ალეგორიზმის მომიზეზებით მან არა თუ გახსნა რუსთველის პოეტური ენა, არამედ ძალზე გააბუნდოვნა, დააბნელა. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ვახტანგის „თარგმანი" ნაძალადევია და ხელოვნური. ოღონდ მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ ვახტანგს ამოქმედებდა კეთილშობილური განზრახვა — დაეცვა ვეფხისტყაოსანი კლერიკალურ-რეაქციული საზოგადოების დევნისაგან, გადაერჩინა დიდებული პოემა დაღუპვისაგან, შესაძლებელი გაეხადა მისი ბეჭდური გზით გავრცელება.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგი იძულებული გამხდარა თავისებურად წარემართა ვეფხისტყაოსნის „თარგმანი". თორემ ის მაინცდამაინც დარწმუნებული არც უნდა ყოფილიყო თავისი განმარტების უცილობლობაში[4]. ამისი საბუთია კომენტატორის გამოტეხილი აღსარება: „თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს. თ ა რ გ მ ა ნ ი ხ ო მ ა ს რ ე ს ჯ ო ბ ს". ვეფხისტყაოსნის დაცვის საჭიროებას ვახტანგს უკარნახებდა სხვა არა იყოს რა მისი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობაც. იგი საგანგებოდ აცხადებს: „ღვთისა და კაცის წინ მე ასე მიჯობინებია. და ამას იქით მკითხველო იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქ ვ ე ყ ნ ი ს უ ფ რ ო ს ი ა ვ ი ს დ ა მ შ ლ ე ლ ი ხ ა მ ს და ა მ ა დ დ ა ვ შ ვ ე რ".

ვეფხისტყაოსნის ღევნა უთუოდ იყო ავი და საუგო საქმე, სწავლული მეფე თავის ზნეობრივ და პოლიტიკურ მოვალეობად თვლიდა დაეშალა ეს ავი საქმე. ამისათვის ადმინისტრაციულ ზომებს კი არ მიმართა, არამედ პოემა ბეჭდურად გამოაქვეყნა, გამოცემას დაურთო სპეციალური ახსნა-განმარტება, ამხილა კლერიკალური წრეების სიბეცე, შეცადა დაეჩუმებინა ვეფხისტყაოსნის მტრები, ხოლო მკითხველები დაერწმუნებინა რუსთველის შოძღვრების ზნეობრივ უზადოობაში. ამიტომაც განმაცვიფრებელია და სრულიად შეუწყნარებელი პროფ. ალ. ცაგარლის მსჯელობა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: „Когда при оценке поэтических произведений руководствуются полицейскими соображениями и побуждениями, тогда от подобной критики много толку ждать нельзя"[5] არა, ალ. ცაგა-

---

4 ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი. 1958, გვ. 373—374. ამ თვალსაზრისს ავითარებს აკაკი შანიძეც (Первопечатное издание поэмы Руставели, „Заря Востока", 13. 6. 62).

5 О грамматической литературе грузинского языка. СПб., 1873, გვ. 103.

რელიგიოზომოდ ცდება. ვეფხისტყაოსნის დასაცავად ვახტანგს სრულიად-აც არ მიუღია პოლიციური ზომები. განათლებულმა მეფემ ახსნა-განმარტების გზით სცადა პოემის მაღალი იდეალების გაშუქება, ლიტერატურული ენით ამხილა მან ვეფხისტყაოსნის უსამართლოდ მაგინებელნი და მხოლოდდამხოლოდ ამ ენით გამოესარჩლა იგი დიდებულ პოემას. ნუთუ ეს არის პოლიციური ზომები?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის „თარგმანის“ ხასიათი არ შეიძლება აიხსნას ავტორის მეცნიერული უმწეობით ან გულუბრყვილობით[6]. ვახტანგის „თარგმანის“ ცალმხრივი შეფასება მომდინარეობს ბროსე-ჩუბინაშვილის დროიდან. მ. ბროსე აღნიშნავდა: „ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა ვეფხისტყაოსნის განმარტება, რომელიც ფრიად უშესაბამო და უხამსიაო“[7]. დ. ჩუბინაშვილის სიტყვით კი „странно и даже неприлично было бы видеть в этом создании (Руставели) какую-то мистическую христианскую поэму“[8].

საგულისხმო ისაა, რომ თვითონ კლერიკალები კარგად მიუხვდნენ ვახტანგს, არ დაინდვეს მისი მეფური ავტორიტეტი. ნიშანში ამოღეს ვეფხისტყაოსნის სწორედ მისეული გამოცემა და შეეცადნენ ფიზიკურად მოეპოთ ამ გამოცემის ცალები. მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი ხომ უშვერად ლანძღავს როგორც ვეფხისტყაოსნის გენიალურ ავტორს, ისე მის კომენტატორს. „რუსთველი იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა“, — ამბობს და განაგრძობს: „ხოლო უწინარეს ჩვენდა უმეცართა სამღვთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“. მართალია, ტიმოთე პირდაპირ არ ასახელებს ვახტანგს, მაგრამ, ცხადია, იმას გულისხმობს.

ვეფხისტყაოსნის „თარგმნა“ ვახტანგს აკისრებინა კეთილშობილურმა მიზანდასახულობამ და ადამიანურმა დიდბუნებოვანებამ. ვახტანგმა ნამდვილად ბევრი გააკეთა იმისათვის, რათა ვეფხისტყაოსნის ტექსტი ხელმისაწვდომი და გასაგები გაეხადა მკითხველი საზოგადოებისათვის. განმარტებებს ვახტანგმა ჩააქსოვა დიდი ცოდნა, დიდი სიყვარული, დიდი პუბლიცისტური მგზნებარება.

რა ვუყოთ, რომ ზოგ რამეში სწავლული მეფე ცდებოდა. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა მთლიანად, კერძოდ კი „თარგმა-

---

6 შდრ. ქ. წ ე რ ე თ ე ლ ი. პირველი სტამბა საქართველოში. თბილისი, 1955, გვ. 147—148; ეჭვს თავის გამოუქვეყნებელ რუსთველოლოგიურ ნაშრომში ნ. ჭარი „თარგმანის ხასიათებს როგორც „ბავშვურ-გულუბრყვილოს“ (детски-наивное).

7 ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობა, პეტერბურგი, 1841, გვ. XII.

8 ჟურნალი სწრაფლებისა, II, 1846, გვ. V.

ნი“, მე-18 საუკუნის ქართული მეცნიერული აზრის დიდი მიღწევაა. ამ „თარგმანით“ ჩაეყარა საფუძველი რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერებას[9].

1963

ილია ჭავჭავაძე და ინდო-ხატაელთა ამბავი

ილია ჭავჭავაძე იყო ვეფხისტყაოსნის დიდებული მკვლევარი და მისი ღირსეული დამფასებელი, ქართული სულიერი კულტურის ამ უებრო განძის თაყვანმოდებული ქომაგი ყოველი ჯურის ნიჰილისტებისა და უარისმყოფლების წინააღმდეგ. ვეფხისტყაოსანი ილიას მთელი შემოქმედების შთამაგონებელი, უშრეტი ცხოველმყოფელი წყაროა. ილიას პოეზიაში, მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში თვალნათლივ აირეკლა ვეფხისტყაოსნის მაღალი, წმინდა ზნეობრივი იდეალები. ილიას სხვადასხვა ჟანრის მრავალფეროვან თხზულებებში შთამბეჭდავად თინათინობენ რუსთველის ბრძნული აფორიზმები, შეგონებანი, საანდაზო მაქსიმები. ილიას მრავალ ნაწარმოებს ამკობს ეპიგრაფად სახით მოხმობილი რუსთველური სტრიქონები.

ილია ჭავჭავაძე ბავშვობიდანვე დაეწაფა ვეფხისტყაოსანს, განიცდიდა მისი სულისკვეთებით: ზეპირად იცოდა მან პოემის ბევრი ნაწარი, უჩვეულო მეხსიერების წყალობით, შეუმცდარად იმოწმებდა მისთვის საჭირო ტექსტებს ვეფხისტყაოსნიდან. ეს კია, საჭირო შემთხვევაში ელფერსაც უცვლიდა რუსთველის ლექსებს და მისებურად ააზრიანებდა მათ. ვეფხისტყაოსნის ტექსტების მოხმობისას ილია ზოჯერ ასახელებს ავტორს. მაგალითად. — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, უთქვამს რუსთაველსო“. უმეტესწილად ავტორი დაუსახელებელია. მაგრამ ციტირებული ტექსტი წინწკლებშია ჩასმული: „ისიც კარგად ვიცით, რომ „რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამწნაროსა. იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნარო-

---

[9] როგორც ცნობილია, ვახტანგმა პირველმა აღნიშნა, რომ ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი სპარსულ ლიტერატურაში არ მოიპოვება, რომ რუსთველმა „ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც“ თვითონ გაანყო. ამისდა მიუხედავად დოც. მ. შახათაძე ამტკიცებს, თითქოს ვახტანგს ახალი არაფერი უთქვამს რუსთველის პიროვნებისა და ცხოვრებაზე და თითქოს იგი მხოლოდ იმეორებს სხვების ძიერ ადრეულ გამოთქმულ მოსაზრებას (ვახტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთაველძცოდნეობის ერთი საკითხის გაშუქებაში. „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“. XIV, 1955, გვ. 103—136; ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, გაზეთი „ქუთაისი“, 18. VII.62).

სა“. როცა ილიას რუსთველის სიტყვები მოჰყავს შეცვლილი ფორმით, მაშინ ტექსტი აღარაა წინწკლებით შემორკალული. ე. ი. ტექსტი აღარაა წყაროს პირდაპირი ციტაცია. მაგალითად: „რუსთველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიანო“. საჭიროებისამებრ, ოღონდ ძალიან იშვიათად ილია ასხვაფერებს რუსთველის ტექსტს, უცვლის მას ფორმას, კილოს, ინტონაციას. ავტორი თვითონ განმარტავს: „ზოგან მხოლოდ ორიოდე ლექსში, თითო-ოროლა სიტყვა შევცვალეთ, რომ კერძო თქმულს აზრს ზოგადის აზრის მნიშვნელობა მისცემოდა“. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ასეთ მაგალითს:

ესეღა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა.
(ილიასეული რედაქცია)

ესეღა დამრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
(რუსთველისეული რედაქცია)

მნიშვნელოვნად გადაუკეთებია ილია ჭავჭავაძეს რუსთველის ერთი კარგად ცნობილი აფორიზმი:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად.
(რუსთველისეული რედაქცია)

ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად.
(ილიასეული რედაქცია)

აღსანიშნავია, რომ ეს აფორიზმი ილია ჭავჭავაძეს თავის პერსონაჟის პირით („გლახის ნაამბობიდან“) სხვაგვარი რედაქციითაც აქვს გადმოცემული — „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად“. ოღონდ პერსონაჟი (მღვდელი) საგანგებოდ გვაფრთხილებს: „მგონია, ეგრე სწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატაო“. ისიც უნდა ითქვას, რომ იმავე „გლახის ნაამბობში“ იგივე აფორიზმი სხვაგან საკუთრივ რუსთველური რედაქციითაც არის ციტირებული.

საგულისხმო გარემოებაა, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათაგან ვეფხისტყაოსნის კეთილი ზემოქმედება განსაკუთრებით სწორედ „გლახის ნაამბობს“ განუცდია. აქ ხშირად გვხვდება რუსთველის „სანდაზო ლექსები“. მთავარი ისაა, რომ „გლახის ნაამბობს“ თავიდან ბოლომდის მსჭვალავს ილიასეულად გააზრებული რუსთველის სპეტაკი ეთიკური იდეალები, კერძოდ, სიკეთის უკეთურობაზე გამარჯვების ოპტიმისტური პრინციპი — „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“. „გლახის ნაამბობის“ ავტორის თვალსაზრისის გამომხატველი ერთი მთავარი პერსონაჟის (—მღვდლის) ალმზრდელობით-დამრიგებლობითი შეგონებანი ძლიერაა შეფერილი რუსთველის ჰუმანისტური მოძღვრების მოტივებით. მომაკვდავ გლახას უკანასკნელი ამოსუნთ-

ქვის წინ გულიდან აღმოხდომია რუსთველის სიტყვები — „სადაური სად ვკვდებიო“ და „ვაჰ, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსო“, ამას თავის მხრივ ილია ჭავჭავაძე გრძნობიერად ურთავს: „მე, ამა, წარმოიდგინეთ, რა-რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები!.. ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა უკვდავო რუსთაველო!“

თავისი პერსონაჟის მსჯელობით ილია ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის დიდ აღმზრდელობითს მნიშვნელობას: „ბევრგან იმის (რუსთველის, — ა. ბ.) სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ. განათლებული პერსონაჟის განმარტებით — ვეფხისტყაოსანი „ქართველების გულის საუნჯეა“, ხოლო გლეხის ბიჭი გაბრო გრძნობით შესძახებს: „ვენაცვალე შენს დამწერსაო“.

„გლახის ნაამბობში“ მხატვრული პროზის ენით მოკლედ და სხარტად ახსნილია ვეფხისტყაოსნის წარმტაცი იდეები ძმობა-მეგობრობაზე, მოყვასისათვის თავგამოდებაზე, ქალის ღირსებაზე, ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, ზნეობრივი მოვალეობის გრძნობაზე და ა. შ.

დიდ ინტერესს იწვევს ილია ჭავჭავაძის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის თაობაზე, რაც გარკვეულად აისახა „გლახის ნაამბობში“. მოძღვარმა რომ გაბროს ანაბანა ასწავლა და ვეფხისტყაოსნის კითხვა დააწყებინა. პირველად როსტევანის ამბავი წააკითხა. „რატომ თავიდან არ მაწყებინებთ“. უკითხავს გაბროს. „ნუ აჩქარდები, — უპასუხნია მოძღვარს, — ყველაფერი თავის დროზედ უნდა, თ ა ვ ი უ ფ რ ო ძ ნ ე ლ ი ა, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც, თუნდ ეს არ იყოს, ა მ ბ ა ვ ი ა ქ ე დ ა მ ი წ ყ ე ბ ა. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვასა“.

მოძღვრის მსჯელობა ნათლად გვირკვევს, თუ როგორ კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსნის პროლოგის („თაიის“) აზრობრივ-შემეცნებითი რაობა და ტექსტის გაგების სირთულე. უნდა ვიცოდეთ, რომ ილია საგანგებოდ სწავლობდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებს, ის მშვენივრად იცნობდა ვეფხისტყაოსნის ადრინდელ გამოცემებს (ვახტანგ მეექვსის, ბროსესა და ჩუბინაშვილის გამოცემებს), იცოდა მათი ავ-კარგი. ილიას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემა. ქართველი შვილიშვილის სახელით რომ მოინათლა. ეს არის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი, მდიდრული, დიდი ფორმატისა, და პოლიგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით ჯერჯერობით სწორუპოვარი გამოცემა, რომელსაც აძ-

ჩვენებს ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციები და გრ. ტატიშვილის საუცხოო თავსამკაულები. ამ გამოცემისათვის მომზადდა სპეციალური შრიფტი და ძვირფასი ქაღალდი (გამოცემის მთელი ხარჯი იკისრა ქველმოქმედმა მრეწველმა გიორგი ქართველიშვილმა, რის გამოც მადლიერმა შთამომავლობამ ამ მარცლაც უნიკალურ გამოცემას შეარქვა გამომცემლის სახელი).

ილია ჭავჭავაძის ჩანაფიქრით, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა ისეთი სამაგალითო უნდა ყოფილიყო, როგორც ეკადრებოდა მის დიდებულ ავტორს. ქართველიშვილისეული გამოცემის ერთი ეგზემპლარი ალ. ცაგარელმა 1889 წლის სექტემბერში საჩუქრად მიართვა ორიენტალისტთა VIII საერთაშორისო კონგრესის საპატიო თავმჯდომარეს, შვეციისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორეს. საჩუქარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე და კონგრესის ყველა მონაწილეზე. ვეფხისტყაოსნის ეს ჩინებული გამოცემა ამშვენებს წიგნის ბეჭდვის გამომგონებლის იოჰან გუტენბერგის (1396—1468) მუზეუმს.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ილია ჭავჭავაძე სარგებლობდა ვეფხისტყაოსნის არა მარტო ძველი ბეჭდური გამოცემებით, არამედ პოემის ხელნაწერი ნუსხებითაც. ქართველიშვილისეული გამოცემის ტექსტის დამდგენი კრებულის განკარგულებაში იყო ვეფხისტყაოსნის მაშინ ცნობილი ყველა ხელნაწერი. XVII საუკუნის მეორე ნახევრის ერთი საყურადღებო ხელნაწერის მფლობელი იყო პირადად ილია ჭავჭავაძე. 1909 წელს იგი გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობის ბიბლიოთეკას და ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფში (S 4988).

ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური ხასიათის ილიასეული დაკვირვების თვალსაზრისით საგანგებო ინტერესს იწვევს „ოთარაანთ ქვრივიც“. ამ მოთხრობაშიც უხვადაა მოხმობილი ვეფხისტყაოსნის აფორიზმები და შეგონებანი. აქ ერთ ქვესათაურად გამოყენებულია რუსთველის ფრაზა — „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“. „ოთარაანთ ქვრივშიც“ არეკლილია სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის იდეა, რაც ილიას ძალიან ორიგინალურად აქვს გააზრებული, როგორც „ცოდო და მადლის ჰიდილი“ („ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჰიდილია“).

უაღრესად ექსპრესულია დედა-შვილის (ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის) ერთი ცხარე დიალოგი.

ოთარაანთ ქვრივი შეაშფოთა და დაზაფრა შვილის უცნაურმა გადაწყვეტილებამ მიეტოვებინა თავისი კერა და დამდგარიყო მოჯამაგირედ მემამულე არჩილის სახლში. დედის ალალი გული საღი გუმანით გრძნობდა გიორგის განზრახვის საბედისწერო მიზეზს. დედა მთელი მისი გონებრივი ძალ-ღონით შეეცადა დაერწმუნებინა შვილი მისი გა-

დაწყვეტილების უაზრობაში და გადაერჩინა იგი მოსალოდნელი ხიფათისაგან. დდა-შვილს შორის იმართება ერთგვარად შენიღბული მძაფრი პაექრობა. თავიანთი მოსაზრებების ნათელსაყოფად ორივე მოპაექრე იშველიებს ბრძნულ აფორიზმებს: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“ (გიორგი); „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ (ოთარაანთ ქვრივი).

ერთი შეხედვით ამ საოცარი პაექრობის სიმძაფრეს აძლიერებს თითქოს სწორედ რუსთველის კარგად შერჩეული მოხდენილი აფორიზმები. ვიმეორებ, ასეა ერთი შეხედვით. საქმე ისაა, რომ ოთარაანთ ქვრივის მიერ მოხმობილი შესანიშნავი აფორიზმი („საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“) არ არის რუსთველის კუთვნილება, თუმცა სავსებით რუსთველურად ჟღერს და სწორად გამოხატავს ვეფხისტყაოსნის აზრობრივ სულისკვეთებას, იგი ვეფხისტყაოსნის ზემოქმედების შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი.

რთულია მეორე აფორიზმის საკითხი („შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“). ეს აფორიზმი საინტერესო კომენტარებით დაბეჭდილია იოსებ გრიშაშვილის წიგნში: „საანდაზო ლექსები. ვეფხისტყაოსანი, ქილილა და დამანა, გურამიანი. ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა“ (თბილისი, 1935). წინასიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „აიღეთ ცნობილი აფორიზმი, რომელიც ბევრს შოთასი ჰგონია: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. შოთას ამგვარი კონსტრუქციის სტრიქონი არა აქვს“ (გვ. 21—22). ი. გრიშაშვილი მკითხველს ურჩევს იხილოს წიგნის ბოლოში დართული მისი შენიშვნები (იქვე). შენიშვნებში საკმაოდ ვრცელი მსჯელობაა ამ აფორიზმის თაობაზე. აქ ვკითხულობთ: „ეს სტრიქონი შოთას კალამს არ ეკუთვნის. იგი, როგორც ანდაზა, პირველად დ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიაში მოთავსდა (1846 წ., გვ. 39*) და მეორდება თითქმის ყველა დაბეჭდილ „ქართულ ანდაზებში“. შოთას სახელს პირველად ილია ჭ[ავჭავა]ძემ მიაკუთვნა (იხ. „ივერია“, 1884 წ., № 7—8, გვ. 96) და ილიას შემწეობით გადავიდა ქართული სიტყვიერების სარბიელზე. საქმე ის არის, რომ ეს სტრიქონი შოთას „ვეფხისტყაოსანში“ კი არ არის მოთავსებული, არამედ ნანუჩა ციციშვილის მიერ „გაგრძელებულ“ „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 193—194), კურსივი გრიშაშვილისაა—ა. ბ.). თავის მხრივ ი. გრიშაშვილი ცდილა აეხსნა, თუ როგორ „გაკეთდა“ ეს აფორიზმი (გვ. 195). ციტირებული ტექსტის სქოლიოში მითითებულია: „იხ. ნანუჩა ციციშვილის „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდილი ილიას „ივერიაში“ (1880 წ. № 3, გვ. 7).

* კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს 391.

მართლაც, „ივერიის“ დამოწმებულ ნომერში გამოქვეყნებულია ვეფხისტყაოსნის ეს „გაგრძელება“, რომელიც რედაქციისათვის მიუწოდებია პ. კარბელაშვილს. ტექსტი მოიცავს პოემის მთელ ბოლო ნაწილს — ინდო-ხატაელთა ამბიდან გმირთა აღსრულებამდის (აქის ჩათვლით). ტექსტის პუბლიკაციას ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „ჩვენ კი გვგონია, რომ ეს „განგრძელება“ რუსთველის კალამს არ დაუწერია“ (გაიოზ იმედაშვილი. რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წლები, თბ., 1957, გვ. 69). ეს სარედაქციო შენიშვნა იმითაა გამოწვეული, რომ პ. კარბელაშვილი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებს „მცირე გამონაკლისის გარდა რუსთველისეულად თვლიდა“ (ბორის დარჩია. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული პუბლიკაციის რედაქციული სახის დადგენისათვის, კრ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, თბ., 1973, გვ. 16. სქოლიო 3).გაგრძელებების შემცველ მისეულ ხელნაწერს პ. კარბელაშვილი XVII საუკუნეში გადაწერილად ძიიჩნევდა „.მგონი უფრო ადრინდელიცაა“. სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი დღეს აღარსად ჩანს. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტი ბ. დარჩიამ შეუდარა ყველა ცნობილ ხელნაწერს და გაარკვია, რომ კარბელაშვილისეული პუბლიკაციის დედანი ჩვენს საცავებში არ მოიპოვება, თვითონ ტექსტი ნაგვიანევი და ნარევი რედაქციისაა და საეჭვოა „კარბელაშვილისეული პუბლიკაციის დედანი XVII საუკუნის ხელნაწერი იყოს“.

მთავარი მაინც ის არის, რომ ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა ტექსტი პირველად, ჯერ კიდევ 1880 წელს, პ. კარბელაშვილმა გამოაქვეყნა და მისი ავტორობის საკითხიც გარკვეულად ჩათვალა. როგორც ცნობილია, ეს გაგრძელებანი არ შესულა პოემის ვახტანგისეულ გამოცემაში, იგი შეტანილია მხოლოდ ს. კაკაბაძის ხელნაწერულ გამოცემაში, რომელიც 1913 წელს დაიბეჭდა. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხი მთელი სიმწვავით განაახლა და მისებურად გადაწყვიტა პოეტმა და რუსთველოლოგმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ. ვეფხისტყაოსნის მისეულ გამოცემაში (გამოქვეყნდა 1934 წელს) კ. ჭიჭისაძემ შეიტანა ამ „გაგრძელებათა“ ძირითადი ნაწილი, ე. წ. ინდოხატაელთა ამბავი. ამ ამბის რაობისა და ავტორობის თაობაზე დღემდის გრძელდება ცხარე კამათი. ერთი რამ ცხადია, ინდო-ხატაელთა ამბავი ნამდვილად ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორგანული ნაწილია და შეთხზულია (უკეთ, განახლებულ-რესტავრირებული) არა უგვიანეს XV საუკუნის მეორე ნახევრისა (შ. ონიანი, ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, თბ., 1982). მაშასადამე, ნანუჩა ციციშვილის სახელთან მას საერთო არაფერი აქვს.

ახლა დავუბრუნდეთ საანალიზო აფორიზმს — „შიში ვერ იხსნის საკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. ეს აფორიზმი ინდო-ხატაელ-

თა ამბიდანაა და ზოგიერთ ხელნაწერში განსხვავებული ვარიანტითაა წარმოდგენილი: „შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნიღა დაღრეჯანია“ (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. I, 1963, გვ. 985).

საინტერესო ისაა, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი (და შესაფერისად მისეული აფორიზმი) არ არის ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეულ გამოცემაში, რომელიც მოამზადა სწავლულთა და მეცნიერთა სპეციალურმა კომისიამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით (დაიბეჭდა 1888 წელს). რა თქმა უნდა, სწორი არ არის მოსაზრება, თითქოს აფორიზმი „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“ არ ეგუება რუსთველის პოეტურ „კონსტრუქციას“. პირიქით, ეს არის სწორედ რუსთველური ყაიდის შესანიშნავი აფორიზმი (ვინც არ უნდა იყოს მისი ავტორი[1]). ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილ სხვა აფორიზმთა შორის მოუთავსებია იგი.

უკვე ვთქვით, რომ საცილობელი აფორიზმი ინდო ხატაელთა ამბიდანაა. ინდო-ხატაელთა ამბავი ვრცელი ვეფხისტყაოსნის ნაწილია. ტექსტის გაცნობა ილიას შეეძლო პოემის მისეული ხელნაწერიდანაც (S 4988, ილიას საკუთარი ბიბლიოთეკისა).

ასეთია საქმის ფაქტობრივი ვითარება. ილია ჭავჭავაძემ საუცხოოდ გამოიყენა ინდო-ხატაელთა ამბის აფორიზმი „ოთარაანთ ქვრივში“, ადრე საანდაზო ლექსების კრებულში შეიტანა. მაინც გამიჭირდებოდა გამომეტანა კატეგორიული ხასიათის დასკვნა — ილია ჭავჭავაძე ამ აფორიზმს რუსთველის შემოქმედებითს ნაყოფად აღიარებსო, ილია ჭავჭავაძე ინდო-ხატაელთა ამბავს (და იმის აფორიზმს) უცილობლად რუსთველს მიაწერსო. ამ ამბის ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეულ გამოცემაში შეუტანლობა საკითხს ვერ გადაწყვეტს. მე მაფიქრებს მხოლოდ „ივერიის“ სარედაქციო შენიშვნა ვეფხისტყაოსნის ვაგრძელებთ კარბელაშვილისეული პუბლიკაციის გამო: „ეს გაგრძელება რუსთველის კალამს არ ეკუთვნისო“.

ეს კია: ვეფხისტყაოსნის ყველა ინტერპოლაცია (ჩანართ-დანართი) ერთი ღირსებისა როდია. ხვარაზმელთა და გმირთა აღსრულების ამბები ძალზე მდარე შაირებითაა გაწყობილი. ინდო-ხატაელთა ამბავი კი გარკვეულად გამოირჩევა საერთო მხატვრულობით და, კერძოდ, შაირების ვარგისიანობით. ამიტომაც შესაძლებელია მახვილმა პოეტურმა ალღომ აფიქრებინა ილია ჭავჭავაძეს რუსთველის შემოქმედებითს ნა-

---

[1] ოღონდ გამოსარიცხაია ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილი. ინდო-ხატაელთა ამბავი ჩამოყალიბებულია ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს XV საუკუნის მეორე ნახევრისა, ხახუჩა კი XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა (გიორგი აბულ. ზოგი რამ ნანუჩას შესახებ, წიგნში — ნარკვევები ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესახებ, თბ., 1983, გვ. 6—17).

ყოფად მიეჩნია ინდო-ხატაელთა ამბავიც და იმის ჩიწებული აფორიზმი. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ეს აფორიზმი ნამდვილად ამშვენებს თვითონ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითს შედევრს და ინდო-ხატაელთა ამბის მკვლევარი მომავალში გვერდს ვეღარ აუვლის დედა-შვილის უბრწყინვალეს დიალოგს „ოთარაანთ ქვრივიდან“.

1988.

აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი

ძველი ქართული მწერლობისადმი ინტერესი აკაკი წერეთელს ადრე გაელვიძა. მისი სიტყვით, მაგალითად, ვეფხისტყაოსანი სწორედ ყრმობისას წაუკითხავს თავიდან ბოლომდე, „და თუმცა ზღაპრული მხრის მეტი არ გამიგია რა, მაგრამ მაინც გატაცებული ვიყავიო“, წერს (ჩემი თავგადასავალი). უმაღლესი განათლება აკაკიმ მიიღო პეტებურგში, 1859—1862 წლებში. იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. ქართულ მწერლობას მაშინ უნივერსიტეტში ასწავლიდა დავით ჩუბინაშვილი (1814—1891). სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოუმზადებია აკაკი წერეთელს სადიპლომო ნაშრომი“:[1] „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“. ამ ნაშრომის ავტორეფერატი მოიძიეს და შესაფერისი შენიშვნებით გამოაქვეყნეს ანდრო ბარამიშვილმა და ალექსანდრე ღლონტმა („მნათობი“, 1937, № 10, გვ. 162—172; ორიგინალის ტექსტს ახლავს მისი ქართული თარგმანი). აკაკის სადიპლომო ნაშრომი, რასაკვირველია, ძირითადად აშუქებს იმ პრობლემას, რაც მისი სათაურითვეა ნაგულისხმევი. ესაა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემა. მაგრამ დიპლომანტი არ იზღუდება მარტოოდენ აღნიშნული პრობლემით და იხილავს რუსთველის პოემის არაერთ სხვა საკითხს. ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თაობაზე აკაკი წერეთელი არსებითად იზიარებს, ავითარებს და ერთგვარად ამდიდრებს კიდევაც საძიებელ საკითხზე თავისი მასწავლებლის, დავით ჩუბინაშვილის, შეხედულებას, აკაკის დაკვირვებითაც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი სავსებით ორიგინალურია და ალეგორიული ფორმით ასახავს საქართველოს ნამდვილი ისტორიული ცხოვრების ამბავს. არაბეთისა და ინდოეთის მომიზეზებით პოემის ავტორმა გამოხატაო „იმდროინდელი საქართველოს შვიდი სამეფო და ხუთი სამთავრო“. თავისი ამოსავალი დებულების გასამყარებლად აკაკი წერეთელი იყე-

[1] თვითონ აკაკი წერეთელი მას უწოდებს „საკანდიდატო დისერტაციას“.

ნებს პოემის პერსონაჟთა ხასიათების ეროვნულ-ქართული თვისებებ.ს ძიების საიმედო ხერხებს. იგი ამტკიცებს, რომ, მაგალითად, ქალი პერსონაჟების ხასიათი, ყოფა, მდგომარეობა ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფო სარბიელზე და ასე შემდეგ სწორედ ქართული, ქრისტიანული აღმსარებლობის მჭონე ქვეყნის სინამდვილის ნიშანთვისებებითაა აღბეჭდილი და არაფერი საერთო არ აქვს მუსლიმანურ სამყაროსთან. საინტერესო ისაა, რომ ქართულ ხასიათებს ცხადყოფენ ვეფხისტყაოსნის არა მარტო უმთავრესი ქალი პერსონაჟები (ნესტან დარეჯანი, თინათინი), არამედ ფატმანი და განსაკუთრებით ასმათიო. „ყველაზე მკვეთრად — ამბობს აკაკი, — ქართული ხასიათი გამოვლენილია ასმათში“. ასმათი და მისი როლი პოემის კვალობაზე მკვლევარს აგონებს ძიძის როლს ქართველთა ცხოვრებაში. ფატმანიც კი მას ესახება სწორედ ქართული ცხოვრების ანარეკლად. აკაკი წერს: „ფატმანის სახით გამოყვანილია ქართველი ქალი, რომელიც მზადაა სასიყვარულო ინტრიგებისათვის მკვლელობაც ჩაიდინოს და ყველაფერი მოიმოქმედოს, ოღონდ მისი საიდუმლო ვინმემ არ გაიგოს, განსაკუთრებით ქმარმა“. საერთოდ, ასკვნის აკაკი, „რუსთველთან ყველა ქალი ემანსიპირებულია. და ეს ავტორის გამონაგონი კი არ არის, ქართული ცხოვრების სინამდვილიდანაა აღებული“.

ანალოგიურია მამაკაცთა ხასიათებიცო. აკაკის ფიქრით, მართალია, პოემის ცენტრალური ვაჟი — პერსონაჟი ტარიელია, „მთავარ გმირზე უფრო გამოკვეთილია პოემის მეორეხარისხოვანი გმირები. ესენია ტარიელის მეგობრები ფრიდონი და ავთანდილი“. „ტარიელის სახით ავტორმა წარმოგვიდგინა მოხეტიალე რაინდი“. აკაკის სამართლიანი ფიქრით, მთავარი ისაა, რომ რუსთველმა დაგვისურათხატა ჩვენი ქვეყნის ისტორიული სინამდვილის არა გარეგნული მხარე, არამედ „საქართველოს შინაგანი ცხოვრება“.

აკაკი წერეთელი ეკამათება ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც თავისი კომენტარებით ვეფხისტყაოსანს „რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭაო“. აკაკის სიტყვით, ვეფხისტყაოსანს განუცდია „დევნა-შევიწროება“. იგი იზიარებს გადმოცემას, თითქო ანტონ კათალიკოსის ბრძანებით სცადეს პოემის მოსპობა ვითარცა „მავნე თხზულებისა“. ანტონი თავის „წყობილსიტყვაობა“ში“ „სიძულვილით იხსენიებს რუსთველსო“.

ძალზე საინტერესოა აკაკის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის თაობაზე. ისიც იმ აზრისაა, რომ ნანუჩა ციციშვილი და სხვები თვლიდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი დამთავრებული არ არისო და ბის გაგრძელებასაც კი წერდნენ“ და „ამახინჯებდნენ“ პოემის ტექსტსო. უფრო საყურადღებო ის არის, რომ დიპლომანტი მკვლევარი თამამად აცხადებს: „ყოველი ქართველი მეცნიერი თავის მოვალეობად თვლიდა გაესწორებინა პოემა თავისი ნება-სურვილის მიხედვითო“.

ეს კრიტიკა ეხებოდა საკუთრივ მის მეცნიერ მასწავლებელ დავით ჩუბინაშვილს.

აკაკი წერეთლის ტექსტოლოგიური ხასიათის კრიტიკული შენიშვნები ემყარება ერთი კონკრეტული ფაქტის შესანიშნავ ანალიზს. ტარიელმა რომ ავთანდილს თავისი თავგადასავალი უამბო, აწინდელი სადგომის თაობაზე უთხრა (654/652):

ესე ჭაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს.
შემოვები, ამოვსწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს;
მათ შინანი დამიხოცნეს, ჯაჭვნი ავად მოქაფნეს.
საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა შეცქაფნეს.

დევთა ყვირილი, ხახილი ზეცამდის აიწეოდა;
მათსა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა;
მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა,
ასი ერთ კერძოთ მომიხდეს, დავფრთხწე, დაიხეოდა ((655).

ასეა ეს ორი სტროფი ვეფხისტყაოსნის პირველ (1712 წლის ვახტანგისეულ), მეორე (ბროსესეულ 1841 წლის) და ჩუბინაშვილისეულ მესამე (1846 წლის) და მეოთხე (1860 წლის) გამოცემებში. ოთხივე გამოცემა ხელმისაწვდომი იყო აკაკი წერეთლისათვის (საფიქრებელია, რომ ის სარგებლობდა ჩუბინაშვილისეული გამოცემით).

აკაკის მოაქვს პირველი (654/652) სტროფის[2] ტექსტი და შენიშნავს იშვიათი სიმახვილით: „აქ, როგორც ვხედავთ, ტარიელი ლაპარაკობს, რომ გაჟლიტა დევები და თვითონ დაესახლა იქ. მაგრამ საოცარია: იგივე აზრი მეორდება ჰიპერბოლურად მომდევნო ტაეპშიო (ე. ი. სტროფში, ა. ბ.)." (ციტირებულია ეს მომდევნო სტროფის ტექსტიც). დიპლომანტი მკვლევარი თელის, რომ მეორე სტროფი სრულიად ზედმეტია და წარმოადგენს ჩანართს. იგი აცხადებს: „სრულიად ნათელია, რომ ეს ტაეპი (—სტროფი) არ ეკუთვნის რუსთველს, იგი ხელოვნურად ჩართულია ვიღაცის მიერ პოემაში". როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელი იყო იმ სარედაქციო კოლეგიის წევრი, რომელმაც მოამზადა ვეფხისტყაოსნის ე. წ.. ქართველიშვილისეული გამოცემა 1888 წლისა. ეტყობა, ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ გაიზიარა აკაკის მოსაზრება.

საგულისხმოა, რომ საცილობელი სტროფი თავის გამოცემაში (თბილისი, 1934) კვლავ შეიტანა კონსტანტინე ჭიჭინაძემ. ამ სტროფის ავკარგიანობაზე ბევრი იმსჯელა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის შემამზადებელმა კომისიამ და იგი ჩანართად მიიჩნია (სოლომონ ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან,

2 სტროფის სათვალავი დამოწმებულია 1937 და 1988 (აკადემიური) წლების გამოცემათა მიხედვით.

XX საუკ., 2. ნაკვეთი პირველი, თბილისი, 19773, გვ. 268—270). თუმცა იმდროინდელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი გაბატონებული წესის წყალობით სტროფი მაინც აღმოჩნდა პოემის ოფიციალურ ნაბეჭდ გამოცემაში. საბოლოოდ გამოეთხოვა ეს სტროფი ვეფხისტყაოსანს მხოლოდ 1966 წლის შანიძე-ბარამიძის კრიტიკული გამოცემიდან.

დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თავის ადრინდელ სადიპლომო ნაშრომში აკაკი წერეთელი წერდა: „ეს პოემა (ვეფხისტყაოსანი) ზეპირად იცის თითქმის ყოველმა ქართველმა, განსაკუთრებით ქალებმაო“. ეტყობა, ცხოვრებისეულმა დიდმა გამოცდილებამ ერთგვარად გადაარწმუნა ჩვენი დიდი პოეტი. 1910 წლის 11 აპრილს აკაკი წერეთელს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში წაუკითხავს საჯარო ლექცია. ამ ლექციის დროს მას სხვათა შორის უთქვამს, მართალია, ძველად კი იცოდნენ ვეფხისტყაოსანი ზეპირათო, მაგრამ ახლა? საილუსტრაციოდ ლექტორს დაუმოწმებია ერთი მანდილოსანი, რომელიც თურმე რუსული ლიტერატურის საკითხებში კი ერკვეოდა, მავრამ შეკითხვაზე, თუ რას იტყვით ვეფხისტყაოსანზეო, პირდაპირ უპასუხნია: კტო ტაკოი ეს რუსთაველიო?“ ეს ერთეული ფაქტი არ არისო, გულისტკივილით შეუნიშნავს აკაკის.

აკაკი წერეთელი რუსეთიდან თერგდალეულთა სულისკვეთებით დაბრუნდა. მოგვიანებით, სახელდობრ 1898 წელს, აკაკი წერდა: „მესამოცე წლებში რომ რუსეთიდან დავბრუნდით, ნიჰილისტობის საფუძარი ცოტა-ოდნათ ჩვენც მოდებული გვქონდა“ (თხზულებანი, XIII თბ., 1964, გვ. 384). ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ აკაკი წერეთელიც მაშინ ღირსებისამებრ ვერ აფასებდა ძველ-ქართულ სახოტბო პოეზიას (შავთელისა და ჩახრუხაძის შემოქმედებას). „სადაც — კი რუსთველს ახსენებდნენ ჩვენში, იქ, მაშინვე, თავში შავთელს წამოუსკუპებდნენ და თუ არა მეტათ, ნაკლებ რუსთველზე არ აფასებდნენ. — რა იყო ამ ორ მწერალში საერთო? არაფერი!... ერთი მგოსანი და მეორე კი გაბერილი, უნიჭო რიტორი!“.. (იქვე, გვ. 215). ასევე ახასიათებდა აკაკი წერეთელი ჩახრუხაძესაც: „ჩვენშიაც შვიდი საუკუნის განმავლობაში, სადაც რუსთველს — კი ახსენებდნენ, იქვე წამოასკუპებდენ ხოლმე შავთელსა და ჩახრუხაძესაც, თითქოს უფრო მაღლაც აყენებდეხ. რა იყო მიზეზი? მხოლოთ ერთხელვე ნათქვამის აყოლა!“... (იქვე, გვ. 355). ცხადია ამ შემთხვევაში აკაკი წერეთელი მხარს უბამდა ილია ჭავჭავაძეს[3].

ჩახრუხაძისა და შავთელის შეუფასებლობას, რასაკვირველია, ისიც

---

[3] ლევან მენაბდე. XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბილისი, 1983, გვ. 165.

უწყობდა ხელს, რომ მაშინ არ იყო ჯეროვნად გამოცემული და შეს წავლილი მათი ენაწყლიანი სახოტბო თხზულებანი. 1902 წელს გამოქვეყნდა ნიკო მარის შესანიშნავი ნაშრომი „ძველ-ქართველი მეხოტბენი“ (კრიტიკული ტექსტები და ვრცელი გამოკვლევა). თუმცა ეს ნაშრომი შეიცავდა რიგ სადაო მოსაზრებას, მან ერთბაშად მუქი მოჰფინა ქართველ მეხოტბეთა ბრწყინვალე შემოქმედებას. ნიკო მარის პუბლიკაციას ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა აკაკი წერეთელი: „მცირე რამ პროფესორ მარრის უკანასკნელის თხზულების გამო“ (თხზულებანი, XIV, 1961, გვ. 129—134). აკაკი უყოყმანოდ აცხადებს, რომ მარის გამოკვლევა „სამაგალითო შრომაა“. „გადავშინჯე და კმაყოფილი დავრჩი. ეს შრომა... მართლა რომ მოსაწონია. რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერლებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა (ე. ი. აბდულმესიანისა და თამარიანისა, ა. ბ.) ბატონ მარრს წესიერად აუუდგენია და შესაფერისი ლექსიკონიც ჩაურთავს“. საყურადღებო ისაა, რომ აკაკის წერილი — რეცენზია დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (21.7.1902, № 154). არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ აკაკის წერილს ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „ვბეჭდავთ ამ წერილს პატივცემულ პროფ. ნ. მარრის შესანიშნავ გამოკვლევის შესახებ იმ ფიქრით, რომ მცოდნე მწერალთა შენიშვნების მეოხებით გამოირკვას, შემცდარია თუ არა აზრი პროფესორის მარრისა შავთელის ხოტბის შესახებ“. მაშასადამე, აკაკი წერეთელიც და „ივერიის“ რედაქციაც ნ. მარის გამოკვლევას (სადაც თვალნათლივაა წარმოჩენილი შავთელისა და ჩახრუხაძის თხზულებათა სამაგალითო იდეურ-მხატვრული ღირსებანი) უწოდებენ „შესანიშნავ გამოკვლევას“. მართალია, აკაკის წერილის გამოქვეყნების დროს ილია ჭავჭავაძე უშუალოდ აღარ ხელმძღვანელობდა „ივერიას“ (მისი რედაქტორი იყო ილიას ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე სარაჯიშვილი). მაგრამ ძნელია ვიფიქროთ, რომ „ივერიამ“ ილიასთან შეუთანხმებლად გამოაქვეყნა აკაკის წერილი. ამ წერილით და სარედაქციო შენიშვნით ხომ არსებითად უარყოფილია ილიას თვალსაზრისი ჩახრუხაძის თამარიანის რაობაზე.

საინტერესოა სარედაქციო შენიშვნა შავთელის აბდულმესიანის ხოტბის ობიექტის შესახებ. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ამ თხზულებაში შექებული უნდა იყვნენ თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი (და არა დავით აღმაშენებელი, როგორც ფიქრობდა მარი). ჩვენი ყურადღება ბუნებრივად მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ აკაკი წერეთლის დაკვირვების თანახმად აბდულმესიანი, თამარიანი და ვეფხისტყაოსანი, სამივე, ერთი და იმავე ავტორის შემოქმედების ნაყოფია და ეს ავტორია შოთა რუსთველი (აკაკი წერეთლის თხზულებანი, XIV, 1961, გვ. 133).

აკაკი წერეთელი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე განაგრძობდა ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევა-ძიებას. თავს დასტრიალებდა, აზუსტებდა, აყალიბებდა თავის ეროვნულ კონცეფციას უკვდავი პოემის თაობაზე. ამ მხრივ ფართოდ არის გახმაურებული მისი ლექციები ვეფხისტყაოსანზე (იკითხებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქალაქში), პირველი ლექცია წაიკითხა 1881 წელს. აკაკი არ ჩქარობდა ლექციების ტექსტების ბეჭდურად გამოქვეყნებას. თუმცა ამ ლექციების გარშემო ცხარე სჯა-ბაასი მიმდინარეობდა. სპეციალური კრიტიკული წერილი მიუძღვნა აკაკის ლექციებს ილია ჭავჭავაძემ 1887 წელს (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, IV, 1927, გვ. 183—198). აკაკის „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე" პირველად დაიბეჭდა 1893 წელს (აკაკის კრებული V: თხზულებანი, XII, 1960, გვ. 66—112). ხოლო უფრო ადრე, 1890 წელს, აკაკიმ უპასუხა ილიას შენიშვნებს: „რამდენიმე სიტყვა პატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოთ ვეფხისტყაოსნის გამო" (აკაკის კრებული, 1890, V; თხზულებანი, XII, გვ. 338—351).

აკაკი წერეთლის თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარჩენული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია, სალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი. ამას ისათი ზნე, ჩვეულება. და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმტკიცებს". რუსთველს სურდაო, ამბობს აკაკი, „დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოიყვანა მისი საიდეალო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც". რამდენადაც ქართველთა ტომები სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათისანი არიან. რუსთველმა „საჭიროდ დაინახა ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთიმეორით შეევსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან ფრიდონი, და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოისა". პოემის ქალთა პერსონაჟის თაობაზე აკაკი შენიშნავს: „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც". სახელდობრ, ნესტანი „ამერთა ქალია", თინათინი — „იმერთა". „ერთი მათგანი (ე. ი. ნესტან-დარეჯანი) ძალიან ემსგავსება ხასიათებით ტარიელს და მეორე (ე. ი. თინათინი) ავთანდილსო". აკაკის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში გამოხატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები, ნამდვილ ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხეებიდან აღებული".

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის გმირები აკაკი წერეთელმა წარმოაჩინა ინდივიდუალური ხასიათების მქონე პიროვნებებად, რომლებიც — ერთი მხრივ — ქართველი ტომების საკუთრივ, კერძოობით თვისებებსაც ასახიერებენ და — და მეორე მხრივ — ქართველობა

მოდგმის განმაზოგადებელ საერთო ეროვნულ ხასიათებსაც გამოხატავენ. კერძო ხასიათი იძენს ზოგადი ქართველის „ტიპის“ თვისებას

ეს პრობლემა აკაკი წერეთელმა შემდგომ კიდევ უფრო გააფართოვა, გააღრმავა და თვისებრივად განსხვავებული, უფრო ამაღლებული სიმბოლიკური ასპექტით გაიაზრა.

1913 წელს დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ნოველა „სიზმარი“ (ივერია, 29 აპრილი, № 121; აკაკის თხზულებანი, XIV, გვ. 551—555). აქ მოთხრობილია, თუ როგორ ნახა სიზმარში იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, როგორ ეახლა სიკვდილის წინ რაღაც ერთი თვით ადრე მონასტრის წინამძღვარს „ახოვანი ღრმა მოხუცი“ „თავზე თუშური ქუდით“ და მიართვა თავისი „ნაჯღაბნი საწინასწარმეტყველო“ ვეფხისტყაოსანი. ამ უცნაურმა მოხუცმა აუხსნა წინამძღვარს, ძველი ნაწერი არის „ზღაპარი“, მაგრამ ამ ზღაპარში აღწერილია, რაც თვითონ მინახავს და განმიცდიაო. „მე ვსცხოვრობდი თამარის დიდებულ დროს. ჩემის ხელებით დავაყარე მიწა მის კუბოს და მოვესწარ იმ უბედურ დროსაც“, როდესაც საქართველო უფსკრულის პირას აღმოჩნდაო, მაგრამო, ამბობს რუსთველი, „დედაღვთისა არ გასწირავს იმის წილხვედრსო“. აი ეს გავითვალისწინე და ჩემი წიგნით „თვით საქართველო გამოვხატე ნესტან-დარეჯანად, ავწერე... როგორ ამოჰყო თავი ქაჯეთის ციხეში. ცხრაკლიტულში. ბოლოს უმახარობლე ქვეყანას მისი ტყეებიდან გამოხსნა“. „ვერც ტარიელი, — განაგრძობს მთხრობელი, — ქართლ-კახეთის წარმომადგენელი, მისი საარაკო რაინდობით, ვეფხ ავთანდილი, განხორციელებული იმერეთი, და ვერც ფრიდონი შაკ ზღვის პირის შვილი, აფხაზ-მეგრელ-გურულ აჭარელთა ჯარი ცალცალკე ვერას გააწყობენ, თუ ყველა ერთად, შეერთებულად არ მიადგენ ქაჯეთს და მაშინ კი, გამოხსნილ ნესტან-დარეჯანს შეეცვლება ჭირი ლხინად“. აი, ეს არის ნაწინასწარმეტყველები ჩემს ვეფხისტყაოსანშიო. დასასრულ მწერალი თხოვს წინამძღვარს: „სადაც ჯვარის მონასტრის კედელზე მე დახატული ვარ ჩემი ხელითვე, სწორეთ იმ კედლის პირას, ჩემ ნახატ — ქვეშ. გამითხარეთ სამარეო!“ — ეს არის ცხადი, სიზმრად ჩაყოლილიო“, ურთავს მგოსანთ-მგოსანი.

თავის ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეროვნულ კონცეფციას ვეფხისტყაოსანზე აკაკი წერეთელი გვთავაზობს იმავე 1913 წელს გამოქვეყნებულ მეორე წერილშიც — „წერილი ს. კაკაბაძის მოხსენების გამო“ (თხზულებანი, XIV, გვ. 539—541). აქ აკაკი წერეთელი ბრძანებს: „ქაჯეთში დატყვეებულ ნესტან-დარეჯანის გამოხსნა ტარიელის, ფრიდონის და ავთანდილის შეერთებულის ძალით პროგრამაა და წინასწარმეტყველობაა მომავლის“ (ხაზი ჩე-

მია, — ა. ბ.). დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ ვეფხისტყაოსნის მისეული გაგების სიმბოლიკით მშობლიურ ერს უმახარობლა მომავალი განთავისუფლების სანეტარო დღე. აკაკი წერეთელი რუსთველის პირით („სიზმარი") განცხადებულად აღიარებს, ქაჯეთის ციხის შემუსვრითა და ნესტანის განთავისუფლებით „უმახარობლე ქვეყანას მისი ტყვეობიდან გამოხსნაო". ვეფხისტყაოსანში მოხდენილად ჩაქსოვილი მარადიული ოპტიმისტური იდეა ბოროტების დათრგუნვისა და სიკეთის გამარჯვებისა აკაკი წერეთელმა მიუსადაგა მისეამინდელი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეალებს. და როგორ ეხმაურება აკაკი წერეთლის ეს იმჟამინდელი ეროვნული კონცეფცია აწინდელი საქართველოს მღელვარე დღეებს!

ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს აკაკის წერილი „სარგის კაკაბაძის მოხსენების გამო" ვეფხისტყაოსნის შექმნის თარიღის თაობაზე. ჯერ კიდევ თავის სტუდენტურ სადიპლომო შრომაში აკაკი წერეთელი წერდა, რომ ვეფხისტყაოსანი შეთხზულია XII საუკუნეში სახელოვანი თამარის მეფობის დროს. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, „სიზმარში", ოცის ერთ-ერთ უგვიანეს ნოველაში, აკაკი წერეთელი ალაპარაკებს რუსთველს, რომ ის ცხოვრობდა „თამარის დიდებულ დროს", რომ ქუბათა-ქებას უძღვნიდა თავის სათაყვანებელ დედოფალს. და რომ „ჩემის ხელებით დავაყარე მიწა მის კუბოსა". თავის გახმაურებულ მოხსენებაში, რომელსაც მიეძღვნა აკაკის წერილიც, სარგის კაკაბაძე ამტკიცებდა თითქო ვეფხისტყაოსანი დაიწერა XIV საუკუნეში. აკაკის სიტყვით, „ამ მოხსენებას აუღელვებია საზოგადოება და პრესაცო". თვითონ აკაკი წერეთელი ძლიერ დამშვიდებით შეხვდა მოხსენებას და ერთგვარად (მხოლოდ ერთგვარად!) მხარი დაუჭირა კიდევაც ვეფხისტყაოსნის დაწერის გადათარიღების ცდას. ამგზობის აკაკი პირდაპირ აცხადებდა: „მე თვითონ არ ვარ დარწმუნებული, რომ ვეფხისტყაოსანი თამარის დროს უნდა იყოს შეთხზულიო". მისი ფიქრით, რუსთველი „თამარ მეფის ბედნიერ დროსაც მოსწრებია სიყმაწვილეში და რუსუდანის შავ-დღეებსაც სიბერეში". „მე მგონიაო, — ასკვნის აკაკი, — რომ რუსთველმა ნებით თუ უნებლიეთად იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში დამწყვდეულმა სიბერის დროს დასწერა ეს სააკაკო თხზულება". რასაკვირველია, აკაკის ეს შეხედულება ვეფხისტყაოსნის შექმნის დროის შესახებ არსებითად განსხვავდება სარგის კაკაბაძის თვალსაზრისისაგან.

ისიც სათქმელია, რომ აკაკი წერეთელს არ აკმაყოფილებდა რუსთველოლოგიური მეცნიერების იმდროინდელი დონე. დიდი პოეტი და თვითონ რუსთველოლოგი მკვლევარი აღფრთოვანებით შეხვდა „რუს-

თაველის საზოგადოების“ დაარსებას და რუსთველის ძეგლის დადგმის განზრახვას. იგი გახარებული წერდა: „უკვდავ მგოსნის შესწავლა და ძეგლის დადგმა თვით ერის უკვდავებაა და მარადისობა“ (სადღეისო, თხზულებანი. XIV, გვ. 550).

აკაკი წერეთელი სამართლიანად იმედოვნებდა, რომ რუსთველისადმი ინტერესის გაღვივება და მისი სახელობის საზოგადოების დაარსება ხელს შეუწყობდა რუსთველოლოგიის წინსვლას. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთაველის საზოგადოების დაარსება რეალურად მხოლოდ ჩვენს დროში განხორციელდა.

რუსთველი უზარმაზარ კეთილისმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა ქართული პოეტური კულტურის განვითარებაზე; საუკუნეების მანძილზე ვეფხისტყაოსანი იყო ქართული პოეზიის შთამაგონებელი უშრეტი წყარო, რაღა თქმა უნდა, აკაკის მშვენიერ პოეზიაშიც აღბეჭდილია ამ წყაროს ნაკვალევი, მაგრამ ეს სხვა თემაა და იმას აქ არ ვეხებით. ამგზობის ჩვენთვის ისაა ყურადსაღები, თუ როგორ აფასებდა თვითონ სულმნათი აკაკი თავის დიდი სულმნათი წინამორბედის ზემოქმედების ხასიათს საზოგადოდ. თავის ლექციებში აკაკი წერეთელი იმ აზრს გამოთქვამდა, რომ დადებითთან ერთად რუსთველის ზემოქმედება ზოგჯერ უარყოფითს შედეგსაც იძლეოდა. პოეტობის მოწიწებევრ ვისმეს რუსთველის წამლეკავი გავლენა უჩლუნგებდა პოეტური აზროვნების უნარს, ახლის ძიების სურვილს. ისინი ბრმად ბაძავდნენ ქართული პოეზიის მამათმთავარს, თავს არ იწუხებდნენ და შეუჩლუნგავად სარგებლობდნენ იმის მზამზარეული სახეებით, სპეციფიკური გამოთქმებით, პოეტური ფრაზეოლოგიით, ლექსიკით და ა. შ. ერთი სიტყვით, უღვთოდ ეპიგონობდნენ. აკაკი წერეთელი პირდაპირ ამბობს, რომ თავის მიმბაძველებზე რუსთველს „რაღაც ბატონური, მავნებელი გავლენა ჰქონდა“. მე არ ვიცი, იცნობდა თუ არა აკაკი წერეთელი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის პოეტ იესე ტლაშაძეს, რომელიც კიდევ უფრო გულისწყრომით ამხილებდა მსგავს ეპიგონთა კასტას: „რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა-ტკბილო და შაქარიანო, ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო“. აკაკი წერეთელი იწონებდა იმათ საქმიანობას, ვინც შემოქმედებითად კი განიცდიდა რუსთველის ცხოველმყოფელი ზემოქმედების ძალას, მაგრამ „საკუთარი გზით“ სიარულს ეტანებოდა. ასეთად უწინარეს ყოვლისა, აკაკი თვლიდა დავით გურამიშვილს. ამ შეხედულებაშიც აკაკის პოზიცია ორიგინალურია და მოსაწონია.

22.5.90.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე გამოჩენილი რუსთველოლოგია, ვეფხისტყაოსნის ენის დიდებული მკვლევარი და პოემის ტექსტის დადგენის საქმეში საყოველთაოდ აღიარებული დიდი ავტორიტეტი.

აკაკი შანიძის დახასიათებით, „შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილება ქართული ლიტერატურის მშვენებაა", „რუსთველის გენიალური ქმნილება მზესავით ბრწყინავს საუკუნეთა განმავლობაში. იგი ხელისხელ საგოგმანები გახდა ქართველი ხალხისათვის და ამავე დროს ერთი პირველი ადგილთაგანი დაიჭირა მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს შორის".

ა. შანიძე, უწინარეს ყოვლისა, სწავლობდა და სწავლობს რუსთველის პოემის ენისა და ტექსტის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საუკუნეების მანძილზეო, — ამბობს აკაკი შანიძე, — „ხავსივით მოედო რუსთველის პოემას მრავალი უცხო მასალა, რომელმაც საგრძნობლად დაჩრდილა მისი პირვანდელი ბრწყინვალება". ამიტომაც ვეფხისტყაოსანი უნდა გაიწმინდოსო შემდეგდროინდელი დანართებისაგან. „საჭიროა სპეციალისტების დაძაბული და ხანგრძლივი მუშაობა, რომ (პოემის) ტექსტი გაიცხრილოს, გასწორდეს და წარმოდგეს იმ სახით, რაც გორც პოეტს დაუწერიაო", შენიშნავს მკვლევარი. „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა მეტად რთული საქმეაო", საგანგებოდ გვაფრთხილებს, ამისათვის აუცილებელი პირობა არისო „დიდი ცოდნა, შრომა და გამჭრიახი გონება". საბედნიეროდ, ყველა ეს თვისება უხვად ახასიათებს ბატონ აკაკის.

ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტის დადგენის მკვიდრ ნიადაგზე დასაფუძნებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოემის პირველი, 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის რაობის გარკვევას. ამის თაობაზე კი მკვლევართა შორის აზრთა პრინციპული სხვაობა სუფევდა. ა. შანიძის ერთი უმთავრესი ღვაწლი რუსთველოლოგიის სფეროში სწორედ ისაა, რომ მან სრულიად დამაჯერებლად და ეჭვმიუტანლად გადაწყვიტა ეს თავსატეხი პრობლემა.

ჩვენ დრომდის მოღწეულია ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის სულ ცხრამეტი ცალი, აქედან აკაკი შანიძისათვის ცნობილი იყო თვრამეტი (მეცხრამეტე შემდეგ აღმოჩნდა). ა. შანიძემ გაარკვია რომ ვახტანგისეული გამოცემის ყველა გადარჩენილი ცალი მეტ-ნაკლებად დეფექტიანია, „მაგრამ ისე, რომ ერთი-მეორის დანაკლისს ავსებენ და კაცს მთელი გამოცემის აღდგენის საშუალებას აძლევენ". ა. შანიძემ დიდი შრომის, ცოდნისა და რუდუნების შედეგად თვითონვე სამაგალითოდ აღადგინა ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდი ტექსტი თავისი პირვანდელი შრიფტით (ამ შრიფტის სალებავების — სინგურისა და

შავი ფერების მონაცვლეობით), გამომცემლის პორტრეტით, სამკაულებით, ფორმატითა და სასტამბო-საგამომცემლო სხვა ყველა საჭირო ნიშან-თვისებებით. პირველნაბეჭდი ტექსტის ეს აღდგენილი სახეობა ა. შანიძემ ვრცელი სამეცნიერო აპარატით და სანიმუშო გამოკვლევით გამოაქვეყნა 1937 წელს (1975 წელს, ვახტანგ მეექვსის დაბადების მესამასე წლისთავზე, აღდგენილი გამოცემა დაიბეჭდა ფოტოტიპური წესით). აღმდგენელის სიტყვით, ეს გამოცემა „არის სინდისიერად შესრულებული კოპიო, მაგრამ არა ბრმად გაკეთებული, არამედ თავიდან ბოლომდე გააზრებული". ა. შანიძემ გაასწორა პირველნაბეჭდი ტექსტის კორექტურული, თუ სხვა უნებლიე ხასიათის შეცდომები, მაგრამ ყველაფერი ეს თავ-თავის ადგილას ზუსტად აღნუსხა.

როგორც აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ხასიათის თაობაზე დიდი დავა იყო გაჩაღებული. საქმე ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა (ვახტანგისეული რედაქცია) შინაარსობრივ-სიუჟეტურად უფრო მოკლეა, ვიდრე ძველი ხელნაწერებით შემონახული ტექსტი. ასე, ვახტანგისეული გამოცემა 1587 შაირს (სტროფს) შეიცავს, ხელნაწერების ტექსტი კი 2500 შაირს აღწევს, ე. ი. არსებობს ვეფხისტყაოსნის ორი ძირითადი რედაქცია: ვ რ ც ე ლ ი (ხელნაწერული) და მ ო კ ლ ე (ვახტანგისეული). მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ვახტანგმა საგანგებოდ შეარჩია და დაბეჭდა თითქოს მის დრომდე შემორჩენილი მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერის ტექსტი. მკვლევართა მეორე ნაწილი კი ფიქრობდა, რომ ვახტანგის განკარგულებაში იყო პოემის ვრცელი ხელნაწერული რედაქცია და რომ სწავლულმა გამომცემელმა მისი შეხედულებისამებრ შეაძოკლა ტექსტი და ისე გამოაქვეყნა.

აკაკი შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გასარკვევი იყო „პირველი ნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი პირია რომელიმე ძველი ხელნაწერისა, თუ კრიტიკული გამოცემა, თვით ვახტანგის (ან მისი კომისიის) მიერ შემუშავებული?" „ჩემი მიზანიაო, — განაგრძობდა ბატონი აკაკი, — ახალი და თანაც უეჭველი და უცილობელი საბუთები მოვიყვანო იმის დასამტკიცებლად, თუ რა მუშაობა ჩაიტარა ვახტანგმა (ან მისმა კომისიამ) ვეფხისტყაოსანზე და რას წარმოადგენდა ნამდვილად ვახტანგის დედანი, რომ ამით ბოლო მოვუღო საკითხს, რომელიც აგრე საცილობელი იყო სპეციალისტებს შორის".

დასახული ამოცანა აკაკი შანიძემ ბრწყინვალედ ამოხსნა. ნაბეჭდი (ვახტანგისეული) და ხელნაწერული ტექსტების დაწვრილებითი შეჯერების შედეგად ა. შანიძემ დაასაბუთა, რომ ვახტანგს (თუ მის კომისიას) ხელთ ჰქონია ვეფხისტყაოსნის არა მოკლე, არამედ ვრცელი რედაქციის შემცველი ხელნაწერი. თავის განმარტებებს („თარგმა-

ნებს") ვახტანგი უკეთებდა ვრცელი რედაქციის შაირებს, ზოგი ასეთი კომენტირებული შაირი შემდეგ არც კი მოხვედრილა დაბეჭდილ ტექსტში, აკაკი შანიძე საბოლოოდ და ურყევად ასკვნის: თარგმნისას ვახტანგს ხელთ ჰქონია ისეთი დედანი, რომელიც ვრცელი რედაქციისა ყოფილა... ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი" (კურსივი ავტორისაა, ა. ბ.).

აკაკი შანიძის ეს ეჭვმიუტანელი დებულება საფუძვლად დაედო ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დასადგენად ფართოდ გაშლილ შემდეგდროინდელ მუშაობას.

კორნელი კეკელიძესთან ერთად აკაკი შანიძე თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც მოამზადა ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო გამოცემა 1937 წლისა. ა. შანიძე ამბობს, რომ: „სამწუხაროდ, 1937 წლის საიუბილეოდ დაიბეჭდა არა ის ტექსტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა, არამედ იგი რამდენადმე გადააკეთეს". ეს გადაკეთებული ტექსტი გამოცხადდა კანონიკურად დახელშეუხებლად, წლების მანძილზე იგი უცვლელად მეორდებოდა კორექტურული შეცდომებითაც კი. ცალკეული წაკითხვების მხრივ ზოგიერთი შესწორების შეტანა მოხერხდა პოემის 1951 და 1957 წლების გამოცემებში, რომლებიც მოამზადა ლიტერატურის ინსტიტუტმა ა. შანიძის, კ. კეკელიძის და ამ სტრიქონების აეტორის რედაქტორობით. ამ გამოცემებზე მუშაობამ ჩვენთვის კიდევ უფრო ცხადი გახადა „კანონიკური" ტექსტის ნაკლოვანებანი. მომწიფდა ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემის საკითხი. ფართოდ გაიშალა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება. ამას დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურის ინსტიტუტში (1956 წლის ბოლოს) რუსთველოლოგიის განყოფილებს, ხოლო უნივერსიტეტში რუსთველის კაბინეტის დაარსებამ. 1956 წელს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა ვეფხისტყაოსნის სიმფონია. ლიტერატურის ინსტიტუტმა იმავე წელს დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის უვრცელესი რედაქციის შემცველი ხელნაწერის (H 757) ტექსტი და შეუდგა პოემის ყველა ხელნაწერისა და ძირითადი ბეჭდური გამოცემების ვარიანტების შედგენას, 1957 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ვეებერთელა ტომი (შეადგინა გ. იმედაშვილმა). აკაკი შანიძის ავტორიტეტული შეფასებით, უკვე „შეიქმნა სოლიდური ბაზა ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივ შესასწავლად და მისი ტექსტის გასამართავად მეცნიერულ სა-

ფუძველზე“ (დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, X—XI, გვ. XI, 133).

ჩვენც არ დავაყოვნეთ, აკაკი შანიძის, კ. კეკელიძის და ჩემი ხელმოწერით 1958 წლის 10 მაისს სპეციალური მოხსენებითი ბარათით მივმართეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. მოხსენებაში ნათქვამი იყო: „ვეფხისტყაოსნის (1937 წლის) საიუბილეო გამოცემის ტექსტი საფუძვლიანად უნდა იქნას გადასინჯული და გასწორებული სტროფული შემადგენლობის მხრივაც და რედაქციული გამართულობის მხრივაც. დროა მომზადდეს და გამოიცეს ვეფხისტყაოსნის ნამდვილად მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი შესაფერისი აპარატით“.

სადირექტივო ორგანომ სარჩელი სცნო სამართლიანად და მიიღო სათანადო დადგენილებაც. დადგენილების რეალიზაცია დაევალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. თავის მხრივ, აკადემიის პრეზიდიუმმა ამ ფრიად საპასუხისმგებლო დავალების შესრულება მიანდო პირადად აკაკი შანიძეს. მეამაყება, რომ ბატონმა აკაკიმ მე მიმიწვია თანარედაქტორად: დაუყოვნებლივ შევუდექით საქმეს. შედარებით მცირე დროის განმავლობაში მომზადდა და 1966 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები“ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით[1].

ამ გამოცემის უმთავრესი სიახლე ის იყო, რომ კრიტიკულად დადგენილ ტექსტს სქოლიოებში ახლდა იკითხვისები ანუ ვარიანტები ძირითადი ხელნაწერებისა და ბეჭდური გამოცემების მიხედვით. თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა: „დღემდე ჩვენ ვეფხისტყაოსნის არამცთუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც გვქონდეს აღბეჭდილი“. 1966 წლის გამოცემით ნაწილობრივ მაინც შესრულდა დიდი მეცნიერის კანონიერი მოთხოვნა და ეს გამოცემაც მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა.

ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემიდან ამოღებულია 1937 წლის გამოცემის 71 სტროფი. (ეს უმთავრესად მოდის ინდო-ხატაელთა ამბავზე) და ერთიც (26) დამატებულია. ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით აქ მეტია 11 სტროფი. ახალ გამოცემაში გასწორებულია წინა გამოცემათა არა ერთი და ორი მცდარი წაკითხვა, რაც ფორმითაც შეუსაბამო იყო და აზრსაც ამახინჯებდა. სანიმუშოდ მხოლოდ ორ მაგალითს დავიმოწმებთ.

1. ტარიელი შეხვდა მწარე წყლულებისაგან შეჭირვებულ ფრი-

---

[1] ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში გვეხმარებოდნენ ივანე ლოლაშვილი, ციალა კარბელაშვილი, ბორის დარჩია და მზია ჩაჩავა.

დონს. ტარიელის დასტაქარმა ფრიდონს „წყლულნი შეუხვივნა“, „ისრის პირნი ამოუხვნა“ და ტკივილები გაუყუჩა. ამის შემდეგ ტარიელმა უცნობს მისი ამბავი გამოკითხა. ფრიდონმა უამბო, რომ პაპამისის მიერ განაყოფი მამულის ერთი პატარა კუნძულის გამო მისი გვარიშვილები ედავებოდნენ, სანადიროდ გასული დამიხელთეს, თავს დამესხნენ და დამკოდესო. ვახტანგის გამოცემის მიხედვით, მოშუღარი არიან „ბიძა ძენი“ (604,3)[2]. ფრიდონი რომ მომჯობინდა, მოშუღარებს სამაგიერო გადაუხადა და ბრძოლა განაახლა. ფრიდონმა საოცარი მამაცობა გამოიჩინა, „ორნივე ბიძა ძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა“ (617,1) და „მხარ-დაკრულნი“ „თვით ორნივე ბიძა ძენი დაპყრობილნი წამოასხნა“ (619,2). ასე იკითხება ტექსტი ყველა ბეჭდურ გამოცემაში და ბევრ ხელნაწერში. ოღონდ, როგორც ა. შანიძე შენიშნავს, სიტყვა კომპოზიტი ბიძა-ძენი ვახტანგის გამოცემაში ცალკ-ცალკეა დაბეჭდილი, რადგანაც ამ გამოცემამ დეფისი არ იცის, სხვა ბეჭდურ გამოცემებში კი დეფისია გამოყენებული“. რაღაც შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე და გასარკვევიაო, ამბობს ა. შანიძე, ვინ არიან ეს ბიძა-ძენი. ისე როგორც კომპოზიტი დედ-მამა ნიშნავს დედას და მამას. ბიძა-ძე ნიშნავს ბიძას და ძეს, ბიძას და ბიძაშვილს. მრავლობითი რიცხვის ბიძა-ძენი „რთული სიტყვაა, რომელიც ვეფხისტყაოსნის დაწერის დროინდელი გაგებით ამას ნიშნავს: ბიძა და ძე, ან ბიძა და ძენი... ორნივე ბიძა-ძენი დღევანდელი ქართულით იქნება ორი კაცი: ბიძა და (მისი) ძე, ე. ი. ბიძა და ბიძაშვილი“. ამრიგად ისე გამოდის, რომ ფრიდონს ებრძოდნენ ბიძა და ბიძაშვილი. ფრიდონმა კი თავიდანვე აუწყა ტარიელს, რომ სადავო კუნძული „ბიძასა ჩემსა მიჰხვდა“, „ვისთა შვილთა (ვისმა შვილებმა) აწ დამკოდეს“ (601). აქ გარკვევით და ნათლად არის ნათქვამი, რომ ფრიდონს თავს დაესხნენ და ბრძოლა აუტეხეს ბიძაშვილებმა (ორმა ბიძაშვილმა) და არა ბიძამ და ბიძაშვილმა. მაშასადამე, ბიძა ძენი თუ ბიძა-ძენი მცდარი წაკითხვაა და სწორია ზოგიერთი ხელნაწერის ვარიანტად მიჩნეული ფორმა ბიძასძენი.

ასე გამართა ტექსტი ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1957 წელს (იხ. ა. შანიძე, ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები? „მნათობი“, 1957, № 9, გვ. 144—148). რაღა თქმა უნდა, ამგვარადაა ეს ტექსტი პოემის 1966 წლის გამოცემაშიც.

2. ინდოეთი შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა. ექვსის მფლობელი იყო ფარსადანი, მეშვიდესი — ტარიელის მამა სარიდანი. სარიდანს საკუთარი სურვილით უარი უთქვამს თავის წილ სამფლობელოზე და „შეწყნარებია“ ინდოეთის დიდი ნაწილის მეფე ფარსადანს. სარი

---

[2] სტროფების სათვალავს 1957 წლის გამოცემის მიხედვით ვუთითებთ.

დანი გამხდარა ფარსადანის ვასალი. ფარსადანს სიხარულით შეუწყნარებია სარიდანი, მფარველობა და პატრონობა გაუწევია, უბოძებია ვაზირის სახელო ამირბარობა და საკარგუმო სამფლობელო (316,1); „ერთი სამეფო საკარგუმოდ (ვარიანტი — საკარგუმო) უბოძა ამირბარობა".

საკარგუმო ისეთ გარკვეულ სიტყვა-ცნებად მიუჩნევიათ, რომ არ განუმარტავს არც ვახტანგს და არც თეიმურაზ ბატონიშვილს. ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ორ კარგ ხელნაწერში სიტყვას „საკარგუმოდ" ენაცვლება ერთი შეხედვით თითქოს უცნაური სიტყვა „საკარგვად". მაგრამ ნამდვილად აქ საუცნაურო არაფერია. როდესაც სარიდანი გარდაიცვალა, ფარსადანმა მამისეული სახელო და სამფლობელო დაუმტკიცა ტარიელს (336, 2—3):

ასი ებოძა საჭერკლე, ებრძანა ახდა შავისა,
ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა. (

მაშასადამე, ტარიელი გახდა მამისეული საკარგავის მფლობელი, ე. ი. ადრე მოსაკარგავე (საკარგავის მფლობელი) ყოფილა თვითონ სარიდანი. აქედან გამომდინარეობს სრულიად ურყევი დასკვნა, რომ სწორია და დედნისეულია 316 სტროფის პირველი ტაეპის წაკითხვა: „ერთი სამეფო საკარგვად, უბოძა ამირბარობა". საკარგვად შეკუმშული ფორმაა სიტყვისა საკარგავად. ტექსტის გადამნუსხავის შეცდომა გასაგებია. მას ალღოთი შეუცვნია, როგორც ჩანს, მის დროს ხმარებიდან გამოსული ტერმინის მნიშვნელობა და ის შეუცვლია უფრო გასაგები სიტყვით.

ამგვარად, ვეფხისტყაოსნის 1966 წლის გამოცემის რედაქციამ აღადგინა დედნისეული ტერმინი. უნდა ითქვას, რომ ამ გასწორებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. რუსთველის ეპოქაში საკარგავი ნიშნავდა საგამგეოდ, სამსახურისათვის საზღაოდ, საგამრჯელოდ გაცემულ სამფლობელოს. ამით ვეფხისტყაოსანი ზუსტად ასახავს იმდროინდელი წმინდა ქართული სოციალური ცხოვრების ერთ უაღრესად ნიშანდობლივ სოციალურ მოვლენას.

აღნიშნული ორივე გასწორება (და ბევრი სხვაც) გაიზიარა ვეფხისტყაოსნის შემდგომდროინდელი გამოცემების რედაქციებმა.

ერთი სიტყვით, აკაკი შანიძის მეთაურობით მომზადებული გამოცემა ვეფხისტყაოსნისა ახალი ეტაპია ამ დიდ ეროვნულ საქმეში. ეს გამოცემა წინამორბედი პირველსახეა პოემის სრული აკადემიური პუბლიკაციისა. ასეთად აფასებს მას ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის ოთხმდგინი კომისიის ერთი ხელმძღვანელი წევრი: „იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი მოკლე ვარიანტია მომავალი აკადემიური გამოცემისა" (სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერე-

ბი და გამოცემები, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, № 2, გვ. 69).

აკაკი შანიძეს განზრახული ჰქონდა შეედგინა ვეფხისტყაოსნის სრული კომენტარი. სამწუხაროდ, ეს განზრახვა ვერ განხორციელდა. მაგრამ მის რუსთველოლოგიურ შრომებში მოიპოვება პოემის ცალკეული ადგილების შანიძისეული ცოდნითა და მახვილგონიერებით აღბეჭდილი გაგების ბევრი მაგალითი.

ვახტანგისეული ლექსიკონის შესახებ ა. შანიძე მაღალი წარმოდგენისაა — „საერთოდ ლექსიკონი კარგია და თავის დროისათვის ჩანებულიცო“ (ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, გვ. 367), მაგრამ იმასაც ურთავს, რომ: „რა თქმა უნდა, ვახტანგის ლექსიკონში მოიპოვება სუსტი ადგილები და ზოგჯერ გაუგებრობანი და შეცდომებიც“ (იქვე). საილუსტრაციოდ ერთს განსაკუთრებით საყურადღებო მაგალითს დავიმოწმებთ. დიდებულების თანხმობით როსტევანმა დალოცა და მეფედ დასვა თავისი ასული თინათინი. თავმდაბალი თინათინი მორცხვობდა, თავს არ თელიდა მეფობის ღირსად. ტიროდა და ცრემლებს აფრქვევდა როსტევანი შეეცადა დაემშვიდებინა და დაეწყნარებინა საყვარელი ასული. ასეთია ცხოვრების წესი — ყოველ ძაძას ცვლის მისი შვილი; „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (47,3). სიტყვას ყოველი ხელნაწერებში აქვს ვარიანტი — „ყოვლისა“ და „ყოველთა“[3]. ვახტანგის გამოცემაში დაბეჭდილია „ყოვლისა“, მაგრამ თარგმანშია „ყოველთა“, რომელსაც ახლავს საგანგებო კომენტარი: „მამა ყოველთა ღმერთია... და ძე ქრისტედ უბნობს, ის ითავსებს“. როგორც ცნობილია ვახტანგი ვეფხისტყაოსანს ალეგორიული შინაარსის მქონე საღვთო წაწარმოებად თელიდა და ამის კვალობაზე განმარტავდა მის ტექსტს, თუმცა საგანგებოდ შენიშნავდა: „თუ უნდა ესეც არ იყოს,... თარგმანი ხომ ასრე სჯობსო“. აკაკი შანიძისათვის აშკარა იყო, რომ საანალიზო შაირის ნათელი, ბუნებრივი შინაარსი ვახტანგმა ნაძალადევად განმარტა, ამიტომ იგი არ მოერიდა სწავლულ მეფეს და გადაჭრით დაასკვნა: „აქ, რა თქმა უნდა, არც მამაღმერთზეა საუბარი და არც ძე—ღმერთზე (ე. ი. ქრისტეზე), როგორც ამას ვახტანგი ფიქრობს“ (აღდგენილი ვეფხისტყაოსანი, გვ. 377).

ჩემი მხრივ მინდა ამას დავძინო საერთო ხასიათის ერთი შენიშვნა.

დღეს აღარავისთვის არ არის სადავო, რომ შოთა რუსთველი ვეფხისტყაოსანში გამოხატავს ქრისტიანული აღმსარებლობის თვალსაზრისს და რომ პოემაში აღბეჭდილია საღვთო წერილის (ძველი და

---

3 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, (თბილისი, 1950), გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა.

ახალი აღთქმის) მკაფიო ნაკვალევი. მაინც ბოლო ხანებში შეინიშნება ერთგვარი გადაპარბება. ზოგიერთი მკვლევარი ბიბლიური მოტივის უშუალო ანარეკლს ხედავს იქ, სადაც საამისო ტექსტობრივი საფუძველი არ არსებობს. სანიმუშოდ გამოდგებოდა სწორედ განხილული შაირის მაგალითიც. მიუხედავად ა. შანიძის უცილობლად სწორი შეფასებისა, ვახტანგის მცდარ შეხედულებას დამცველი მაინც გაჩოუჩნდა.

ირაკლი აბაშიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად აკაკი შანიძე იყო წევრი იმ სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელიც 1960 წლ·ს შემოდგომაზე მოეწყო იერუსალიმში. ამ ექსპედიციამ მოგვიპოვა და ჩამოგვიტანა თითქოს დაკარგული ფრესკული პორტრეტი შოთა რუსთველისა იერუსალიმის ჭართველთა ჯვრის მონასტრის კედლიდან. იერუსალიმური ექსპედიციის მასალებმა გაგვირკვია ჩვენი უკვდავი მგოსანთ-მგოსნის რიგი პირველხარისხოვანი საბიოგრაფიო საკითხი. ამ ექსპედიციის შედეგებს მიუძღვნა ა. შანიძემ ორი სპეციალური წერილი რუსულ ენაზე: „В поисках исчезнувшего портрета („Вечерний Тбилиси", 22.XI.60) და „Из поездки в Иерусалим (К вопросу о портрете Ш. Руставели, „Вестник АН СССР", 1961, № 8, с. 92—94). სხვა საკითხთა განხილვასთან ერთად ამ ნარკვევებში ა. შანიძე იმ აზრს გამოთქვამს, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის საძეპო მოსახსენებელი დაწერილია XII—XIII საუკუნეთა ხელით და რომ საფიქრებელი ხდება ამ შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იდენტიფიკაცია (ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად ა. შანიძე ავტორია ამ ექსპედიციის შედეგებისადმი მიძღვნილი საანგარიშო წერილისა).

ჭეშმარიტად, აკაკი შანიძე რუსთველის დიდი მკვლევარია, ვეფხისტყაოსნის ენის მესაიდუმლე და პოემის ტექსტის ჩინებული დამდგენი.

1987

ვეფხისტყაოსნის „პლასტების" დათარიღებისათვის[1]

/

პ. ინგოროყვას საყურადღებო შრომამ („რუსთველიანა", I, 1926, ტფილისი) და მის გარშემო გამართულმა პოლემიკამ[2] ახალი სიმწვავითა და ინტერესით გააღვივა საკითხი ვეფხისტყაოსნის „პლასტების"

[1] წაკითხულია მოხსენებად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1927 წ., ოქტომბრის 14-ს.

[2] პროფ. კ. კეკელიძე, რუსთველიანა „მნათობი" 1927, № 2; პ. ინგოროყვა, რუსთველიანაზე პროფ. კ. კეკელიძის წერილის გამო, „მნათობი", 1972, № 3, 4.

დროის შესახებ (ტერმინი ბ. ინგოროყვას ეკუთვნის). პ. ინგოროყვა ისე შორს მიდის, რომ მთელი ვეფხისტყაოსნის პრობლემის გადაჭრას ამ გზით აპირებს. მისი შრომის ერთ უცილობელ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მსჯელობაში ერთგვარი მწყობრი, ლოგიკური თანმიმდევრობა. მკვლევრის კონცეფცია აგებულია „პლასტების" დათარიღების საკითხზე. მთელ პოემას (გაგრძელება ჩანართებითურთ) ის ჰყოფს სამ ძირითად „პლასტად" (გვ. 19). უკანასკნელი (მესამე) პლასტი. მისი აზრით, დაწერილა არა უგვიანეს XV ს. პირველ ნახევრისა (გვ. 25). ბე ორე პლასტი (იგულისხმება 1. ამბავი ინდო-ხატაელთა, 2. ამბავი ხვარაზმელთა, 3. ამბავი ვეფხისტყაოსნის გმირთა სიკვდილისა) სამ სხვაღასხვა ავტორს ეკუთვნის (გვ. 32), აქედან „ინდო-ხატაელთა ამბავი" შექმნილა ცოტა მეტნაკლებობით XIV ს. ნახევარში (გვ. 37).

რაც შეეხება მეორე პლასტის დანარჩენ ამბებს, „ისინი დაწერილია XIV ს. ნახევრის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს XV ს. დასაწყისისა" (გვ. 37). ასეთი დასკვნის მისაღებად პ. ინგოროყვა შემდეგი ლოგიკური მოსაზრებიდან გამოდის: „რაკი ყველაზე უგვიანესი (მესამე) პლასტის ვეფხისტყაოსანში ჩართვა XV ს. პირველ ნახევრიდან დაწყებულა, ცხადია, უფრო ძველი მეორე პლასტის დამატებანი ამაზე ადრე უნდა შეედგინათ, ყოველ შემთხვევაში XIV საუკუნიდან ვიდრე XV ს. პირველ ნახევრამდე. — ეს სრულიად ცხადი დებულებაა"[3]. პირველი პლასტის შესახებაც ასეთივე ლოღიკური მსჯელობაა: „რაკი მეორე პლასტი არის მხოლოდ შემდეგი დროის გაგრძელება ვახტანგისეული ტექსტისა, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგის ტექსტი XIV ს. ნახევარზე უფრო ძველია (გვ. 42). — და ასე თანდათანობით მკვლევარი ჩადის თამარის ეპოქამდე. ძირითადი ინტერესი მსჯელობის წინამძღვრებშია.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მეორე „პლასტის" მეორე დამატება ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავი", ან სრული სათაურით: „აქა ტარიელის დასნეულება და ხუარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსული ინდოეთს"[4].

ეს დამატება ყველა დანარჩენზედ მოზრდილიცაა და საინტერესო თავისი ბიბლიოგრაფიული ცნობებით.

ამბავს წამძღვარებული აქვს შემდეგი წინასიტყვაობა:

---

[3] მნათობი 1927, № 3, გვ. 210; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. ინგოროყვამ ამ შემთხვევაში დათარიღება თავის წიგნის მიმართ ნახევარი საუკუნით უკან დასწია.

[4] ვე ხისტყაოსანი ს. კაკაბაძის რედაქციით, 1913 წ., გამოცემა, ხანები 1611—1720; ჩვენ ქვემოთ ყველგან ციტატებს ამ გამოცემით ვუჩვენებთ (რადგან უკეთესი გამოცემა არ არსებობს). ხელნაწერთა განსხვაებულ წაკითხვებს ცალკე გაეცნობით ხაზს.

„ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხუარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,
ძნელია პოვნა, გული პკრთა, დავვარდი, დაველონეთა,
და კელავე ვთქუ: ლექსი გავმართე, მოსმენით გაიგონეთა.

აწ, გონიერნო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,
ძუელნი ნარჩომი ამბავი ლექსად ვთქუენ, გაიხარენით!
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
და ლექსნი მიჭენით, ამისთუის ენანი მამაჭმარენით.

ამბავი ანალოგიური ბიბლიოგრაფიული მინაწერით წყდება

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის[ს] ლექსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგვი თმოგუელთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად.
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
და მან მიბრძანა ლექსად თქუიო. მშეერ ქართულად, დაუშრობლად".

ამ ბიბლიოგრაფიულ მინაწერთა მიხედვით, ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ვეფხისტყაოსანი დაუწერია სარგიս თმოგველს, ხოლო პოემა დაუმთავრებელი დარჩენიაო. ის უპოვნია შოთა რუსთველს თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ, და 1405—1412 წლებში დაუსრულებია კიდეცო"[6].

უკანასკნელად ს. კაკაბაძე, იმ აზრს დაადგა, რომ სარგის თმოგველი პროზაული „ვეფხისტყაოსნისა" და „დილარგეთიანის" ავტორია. მას თხზულება დარჩენია თმოგველთაგან თმოგვის მიტოვების დროს, უფლისწულ დემნას 1177 წლის აჯანყების შემდეგო[7].

საერთოდ ს. კაკაბაძე მოყვანილ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს მთელ პოემას უკავშირებს, ამიტომაც უცნობი ავტორის ბოლოსიტყვაობა თავის უკანასკნელ გამოცემაში სრულიად უადგილოდ მიაკერა ვახტანგისეული რედაქციის ტექსტს.

დავით კარიჭაშვილი კითხვას სვამდა: „ვინ უნდა იყვეს ეს სარგის, რომელსაც დარჩენია გაულექსავი ტარიელისა და ნესტან დარეჯანის ინდოეთს დაბრუნების შემდეგ მომხდარი ამბები?" და ასეთ პასუხს იძლეოდა: „ის უნდა იყვეს ან თვით „ვეფხისტყაოსნის" ავტორი, ან ის, ვინც „ვეფხისტყაოსანს" ჩაუმატა 40-მდე ტაეპი ტარიელისა და

---

5 ამ რიგით დაუცავს ეს ხანები უმრავლეს ხელნაწერებს. ს. კაკაბაძის გამოცემით: იხ. ხანები 1611[1], 1611.

6 ვეფხისტყაოსნის 1913 წლის გამოცემის წინასიტყვაობა გვ. 39, 40, 50 და სხვა; აგრეთვე მისივე წერილი „საისტორიო მოამბეში" 1924, 1.137—მხოლოდ ამ შემთხვევაში შოთას პოემას 1320—1325 წლებს მიაკუთვნებს (საისტ. მოამბე, I, გვ. 156).

7 „ვეფხისტყაოსანი" ს. კაკაბაძის რედაქტორობით. მეორე გამოცემა, ტფილისი 1927, გვ. XLIV—XLV .

ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნების და გახელმწიფების აღწერილობით. ამაზე დაწვრილებით კვლავ გვექნება მსჯელობა[8].

აღძრული საკითხის გამო პ. ინგოროყვა კი თავის მხრივ ასკვნის: „1. ან სარგის თმოგველი არის ავტორი მთელი ვეფხის-ტყაოსნისა; 2. ან სარგის თმოგველი არის ავტორი არა მთელი ვეფხის-ტყაოსნისა, არამედ მხოლოდ პირველი დამატებისა, ინდო-ხატაელთა ამბისა, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ამ მეორე დამატებას"[9]. როდესაც კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ ზემორე მოყვანილი ბიბლიოგრაფიული ცნობა გარკვეულად ხვარაზმელთა ამბავს გულისხმობს და არა მთელ ვეფხისტყაოსანს ანდა ინდო-ხატაელთა ამბავს[10], მაშინ პ. ინგოროყვამ მესამე შესაძლებლობაც (ჩვენის აზრით ყველაზე სწორი) იცნო. ის წერს: „კ. კეკელიძე სრულებით მართალია, როცა ამბობს, რომ ეს მეორე ეპიზოდი „ხვარაზმთა ამბავი" თავდაპირველად პროზაულად იყო ნაწერიო; მაგრამ ეს განა ეწინააღმდეგება ჩვენს თეორიას? სრულებით არა, პირიქით ჩვენი თეორია ამ მოსაზრებას თავისთავად იგულისხმებს"[11].

ამჟამად საინტერესო არაა იმისი მტკიცება, გულისხმობს თუ არა მესამე შესაძლებლობას „რუსთველიანაში" წარმოდგენილი ორი გაკვეული დებულება. ჩვენთვის უფრო ისაა საყურადღებო, რომ მკვლევარნი შეთანხმდნენ შემდეგში: ხვარაზმელთა ამბავს საფუძვლად დასდებია პროზაული თხრობა. როდესაც ამ დებულებიდან გამოვალთ, ამაში გასაგებიც იქნება ის ლექსიკური რეალიები, რომლებიც პ. ინგოროყვას სამართლიანად აფიქრებდა (რუსთ. გვ. 30—31). მაგრამ ჯერ თარიღის საკითხზე შევჩერდეთ.

პ. ინგოროყვა თავისი პირველი ორი დებულების მიხედვით ასკვნის, რომ სარგის თმოგველი ავტორია პირველი დამატებისა (ინდო. ხატაელთა ეპიზოდისა). გალექსვა უნდა მომხდარიყო სანამ თმოგველები თმოგვს დატოვებდნენ, რაც 1360 წ. ახლო მომხდარა[12]. მაშასადამე, ამ დროისთვის პირველი დამატებაც უკვე შექმნილია. მეორე დამატება კი (ხვარაზმელთა ეპიზოდი) შემდეგი დროის ნაყოფია. მაგრამ „არა უგვიანეს XV ს. დასაწყისისა"[13]. ასეთი ლოგიკური აღნაგობა ბუნებრივად დაირღვევა, თუ ვიგულისხმებთ, რომ სარგის თმოგველს

---

8 ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, „განათლება" 1913 წ. VI, 418, შენიშვნა. აქვე უნდა დავსძინო, რომ, რამდენადაც ვიცით, განსვენებული მკვლევარი ამ საკითხს კვლავ აღარ დაჰბრუნებია.

9 რუსთ. გვ. 33.

10 „მნათობი", № 2, გვ. 187.

11 იქვე, № 3, გვ. 212.

12 რუსთველიანა, გვ. 36.

13 იქვე, 37.

გალექსილი ინდო-ხატაელთა ამბავი კი არ დაჰრჩენია, არამედ შეუწყობელი ხვარაზმელთა ეპიზოდი. და რომ ბიბლიოგრაფიულ ცნობაში გარკვეულად გაულექსავი პროზაული ამბავი იგულისხმება, ამაში, სხვათა შორის, მამუკა მდივნის ფრიად საყურადღებო ანალოგია გვარწმუნებს. მამუკა თავისი „ზააქიანის“ შესავალში ამბობს;

> -გეხვეწები გონიერთა, ვინც არა ხართ თვისა მკვლელი.
> ამას ყური მოუპყარით. — ბრძენი იყოთ, ანუ ხელი:
> საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველი.
> და თუმც იცოდეს ჩემგან უკეთ, რად არ მიჰყო ერთმან ნელი?[14]

დიდი მახვილგონიერება არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ მამუკა მდივანი ამ შემთხვევაში ჰბაძავს და პირდაპირ იმეორებს ჩვენი ეპიზოდის ბიბლიოგრაფიულ მოწმობას:

> აწ, გონიერნო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,
> ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ჴოქვენ, გაიხარენით!
> სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
> და ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამაჴმარენით.

საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში ითქვას: „ეს ამბავი“, ე. ი. „ცალკე ეპიზოდი“[15], როგორც ამას პ. ინგოროყვა ჩადის, აღორძინების პერიოდის მწერლობაში ტერმინი „ამბავი“, თავისი ბირითადი მნიშვნელობის გარდა, სისტემატურად იხმარება პროზაული თხრობის აღსანიშნავად.

დღეს უკვე საკმაოდ ცნობილია, რომ მამუკა მდივანი გარკვეულად პროზაულ ტექსტს გულისხმობს, როცა იგი უცნობი მელექსის სიტყვებით მიმართავს გონიერთ, ყური მიუპყრან მის მიერვე გალექსილ ძველ ნარჩომ ამბავს. მამუკა მდივნის ანალოგია სხვა მხრივაც არის საყურადღებო, მამუკა ვერ მალავს, რომ ის სწორედ ხვარაზმელთა ამბის (ე. ი. პროზაული თხრობის) გამლექსავსაა დასესხებული. ზევით მოყვანილი ხანის შემდეგ პოეტი განაგრძობს:

> ვერ შეემართა შავთელსა და ვერცა სერგის თმოგველსა,
> ვერცა მანუჩარს მწერალსა.

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გამომცემელი ი. აბულაძე ფიქრობდა, რომ ამ სარგის თმოგველში უნდა ის სარგისი ვიგულისხმოთ, რომელსაც „ვისრამიანის“ მთარგმნელობა მიეწერებაო[16], ჩვენ კი ახლა

---

14 „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 3.

15 რუსთველიანა, გვ. 34.

16 დასახელებული წიგნი, გვ. 4, შენ. 2.

უფლება გვეძლევა აქ ხვარაზმელთა ეპიზოდის ბიბლიოგრაფიული მოწმობის სარგის თმოგველი დავინახოთ, მით უმეტეს, რომ სარგისის შემდეგ ვეფხისტყაოსნის ცნობილი გამგრძელებელი მანუჩარ მწერალი იხსენიება.

მაგრამ როდისღა უნდა გალექსილიყო საცილობელი ამბავი?

ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ხვარაზმელთა ამბის გალექსვა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ. რაც აღორძინების პერიოდში ქართულად ჩამოყალიბდა „შაჰ-ნამეს" ვერსიები.

„შაჰ-ნამე" უშესანიშნავესი ნაწარმოებია და არა მარტო სპარსული მწერლობისთვის. ამ ფხზულებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩვენი აღორძინების პერიოდის ლიტერატურის გამოფხიზლებისა და განაყოფიერების საქმეში. დასახელებულ პერიოდში იმთავითვე ქართულად ჩამოყალიბდა (თუმცა არა სრულად) ეს უზარმაზარი ეპოპეა ნაწილობრივ პროზაღ. ნაწილობრივ ლექსად. მთელი მომდევნო მწერლობის ერთი წყება ამ თხზულების პროზაული ვერსიების გალექსვას ემსახურება: „ზააქიანი", „საამიანი", უცნობი ავტორის „უთრუთიანი" ვერსიერობით ვერას ვიტყვით საკუთრივ „როსტომიანის" შესახებ. საფიქრებელი ხდება, რომ ის, ნაწილობრივ მაინც, უშუალოდ სპარსული ორიგინალიდან უნდა მომდინარეობდეს. მეორე წყება კი, რომელიც არათუ უშუალოდ ამ ძეგლზედ არ მუშაობს, არამედ საკუთრივ ორიგინალურ გზებს იძიებს ჩვენს მწერლობაში, მაინც მისი უდიდესი გავლენის ქვეშ არის მოქცეული. ამის საუკეთესო მაგალითია „ომაინიანი" და ვრცელი კომპილატური ზღაპრების კრებული „რუსუდანიანი", უკანასკნელი პირდაპირ „შაჰ-ნამეს" უხეირო პერიფრაზს იძლევა[17]. ამ გავლენისაგან ვერ განთავისუფლებულან ისეთი ძეგლებიც კი, რომლებიც ჩვენში სულ სხვა გზებით შემოდიოდნენ. სანიმუშოდ დავასახელებ „ალექსანდრიანს".

„შაჰ-ნამეს" ვერსიები ლიტერატურულის, თუ ზეპირსიტყვაობის გზით (თავის მხრით ზეპირსიტყვაობა ლიტერატურულზეა დამოკიდებული) არაჩვეულებრივის სიყვარულით და იდეალიზაციით შემოიჭრა ჩვენი ხალხის სინამდვილეში; ამიტომაც ის გატაცებით იკითხებოდა, იწერებოდა ახალი ნუსხები, ვრცელდებოდა. ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ერთი უორიგინალესი პოეტი არჩილი:

ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე სამისა-ო[18].

ქართველი ხალხი „შაჰ-ნამე"-ში წარსულის ეროვნულ-გმირულ

---

17 ალ. ბარამიძე, რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები „ტფ. უნივერ. მოამბე" VIII, 314.

18 სიძვ. მუზეუმი, წ.-კ.-ის ფონდი № 424. გვ. 462.

იდეალიზაციას ხედავდა. ამ მხრივ დიდად დამახასიათებელია ერთი ძველი მწიგნობრის ტირადა „შაჰ-ნამეს“ გამო: „მი მკითხველნო!..

ჰპოოთმცა ამას შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება ძველთა ქართველთა: და გმირულნი მოთხრობანი, რომლითაცა ძველნი ქართველნი შთამომავლობათა ანდაზად დაუდებდიან, და ამით მათ შორის სიმხნესა და ახოვანსა სულსა განაღვიძებდიან[19].

„შაჰ-ნამეს“ უზარმაზარი პოპულარიზაციით უნდა აიხსნას, რომ ქართულად მისი სამი, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, რედაქცია შექმნილა. ამიტომ მოსალოდნელი და ბუნებრივიც არის ვეფხისტყაოსნის პლასტებში „შაჰ-ნამეს“ კვალი. კონკრეტულად ეს შემდეგში გამოიხატება: ჯერ ერთი, ხსენებული პლასტების ტექსტში ჩვენ ვხვდებით „შაჰ-ნამეს“ გმირების შედარებას:

თუ ნახავთ მისთა ნაკრავთა საამ-როსტომ გეგონების (ქაკ. 1631).

საყურადღებოა, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ძირითად ნაწილში „შაჰ-ნამეს“ გმირებიდან მხოლოდ როსტომ არის ნახსენები და ისიც ერთხელ:

ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ უგრძესითა[20].

ჩანართებში კი სხვებსაც ვხვდებით. ასე მაგალითად:

გმირნი საამ, ზაალ, როსტომ, აიოზ(?) და სალიმ, თურა (ქაკ. 43[1])

„შაჰნამეს“ გავლენითაა შემდეგი ტაეპიც:

უაჭაოდ არ დავდგები, ერანს ვარ თუ ზაულისტანს (ქაკ. 894[1]).

ხვარაზმელთა ეპიზოდის მეორე კარი ასეთი სათაურითაა: „აქა ოძი სუარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა“, განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ახალი ხალხის, თურქების, მოხსენიება. თითქოს სრულიად მოსალოდნელი არ იყო ეს ჩვენი თხრობის შინაარსით. ხვარაზმელთ ებრძვის ტარიელისა (ინდოეთისა), ავთანდილისა (არაბეთისა) და ფრიდონის (მულღანზარზარის) შეერთებული ჯარები. თურქებს არაფერი საერთო არ აქვთ არც ერთ და არც მეორე მხარესთან. ჩვენი თხრობიდან ისე ჩანს, რომ თურქთა მეფობა ფრიდონს მიეკუთვნება. ავთანდილი და ფრიდონი რომ გაემართნენ სენისაგან დაუძლურებული ტარიელის დასახმარებლად ხვარაზმთა წინააღმდეგ, ეს ამბავი ასეა გადმოცემული შემდეგ ხანაში:

---

19 ე. თაყაიშვილი, Опис. рук. I, 360.

20 „ვეფხისტყაოსანი“ ი. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი 1926, ხანა 137.

ოცდა ათსა დღესა შიგან ორნივე სწორად გაემართნეს.
არაბთა და თურქთ მეფესა პირი მზეებრ ეწაღმართნეს,
მუნ დროშანი ვერ დავთვალენ, რომე იმათ აემართნეს,
და ვით დაწყეროთ, თუ ხვარაზმშას რა საქმენი დამართნეს[21].

თურქების თხრობის ასპარეზზე გამოყვანა და, მით უმეტეს, ფრიდონის კონკრეტულად მათ მეფედ გამოცხადება სრულიად არ შეესაბამება „ვეფხის-ტყაოსნის“ სინამდვილეს. ცხადია, აქ საქმე გვაქვს რაღაც გარეშე ლიტერატურულ გავლენასთან. მიორეს მხრით, ისიც ცხადია ყველა იმათთვის, ვინც ოდნავ მაინც „შაჰ-ნამეს“ ეპოპეას გასცნობია, რომ ჩვენს ეპიზოდში სწორედ ამ ეპოპეის ნებსითი თუ უნებლიეთი გავლენის ნაკადი შემოჭრილა. მეტად ცნობილი ამბავია, რომ თურქნი „ღლეელი წიგნის“ (სერაპიონ საბაშვილის მოსწრებული გამოთქმით) განჯურელი ატრიბუტია.

რასაკვირველია, აქ შეიძლება კითხვა მხოლოდ ამ მიმართულებით დაისვას: „შაჰ-ნამეს“ ლიტერატურული გავლენა ქართულსა თუ უშუალოდ სპარსულ ნიადაგზეა მოსალოდნელი. ჩვენი მტკიცებაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ ქართულ ნიადაგთან გვაქვს. აი, ამის საბუთებიც:

ხვარაზმელთა ეპიზოდში გვხვდება „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ერთი სპეციალური, ფრიად დამახასიათებელი ფრაზა, რომელიც საკითხს ნათელსა ჰფენს. სახელდობრ:

ჰკარ-მოკალ შეიპყარ-ისა ჴმა თჳთ მრავალთაგან გაორდა[22].

ამის პარალელური ფრაზაა „შაჰნამეთი“:

ლაშტთა სცემდეს, იზახდეს, ჰკარ, მოკალ, შეიპყარ!თ[23].

მოყვანილი ადგილის შესატყვისად სპარსულ ტექსტში[24] იკითხება შემდეგი:

ბეანდახთ სე ჯაი სე ჩუბე თირ
ბარ ამად ხურუშიდანე დარ ო გირ.[25]

უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული თარგმანი დასახელებულ ადგილას ტექსტუალურად არ იმეორებს სპარსულს და

---

[21] ეს ხანა ამოღებული მაქვს წ. კ. საზ. ფონდის № 2829 ხელნაწერიდან, რომელიც თითქოს ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემას საფუძვლად დასდებია, მაგრამ რომლის მიმართაც გამომცემელი ყოველ ხანაშიც-კი საშინლად ცოდავს. ეს ხანაც (1943), მაგალითად, იქ სრულიად უცხო სახეს ატარებს.

[22] კაკაბაძე, 1658,3. ოღონდ გამოცემაში შეცდომით არის: კარ.

[23] „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები,. 1947$_2$ აქაც გამოცემის „მოჰკალ“-ს ვასწორებთ: მოკალ. იხ. აგრ. 1924$_4$.

[24] აქვე უნდა შევნიშნო, რომ ქართული „როსტომიანი“ მთლიანად ზედმიწევნითი სისწორით. ოღონდ შემოკლებულად. იმეორებს სპარსულ ორიგინალს.

[25] შაჰნამე Joannes August Vullers-ის გამოცემა I,269$_{430}$; შდრ. აგრ. იქვე. 3ი3$_{65}$.

მოყვანილი ორი მაგალითი, თუმცა საერთო ამბავშია, მაგრამ არაა ტაეპოვანი შესატყვისობით მოცემულია[26].

სამაგიეროდ გვაქვს შემთხვევები, როცა სწორედ ტაეპოვანი შესატყვისობაც უაღრესობამდეა დაცული. ასე მაგ.

შემოსძახდეს: „შეკარ-მოკალ“ „შეიპყარ“-ის ჴმაცა იყო[27].
რაც უდრის:

დარახშიდანე თიღო ბარანე თირ
ხურუშე ჲალან ბე დეჰო დარო გირ.[28]

არის შემთხვევა, როცა სპარსულში სხვაგვარი გამოთქმა ვეხვდებაა იმავე აზრის გამოსახატავად, როგორც მაგ:

დეჰადეჰ ბარამად ზე ჰარ დო სეფაჰ[29]

ეს ქართულშიც აღბეჭდილა:

ლაშქარშიგ: „შეკარ, შეიპყარ“ ჴმა შექმნეს, იყო ომიაჲ[30].

ჩვენთვის ახლა განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ პარალელურად მოყვანილი ქართულ-სპარსული ფრაზები თუმცა არსებითაღ ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ, მაგრამ სრული იგივეობა მაინც აო არის დაცული, ნიუანსებში და ცალკე სიტყვებშიც ქართული შორდება თავის ორიგინალს. ხვარაზმელთა ეპიზოდს კი საყურადღებო ფრაზა იმ სახით დაუცავს, როგორც ეს „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიას შემოუნახავს. აქედან დასკვნაც თავისთავად ცხადია.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს სხვა პარალელური მაგალითებიც „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიასა და ხვარაზმელთა ეპიზოდიდან, ასე მაგ.:

ცისკრად კრეს ჭოსთა, დაბდაბთა, ორთა ჭიშვართა მეუეთა

(ქაკ. 1630).

გახაზული გამოთქმის ხმარება, რასაკვირველია, „შაჰ-ნამეს“ გავლენით ადვილი ასახსნელია. „ჭიშვარი“ თუ „ჭიშვარდი“ სპარსულად

---

26 შდრ. ხანა 1924 = Vullers-ის გამოცემის, I. 256—257 გვერდს; 1947 = 266.67.

27 წ. კ. ხელნ. № 428 გვ. 846 („შაჰნამეს“ ქართული ვერსიის გამოუცემელი ნაწილიდან).

28 Vullers. III. 1561_{1140}; აგრ. იხ. ქართ. ვერსიით წ. კ. ხელ. № 428-გვ. 464 = Vullers-ის II_{1215}; III, 1510_{750} = № 422 გვ. 720. ეს სტერეოტიპული ფრაზა გახვედება შაჰნამეს“ პროზაულ ვერსიაშიც (იხ. ს. ს. ს. ხელნ. № 921 გვ. 124 b).

29 Vullers. III. 1484_{720}.

30 წ. კ. № 428, გვ. 804.

კარგად ცნობილი ტერმინია — „ქეშვარ“. ის სისტემატურად იხმარება „შაჰ-ნამეს“, როგორც სპარსულ, ისე ქართულ ვერსიაში, მაგრამ რაც უფრო საყურადღებოა, ქართულში ეს ტერმინი უცვლელად სპარსულივე გამოთქმით გადმოდის. მოვიყვანოთ ასეთი ფრაზა — არჯასპ (თურანთა მეფე) ამბობს გოსტასაბის (ერანთა მეფის) მისამართით: „მის ქ ი შ ვ ა რ შ ი მეომარი კაცი არავინ არიან“[31], რაც ზუსტი თარგმანია შემდეგი სიტყვებისა:

საvარი ნე ანდარ ჰამე ქეშვარაშ[32].

ქიშვარ ტერმინი „შაჰ-ნამეს ქართულ ვერსიაში იმდენად მიღებული და გაბატონებულია, რომ ხშირად იხმარება მაშინ, როცა დედნის ამის საჭიროება არ ჩანს. ასე მაგ. როსტომი სწერს ქაიხოსროს: „შვიდთა ქიშვარდთა ლაშქარი აქათით დაეკარგენითა“[33].

დედანში არაფერი მაგისი მსგავსი არაა, თუმცა როსტომის წერილი საერთოდ ზედმიწევნილი სისწორითაა გადმოცემული ქართულ თარგმანში[34]. ან კიდევ გმირი გოდერძი მოახსენებს იმავე როსტომს:

„შენი ერთი მარტო თავი ასს ქ ი შ ვ ა დ ს ა უფრო არი[35].

ეს ფრაზაც ქართველი მელექსის წვლილია და სპარსული დედნისთვის უცნობი[36].

დამახასიათებელია ასეთი დეტალიც:

იქი დგას მეფე ხუარაზმთა მფლობელი ლ ა შ ქ ა რ თ ზ ე მ ი ს ა (ქაჯ. 1628ე).

„ლაშქართ ზემი“ ნიშნავს — „დამკვრელი ლაშქარი“ ან „მფრენელი ლაშქარი“ („შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიის გამოთქმით). ჩვენს ვერსიებში გვხვდება ეს ტერმინიც. მაგ. საამის მოხსენებიდან:

„რა ის მოვჰკალ, მას უკანით ი ა ქ ზ ა მ ი საამ მრჭუიან[37].

---

[31] წ. კ. № 428, გვ. 842.

[32] Vullers, III, 1552_{985}.

[33] წ. კ. № 428, გვ. 517.

[34] შდრ. Vullers, II, 1010—1013.

[35] წ. კ. № 428, გვ. 522.

[36] შდრ. Vullers-ი II, 1024—1026; აქვე მინდა შევნიშნო, რომ აკად. ნიკ. მ ა რ ი ს მართებული დასკვნით, კლასიკურ პერიოდში ეს ტერმინი (ქიშვარი) ჩვენში უცნობი უნდა ყოფილიყო და „ვისრამიანის“ მთარგმნელი მას სისტემატურად გაურბის (შდრ. Из Грузино-персидских литературных связей: Записки Коллегии Востоковедов, Ленинград, 1925, I, 124):

[37] „ვერსიები“, 1614, — ეს ადგილი ი. ა ბ უ ლ ა ძ ეს განმარტებული არ აქვს, სპარსულ ტექსტში შესაფერ ადგილას იკითხება: მარა სამ მაქ ზახმ... (Vullers, I,

სწევენ, თარეშობენ და ჰგოცენ" (ვერსიები 1920_3) — ჰოცენ... სწევენ და აოხრებენ (კაკ. 1666_4).

შუბის ნალეწი ეყარა (იქვე, 1504_1—„გორად ძეს შუბთა ნალეწი (იქვე, 1685_4).

მიწა სისხლსა შეეღება, ჰგავს სულა გაწითლებელა (იქვე, 1948_4) — გაჯდეს ინდოთა მინდორნი სისხლითა გაწითლებულნი (იქვე, 1633_3). თავი ეყარა შორი შორს, სისხლისა რუ მიდიოდა (იქვე, 2401_1) — მათ მძინარეთა გარეთ ქნეს სისხლი რუდ მინაწდომითა (იქვე, 1680_3).

ფუტკართა რემა („შაჰ ნამეს" პროზაული ვერსია, საისტ და საეთნ. საზ. ხელნ. № 921, გვ. 124 b) — ფუტკართა რემა (კაკ. 1628_3); რა საკვირველია შაჰნამისებურია ისეთი გამოთქმები, როგორც: „ორთავე რაზმი გასწორდა" (კაკ. 1658_1) „მუქარის მთხოვი" (1671_2) „უზენაროდ მიეპყრნენ" (1637_2)[38].

დასასრულ, ბრძოლის აღწერილობა (კაკ. 1685—1688) „შაჰ-ნამეს" დაუსრულებელ ანალოგიურ სურათებს გიშლით თვალთწინ.

წარმოებული ექსკურსი უეჭველს ჰყოფს, რომ „ხვარაზმთა ამბა-

196_{1205}). ქართულში სიტყვა სიტყვით გადმოცემულია ორიგინალი, კიდევ მეტი: მთარგმნელს ეპიტეტი ააქ ზახმ უთარგმნელად დაუტოვებია და ისევე გადმოუღია ქართულად. მნიშვნელობით იაქ ზემი (ააქ ზახმ) იქნება ერთი დაკვრა. „შაჰ-ნამეს" ცნობილ გერმანელ მთარგმნელს, რ ი უ კ ე რ ტ ს, ეს ტაეპი ასე აქვს გადმოცემული: Sie namen mich Sam von E i n e m S c h l a g (Firdosis Königsbuch. Uber setzt von Friedrich Rückert. Berlin 1890, s. 193_{1203}). ფრანგული თარგმანით: Jl m'appelérent de la Sam qui ne donne qu'un coup" (Jules Mohl „Le livre des rois", სპარსულ-ფრანგული გამოცემა, გვ 313).

შესაძლებელია ხვარაზმელთა ამბის „ზემი" მიღებული იყვეს არა „ზახმ"-ისგან, არამედ ზადან (= დარტყმა, გარტყმა), მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა „ზენ" ან „ზან".

ამის მშვენიერი მაგალითიც გვაქვს „შაჰ-ნამეში". ასე მაგ. ერთ შემთხვევაში როცა ჩამოთვლილია ერანელი გმირები, იქ, სხვათაშორის, მოხსენებულია ყარანე რაზმზან (Vullers, 1.250_{105}). ქართულშიც, შესაფერ ადგილას, პირდაპირ გადმოღებულია ეს ეპითეტი უთარგმნელად რ ა ზ მ ა ზ ა ნ ი ყ ა რ ა ნ (1895_4); სხვა ადგილას ქართველი მელექსე შესატყვის ქართულ ცნებასაც ხმარობს: ყ ა რ ა ნ რ ა ზ მ ი ს ა მ ფ რ ე ნ წ ე ლ მ ა ნ (1931_1), მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს მელექსეს ეს გარემოება სრულიად დაჰვიწყნია და „რაზმან" ცალკე გმირის სახელად მიუღია, რომელსაც ყარანისაგან განასხვავებს: „რ ა ზ მ ა ნ და ყ ა რ ა ნ მას წინა მაღლადრე იარებოდეს" (2049_4; შდრ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემაში „საკუთარ სახელთა საჩიებელი" რაზმაზანის ქვეშ).

„შაჰ-ნამეში" გვხვდება ასეთი ფრაზაც: „იყო ზ ა მ ი და ზრიალი" (2401_3)

[38] ზენაარი, უზენარო — ჩვეულებრივად იხმარება „ვეფხისტყაოსნის" ძირითად ტექსტშიც.

ვი“ გალექსილია მას შემდეგ, რაც „შაჰ-ნამეს“ ვერსიები ჩამოყალიბდა ქართულად[39].

ჩვენს მეცნიერებაში მიღებული საერთო აზრით, „შაჰ-ნამეს“ პროზაული ვერსია გადმოუღიათ XVI ს. პირველ წლებში[40], მაგრამ არა უგვიანეს ამავე საუკუნის პირველი ნახევრისა[41]. სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი, რომლის გავლენაც ხვარაზმელთა ამბის გამლექსავს განუცდია, ამავე პერიოდის, ე. ი. XVI საუკუნის, პირველი ნახევრის მოღვაწეა[42]. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ხვარაზმელთა ამბავი XVI ს. პირველ ნახევრამდე მაინც ვერ შეიქმნებოდა[43]. ამით კი საფუძველი ეცლება პ. ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის კონცეფციას, საერთოდ, და „პლასტების“ დათარიღების საკითხს, კერძოდ, მეორის

---

39 რაც შეეხება ამ ამბის ლექსიკურ რეალებს, მათი ახსნა სპარსულ ნიადაგზე ხდება შესაძლებელი. მოვიყვანოთ დამახასიათებელი მაგალითები! „საქმე ყოველი ზ ა ბ უ ნ ქ უ შ ი, ვაიმე, დიდი აუგია“ (ქაქ. 1622$_4$). ზაბუნ= ძაბუნი, სუსტი: ქუში არის ძირი (ქუშიდან) ზმნისა (ცდილობა, ძალღონის ხმარება), ან= (ქეშიდან), ზაბუნი ქაშიდან დაძაბუნება (ვნებ.).

წინ მოეგებნენ ინდონი...

მალითა ტაიჭებითა, გულმედგრად სარაკებითა.

პილოთა მეომრებითა, ჩ ა რ ხ-ნ ა ვ ა ქ ზანდუკებითა (1629).

ნავაქ (ნოვქ, ნაქ) — ნისკარტი, ფხა, ხმლის პირი; ჩარხი — (ჩარხ.)— ჩარხი (სალესი); ჩარხ-ნავაქ — გალესილი, გაფხაებული ხმალი, შეიძლება ასეთი ახსნაც „ჩარხ“ — ჩარხი, წუთისოფელი (ცხოვრების ჩარხი), სწორედ ისე, როგორც ეს. სხვათა შორის „შაჰ-ნამეში“ გვხვდება: დელე ჩარხ დარ ნუქე შამშირე თოსთ (Vullers. II. 909$_{ბქ.}$) რაც ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს:

საბედარს გული შენი ხმლის ფხაზე ჰკიდია.

„მათნი ი ა ღ ნ ი ტიროდეს, ვით იცინიან რომელნი“ (1683$_4$). იაღი— მტერი, ჯანყების მომწყობი, ინსურგენტი.

„გამოდი, ჩუენ გამოგინდობთ, არ მ ი ზ დ ი კინდა ვაისა“ (707$_4$) მიზდი= სასყიდელი, გასამრჯელო.

„მას სიხარულსა ვერ დავსწერ ჴელითა კერც ჰ ა ზ ა რ ი თ ა (1717$_4$—ოღონდ ვასწორებთ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს უხეირო წაკითხვას „ჴელითა ვერცა ზარითა“, წ. კ. ს. ხელნ. № 2829 შიხედვით (რომელიც, კლავ ვიმეორებთ, კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემას საფუძვლად დასდებია). უფრო სწორია პ. ინგოროყვას წაკითხვა „აზარითა“ (რუსთ. 31)]. ჰაზარი= „ჰაზარ“, რაც გარკვეულად ათასს ნიშნავს და არა „ასის მნიშვნელობით“ არის ნახმარი, როგორც ეს პ. ინგოროყვას აქვს განმარტებული (რუსთ. გვ. 31).

40 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე. ვერსიები, გვ. XXI.

41 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 169.

42 იქვე, გვ. 178.

43 რასაკვირველია, საკითხს ვერ ჰშველის ს. კაკაბაძის ტენდენციური მტკიცება, რომ სერაპიონ საბაშვილი მე-XIV ს. (1380—1385 წლების) მოღვაწეაო (საისტორიო მოამბე, 1924, I, 162). პ. ინგოროყვასაც სერაპიონ საბაშვილი თავის მიზნისთვის დაჰპირდა და მას მე-XV საუკუნის „სამოციან და სამოცდაათიან“ წლების ისტორიულ პირს უკავშირებს ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე და „დაწკრალებითი ცნობე-

მხრით, ჩვენი დათარიღება სავსებით უდგება კ. კეკელიძის ადრინდელ ნარკვევს ამ მხრით. მეორე პლასტის პირველ დამატებაში (ინდო-ხატაელთა ეპიზოდში), როგორც ცნობილია, გვხვდება შემდეგი ადგილი.

ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულსადაგად, არა ჰრელად,
მაგრამ ექნეს[44] სულისმდებლად, ქათალიკოზ მაწყუერელად
(ასკ. 1543).

კ. კეკელიძის ინტერპრეტაციით „აქ მაწყვერელი და კათალიკოსი დაპირისპირებულნი არიან, როგორც სწორუფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები“, რასაც XVI ს. დამდეგამდე ადგილი ვერ ექნებოდა[45]. ჩვენ აღარ შევჩერდებით მესამე პლასტზედ. რომელიც პ. ინგოროყვას თეორიით, „შეუძლებელია მივაწეროთ XV ს. პირველ ნახევარზე გვიან დროს[46], მით უმეტეს, რომ ეს დათარიღება სრულიად შემთხვევითსა და ხელოვნურად შექმნილ მოსაზრებაზეა აგებული. ამ პლასტის „ერთ უძველეს დამატებაში“[47] მოხსენებულია XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე შანშე ანისელი. პ. ინგოროყვას ლოგიკით: „რაკი შანშე ფლობდა ანისს XIV ს. პირველ ნახევარში, ამიტომ ეს ლექსი შეუძლებელია მივაკუთვნოთ XV საუკ. პირველ ნახევარზე უფრო გვიან დროს“[48].

სამწუხაროდ, პატივცემული მკვლევრის ეს მოსაზრება უბრალო დეკლარაციული ხასიათის განცხადებაა და არავითარი საბუთიანობა სარჩულად არ უდევს. მართლაც, თუ გამოსავალ წერტილად შანშე ანისელს მივიღებთ, დათარიღებას რატომ მისი ცხოვრების დროიდანვე არ დავიწყებთ?[49]

1929

ბისათვის“ მკითხველს გამოუქვეყნებელ სქოლიოზე მიუთითებს (რუსთველიანა გვ. 165). როგორც კურიოზული ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ მგოსანი კ. ჰიუნაძე ეხლაც კი სერიოზულად ფიქრობს: „ვეფხის-ტყაოსნის“ პლასტები თამარის ეპოქაშია დაწერილი და საკუთრივ შოთა რუსთველის ხელით (ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხის-ტყაოსნის“ პრობლემა, ტფილისი, 1925, თავი III, ვეფხის-ტყაოსნის ვარიანტები).

44 იგულისხმება: ტარიელს და ნესტან-დარეჯანს.

45 ქართ. ლიტ. ისტ. II, 218; მნათობი № 2, გვ. 188, პ. ინგოროყვამ თავის „რუსთველიანაში“ ამ ფაქტს გვერდი აუარა, კ. კეკელიძის კრიტიკული წერილის პასუხში კი. ჩვენი აზრით, ყოველად უმართებულო ინტერპრეტაციას იძლევა (მნათობი № 3, გვ. 214—216).

46 რუსთველიანა, გვ. 25.

47 იქვე, გვ. 24.

48 რუსთველიანა, გვ. 25; მნათობი № 3, გვ. 209. ს. ყაბაძეც წარსულში ასე მსჯელობდა: XV საუკუნის შუაში და მეორე ნახევარში შანშეს მოხსენება შესადარებლად კიდევ აღვილი გასაგებია“ („ვეფხისტყაოსანი“, 1914 წ. გამოცემა, გვ. 67).

49 შდრ. კეკელიძის წერილი, მნათობი № 2. გვ. 186,

ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის რუსული ვარიანტის გამოქვეყნების გამო

(ახალი მცირე რეპლიკა)

1983 წლის „მნათობის“ X და XI ნომრებში დაიბეჭდა მწერლისა და მკვლევრის თამაზ ჭილაძის ვრცელი ნარკვევი „ვარდის ფურცლობის ნიშანი“. მომდევნო 1984 წელს იგივე ნაშრომი გამოვიდა ცალკე წიგნადაც. სწორია კრიტიკოს ჯუმბერ თითმერიას შენიშვნა: „იშვიათად, რომ ბოლო ხანებში იმდენი ხმაური გამოეწვიოს ჩვენში რომელიმე პუბლიკაციას, რამდენიც გამოიწვია თამაზ ჭილაძის ამ შრომამ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1.3.85). ჯ. თითმერიას სიტყვით, „თ. ჭილაძემ თვითონ გადაუგდო ხელთათმანი ყველა დროის მრავალ ქართველ, რუს თუ უცხოელ რუსთველოლოგს და „დუელი“ შედგა“. მართლაც, ბევრი ითქვა და დაიწერა თ. ჭილაძის აღნიშნულ შრომაზე, დაიბეჭდა რამდენიმე რეცენზიაც, სახელდობრ: „ვეფხისტყაოსნის კრთი ახლებური წაკითხვის გამო“ (ალ. ბარამიძე, „მნათობი“, 1984, № 2); „დვირე და წუელი“ (ზ. ჭავჭავაძე, „კრიტიკა“, 1984, № 1); „ვეფხიტყაოსანი და ჩვენ, ანუ „საქმის უცოდინარი მკითხველები“ (ა. ხიდაშელი, „კრიტიკა“, 1984, № 2); „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ ელ. ჯაველიძე, წიგნში — „შტუდიები“, 1985). კრიტიკულადაა განხილული თ. ჭილაძის ისტორიოგრაფიული თვალსაზრისი ნ. ლომოურის წერილში „არაპროფესიონალიზმისა და არაკომპეტენტურობის შესახებ ისტორიული პრობლემების კვლევაში“ (გაზ. „კომუნისტი“, 4.8.84). ქვემაგობა გაუწია თ. ჭილაძეს გ. ბარნოვმა (ისევე ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო, „მნათობი“, 1984, №10).

1986 წელს თ. ჭილაძის ნაშრომი შემოკლებულად დაიბეჭდა რუსულ ენაზე („Литературная Грузия“, № 7, 8; ავტორიზებული თარგმანი ა. ბესტავაშვილისა, რომელმაც ადრე ცალკე წერილი მიუძღვნა თ. ჭილაძის ნაშრომს — „პოეტური წაკითხვის ლოგიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, 2.XI.84). და ბოლოს, 1987 წელს, თ. ჭილაძის ნარკვევი, როგორც ესსე, სრულად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ავტორის რჩეული თხზულებების მეორე ტომში (თბილისი, 1987, გვ. 388—495, „Предвестие весны“). მთარგმნელია იგივე ა. ბესტავაშვილი.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ თ. ჭილაძის ნაშრომის რუსული ვარიანტი (თუ რედაქცია) არსებითად განსხვავდება მისი ქართული დედნისაგან. ავტორს ბევრი რამ შეუცვლია და შეუსწორებია, შეუცვლია და შეუსწორებია რიგი პრინციპული, კონცეფციური ხასიათის მოსაზრება. რა სათქმელია, ავტორს ვინ წაართმევს თავისი ნაფიქრ-

ნააზრევის შესწორებისა თუ შეცვლის უფლებას? საქმე ისაა, რომ თ. ჭილაძის შესწორებებს საფუძვლად უდევს დამოწმებული კრიტიკული შენიშვნები. უთუოდ მოსაწონია, რომ ავტორს ყურადღებია ეს შენიშვნები. ღმერთო... თუგინდ გაკვრით მაინც სადმე ხომ უნდა მიეწიწმუნებინა ამის თაობაზე? თ. ჭილაძეს აშკარად დარღვეული აქვს ლიტერატურული ეთიკის ელემენტური წესი.

ყველაფერს ვერ გამოვეკიდებით, შევეხებით მხოლოდ რამდენიმე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, კონცეფციური ხასიათის მქონე საკითხს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ თ. ჭილაძე არ ცდილობდა და არ ცდილობს თავისი შეხედულებების დასაბუთებას, ის, ჩვეულებრივ, მხოლოდ გვთავაზობს თავის მოსაზრებებს და გვთავაზობს კატეგორიული ფორმითაც. კამათის დროს თ. ჭილაძე ასევე, ჩვეულებრივ, ძირმართავს დაქარაგმების ხერხს და მკითხველს არ უმხელს, თუ ვის ეღავება („ზოგიერთი მეცნიერი", „ზოგიერთი მკვლევარი", „ზოგიერთი რუსთველოლოგი" ასე და ასე ფიქრობს, ან ასე და ასე ამბობსო).

უნდა ვიცოდეთ, რომ თ. ჭილაძის ნაშრომის მთავარი პათოსი იყო, როგორმე დაეშორიშორებინა, გაეთიშა და დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის რუსთველი და თამარი. თ. ჭილაძე შეეცადა სახელი გაეტეხა თამარისათვის, დაემცირებინა მისი პიროვნება და საეჭვო გაეხადა მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ღირსებანი. თ. ჭილაძე ბეჯითად ავითარებდა ისეთ შეხედულებას, თითქოს ვეფხისტყაოსანი არ აქებს თამარ მეფეს. „ეს პოემა მართლა არ იყო თამარის ქება... მესმის, ძნელია ამის თქმა, მაგრამ მაინც ვამბობ, რადგან ისეთი ავტორიტეტები მიმაგრებენ ზურგს, როგორც ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძეა. უკანასკნელი ამ პოემას არათუ „ვისიმე საქებრად დაწერილად", არამედ საერთოდ არ თვლის ხოტბადო", წერდა მკვლევარი („მნათობი", 10, გვ. 134; წიგნი, გვ. 40) და განაგრძობდა: „ცნობილია, რომ პირველი რუსთველოლოგი ვახტანგ VI ამ პოემას თამარის ქებად არ აღიქვამდაო". როცა ლაპარაკია თამარის ქების შესახებ, იგულისხმება ვეფხისტყაოსნის პროლოგის აღიარება „თამარს ვაქებდეთ მეფესა". სხვა საქმეა, აისახა თუ არა საკუთრივ პოემაში თამარის პიროვნება (რის თაობაზედაც პროლოგშივეა ნათქვამი: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია... მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს მიქია"). ეს საკითხი შეიძლება სადავოდ დარჩეს.

რეცენზენტებმა თ. ჭილაძეს დაუსაბუთეს, რომ, ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძე მას მოკავშირეებად არ გამოადგება, რომ ვახტანგი თავის კომენტარებში („თარგმანში") ხუთგზის დაბეჯითებით და გადაჭრით აცხადებს, რომ რუსთველი სწორედ რომ აქებ-ადიდებს თამარს. ხოლო ი. აბულაძე კიერს უკრავს ვახტანგს და თავის მხრივ წერს: „შოთა არის ის კარის პოეტი, რომელსაც შესავლის მესამე და მეოთხე

ხანებში გამოთქმული თამარის ხოტბა დაუწერია" (ვეფხისტყაოსნის აბულაძისეული გამოცემა, თბ., 1926, გვ. LXXII). აღნიშნულის თაობაზე კი თ. ჭილაძის შრომის რუსულ ვარიანტში აღარაფერია ნათქვამი და მსჯელობა სხვა საკითხებზეა გადატანილი (შდრ. გვ. 410 და შმდ.).

იმის გარკვევა, თუ ვის აქებს რუსთველი (ვის უძღვნის თავის პოემას), კარდინალური მნიშვნელობის საკითხია. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება ვეფხისტყაოსნის თარიღის პრობლემას. ესევე გვეხმარება პოემის იდეურ-შინაარსობრივი მხარეების გაშუქებაში. თავის დროზე მკვლევარმა კალისტრატე ცინცაძემ (კათალიკოსმა კალისტრატემ) წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმად ვეფხისტყაოსანი უნდა დაეწერა შოთა რუსთველს მეფე გიორგი მესამის დაკვეთით ქალის გამეფების იდეის მხატვრული ენით ცხადსაყოფელად. გიორგის მხოლოდ ასული ჰყავდა და იმის გამეფება ჰქონდა განზრახული. ამიტომაც პოემის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, სადაც თინათინის მეფედ დასმის ამბავია აღწერილი, „შეიძლება გიორგის სიცოცხლეში დაიწერა და გამოქვეყნდაო" (ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული — „შოთა რუსთაველი. ისტორიულ ფილოლოგიური ძიებანი", 1966). თ. ჭილაძემ გააზრება და განავითარა კ. ცინცაძის შეხედულება. მისი სიტყვითაც — „რუსთველს პოემის დაწერა შეუკვეთა თამარის მამამ, გიორგი მესამემ, პოემის წერა კი დასრულდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფოს ტახტზე უკვე თამარი იჯდა" (მნათობი, 10, გვ. 136; წიგნი, გვ. 44). თ. ჭილაძეს მთელი ახალი ისტორიოგრაფიული კონცეფცია ჰქონდა წარმოდგენილი. გიორგიმ მართალია თამარი გაამეფა თავის სიცოცხლეშივე, მაგრამ ქვეყანას თვითონ მართავდაო. მთავარი ისაა, რომ თურმე თამარი და მამამისი იმთავითვე სხვადასხვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დოქტრინის მიმდევარნი იყვნენ. თამარი დაუპირისპირდაო „ძიმა-პაპათა (ე. ი. გიორგი მესამისა და დავით აღმაშენებლის) პოლიტიკურ ორიენტაციას". „დიახ, — ასკვნის თ. ჭილაძე, — მამა-შვილი სხვადასხვა ორიენტაციის ხელმწიფეები იყვნენ" (მნათობი, 10, გვ. 135—136). თ. ჭილაძე გვიამბობს, რომ გიორგი მესამე კი უძღვებოდა საქვეყნო საქმეებს, „მაგრამ, როგორც ჩანს, არც თამარი მჯდარა გულხელდაკრეფილი, მომავალი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ხელმწიფობისთვის ემზადებოდა. საკვირველია, რომ სწორედ იმ ექვსი წლის (ე. ი. 1178—1184 წლების განმავლობაში, როცა თამარი მხოლოდ ნომინალური მეფე ყოფილა) „არალეგალური" მეფობის დროს, შემუშავებულა თამართან დაახლოებულ პირთა წრეში ის ახალი პოლიტიკური პოზიცია რომელიც თამარს თავის მეფობის საყრდენად უნდა გამოეყენებინა, როდესაც 1184 წელს თამარი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამეფდა, მზად იქო

კიდევ ახლებურად ემართა სახელმწიფო“ (მნათობი, 10, გვ. 135, კურსივი ავტორისაა). როგორც კი თამარი ნამდვილად გამეფდაო (მამის გარდაცვალების შემდეგ), იგი შეუდგა თავისი განსხვავებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსის განხორციელებას, დავიწყაო მამა-პაპათა ანდერძი, ზურგი შეაქციაო დასავლეთს („არავითარი ევრ - პის გაგონებაც არ სურდა“, იქვე, გვ. 140), დაუმეგობრდაო სულთან სალადინს და საერთოდ „მუსლიმან მმართველებს“, აღმოსავლეთის არეალში ჩაიკეტა (იქვე, გვ. 137, 139, 140) და თავისი „ბეცი“ პოლიტიკით ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანაო (გვ. 141)...

თამაზ ჭილაძემ დროულად აუღო ალღო კრიტიკას, მოასწრო და უკვე წიგნად დასტამბულ ნაშრომში შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორებანი თამარის მოღვაწეობის საკითხში, კერძოდ, მან მოხსნა თამარს „პოლიტიკური სიბეცის“ იარლიყი (იხ. განსაკუთრებით 56-ე და შემდგომი გვერდები). ოღონდ მკვლევარმა მაშინ უცვლელად დატოვა ტექსტები ვეფხისტყაოსნის დაკვეთის თაობაზე, პოემის დაწყება-გარულების თარიღზე, გიორგის მეფობაზე თამარის მეფედ ხელდასხმის შემდეგ და მონათხრობი თამარის „არალეგალურ“ მოღვაწეობაზე. ნაშრომის რუსულ „თარგმანში“ სურათი სრულიად იცვლება. მკვლევარი ახლა ძალიან ფრთხილად შენიშნავს პოემის გიორგი მეფისადაც დაკვეთით შეთხზვის შესახებ: „Я лично считаю более достоверной версию, согласно которой заказчиком была не Тамар, а ее отец— Георгий III“ (გვ. 403). აღარაფერია თქმული იმაზე, რომ ვეფხისტყაოსნის წერა რუსთველმა ვითომც დაიწყო გიორგის დროს, ხოლო გაასრულა თამარის მეფობაში, არც მამა-შვილის დაპირისპირებაზე და მამა-პაპათა ანდერძის დავიწყებაზეა სიტყვა ჩამოგდებული. მესამე კარის შესავალში თ. ჭილაძე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, თუ „რამდენად აშკარაა კავშირი ორ ბუმბერაზ პიროვნებას — დავით აღმაშენებელსა და შოთა რუსთველს შორის“, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურმა პოზიციამ მისცა „ბიძგი“ რუსთველის „მოქალაქეობრივი მრწამსის“ შემუშავებას, მაშინ როდესაც „თამარის დროს [როცა რუსთველი მოღვაწეობდა] უკვე საწინააღმდეგო შეხედულება იყო დაკანონებული“ (მნათობი, 10, გვ. 136; წიგნი, გვ. 45. კვადრატული ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები წიგნშია დამატებული). ნაშრომის რუსულ ვარიანტში მსჯელობა სულ სხვაგვარადაა წარმართული. აქ იკითხება: „В Грузии того периода активно протекала культурно-строительная деятельность, начатая Давидом [Строителем] и успешно продолженная царицей Тамар... Трудно переоценить масштаб культурных сдвигов столь характерных для эпохи Давида и Тамар“ (с. 419).

ასევე გრძელდება მსჯელობა. დავიმოწმებთ კიდევ ერთ ციტატას, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ნაშრომის ქართულ რედაქციებში: „Придворная литература эпохи царицы Тамар — значительный и влиятельный институт, фундамент которого заложил еще Давид Строитель и который при Тамар с успехом продолжал свою миссию — на высочайшем уровне решал проблемы грузинской культуры“ (с. 436).

აბა რა აქვს საერთო თამარის მოღვაწეობის ამ ამაღლებულ დახასიათებას იმასთან შედარებით, რასაც ამბობდა თ. ჭილაძე „ვარდის ფურცლობის ნიშანში“?! როგორ, თამარის კარის პოეტი შოთა რუსთველი ვითომ უკან დაიხევდა ასეთ მეფე-პატრონისადმი ღირსეული ქებითი მიძღვნის შეთხზვისაგან?

სხვათა შორის, ქართული რენესანსის შესახებ მსჯელობისას ახლა, რუსულ თარგმანში დამოწმებულია ჩეხი ქართველოლოგის ვაცლავ ჩერნის და ვეფხისტყაოსნის იტალიურ ენაზე მთარგმნელის მარიო პიკის აღტაცებული შეფასება თამარის ეპოქისა, კერძოდ, მოჯვანილია პიკის სიტყვები: „При дворе Тамар... сформировался поистине грузинский Ренессанс“, с. 489). ერთი სიტყვით, თ. ჭილაძემ სრულიად შეცვალა თავისი აბტი-თამარული პოზიცია, რითაც ძირი გამოუთხარა თავისსავე რუსთველოლოგიურ კონცეფციას. ასეთი ნაყოფი გამოიღო ვეფხისტყაოსნის „პოეტური წაკითხვის ლოგიკამ“.

თ. ჭილაძის ვარაუდით, რუსთველს სპარსულიდან ქართულად გადმოუთარგმნია გორგანელის პოემა „ვისრამიანი“, რომელსაც გარკვეული გავლენაც მოუხდენიათ ვეფხისტყაოსანზე. „ვისრამიანის“ თარგმნა შესრულებული უნდა ყოფილიყო პოეტის სიჭაბუკეში, „ხოლო შემდეგ, გაცილებით გვიან, ანუ სიჭარმაგეში, სხვა პოეტურ თუ მსოფლმხედველობით სიმაღლეზე მდგარმა, დაწერა ვეფხისტყაოსანი“ (მნათობი, 11, გვ. 110; წიგნი, გვ. 113. კურსივი ჩვენია). ციტირებული ტექსტის რუსული თარგმანი ზუსტი არ არის. ქართულით ვეფხისტყაოსანი პოეტს დაუწერია „სიჭარმაგეში“, რუსულით — „в зрелом возрасте“ (გვ. 438). „Зрелый возраст“ ზოგადი გამოთქმაა, ნიშნავს მოწიფულობის ასაკს. ჭარმაგი — ხანში შესული კაცია (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი); საბა ხმარობს ფორმას „ჭარმაგი“ ჭაღარას მნიშვნელობით; ნიკო ჩუბინაშვილით ჭარმაგი ნიშნავს „с проседью“, ჭარმაღი — седой. (დავით ჩუბინაშვილი ჭარმაგი проседь“. ჭარმაღი, ზედ. ჭარმაგი седой, бодрый старик. ერთი სიტყვით, რუსულში "სეგნებულად თუ შეუგნებლად რუსთველის იმჟამინდელი ასაკი უფრო გაახალგაზრდავების მიმართულებით არის შეცვლილი. მართალია, რუსულ ტექსტში სათანადო ადგილას ვეფხისტყაოსნის არც გიორგი მე-

სამის დროს (თამარის გამეფებამდე) შეთხზვის წამოწყებაზეა საუბარი, მაგრამ ისევ ძალაში რჩება ადრინდელი კრიტიკული შენიშვნა: თუ სამოცდაათიან წლებში რუსთველი სახელმოხვეჭილი პოეტი და უკვე ხანში შესული (ჭაღარა) კაცი იყო, როდისღა დაიბადა იგი და როდის დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა, როდის გადმოთარგმნა „ვისრამიანი“? (ან კი გადმოთარგმნა ვითომ საერთოდ?).

საკმარისად ითქვა თ. ჭილაძის ახირებულ მოსაზრებებზე ვეფხისტყაოსნის პროლოგის შესახებ. ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ პროლოგისეული ქების თაობაზე. გვინდა დავუბრუნდეთ ამ სფეროდან კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. თ. ჭილაძემ ყალბად მიიჩნია და გვიანდელი დროის ჩანართად მონათლა ვეფხისტყაოსნის პროლოგის შესანიშნავი მონაკვეთი, რომელიც თვალნათლივ გვაცნობს XII საუკუნის ქართული პოეზიის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, გვიხასიათებს პოეტთა სხვადასხვა ტიპებს. აქვე ლაპარაკობს ავტორი პოეზიის ჟანრებზე და გვიმჟღავნებს ამ ჟანრებისადმი თავის დამოკიდებულებას. პროლოგის ეს მონაკვეთი აზრობრივ-შინაარსობრივად მტკიცედ არის შეკრული და ხუთი სტროფისგან შედგება (ესაა 14, 15, 16, 17 და 18 სტროფები). თ. ჭილაძის მიერ ყალბად მიჩნეულ მონაკვეთშია ავტორისეული ნაწარმოების ჟანრის განმსაზღვრელი განთქმული ტაეპი — „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. პროლოგის დამოწმებულ მონაკვეთში ჩოგანზე ნათქვამმა სიტყვებმა („ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“) თ. ჭილაძეს თურმე მოაგონა კასტელის (XVII საუკუნის მხატვრის, კათოლიკე მისიონერის) ალბომი და აფიქრებინა ეს შაირი „კასტელის დროინდელი უნდა იყოსო“ („მნათობი“, 11, გვ. 107—108; წიგნი, გვ. 105—106).

რეცენზენტებმა მკაცრად გააკრიტიკეს თ. ჭილაძის ეს მოსაზრებაც. მკვლევარმა არც აცივა, არც აცხელა, თითქოს არაფერიაო, ჩუმად ჯვარი გადაუსვა თავის ნაფიქრალს და ნაშრომის რუსულ ვარიანტში აღარ შეიტანა (შდრ. გვ. 435—436). უნდა გავიმეოროთ, მოსაწონია კრიტიკისადმი ასეთი ყურადღება, მაგრამ რა ვუწოდოთ საქმის ეთიკურ მხარეს?

ამით ვამთავრებთ ამჟამად ჩვენს მცირე რეპლიკას, თუმცა სათქმელი სხვაც გვქონდა.

P. S. თამაზ ჭილაძის ნარკვევის რუსული ვარიანტი იმავე 1987 წელს ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნდა აგრეთვე მოსკოვში (Древнейший язык любви. Литературно-исторические очерки, эссе. М., «Советский писатель», აქაა „Предвестие весны“, с. 227—326).

მოსკოვური გამოცემა სრულად და უნაკლოდ იმეორებს თბილი-

სური გამოცემის ტექსტს, ოღონდ მოსკოველ რედაქტორს (М. Я Малхазова) ზოგიერთი ცვლილება მაინც შეუტანია ა. ბესტავაშვილის თარგმანში. შედარებით უმნიშვნელო სტილისტურ „ჩალხზე“ რომ არაფერი ვთქვათ, შესამჩნევია აზრობრივი ხასიათის ზოგიერთი „კორექტივი“. სანიმუშოდ დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს.

1. ტექსტიდან ამოგდებულია ერთი მთელი აბზაცი, რომელიც ასე იწყება: „Ни Шекспир. ни Данте не были серьезными мыслителями“.—Это слова Томаса Элиота.:„ ამ აბზაცის მეორე (აგრეთვე ამოღებულ) ნაწილში საუბარია რუსი პოეტის ფეტის შესახებ (გვ. 239; შდრ., თბილისური გამოცემის გვ. 401).

2. რედაქტორს მთლიანად ამოუგდია თ. ჭილაძის მართლაც მეტად უხერხული მსჯელობა ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე (თბილისური გამოცემის ტექსტი, გვ. 435; შდრ. მოსკოვის გამოცემის ტექსტი, გვ. 271).

3. თ. ჭილაძე მკვლევარ ტექსტოლოგებს ერთგვარად უფლებას ართმევს გაარკვიონ ვეფხისტყაოსნის მხატვრული რაობის საკითხები. ჭილაძისეული ნარკვევის რუსული თარგმანის თბილისურ გამოცემაში კითხულობთ: „Успехи, достигнутые нашими учеными в сфере исследования и установления текста, привели к некоторым нежелательным результатам: **у текстологов появилась претензия единолично установить также и художественную сущность поэмы...**“ (с. 447—448).

ამ ციტატის ჩვენ მიერ კურსივით გამოყოფილი ნაწილი და აგრეთვე შემდგომი მსჯელობა რედაქტორს ამოუკვეთია თარგმანის მოსკოვური გამოცემიდან (შდრ. გვ. 283).

4. ეტყობა, რედაქტორს საჭოთიროდ ჩაუთვლია ჭილაძისეული მოსაზრება ფატმანისა და ავთანდილის სულიერ ერთობაზე და ამოუკვეთია ტექსტის შემაჯამებელ-დამაბოლოვებელი ფრაზა: „**если не считать, что Фатьма по своим душевным качествам вообще была ему ровней**“ (с. 433; შდრ. მოსკოვური გამოცემის 269-ე გვერდის ტექსტს).

5. რედაქტორს გადაუკეთებია (გადაუმუშავებია) ავტორისეული მოსაზრება ზოგიერთი რუსთველოლოგის ვითომდა შეხედულებით სხვადასხვა მზამზარეული „ნაზრევისა“ თუ „ნახევარფაბრიკატების“ არსებობის შესახებ (გვ. 421; შდრ. მოსკოვური გამოცემის გვ. 258).

ტექსტის მსგავსი შესწორება-გადაკეთება საერთოდ იშვიათი არ არის ნარკვევის მოსკოვურ რუსულ გამოცემაში.

6. ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ (როგორც წინა მაგალითშიც) თ. ჭილაძე წყაროზე მითითებისას ჩვეულებრივ მიჰკრთავს დაქარაგმების ხერხს — „ზოგიერთი მკვლევარი“, „ზოგიერთი

მეცნიერი“ და ა. შ. არის შემთხვევა. როცა რედაქტორს გაუშიფრავს ასეთი „ზოგიერთი“ პირის ვინაობა. მაგალითად, ჭილაძისეული დამოუმება „по словам одного ученого“ (გვ. 412). მოსკოველ რედაქტორს დაუკონკრეტებია — „по словам Н. Марра“ (გვ. 249). მაგრამ ვინ შეძლებს ყველა დამოწმებული უამრავი „ზოგიერთის“ ვინაობის ამოცნობას?

მოკლედ ასეთია თ. ჭილაძის ნარკვევის რუსული თარგმანის ობილისური და მოსკოვური გამოცემების ნაირსახეობა.

1987

ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნააზრევიდან

შესანიშნავი მკვლევარი, ჟურნალისტი და მწერალი ვიქტორ ნოზაძე (დაიბადა 1893 წელს) ადრე გამოჩნდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მწერლობის სარბიელზე. ერთხანს (1919 წელს) იგი იმჟამინდელ ოფიციალურ ორგანოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ რედაქტორობდა. იმავე წლის შემოდგომაზე საზღვარგარეთ გაგზავნილ სწავლის გასაგრძელებლად. სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და სანდაზმული გარდაიცვალა პარიზში. ვ. ნოზაძე იყო ფართო ინტერესებისა და დიდი დიაპაზონის მკვლევარი, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, სახელი გაითქვა როგორც რუსთველოლოგმა. მისი ახლო მეგობრის მახეილ ქავთარაძის სიტყვით, ვიქტორ ნოზაძე გამხდარა ვეფხისტყაოსნით უზომოდ გატაცებული მ ი ჯ ნ უ რ ი. ამ უკვდავი ძეგლის სერიოზული შესწავლა დაუწყია ბერლინში, მეორე მსოფლიოო ომის დროს[1]. შემდეგ „გაიჭრაო“ და „30 წელიწადი იხეტიალაო“ სხვადასხვა ქვეყანაში (ავსტრიაში, არგენტინაში, ჩილეში, ესპანეთში. ხშირად უხდებოდა ყოფნა შვეიცარიაში). 1960 წლიდან საბოლოოდ დამკვიდრებულა საფრანგეთში. იქ აღესრულა 1975 წლის 24 აპრილს. დასაფლავებულია პარიზის ახლო მდებარე სოფელ ლევილში (ძირითადად ამ სოფელში დაიდო ბინა პარიზის ქართველობამ).

ვიქტორ ნოზაძეს ათ ტომად ჰქონია ჩაფიქრებული თავისი რუსთველოლოგიური ნაშრომების გამოქვეყნება. სიცოცხლეში შეძლო მხოლოდ ექვსი ტომის დაბეჭდვა (მეექვსე ტომის ბეჭდვას გადაჰყვა კიდევაც). გამოსაცემად მოუმზადებელი და გაუმართავი დარჩა ოთხ ტომის მასალა. ვ. ნოზაძის ნაშრომების საერთო სათაურია „ვეფხის-

[1] თუმცა თვითონ ვ. ნოზაძე ერთგან ამბობს: „ყ მ ა წ ვ ი ლ ო ბ ი დ ა ნ ვე ვეფხისტყაოსანს ვსწავლობ და გაგიჟებით მიყვარს იგი“ (ვეფხისტყაოსნის ფერთა-მეტყველება, ბეენოს აირეს, 1954, გვ. 201, კურსივი ჩემია — ა. ბ.).

ტყაოსანის (ასე წერს!) განკითხვანი". ამ სერიის პირველი წიგნი — „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება" — გამოვიდა არგენტინაში (ბუენოს აირესში, 1954 წელს). სამი შემდეგი ტომი („ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება", „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება", „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება") ზედიზედ გამოსცა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში (1957—1958 წლებში). ვ. ნოზაძის ფრიად მნიშვნელოვანი მონუმენტური გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება" დაიბეჭდა პარიზში 1963 წელს (დიდი ფორმატის 560 გვერდია). მეექვსე, აგრეთვე ვეებერთელა, ტომის „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველების" ბეჭდვა დაიწყო ლევილში 1974 წელს. ამ წიგნის დაახლოებით ორი მესამედი ჰქონდა დაბეჭდილი, როდესაც სიკვდილმა უსწრო. გამოცემა გაასრულეს ვიქტორის ძმამ გიორგიმ და ზემოთ დასახელებულმა მიხეილ ქავთარაძემ (წიგნს დართული აქვს მათი კომენტარები).

ვიქტორ ნოზაძე ძლიერ ხელმოკლედ ცხოვრობდა, შრომობდა თავდაუზოგავად, თავისი წიგნების ტექსტებს თვითონ აწყობდა ლინოტიპზე, თვითონვე იყო კორექტორი, ამკინძავი და ექსპედიტორი. გარკვეული დროიდან ასევე თავგამოდებით უძღვებოდა სქელტანიანი წლიური ჟურნალის „კავკასიონის" გამოცემას. დიდ დახმარებას უწევდა შვეიცარიელ ქართველოლოგ ქალებს მათ სანაქებო საქმიანობაში. არც სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ სფეროს აკლებდა გულისხმიერ ყურადღებას. უზომო შრომამ, ჯაფამ და წელთადაზიდულობამ გატეხა ვიქტორ ნოზაძის საერთოდ მაგარი ორგანიზმი. ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა. სწორედ „მიჯნურთმეტყველების" ბეჭდვის დროს უმტყუნა ჯანმა. მიხეილ ქავთარაძე გვიამბობს: „სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ვიქტორს დაღლილობა შეეტყო. ნერვიულობა ემატებოდა. ზოგჯერ სიანჩხლესაც იჩენდა. მაგრამ მუშაობის ტემპი არ შეუნელებია". სიცხიანი ავადმყოფი, ძლივს რომ ლაპარაკობდა „ლინოტიპს უჯდა" და ჯიუტად განაგრძობდა მუშაობას. ჩქარობდა, „ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დავასრულო ეს წიგნიო". ვერ დაასრულა, ისე გარდაიცვალა. ვიქტორ ნოზაძის სიცოცხლის ბოლო დღეების დრამატული ამბავი მოთხრობილია გიორგი ნოზაძისა და მიხეილ ქავთარაძის წერილებში. „მიჯნურთმეტყველებას" რომ აქვთ დართული.

გიორგი ნოზაძის მოწმობით, „მიჯნურთმეტყველება" „უცილოდ მაინც ვერ დაიბეჭდა. წიგნი ფრიად დიდი მოცულობის გამოდიოდა და საქმის ფინანსურმა მხარემ გვაიძულა ამოგველო წიგნში დასჩილებული ზოგი რომანის რეზიუმეები. ასე გადაწყდა წიგნის დასრულება და გამოშვება". „ამგვარად, — ასკვნის გიორგი ნოზაძე, — წიგნის ტექსტი განსაზღვრული ავტორის რედაქციით იბეჭდება. ხოლო თუ მკითხველი რაიმე ნაკლს შეამჩნევს, იქნება ეს შეცდომები თუ გაფორ-

მება. დანაშაული ჩვენ გვეკისრება და იმედი გვაქვს, მკითხველები შეგვინდობენ, რადგან არც ერთი ჩვენთაგანი ამ საქმის სპეციალისტი არ არის... ჩემი ძმის ვიქტორის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა, — განაგრძობს გ. ნოზაძე, — ამით არ ამოიწურება. მან დატოვა ნახევრად დამუშავებული სახით, მის მიერ განზრახული სხვა შრომების მასალები, რომელთა შორის: ვეფხისტყაოსანის სიბრძნისმეტყველება დამთავრებული ჩანს, დანარჩენი სათაურებია: ვეფხისტყაოსანის გონებათმეტყველება, ვეფხისტყაოსანის სულთამეტყველება, ვეფხისტყაოსანის მჭევრმეტყველება, ვეფხისტყაოსანის ფსიქოლოგიის მეტყველება, ვეფხისტყაოსანის ნებათმეტყველება, ვეფხისტყაოსანის საზოგადოების ცნებანი, ვეფხისტყაოსნის ცნება-ცნობა, ვეფხისტყაოსანის ესთეტიკა, ვეფხისტყაოსანის ტანთმეტყველება, ვეფხისტყაოსანის გულთამეტყველება".

გიორგი ნოზაძე საგანგებოდ განმარტავს: „უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი აქ ჩამოთვლილი სათაურთაგანი ცალკე წიგნს არ უნდა გულისხმობდეს, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მარტო ეს ჩამოთვლა უკვე გზის დასახვა არის და აგრეთვე — გამოწვევა მომყოლი თაობის მკვლევარებისა". სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ ვიქტორ ნოზაძეს გამოქვეყნებული აქვს სხვა ცალკეული ნაშრომები რუსთველოლოგიის სფეროდან. მაგალითად, ერთი მისი ვრცელი ნაშრომი — „შოთა რუსთველი" დაბეჭდილია ჟურნალ „კავკასიონის" XI წიგნში (პარიზი, 1966), რომელიც მთლიანად მიძღვნილია რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი.

ვიქტორ ნოზაძე იყო დიდად განათლებული და განსწავლული, ფართოდ ერუდირებული მკვლევარი. იგი თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ახალ ევროპულ ენას. მისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო ამ ენებზე არსებული მდიდარი სპეციალური ლიტერატურა. მისი ინფორმაცია ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე ჩვენთვის სასარგებლო პირველწყაროს როლს ასრულებს. ვ. ნოზაძე ბეჯითად ადევნებდა თვალყურს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, ითხოვდა ჩვენში დაბეჭდილი შრომების მიწოდებას. იგი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ არაიშვიათად ირღვეოდა ლიტერატურის დამოწმების საყოველთაოდ მიღებული წესი. „მე აქ, უცხოეთში, თუ ვინმე გამომრჩება. — წერდა ვ. ნოზაძე. — მეპატიება, რადგან ყველა მასალა ჩემთვის მიუწვდომელია, ოღონდ თბილისში თითქმის ჩვეულებად გარდაიქცა სხვისი აზრის მოუხსენებლობა. რაც შესაწყნარებელი არ არის („ღმრთისმეტყველება". გვ. 108). ეს საყვედური საერთოდ სწორია. ზოგჯერ სუბიექტური, ზოგჯერ კი ობიექტური მიზეზების გამო ვ. ნოზაძის ნააზრევი ვერ პოულობდა ასახვას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ვერც იმას დავმალავთ, რომ ამ მხრივ თვითონ ბატონი ვიქტო-

რიც არ ყოფილა მთლად უცოდველი. დავიმოწმებ ერთ მაგალითს. ცნობილია, რომ გერმანელმა ქართველოლოგმა გერჰარდ დეეტერსმა სრულიად უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ ის აზრი გამოთქვა, თითქოს ვეფხისტყაოსანი მომხიბლავია მხოლოდ თავისი გარეგნული ფორმით, ხოლო იდეური შინაარსით (Ideengehalt) ის ვერ შეედრება სხვა ხალხთა მისდროინდელ ლიტერატურულ ძეგლებსო (Orientalistische Literaturzeitung, 1958, № 1/2, გვ. 58). დეეტერსის მცდარი მოსაზრების გაბათილებას მე მივუძღვენი საგანგებო წერილი, რომელიც პირველად რუსულად გამოქვეყნდა: „О гуманистической литературе грузинской классической эпохи" (По поводу выступления профессора Г. Деетерса). დაბეჭდილია ჩემი ნარკვევების მეოთხე წივნში (თბილისი, 1964, გვ. 38—46). ეს წერილი სხვა სათაურით — „Rustaveli et ses contemporains" გამოქვეყნდა ფრანგულადაც სალიების ჟურნალში „რევიუ — ბედი ქართლისა" (პარიზი, 1965, XIX—XX, გვ. 31—39). შეუძლებელია ვ. ნოზაძეს არ სცოდნოდა ამ წერილის არსებობა „რევიუს" მიხედვით მაინც, თუმცა 1964 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული ბარათით მწერდა, რომ მან უკვე მიიღო ჩემი ნარკვევების IV წიგნი (ალ. ბარამიძე. მიმოწერა ვიქტორ ნოზაძესთან, „ლიტერატურული საქართველო", 29.1.88). ვ. ნოზაძის განკარგულებაში იყო და იმოწმებს კიდევაც ჩემს მონოგრაფიას „შოთა რუსთველი და მისი პოემა" (თბილისი, 1963). სადაც აგრეთვე გაკრიტიკებულია დეეტერსის მცდარი მოსაზრებანი (გვ. 125, 280, 298—299, 383). სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით ჩვენი მონოგრაფია დასახელებულია ვ. ნოზაძის „მიჯნურთმეტყველებაში" (პარიზი, 1975, გვ. 282, 418), სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ვკითხულობთ: „... გამოჩნდა პროფესორი დეეტერს-სი, რომელმაც ვეფხისტყაოსანი დასავლეთ ევროპის მწერლობას შეადარა და ფრიად ზერელე დაუსაბუთებელი და უხამსი დებულება წარმოადგინა" (გვ. 408. განსახილავ წყაროდ მითითებულია QLZ, 1958. № 1/2). ჩემი და ვ. ნოზაძის მოსაზრებათა სრული დამთხვევა უდავოა. რასაკვირველია, უეჭველზე უეჭველია, რომ ვ. ნოზაძეს ჩემგან დამოუკიდებლად შეეძლო გასცნობოდა დეეტერსის სტატიას და ღირსებისამებრ შეეფასებინა იგი, მაგრამ რამდენადაც მკვლევრისათვის შეუძლებელია უცნობი დარჩენილიყო ჩემი რამდენიმე ენაზე დასტამბული ანალოგიური ხასიათის ნაშრომი, მოსალოდნელი იყო, რომ ერთ-ერთს მაინც დაიმოწმებდა. ცხადია, ეს როგორღაც შემთხვევით გამორჩა.

ვიქტორ ნოზაძეს შესაშური გატაცებით, ცოდნითა და საფუძვლიანობით აქვს შესწავლილი, გამოკვლეულ-გამოძიებული, გააზრიანებული და გაშუქებული რუსთველოლოგიური პრობლემატიკის არაერთი თავსატეხი საკითხი. რა თქმა უნდა, მას გამოთქმული და გან-

ვითარებული აქვს რიგი სათუო, საცილობელი თუ მიუღებელი. მაგრამ ყოველთვის დამაფიქრებელი და ანგარიშგასაწევი მოსაზრებაც. ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ, როგორც პოლემისტი, ის ჩვეულებრივ იყო მეტისმეტად ემოციური, ზომაზე მეტად მკაცრი, მოურიდებელი და დაუნდობელი[2].

ვიქტორ ნოზაძის ყველა ნაფიქრ-ნააზრევის უბრალო აღნუსხვაც კი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ერთ მოხსენებაში თუ ერთ სტატიაში. ჩვენ შევეცადეთ დაგველაგებინა ნოზაძისეული ძირითადი რუსთველოლოგიური ნააზრევი უმთავრესად მისი ორი, ჩემი აზრით, საუკეთესო ნაშრომის მიხედვით. ესენია „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“ (პარიზი, 1963) და „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ (პარიზი, 1974/1975).

ვ. ნოზაძის ყველა რუსთველოლოგიურ ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს დებულება, რომ ვეფხისტყაოსანს თავიდან ბოლომდის მსჭვალავს მაღალი და წმინდა ეროვნული, ქართული სულისკვეთება. „მიჯნურთმეტყველებაში“ ერთგან განზოგადებულად განცხადებულია: „ვეფხისტყაოსანის ქვეყნები, თუმცა გარეგნულად ისლამური არიან, მათი ზნე-ჩვეულება და ცხოვრების წესი არ არის ისლამური. აქ არსად ისლამური ცივილიზაციის ნიშნები არა ჩანს. ყველგან აქ: არაბეთში, ინდოეთში, გულანშაროში რუსთაველის მიერ დახატული სინამდვილე არ არის ისლამური ცივილიზაციის შვილი“. იგი ქართულ ქრისტიანულიაო (გვ. 370—371). ვიქტორ ნოზაძის რწმენით, რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველთა საფუძველია ქრისტიანული აღმსარებლობა და მაღალზნეობრივი, ქართულ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ყოვლისმომცველი თავისუფალი სიყვარული.

ვიქტორ ნოზაძე თვლის (და თვლის საესებით სამართლიანად), რომ „ვეფხისტყაოსანი არის მიჯნურობა-სიყვარულის პოემა-რომანი“ („მიჯნურთმეტყველება“, გვ. 411), „ვეფხისტყაოსანი არის მიჯნურობის პოემა“ (იქვე, გვ. 412). რუსთველის პოემის ეს ჟანრობრივი სტატუსი კიდევაც განსაზღვრავს, მკვლევრის მოსაზრებით, მის სიუჟეტურ კონსტრუქციას და იდეურ-მხატვრულ შინაარსს. ვ. ნოზაძე ამბობს, რომ: „სიყვარული ყველა ხალხმა იცის, მას ყველა განიცდის: ყველა — თავისებურად; ყველა — განსაკუთრებით. და თუ სიყვარულის ნიშნები და მოტივები ერთი ხალხის ცხოვრებაში და მწერლობაში მეორე ხალხისას ჰგავს — ეს არ არის ზეგავლენის, ან ზემოქმედების ძალით. არამედ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ადამიანი და

---

[2] ერთგან შენიშნავს: „ვით შეუყვარებული, კეღარ ვითმენ იმ უბამსობას და უმსგავსობას, სირეგვნეს, რომლის მსხვერპლი ვეფხისტყაოსანი გამხდარა“ (ფერთა მუტყუეღება, გვ. 201).

მისი სიყვარული ყველგან არსებობს და იარსებებს“ (იქვე, გვ. 382). საზოგადოდ, სიყვარული, განმარტავს ვ. ნოზაძე, „ეროვნულიც და საერთაშორისოც“, უნივერსალურია თავისი ბუნებით (იქვე). მკვლევარი ვრცლად აანალიზებს ვეფხისტყაოსანში ასახული სიყვარულის ხასიათს, უდარებს მას აღმოსავლური და დასავლური მწერლობით ცნობილ სანიმუშო ძეგლებს და ის დასკვნა გამოაქვს, რომ: ვეფხისტყაოსნისეული სიყვარული „არ ემსგავსება არც აღმოსავლურ ხორცად, ხორციელ სიყვარულს—ამორ კარნის“,—არც აღმოსავლურ მიჯნურობას, ანუსუფიურ სიყვარულს. არც დასავლურ კურტუაზიულ სიყვარულს. თავის წიგნის შესავალში („უწყებულება მკითხველთათვის“) გამოკვეთილი ეს დებულება (გვ. 8) გაშლილია მთელ წიგნში და საბოლოოდ გაცხადებულია: რუსთველის პოემაში ასახული „სიყვარული არ არის არც აღმოსავლური, არც დასავლური (არც ორიენტული და არც ოქციდენტური) — იგი არის მხოლოდ და მხოლოდ ვეფხისტყაოსნური, ქართული და მისი სიღრმიდან გამოზრდილი“ (გვ. 274), „თავისთავადი, თვითმყოფი“, ქართული და ქართული. „ვეფხისტყაოსანური და რუსთაველური“ (გვ. 8,412). ვ. ნოზაძე იკვლევს რუსთველური სიყვარულის სპეციფიკურ თვისებებს. მისი ფიქრით, ვეფხისტყაოსნის გმირთა მიზანია „სიყვარულით ოჯახის შექმნა, საცოლე-საქმროს კერის დაფუძნება“ (გვ. 161). „ვეფხისტყაოსნის მიჯნურობის მიზნობრივი მიზეზი, — წერს ვ. ნოზაძე. — არის დაქორწინება. ოჯახის შექმნა სიყვარულის ნიადაგზე“ (გვ. 412). ეს არისო, განაგრძობს მკვლევარი მსჯელობას, „ახალი შეხედულება სიყვარულზე და ოჯახზე“ (იქვე). კიდევ ერთი ციტატა წიგნის ამ მონაკვეთიდან: „ვეფხისტყაოსანის .. სიყვარული არის ქართული ეროვნული ხასიათით აღბეჭდილი და ქართული იდეალით აღბეჭდილი, — მთელი თავისი არსებით, მიჯნურობა-სიყვარულის მოწმობით“ (იქვე). ამ განსჯის გვირგვინია: „ვეფხისტყაოსანის მიჯნურობა-სიყვარული არის განთავისუფლება ადამიანთა გრძნობისა საზოგადოებრივი არტახებიდან — არის პიროვნულობის აღმავლობა და მის უფლებათა განმტკიცება. ეს არის ვეფხისტყაოსანის იდეალი, რაც სიყვარულს განადიდებს, ადიდებულებს და ამგვარად ადამიანის ბუნებას აღამაღლებს“ (გვ. 413).

ვ. ნოზაძეც იმ აზრისაა, რომ: „ვეფხისტყაოსანის მიჯნურობა არის რეაქცია ვისრამიანის წინააღმდეგ, უკუგდება და დაგმობა ვისრამიანული მიჯნურობისა“ (გვ. 115). ვისრამიანისა და ვეფხისტყაოსნის შორის დიდი ტუსკრულია, რამდენადაც ვისრამიანის მიჯნურობა უცსოური მოდგმისაა, ხოლო „ვეფხისტყაოსანის მიჯნურობა არის უ-ქველო. უბიწო, აღმატებული სიყვარული, ქართული...“ (გვ. 115). რამდენადმე უცნაურად ჟღერს ვეფხისტყაოსნისა და ამირანდარეჯანიანის შეპირისპირება: „ვეფხისტყაოსანი არის აგრეთვე რეაქცია ამირანდა-

ლი ნაჩვენები არ არის“ (გვ. 412). სწორია, რომ ამირანდარეჯანიანი სათვის უცხოა მიჯნურობის მოტივი, ამდენად ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი არც შეიძლება იყოს რეაქცია მის წინააღმდეგ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ვ. ნოზაძემ თამამად და კატეგორიულად აღიარა, რომ „ცნება «მიჯნურობა» და «მიჯნური» ქართული ენის ცნებაა“ (გვ. 110).

ვ. ნოზაძემ გაარკვია, რომ მდედრობითი სქესის ადამიანის აღსანიშნავად ვეფხისტყაოსანში ჩვეულებრივ იხმარება სიტყვა — ტერმინი ქალი და დიაცი. ქალი ეწოდება ქალწულს, გაუთხოვარ ასულს, ქალიშვილს, დაუქორწინებელს; დიაცი კი გათხოვილი, ქმრიანი დედაკაცია, მანდილოსანი (მიჯნურთმეტყველება, გვ. 323, 325, 333, 335 და სხვ.). მკვლევრის სიტყვით, რუსთველის პოემის „დედაკაცი ორგვარი მოდგმისაა“: არისტოკრატული და ქალაქური“ (გვ. 323). ქალაქური დიაცის სახეს გამოხატავს ფატმანი.

ფატმანის სახის რაობის პრობლემა ვ. ნოზაძეს განხილული აქვს ვრცლად და საგანგებოდ. იგი აკრიტიკებს ამის თაობაზე არსებულ შეხედულებებს და გვთავაზობს თავის საკუთარ, თავისთავად საინტერესოსა და ორიგინალურ, თუმცა ჩვენი ფიქრით, საცილობელ თვალსაზრისს. ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით სპეციალური წერილები[3], ამიტომ აქ შევეხებით სულ მოკლედ. „ფატმანის შესახებ არა ერთჯერ ცუდი ითქვაო“, წერს ვ. ნოზაძე და კონკრეტულად ასახელებს ნიკო მარსა და ამ სტრიქონების ავტორს: „აქ მაქვს, — შენიშნავს მკვლევარი, — ერთ ნიმუშად აკად. პროფ. ნიკო მარის ნათქვამიო („ავთანდილი უახლოვდება ქალაქის ნამდვილ გარეუნილ „ბურჟუიკას“... დამოწმებულია ნ. მარის „ობ ისტოკახ ტვორჩესტვა რუსთაველი ი ეგო პოემე“. ტბილისი, სტრ. 32) და განაგრძობს „და აკად. პროფ. ალ. ბარამიძესაც გამოუთქვამს ასეთი აზრი: რუსთაველს დახატული აქვს მდაბიო ზნეობის გამომხატველი ქალის ტიპად (ფატმანი), ვულგარული, დიაცური მიჯნურობის გამომსახველად, რითაც რუსთაველი დაცობასა და დიაცურ ზნეობას კიცხავსო...“ (მითითებულია ჩემი ერთი შედარებით ადრინდელი წერილის გაიოზ იმედაშვილისეული ანოტაცია და არა მისსავე განკარგულებაში მყოფი ჩემი მონოგრაფია 1966 წლისა). დასასრულ მკვლევარი ამბობს: „ალბათ სხვამაც გამოსთქვა ასეთი შეხედულება ფატმანზეო“ (გვ. 365).

თავის მხრივ, ვ. ნოზაძე ცდილობს დაასაბუთოს, რომ „ფატმანს სიყვარული წმინდა სიყვარულამდე არის აყვანილი“, „აქ პატიოსანი

---

[3] ფატმანის სახის გარშემო (ნარკვევები, VIII, 1985, გვ. 100—107; რუსთველოლოგიური შენიშვნები („ქალისა“ და „დიაცის“ მნიშვნელობათა გაგებისათვის), იხ. კრებული „აკაკი შანიძე — 100“, თბილისი, 1987, გვ. 261—266.

სიყვარული ღაღადებს და არა მეძავური „ავხორცობა“ (გვ. 366); „ფატმანს აქვს ხორციელი, ცვალებადობითი ეროტიკული გრძნობა“ (323). ფატმანის სიყვარულის შეფასებაში ვ. ნოზაძე ეკამათება თვითონ შოთა რუსთველსაც („თუ ყვავი (ე. ი. ფატმანი) ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“ და წერს: „მე კი მგონია, რომ არც რუსთაველის დაფასება არის მართებული, რადგან ფატმანი გულწრფელად არის გატაცებული, მას გულწრფელად უყვარს ავთანდილი და მისი ჩამოქვეითება ყვავამდე არაა ჯეროვანი“ (გვ. 368). საგულისხმოა ვ. ნოზაძის მხრივ ფატმანისადმი ავთანდილის დამოკიდებულების ასახასიათება: „ავთანდილის მთელი მოქმედება არის მოჩვენებითი, არაგულწრფელი, და მისი გრძნობა არის რიოში, — ყალბი“ (გვ. 368).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თამაზ ჭილაძემ წყაროს დაუსახელებლად მთლიანად გაიზიარა ვიქტორ ნოზაძის კონცეფციის ერთი მხარე, თითქოს „ფატმანი თინათინის სიმაღლეზეა აყვანილი“ (ე. ი. უწინარეს ყოვლისა, ფატმანის სიყვარულია აყვანილი თინათინის სიყვარულის დონემდე)[5], მაგრამ მწერალი — მკვლევარი გვერდს უვლის ავთანდილის საქციელის ნოზაძისეულ ინტერპრეტაციას და თვლის, რომ სწორედ ავთანდილის გრძნობათა სიწრფელითაა გაფაქიზებული ფატმანის სიყვარულის ხასიათი, რომ ფატმანი და ავთანდილი ტოლფასოვანი მოყვარული არიან ერთმანეთისა. თ. ჭილაძე იმასაც კი ამბობს, რომ ფატმანი და ავთანდილი „იმდენად მახლობელნი არიან ერთმანეთისათვის, თითქმის ერთნაირად აზროვნებენ“[6].

ადრე, „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაში“ (პარიზი. 1963, გვ. 432) ვ. ნოზაძე ამტკიცებდა: „რუსთაველი აღიარებს სამონასტრო პოეზიას, რომელიც საამებელია აგრეთვე გამგები საერო საზოგადოებისათვისო“[7], „მიჯნურთმეტყველებაში“ ეს თვალსაზრისი არსებითად არის შეცვლილი. აქ ნათქვამია, რომ რუსთველის პოემის „საზოგადოება მართლაც ქრისტიანული არის თავისი ზნეჩვეულებით, მაგრამ არა ბერმონაზვნური, ასკეტოსნური ცხოვრებით.

---

[4] ვარდის ფურცლობის ნიშანი (მნათობი, 1983, № 10, გვ. 117—162; № 11, გვ. 105—151). თ. ჭილაძის ეს ნაშრომი ამავე სათაურით ცალკე წიგნადაც გამოვიდა თბილისში 1984 წელს.

[5] დასახ. ნაშრომი, „მნათობი“, №110, გვ. 158; წიგნი, გვ. 95.

[6] დასახ. ნაშრომი. „მნათობი“, № 10, გვ. 161; წიგნი, გვ. 101 (ყურსიცი ავტორისაა — ა. ბ.).

შდრ. ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებური წაკითხვის გამო (მნათობი, 1984, № 2, გვ. 124—127; აგრეთვე, მისივე, ნარკვევები, VIII, 1985, გვ. 274—283.

[7] ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია ჩვენს მონოგრაფიაში — „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (თბილისი, 1966, გვ. 603).

არამედ თავისუფალი, ჩვეულებრივი, ზოგად ქრისტიანული ზნით ჯარმოდგენილი" (გვ. 371; კურსივი ჩემია, ა. ბ.).

ვეფხისტყაოსანში ასახული ქვეყნების (არაბეთის, ინდოეთის, მულღაზანზარის) სოციალურ-პოლიტიკური წყობა და ამ წყობის პირობებში მოქმედი საზოგადოებრიობა „პატრონყმურ-ფეოდალურია" (ვიქტორ ნოზაძე. ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 28, 136—137). რუსთველის პოემის სოციალურ-პოლიტიკური წყობისა და საზოგადოებრიობის მაგვარი მოვლენა „ცნობილია ევროპაში და საქართველოში" (გვ. 137). ქართული პატრონყმობა ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ვეფხისტყაოსანში აირეკლა ეს ქართული პატრონყმობა (გვ. 25). „მაშასადამე, — ასკვნის ვ. ნოზაძე, — ვეფხისტყაოსანის პატრონყმური საზოგადოება არის ქართული" (გვ. 137). ეს დებულება უფრო გაშლილად არის ჩამოყალიბებული ვ. ნოზაძის დამოწმებულ შრომაში (გვ. 28).

სამწუხაროდ, ვიქტორ ნოზაძეს სრულიად არ ესმის (ან მცდარ კ ესმის) ქართული პატრონყმური სისტემის ის ნიშანდობლივად სპეციფიკური მოვლენა, როგორიც იყო საკარგავი („ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება", გვ. 316), თუმცა ხელმოსაკიდებელი წყარო მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვრცლად გვაქვს განხილული ტერმინ საკარგავის მნიშვნელობა და ვამბობთ: „საკარგავის განხილვა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი უშუალობით არის ვეფხისტყაოსანი დაკავშირებული საქართველოს სოციალურ სინამდვილესთან და როგორი სიცხოველით ასახავს ამ სინამდვილეს XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი".[8] ვ. ნოზაძე „მითოსს" უწოდებს ჩვენს მოსაზრებას. რომ ფარსადანმა ვერ დაძლია კონსერვატიზმი, უსამართლოდ, დესპოტურად მოიქცა, წინაღუდგა ნესტანისა და ტარიელის უმწიკვლო გრძნობებს, გადაწყვიტა ნესტანის გათხოვება გადამოიელ უფლის წულზე. ასეთი იყო მაშინდელი წესი, ასულის გათხოვების საქმე მამას ეკითხებოდაო. სწორია, ასე იყო. მაგრამ რუსთაველმა გაუსწრო თავის დროს. მან სიყვარულის (და ქალის გათხოვების) ახალი კონცეფცია წარმოადგინა (შდრ. „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება", გვ. 345—346). მცდარია მოსაზრება თითქო ფარსადანმა არაფერი იცოდა ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის თაობაზე („კავკასიონი", XI, 1966, გვ. 117). ეს საკითხი საგანგებოდ მაქვს შესწავლილი (ნესტანი, ლძ, II, გვ. 269—285; ნარკვევები, I, 1945, გვ. 204—221). ამა-

---

[8] აღ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 166—170, იგივე 1975 წლის გამოცემა, გვ. 151—154.

ზე საუბარია ჩემი მონოგრაფიის—„შოთა რუსთველი და მისი პოემა“ — სამივე გამოცემაში (1958, 1966, 1975).

თავის ექვსივე მონოგრაფიულ ნაშრომში და აგრეთვე ცალკეულ ნარკვევებში ვიქტორ ნოზაძე იმ აზრს ავითარებს, რომ შოთა რუსთველის სარწმუნოებრივი აღმსარებლობაა ქრისტიანობა. ქრისტიანობა არისო ვეფხისტყაოსნის თეოლოგიისა და ფილოსოფიის საფუძველთა საფუძველი. ამ კონცეფციის დასაბუთებას მიუძღვნა ავტორმა ვრცელი შესანიშნავი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“. თავდაპირველად აქ მიმოხილულია აზრთა ის საოცარი სხვადასხვაობა, რაც კი საძიებელ პრობლემაზე არსებობდა მკვლევართა შორის. ვ. ნოზაძე მოგვითხრობს: „მაშ ასე. ამ მიმოხილვით გავიგეთ, რომ ვეფხისტყაოსანის რელიგია ყოფილა თურმე ქრისტიანული; ბიბლიურ-ქრისტიანული და ბიბლიურ-თეოლოგიური; ასტრალური, სოლარული; მზიური და პოეტური ერთად; წარმართული კულტი მზისა: ღმერთიც და მზეც ქართული; წარმართული — პაგანური; ჰელლინისტური — ელენური; ნეოპლატონური; წარმართულ-ფილოსოფიური; წარმართული სეფასიანური; დუალისტური — კეთილისა და ბოროტის ღმერთი; აბსოლუტური კეთილის რწმენა; მანიქეური; ერეტიკოსულ-მისტიკოსური; მაჰმადიანურ-მუსულმანური: სუფისტური, არაბულ-არისტოტელებრივი; დეისტური, თეისტური; სტოიკური, თავისუფალი აზროვნებისა: პანთეისტური, მატერიალისტური; პანთეისტური; მატერიალისტურ-პანთეისტური; ახალი გაგება ღმერთისა; და სხვა რამ კიდევ. მხოლოდ წვრილმანი გადახრით“. დამოწმებული ამონაწერი იხურება ავტორის ირონიული შენიშვნით: „რაო? რა ბრძანეთ? გამორჩათ ჩვენ მკვლევარებს რომელიმე რელიგია? ნუთუ?! როგორ არა!“ დასასრულ ვ. ნოზაძე კითხულობს: „განა შესაძლებელია შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი ამდენ სხვადასხვა მსოფლმხედველობის მატარებლად დაისახოს?! ნუთუ წარმოსადგენია ასეთი სხვადასხვაობა და ხარხნარობა ერთი და იგივე თხზულების შესახებ?! როგორ უნდა აიხსნას ეს საკვირველი და უცნაური მოვლენა?! რით განიმარტოს ეს საოცარი და განსაცვიფრებელი ამბავი?!“ (გვ. 33).

დასმულ კითხვებს მკვლევარი თვითონვე მოურიდებლად აძლევს გარკვეულ პასუხს: „ბრძანდებოდეთ სულგრძელ და მაპატიეთ, შემინდეთ — ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. თვით ვეფხისტყაოსანის არა შესწავლა და გამორკვევა-გამოკვლევა, არამედ ზერელედ მისი განხილვა!“ (იქვე). ვ. ნოზაძე ხშირად უბრუნდება ამ კითხვას და ყოველთვის ერთსა და იმასვე იმეორებს. მართალია, მკვლევარი ჩვეულებრივ კონკრეტულად აკრიტიკებს ხოლმე ამა თუ იმ ქართველი მეცნიერის მოსაზრებას, მაგრამ არაიშვიათად იგი მაინც საერთოდ მსჯელობს, ხოლო დასკვნა მეტისმეტად მკაცრი გამოაქვს. ჩემი

ფიქრით, ვ. ნოზაძე შეუფერებელი კილოთი აკრიტიკებს რივი ცნობილი რუსთველოლოგის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებზე. იგი უდიერად იხსენიებს ნ. მარს, იუსტ. აბულაძეს, პ. ინგოროყვას, შ. ნუცუბიძეს და ბევრ სხვას. ვ. ნოზაძე საკმაოდ მოურიდებლად ეპყრობა საზღვარგარეთელ ქართველ მეცნიერებსაც (მიხეილ წერეთელს და ზურაბ ავალიშვილს). განსაკუთრებით აჩემებული ჰყავს პავლე ინგოროყვა და შალვა ნუცუბიძე. შ. ნუცუბიძეზე ამბობს, რომ იგი მისი „საყვარელი მეცნიერია", მაგრამ დაუნდობლად კიცხავს და შეუწყნარებელი ეპითეტებით ამკობს. ვ. ნოზაძის სიტყვით, შ. ნუცუბიძემ ვეფხისტყაოსანი გადათარგმნა რუსულად „თავის გემოზე" (გვ. 411). ამ თარგმანით პოემა „მეტის მეტად დაამახინჯა და დასახიჩრებული თარგმანიდან უფრო მეტად დახეიბრებული დასკვნა მოგვცა" (გვ. 412—413). შ. ნუცუბიძის შეხედულებანი ვეფხისტყაოსანზე დამყარებულიაო მის რუსულ „რიოშ და მახიხჯ თარგმანზე", რასაც „ვეფხისტყაოსანთან არაფერი საერთო არა აქვსო" (გვ. 411, 413). ვ. ნოზაძეს დაულაგებია შ. ნუცუბიძის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებანი რუსთველის მსოფლმხედველობის თაობაზე, რის მიხედვითაც რუსთველი გამოდისო წარმართი, ათეისტი, ქრისტიანი (ასსენებსო თვითონ ძე — ღმერთს), პანთეისტი, პანთეისტ-მატერიალისტი... შ. ნუცუბიძე „მკრეხელობსო", მან ჯერ „დაამახინჯა" და „დაასახიჩრა" პეტრიწი და ზედ „მიაყოლა" შოთა რუსთველიო" (გვ. 446). საკვირველიაო, განაგრძობს ვ. ნოზაძე, „როგორ გამოატყვრინა" ნუცუბიძემ ვეფხისტყაოსნიდან „ათეისტური იდეები", როგორ და მან „ვეფხისტყაოსანი რუსულად თარგმნა მრუდედ და ამ ლექსაურ თარგმანში თავისი საკუთარი იდეები ჩაანასკვა; ახლა ამ რუსულ მრუდ თარგმანს რუსულ ენაზევე განიხილავს და რუსულის მკითხველს ისეთ რამეს უმტკიცებს, რომ კაცს თმა (თუ კი აქვს!) ყალყზე დაუდგება!" (გვ. 448). შ. ნუცუბიძე ვეფხისტყაოსანს მის გუნებაზე თარგმნის, „ამახინჯებს, ასახიჩრებსო" მერამდენჯერ იმეორებს ვ. ნოზაძე, მისი თარგმანი არისო „უხამსი", „უბედურება და არა თარგმანიო", ასკვნის (გვ. 449) და თავის ანტინუცუბიძურ კრიტიკას კრავს (გვ. 451) ვაჟა-ფშაველას სტრიქონებით („ბახტრიონიდან"):

არ რადმე მეჯაშნიკება
სიტყვა კოპწი და ლუგუში...

ვეფხისტყაოსნის ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანს ნამდვილად აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები. მთარგმნელი ზოგჯერ მისებურად (და საცილობლად) ააზრიანებს პოემის ტექსტებს და ისე უსადაგებს მათ თავის რუსთველოლოგიურ შეხედულებებს (ამის თაობაზე საკმაოდ მიწერია და აქ ალარ გავიმეორებ). ამისდა მიუხედავად, შ. ნუცუბიძის

თარგმანი ქართულ დედანთან შედარებით მაინც მეტი სიახლოვით გამოირჩევა. ამდენად გადაშარბებულად მეჩვენება ამ თარგმანის ნოზაძისეული უკიდურესად მკაცრი შეფასება.

ვ. ნოზაძე საესებით სწორ მოსაზრებებს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები უნდა შეისწავლოთ მთლიანი ვეფხისტყაოსნის მონაცემთა კვალობაზე და არა ტენდენციურად გამოკრებილი, თუ საგანგებოდ „გამოგლეჯილი“ ცალკეული შაირებისა და ცალკეული ტაეპების მიხედვით. „ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა, — წერს ვ. ნოზაძე, — და, კერძოდ, მისი რელიგიის საკითხი უნდა გამოირკვეს მთლიანად ვეფხისტყაოსანის შესწავლით, მთლიანად ყველა სათანადო შაირის გამოკვლევით და როცა ეს საქმე შესრულებული იქნება, მაშინ მოიმარჯვეთ, ბატონებო, თქვენი ცოდნა კლასიკური თუ არაბული ფილოსოფიისა და ყველა სწავლა, რაც თქვენ მოგეხსენებათ!“ (გვ. 458).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვ. ნოზაძე საქმის კარგი ცოდნით იხილავს და აკრიტიკებს ვეფხისტყაოსნის რელიგიური მსოფლმხედველობის საკითხებზე არსებულ კონცეფციებსა თუ ცალკეულ მოსაზრებებს. „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველების“ დედააზრი ისაა, რომ პოემას თავიდან ბოლომდის მსჭვალავს მართლმადიდებლური ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისი, რომ პოემა მთლიანად და განუხრელად დგას ქრისტიანული აღმსარებლობის ნიადაგზე, რომ ქრისტიანობა და მხოლოდ ქრისტიანობაა პოემისა და მისი ავტორის რელიგია და ფილოსოფია „ხალასი ქრისტიანობა“ (გვ. 387, 403, 406, 454; ასე ამბობდა მკვლევარი „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველებაშიც“, გვ. 206). „ღმრთისმეტყველების“ ბოლოსიტყვაში ავტორი აცხადებდა: „მთელი ეს წინამდებარე ჩემი წიგნი ვეფხისტყაოსანის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ საკითხთა გამორკვევას მიეძღვნა და შეძლებისამებრ დავადგინე, რომ ვეფხისტყაოსნის რელიგია არის ქრისტიანული“ (გვ. 543).

ვ. ნოზაძის მოსაზრებათა თანახმად, ვეფხისტყაოსნის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სავსებით ემყარება დიონისე არეოპაგელის „ბრძენი დივნოსის“ ქრისტიანულ თეოლოგიას. რუსთველმა ეს საგანგებოდ აღნიშნაო თავის ცნობილი შაირით (1492,1): „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“. „აი, ეს შაირი, ამბობს მკვლევარი, არის ვეფხისტყაოსნის რელიგიურ-ფილოსოფიური შეგნებისა და გაგების ბოქლომი“ (გვ. 128). „დიონისიოს არეოპაგიტა და სწორედ მისი რელიგიურ-ფილოსოფიური დებულებანი აქიან ვეფხისტყაოსანში აღიარებული“, წერს ვ. ნოზაძე (გვ. 61) და ამას ასაბუთებს უამრავი კონკრეტული ტექსტობრივი მასალით. წყაროდ გამოყენებულია დიონისე არეოპაგელის თხზულებათა სამსონ ენუქა-

შვილის პუბლიკაცია (თბილისი, 1961), საჭირო შემთხვევებში მოხმობილია იმავე თხზულებათა ბერძნული დედნები და თარგმანები სხვადასხვა ევროპულ ენებზე.

შალვა ნუცუბიძისაგან განსხვავებით, ვიქტორ ნოზაძის ფიქრით, ფსევდო დიონისე არეოპაგელს არ გადაუხვევია ქრისტიანული მოძღვრებისაგან და იგი ერეტიკოსად ვერ ჩაითვლება. ნოზაძე წეროს: „ცნობილია — დიონისე არეოპაგელმა შექმნა მისტიკოსური და ასკეტოსური მოძღვრება, რომელი(ც) ქრისტიანობაში გაბატონებული იყო, მაკარამ რომ დიონისე არეოპაგელი ერეტიკოსი — მწვალებელი ყოფილიყოს, ეს არ არის მართალი და მხოლოდ იმისათვის გამოგონილია, რომ აკად. შ. ნუცუბიძემ გაამართლოს თავისი დებულება, თითქოს მისტიკა და ერესი იყო რენესანსის საფუძველი, მისი გამოძწვეიო" (გვ. 58: კურსივი ავტორისაა, — ა.ბ.). დიონისე არეოპაგელის პრობლემასთან დაკავშირებით ვ. ნოზაძე ადგენს პრინციპულად უდავო დებულებას: „დიონისე არეოპაგელის გარჩევა, გარკვევა და მისი მსოფლმხედველობის დადგენა ჩვენი დროის, ახლანდელი თვალსაზრისით ჯერ-ლად შეუძლებელია. დიონისე არეოპაგელი ისე უნდა იყოს მიღებული და აღიარებული, როგორც ეს ეკლესიაში იყო იმ ჟამად, ანუ ეფეზის-ტყაოსანის დაწერის ხანაში ცნობილი იყო. ეს საანბანო ჭეშმარიტება, რომლის გადახვევა დიდ შეცდომებს იწვევს ეფეზისტყაოსანის მიმართაც. ქართველ რუსთველოლოგოსებს ეს სავალდებულო წესი მხედველობაში უნდა ჰქონდეთ მიღებული" (გვ. 435). ამ სწორ პრინციპულ დებულებას მკვლევარი შემდეგსაც ურთავს: „ეფეზისტყაოსანში მოხსენებული დიენოსი, ანუ დიონისე არეოპაგელი ეკლესიის მიერ წმიდანად იყო აღიარებული და გამოცხადებული... ქართული ეკლესია დიონისეს «მწვალებელად» არა სთვლიდა და არც შეეძლო იგი «მწვალებლად» მიეჩნია, რადგან არც ერთ ეკლესიას ასეთი შეხედულება არ გამოუთქვამს" (იქვე). შოთა რუსთველი, რასაკვირველია, ისე აღიქვამდა დიონისე არეოპაგელს, როგორც მას XII საუკუნის ქართული ეკლესია აღიარებდა. რამდენადაც ქართული ეკლესიისათვის დიონისე არეოპაგელი ქრისტოლოგიური თეოლოგიის ეკვმიუტანელ აღმსარებლად იყო მიჩნეული, ასეთად დარჩებოდა იგი რუსთველისთვისაც. ეს არ უნდა იყოს სადავო.

ნუცუბიძე — ჰონიგმანის თეორია ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობაზე „შეიძლება სწორი იყოსო", ამბობს ვ. ნოზაძე, „მაგრამ ეს მოსაზრება უეჭველობით არ არის დამტკიცებულიო" („კავკასიონი", XI, გვ. 19).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვიქტორ ნოზაძემ განავითარა, ახალი მასალების მოძმობით გაალრმავა და განამტკიცა კორნელი კეკელიძის მიერ ადრეულ გამოთქმული მოსაზრებანი ეფეზისტყაოსანში გამოხატული

ქრისტიანული აღმსარებლობის თაობაზე. მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ნოზაძე ერთგვარად აზვიადებს ვეფხისტყაოსნის თეოლოგიური მხარეებს. ნოზაძის ნააზრევით, რუსთველი გამოიცურება მართლმადიდებლური ქრისტილოგიის ორთოდოქსდოგმატიკოსად. ნოზაძის „ღმრთისმეტყველების“ პოზიტიური ნაწილებია ბიბლიური წიგნებისა (ძველი და ახალი აღთქმის წიგნების) და ვეფხისტყაოსნის პარალელური ადგილების დაძებნა და საინტერესო ინტერპრეტაცია ვეფხისტყაოსნის ისეთი რთული გამოთქმებისა, როგორიცაა, მაგალითად, „ერთარ-ებისა ერთისა“, „მზეხატი ღმრთისა“, „მზიანისა ღამისა“, „სიკვდილითა ორითა“, „საზღვართა დაუსაზღვრავს“, „მას საუკუნესა“, „სავლება ყოველთა“ და სხვანი.

ვ. ნოზაძე საბუთიანად უარყოფს მისეულ წერილის შესწორებას: ნაცვლად „მზიანისა ღამისად“ — „მზიარისა სამისად“ (გვ. 71: ავტორი არ იცნობდა კეკელიძისეულ შესწორებას — „მზიანისა სამისად“). ვითომდა აქ წმინდა სამება იგულისხმებაო. თავის მხრივ იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებას (იმოწმებს მის კამათს პ. ინგოროყვასთან: „მნათობი“, 1927, გვ. 200; ღმრთისმეტყველება, გვ. 271) და წერს: „ტყუილია, რომ ვეფხისტყაოსანი არ ახსენებს სამებას; პოემაში ნათქვამია, რომ მზე ხატია „ერთარსებისა“ ღვთისა: თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში „ერთარსება“ (იმპლისიტე) ჰგულისხმობს „სამებას“, ისე ძას არაეითარი აზრი არა აქვსო“.

როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა პირველმა საბჭოურმა კომისიამ შეასწორა ვეფხისტყაოსნის ცნობილი შაირი (507). იყო: „ვნახე, ორნივე (მეფე და დედოფალი) ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა“. გასწორდა: „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“. ე. ი. ნესტანის გათხოვების საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულ თათბირზე ტარიელს დახვდა არა მარტო მეფე და დედოფალი, არამედ კიდევ სამი დიდებული (სამი ხასი). ეს საკითხი ჩვენ განვიხილეთ ერთ წერილში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ (25.3.1962). წერილს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა პოეტი და მკვლევარი ვიქტორ გაბესკირია, კატეგორიული ფორმით უარყო აღნიშნული გასწორება და შეეცადა ტრადიციული წაკითხვის დაცვას (ეს წერილი შესულია ვ. გაბესკირიას თხზულებათა კრებულის მესამე ტომში, თბილისი, 1974, გვ. 413—422). ამ პაექრობას გასცნობია ვ. ნოზაძე. ის გადაჭრით უჭერს მხარს ჩვენს პოზიციასდა წერს: „დიახაც მესიამოვნებოდა ასეთი მტკიცება, რომლის ძალით ამ ლექსში ერთ-არსება სამპიროვან ღმერთად არის დანახული და მომეცემოდა ჩემი დებულების გასამაგრებელი ზედმეტი საბუთი, ოღონდ ეს ასე არ არის. ვეფხისტყაოსანის კვლევისას ხშირად ხდება, რომ მკვლევარი ავისი წარმოდგენით გატაცებულია და ამ თავის აზრს ეძებს იქ, სადაც

მას არ შეუძლია იგი მიაგნოს და ამიტომ იძულებული ხდება თვით ვეფხისტყაოსანის გასარჩევ ადგილს თავის საკუთარი აზრი მოახვიოს, ამ სულ მარტივად: თავის ფანტაზიას ფართო ასპარეზი დაუთმოს. აქ ის შედეგია ლექსის წვალება და წამება! ასეთი შემთხვევა აქაც გვაქვს" (გვ. 458—459; კურსივი ავტორისაა, ა. ბ.).

ვ. ნოზაძე ასევე დამარწმუნებლად და გააზრიანებულად იცავს 879 სტროფის მესამე ტაეპის დადგენილ ტექსტს: „უბოროტო ვის ასმია რაც-ა კარგი საეშმაკო". იგი ემხრობა პოემის 1937 წლის გამოცემის რედაქციას: „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა არს აღსებისად" (552,2) და შესაფერისად მის ინტერპრეტაციას" („ღმრთისმეტყველება", გვ. 490—491).

მისი თხოვნის თანახმად, ჩვენ მივაწოდეთ ვიქტორ ნოზაძეს მასალები ვისრამიანსა და ვეფხისტყაოსანში დამოწმებული ერთი თავისებური გამოთქმის შესახებ — მას საუკუნოსა/საუკუნესა და ის აზრი გამოვთქვით, რომ „ქართული «მას საუკუნესა» ჩვეულებრივად უდრის სპარსულის «იმ ქვეყანაშია», საიქიოში. (ვისრამიანში) აზრი სისწორითაა გადმოცემული, ტერმინი კი მართლაც ქართველი მთარგმნელისაა და, შეიძლება ითქვას. ერთგვარად ქრისტიანული აღმსარებლობის იერი დაჰკრავს". ვ. ნოზაძემ დიდი მადლობა გამოგვიცხადა მასალების მიწოდებისათვის, ძლიერ გაზვიადებულად წარმოაჩინა ჩვენი პიროვნება („ჩინებული რუსთველოლოგოსი და ქართული ლიტერატურის მაღალ ხარისხოვანი მეცნიერი"), მაგრამ ტაქტიანად შემოგვედავა და შეგვიშნა, ვისრამიანის გამოთქმას „მას საუკუნესა" არამც თუ „ქრისტიანობის აღმსარებლობის იერი დაჰკრავს", არამედ იგი არის საესებით ქრისტიანული ცნება, როგორც ეს არის თვით ვეფხისტყაოსანში" („ღმრთის მეტყველება", გვ. 408—409).

ვიქტორ ნოზაძე უარყოფს ვეფხისტყაოსნის გარშემო იდეური ბრძოლის არსებობას. საოცარი ის არის, რომ ის იცავს ბერმონაზვნების მხრივ პოემის უარისმყოფელობას. „ღმრთისმეტყველებაში" ვკითხულობთ: „სრულებითაც არ არის გასაკიცხი და ქოქოლა დასაყრელი ის ორიოდე სასულიერო პირი და ისიც ბერმონაზონი, თუ რუსთაველს უარსა ჰყოფდა და ჰგმობდა" (გვ. 14). ამას დართული აქვს საგანგებო შენიშვნა: „ამგვარი მოვლენა სხვაგანაც ყოფილა და უფრო ხშირად ძალიან ხშირად, ვიდრე ეს საქართველოში იყო!" მერმე რა? განა ვეფხისტყაოსნის უარისმყოფელებსა და მგმობართ ის გაამართლებს, ანდა მდგომარეობას შეუმსუბუქებს, რომ ანალოგიური ფაქტები სხვაგანაც ყოფილა? უცნაური ლოგიკაა! ამიტომ არ გვიკვირს, რომ ჰრიზლოგის „კვლა აქაცა ეამების" კომენტარის შემდეგ მკვლევარი ასკვნის: „ამგვარად, რუსთაველი აღიარებს სამონასტრო პოეზიას, რომელიც საამებელია აგრეთვე გამგები საერო საზოგადოებისათვის" (ეგ.

432); კურსივი ჩვენია, ა. ბ.). არა! რუსთველის პოეზია სიცოცხლის, სიყვარულის (ამქვეყნიური სიცოცხლის სიყვარულის), სილამაზის, ძლიერების პოეზიაა! ჰუმანიზმის, მაღალი ჰუმანიზმის პოეზია! ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ვ. ნოზაძის მოსაზრებას, რომ: „შოთა რუსთაველმა და მისმა ქმნილებამ — ვეფხისტყაოსანმა — ამ განუზომელმა და უღრმესმა ქართულმა სიბრძნემ — მეთორმეტე საუკუნის ქრისტიანულ სამშობლოს წინაშე უძვირფასესი და უუმდიდრესი ქრისტიანული ხარკი გადაიხადა“ (გვ. 436; კურსივი ჩვენია, ა. ბ.). მაგრამ ღიდი მანძილი ძევს „ქრისტიანულ ხარკსა“ და სამონასტრო პოეზიას შორის ჩვენ არც იმას ვიზიარებთ, რომ სხვაგან ვ. ნოზაძე აღნიშნულის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს. ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ „მიჯნურთმეტყველებაში“ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ვეფხისტყაოსნით ასახული საზოგადოება „ქრისტიანულია თავისი ზნეჩვეულებით. მაგრამ არა ბერ-მონაზნური ასკეტოსური ცხოვრებით, არამედ თავისუფალი, ჩვეულებრივი, ზოგად ქრისტიანული ზნით წარმოდგენილი“ (გვ. 371)

საინტერესო და ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი აქვს ვ. ნოზაძეს გამოთქმული რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხებზე. ჯერ ის სამართლიანად აკრიტიკებს საკმაოდ მყარად დამკვიდრებულ შეხედულებას შუასაუკუნეებზე, როგორც მხოლოდ „ბნელეთით მოცულ გონებრივ ცხოვრებაზე“. „შუა საუკუნეთა ხანა, წერს ვ. ნოზაძე, მარტო ბნელეთი არ ყოფილა; იქაც დღე და ღამე განათლებისა ერთმანეთს ენაცვლებოდა“ (გვ. 457). ვეფხისტყაოსნის კვლევასთან დაკავშირებით „დიდი მოწონება“ აქვსო „შეხედულებას, რომლის თანახმად საქართველოს კულტურის განვითარებამ მეთორმეტე საუკუნეში ორი-სამი საუკუნით ევროპის განვითარებას გაუსწრო და, კერძოდ, «მოდაში» არის ის დებულება, რომლის მიხედვით: რუსთაველი რენესანსისა და ჰუმანიზმის წინამორბედად არის დასახული“ (გვ. 463). ავტორი აღიარებს, რომ პირობითად ასეთი მოსაზრება მასაც აქვს გამოთქმული: „მეც მითქვამს განა და დამიწერია კიდეც: რუსთაველმა რამოდენიმე საუკუნით გაუსწრო ევროპის ჰუმანიზმს-მეთქი“ (გვ. 164). არსებითად კი, ვ. ნოზაძის აზრით, „საქართველოს კულტურის ისტორიაში არც რენესანსი და არც ჰუმანიზმი არ არსებობდა, ვინაიდან მას ეს არ ესაჭიროებოდა: აქ ქართულ კულტურას არც კლასიკური ფილოსოფია — თეოლოგიის გზითაც — და არც კაცის ინტერესების ცხოვრების ცენტრში ყოფნა არ მოჰკლებია, ხან სუსტად, ხან ძლიერად, დროთა ვითარებათა მიხედვით“ (გვ. 464—465). ვ. ნოზაძე ამბობს, რომ დასავლეთმა ევროპამ განვითარების საკუთარი გზა განვლო, იქ თავის დროზე კანონზომიერად მოხდა აღორძინება („ხელახლად შობა“) ანუ რენესანსი ძველი კულტურისა და ჰუმანიზმისა, შუა საუკუნეებში იქ «სქელად ნაცარწაყრილი იყო» ძველი ბერძნული, კლასიკური კულტუ-

რაო (გვ. 463).. აღმოსავლეთში, საზოგადოდ, კერძოდ, ბიზანტიაში დ.. საკუთრივ, საქართველოში სხვაგვარი იყო ისტორიული ვითარება. აქ მთლიანად ადრეულ შეწყვეტილა ანტიკური კულტურის ტრადიციები. არც საქართველოს, არც ისლამის მრავალ ქვეყანას რენესანსი არა ჰქონია და ეს სრულიად უბრალო მიზეზისა გამო — სარენესანსო არაფერი იყო, რადგან ბერძნული კლასიკური კულტურა აქაც, ავად თუ კარგად, ყოველთვის ცოცხლობდა“ (გვ. 463). საკამათო და სადავო წამოყენებულ დებულებებში ცოტა როდია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თვითონ ძირითადი დებულება უთუოდ საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი.

სავსებით სწორია ვ. ნოზაძის მოსაზრება, რომ რუსთველისეული სიყვარულის კონცეფცია უფრო ცხოვრებისეულია, ვიდრე იტალიური ადრეული რენესანსის უდიდესი წარმომადგენლის დანტეს კონცეფცია, „რომ ტარიელის ასე ცოცხლად დახატული სიყვარული, ისეთი მარადიული სიყვარული, რომელიც საიქიოშიც გრძელდება სამუდამოდ, სრულებით არ ჰგავს დანტეს სიყვარულს ბეატრიჩესადმი“ („ღმრთისმეტყველება“, გვ. 411). ვ. ნოზაძე სხვაგანაც მშვენივრად ამბობს: „დანტე რელიგიური დოგმის სიმკაცრითა და პირქუშობით მოკლულ, ან მკვდარ შეკვარებულთ ჯოჯოხეთში აგზავნის, ხოლო რუსთაველი და ქართველი ხალხი ამ სოფლად დაღუპულ შეყვარებულთ ზეცაში სიხარულის მინიჭებას აღუთქვამენ“ („მიჯნურთმეტყველება“, გვ. 193. მაგრამ ნაკლებად უმართებულოა ის ბრალდება, რასაც დიდად პატივცემული ბატონი ვიქტორ ნოზაძე მიაწერს ქართველ საზოგადოებას საერთოდ, კერძოდ კი ქართველ მეცნიერთა საზოგადოებას. ის წერს რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში („კავკასიონი“, XI, 1966): „დანტეს შვიდასი წლის თავზე მისი მღვიძე ქრისტიანობა ყველამ აღნიშნა. რუსთაველის რვაასი წლის თავზე თბილისში, რუსთაველის ქრისტიანობაზე კრინტსაც არ დაძრავენ, მაგრამ აქ, პარიზში მაინც, ეს უნდა ითქვას და უნდა ვაქოთ და ვიდოთ რუსთაველი, როგორც დიდი მორწმუნე, ვით დიდი და მღვიძე ქრისტიანი“ (გვ. 111).

რასაკვირველია, სწორია ვ. ნოზაძის დებულება, რომ რუსთველი ერთმანეთს არ უპირისპირებს ღმერთსა და ქვეყანას; მის პოემაში ბალანსმულია, რომ ღმერთსა და ქვეყანას შორის სუფევს „ჰარმონია“ („ღმრთისმეტყველება“, გვ. 236). ასევე სწორად აქვს მკვლევარს გაგებული პოემის ვეფხის მნიშვნელობა, როგორც პანთერისა, ლეოპარდისა, რუსულად „ბარსისა“ (ნ. მარის მიხედვით. იქვე, გვ. 259; კავკასიონი, XI, გვ. 35—36.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა აქ და სხვაგანაც დამოწმებულ ჟურნალ „კავკასიონზე“ (XI, 1966), რომელშიც გამოქვეყნებულია საზღვარგა-

რეთ ბოლოვაწე ქართველ მეცნიერთა და მწერალთა საუურადღებო ხარკვევები, რეცენზიები, შენიშვნები, მოგონებანი, ლექსები. მთავარი გამოკვლევის ავტორია ჟურნალის თვითონ გამომცემელი — რედაქტორი ვ. ნოზაძე. სხვადასხვა რუსთველოლოგიურ საკითხებს იხილავენ აკაკი პაპავა, რაჟდენ არსენიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, გიორგი გამყრელიძე, დავით ვაშაძე, გიორგი წერეთელი. მიხა მწყემელი. კრებულში აკაკი პაპავას ორი წერილია დაბეჭდილი. 1. „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“ (გვ. 129—134), 2. მადლიანი მჩხრეკელი (ბიბლიოგრაფიის მაგიერ). გვ. 141—147. პირველ წერილში ავტორი ძირითადად იხილავს პაველ ინგოროყვას რუსთველოლოგიურ ნაშრომებს, დიდად აფასებს ავტორის ღვაწლს, აცხადებს: „ძთავარი მომენტები შოთა რუსთაველის ცხოვრებისა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ ბურუსიდან გამოიტანაო“ (გვ. 134). მეორე წერილი მის ავტორს გამოსაქვეყნებლად გაუგზავნია კახაბერის ხელმოწერით. „მადლიანი მჩხრეკელი“ (რომლითაც დასათაურებულია ნაშრომი) ვიქტორ ნოზაძეა. ეს ნაშრომი რეცენზიაა (ბიბლიოგრაფიის მაგიერია) ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაზე“. რეცენზიის ეპიგრაფა წინათქმა ავტორისა: „ვიქტორს სალამი. შენი წიგნის გარჩევა განზრახული მქონდა უფრო ვრცლად გამეშალა. შემეშინდა — ბევრ ადგილს დაიჭერს — მეთქი (იქნებ კიდევ მოვუბრუნდე ამ დიდად საინტერესო შრომას). გადაწერაც ვერ მოვახერხე და შენი მიმხვღურობის დიდი იმედი მაქვს. მოგიკითხავთ ყველანი. დამიმოწმე მილება. შენი აკაკი“. საუბედუროდ, აკაკი პაპავას ამ ნარკვევის გამოგზავნაც ვერ მოუსწრია (ცხოვრობდა ბუენოს აირესში). უეცრად გარდაცვლილა. იგი ნოზაძისათვის მიუწვდენია აკაკი პაპავას მეუღლეს, ცნობილ მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწე მანდილოსანს თამარ პაპავას. ნარკვევს ახლავს მისი „მინაწერი“: „ეს ნარკვევი დაამთავრა აკაკიმ (1964 წლის) 27 ივნისს. საღამოს ცხრა საათზე და 28 ივნისს კი საღამოს 9 საათზე დალია სული ლომასის ავტობუსში. რა ამოსწურავს ჩემს მწუხარებას“.

აკაკი პაპავა „ჩინებულ“ გამოკვლევას უწოდებს ვ. ნოზაძის სარეცენზიო მონოგრაფიას. მთლიანად და სავსებით იზიარებს მონოგრაფიის კონცეფციას ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თაობაზე. ვიქტორ ნოზაძემ დიდძალი ფაქტებით და გულმოდგინე კვლევა-ძიებით „დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ეროვნული ბოლოვანი პოემა (ვეფხისტყაოსანი) არის ქართული, ქართულ ნიადაგზე, ქართულ სინამდვილეში აღმოცენებული და ძვირფასად გაფურჩქნილი უჭკნობი მცენარე“ (გვ. 146). ა. პაპავას სიტყვით, ვ. ნოზაძე „მართებულად ესხმის თავს პოწინააღმდეგეთ, რომელთ ნათელ პრობ-

ლემებში საკმაოდ ბევრი ბუნდოვანობა და შეიძლება დავუმატოთ, არევდარევაც შეაქვთ...“ (გვ. 146). კრიტიკოსს ცალკე გამოუყვია ერთი ნაწილი ინგოროყვა. ვ. ნოზაძე, წერს პაპავა, „კვლავ უბრუნდება მკვლევარ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას“ და მისი კონცეპცია სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია“, კვლავ „ლამაზ ზღაპარს“ უწოდებს ამ კონცეფციას. ა. პაპავას ფიქრით, ვ. ნოზაძის ეს სკეპტიციზმი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი არ იცნობს პ. ინგოროყვას ახალ გამოკვლევას — „რუსთველიანას ეპილოგს“, ეს უკანასკნელი კი, ჩვენის აზრით, „ბევრად უფრო დამაჯერებლად ხდის იმ დებულებას, რაც მეცნიერმა პ. ინგოროყვამ «რუსთველიანაში» წარმოადგინა“ (გვ. 145). ერთადერთი, რაც პ. ინგოროყვას კონცეფციიდან არ გამართლდაო, შენიშნავს ა. პაპავა. ეს არისო რუსთველის მანიქეველად მიჩნევა: „ამ ნაწილში ჩვენი მხცოვანი მეცნიერი შეცდა, როგორც მრავალჯერ შოთას საკითხში შეცდა დიდი მეცნიერი ნ.მარიო“ (გვ. 146).

ა. პაპავას რეცენზიას ვ. ნოზაძემ დაურთო სპეციალური „შენიშვნები“. აქ გაცხადებულია, რომ იგი კარგად იცნობს პ. ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგს“, მაგრამ მისი შეხედულება ოდნავაც არ შერყეულაო. ვ. ნოზაძის „შენიშვნებში“ ნათქვამია: „გულდასმით წავიკითხე მკვლევარი პ. ინგოროყვას, როგორც „რუსთველიანა“. რომელს არა ერთჯერ შევეხე ჩემს ნარკვევებში და გულისყური არ დამიკლია მისი უკანასკნელი ნარკვევისათვის — „რუსთველიანას ეპილოგი“. სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად და პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგიც“ ჩემთვის არის მხოლოდ «ლამაზი ზღაპარი» და ეს თავისი სილამაზით პიოველ ზღაპარს უთუოდ სჯობნის“ (გვ. 147; კურსივი ავტორისაა, — ა. ბ.).

თავის რეცენზიაში აკაკი პაპავა აღიარებს, რომ საქართველოში „ჩვენდა საბედნიეროდ, უნდა ითქვას, დიდად გაცხოველებული ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა“ არის გაჩაღებული რუსთველოლოგიის სფეროში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც დააარსესო“ (გვ. 141). ამას მკვლევარი დიდი გულისტკივილით ურთავს, რომ „იქ“ გამოქვეყნებული თუ მუზეუმებსა და არქივებში დაცული მასალები ემიგრანტებისათვის ხელმიუწვდომელი რჩება. საზღვარგარეთელ ემიგრანტს, ჩივის ა. პაპავა, „იმის საშუალებაც კი მოკვეთილი აქვს, რომ ან უნივერსიტეტს, ან რომელიმე საკვლევო-ინსტიტუტს, თუ მის თანამშრომელს, ან რომელიმე მეცნიერს შეეკითხოს წერილობით და სთხოვოს ამა თუ იმ ამონაწერის მიღება და სხვა, სათანადო ხარჯის გაღებით. ყოველი ასეთი ცდა სამარისებური სიჩუმით გვირგვინდება და — შეიძლება — დიდი უსიამოვნებით ადრესატისათვისო“ (იქვე. ასეთივე დაბრკოლებების მიუხედავად, ზოგი რამ საქართველოდან მაინც აღწევს ჩვენამდისო, აღნიშნავს ა. პაპავა და იმოწმებს ორ კონკრეტულ

ფაქტს. მას მიუღია ვიქტორ ნოზაძის სადიდებელი ოთხტაეპიანი ხელმოუწერავი ლექსი:

პატივცემულ ვიქტორს,
რუსთაველის დიდ მოამაგეს

რუსთველის სიტყვის იცი მიგნება,
ღრმად სწვდები აზრებს, შოთას დანათესს,
საქართველოში შენმა წიგნებმა
ვარსკვლავებივით შემოანათეს
24.2.62. თბილისი.

„ჩვენ დიდის ინტერესით ველოდებით ქართველ რუსთველოლოგთა გამოხმაურებას ავტორის (ე. ი. ვიქტორ ნოზაძის, ა. ბ.) ამ დიდ სახპატივო შრომაზე, ამ მაღლიან კვლევა-ჩხრეკაზე, — წერს ა. პაპავა და განაგრძობს, — უკვე მივიღე ერთი სასიამოვნო ცნობა: 29 მაისს 1964 წლისა უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხული იქმნა ვრცელი დადებითი რეცენზია დრ. ვიქტორ ნოზაძის მეხუთე წიგნზე („ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“) და თუ ის გამოქვეყნდება, მაშინვე გააცნობთო“ (გვ. 146). „მადლობელი ვარ ამ ცნობისათვისო“, იქვე მიუწერია ვ. ნოზაძეს.

მეც სიამოვნებით მინდა დავადასტურო, რომ აკაკი პაპავას მიერ პარიზში გაგზავნილი ცნობა სწორია და შეეხება სწორედ ჩემს მოხსენებას, რომელიც წავიკითხე თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე 1964 წლის 25 მაისს — „ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის შესახებ“. ამ მოხსენება-რეცენზიის დაბეჭდვა მაშინ, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. იგი შემოკლებული სახით მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (7.7.87).

1960 წლის 4 აგვისტოს ვიქტორ ნოზაძე მწერდა სანტიაგოდან (ჩილედან): „დიდებული საქმე წამოუწყია თქვენს ინსტიტუტს: ვეფხისტყაოსნის ვარიანტთა სრული კრებულის გამოქვეყნება. უმორჩილესად გთხოვთ მომაწოდოთ ეს გამოცემა“. რასაკვირველია, თხოვნა შევეცადე და ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და ძირითად ბეჭდურ გამოცემათა ხუთივე წიგნი დროულად გავუგზავნე. ამის თაობაზე გ. ნოზაძე გახარებული წერდა: „მადლობა ღმერთს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ვეფხისტყაოსანის ვარიანტებიო“ (კავკასიონი. XI. გვ. 48), მაგრამ მკაცრად (და სამართლიანად!)დაგვეტუქსა: „ეს საგმირო საქმე ამგვარი დიდი გამოცემისა შესრულებული არის! მაგრამ რა! ამდენი იმუშავეს. ამდენი იღვაწეს, ასეთი დიდი საქმე გააკეთეს. დაუფასებელი შრომით საჭირო და აუცილებელ გამოცემას ხორცი შეასხეს და... სამწუხაროდ უნდა აღვიარო. რომ ამ ძვირფას თაფლში ფი-

სი ჩაურიეს და კარგადაც ათქვიფეს იგი!“ (გვ. 123). ვ. ნოზაძე აცხადებს, რომ გამოცემის ორგანიზატორებმა დაარღვიეს ძეგლის გამოცემის მიღებული წესი და „სრულიად უკანონოდ, თვითნებურად გააძევეს ტექსტიდან ასოები ჯ, ჳ, უ (უმარცვლო), ѧ...“ (იქვე). რაც მართალია, მართალია, ორთოგრაფია გავამარტივეთ, ანგარიში არ გავუწიეთ იმას, რომ ჯ-არითა და ხანით დაწერილი ერთი და იგივე სიტყვა მნიშვნელობით ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგ., სხვაა ჯელი (სხეულის ნაწილი, რუსული „рука“) და ხელი (შმაგი). ჩვენ ვაფასებთ ვიქტორ ნოზაძის აღსარებას „პირუფერებლობა იყო ჩემი სახელმძღვანელო“ პრინციპიო (კავკასიონი, XI, გვ. 111), მაგრამ დაუმსახურებლად. უმართებულოდ და უადგილოდ გვეჩვენება მისი გამომწვევი ირონიული მსჯავრი: „ასეთი დიდი შრომა, დაუფასებელი მუშაობა და ასეთი მძიმე შეცდომა, რომლის აცილება მეტად იოლი იყო, მართლაც სავალალოა! ალბათ ფიქრობდნენ: ვითარ გამოვცეთ ძველი ტექსტი ისე, როგორც ბეჭდავენ საერთოდ «დამპალი დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიული მეცნიერებიო!“... საგოდებელია!“ (იქვე, გვ. 124, კურსივი ჩემია, ა. ბ.). თქმულს იმას დავძენთ, რომ აღნიშნული შეცდომა უკვე გამოსწორებულია ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ შედგენილი ვარიანტების ნუსხით.

1988

ვენორ ქვაჩახიას მონოგრაფიის გამო

გავეცანით განსვენებულ ვენორ ქვაჩახიას მონოგრაფიულ ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის საიდუმლო ანუ ანდერძი რუსთაველისა“ (მანქანაზე გადაბეჭდილი 281 გვ., 1980 წელი).

ვ. ქვაჩახიას ამ თავის მონოგრაფიაზე ხანგრძლივად და ბეჯითად უმუშავია. მოუსწრია მისი დამთავრება (ვ. ქვაჩახია გარდაიცვალა 1982 წლის 13 მარტს). ჩვენს განკარგულებაში მყოფი ტექსტი გაფრანდავია, გაუსწორებელია, შეიცავს ცალკეულ ლაკუნებს, უნებლიე ლაფსუსებსა და კორექტურულ შეცდომებს. ბეჭდურად გამოქვეყნებულა მონოგრაფიის მხოლოდ ერთი თავი — „ჯდა მტირალი წყლისა პირსა ანუ რუსთაველის ხელოვნება“ (საბჭოთა ხელოვნება, 1981, № 5, გვ. 79—84).

ვ. ქვაჩახიას მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი „დაშიფრული“ მსატვრული ძეგლია, რომელშიც „გასაიდუმლოებული“ შინაარსია ჩაქსოვილი. რუსთველის პოემაში „დიდი საიდუმლოა დაშიფრულიო“. მკვლევრის სიტყვით, ეს საიდუმლო სახიფათო ყოფილა ნაწარმოებისათვის,

საიდუმლოს უდროოდ გამქრალებება მას დაღუპავდაო კიდევაც. რუსთველს ვეფხისტყაოსნის ტექსტი ისე დაუმუშავებია, რომ, „ბოლოსტაბოლოს საიდუმლოს ამოხსნა ანუ დაშიფრულის გაშიფვრა შესაძლებელი ყოფილიყო". პოეტს ღრმად სწამდაო, რომ: „დიდი დროის გავლის შემდეგ ამოიხსნებოდა საიდუმლოც და ახლა უკვე ეს არ იქნებოდა საშიში ნაწარმოებისათვის". ვეფხისტყაოსნის საიდუმლოს ამოცნობა სამერმისო ამოცანად დაუტოვებია მის გენიოს ავტორს. და, აი, დადგა დრო და ჩვენს თანამედროვე მკვლევარს, ვენორ ქავაჩახიას, სრულუყვია რუსთველის ანდერძი. თითქოს მოუხერხებია „დაშიფრულის გაშიფვრა" და ამოუხსნია საუკუნეების მანძილზე შეუცნობლად შთენილი საიდუმლო უკვდავი პოემისა.

ვ. ქავაჩახია პირველი არაა, ვინც ვეფხისტყაოსანს დაშიფრულ ნაწარმოებად თვლის და ვინც სცადა დაშიფრული ტექსტის ამოხსნა. ამ მხრივ პრიორიტეტი ეკუთვნის ცნობილ რუსთველოლოგ პაველ ინგოროყვას. პ. ინგოროყვას შეხედულებითაც, „ვეფხისტყაოსანი" ისტორიული შიფრის შემცველი ნაწარმოები ყოფილა[1]. ხოლო „ამოცნობა ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრისა — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა პოემის სხვა საკითხთა შორის", რადგანაც „იგი იძლევა ვეფხისტყაოსნის პრობლემის ნამდვილ გასაღებს[2]. დამოწმებული ტექსტი სრულიად უცვლელად განმეორებულა პ. ინგოროყვას თხზულებათა კრებულის I ტომში, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა და ძირითადად ეძღვნება რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას[3]. საგულისხმოა ის, რომ ორივე ავტორი (პ. ინგოროყვა და ვ. ქავაჩახია) იყენებს კვლევის ერთნაირ მეთოდს. ორივე იჩემებს დაფარულის (დაშიფრულის) ამოხსნის პატივს, თუმცა გვთავაზობენ სულ სხვადასხვა დასკვნებს.

ვ. ქავაჩახიას კონცეფციის თანახმად, რუსთველმა თავის პოემაში აგვისახა მკვეთრად დაპირისპირებული ორი სამეფო კარის (სამეფო ოჯახის) ცხოვრება — არაბეთისა (როსტევანისა) და ინდოეთისა (ფარსადანისა). ვ. ქავაჩახია ვეფხისტყაოსნის მთავარ ამბად თვლის ინდოეთის ამბავს. მთავარ გმირებად ნესტანსა და ტარიელს. მთელი მონოგრაფიის მანძილზე მკვლევარი ბეჯითად ცდილობს დაამტკიცოს, რომ როსტევანი და მისი ოჯახი (სახელმოუხსენებელი დედოფალი, თინათინი, აგრეთვე ავთანდილი) სიკეთის გამომხატველია. ფარსადანი და მისი ოჯახი (სახელმოუხსენებელი დედოფალი, დაი დავარი) კი ბოროტების ბუდეა. ბოროტების განსახიერება. როგორც ცნობილი ვეფხისტყაოსანი ავითარებს კეთილისა და ბოროტის ბრძოლის იდეას. ვ. ქვა-

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, თბილისი, 1938. გვ. 17.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, შოთა რუსთაველი. 1938. გვ. 17—16.

[3] დასახ. კრ., I ტომი, გვ. 415.

ჩახიას თვალსაზრისით. „ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაში ბოროტის ადრესატად ფარსადან მეფე და მისი კარია გამოყვანილი". „ფარსადანია გამოყვანილი ბოროტ ძალადო", არაერთგზის იმეორებს მკვლევარი. ფარსადანის შესახებ არის თქმულიო „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა" (გვ. 238). ვ. ქვაჩახიას დახასიათებით, ფარსადანი ცრუა, უტიფარი. მატყუარა, გულავი, გულბოროტი. ინტრიგანი, მუხანათი, მოღალატე... ფარსადანის სამეფო კარზე გაიბა საშინელი ინტრიგის ქსელი, ინტრიგის მოთავენი იყვნენ მეფე და დედოფალი (212—213). ეს ინტრიგა მიმართული იყო ტარიელისა და ნესტანის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ ვ. ქვაჩახიას ვარაუდით, ინდოეთის მეშვიდე მცირე სამეფოს მფლობელი სარიდანი ვითომ იმიტომ შეეწყნარა ფარსადანს, რომ იცოდაო მისი უშვილობის ამბავი და იმედოვნებდა, რომ ინდოეთის გაერთიანებული სამეფო ტახტი ტარიელს დარჩებოდა (217—218). „მიუხვდა თუ არა ფარსადანი სარიდანსო", კითხულობს ვ. ქვაჩახია და იქვე პასუხობს: „ფარსადანმა თავიდანვე ყველაფერი კარგად გაიგოო" (218). თურმე ამ დროიდან იწყება ფარსადანის ინტრიგა. იგი ცდილობსო თავიდან აიცილოს ტარიელის (აგრეთვე იმთავითვე გამოვლენილი) პრეტენზიები ინდოეთის სამეფო ტახტზეო. ვ ქვაჩახია იმასაც კი დასაშვებად თვლის, თითქოს ფარსადანმა განგებ მოიწვადინა ტარიელისათვის ენახვებინა თავისი ქალი (225), ე. ი. თითქოს მეფემ გარკვეული უკეთური განზრახვით თვითონ შეუწყო ხელი ტარიელისა და ნესტანის გამიჯნურებას. მეფემ და დედოფალმა კარგად იცოდნენო, ამტკიცებს ვ. ქვაჩახია, ტარიელისა და ნესტანის ერთგულების ამბავი (203—204). ფარსადანმა „იცოდა, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთი თავდავიწყებით უყვარდათო", წერს ვ. ქვაჩახია. მაგრამ „არაფერი ანგარიში არ გაუწიეს მეფემ და დედოფალმა ახალგაზრდების ამ უდიდეს გრძნობას, უფრო მეტიც — ფეხქვეშ გათელეს იგი" (204). სწორედ ტარიელისათვის დასაპირისპირებლად მეფემ და დედოფალმა ინდოეთში ზედსიძედ მოიწვიესო ხვარაზმშაჰის ძე. ვ. ქვაჩახიას სიტყვით, ხვარაზმშაჰის ძე გარკვეული იყო ინდოეთის სამეფო კარის ამბებში, ტარიელის მემკვიდრეობის საკითხში (222). ვ. ქვაჩახია შენიშნავს, რომ ხვარაზმშაჰის კარზე „დეტალურად ექნებოდათ შესწავლილი სად აგზავნიდნენ შვილს სასიძოდ" (222). მართალია, ყოველივე ეს ვეფხისტყაოსანში პირდაპირ არ არის თქმული. მაგრამ: „რუსთაველი, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ ჩვენ ამას სწორედ ასე გავიგებთ და ამოვიკითხავთ მისი პოემიდან" (222). აქედან კეთდება დასკვნა — ხვარაზმშაჰის ძის „სიკვდილი ფარსადანისა და დედოფლის ბრალია" არსებითადო (204). ერთი სიტყვით, ინდოეთის სამეფო კარზე მომხდარი ტრაგედია გამოუწვევიათ ფარსადან მეფესა და დე-

დოფალს. მაგათ გააბეს ბოროტი ინტრიგის ქსელი, მათი წყალობით და-
დოფალს .მათ გააბეს ბოროტი ინტრიგის ქსელი, მათი წყალობით და-
იღვარა სისხლი, იმათ მისცეს ჯოჯოხეთურ სატანჯველს ნესტანი და ტა-
რიელი. ინდოეთის მეფემ და დედოფალმა ჩაიდინეს საშინელი ბორო-
ტება, ისინი ასახიერებენ პოემაში ბოროტ ძალებს, ბოროტ პერსონა-
ჟებს. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის განვითარება ისეა წარმართული, რომ
დაძლეული იქნას ეს ბოროტება და გაიმარჯვოს სიკეთემ, გაიმარჯვოს ნეს-
ტანისა და ტარიელის სიყვარულმაო. ამისი ლოგიკური ფინალია „ბო-
როტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". დამარცხდნენ ბოროს-
ტი მეფე და დედოფალი, გაიმარჯვეს სიკეთის გამომხატველმა გმირებ-
მა — ტარიელმა და ნესტანმა.

რაც შეეხება ქაჯეთსა და ქაჯებს, ვ. ქვაჩახიას რწმენით, „ბორო-
ტების საკითხი რუსთაველს დიდებულად გადაუჭრია, წაუფარებია
მისთვის ქაჯეთი, რადგან პირდაპირ ვერ იტყოდა მეფეა ბოროტიო"
(245).

ამრიგად, ვ. ქვაჩახიას კონცეფციით, ბოროტების სავანედ ვეფხის-
ტყაოსანში დასახულია ფარსადანის სამეფო კარი: ბოროტია ფარსადა-
ნი, ბოროტია დედოფალი. ბოროტია „პირდაპირ ქაჯად წოდებული"
მეფის დაი დავარი (245,248). ნესტანი? იგი ხომ ბოროტი მშობლების
შვილია და აღზრდილია ბოროტი მამიდის მიერ. ვ. ქვაჩახია ამბობს:
„უფრო მეტი შესაძლებლობა იყო, რომ ისიც ქაჯი (ე. ი. ბოროტი —
ა. ბ.) ყოფილიყო". მაგრამ მოხდა პირიქით, „ნესტანი გახდა უკეთილ-
შობილესი არსებაო" (იქვე). ვ. ქვაჩახიას ფიქრით, ნესტანი ამაღლდა
მისი საოჯახი წრის ბიწიერებაზე, იგი „აამაღლა სიყვარულმა" (245).

აღნიშნულით არ ამოიწურება ვ. ქვაჩახიას კონცეფციის შინაარ-
სი. იგი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ინდოეთის სამეფო
კარის ამბებში თავისებუროად, „შეფარვით" თამარ მეფის ისტორია ც
არის გამოვლენილი... ნესტანის ამბავში მინიშნებულია ყოველ შემთხ-
ვევაში უმნიშვნელოვანესი დეტალი მაინც მეფე თამარის ბიოგრაფი-
იდან". ეს „უმნიშვნელოვანესი დეტალია" თამარის გათხოვების გა-
რემოება. „თამარი, როგორც ცნობილია, — წერს ვ. ქვაჩახია, — გა-
თხოვეს და ამაში დიდი ღვაწლი მოუძღოდა თამარის მამიდას, რუსუ-
დანს". ეს „მინიშნება" საკარაო, აცხადებს მკვლევარი, თუმცა „არსე-
ბითი განსხვავებებიც" უცილოა თამარისა და ნესტანის ბედ-იღბალშიო:
„თამარის ნება დაიმორჩილეს, ნესტანისა ვერა. ნესტანის მამიდა
არც ჩანს. თამარის მამიდა კი აქტიური იყო. ვერეოდა სასიძოს ჩამოყა-
ნის საქმეში. მინიშნება კი ის იყო და მეტად მწარე, რომ თამარი
განწირული აღმოჩნდა, თავ-ბედი გაუხდა საწყევარი. ნესტანიც გა-
წირეს, ამასთან იმ მამიდამაც გაწირა ულმერთოდ" (233—234). სერთო
აზრია, რომ ვეფხისტყაოსანში გარკვეულად აირეკლა „თამარის პოე-
ტიზირებული სახე". ჯერ კიდევ ბროსემ აღნიშნა ხვარაზმშაჰის ძის

ზედსიძედ მოყვანისა და თამარის გათხოვების ისტორიის „შეთანხმება" XII საუკუნის საქართველოს სინამდვილესთან. რამდენადაც რუსთველს თამარის ამბავი დეტალებშიც კი მინიშნებულად აუსახავს, ამით წყდება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წყაროს საკითხიც და „ასეთი ამბის სხვაგან ძიება უაზრობააო" (275). სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ ანალოგიური დასკვნა გამოაქვს პ. ინგოროყვასაც, რომელიც ამტკიცებს თითქოს „ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია".

ვ. ქვაჩახია ღრმად არის დარწმუნებული მისი კონცეფციის უცილობლობაში, თუმცა შრომის დასკვნით ნაწილში ამ კონცეფციას უწოდებს „მოკრძალებულ ნააზრევს" (272) და „ჰიპოთეზას" (273). ამასთან ერთად, თავისი კონცეფციის გადასარჩენად მკვლევარი იძულებული გამხდარა დაეშვა ვეფხისტყაოსანში ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობის არსებობა. ვ. ქვაჩახია წერს: „რასაც ახლა ვამბობ, ეს გამოტეხილად უნდა ითქვას, რუსთაველის ნააზრევში წინააღმდეგობის აღიარებას ნიშნავს" (გვ. 249, ხაზი ჩემია, ა. ბ.). ამის შემდეგ მკვლევარი აკრიტიკებს თვითონ შოთა რუსთველს: „რუსთველს პოემაში ვერ მოუხერხებია მოეცა მწყობრი სისტემა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავს. მას ღმერთთან მიმართებაში კეთილისა და ბოროტის ახსნა ვერ მოუცია. მკაცრად რომ ვთქვათ, ის რა ახსნაა, თუ საწინააღმდეგოსაც უშვებ" (იქვე). მართლაცდა რუსთველის პოემაში თავიდან ბოლომდე მეფის თაყვანისცემის იდეაა გატარებული. კერძოდ, ტარიელს სიტყვით, მისი პატრონი, მეფე ფარსადანი „ღმრთულებრია" („ღმრთულებრ ძლიერი") და „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცად რბიან". როგორ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ „ღმრთულებრი" მეფე რუსთველმა ბოროტ არსებად წარმოგვისახა? სხვა საქმეა, რომ ყველა ხელმწიფე „ერთგვარი", ერთგვარი ადამიანური ხასიათისა და ბუნებისა როდია.

ვ. ქვაჩახიას კონცეფციას ძირითად საფუძვლად უძევს ორი წანამძღვარი დებულება: 1. ვეფხისტყაოსანში დაპირისპირებული არიან მეფე როსტევანი და მეფე ფარსადანი. აგრეთვე დედოფლები; 2. მეფე ფარსადანისა და მისი მეუღლის საქციელს ამძიმებს ის გარემოება, რომ მათ იცოდნენ ნესტანისა და ტარიელის უზომო სიყვარულის ამბავი, ანგარიში არ გაუწიეს ახალგაზრდების უმწიკვლო გრძნობას, წინ გადაეღობნენ, მოინდომეს მათი გათიშვა და ნესტანის გადამთიელზე გათხოვება.

თუ ფერებს არ გავამუქებთ, არსებითად სწორედ ასეა საქმე წარმოდგენილი ვეფხისტყაოსანში. ოღონდ ორივე დამოწმებული დებულება ადრეც იყო წამოყენებული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში

ში. ფარსადანმა და დედოფალმა რომ ნამდვილად იცოდნენ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის შესახებ, ეს გარკვეული მაქვს წერილში „ნესტანი“, რომელიც პირველად 1944 წელს დაიბეჭდა („ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 269—285) და შეტანილია ჩემი „ნარკვევების“ პირველ ტომში (თბილისი, 1945, გვ. 204—221). აღნიშნული თვალსაზრისი გატარებული მაქვს მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი“. ამ მონოგრაფიის მესამე გამოცემა (თბილისი, 1975) ყოველ შემთხვევაში ვ. ქვაჩახიას ხელთ ჰქონია და სხვა შემთხვევათა გამო ზოგჯერ მას კიდევაც იმოწმებს. ნარკვევში „ნესტანი“ საგანგებოდ შევნიშნავდი, მშობლებს რომ სცოდნიათ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავი, ეს „ჯერ არ გამხდარა-მეთქი მკვლევართა ყურადღების საგანი“ (ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 275). ვ. ქვაჩახია გვერდს უვლის ჩემს ნარკვევებს, თუმცა ჩემს (ისე როგორც სხვა ავტორების) საკენწლავად სიტყვებს არ იშურებს.

ფარსადანისა და როსტევანის დაპირისპირება სხვებსაც აქვთ შენიშნული. კერძოდ, მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ რუსთველმა ერთმანეთს სწორედ მკვეთრად დაუპირისპირა როსტევანი და ფარსადანი (ვიმოწმებ მხოლოდ ბოლო ნაშრომს — „შოთა რუსთველი“, 1975, გვ. 158—160). „პატრონის იდეალურ სახედ ვეფხისტყაოსანში მიჩნეულია როსტევანი“, ხოლო „უსულგულო და უსამართლო პატრონის ტიპს ასახიერებს-მეთქი ფარსადანი“. დასახელებულ მონოგრაფიაში ამასაც ვკითხულობთ: „ფარსადანის განზრახვა (ხვარაზმშაჰის ძე მოეყვანა ზედსიძედ) ერთი მხრით, შეურაცხყოფას აყენებდა ნესტანისა და ტარიელის უმწიკვლო სიყვარულის გრძნობებს, მეორე მხრით, განსაცდელში აგდებდა ინდოეთის ეროვნულ-საზოგადოებრივ ღირსებას, მესამე მხრით, ლახავდა ტარიელის მემკვიდრეობითს უფლებებს... ფარსადანმა მეფური სიტყვა გატეხა, ფარსადანი უსულგულოდ, უკანონოდ და უსამართლოდ მოიქცა“ (გვ. 158—159, ხაზი ჩემია — ა. ბ.) „ფარსადანი უსამართლო და დესპოტი მშობელი გამოდგა-მეთქი, ვამბობდი (იქვე, გვ. 125). როგორც მკითხველი ხედავს, მე არ დამიზოგავს ფარსადანი. მისი ხასიათის მხილებისათვის ბევრი „მაგარი“ გამოთქმაც ვიხმარე. ოღონდ მეფის მოქმედებას მისი სიბოროტით კი არ ვხსნიდი, არამედ კონსერვატიზმით, დრომოჭმული შეხედულებების მიდევნებით, წინდაუხედაობით, პოლიტიკური სიბეცით (გვ. 124—125). „მეფე ფარსადანი, — ვწერდი,—ძველ, დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით ქალს არ ეკითხებოდა საკუთარი ბედ-იღბლის საქმე“ (გვ. 125). ნესტან-ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტს ვთვლიდი და ვთვლი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის გადამწყვეტი მნიშვნელო-

ბის კონფლიქტად (გვ. 125). სამწუხაროდ, ყოველივე ამასაც ნებსით თუ უნებლიეთ ივიწყებს ვ. ქვაჩახია[4].

ამრიგად, ვენორ ქვაჩახია დამარწმუნებლად ვერ ასაბუთებს თავის კონცეფციას ვეფხისტყაოსნის დაშიფრვისა და მისი საიდუმლოს აშოცნობის თაობაზე. შემუშავებული კონცეფციის გასამართლებლად მკვლევარი იძულებული გამხდარა დაეშვა რუსთველის აზროვნებაში სერიოზული წინააღმდეგობის არსებობა და არ მორიდებია უკვდავი პოეტის აშკარა კრიტიკასაც კი. ვ. ქვაჩახია უშვებს მთელ რიგ სხვა შეუფერებელ ვარაუდებს (სარიდანის მოკმედების ინტერპრეტაცია, ფარსადანის ინტრიგები, ხვარაზმშაჰის ძის ზედსიძედ მოწვევის ამბავი...). ნებისმიერია ნესტანისა და თამარ მეფის შეპირისპირებისათვის მოხმობილი პარალელები თუ ანალოგიები. ვერაფრით გამართლდება თუგინდ მინიშნების სახით რუსთველისა და ამ საკითხის თანამედროვე საქართველოს სამეფო კარის (გიორგი მესამის) ბოროტების ბუდედ მიჩნევა, ხოლო მეფის ბოროტ არსებად გამოყვანა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სწორი არ იქნებოდა ვ. ქვაჩახიას ნაფიქრ-ნააზრევის ხელაღებით უკუგდება. ვ. ქვაჩახიას რიგი დაკვირვება საყურადღებო და მისაღებია, ყოველ შემთხვევაში, ანგარიშგასაწევია (მაგალითად, ვეფხისტყაოსნის მთავარი თემისა და მთავარი გმირების საკითხი, ტარიელისა და ავთანდილის შეპირისპირება. ნესტანის დახასიათება...). შთამბეჭდავია ვეფხისტყაოსნის ზოგი ეპიზოდისა და პასაჟის იდეურ-მხატვრული ანალიზი (მაგალითად, უსენის სულწასულობის ფსიქოლოგიური სარჩულის ახსნა). ფრიად საინტერესოა, ოღონდ სადავო, ფატმანის დახასიათება.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შესაძლებელია ვ. ქვაჩახიას მონოგრაფიის ბეჭდური გამოქვეყნება. ჩვენ მზად ვართ ვიკისროთ მისი რედაქტირება, ოღონდ გამოცემის წინასიტყვაში აღიბეჭდება აქ წარმოდგენილი შენიშვნები.

1983

---

[4] ვ. ქვაჩახია სამართლიანად აკრიტიკებს პეტრე შარიას მოსაზრებას, თითქოს ნესტანის კვალის დაკარგვის შემდეგ ტარიელი დაკნინდა, ზნეობრივად და სულიერად დაეცა (გვ. 168). პ. შარიას მოსაზრების სრული უსაფუძვლობა დასაბუთებულია ჩემს რეცენზიაში — „ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო" (იგულისხმება პ. შარიას ნაშრომი) (ჟურნალი „განთიადი", 1977, № 2, გვ. 158—166; იგივე დაბეჭდილია ჩემი „ნარკვევების" VII წიგნში, თბილისი, 1978, გვ. 40—56, სპეც. გვ. 51—53).

3. კუპრავას წიგნი მთლიანად რუსთველოლოგიური ნაშრომების კრებულია. უძღვის მოკლე წინათქმა (გვ. 1—2). შემდეგ მოდის ნარკვევები:

1. ვინ არის ტარიელი? (გვ. 11—59).
2. „ვეფხისტყაოსანი“ არის სიყვარულის ეპოპეა (გვ. 69—93).
3. დიდი მგოსნის აღსარება და მისი თარგმანება (გვ. 217—242).
4. რას ეუდრება ღმერთს რუსთველი? (გვ. 203—216).
5. „ესე ამბავი სპარსული“ (გვ. 179—193).
6. როგორ უნდა განიმარტოს და ითარგმნოს სათაური „ვეფხისტყაოსანი“? (გვ. 60—68).
7. გვიმხელს თუ არა რუსთველი თავის ვინაობას? (გვ. 243—256).

თვითონ ნარკვევში უფრო სრული სათაურია: „ვის ეტრფის რუსთველი და გვიმხელს თუ არა იგი თავის ვინაობას?

8. „ხელმან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ მოაკოეფდა“ (გვ. 142, 159).

ასეა შინაარსი გადმოცემული ავტორის მიერ. პაგინაციის კვალობაზე კი ნარკვევები სხვაგვარადაა დალაგებული.

ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის ვ. კუპრავას წიგნის ჟანრი. შრომას ქვესათაურად აქვს „რუსთველოლოგიური ძიებანი“. წინათქმაში ვკითხულობთ: „წინამდებარე წიგნი მეტწილად მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ა-ძ ი ე ბ ი ს, ხან კიდევ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ნ ა რ კ ვ ე ვ ი ს ს ა ხ ი თ გამოხატავს ავტორის შეხედულებებსა და გულისტკივილს იმის გამო, რომ არაქართველ მკითხველთა ფართო წრემ ვეფხისტყაოსანი გაიცნო ფრიად და ფრიად დაქვეითებული პოეტური ფორმით და ნირშეცვლილი შინაარსით“ (კურსივი ჩვენია, ა. ბ.).

თუ ვ. კუპრავას შრომა პოპულარული ლიტერატურული ნარკვევია, ავტორს წინათქმაშივე უნდა აღენიშნა რა წყაროებს ემყარებოდა იგი ძირითადად მაინც. ხოლო თუ წიგნი მეტწილად მისივე „მეცნიერული კვლევა-ძიების“ ნაყოფია, მაშინ მკვლევარს მოეთხოვებოდა ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას წარმოეჩინა მისი საკუთარი წვლილი სხვების ნაფიქრ-ნააზრევთან შედარებით. ამას რომ ვწერთ, მხედველობაში გვაქვს წიგნი მთლიანად, მაგრამ განსაკუთრებით თვალში საცემია მისი ზოგიერთი თავი. მაგალითად, მეორე თავი „ვეფხისტყაოსანი არის სიყვარულის ეპოპეა“ (გვ. 69—93). ამ თავს ცენტრალური ადგილი უჭირავს ვ. კუპრავას წიგნში. აქ, ვ. კუპრავა ავითარებს იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანი არის სიყვარულის პოემა („ეპოპეა“), რომ ვეფხისტყაოსნის ამბავთა შორის მთავარია ინდოეთის, ტარიელსა

და ნესტანის ამბავი რომ პოემის მთავარი პერსონაჟია ტარიელი, რომ თხზულების მთავარი კ ონფლიქტია ტარიელ-ნესტანისა და ფარსადან მეფის კონფლიქტი, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარი იდეაა, დედააზრია. ამქვეყნიური, მიწიერი, მაგრამ ზნეფაქიზი, ამაღლებული სიყვარულის საბოლოო გამარჯვების კანონზომიერება, რომ რუსთველი თავისუფალი სიყვარულის, ქალისაგან სატრფოს თავისუფალი არჩევის მქადაგებელია და ა. შ. ერთგან ვ. კუპრავა ამბობს, რომ ყოველივე ეს მან დ ა ა დ გ ი ნ ა („რაკი დავადგინეთ"... გვ. 83) და „თვალნათლივი" გახადა (გვ. 87). ავტორი მოითხოვს რომ „ამიერიდან მაინც" ბოლო მოეღოს ახალ-ახალი „ორიგინალური თეორიების" შექმნას (9ა).

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ვ. კუპრავას წიგნში განვითარებული ეს შეხედულებანი თანამედროვე რუსთველოლოგიური მეცნიერების მონაპოვარია (შდრ. შოთა რუსთველი და მისი პოემა. 1966, 1975).

ვ. კუპრავა კი არცერთ ქართველ მ კ ვ ლ ე ვ არ ს არ ასახელებს და არ იმოწმებს (გახსენებია მხოლოდ თეიმურაზ პირველი, კ. ბალმონტი და ლუი არაგონი!). საგულისხმო ის არის, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგის 20—21 სტროფების შინაარსის გადმოცემისას შენიშნავს: ამ ორი სტროფის შინაარსი, რუსთველოლოგიის ყველა მონაპოვრის და აგრეთვე ზოგიერთი ჩემი მოსაზრების გათვალისწინებით, შეიდეგნაირად უნდა გადმოვცეთო" (გვ. 89—90). როგორც ამ ციტატიდან ჩანს, ვ. კუპრავას „რუსთველოლოგიის ყველა მონაპოვრის" მოხმობა დასჭირდა მხოლოდ პოემის ტექსტის ორი ბაირის შინაარსის საანალიზოდ, სამაგიეროდ მან მთლიანად აუარა გვერდი „რუსთველოლოგიის მონაპოვარს" ვეფხისტყაოსნის მთელი იდეურ-მხატვრული რაობის ასახსნელად (თუმცა ამ მონაპოვრით ფართოდ სარგებლობს). რა თქმა უნდა, ვ. კუპრავას მსჯელობებში შეიმჩნევია ზოგიერთი ახალი დეტალისა თუ ნიუანსის გათვალისწინება, მაგრამ ძირითადად ის იძულორებს უკვე გამოძიებულსა და დასაბუთებულს.

ამასთან ერთად, თავისი ნაშრომის ამ მეორე თავში ვ. კუპრავა გვთავაზობს აშკარად მცდარ მოსაზრებას, თითქოს რუსთველის სამიჯნურო მრწამსი „იყო უძლიერესი მეხის გავარდნა ქრისტიანობის ცაზე. ეს იყო, თუ გნებავთ, იერიშის მიტანა ქრისტიანობის ყველაზე საიმედო და ყველაზე მნიშვნელოვანი ბურჯის დასამხობად, იძისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ამგვარი განზრახვა სუბიექტურად თვით შოთა რუსთველს" (გვ. 71).

უნდა შევნიშნოთ, რომ ვ. კუპრავა საერთოდ ამუქებს ქრისტიანული აღმსარებლობის როლს რუსთველის რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში.

ვ. კუპრავას წიგნის პირველი თავი ასეა დასათაურებული — „ვინ არის ტარიელი?“ ფრჩხილებში კი ამ სათაურის შინაარსი დაზუსტებულია — „უცხოელი და გიჟი რაინდი თუ არაჩვეულებრივი და შეყვარებული ჭაბუკი“. წიგნის ამ მთელი მოზრდილი მონაკვეთია მანძილზე ვ. კუპრავა ავითარებს იმ აზრს, რაც ჭვესათაურით არის გამოთქმული. რასაკვირველია, სადავო არაა, რომ ტარიელი არ ყოფილა გიჟი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იგი ნამდვილად იყო არაჩვეულებრივი ვაჟკაცი და შეყვარებული ჭაბუკი. ვ. კუპრავას ჭონათხრობით საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქო ჩვენს მეცნიერებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ტარიელი იყო გიჟი, გადარეული, ჭკუიდან შეშლილი, შლეგი, რეგვენი, ბრიყვი, შმაგი (გვ. 40—41, 44—45, 47—49, 147, 153 და სხვა). ყველაფერი ეს გაუგებრობაზეა აღმოცენებული. ვეფხისტყაოსანში ძალიან ხშირად იხმარება სიტყვა ხელი (ხელქმნილი, ხელმქნელი, ხელობა...). ვ. კუპრავა ამბობს, რომ: „ვეფხისტყაოსნის კომენტატორთა უმრავლესობისათვის „ხელი“ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ „გიჟს“, „შეშლილს“, „გადარეულს“, ან „გაბელებულს“ (გვ. 147). საილუსტრაციოდ დამოწმებულია ვ. ბერიძის, კ. ჭიჭინაძისა და ნ. ნათაძის კომენტარები. ვ. კუპრავას ფიქრით, ხელის ასეთი ახსნა-განმარტება „არასწორია, უკუღმართია და ამიტომაც შეურაცხმყოფელს ან, უკეთეს შემთხვევაში. გაუგებარს ხდის რუსთველის უპირველესი და უსაყვარლესი გმირის (ე. ი. ტარიელის, ა. ბ.) დახასიათებას“ (გვ. 44). ვ. კუპრავა იძლევა „ხელის“ მისეულ განმარტებას: „ხელი — ეს არის იგივე მიჯნური, ოღონდ სრულიად განსაკუთრებული ვითარების გამო ტრაგიკული განცდებით მოცული და ამდენად, თუ გნებავთ, გონწართმეული. მაგრამ არავითარ შემთხვევაში უგუნური. გიჟი, შეშლილი და გადარეული“ (გვ. 45, კურსივი ჩემია, ა. ბ.). „ხელი — ეს არის ქართველი მიჯნური ან უკეთ — რუსთველის გენიით ვაქართველებული მიჯნური“, აზუსტებს მკვლევარი (გვ. 46). ერთი სიტყვით, ვ. კუპრავას ოვალსაზრისით, ხელი მოუმე თანამედროვე ქართულით „უნდა გადმოიცეს როგორც შეყვარებული ან შეყვარებული ჭაბუკი. შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც: შეყვარებული ვაჟი ან მიჯნური ვაჟი, ან კიდევ მიჯნური ჭაბუკი“. რუსულად „Влюбленный юноша “ და არა „безумный витязь, ან საერთოდ безумец“ (გვ. 49, კურსივი ავტორისაა, ა. ბ.).

საქმე ისაა, რომ თავისი მნიშვნელობით ხელობა, მართლაც, ნიშნავს სიგიჟეს, შმაგობას, მაგრამ არამც და არამც ამ ცნებების პათოლოგიური გაგებით. ხელობა იგივე მიჯნურობაა. ხელი — მიჯნური თვითონ რუსთველი ამბობს: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა

უნითა". ვეფხისტყაოსნის მიჯნური არ არის ჩვეულებრივი „Влюбленный юноша" ის გაცილებით მეტია. რუსთველური მიჯნურობა თავდავიწყებამდე მისული სიყვარულია, უზომო, უნაპირო, მეტაფორული გაგებით — გიჟობა, შმაგობა. ასეთი გაგებით სიყვარული ახლაც იხმარება პოეზიაში. მაგალითად, პოეტ რეზო ამაშუკელის ლექსში „ტირისკონი" (ლიტერატურული საქართველო, 13.1.84) გვხვდება ასეთი სტრიქონები (ორჯერ)! „და სძინავს ქალაქს, ქალაქს რომელიც **ს ი გ ი ჟ ე მ დ ე** მიყვარდა მუდამ." რუსთველიც ხომ ალაპარაკებს ტარიელს: „რაცა მართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მჴმნელად, **ა წ ნ ო ბ ა თ ი ხ ე ლ ო ბ ი ს ა** მომხვდომია, მით ვარ ხელად" (928, 3—4). იმავე ეპიზოდიდან საყურადღებოა კიდევ (886, 1—2): „ბრძენი! ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა? ეგ საუბარი ჰაშინ ხამს, თუმცაღა ვიყავ ცნობასა." მაშასადამე, ტარიელის სიტყვით, ერთ დროს ისიც იყო გონიერი და ცნობიერი, ახლა კი დადგომია ჯერი ხელობისა, ამიტომაც არის ხელად. ე. ი. აქ გონიერება უპირისპირდება ხელობას, ტარიელს ვითომ დაუკარგავს გონი და ხელი (უგონო) გამხდარა. ეს გარემოება გაუთვალისწინებია ვ. კუპრავას და ამიტომაც შენიშნავს, რომ გარკვეულ პირობებში ხელი შეიძლება მართლაც „გონწართმეულიც" იყოს, მაგრამ არა უგნური, გიჟი, შეშლილი, გადარეულიო" (გვ. 45). 928 სტროფის ანალიზისას ვ. კუპრავა აღიარებს, ნესტან-დარეჯანის პოვნაზე იმედდაკარგული ტარიელი „გ ა შ მ ა გ ე ბ უ ლ ი ა" (მიჯნური), ხელ-ქმნილია, ხელია" (გვ. 220). დიახ ტარიელი შმაგია, ხელია, თუმცა გონი არ დაუკარგავს და შესანიშნავი ბრძნული საუბარი გაუმართა ავთანდილს. ერთი სიტყვით, ხელობა ნიშნავს უზომოდ, უსაზღვროდ თავდავიწყებამდე მისულ სიყვარულს, ამდენად შმაგობას, გიჟობას პირობითი გაგებით და არა პათოლოგიურ უგნურობას, შეშლილობას, შლეგობას. ამიტომაც შესაძლებელია ხელი (კაცი) რუსულად ითარგმნოს სიტყვით „безумный", რომელსაც უარყოფს ვ. კუპრავა (გვ. 48). რაღა თქმა უნდა, ხელის ეს თავისებური მნიშვნელობა შესაფერისად უნდა განემარტოს როგორც ქართველ, ისე არაქართველ მკითხველს. მკითხველი არ უნდა გავაღიზიანოთ განსახილავ წიგნში მრავალგზის მოხმობილი და განმეორებული ისეთი სიტყვებით, როგორიცაა გიჟი, გადარეული, შეშლილი, უგუნური, რეგვენი და მისთანანი.

ისიც უნდა ითქვას, ხელი მიჯნური **ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს** როდი ნიშნავს „სრულიად განსაკუთრებული ვითარების გამო ტრაგიკული განცდებით მოცულს." „ხელი" იყო ავთანდილიც.

დიდ ადგილს უთმობს ვ. კუპრავა „მოყმისა" და „უცხოს" რაობის გარკვევას („ნახეს უცხო მოყმე ვინმე"). ყმა და მოყმე ვეფხისტყაოსანში ხშირად იხმარება, ზოგჯერ მათი მნიშვნელობა, მართლაც,

არეულია და მცდარადაა გაგებული განსაკუთრებით თარგმანებში. ასევე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება სიტყვა უცხოც. ვ. კუპრავა თვლის, რომ ტექსტში არავითარი მინიშნება არ გვაქვს, თითქო ეს მოყმე იყო უ ც ხ ო ე ლ ი, ხოლო მცდარიაო მისი რ ა ი ნ დ ა დ მიჩნევაო. უ ც ხ ო მ ო ყ მ ე ნიშნავსო „არაჩვეულებრივ ჭაბუკს“ (21) ხოლო რაინდი, „რომელიც მას სადღეისოდ აქვს მოპოვებული... სოცარი ანაქრონიზმია და სხვა არაფერი“ (გვ. 33). ამასთან, „სიტყვა რაინდი ერთხელაც არ არის ნახსენები ვეფხისტყაოსანშიო“ (იქვე).

როგორც ვთქვით, სადავო არაა, რომ ტარიელი იყო არაჩვეულებრივი ვაჟკაცი, არაჩვეულებრივი ჭაბუკი და შესაფერისად არაჩვეულებრივი რაინდი. ცხადია, ამ შემთხვევაში რაინდი ნიშნავს საერთოდ სანაქებო ვაჟკაცური თვისებებით დაჯილდოვებულ გმირს. ასეთი გაგებით გამორიცხულია დასავლეთევროპული „სარაინდო რომანების“ ანალოგია (ეტყობა, ეს აშინებს ვ. კუპრავას). ვეფხისტყაოსანში არ გვხვდება სიტყვა რაინდიო. მერმე რა? ვეფხისტყაოსანში არ იხმარება ბევრი სხვა ტერმინიც, რომელსაც ჩვენ კანონზომიერად ვიყენებთ ანა თუ იმ მოვლენის, ამა თუ იმ თვისების ასახსნელად და განსამარტავად, რაც შეეხება უცხოს, დამოწმებულ კონტექსტში ის ნამდვილად ნიშნავს ან უცხოელს, ან უცნობს. ტარიელი და ავთანდილი რომ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს „მათ აკოცეს ერთმანერთსა, უ ც ხ ო ო ბ ი თ ა რ დ ა ჰ რ ი დ ე ს“ (282,1). ასევე მოიქცნენ ავთანდილი და ფრიდონიც (988,1): „მოეხვივნეს ერთმანერთსა, უ ც ხ ო ო ბ ი თ ა რ დ ა ჰ რ ი დ ო ნ“. ავთანდილმა რომ ტარიელს ფიცით დახმარება აღუთქვა, „მან (—ტარიელმა) მიუგო: „უ ც ხ ო ს უ ც ხ ო ა გ რ ე ვ ი თ ა შეგიყვარდი?“ (666,1). ყველა დამოწმებულ ტექსტში უცხო ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ უცნობს, ან უცხოელს. ასეთივეა, „ნახეს უ ც ხ ო მ ო ყ მ ე ვინმე“, თავისი მოსაზრების გასამართლებლად ვ. კუპრავა იშველიებს ერთ ჩ ა ნ ა რ თ სტროფს, რომლის პირველი ტაეპი ასე იკითხება: „მეფემან ბრძანა: ვინ არის უცხო პირად და ტანადო“ (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, 1960, სტროფი 124). აქ უცხო მართლაც საუცხოოს ნიშნავს, მაგრამ ეს სტროფი, როგორც ვთქვით, ჩანართია. ვ. კუპრავას მიერ ამ სტროფის სასარგებლოდ ჯოხ. მობილი უ ვ ე ლ ა ა რ გ უ მ ე ნ ტ ი თავის დროზე ამაოდ იყო გამოყენებული კ. ჭიჭინაძის მიერ (ს. ყუბანიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, XX საუკ. II, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1973, გვ. 132).

როსტევანმა უამბო თინათინს (109,1): „უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე“. საგულისხმოა, რომ ვ. კუპრავას განმარტებით, — „ამ შემთხვევაში როსტევან მეფის ნათქვამში განზოგადებულია ან, თუ გნებავთ, შეჯამებულია უ ც ნ ო ბ ი ადამიანის ხილვით მიღე-

ბელი შთაბეჭდილებანი“ (გვ. 55). აქ უკვე სავსებით სწორად ვ. კუპრავას მიერ. უცხო უცნობადაა გაგებული. მაგრამ შემდეგ იგი წერს: „უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდეო“ ერთადერთ თარგმანება-განმარტებას იმსახურებს — არაჩვეულებრივს და სასწაულმოქმედ ვინმე ჰაბუკს გადავეყარეთ („უცხო“ — უდრის არაჩვეულებრივს, ხოლო საკვირველი — სასწაულმოქმედს“ (გვ. 58). აქ უცხო შეიძლება ნიშნავდეს უჩვეულოს, უცნაურს, საკვირველს (ე. ი. უცხო და საკვირველი მივიჩნიოთ სინონიმურ სიტყვებად). მაგრამ „საკვირველი“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სასწაულმოქმედს.

დასასრულ დავძენ, რომ „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ თამამად შეიძლება სიტყვასიტყვით ითარგმნოს ისე, როგორც ეს აქვს სოლომონ იორდანიშვილს „увидели некоего витязя чужестранца“.

სპეციალურ თავში — „როგორ უნდა განიმარტოს და ითარგმნოს სათაური ვეფხისტყაოსანი“ — ვ. კუპრავა გვთავაზობს რამდენიმე შესაძლებელ რუსულ (და შესაფერისად გერმანულ ვარიანტს:

Юноша в тигровой шкуре
Влюбленный в тигровой шкуре
Любовник в тигровой шкуре
Миджнур в тигровой шкуре

თარგმანში მთავარია, როგორ უნდა გავიგოთ ქართული ვეფხი, ადრე ვეფხი ესმოდათ, როგორც რუსული „барс“ (пантера). აქედან მოდის „барсовая кожа“. პირველად კორექტივი შეიტანა ბალმონტმა (ბალმონტს ჰყავდა სწავლული კონსულტანტები)—„Носящий барсову шкуру“ (მოსკოვი, 1917). ასევეა დასათაურებული ბალმონტის პირველი სრული რუსული თარგმანი (პარიზი, 1933). ხელნაწერის უფლებით იგი დაიბეჭდა თბილისში 1935 წელს. ბალმონტის თარგმანის 1936 წლის მოსკოვურ გამოცემაში („აკადემია“) ჩნდება ახალი სათაური „Витязь в тигровой шкуре“ (ტექსტი გადმობეჭდილია პარიზული გამოცემიდან). ეტყობა, ეს სათაური ეკუთვნის ალექსანდრე სვანიძეს (ამ გამოცემის რედაქტორს). 1936 წლიდან მოკიდებული გაბატონდა სწორედ ეს სათაური, მაგრამ ბოლო დროს კვლევაძიებით დასაბუთდა, რომ ძველ ქართულში ვეფხი ნიშნავდა იმას, რასაც რუსული „барс“. ამიტომაც პოემა ასეც უნდა დასათაურდეს: „Витязь в барсовой шкуре“. სწორედ „Витязь“ და არა „Юноша“ ან, მით უფრო, „Влюбленный...“, თუ „Любовник“(?!)

რუსული თარგმანის კვალობაზე უნდა შესრულდეს თარგმანები უცხო ენებზე.

აქვე მინდა მოვიყვანო ვ. კუპრავას ერთი ციტატა: „ბარსი“ და „პანთერა“ მიუღებელიაო „პოეტურ-სიმბოლური თვალსაზრისო,

რადგან არც „ბარს“ და არც „პანთერ“ არც რუსულად და არც გერმანულად არ იხმარება და არც გამოდგება საერთოდ ქალის სიმბოლოდ“ (გვ. 67, კურსივი ავტორისა, ა. ბ.).

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონო შემდეგი: თავის დროზე „იუნესკომ“ შემიკვეთა წერილი ვეფხისტყაოსანზე სტივენსონისეული ინგლისური თარგმანისათვის. ჩემს წერილში ვეფხის შესატყვისად გამოვიყენე „ტიგრი“. „იუნესკოს“ ლიტერატურული სექციის გამგემ ბირნსმა მთხოვა, „ტიგრი“ შემეცვალა „პანთერით“. ევროპელი მკითხველი ძნელად აღიქვამს ქალწული ქალის ვეფხვთან შედარებას, პანთერა კი საუცხოოდ შეასრულებს მშვენიერი ქალის სიმბოლოს როლსო.

ვ. კუპრავას წიგნის ორი თავი — „დიდი მგოსნის აღიარება და მისი თარგმანება“ (გვ. 217—242) და „ვის ეტრფის რუსთველი და გვიმხელს თუ არა იგი თავის ვინაობას?“ (გვ. 243—256) ეძღვნება ერთსა და იმავე საკითხს.

ვ. კუპრავას მოსაზრებით, რუსთველი ისევე უზომო მიჯნური ყოფილა, როგორც ტარიელი. ტარიელის ტრაგიკული სიყვარულის ამბავსაც პოეტს იმიტომ შეუთხზავს, რომ, თურმე, „თვითონაც იყო შეპყრობილი დიდებული და ღრმაზი მანდილოსნის სიყვარულით (გვ. 222). ეს „დიდებული და ღრმაზი მანდილოსანი“ ყოფილა თამარ მეფე. რუსთველის მიჯნურობის ამბავი თითქო გამჟღავნებულია პოემის პროლოგში („მე, რუსთველი ხელობითა...“). სწორედ პროლოგის წყალობით ეს შეხედულება ტრადიციული გახდა. არა ერთმა მკვლევარმა სცადა ამისი დასაბუთება. განსაკუთრებით თავგამოდებით იცავდა რუსთველისა და თამარის მიჯნურობის ვერსიას პ. ინგოროყვა. მისი თვალსაზრისით, ტარიელის ამბავი შეფარვით გამოთქმული რუსთველის ამბავია. ჩვენ ვერ შევუდგებით ახლა ამ შეხედულების გარჩევას (ამის თაობაზე არსებობს შესაფერისი ლიტერატურა). ვიტყვით მხოლოდ, რომ, ჩვენ აზრით, ეს მცდარი შეხედულებაა, რომელიც არ ითვალისწინებს საკარო პოეზიის ხასიათსა და ბუნებას.

ვ. კუპრავას მოსაზრებით, რუსთველი არ გვიმხელს თავის ვინაობას (სახელსა და გვარს), რომ „რაიმე უსიამოვნება არ მიეყენებინოს მისთვის სათაყვანო სატრფოსა და მონარქისათვის“ (228). მე-19 სტროფი („ჩემი აწ ცანით ყოველმან. მას ვაქებ, ვინცა მიქია: ესე მიჩს ღრდად სახელად. არ თავი გამიქრქია“). კერძოდ ამ სტროფის მეორე ნაწილის თითქოს ის აზრს გამოხატავს, რომ: „ჩემს დიდ სახელად მე ის მიმაჩნია, რომ ჩემი ვინაობა არ გამიმჟღავნებია“ (გვ. 250). ჯერ ერთი, პოეტმა პროლოგში ორჯერ გაამჟღავნა თავისი ვინაობა: „მე, რუსთველი, ხელობითა...“ „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“. კი მაგრამ, რუს

თველი ფსევდონიმიაო, ამბობს ვ. კუპრავა (გვ. 255). შუა საუკუნეების საერო ქართულმა (და არა მარტო ქართულმა) პოეზიამ არ იცის ასეთი რამ.

მერე და რა თავმოსაწონი და დიდ სახელად მისაჩნევი იყო თავის ვინაობის გაუმჟღავნებლობა. კიდევ უფრო უსაფუძვლოა ვ. კუპრავას მოსაზრება, თითქოს „თამარიანის“ ავტორის გვარიც ხახრუხაიე ფსევდონიმია (255). საერთოდ, ვარაუდის წესით ბევრი რამის დაშვება შეიძლება, ოღონდ ვარაუდსაც რაღაც ანგარიშგასაწევი საეგებიო პოსაზრება უნდა ედოს საფუძვლად.

აქ განხილულ საკითხთან არის დაკავშირებული თავი — „რას ეუბრება ღმერთს შ. რუსთველი?“ (გვ. 203—209). ვ. კუპრავა აანალიზებს პროლოგის მეორე სტროფს, კერძოდ, სტროფის მესამე ტაეპს: „მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე[1] გასატანისა“. საინტერესოა მკვლევრის დაკვირვება. იგი იმოწმებს სურვილის საბასეულ განმარტებას („შეყრის წადილი“) და მთელ ტაეპს ასე განმარტავს: „მომეც წადილი მიჯნურთა შეყრისა (ერთად ყოფნისა, ხე ერთებისა), რაც სიკვდილამდე გასატანი იქნება“ (გვ. 210). საეჭვო ის არის, თუ რა დიდი თხოვნაა მიჯნურთა შეყრის წადილის მოცემა? ასეთი წადილი პოეტს ისედაც არ აკლდა. მერმე და თავისთავად გაუგებარია მიჯნურთა შეყრის (ერთად ყოფნის, შეერთების) წადილის თხოვნა. ისიც საგულისხმოა, რომ საბა რაიმე წყაროს არ იმოწმებს. მეორეს მხრივ ჩვენ გვაქვს ილია აბულაძის მიერ ძველ წყაროებზე დაფუძნებული განმარტება: „სურვილი — წადილი, ნდომა. ნატვრა“. ამის კვალობაზე ეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ ასე „თარგმნა“ საანალიზო ტაეპი: „მომეცი მიჯნურობის ჟინი (ტრფიალი), სიკვდილამდე რომ გასტანს“. ვ. კუპრავა კატეგორიულად გამორიცხავს სურვილიდან ნდომის (ჟინის), ვნების მომენტს (გვ. 213, 215). თითქოს „ვნებიანი სიყვარული“ დამახასიათებელი იყო საკუთრივ ფატმანისათვის (215). ვნება ნამდვილი სიყვარულის ბუნებრივი თვისებაა. სხვა საქმეა, რომ ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი, თინათინი თავდაჭერილი იყვნენ, ვნებას იოკებდნენ. მაგრამ მოვიგონოთ „მბობა ტარიელისგან ლომ-ვეფხთ დახოცისა“: „ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა; მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ (911,1—2). როგორ ტარიელს აკლდა ვნების ცეცხლი? მან შეიპყრო ნესტანის სახედ დასახული, ნესტანის სიმბოლო ვეფხი, რომ „მის გამო“ (ნესტანის გამო) კონცით ერთგვარად მოეკლა, დაეცხრო თავისი უსაშველო სამიჯნურო ჟინი, ვნება.

---

[1] ამის ნაცვლად ვ. კუპრავას შეცდომით უწერია „ბოლომდე“ (გვ. 205).

ვერ მოვუწონებთ ვ. კუპრავას ვერც შემდეგი ცნობილი ტაეპის თარგმნა-განმარტებას: „ხელმან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ მოჰკრეფდა". (405,4): „მიჯნურს რად უნდა, რომ მ ც ი რ ე ხ ნ ი თ თავისთან ამყოფოს სატრფო, თუკი მას ცოლად (?!) მაინც ვერ შეირთავს (?!) (გვ. 7).

ვ. კუპრავას ერთი მთავარი მიზანია, შეამოწმოს რუსულისა და გერმანულ ენებზე არსებული ვეფხისტყაოსნის თარგმანების რაობა. მიზანი საპატიოა, დაკვირვებანი საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. ოღონდ ჩემი ფიქრით, მკვლევარი ერთგვარად აჭარბებს. რაც მთავარია, თარგმანების ტექსტებს იგი უდარებს ამ ტექსტების მისეულ გაგება-გააზრიანებას და დასკვნებიც ამის მიხედვით გამოაქვს. ტექსტების კუპრავასეული გაგება კი მნ. შენელოვან წილად სადავოა, ხშირად — მიუღებელი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვ. კუპრავამ გაზოავლინა ბუდენზიგის გერმანულ თარგმანში ერთი ნამდვილად მეტისმეტად მძიმე აზრობრივი შეცდომა. ავთანდილმა რომ ასმათი დაიხელთა გამოქვაბულთან, მოთხოვა მისთვის უცნობი მოყმის (ტარიელის) ამბის მოყოლა. ასმათმა სხვათა შორის უპასუხა (235,2): „მ ა გ ა ს ა ქ მ ე ს ა (ე. ი. ტარიელის ამბის გადმოცემას, — ა. ბ.) ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა". ბუდენზიგის თარგმანით. „მაგა საქმეს" ანუ ტარიელის ამბავს ეწოდება „Schlimme geschichte" — ცუდი, საძაგელი ამბავი. შეცდომის სიმძიმე აშკარაა და ვ. კუპრავას აღშფოთება სამართლიანი (გვ. 241—242). ასეთი შეცდომა მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ ბუდენზიგს ჰყავდა კვალიფიციური, კონსულტანტები. რაც მთავარია, მას სახელმძღვანელოდ მიჩენილი ჰქონდა გერმანული და ქართული ენების ჩინებული მცოდნისა და ვეფხისტყაოსნის მკვლევრის მიხეილ წერეთლის გერმანული პწკარედი, რომელიც ახლა ბეჭდურადაც არის გამოცემული (პარიზი, 1975). როგორც მოსალოდნელი იყო წერეთლის პწკარედში არავითარი „Schlimme geschichte" არ არის. ამის ნაცვლად იკითხება: „Diese gesohichie" (ეს ამბავი). საიდან გაჩნდა უკეთური Sch'imme, ჩემთვის აუხსნელია. მართებულია ვ. კუპრავას შენიშვნა, რომ ეს შეცდომა არ უნდა გაჰპარვოდათ ბუდენზიგის თარგმანის ქართველ რედაქტორებს (გვ. 242).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩემი აზრით, ვ. კუპრავა ზედმეტად ხშირად იმეორებს გამოთქმებს — „გენიოსი პოეტი", „გენიალური პოემა" და ა. შ. განა ეს საჭიროა? წიგნში არაიშვიათია ავტორეული ფართომასშტაბიანი ზოგადი ხასიათის განსაზღვრებანი. მაგალითად, ერთგან მკვლევარი წერს: „მსოფლიო ლიტერატურის არცერთი მხატვრული ნაწარმოები არ შეიცავს იმდენ მაღალმხატვრულ აფორიზმს ანუ ბრძნულ აზრს, რამდენსაც რუსთველის ვეფხისტყაოსანი" (გვ. 81). ჩვენ არ ვიცით, რამდენად სწორია ეს ინფორმაცია. ცნობი-

ლია. კერძოდ, რომ აფორიზმებით მდიდარია ფირდოუსის „შაჰნამე". მოცულობით იგი ვეფხისტყაოსანზე დაახლოებით ოცჯერ დიდია. დათვალა კი ვინმემ „შაჰნამეს" აფორიზმების რაოდენობა და შეამოწმა მათი მხატვრული ხარისხი? ვფიქრობთ, უნდა მოვერიდოთ მსგავს განზოგადებებს ფაქტების შეუმოწმებლად.

ვ. კუპრავას შრომის დაბეჭდვის თაობაზე, რასაკვირველია, საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს საგამომცემლო საბჭო. ვ. კუპრავამ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი შენიშვნები და, წიგნის დაბეჭდვის ჟეთქვეშ. აღნიშნოს კიდეც ამის შესახებ.

1984

დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფიის გამო

1954 წელს ჩემი რედაქტორობით დაიბეჭდა დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფია — „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში". მონოგრაფიამ გარკვეული ინტერესი გამოიწვია და მის გარშემო ერთგვარი მიმქმა-მოთქმა შეიქმნა. ბევრი მეკითხებოდა, როგორ ვაფასებ მას არსებითად. როგორია ჩემი პოზიცია მონოგრაფიაში განვითარებული კონცეფციის შესახებ.

საჭიროდ ვთვლი განვმარტო: დ. ბენაშვილის მონოგრაფიის ხელნაწერი მისმა ავტორმა 1952 წელს წარმოადგინა საკვალიფიკაციოდ (სადოქტოროდ). რეცენზენტებად გამოგვყვეს კ. კეკელიძე და მე. ორივემ უარყოფითად შევაფასეთ იგი, როგორც სადისერტაციო ნაშრომი. კერძოდ, მე ვწერდი, რომ ნაშრომი ახალი კუთხით" იხილავს ვეფხისტყაოსნის ერთ მნიშვნელოვან პრობლემას". ავტორი საინტერესოდ „მსჯელობს, აზროვნებს, აყენებს თაობამ მოსაზრებებს". „დ. ბენაშვილის ნაშრომი ბადებს ახალ აზრებს, აფართოვებს რუსთველოლოგიური პრობლემატიკის არეს, ხელს უწყობს მეცნიერული აზრის წინსვლას" და ა. შ. მაგრამ ჩვენ მაშინაც ვფიქრობდით და ახლაც ვფიქრობთ (როდესაც ამ მოგონებას ვწერთ), რომ დ. ბენაშვილის სადისერტაციო ნაშრომში (და შესაფერისად მის ბეჭდურ რედაქციაში) განვითარებული ძირითადი თვალსაზრისი „სათავეშივე მცდარია".

სადოქტოროდ განკუთვნილი ნაშრომისათვის არ კმარა, თუმ ავტორმა წამოაყენოს და განავითაროს ახალი შეხედულება, ახალი იდეა, ღრმას საყურადღებო საკითხი, შემოგვთავაზოს ცალკეული პოზიტიური დასკვნები. სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა დამარწმუნებლად

უნდა დაასაბუთოს და გადაჭრას წამოყენებული ძირითადი საკითხი (ნაშრომის ძირითადი იდეა).

კ. კეკელიძისა და ჩვენი ფიქრით, დ. ბენაშვილი აყენებდა, მაგრამ ვერ ასაბუთებდა თავის კონცეფციას ვეფხისტყაოსანზე. ამიტომ ივენ მხარი ვერ დავუჭირეთ ნაშრომის საჯარო პაექრობაზე დაშვებას. რასაკვირველია, ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, თითქოს ჩვენ საერთოდ უარვყოფდით შრომის თავისდათავად მნიშვნელობას.

დ. ბენაშვილმა ხელი აიღო ნაშრომის საკვალიფიკაციოდ დაცვაზე, იღონდ ითხოვა მისი ბეჭდურად გამოქვეყნება. სახელმწიფო გამომცემლობა „სახელგამი“ თანახმა იყო იგი გამოეცა, უკეთუ მე ვიკისრებდი რედაქტორობას და, მაშასადამე, პასუხისმგებლობას წიგნის გამოშვებისათვის. მე ვიკისრე პასუხისმგებლობა, რადგანაც დამაკმაყოფილებლად ვთვლიდი მის საერთო სამეცნიერო-ლიტერატურულ დონეს, თუმცა, როგორც აღნიშნული მაქვს, ავტორისეულ კონცეფციას არ ვიზიარებდი.

ასე გამოქვეყნდა ჩემი რედაქტორობით დ. ბენაშვილის „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“.

სხვათა შორის, დავძენ, რომ ასე ვიკისრე მე თავის დროზე შალვა ნუცუბიძის ცნობილი მონოგრაფიის („Творчество Руставели“) რედაქტორობაც. ამ გამოკვლევის მნიშვნელობა უდავო იყო, თუმცა მის კონცეფციურ მხარეს არ ვეთანხმებოდი.

1981

ძველი, ახალი და თანამედროვე მწერლობის საკითხები

„სიბრძნე სიცრუისა"

(რამდენიმე შენიშვნა)

ჩვენი ყურადღება „მიიპყრო, სიბრძნე სიცრუისას" შესახებ ბოლო დროს გამოქვეყნებულმა რამდენიმე ნარკვევმა. ესენია:

1. ელიზბარ ჯაველიძე, სულხან საბას ზნეობრივი რწმენია გაგებისათვის (წიგნიდან — „შტუდიები", გვ. 152—166);

2. გიგი ხორნაული, რუქას სახის გაგებისათვის („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1985, № 1—2, გვ. 122—130);

3. რევაზ ბარამიძე, დაკვირვებები „სიბრძნე-სიცრუისას" — ფაბულურ-სიუჟეტურ ჩარჩოზე (წიგნიდან — „ქართული მწერლობის შესწავლისათვის", 1986, გვ. 75—98).

ეს ნარკვევები ყურადღებას იპყრობს საკითხების ახლებური გაშუქებითაც და ზოგ შემთხვევაში ამ გაშუქების საცილობლობითაც. საკითხების დასმის სიმძაფრითა და გადაწყვეტის რადიკალურობით გამოირჩევა გ. ხორნაულის წერილი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ალმანახის რედაქციას ის დაუბეჭდავს საგანგებო შენიშვნით — „საკითხის დასმის წესით". რედაქცია გვაუწყებს: „ქვემოთ წარმოდგენილი სამი მასალა (აქედან ჩვენ ვიხილავთ ერთს, ხორნაულის წერილს,— ა. ბ.), რომელთაც ახლავთ „დამღა" „საკითხის დასმის წესით" რედაქციის აზრით, არა მარტო საფიქრებელს, არამედ სადავოსა და საკამათოსაც ბევრს გაუჩენს პედაგოგებსა და სპეციალისტებს. თვით რედკოლეგიის წევრთაგან ყველას როდი მიაჩნდა სარწმუნოდ ავტორთა მოსაზრებანი".

როგორც სათაურიდან ჩანს, გ. ხორნაულს აინტერესებს სულხან-საბა ორბელიანის თხზულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის რუქას სახის გაგების საკითხი. იგი წერს: „სკოლის სახელმძღვანელოში. ფატმანისა თუ ვარსქენის ზომაზე მეტი ლანძღვისა არ იყოს. რუქასაგან, რომ იტყვიან, ქვა-ქვაზე აღარ არის დარჩენილი. იქ ვკითხულობთ: «სახელი რუქა გამხდარა ჩვენში სინონიმად ყოველგვარი ბო-

როტებისა და სისაძაგლისა» (გვ. 123; კურსივი ჩვენია, — ა. ბ.). დამოწმებულია „ქართ. ლიტ. ისტ.“ II ტ., გვ. 459. დამოწმება ზუსტია. ციტირებული ფრაზა ეკუთვნის აკად. კორნელი კეკელიძეს. რასაკვირველია, მნიშვნელობა არა აქვს, რომ მითითებული წყარო არ არის „სკოლის სახელმძღვანელო“.

რუქა ერთადერთ ნაკლად გ. ხორნაული თვლის მის აჩქარებულობას („ერთადერთი ნაკლი რუქასი აჩქარებულობაა, რასაც ისევ და ისევ მეფის უსაზღვრო ერთგულება აკეთებინებს, თორემ სიბრძნით თვით ნაქებ სედრაქსაც სჯობნის“, გვ. 125). სხვაგან მკვლევარი უმატებს: „რუქა აჩქარებული და ფიცხიაო“ (გვ. 124—125). რუქას ხასიათის ეს თვისებები აღნიშნულია სიბრძნე სიცრუის დასაწყისშივე (გვ. 9). რაც შეეხება იმას, თითქოს სიბრძნით რუქა „ნაქებ სედრაქსაც სჯობნის“, ამის თქმა ძნელია. აბა, ვინ აწონის ამ ორი დიდი კარისკაცის სიბრძნის ძალას, რომ სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ! ყოველ შემთხვევაში განსაკუთრებული გამჭრიახობითა და შორსმჭვრეტელობით რუქა ვერ დაიქადნის. უკვე მოთხრობის დასაწყისშია შენიშნული რომ რუქა ვერ გაერკვა სედრაქის მიერ უფლისწულ ჯუმბერის იგავურად გამოთქმული დალოცვის აზრში, უმართებულოდ „აღშფოთდა“ და ლოცვა „წყევად“ მიიჩნია. იქვე, თხზულების საექსპოზიციო ნაწილში რუქამ დაგმო იმ დროს საყოველთაო სიკეთედ მიჩნეული ხელგაშლილობა მეფისა (მეფემ „გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა“) და წინდაუხედავად დამოძღვრა: „რომელსა მეფეთაგანსა გარდაეღვა საკუთარი ესე ოდენი“. ჯუმბერმა რუქას ერთი აშოსაცნობი იგავი უამბო („სამნი ცოლ-ქმარნი და მდინარე“), რუქა უძლური აღმოჩნდა ამოეხსნა ამ იგავის შინაარსი: „რა გასინჯა რუქამ, ძნელი იგავი იყო, ღია დაჰმუნდა და ვერა გაიგნო რა“ (გვ. 132)[1]. ვერც მოჩივარი ძმების თხა-თიკანთა გაყოფის იგავი შეიცნო რუქამ და მხოლოდ უკბილო ირონიით დაკმაყოფილდა: „თხა-თიკანთა საქმე უსწავლებია“ ლეონს ჯუმბერისათვის, „ყველაყას მოწონებაც გვმართებს, თვარა დაუწუნოთ. შერცხვინდება და მერმე ზროხა-კამეჩის საქმეს ვეღარ ასწავლის“ (გვ. 137).

რუქამ ვითომ ხაფანგი დაუგო ჯუმბერს და თავის მხრივ ერთი იგავური ამოცანის ამოხსნა შესთავაზა („მგელი, თხა და თივა“). ჯუმბერმა სულ ადვილად გაართვა თავი ამ ამოცანას. რუქას ყველა იგავ-არაკს ჯუმბერმა (აგრეთვე ლეონმა, სედრაქმა, მეფემ) საკადრისი პასუხი მიაგო. ბოლოსა და ბოლოს რუქამაც ირწმუნა ჯუმბერის გაწვრთნილობა-განსწავლულობა და იძულებული გახდა გარეგნულად წაინც ელიარებინა ლეონის აღზრდის მეთოდის მართებულობა და თვი-

[1] ტექსტებს ვიმოწმებთ „სიბრძნე სიცრუისას“ 1970 წლის გამოცემის მიხედვით.

თონ ლეონის პირადი უდავო ღირსებანი: „დღეს აქამომდე ავად მიქმნია ქიშპობა ლეონისა, რადგან ესრეთ მცოდინარეა და ამდენის კარგის საქმის სწავლულია“ (გვ. 233). (ამას ქვემოთ საგანგებოდ დავუბრუნდებით).

როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ „სიბრძნე სიცრუისას“ ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათის თაობაზე და გარკვეული დასკვნებიც გამოგვაქვს, უწინარეს ყოვლისა. უნდა გავითვალისწინოთ ავტორის, სულხან ორბელიანის („სიბრძნე სიცრუისა“ შეთხზულია ავტორის სულხანობის პერიოდში) პოზიცია. ავტორის თვალსაზრისი. უნდა ვიცოდეთ თხზულების მხატვრული კონსტრუქციის სახეობაც. სადავო არ არის, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ჩარჩოიანი ტიპის იგავ-არაკთა კრებულია. ავტორის იდეური ჩანაფიქრი გადმოცემულია ფაბულური ამბით, ხოლო ამბის ჩარჩოში ჩასმული თუ განლაგებული იგავ-არაკები ასრულებს მხატვრული ილუსტრაციების ფუნქციას. მოპაექრენი იგავ-არაკების საშუალებით ცდილობენ თავიანთი მოსაზრებების უცილობლობის ნათელყოფას თითოეულ იგავ-არაკს აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მნიშვნელობაც და მთლიანი მოთხრობის (კრებულის) ორგანულ ნაწილსაც შეადგენს[2]. შორს რომ არ წავიდეთ. აღნიშნულის მხრივ „სიბრძნე სიცრუისა“ ენათესავება „ბალავარიანს“ და განსხვავდება „ქილილა და დამანასაგან“ („ქილილა და დამანაში“ ფაბულური მოთხრობის როლი უმნიშვნელოა).

„სიბრძნე სიცრუისას“ ფაბულის მოქმედი პირია ხუთი პერსონაჟი მეფე ფინეზი, ვაზირი სედრაქი, სეფეთუხუცესი საჩურისი რუქა. უფლისწული ჯუმბერი და მისი აღმზრდელი ლეონი. ამ პერსონაჟებიდან ერთნაირ თვალსაზრისს იზიარებენ და სხვადასხვა საბუთიანობით არსებითად ერთსადაიმავე იდეურ პრინციპებს ავითარებენ სედრაქი, ლეონი და ჯუმბერი. ამათ უპირისპირდება რუქა, მას განსხვავებული შეხედულება აქვს თხზულებაში წამოჭრილ თითქმის ყველა საკითხზე. მეფე ცდილობს იყოს პირუთვნელი და ნეიტრალური. თუმცა ისიც ჩვეულებრივ პირველთა (სედრაქის. ლეონის. ჯუმბერის) მხარეს იჭერს. რუქა მარტოა. იგი ჩივის: „თქვენც სამთაი (ე. ი. სედრაქს. ლეონს და ჯუმბერს) პირი შეგიკრავსთ“ და ჩემს წახდენას ცდილობთო (გვ. 266). ამასვე იმეორებს სხვა ღროსაც: „რა მე ხმას ამოვიღებ. ყველანი პირს შეკვრენ და მე გამომეკიდებიანო“ (გვ. (2ᶜ3.) რუქა ერიდება მეფის დასახელებას, თუმცა იმასაც სამეულის მიმხრივ თვლის (შდრ. „ყველანი პირს შეკვრენ“).

მაინც რა აქვს სადავო პერსონაჟთა ამ დაპირისპირებულ წრეს? კაცმა რომ თქვას, ყველაფერს, რაც კი ცხოვრებისეული მოვლენებია

---

[2] ა ლ. ბ ე რ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 29.

სფეროში შემოდის, დაპირისპირებულნი სხვადასხვაგვარად აფასებენ. მთავარი, რის გარშემოც დავაა გაჩაღებული, მოზარდის აღზრდის საკითხია.

სულხან ორბელიანი თავის დროისათვის ფართოდ და საუკეთესოდ განსწავლული მწერალი და მოღვაწე იყო. სულხანის საპატრო აღმზრდელად ითვლებოდა ბიძამისი, განთქმული მეფე გიორგი XI, ხოლო თვითონ მან აღზარდა სახელოვანი ვახტანგ VI. „ქილილა და დამანას“ მისეულ ანდერძში სულხან-საბა პირდაპირ ამბობს: „ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმის-წული იყო, და ბისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლებული, და ვახტანგ მეფისა ბიძად გამზრდელად წოდებული“. დახელოვნებული აღმზრდელი-მასწავლებელი სულხან ორბელიანი იდეალურ აღმზრდელად გვისახავს „სიბრძნე სიცრუის“ პერსონაჟ ლეონს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლეონი სულხანის სახე-ორეულია, სულხანის „მე“.

მაშ ასე, „სიბრძნე სიცრუის“ ერთი უმთავრესი პერსონაჟთაგანია რუქა. რუქა ყველას უპირისპირდება, განსაკუთრებით. რასაკვირველია ლეონს. ლეონს აღზრდის თავისებური მეთოდი აქვს შემუშავებული. ფორმულის სახით რომ გამოვთქვათ, ლეონის ამოსავალი პრინციპია— ჯანმრთელი სული ჯანმრთელ სხეულში. ამის კვალობაზე ზრდის ის უფლისწულ ჯუმბერს. სწორია ელ. ჯაველიძის მოსაზრება, რომ აღზრდის ლეონისეული მეთოდი არც სპარტანულია და არც მუსლიმანურ-სპარსული, ის ქართულია, სულხანისეული („შტუდიები“, გვ. 159—163). ლეონი წვრთნიდა უფლისწულს, რათა გაეკაჟებინა მისი სხეული, გაეხადა იგი გამძლე და ყოველი სიდუხჭირის ამტანი, შეეყვარებინა მისთვის შრომა და გარჯა, ჩაენერგა ჰუმანისტური სულისკვეთება, გაეფაქიზებინა ზნეობრივად, აემაღლებინა სულიერად.

რუქა მავნებლურად თელიდა ლეონისეულ აღზრდის ხერხებს. ხშირად აბეზღებდა აღმზრდელს მეფესთან. მეფე დიდხანს არ ერეოდა ლეონის საქმეებში (წერილობითი პირობაც ჰქონდა საამისოდ დადებული). ერთხელ, როდესაც, რუქას აზრით, ლეონმა უმკაცრესი წესით უმიზეზოდ დასაჯა და სიკვდილის პირამდის მიიყვანა უფლისწული, უზომოდ აღშფოთებული და გაგულისებული რუქა მიიჩქარა მეფესთან, თითქოს დინჯ, გაბმულ მსჯელობას დრო არ ითმენდა, ამიტომაც „არაკობა აღარ დაიწყო“ და პირდაპირ მიახალა მეფეს (თხრობის ეს ექსპრესიული დეტალი კარგად შენიშნა რ. ბარამიძემ): „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგიგლინა, შენ მიეც ერთსა ღვთის წყრომით აღვსებულსა კაცსა, შეუპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულს ვერ მიიტანს“ (გვ. 53).

რუჭამ განაწყო მეფე ლეონის წინააღმდეგ. მეფეს არ ეყო მისთვის ჩვეული მოთმინება, ხელწერილიც დაივიწყა, „ლეონს კაცი გაუძახა და თრევით მოიღეს. მოკვლას ლამობდა“ (გვ. 54). შერისხულმა ლეონმა ღირსეულად იმართლა თავი: „მეფემან მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. დიდად მოეწონა და შეინანა, რაც ლეონისათვის ავი ექმნა. მოეხვია ყელსა“. ახლა მას მოუხდა თავის მართლება. გაცხარება რუჭას გადააბრალა (სამართლიანად!): „რა ვყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან და შვილისა სიმწარემან აღმაშფოთა“ (გვ. 56).

ხომ აშკარაა, ვინ არის ეს ავი კაცი, რომლის მაბეზღარმა ენამ მეფეს სულიერი წონასწორობა დაურღვია და შეუფერებელი საქციელი ჩაადენინა, სასინანულოდ გაუხადა საქმე.

მეფემ დაიბარა ჯუმბერი. ერთგვარად გამოსცადა. საესებით დარწმუნდა შვილის ზნეობრივ, გონებრივ და სულიერ სრულყოფილად განსწავლულება-მოწიფულობაში და მეფობაც გადაულოცა (გვ. 142). არ არის სწორი გ. ხორნაულის ინფორმაცია, თითქოს როცა რუჭამ ჯუმბერის აღზრდის „კარგი შედეგი დაინახა, თვითონაც ნასიამოვნები დარჩა, გაუხარდა მეფის შვილის, მომავალი ხელმწიფის სიკეთე“ (დას. ნაშრომი, გვ. 124—125). არა! პირიქით, შეშფოთებულმა რუჭამ შესძახა: „ვაიმე ლეონ მარტო იყო და რას ლამობდა, აწე მეფის ძეც მიუყენებია და მის ნებად გაუზრდია, რაღა მექმნებაო?!“, ე. ი. რაღა მეშველებაო! (გვ. 109). ჯერ ერთი, ლეონი მარტო არ ყოფილა, მას ემხრობოდა ვაზირიც და მეფეც (ბანმოკლე გაცხარება ხომ მოინანია). რუჭა ისეა ლეონისადმი მძულვარებით შეპყრობილი, რომ ჯუმბერს მიახლის: „ლეონ მხიბლავია და შეუგრძნებიხარო“ (გვ. 120). რუჭა არც მალავდა ლეონის მტრობას და აშკარად აცხადებდა: „არა ვფარავ, მტერი ვარ ლეონისა“ (გვ. 162). მართალია შემდეგ, როცა რუჭამ ლეონის თავგადასავალი მოისმინა, „სხვის ამბის თქმა აღარ დააცალა და მოახსენა მეფესა (ტექსტის ეს ნაწყვეტი ნაწილობრივ ზემოთაც დავიმოწმეთ): „დღეს აქამომდე ავად მიქმნია ქიშპობა ლეონისა, რადგან ესრეთ მცოდინარეა და ამდენის კარგის საქმის სწავლულია და ამდენის თემის მნახავი, ეს შესანახავია და ნურც ძოიშორებთ. რაცა თქვა, ქმნაც ძალუცს. აქ გამოიჩინა ლეონ თავისი გრძნების ხელოვნება“ (გვ. 233—234). რუჭას ვითომცდა გულწრფელ აღსარებას გარკვევით ეტყობა ირონიული კილოს გამოძახილი. ესეც არ იყოს. ლეონის წარმატებას რუჭა მის გრძნეულობას („გრძნების ხელოვნებას“) მიაწერს. რუჭას მოჩვენებითმა მონანიებამ კინაღამ შეაცდინა ჯუმბერი და, მართალია, წაყოყდრებით, მაგრამ მაინც ათქმევინა სეფეთუხუცესისათვის: „ლეონ ვირემდის სამჯერ-ოთხჯერ სიკვდილად არ წააყენე. არ მოეხმარე და აწ წყალობა უყავ“ (გვ. 234). რუჭას სიტყვების ნამდვილი აზ-

რი და მისი მიფარული განზრახვის ხასიათი კარგად ამოიცნო ლეონმა. იგი ეუბნება ჯუმბერს: „ძეო მეფისაო, ყრმა ხარ და მოხმარებას ჰგონებ, თვარა აწ დამკლა სრულიად. მტერი რა კაცსა მტერობით ეკოს დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსოულებს მტერობას“ (გვ. 234—235). მაშასადამე, ლეონის განმარტების თანახმად (ლეონი ხომ ავტორის ორეულია), დამარცხებული მტერი მოყვრობის ქურქით იმოსება და შენილბული სახით ცდილობს გააგრძელოს ძველი მტრობა. ასეთ შენილბვას აპირებდა რუქა, მაგრამ ლეონმა გაუგო, დროზე ამხილა და სააშკარაოზე გამოიტანა მისი ავი განზრახვა. რუქას ხასიათი არ შეუცვლია. მისი ბუნება ბოლომდის უცვლელი დარჩა.

რევაზ ბარამიძე წერს: „ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებულადაა დამკვიდრებული აზრი, რომ რუქა უარყოფითი პერსონაჟია. მაგრამ ამ აზრს გარკვეული კორექტივი სჭირდება“ (დას. ნაშრომი, გვ. 79. კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია. — ა. ბ.). მკვლევარი ამასაც ამბობს: „ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვცდილობდეთ რუქას ერთგვარ რეაბილიტაციასო“ (გვ. 87). რ. ბარამიძის სიტყვით, რუქა სკეპტიკოსია, ეჭვიანი, ცინიკოსიც კი, პუბლიმისტი (გვ. 87—88). მკვლევარი რუქას უპირისპირებს პერსონაჟთა სამეულს (ლეონს, სედრაქსა და ჯუმბერს) და აღიარებს, რომ ისინი უფრო მაღალი ჰუმანური პრინციპებით გამსჭვალული ჰუმანისტი გმაზროვნეები არიან (გვ. 88). ყოველივე ამით რ. ბარამიძემ, ვფიქრობთ, ძალზე შეარხია თავისი თეზისი რუქას ხასიათის გაგებაში კორექტივის შეტანის საჭიროებაზე და არსებითად უცვლელად დატოვა გავრცელებული შეხედულება.

რუქა ბუნებით იყო ენამყრალი, ავსიტყვა, ფიცხი, თავმეუკავებელი, ცილისმწამებელი და დამბეზღებელი, ინტრიგანი და დემაგოგი. ჯუმბერის ნაამბობი ერთი იგავ-არაკით („გილანელი მოლა“) ველურმა ღორებმა მოლას ბრინჯის ნათესი წაუხდინეს. მოლამ „დიდი ორმო ჩათხარა“, ამ ორმოში „ერთი დიდი ტახი ჩავარდა“, მაგრამ ტახმა შიგ მოლაც ჩაითრია. შენც ასე მოგივაო, აფრთხილებდა ჯუმბერი რუქას. ღვარძლიანმა რუქამ გაიხარა, „რადგან შენ ლეონ ღორს შეეხარე, ესრეთ გავიხარე, ვითამცა ყოველი ჩემი გულისა ნება აღმისრულდა-მეთქი“ (გვ. 149). ლეონის ბიოლოგიური სიძულვილით შეპყრობილი რუქა შემდეგაც იმეორებს: „ჯუმბერ! რადგან შენ ლეონ მოიძულე, ძაღლთა და ღორთა ადარებ, აწ რაღა მომკლავს?“ (გვ. 152). ამაოდ ცდილობს რუქა ინტრიგის ქსელის გაბმას, ჯუმბერისა და ლეონის წაკიდებას, აღმზრდელ-აღზრდილის სიყვარულს აბა როგორ შეარყევს მისი ავსიტყვაობა?

რუქა კაცთმოძულეობასაც ამჟღავნებს. საინტერესო დიალოგი გაბაბეს მეფის უახლოესმა კარისკაცებმა — ვეზირმა სედრაქმა და სეფეთ-

უხუცესმა რუქამ. სედრაქმა „დაუწყო წვრთნა“ რუქას და ტკბილად უთხრა: „რუქავ, ძმასა და შვილსა ორსავ მირჩევნიხარ და არცა შეხ-გან უკეთესი მეგობარი მყოლია. ამას გეტყვი და გასწავლი: რა კაცი კაცს გაუმტერდება. სიქიშპე ველარას დაანახვებს... შენ ხომ კაცი ხარ და მეფის წინ აღზრდილი, რად იქმ უგვანსა, რად არ დაადუმებ ცუდის საუბრისაგან ენასა... ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი? რად გძულან, რად ეშურღვლი, რად ეკამათები?“ (გვ. 260).

ახლა მოვუსმინოთ რუქას პასუხს: „შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს და მე ყოველნი მძულან. მე კი არავინ მძულს. მაგრამ მე ყველას ამაზე ვძულვარ, მეფის ერთგული ვარ. მე ამის მეტი არავინ ვიცი და არცავის ვეფერები. ვირემ მეფე ცოცხალია. არცავინ მინდა. თქვენ ყველაყანი სხვასა დაეკვრით და სხვას პირს ჰკრავთ. თვარა მე ვისზე რა დანაშაული მაქვს, რაც ცუდად არ ამიტერდით“ (გვ. 261).

ეს ტექსტი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში რუქა გარკვევით აღიარებს, რომ მას ყოველი კაცი სძულს („მე ყოველნი მიუ-ლან“). მაგრამ რუქამ იგრძნო, რომ ვერ მოზომა და გადააჭარბა, მე-ტისმეტი მოუვიდა. ამის შეგნებამ მას უკან დაახევინა. პასუხის მეორე ნაწილით იგი ერთგვარად ანეიტრალებს თავის ნათქვამს. არა, მე არა-ვინ მძულს, მე ვძულვარ ყველასო. მიზეზი? რატომ სძულს იგი ყველა? თურმე ნუ იტყვით, იგი ყველას (და, მაშასადამე, ჯუმბერსაც, ლეონსაც, სედრაქსაც) სძულებია მეფის ერთგულებისა გამო. მისი ერთადერთი დანაშაული ყოფილა მეფის ერთგულება. რუქა მარტოდ-მარტო თა-ვის თავს თვლის მეფის მოყვარულ და ერთგულ მსახურად. გამოდის, რომ სხვები, ყველანი, მეფის ორგულნი ყოფილან! ეს მძიმე ბრალდე-ბაა, ეს ცილისწამებაა. თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს პროვოკაციული განცხადებაა. რუქა უარს ამბობს სხვებთან ამხანაგო-ბაზე, მეფის მეტს არავის ვცნობ, ვიღრე მეფე ცოცხალია, სხვა არავინ მინდაო. მეფის ერთგულება მოსაწონია, მაგრამ რა უფლებით მხოლოდ თავისთვის იჩემებს რუქა მეფის ერთგულებისა და სიყვარულის პა-ტივს? საგულისხმოა რ. ბარამიძის შენიშვნა -- მეფისადმი „გულწრ-ფელი ერთგულება ერთგვარად აბრმავებს და ტენდენციურს ხდის“ რუ-ქასო (დას. შრომა, გვ. 90).

ერთი მეფესაც დავეკითხოთ, რას ფიქრობს იგი რუქაზე, როცარ აფასებს უზენაესი მბრძანებელი იმის ხასიათს. ამის პასუხს იძლევა მეფის მიერ მოთხრობილი მთელ მსოფლიოში განთქმული იგავ-არაკი „კუ და მორიელი“ (გვ. 137—139). „ერთი კუ და ერთი მორიელი დაძ-მობილდნენ“. ერთხელ მგზავრობისას „გასავალი წყალი დახვდათ“. მორიელი დაღონდა („გასვლა არ ეძლო“), კუმ უთხრა: ზურგს შემა-ჯექ, გაგიყვანო. როგორც კი წყალში შეცურდნენ, მორიელმა კუს

„კბენა დაუწყო“ და თავისი საქციელი ასე ახსნა: „ასეთის გვარისანვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვუკბინოთო“. კუმ „დაიყურყუმელავა და მორიელი წყალს მისცა“. ჩემი გვარიც ისეთია -- „თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსიებდება და მოკვდებაო“.

მეფემ განუმარტა რუქას: „რუქავ, შენნი მსგავსნი ყოველნი მტრისა და მოყვრის მკბენარნი არიანო“ და დაუფარავად დასდო ბრალი ავკაცობაში. „ამდენს სულში კაცსა ერთი მოყვარე არა ჰყვეს, დიდი სიავეაო“. რუქამ ამაზე უტიფრად განუცხადა მეფეს: „ქართა შენთა ავსა კაცსა ნუ დაადგენ და მე არ გავუმტერდებიო“. მახვილგონივრულია და რუქასათვის მომაკვდინებელი მეფის განაჩენი: „თუცა ავი კაცი არ დავაყენო, პირველ შენ უნდა გაგაძოო“.

რუქას პრინციპული და ურყევი დებულებაა: „არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნიაო“ (გვ. 237). ამ აქციატებულ დებულებას ივი მრავალგზის იმეორებს. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება რუქასეული იგავ-არაკი „კაცი და გველი“ (გვ. 238—240).

გზად მიმავალმა ერთმა კაცმა დაინახა, რომ ძეძვს ცეცხლი წაკიდებია, ზედ გველი ყოფილა გასული და იღუპება. კაცს შეეცოდა გველი, გადავარჩენ, მადლიაო. შუბი გაუწოდა და გველი ცეცხლიდან გამოიყვანა. გველი მხსნელს „ყელს შემოეხვარჭნა“ და დახრჩობა დაუპირა. გაოცებულმა კაცმა მიზეზი ჰკითხა. გველმა უპასუხა: „კარგისათვის კარგი არავის უქმნიაო“. კაცმა მოწმე ითხოვა. ჰანდარი და კამეჩი დაემოწმა გველს. ჯერი მელაზე მიდგა. ეშმაკმა მელამ „მდივანბეგის“ წესით ორივე მხარეს სარჩელის მოყოლა მოთხოვა. როცა მელამ გველი დაიხელთა, დაჰკრა თათი და მოკლა, „გველის სამართალი ეს არისო“. კაცი მელის ბეწვს დაბარბდა და „შუბის შეცემა მოინდომა“. მელამ იგრძნო ხიფათი, კაცს დაუძვრა და თავს უშველა, წაბურტყუნა — „დავაშავე, მოვარჩინეო“. სიკეთეზე კაცმაც ბოროტი საქციელით უპასუხა. „აწ, შენ, ლეონ, — ეუბნება რუქა, — მას გველსავით გამოგიყვანე, მარჩობ და რა ვქნაო“.

ამ იგავ-არაკის მორალი სრულიად ნათელია. კამათი მაინც დიდხანს გრძელდება. რუქა კერპია და ჯიუტი. არავითარი საპირისპირო არგუმენტი არ ჭრის. ის ბეჯითად იცავს თავის ანტიადამიანურ, ანტიჰუმანურ, ანტიჰუმანისტურ თეზისს — კარგისათვის კარგი არავის უქმნიაო, სიკეთის მუქაფა ბოროტებაა, ბოროტება საბოლოოა და დაუძლეველიო (ამას თვითონ ამ იგავ არაკის კაცის მოქმედება ამტკიცებსო). ზოგად ფილოსოფიურ ენაზე რომ გადავიტანოთ ეს საკითხი. სიკეთე-ბოროტების მარადიულ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება ბოროტების მხარეზე ყოფილა მოსალოდნელი. ბოროტებას ჰქონია ნამდვილი არსის (სუბსტანციის) ძალა, სიკეთე კი უარსო (უსუბსტანციო) ყოფილა. რუ-

ქას ეს მრწამსი ეწინააღმდეგება ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებს.

ლეონს სხვა არა დარჩენია რა, რუქას განუცხადოს: „ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონიაო“ (გვ. 249).

რუქა სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. ყველა მას ამტყუნებს. რუქა ჩივის: თქვენ ყველანი შეერთებულის ძალით მებრძვით, „გაბიძამამიდებულხართ“ (რა მოხდენილი გამოთქმაა!), „მარტოკამ რა ვქნაო“ (გვ. 280). რუქას ყველაზე უფრო ის აწუხებს, რომ „გაბიძამამიდებულ“ მოპაექრეებს ვითომ მეფეც გადაუბირებიათ: „თურმე ჩემს მოწყალეს მეფესაც თქვენის გესლოვნის ენისაგან ჩემზე გული გაუყვნია“, „თქვენ ხართ ყოვლის ავის მქმნელი და თქვენ ააგებთ მეფის გულსა, ოღონდა ჩემი უზომოდ მოწყალე ბრძანდებოდაო“ (გვ. 304). არა! მეფე სხვებს არ გადაუბირებია. იგი იყო თავდაჭერილი, მომთმენი, ტაქტიანი, ლმობიერი და სამართლიანი, პირუთვნელი განმსჯელი; სულსწრაფად ემოციებს არ მიჰყვებოდა, თორემ რუქას „ყიამყრალობის“ ამბავი სხვაზე უკეთ უწყოდა (გვ. 160). მეფემ ადრევე უსაყვედურა რუქას: „ამდენს სულში კაცს ერთი მოყვარე არა ჰყვეს, დიდი სიავეაო“ (გვ. 138).

რუქა ავია. კაცთა მოძულე. ეს კია, რუქა მართლაც ტრაგიკული პიროვნებაა, რომელსაც სიკვდილიც უნატრია („ჩემდა სანატრელ არს სიკვდილი“, 164.) უნდა ვიფიქროთ, რომ ის თავიდანვე არ იქნებოდა ასეთი ბუნების პატრონი კაცი. რუქა, ალბათ, ცხოვრებამ გააავა, გააბოროტა. ჩვენ არ ვიცით მისი ადრინდელი თავგადასავალი[3]. მას ვეცნობით როგორც მეფე ფინეზის დიდ კარისკაცს. ვიცით, რუქა საჭურისია. რაღა თქმა უნდა, „საჭურისობა არ არის თანამდებობა“ (გ. ხორნაული, გვ. 130). კაცი საჭურისად არ იბადება. საჭურისი კაცობა (მამაკაცობა) წართმეული მამრია („ყვერული“). დასაჭურისება იყო უმკაცრესი და უსაძაგლესი სასჯელი. ბევრი ასეთ სასჯელს ვერ უძლებდა და იღუპებოდა (მოვიგონოთ თეიმურაზ პირველის სვეუბედური შვილების ისტორია). დასაჭურისებული პირი ბუნებრივად ხდებოდა გაავებული (თავისი საშინელი ხვედრის გამო), გაბოროტებული. სიკვდილდაღწეული ზოგიერთი საჭურისი როგორღაც ეგუებოდა თავის უბედურ მდგომარეობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც კი ებ-

---

3 თითქოს უცნობი ჩანდა ლეონის წარსულიც, იგი თვითონ აცხადებდა: „მე არა ვიცი სადაური ვარ... ეს ვიცი: მე ლეონ მქვიან მამაჩემი დედის ჩემისა ჩემზედ ორსულობასა მომკვდარა და დედაჩემი ჩემსა შობასა“ (გვ. 26). შემდეგ კი ლეონი გვიამბობს: „მამისა მამა ჩემი, მასმია, ინდოთ მეფისა ხუთთა ვაზირთა უხუცესი ყოფილაო“, მეფის საყვარელი, რომელსაც ამის გამო შურით „იგი ოთხნი (ვაზირნი) აუმტერდენო“ (გვ. 29). „გრძნეულთა ამბით“ ლეონი მეფეს უყვება თავის ვრცელ ზღაპრულ-ფანტასტიკურ თავგადასავალს (გვ. 171—233).

მებოდა. საჭურისებს (განსაკუთრებით აღმოსავლეთში) იყენებდნენ საზოგადოებრივ სარბიელზე. ჰკუაგახსნილ, განსწავლულ გონიერ საჭურისებს დიდ თანამდებობაზედაც ნიშნავდნენ (მრჩეველებად, ვაზირებად, უფრო ხშირად ჰარამხანების ზედამხედველებად). გაიძვერობა, ვერაგობა, ცბიერობა, მაამებლობა, მონური მორჩილებაც და ძაღლური ერთგულება საჭურისების ხასიათის სპეციფიკურ თვისებებს შეადგენდა. ლიტერატურაში შემუშავდა საჭურისის ერთგვარად კანონიზებული, სტანდარტული სახე, სახე-ხასიათი — არასრულფასოვანი, დეფორმირებული, ხორციელად მახინჯი და სულიერად ავი არსებისა, გულ-ღრძუ, გულღვარძლიანი, უწვერ-ულვაშო, უსიმპათიო ქოსა მამაკაცისა, უკეთ არაკაცისა. სწორია რ. ბარამიძის დაკვირვება, რომ სულხან ორბელიანი იყენებს საჭურისის ტრადიციულ, „მზამზარეულ" სახეს (გვ. 85—86). რასაკვირველია, შეუძლებელია რუქა ყოფილიყო სიმპათიური, დადებითი სახე-პერსონაჟი, სახე-ხასიათი, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის ავტორისეულად მისაჩნევ გონივრულ მოსაზრებასაც გამოთქვამს.

სულხან ორბელიანის ნააზრევით, სრულფასოვანი ადამიანი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სულიერად და ხორციელად საღი, სრულყოფილი პირი. მწერლის მოძღვრების თანახმად, ქვეყნის დაქვეითებისა და დაძაბუნების უპირველესი მიზეზია საზოგადოების ზნეობრივ-მორალური უკეთურობა, შინაგანი გათიშულობა, ქიშპი, შუღლი, შურიანობა და სხვა მისთანა მანკიერებანი. სულხან ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალი გადმოცემულია აგრეთვე კარგად ცნობილი ერთი პატარა მოხდენილი იგავ-არაკით, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ — „ძალა ერთობისა" ან „ძალა ერთობაშია" (გვ. 87—88). ეს იგავ-არაკი ისე პოპულარულია, რომ მისი შინაარსის მოყოლ საჭირო აღარ არის.

ამ იგავ-არაკიდან მეფეს შესაფერისი შეგონება გამოაქვს, თუ თქვენ (მიმართავს ფინეზი მოპაექრეებს) ერთად იქნებით, „დაიმყარებს მეფობა ჩემი", თუ მოქიშპენი და მოშუღარნი — „ჩემს საქმეს წაუხდენელს არ გაუშვებთო". არსებითად მეფე ფინეზის ამგვარი დარიგებით იხურება „სიბრძნე სიცრუისა". მეფე აჩერებს პაექრობით გატაცებულ თავის ვეზირს და ეუბნება: — „ჰე სედრაქ ვაზირო, მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება... და ქმა არს დღესა ამას თქმაღ მრავალი ესე მეტყველება ჩვენი". უთანხმოება და გათიშულობა ხომ საქმის დამღუპველია. ეს კარგადაა ხაჩვენები იგავ-არაკში „სოფლის მაშენებელნი" (გვ. 52).

ერთი სიტყვით, სულხან ორბელიანი მკითხველსა და მსმენელს მოუწოდებს ერთობისა და ერთსულოვნებისაკენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუ ერთობა და თანხმობა იქნება, მტერი ვერდ ააგვაძაბუნებს,

თუ ავიშლებით, ვიჭიშპებთ და ვიშუღლებთ, მტერი ჩვენც „წაგვახდენს“ და ჩვენს ქვეყანასაც. ასეთია სულხან ორბელიანის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და პატრიოტული მრწამსი.

ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს სულხან ორბელიანის ამ დიდებულ თხზულებას „იმ დროის მანკიერებანი“ არ ემხილებინოს. „ეს ნაწარმოები უკვდავ-უბერებელი იმითაა, საერთოდ კაცობრიობის, ადამიანთა მანკიერებანი რომ ამხილაო“, წერს გ. ხორნაული (გვ. 130). მაშასადამე, სულხან ორბელიანს გაუკიცხავს საერთოდ, ზოგადად ადამიანური მანკიერებანი. რა თქმა უნდა, შური, მტრობა, გაუტანლობა, ანგარება, მსუნაგობა, უსამართლობა, უფლების ბოროტად გამოყენება და მისთანანი საერთო საკაცობრიო ადამიანური მანკიერებანია, მაგრამ ეს ჩვენი საზოგადოების, როგორც კაცობრიობის ცოცხალი წეკრის, მანკიერებანიცაა იმავე დროს. სულხან ორბელიანი იყო თავისი დროის და თავისი ქვეყნის შვილი, თავისი ხალხისათვის თავდაუზოგავი მზრუნველი. მის მიერ აღწერილ მანკიერებათ ის თავისი საკუთარი თვალით ხედავდა თავის წრეში, თავის საზოგადოებაში, თავის ქვეყანაში. მანკიერმა მოვლენებმა მეტად იმძლავრა ჩვენში სწორედ სულხანის დროს, სწორედ მაშინ გაშალა ფრთები ყოკელი ჯურის უკეთურებამ. ამიტომაც, ჩემი ფიქრით, მწერალი ზოგადი, განყენებული ხასიათის უკეთურებას კი არ ამხილებს, არამედ თავისი დროისა და თავისი ქვეყნის უკეთურებას (მოვიგონოთ მისი მხურვალე მოწოდება ნუ გათათრდებითო). მხილების ფორმით ის თავისი ქვეყნისა და თავისი საზოგადოების სატკივარს გამოხატავს, მხილების ფორმით თუ პირდაპირი დამოძღვრით საკუთარი, იმავე დროს ზნეობრივი სრულყოფის იდეალებსაც აყალიბებს. თავისი პირუთვნელი მხილებით სულხან ორბელიანი თავისი ქვეყნის სატკივარსაც აშუშებს და საკაცობრიოსაც. მსოფლიო მნიშვნელობის მწერალი იგია, ვისი მაღალი შემოქმედებითი ნასიტყვა საკაცობრიოს ესადაგება და ეროვნულ-სოციალურ სატკივარს მსოფლიო ღირებულების დონეზე აშუქებს.

ნუ დავივიწყებთ, რომ სულხან ორბელიანი არჩილის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია. არჩილი იყო თავისი დროისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი პირველი დაუნდობელი მამხილებელი. ის იყო, რომ დაუფარავად აღნიშნავდა:

> ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს დროში რამდენი ავი რამ იქნა,
> რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა.

არჩილის კონცეფციით, მართალია, გარეშე მტერი უმოწყალოდ ძალმომრეობდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ქვეყანას უფრო მეტად აძაბუნებდა (და გარეშე მტრის ძალმომრეობას ხელს უმართავდა) შინა-

განი აშლილობა (ამ კონცეფციას იზიარებს ჩვენი ღიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილიც). არჩილი ასე მიმართავდა შინაგანი განდიდების მანიით შეპყრობილსა და განხეთქილების მოტრფიალე მედროვეებს.

რადგან ქება გიამება, მხილებაც რამ შეისმინე.

არჩილი მხილებით არ დაკმაყოფილებულა. მან შექმნა ზნეთსწავლულების თავისებური სახელმძღვანელო წიგნი—„საქართველოს ზნეობანი". სულხან ორბელიანი აგრძელებს, ავითარებს და აღრმავებს კიდევაც საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილების არჩილისეულ ტრადიციებს და არჩილისავე მსგავსად გეთავაზობს ზნეობრივი აღზრდის მოძღვრებას პირდაპირი სწავლების ფორმითაც („სწავლანი" და მხილების ხერხითაც („სიბრძნე სიცრუისა").

განა მისი დროინდელი ქართველი საზოგადოების ზნეობრივ მანკიერებათა დაუნდობელი მამხილებელი არ არის ჩვენი უკვდავი გურამიშვილი? განა მამხილებლობამ რაიმე დააკლო მის „უბერებელ" პოეზიას?!

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ე. წ. აღორძინების ხანის მოწინავე ქართული მწერლობის ნიშანდობლივად დამახასიათებელი მხარეა მამხილებლობა, მოქალაქეობრივი, პუბლიცისტური მგზნებარება, ასე ვთქვათ, მხილებით სწავლება. ამის არ დანახვა, მით უფრო უარყოფა, იქნებოდა ჩვენი საზოგადოებრივ-მხატვრული აზროვნების ისტორიის შეუფასებლობა.

ფრიად საინტერესო. მაგრამ სადავო საკითხებია აღძრული ელიზბარ ჯაველიძის წერილში. პატივცემული მკვლევარი ფიქრობს, რომ სოციალური მხარეებისა და მამხილებლობის წინ წამოწევით „ერთგვარ გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე". ეს საკითხები, მისი დაკვირვებით, „მეორე პლანზე არიან წარმოჩენილნი" („შტუდიები", გვ. 104). ელ ჯაველიძის მოსაზრებით — „სულხან-საბა დასცინის არა ცალკეულ კონკრეტულ პიროვნებას და არც განსაკუთრებულად რომელიმე სოციალურ ფენას, არამედ ზოგადად ადამიანის ამა თუ იმ უარყოფით თვისებებს" (იქვე, გვ. 165: კურსივი ავტორისაა, ა. ბ.). მოსაზრებანი პირველი-მეორე პლანისა და გადაჭარბებულობის თაობაზე მაინც სუბიექტური გუმანის სფეროს განეკუთვნება, ოღონდ არა მგონია რომელიმე სერიოზულ მკვლევარს მოსვლოდეს ფიქრად, თითქოს სულხან ორბელიანი „სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ამხედრებული" მწერალია, „რომელიც მუშტმოღერებით ემუქრება და კიცხავს მაღალ საფეხურზე მოკალათებულ მოხელეებს" (ვგ. 164. აქაც და ქვემოთაც კურსივი ჩვენია — ა. ბ.). ეგონებ, ამ შემთხვევაში თვითონ აქარბებს ჩვენი მეგობარი მკვლევარი. არ ვდავობთ, სულხან ორბელიანი არ კიცხავს და

არ დასცინის რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, ან „განსაკუთრებულად რომელიმე სოციალურ ფენას“ (გამონაკლისია ვაჭართა ფენა), ის პირუთვნელად ამხილებს ყველა სოციალური ფენის წევრთა მანკიერ თვისებებს. ისიც უდავოა, რომ: „არ შეიძლება **ყველგან სოციალური უსამართლობის სურათები დავინახოთ** და გავაკეთოთ დასკვნა, თითქოს არაკში „თხა და მელა“ ავტორმა ამხილა გაიძვერა მაჩივრების, მსუნაგი კაცების, ცილისმწამებელი მოწმეების და მოძალადე მოსამართლეების **შეთანხმებული** საქმიანობა უწყინარი, მშვიდი, პატიოსანი და გამრჯელი მშრომელის მიმართ“ (გვ. 165). წინწკლებში მოთავსებული ტექსტი ჩვენია (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969, გვ. 377). უნდა ვაღიაროთ, რომ უადგილოდ და შეცდომით არის მოხმობილი გახაზული სიტყვა „შეთანხმებული“ (ეს სიტყვა ამოღებული მაქვს წიგნის ახალი გამოცემიდან, რომლის ბეჭდვამ, სამწუხაროდ, ძალზე დაიგვიანა, ბეჭდავს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა). სხვა მხრივ ციტატით გამოთქმული თვალსაზრისი ცილობას ვერ გამოიწვევს. ჩვენ არ ვიცით, ვინ ხედავს სიბრძნე სიცრუის წიგნში „ყველგან სოციალური უსამართლობის სურათებს“.

ელზბარ ჯაველიძე შენიშნავს, რომ იგავ-არაკ „თხა და მელის“ პერსონაჟი თხა „გულუბრყვილობის სიმბოლოა“, ხოლო იგი „მშრომელი და პატიოსანი კაცის სიმბოლო არასოდეს ყოფილა“ (გვ. 165). ჯერ ერთი, საანალიზო იგავ-არაკის თხა სრულიადაც არ არის გულუბრყვილო, მან უცთომლად შეიცნო მელის ოინები. გონივრული თადარიგი დაიჭირა, მოსაზრებითა და გამჭრიახობით აჯობა როგორც გაიძვერობასა და თაღლითობაში დახელოვნებულ მელას, ისე „ბიძამისს“, მსუნაგ მგელ-მტაცებელს. თხა „მშრომელი და პატიოსანი კაცის სიმბოლო არასოდეს ყოფილაო“, ბრძანებს მკვლევარი. ბერე რა? სულხან ორბელიანი არ მისდევს შაბლონეს და ტრაფარეტს, იგი თავისი საკუთარი გაზრებით გვიხატავს თხის სანაქებო თვისებებს იჩენს შესაშურ ორიგინალობას. „თხა და მელის“ იგავ-არაკით დიდაქტიკოსი და მორალისტი ავტორი მკითხველს ანუგეშებს, მოძალადესა და ცილისმწამებელს ღირსეული სასჯელი მიეზღვისო. ეს იყო სულხან ორბელიანის რწმენა, თუმცა ჩვენს იმდროინდელ სინამდვილეში ძალიან ხშირად მელა და მგელი განუკითხავად თვითნებობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. განა ბევრის მთქმელი არ არის მსუნაგი და წუწკი მგლის თავხედური განცხადება: „ლომ-ნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო“. მელამდივანბეგის ალეგორია მოსწრებულიცაა და ძალიან გაბედული. სხვა არა იყოს რა. მდივანბეგი იყო თვითონ სულხანის მამა, „საქართველოს ბრჭედ მთავარი და მოსამართლედ უხუცესი“ დიდი ორბელი ვახტანგი. ეს და ამდაგვარი ფაქტები გვაძლევს უფ-

ლებას ვიფიქროთ, რომ სულხან ორბელიანი ამხილებს არა განყენებულად ზოგად მანკიერ თვისებებს, არამედ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში მძლავრად ფეხმოკიდებულ უკეთურებას.

ელიზბარ ჯაველიძე წერს: „სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის მეთოდი ნაკლებად გულისხმობს სხეულის გაკაჟებას — აღმზრდელს უფრო ის სურს, რომ სხეულის გვეშით გააძლიეროს ადამიანის სულიერი თვისებები. ეს გახლავთ მორალურ-რელიგიური პრინციპი“ (გვ. 162.) ჩვენი მოსაზრება ამ საკითხზე ზემოთ გამოვთქვით. საეჭვო არ არის, რომ სხეულის გაკაჟებით ჯუმბერს სულიერი მხნეობის ძალა ემატებოდა. ოღონდ მეცნიერი-მკვლევარი თავის დებულებას ისე ავითარებს, თითქოს ჯუმბერის წრთობას რაიმე საერთო ჰქონდეს „ასკეტურ-მისტიკურ ვარჯიშებთან“ (გვ. 163). თუმცა ქვემოთ საგანგებოდ განმარტავს: „ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების რელიგიურ აზროვნებაში არსებული თეზა, რომლის მიხედვითაც სხეულის გვემა სულიერად აფაქიზებს და ზნეობრივად სრულყოფს ადამიანს, უდევს საფუძვლად ლეონის (ე. ი. საბას) აღზრდას. მაგრამ საბასთან ეს თეზა მხოლოდ რელიგიურ ასპექტში არ არის მოცემული, იგი ხალხური სიბრძნის პრიზმაშია გადატეხილი და პრაქტიკულ ხასიათს იძენს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ასე წარმოჩნდება: ვისაც თავად არ უგემია ტანჯვა, სხვის წუხილს ვერ გაიგებს“ (იქვე, გვ. 163). სავსებით სალი მსჯელობაა, ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ ავტორი ამ წიგნის წერის დროს არ ყოფილა საბა (ე. ი. არ ყოფილა ბერად შემდგარი), იგი იყო სულხანი, ერისკაცი („ერისაგანი იყო და წარჩინებული“), ეროვნულ-ხალხური და განმანათლებლური იდეების გამომხატველი, შედარებით ნაკლებად შეზღუდული რელიგიური სულისკვეთებით.

მეტის თქმაც შეიძლება. სულხან ორბელიანი ძალიან თამამად ამხილებს და ჰკიცხავს ქრისტიანული სამღვდელოების ფარისევლობას და ბერად შედგომის პირფერობას, დასცინის საქრისტიანო წმინდა ადგილების მოხილვის ფორმალობას, აბუჩად იგდებს საიდუმლო აღსარების საქმეში თვალთმაქცობას და ა. შ. („მელა მოძღვარი“). ცხადია, სამღვდელოების მანკიერებათა მხილება შეეძლო ბერად შემდგარ ავტორსაც, მაგრამ მაინც ყურადღებას იპყრობს ამ მხილების ყოვლად შეუზღუდავი სითამამე. „სიბრძნე სიცრუის“ წიგნში ასახულია მუსლიმანური კულტის მსახურთა ზნეობრივი დაცემულობა (მუსლიმანი საღრის აღვირახსნილი საქმიანობა. ან წუწკი და გარყვნილი მოლების საქციელი შეიძლებოდა მოარაკებით ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელთა საქციელადაც აღექვათ).

გარკვეულ ინტერესს იწვევს იგავ-არაკი „ქრისტიანი და ურია“

(გვ. 146.) ქალაქ სტამბოლში მცხოვრები „ერთი ქრისტიანი და ერთი მდიდარი ურია ქიშპნი იყვნენ". ურია ამორალური გზით ებრძოდა თურმე ქრისტიანს და სჩაგრავდა მას. არსებითად იმავე წესით ირჯებოდა ქრისტიანიც. რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანული მოძღვრების ზნეობრივ ნორმებს. ერთი გლახაკი კი საყვედურებით სავსე სიტყვებით გამოხატავს ღვთაებრივი მოწყალების საკითხში დაეჭვებას: „დიდად მოწყალე ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცსა სისხლს არ დააცხრევინებ, არას მისცემო" (გვ. 234).

სულხანის ერთი იგავ-არაკი („ჯოჯოხეთში დაუტევნელი", გვ. 32—33), ნებსით თუ უნებლიედ, ღვთიურ სამართლიანობასა და ღვთის ყოვლის შემძლეობაში დაეჭვების საცთურსაც კი ბადებს. ერთ პირფერულად მლოცველ ბოროტმოქმედს კაცს სამოთხის კარები დახშული ჰქონდა. ყოვლად მოწყალე ღმერთს მთლად ვერ გაუწირავს მისგანვე ქმნილი ადამიანი (ისიც მლოცველი) და ანგელოზის პირით შეუთვლია, ყველა სურვილს შეგისრულებ, ოღონდ სამოთხეში ადგილი არ მთხოვოო. ცოდვილს უპასუხნია, რადგან სამოთხე არ მეღირსება, ბარემ ისეთი დიდი გამხადე, რომ ჯოჯოხეთმა ჩემს გარდა სხვა ვერავინ დაიტიროსო. ღმერთი საგონებელში ჩავარდნილა. „ეს ვეღარ უყო ღმერთმან და ისრევ სამოთხე მისცა მას კაცსაო". მართალია, ამას ამბობს საჭურისი რუჭა, მაგრამ საკუთარი მაინც დიდია. ღმერთი ანგარიშში მოტყუებულა. ჰკუით, გამჭრიახობით და ზოხერობებით კაცს უჯობნია ღმერთისათვის.

მოყვანილი მაგალითები იმაზედ მეტყველობს, რომ სულხანი (და არა სულხან-საბა) მორალურ-რელიგიური პრინციპებისადმი დამოკიდებულების მხრივ საკვირველ თავისუფლებას ამჟღავნებს.

რევაზ ბარამიძის დაკვირვებით, სულხან ორბელიანის „მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ფრაზათა რიტმულ-მელოდიური სტრუქტურა", ოღონდ, ასკვნის: „არაკებისათვის დამახასიათებელი რიტმულობა თავისი ბუნებითა და სტრუქტურით საგრძნობლად განსხვავდება ფაბულურ-სიუჟეტური თხრობის რიტმულობისაგან" (გვ. 96. კურსი ჩემია, ა. ბ.). მკვლევრის მოხმობილმა მაგალითებმა მისეული დასკვნის სისწორეში პირადად ჩვენ ვერ დაგვარწმუნა. ჩარჩოიანი თხზულების ფაბულური თხრობის ცალკე გამოყოფა. რასაკვირველია, საჭიროებით შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფაბულური თხრობა გამორჩეულად მნიშვნელოვანია (ასეთია, კერძოდ, „სიბრძნე სიცრუისა"), მაგრამ ასეთი გამოყოფა, უთუოდ, დაარღვევს ნაწარმოების მთლიან, მწყობრ კომპოზიციურ სტრუქტურას. უფრო უპრიანია იგავ-არაკების გამოცალკევება, რამდენადაც ისინი დამოუკიდებელი სახითაც ინარჩუნებენ თავიანთ თვისთავად მნიშვნელობას, თუმცა ფაბულურ-სიუჟეტური თხრობის

ორგანულ ნაწილს შეადგენენ. პრაქტიკულად სწორედ ცალკე გამოყოფილი იგავ-არაკები იბეჭდება ხოლმე სხვადასხვა სახის კრებულებში, ანთოლოგიებსა და ქრესტომათიებში.

კარგი პროზის ტექსტს ყოველთვის აქვს თავისი შინაგანი რიტმული წყობა, თუ ორგანიზებული განლაგება სიტყვებისა და ფრაზეოლოგიური მონაკვეთებისა. ნიშანდობლივად ასეთია სულხან ორბელიანის მშვენიერი პროზაც საერთოდ, საკუთრივ კი — სიბრძნე სიცრუისა (კრებულის ფაბულური თხრობის ჩარჩოც და საილუსტრაციო იგავ-არაკებიც). ამ მხრივ ეშვს არ იწვევს რ. ბარამიძის საერთო პრინციპული მოსაზრება. საეჭვოდ გვეჩვენება მისი მეორე შენიშვნა: „კიდევ უფრო გამოკვეთილი, რიტმული სტრუქტურა და აშკარად ჩამოყალიბებული რიტმი შეიმჩნევა ერთ-ერთ ფრაზაში, რომელიც სულ სხვა პრინციპზე უნდა იქნას გამართულიო“ და მოყავს შემდეგი ტექსტი:

პატრონსა შენსა უყვარდეს გველი,
შენგან უბესო ჩასმასა ველი.

ტექსტს ახლავს მკვლევრის კომენტარი: „ეს უკვე აშკარად გამოხატული ორმუხლედი ლექსიაო“ (გვ. 97.) რა თქმა უნდა, ეს ორმუხლედი ლექსია. სულხანის წიგნში ის პროზაულ ტექსტშია ჩართული და ოდნავ განსხვავებული რედაქციითაა წარმოდგენილი: „არაკად თქმულა — პატრონსა შენსა უყვარდეს გველი, შენგან უბესა ჩასმასა ველიო“ (გვ. 118).

აშკარაა, რომ ციტირებული ტექსტი (— მრჩობლედი ლექსი) არ ეკუთვნის სულხან ორბელიანის კალამს, ავტორი საგანგებოდ ამბობს „არაკად თქმულაო“. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ მოსაზრების შესამაგრებლად სულხანი ხშირად იყენებს ხალხში გავრცელებულსა თუ ლიტერატურით ფიქსირებულ სხვადასხვა აფორიზმებს, სენტენციებს, ანდაზებს და ა. შ. (ეს არის მისი თხზულების ერთ-ერთი სტილებრივი ნიშანი). მაგალითად: „არაკად თქმულა — ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო“; „არაკად თქმულა — ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“; „არაკად თქმულა — თხის პატრონს აღარც თხის კუდიო“; „არაკად თქმულა — ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუკაასაო“ და სხვ.

ასეთივე რიგისაა მრჩობლედი ლექსიც.

1986

წერილი რედაქციას

(რეპლიკა „კავკასიონში“ გამოქვეყნებული ერთი წერილის გამო)

როგორც ცნობილია, გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ორგანო რუსულ ენაზე „კავკასიონი“ (ლიტერატურული კრებული, პირველი გამოშვება. თბილისი 1984), კრებულს უძღვის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მაშინდელი თავმჯდომარის ნოდარ დუმბაძის — „კავკასიონის მკითხველებს“. აქ მოკლედ, ლაკონიურად და მკაფიოდ განსაზღვრულია კრებულის ხასიათი, დანიშნულება და ამოცანები. ნოდარ დუმბაძის სიტყვით, „კავკასიონი“ მოწოდებულია გააცნოს რუსულენოვან მკითხველს ჩვენი რესპუბლიკის „ლიტერატურა და კულტურულ-მხატვრული ცხოვრება“. „კავკასიონი“ უნდა იყოსო „თავისებური სარკე“, რომელშიც აირეკლება და აისახებაო ის სერიოზული მუშაობა, რაც საბჭოთა საქართველოში მიმდინარეობს სიტყვის ხელოვანთა მიერ შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებთა რუსულ ენაზე გადასაღებად.

რაღა თქმა უნდა, მართლაც, „კეთლშობილური ამოცანა“ დგას „კავკასიონის“ წინაშე.

„კავკასიონის“ ამ პირველ გამოშვებაში დაბეჭდილია ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. მრავალრიცხოვან საინტერესო მასალათა შორის აქ არის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ახალი თარგმანი, შესრულებული ვლადიმირ სოლოუხინის მიერ და თამაზ ჭილაძის ნარკვევი — „იაკობ ცურტაველის „წამება შუშანიკისი“. იაკობ ცურტაველის თხზულება ქართული მწერლობის პირველი ბრწყინვალე ძეგლია, რომელმაც კი ჩვენ დრომდის მოაღწია. 1978 წელს ჩვენს ქვეყანაში ზეიმით აღინიშნა ამ ძეგლის 1500 წლისთავი. რასაკვირველია, მისასალმებელია „შუშანიკის წამების“ ახალი თარგმანის პუბლიკაცია. მისასალმებელი იქნებოდა იმის შესახებ მარჯვე წერილიც...

თამაზ ჭილაძის წერილი თარგმანია მისი ნაშრომისა, რომელიც ჯერ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა (1977 წ., № 5), ხოლო შემდეგ (1978 წ.) ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა (გამომცემლობა „ნაკადული“). თ. ჭილაძის ამ ნაშრომს განკერძოებული ადგილი უკავია „შუშანიკის წამების“ გარშემო არსებულ საკმაოდ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში. პოეტი-მკვლევარი შეეცადა ახლებურად წაეკითხა და ახლებურად გაეაზრებინა „წამების“ შინაარსი. თ. ჭილაძის მოსაზრებით (შეიძლება ამ მოსაზრებას ვუწოდოთ კონცეფცია), იაკობ ცურტაველის ოხზულებას აქვს ორი ტექსტი. მკვლევრები, თურმე, ძველად და ახლაც ჩვეულებრივ კითხულობენ პირველ, ტრადიციულ ტექსტს. თითქოს დღემ-

დის შეუმჩნეველი დარჩენილა თხზულების მეორე, „დაფარული“ ტექსტი ანუ „ქვეტექსტი“. თხუთმეტი საუკუნის შემდეგ თ. ჭილაძეს გაუშიფრავს და ამოუკითხავს თხზულების ის დაფარული „მეორე ტექსტი“, რომელსაც ცურტაველი თვითონ „მალავდა“. თ. ჭილაძე წერს, რომ ცურტაველის თხზულებაში „ყველა (თითქმის ყველა!) ერთს ამბობს და მეორეს კი ფიქრობს, ყველა ნათქვამს ქვეტექსტი აქვს“. იაკობი მოგვითხრობს ერთ ამბავს, მაგრამ ამ ამბის „მიღმა“ ქმნის მეორე „უფრო მძაფრ“, „პარალელურ ამბავს“. მთავარი ყოფილა ამ მეორე ამბის აზრის ამოცნობა, მისი ნამდვილი შინაარსის ამოხსნა. თ. ჭილაძის ფიქრით, მეორე ამბით საცნაური ხდება პირველი ამბით უცნობი „ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გმირი“ — მეფე ვახტანგ გორგასალი. კარგა ხანია იგი ამზადებდაო „დიდ შეთქმულებას“ ირანის და იმის მხარეზე გადასული ვარსქენ პიტიახშის წინააღმდეგ. „დიდი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვდა“. ეს მსხვერპლიაო შუშანიკი. შუშანიკი უნდა მოკვდეს ქრისტიანობისათვის ვარსქენის ხელით. ღედოფალი უნდა გახდეს მოწამე წმინდანი, რომ ვახტანგ გორგასალს ჰქონდეს მორალურ-პოლიტიკური საფუძველი ვარსქენის მოსასპობად. ეს იდეა ყოფილა ჩაქსოვილი „შუშანიკის წამებაში“.

ვახტანგ გორგასალს ჰყოლია მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. მისი უერთგულესი მომხრენი ყოფილან იაკობი და შუშანიკი. იაკობს დავალებული ჰქონია შუშანიკის სამსხვერპლოდ მომზადება. შუშანიკი თანახმაა თავი გაწიროს. მაგრამ თურმე საქმეს ის აბრკოლებდა, რომ მას და ვარსქენს უზომოდ ჰყვარებიათ ერთმანეთი. დედოფალი მოქცეულა ორ ცეცხლს შუა. ბოლოს და ბოლოს დაუძლევია სარწმუნოებრივ გრძნობას. ვარსქენ პიტიახშს სწორად ამოუხსნია „ვახტანგის ინტრიგის ერთი სელა“, რომ, მეფის გეგმის მიხედვით, მან უნდა მოკლას მისი საყვარელი მეუღლე. ამიტომააო, შენიშნავს თ. ჭილაძე, რომ ვარსქენი კი არ ჰკლავს შუშანიკს, „შუშანიკი (თვითონ) იკლავს თავს“ (კურსივი ჩვენია, ავტ.).

თ. ჭილაძის კონცეფციით მეტისმეტად უცნაური ჩანს იაკობ ხუცესის როლი, როგორც „წამების“ ავტორისა და თხზულების პერსონაჟისა. „ის (იაკობი, ავტ.) აშკარად ვახტანგის კაციაო“ და ზუსტად ასრულებს ვახტანგის მითითებებსო. მაგრამ ვარსქენს არ გამოპარვია იაკობის საქმიანობა. მას შესაფერისი, ასე ვთქვათ, კონტრ-ზომები მიუღია, „მახეს უგებს“ იაკობს და მას თავის სასარგებლოდ იყენებს კიდევაც. თ. ჭილაძე გვაუწყებს: „ვერაგი ვარსქენი იაკობს თავის სასარგებლოდ იყენებს. ეს შეიძლება იაკობმა არც კი იცის, ანდა უარესი— იცის, მაგრამ სხვა გზა არა აქვს“; „ამიტომაცაა სწორედ. — განაგრძობს თ. ჭილაძე, — გამუდმებით რომ ეშინია რაღაცის“.

ამ მონათხრობს თავისი სახელი უნდა დავარქვათ: იაკობ ხუცესი ყოფილა ვარსქენ პიტიახშის კარზე მიჩენილი თავისებური მსტოვარი, რომელიც ვერცთუ მარჯვედ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. მისი საქმე ასე თუ ისე გამჟღავნებულა, ყოველ შემთხვევაში, ვარსქენი გარკვეულა საქმის ვითარებაში. იაკობს ვერ გამოუჩენია ვერც საჭირო სიფრთხილე და ვერც ხასიათის სიმტკიცე, ვარსქენის მიერ დაგებულ მახეში ჩაჩიხულს დავიწყნია პრინციპულობა და მტრის სასარგებლო საქმეც უკეთებია. სხვა გზა არ ჰქონდაო, ბოდიშს ხვეის მკვლევარი. ჩვენი ფიქრით, დიდი მკრეხელობა იქნება იაკობ ცურტაველი მივიჩნიოთ გულუბრყვილო და მშიშარა ადამიანად, ან უპრინციპო მიეთ-მოეთად, რომელიც ერთდროულად ორ უფალს ემსახურებოდა და ივიწყებდა საღვთო წერილის კანონს: „ვერვის ხელეწიფების მონება ორთა უფალთა“.

იაკობის მხრივ ვითომ გადადგმული საჩოთირო ნაბიჯების ასახსნელად და მისი მორალური პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად თ. ჰილაძე გვთავაზობს თავისთავად საეჭვოსა და ახირებულ მოსაზრებას: „დაპყრობილ ქვეყანაში მორალური თუ ზნეობრივი ნორმების დონე ყოველთვის დაბალიაო“. ყოველ ერს (მათ შორის, რასაკვირველია, ქართველი ერი გამონაკლისი ვერ იქნება) ჟამთა სიავის დროსაც ჰყოლია და დალხინების დროსაც ჰყავდა მოღალატე, შინაგამცემი, გაიძვერა, მედროვე და მისთანანი. მაგრამ მოხმობილი დებულება, როგორც ტიპური რამ, განა მოერგება კოხტასთავს შეთქმულთა ქვეყანას და ცოტნე დადიანის სამშობლოს. მით უფრო უმართებულო იქნებოდა ამ დებულების გავრცელება იაკობ ცურტაველის მიმართ. იაკობი ამას არაც და არამც არ იმსახურებს. ყველაფერი ეს გამოიწვია თ. ჰილაძის მჭრელ კვლევის ორიგინალობის დაჩემებამ, „შუშანიკის წამებაში“ ვითომ მიფარული, ქვეტექსტებში ჩამარხული „მეორე სინამდვილის“ ამოკითხვის მიძალებულმა სურვილმა.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მარტიროლოგიური ჟანრის თხზულებათა ავტორებისათვის საერთოდ უცხო იყო ძნელად ამოსაცნობი, დაშიფრული, ქვეტექსტური ორმაგი სინამდვილის ხატვა. თ. ჰილაძე ხელმძღვანელობს რეალისტური ხელოვნებისა ახალი ესთეტიკური პრინციპებით და სავსებით უგულებელყოფს ადრეული შუა საუკუნეების შესაფერის ესთეტიკურ კრედოს.

ჩვენს ამ რიტლიკაში ვეხებით თ. ჰილაძის წერილის ძირითად კონცეფციურ მხარეს. მის ნაშრომში სხვაც ბევრია სადავო და საკრიტიკო, რის შესახებაც საუბარია 1978 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილებში (იხ. ჟურნალის № 9, 10).

ქართულმა მეცნიერებამ და მწერლობამ არ გაიზიარა ჰილაძისეული კონცეფცია იაკობ ცურტაველის თხზულების თაობაზე. ჩვენ გვი-

კვირს, რომ „კავკასიონის“ რედაქციამ ყურად არ იღო საზოგადოებრივი აზრი და რუსულენოვან მკითხველს მიაწოდა, იქნებ, თავისდაუნებურად საინტერესო, მაგრამ ისეთი ხასიათის ესეისტური ნაშრომი, რომელიც სუბიექტურად აშუქებს ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

საგულისხმოა, რომ თ. ჰილაძისათვის შემთხვევითი არ ყოფილა „შუშანიკის წამებაზე“ შექმნილი მისი ნაშრომი. ზუსტად იმავე მეთოდით წაიკითხა და ამოიცნო მან ვეფხისტყაოსანში ვითომ ჩამარხული რაღაც საიდუმლო იდეა, თითქოს იაკობ ცურტაველის პერსონაჟების მსგავსად. რუსთველის პერსონაჟებიც თავიდან ბოლომდის შენიღბული არიან, ერთს ამბობენ და ნამდვილად მეორეს აკეთებენ, თითქოს პოემის ჩვეულებრივი ტექსტი კი არ გვიმხელს დიდებული ავტორის სათქმელს, არამედ მხოლოდ დასაიდუმლოებული ქვეტექსტები (იხ. თ. ჰილაძის „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ „მნათობი“, 1983, № 10, 11).

რა თქმა უნდა, თ. ჰილაძე უფლებამოსილია განაგრძოს ქართველ კლასიკოსთა თხზულებების მისებური მეთოდით კითხვა-გაგება. ეს მისი პირადი საქმეა. ოღონდ ფრთხილად და კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ საკავშირო სარბიელზე გასატანი ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომების შერჩევას. რუსულენოვან მკითხველს უნდა ობიექტური ინფორმაცია მივაწოდოთ ქართულიდან ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლების თაობაზე.

P. S. ჩვენი შენიშვნის საჭიროება ცხადლივ გამართლდა. მწერალთა მერვე საკავშირო ყრილობის დღეებში მოსკოვში, ჩეხოვის სახელობის ბიბლიოთეკაში, ჩატარებულა მკითხველთა შეხვედრა თამაზ ჰილაძესთან. სხვებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობა მიუღია ინჟინერ ვ. ლევინსონს; იგი შეხებია ქართველი მწერლის „ესეისტიკას“ და უთქვამს: „პირადად მე სტატიამ „შუშანიკის წამებაზე“ უფრო ღრმად ჩამახედა ძველქართული ლიტერატურის სპეციფიკაში. ამ სტატიამ წარმოაჩინა თ. ჰილაძის... დიდი ერუდიცია, აზროვნების სიღრმეთა თავისებურება“ (მიხეილ თარხან-მოურავი. შეხვედრა თამაზ ჰილაძესთან, „ლიტერატურული საქართველო“, 18.7.86; კურსივი ჩვენია, ავტ.). სამწუხაროდ, თ. ჰილაძის სტატია ვერ ქმნის სწორ წარმოდგენას ძველი ქართული მწერლობ..ს სპეციფიკაზე და უნებლიეთ შეცდომაში შეჰყავს ჩვენი წარსულით დაინტერესებული რუსი მკითხველი.

1985

ქართული ლიტერატურის ისტორია გერმანულ ენაზე

1963 წელს დასავლეთ გერმანიის ცნობილ ორიენტალისტურ ორგანოში (Handbuch der Orientalistik. Erste Abteilung. Der Nahe und der Mittlere Osten. VII. ლეიდენ-კიოლნი) გამოქვეყნდა აწ გახსენებული ქართველოლოგის პროფ. გერჰარდ დეეტერსის (1892—1961) ნარკვევი „ქართული ლიტერატურა“ (გვ. 129—155). ნარკვევი მცირე მოცულობისაა, დაწერილია ძალიან შემჭიდროებულად, ენციკლოპედიური შრომებისათვის დამახასიათებელი საქმიანი და რამდენადმე მშრალი სტილით. წერილს საინფორმაციო-საცნობარო ღირებულება აქვს და მოკლედ იხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას დღიდან ამ ლიტერატურის ჩასახვისა საბჭოთა პერიოდის ჩათვლით.

შესავალში ავტორი აცხადებს, რომ ორიენტალისტებს საერთოდ, კერძოდ კი ფილოლოგებს, უფრო აინტერესებთ ქართველთა ძველი ლიტერატურა ადრეული და გვიანი შუასაუკუნეებისა, ვიდრე ახალი და უახლესი დროისა. მაინც მოკლედ ვეხები ახალ პერიოდებსო. მკვლევარი გულისტკივილს გამოთქვამს „ბევრ წყაროს“ ხელმიუწვდომლობის გამო, რაც რიგ შეცდომას ამაცდენდაო. ვწუხვარო, დასძენს, რომ ახალი პუბლიკაციების უქონლობამ მაიძულა უარი მეთქვა ფოლკლორის მიმოხილვაზეო.

ქართულ ლიტერატურას გ. დეეტერსი ჰყოფს ოთხ პერიოდად: 1. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა (მე-5—მე-11), 2. შუასაუკუნეების პოეზია (მე-11—მე-13), 3. აღორძინება, განმანათლებლობა, რომანტიზმი (მე-16—მე-19-ის ნახევარი), 4. ახალი ქართული ლიტერატურა. მე-13—მე-14 საუკუნეები მწერლობის დაცემით ხასიათდებაო.

გ. დეეტერსი ფიქრობს, რომ ქართული ანბანის შემოღება და მწერლობის დასაწყისი უნდა უკავშირდებოდეს ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში. სასულიერო მწერლობის მიმოხილვისას მკვლევარი შედარებით უფრო ვრცლად ჩერდება ორიგინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიაზე და ჰიმნოგრაფიაზე. დიდად აფასებს იაკობ ცურტაველისა და გიორგი მერჩულეს ნაწერებს, „ცხოვრება გრიგოლ ხანთელისა“ სცილდება „ცხოვრებათა“ ჟანრის ფარგლებსო. მიქელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის სანოტო ნიშნები საბოლოოდ გაშიფრული არ არისო. მისი სიტყვით, „არაფერი წინ არ გვეღობება ვერწმუნოთ გადმოცემას, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან გადაიღო ბერძნულ ენაზე სიბრძნე ბალავარისა“.

შუა საუკუნეთა საისტორიო ძეგლების, „პროზაულ სარაინდო რომანებისა“ (ამირანდარეჯანიანისა და ვისრამიანის) და საკარო-სახოტბო პოეზიის დახასიათების შემდეგ, გ. დეეტერსი ცალკე თავში „ქართული

ნაციონალური ეპოსი“ იხილავს შოთა რუსთველსა და მის პოემა ვეფხისტყაოსანს. ამას უშირავს დეეტერსის ნაშრომის ცენტრალური და მოცულობითაც ყველაზე უფრო დიდი ადგილი. ვეფხისტყაოსანს მკვლევარი უწოდებს მსოფლიო მნიშვნელობის ნაციონალურ ეპოსს, რომელიც ქართველებისათვის საუკუნეთა მანძილზე ეროვნულ სიწმინდედ რჩებაო. პოემაში მოქმედება მიმდინარეობსო ზღაპრულად წარმოსახულს აღმოსავლეთის ქვეყნებში. მოკლე შინაარსის გადმოცემის შემდეგ დეეტერსი აშუქებს ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის საკითხს, აანალიზებს მიჯნურობისა და შაირობის თეორიებს. თუმცა პროლოგის ერთ-ერთ სტროფში ნათქვამიაო, თითქოს პოეტს ხელთ ჰქონია „სპარსული ამბავი“, ახალ სპარსულ მწერლობაში არაფერი ამისი მსგავსი რამ არ მოიპოვებაო. პროლოგ-ეპილოგ ვეფხისტყაოსნის ავტორად აღიარებსო რუსთველს, პოეტის სახელი შოთა მე-17 საუკუნიდან მომდინარეობს. პოეტის ნამდვილი ბიოგრაფია უცნობიაო. ქართველ მკვლევართა ცდას რუსთველის სახელი დაუკავშირონ თამარის დროის საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს, აკლი დამჯერებლობის ძალა. სარწმუნო მხოლოდ ის არისო, რომ ვეფხისტყაოსანი 1200 წლის ახლოს უნდა იყოს შეთხზულიო. დღემდის არ მოიპოვება პოემის კრიტიკული გამოცემაო. შემდეგ მკვლევარი მსჯელობს შაირის მეტრის რაობაზე და რუსთველის პოეტურ ენაზე. ვეფხისტყაოსანი აიდეალებსო თავის გამწირველ მეგობრულ ერთგულებას და უფრო მეტად ძლიერ სიყვარულსო („ამაღლებულ სიყვარულს“). პოემის მთავარი გმირია ტარიელი. პერსონაჟები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ავტორი ქრისტიანიაო. რუსთველის ღმერთი სამყაროს შემოქმედია, მზე ღვთის ხატია. პოემაში საგრძნობიაო ნეოპლატონური იდეები.

როგორც დეეტერსის მთელ ნაშრომს საერთოდ, და განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის ნაკვეთს ახლავს საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია. ოღონდ, ეტყობა, ყველა წყაროს მკვლევარი უშუალოდ არ გაცნობია. მაგალითად, იგი ასახელებს ა. სლოვინსკის ნარკვევს, რომელიც ვითომც თბილისში დაიბეჭდა 1944 წელს. ნამდვილად კი ეს ნაშრომი მხოლოდ ხელნაწერის სახით მოიპოვება. დეეტერსისათვის უცნობი დარჩენილა ქართველ მეცნიერთა მიერ 1960 წელს იერუსალიმში მოპოვებული მასალები.

ე. წ. აღორძინების პერიოდიდან დეეტერსი ეხება თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგსა და მის შვილებს (ვახუშტის და ბაქარს), სულხან-საბა ორბელიანს, ანტონ კათალიკოსს, დავით გურამიშვილს, ბესიკს და საიათნოვას. იძლევა თითოეულის მოღვაწეობისა და შემოქმედების დამახასიათებელ შტრიხს. იოანე ბატონიშვილს (შეცდომით მას თვლის ერეკლეს ძედ) უწოდებს განმანათლებლობის ორიგინა-

ლურ წარმომადგენელს. მისი „კალმასობა" თავისი დროის ცოდნის ენციკლოპედიაა, რომელიც შიგადაშიგ ქვეყნის სოციალური და კულტურული ცხოვრების ცოცხალ კრიტიკულ სურათს ხატავსო.

მესამე კარის უკანასკნელი თავია „რომანტიზმი და რეალიზმის დასაწყისი". რომანტიზმის წარმომადგენლებად მიჩნეული არიან ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. ყველაზე ორიგინალური ტალანტი და ნამდვილი რომანტიკოსია ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბაირონისა და ლერმონტოვისაგან დავალებული მისი ლირიკული პოეზია უფრო პირქუშია და პესიმისტური, რომანტიკული განსახოვნება არ ახლავსო პოემას „ბედი ქართლისა". საინტერესოდაა გაანალიზებული „მერანი". შემდეგ განხილულია „ქართული კომედიის შემქმნელი" გიორგი ერისთავი. აგრეთვე ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე, რომელიც „რომანტიკული გაზვიადებით" მოგვითხრობს მებატონეების საშინელი ძალმომრეობის ამბავსო.

მეოთხე კარი ეძღვნება ახალ ქართულ ლიტერატურას. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ, იგი ძლიერ ახლოსაა ცოცხალ სახალხო ენასთანო, ამბობს მკვლევარი. თავში „მესამოცე წლების კლასიკოსები და მათი მიმდევრები" განმარტებულიათერგდალეულობის რაობა და განხილულია თერგდალეულთა თაობის წარმომადგენლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება. დეეტერსი ილიას უწოდებს საქართველოს მთელი კულტურული ცხოვრების გამძღოლს, რომელიც ყაჩაღებმა მოჰკლეს ცარიზმის საიდუმლო პოლიციის პირდაპირი დავალებითო, მისი დაკრძალვა გადაიქცა ქართველთა ეროვნულ დემონსტრაციად. დეეტერსს ცალკე აქვს გამოყოფილი ილიას „ღრმა აზრიანი" პოემა „განდეგილი". რიგი ადრინდელი ნაწარმოებით ომი გამოუცხადა ბატონყმობასო, „კაცია ადამიანით" დაგვიხატაო პირუტყვად ქცეული მებატონე, გვიანდელი მოთხრობით „ოთარაანთ ქვრივი" ასახავს გლეხებისა და მემამულეების ურთიერთობას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, რჩება ნაპრალი, რომელზედაც ხიდის გადება არ ხერხდებაო. აკაკი წერეთელი უარყოფდაო შიშველი ტენდენციის პოეზიას, მისი ლექსები უაღრესად მუსიკალურიაო, თავისი პოემებით (აგრეთვე პროზაული ბაში-აჩუკით) წარსულის მაგალითზე იგი თანამედროვეობას მოუწოდებდა ერთიანობისა და თავდაღებისათვის ერის საკეთილდღეოდო. დიდად არის შეფასებული აკაკის „ჩემი თავგადასავალი". ილიასა და აკაკის გვერდით არის გარჩეული გიორგი წერეთლის შემოქმედება, თანამედროვეთა ტიპური რეალისტური სახეები შექმნაო.

„ახალი რომანტიზმის" წარმომადგენლებად აღიარებს დეეტერსი ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველას, რომელთა შემოქმედე-

ბითი თემატიკა ახალი ცივილიზაციით ხელუხლებელი საქართველოს მთიანეთის ცხოვრებას უკავშირდებაო, ორივე მწერალი სიმპათიით იყო განწყობილი პატრიარქალური წარსულისადმიო.

საგანგებო თავადაა გამოყოფილი „რეალიზმი 1900 წლის წიხ და შემდეგ". ამ თავის შესავალ ნაწილში დეეტერსი ამბობს, რომ მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოს სხვა კუთხიდან და სხვა საზოგადოებრივი წრიდან გამოსულმა თაობამ „სოციალური კითხვის რადიკალური ლოზუნგები წამოაყენა". 1893 წელს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა პუბლიცისტებისა და მწერლების ერთი ჯგუფი მარქსისტული ლოზუნგებით. ეს ჯგუფი ცნობილია მესამე დასის სახელწოდებით, მისი დამაარსებელი იყოო ეგნატე ნინოშვილი. ნინოშვილმა დრამატიზირებული სიმახვილით დაგვიხატა სოფლის სიმჯარით სავსე ცხოვრება. დავით კლდიაშვილი იუმორისტულად აღწერს სოფლის გაღარიბებული აზნაურობის გარემოს. ავტორია პოპულარული კომედიებისა. მნიშვნელოვანია ვ. ბარნოვის მრავალრიცხოვანი ისტორიული რომანები საქართველოს წარსულიდან. მისი ენა „მდიდარია და მრავალფეროვანი". აქვს არქაიზმები. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია თხზავს მოთხრობებსა და რომანებს „თანამედროვეობის სოციალური ცხოვრებიდან". აქვეა გარჩეული ლეო ქიაჩელის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და შალვა დადიანის შემოქმედება. დიდ მოთხრობაში „ტარიელ გოლუა" ლეო ქიაჩელმა ასახა 1905 წლის რევოლუცია. მოწონება დაიმსახურა მისმა საკოლმეურნეო რომანმა „გვადი ბიგვა". „მთის კაცში" მოთხრობილია ერთი აფხაზური სოფლის თავდაცვა მეორე მსოფლიო ომის დროს. ნიკო ლორთქიფანიძე წერდა მოთხრობებს გლეხთა და კეთილშობილთა ცხოვრებიდან (დანგრეული ბუდეები). „ბილიკიდან ლიანდაგამდე" აგვისახავს ახალი დროის შეჭრას სამეურნეო სფეროში. ავტორია რიგი ისტორიული მოთხრობებისა. ოციან წლებში ძლიერ საყვარელ მწერლად იყო მიჩნეული მიხეილ ჯავახიშვილი. მისი მოთხრობები და რომანები გვიხატავენ უპირატესად მოვლენების ნეგატიურ მხარეებს. შალვა დადიანი ცნობილია როგორც დრამატურგი. წერდა დრამებსა და კომედიებს სოციალურსა და ისტორიულ თემებზე. უწერია რომანებიც (ურდუმი, მენჯი რობი).

მეოთხე კარის მეოთხე თავად მოდის „ესთეტიზმი და სიმბოლიზმი". მკვლევარი მოკლედ ეხება სიმბოლიზმის აღმოცენების ისტორიას საქართველოში, ახასიათებს ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას. სიმბოლიზმის მოთავეებად თელის ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს, მათ პირველ ორგანოს, ისე როგორც მთელ ლიტერატურულ გაერთიანებას ეწოდებოდაო „ცისფერი ყანწები". სიმბოლისტთა შორის ყველაზე ნიჭიერიაო გრიგოლ რობაქიძე, სწავლობდა ლაიფციგში, მჭიდ-

როდ დაუახლოვდა გერმანელთა სულიერ ცხოვრებას. მას შემდეგ რაც „მოახერხა გერმანიაში ემიგრირება", წერს გერმანულ ენაზე. მისი ადრინდელი ნაწერები გერმანული ლიტერატურის კუთვნილებაა.

სიმბოლისტთა ჯგუფს არ ეკუთვნოდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი, თუმცა მას ბევრი ახალგაზრდა თავის ოსტატ მასწავლებლად აღიარებ დაო. გრიშაშვილმა დაიწყო სატრფიალო ლექსებით მე-18 საუკუნის ყაიდაზე, „მის ლექსებს იშვიათი მუსიკალობა და გამომსახველობითი ძალა" ახასიათებს. გრიშაშვილი ადიდებდა ძველ პატრიარქალურ თბილისს, რომლის ლიტერატურულ ბოჰემას ისტორიულ-ლიტერატურული შრომაც მიუძღვნა. საბჭოთა წყობილებას ადრე განზე გაუდგა, მაგრამ 1925 წელს გამოქვეყნებული ლექსით „ძველი თბილისის გამოთხოვება" თანამედროვეობის თემატიკას მიმართა.

გგალაკტიონ ტაბიძემ პირველი პოეტური კრებული 1914 წელს გამოსცა. მალე იგი პერსონალურად დაუკავშირდა რუს სიმბოლისტებს, რომელთა ზეგავლენაც განიცადა. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ გადაჭრით დადგა მის მხარეზე. ტაბიძის „მხატვრულად ორიგინალური და დრამატიული პათოსით გამსჭვალული ლექსები და პოემები ამიერიდან არსებითად ემსახურება პოლიტიკის ცვალებად ინტერესებს". გალაკტიონ ტაბიძეს მინიჭებული აქვს „სახალხო პოეტის" წოდება.

„ცისფერი ყანწების" ჯგუფს ეკუთვნოდა საგარეჯოს მასწავლებლის შვილი გიორგი ლეონიძე. იგი სცემდა გაზეთებს („საფირონს" 1914 წ., „ბახტრიონს" 1923 წ.). მოღვაწეობდა როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი თბილისის უნივერსიტეტში, მოაწყო ლიტერატურული მუზეუმი. ავტორია პოეტური ციკლისა „ქართლის ცხოვრება" (1926—1949), „ბრწყინვალე ლექსებით უმღერის თავის სამშობლოს მრავალფეროვან ბუნებას და გმირულ წარსულს".

კონსტანტინე გამსახურდია 1912 წლიდან გერმანიაში სწავლობდა ფილოსოფიას. მისი მოსაზრებით, ხელოვნება პოლიტიკის გარეთ უნდა დარჩეს. ყურადღების ღირსია კ. გამსახურდიას ისტორიული რომანები გიორგი მე-3-ის(!) დროზე და დავით აღმაშენებელზე. ისინი გვაცნობენ ფართო მასშტაბის მხატვრულ სურათებს.

მეოთხე კარის უკანასკნელი თავია „საბჭოთა ლიტერატურა"

დეეტერსი აღნიშნავს, რომ ლიტერატურული ცხოვრება საბჭოთა საქართველოში ძალიან ცოცხლად მიმდინარეობს. მწერალთა კავშირი 250 წევრს აერთიანებსო. არ გავა წელიწადი, რამდენიმე ათალგაზრდა პოეტის ლირიკული კრებული რომ არ გამოქვეყნდესო. მკვლევარი შენიშნავს, რომ იგი დაასახელებს მხოლოდ ზოგიერთ მწერალს, რომლებმაც ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყეს საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან.

სამეგრელოდან წარმოშობილმა დემნა შენგელაიამ შეთხზა „გლეხური საოჯახო რომანი“ თავისი კუთხიდან „ბათა ქექია“, აგრეთვე „წითელი ყაყაჩო“ მეორე მსოფლიო ომის თემაზე. ერთი წამყვანი ლირიკოსია სიმონ ჩიქოვანი. მან გადათარგმნა ძველი რუსული „იგორის ლაშქრობა“. უმღერა საბჭოთა ხალხების ძმურ თანამეგობრობას („კავკასიიდან ტაგანროგამდე“), შექმნა ლირიკული ციკლი „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. უმთავრესად პოლიტიკური ლირიკოსია ალიო მირცხულავა (მაშაშვილი). აკაკი ბელიაშვილმა გამოაქვეყნა პატარ-პატარა იუმორისტული მოთხრობები და პოეტ ბესარიონ გაბაშვილისადმი მიძღვნილი რომანი სამ ტომად. საკოლმეურნეო ცხოვრებას გვისურათებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. მან მწერლობა დაიწყო როგორც ლირიკოსმა პოეტმა („ვერცხლის ქამარი“). ელიზბარ პოლუმორდვინოვი (ზედგინიძე) რომანით „მთები იღვიძებს“ აგვიწერს ჩამორჩენილი კუთხეების მშენებლობას. მან დაწერა მოთხრობები აგრეთვე ძველი თბილისის ცხოვრებიდან. გრიგოლ აბაშიძემ გამოაქვეყნა ლირიკული ლექსების კრებულები და პოემები. მისი „გიორგი მე-6“ ასახავს ქართველი ხალხის ბრძოლას თემურის წინააღმდეგ. „დაუძლეველი კავკასი“—კავკასიის ფრონტის თავდაცვას მეორე მსოფლიო ომის დროს. ალ. აბაშელთან ერთად გ. აბაშიძემ შეთხზაო საბჭოთა აქართველოს ჰიმნი.

ასეთია მოკლედ გ. დეეტერსის „ქართული ლიტერატურის“ შინაარსი.

1965

ბესარიონ გაბაშვილი

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ბესარიონ გაბაშვილი მწერლობაში უფრო ცნობილია ბესიკის სახელწოდებით. იგი იყო შვილი თეიმურაზ მეორის კარის მოძღვრისა და საკმაოდ ცნობილი მწერლის ზაქარია გაბაშვილისა. დაბადებულა ბესიკი 1750 წელს[1]. მომავალი პოეტი იზრდებოდა მამის ხელმძღვანელობით. ბესიკი 13-14 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც მოძღვრის ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება. როგორც ვიცით, ზაქარიას მწვავე კონფლიქტი ჰქონდა კათალიკოს ანტონ პირველთან საეკ-

[1] გ. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ბესიკი, თბ., 1953, გვ. 116, შენ. 2 შ. ბურჯანაძე. ბესიკის დაბადების თარიღი (მიმომხილველი, II, 1951, გვ. 417—470); ე. მაჭარაძე, ბესიკის დაბადების თარიღი (თსუ შრომები, 78, 1963, გვ. 173—183).

ლესიო-დოგმატიკური საკითხების ნიადაგზე. როგორც ჩანს, ანტონის წინააღმდეგ ბრძოლაში ზაქარიას თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა მხოლოდ მეფე თეიმურაზი, ერეკლე კი არა. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ (1762) ერეკლემ ანტონი რუსეთიდან გამოიწვია და ძველი უფლებები აღუდგინა. ეს კი ნიშნავდა ზაქარიას დამარცხებას. ზაქარიას მაინც არ დაუხევია უკან და ბრძოლა განუახლებია, გადასულა იმერეთში და იქ მომხრეების ძებნას შესდგომია. 1764 წლის საეკლესიო კრებამ ზაქარია განკვეთა მღვდლობისაგან, შეაჩვენა და დაწყევლა. მასთან ერთად შეუჩვენებიათ მისი უფროსი სრულწლოვანი შვილი იოსები. ზაქარიას ჰქონია ძონანიების საშუალება მაგრამ იგი გაჯიუტებულა და „მიერითგან უკეთურესთა საქმეთა მოქმედ“ გამხდარა. ერეკლეს განკარგულებით ზაქარია ერთხანს საპყრობილეში მჯდარა, ბოლოს მისთვის ჩამოურთმევიათ ქონება, წაუგვრიათ ოჯახის წევრები (ცოლი და რვა შვილი) და ხელცარიელი გაუძევებიათ საქართველოდან[2]. ეს ამბავი მომხდარა 1767 წელს. გიორგი ბატონიშვილისადმი მიმართულ ეპისტოლეში[3] ზაქარია ამბობს:

მოიპარსა რა ნიკაპი, მით უარვპყავ დიდი პაპი.
აღმაფრინეს ვით რომ ლაპი,, აღმათრიეს მწვირე ტლაპი,
რაც მებადა, უყვეს ხლაპი, გამომაძეს შიშველ ღლაპი.
მე მტირალს ქართლი გამომაარეს,
ყვედრება გმობა ზედ დამაყარეს,
მეუღლის წართმას არ მიმაკმარეს,
შვილნი რვანიცა ერთჟამ წამგვარეს.

მეტად მძიმე უნდა ყოფილიყო ნამოძღვრალის დარბეულ-აწიოკებული ოჯახის მდგომარეობა. ეტყობა, ბესიკი სამეფო კარზე გადაიყვანეს. იგი ჩაურიცხავთ ლევან ბატონიშვილის ამალაში. ბესიკი დაახლოებია სასახლის წრეებს, მას კავშირი და მეგობრობა ჰქონია იმდროინდელ ბევრ გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან განსაკუთრებით ახლოს ყოფილა ჭაბუკი პოეტი ერეკლე მეორის სიძესთან, სარდალ დავით ორბელიანთან და განთქმულ მწიგნობარსა და პედაგოგ დავით ალექსი-მესხიშვილთან (რექტორთან). ბესიკს თურმე პატივისცემით ეპყრობოდა თვითონ მეფე ერეკლე. წარმოსადეგს, ახოვანს, განათლებულსა და ნიჭიერ მგოსანს დიდი წარმატებისათვის ბიუღწევია. სხვათა შორის, მას გაცხარებული პოეტური პაექრობა ჰქონია მახვილგონიერ და ენამჭევრ ჭაბუა (მზეჭაბუკ) ორბელიანთან. ამ

---

[2] ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.) 1940, გვ. 21—24.

[3] ალ. ბარამიძე, ერთი ფურცელი XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ნარკვევები, III, თბ., 1952, გვ. 353—358).

დროზე მოდის ბესიკის უზომო გატაცება ყულარაღასის ქალ მაიათი. მაიას ჩაუგონებია პოეტის ლირიკული შედევრების ციკლი („სეედის ბაღს შეველ“, „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“). მაგრამ ბესიკის ცხოვრების ბედი უკუღმა დატრიალდა...

ერეკლე მეფე ენერგიულად უძღვებოდა საქვეყნო საქმეს. იგი ღირსეულად აძლევდა პასუხს გარეშე მტრებს და ბევრს ზრუნავდა საშინაო ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ერეკლე ცდილობდა ძაღლი ფეოდალური ფენის თავგასულობის აღაგმვას, გლეხკაცობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ვაჭრობისა და ხელობა-მრეწველობის განვითარებას, საფაბრიკო მრეწველობის დანერგვას, შინამრეწველობის გაფართოებას და ა. შ. ერთი სიტყვით, ერეკლეს საზრუნავს ძალგვნდა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების საფუძვლების განმტკიცება. ამასთან ერთად, იგი დაუზარელად იღვწოდა თავისი ქვეყნის კულტურულად დაწინაურებისათვის. კონსერვატიული საზოგადოებრივი წრეები, განსაკუთრებით ერისთავები და დიდგვაროვნული თავადური წრის წარმომადგენლები, არ თანაუგრძნობდნენ ერეკლეს. მეფის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ უკმაყოფილო ელემენტები კავშირს აბამდნენ ვახტანგ VI-ის ჩამომავლობასთან, ლეგიტიმისტური სამართლიანობის მომიზეზებით ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ქვეყნის გაერთიანებისა და მმართველობის სისტემის ევროპულ–რუსულნიადაგზე გადახალისების პროგრესულ საქმეს. სარწმუნოებრივ-კონფესიური ხასიათის ფანატიკურმა ბრძოლამ ერეკლეს მოპირდაპირეთა ბანაკში მოაქცია თეიმურაზის ერთგული თანამოღვაწე ზაქარია გაბაშვილი (და მისი ოჯახის წევრები).

ქართლიდან გაძევებული ზაქარია რუსეთისაკენ გაშურებულა. მოსკოვში მას შემწეობა მიუღია ვახტანგის ძის გიორგისაგან. მოსკოველი ლეგიტიმისტების დავალებით ნამოძღვრალი გამგზავრებულა იმერეთში. იმერეთის მეფე სოლომონიც კანონიერად არ თვლიდა ერეკლეს უფლებას ქართლის სამეფო ტახტზე. სოლომონი ერეკლეს აღიარებდა მარტოოდენ კახთ-ბატონად. სოლომონ მეფეს ქართლ-კახეთის გაერთიანება მთელი საქართველოს წინანდელ პოლიტიკურ ერთიანობას აგონებდა, ხოლო იმერეთის სამეფოს ბედი მსგავს შემთხვევაში მას სახიფათოდ მიაჩნდა. სოლომონი ბეფარელობას უწევდა ქართლის ემიგრანტებს და იგი აშკარად ეხმარებოდა ქართლის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებს ტახტის მოსაპოვებლად წარმოებულ ბრძოლაში. XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყო დიდი პოლიტიკური შეთქმულებისათვის მზადება ერეკლეს წინააღმდეგ. შეთქმულების ქსელი ფართოდ იყო გაბმული. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოველი ლეგიტიმისტები, იმერეთის სამეფო კარი, სპარსეთის

შაჰი. ქართლის შინაგამცემი დიდებულები. შეთქმულების აქტიური მონაწილე ბახდა ზაქარია გაბაშვილი. გამჭრიახ ერეკლეს არ გამოპარვია შეთქმულთა საქმიანობა. ანტონ კათალიკოსის მითითებით ეშვი პიიტანეს ბესიკზე. ერეკლეს არ დაუყოვნებია და მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი ქართლიდან გაუძევებია[4]. ეს მოხდა 1777 წელს (ამ წლის იანვრის თვის შემდეგ). ბესიკს უცდია თავის მართლება. გაძევების უშუალო შთაბეჭდილებით არის დაწერილი მისი შესანიშნავი ლექსი „ცრემლთა ისხარნი". „დაგვბერნა ჭარმან დაუწუნარმან, ზღვაღ ვ - ფარენითო", ამბობს პოეტი და გრძნობით მიმართავს თავის ადრინდელ ტოლ-მეგობრებს:

ცრემლთა ისხარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით,
იღმენით გულნი, ჰირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით სოფლის ცემით გავიგარენით.

პოეტი გულწრფელად აღიარებს: „სხვამცა პატრონი, ანუ დრონ . ვერღა დავსახეთო". მფარველი და მწყალობელი პატრონის (ერეკლეს) „სახე უსახო" მას გადაექცა „სავახვახოდ". ბესიკი მოკრძალებით სთავაზობს მეფეს თავის ცეცხლდადაგულ გულს („ხელმწიფე, გული ცეცხლდადაგული, სულით გამყოფლით, ჰირსამცა თქვენსა. თუ გაღხენსა, მოიხმარენით!"), იგი დაუფარავად ბრალს სდებს ცილისწამებაში ვიღაც „მტრებს". ლექსი მთავრდება გულმოკლული პოეტის ლირიკული შეძახილით:

მოყვასთა ცრემლნი სწეიმდეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!

შემდეგაც. გვიან, უცხოეთში მყოფ ბესიკს თავისი ადრინდელი მეგობრის დავით ორბელიანის ჩამოქვეითებისა და დამდაბლების ამბავი რომ შეუტყვია, აღშფოთებით შეუკითხავს:

ნეთუმცა გველმან, ენით მკლელმან, გმირსა ქედსა დაგდეა საცილო?!
ვამე, თუ ხმითა შენცა მითა შეგრთო სევდასა, სცნა საწადილო!
(ცრემლთა მდინარე, 1).

ერეკლემ არ შეიწყნარა ბესიკის სარჩელი. სამაგიეროდ შეურაცხყოფილ მგოსანს გულიდან ამოუგდია თავისი საყვარელი პატრონისადმი პატივისცემა და იმის დაუნდობელ მტერთა და მოძულეთა ბანაკში გადასულა.

---

[4] არსებობს დაუსაბუთებელი მოსაზრება, ვითომც ბესიკის ქართლიდან გაძევება გამოიწვია მისმა გახმაურებულმა რომანმა სამეფო ოჯახის წევრ მანდილოსანთან.

ქართლიდან გაძევებულმა ბესიკმა, ისე როგორც გაბაშვილთა ოჯახის სხვა წევრებმა, თავშესაფარი იპოვა იმერეთში[5]. სოლომონ მეფემ ბესიკს უწყალობა „მდივანთუხუცესობა“ და მამულები, იმერეთში გადასვლის უმალვე პოეტი აქტიურად ჩაება ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში. 1778 წელს ის გაგზავნეს სპარსეთში, სადაც მან იმყოფებოდა შეთქმულების ერთი მეთაურთაგანი ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი. ბესიკმა ალექსანდრე იმერეთში ჩაიყვანა. მისი ხელშეწყობით ალექსანდრე შეუდგა ერეკლეს დასამხობად აჯანყების ორგანიზაციას. ბესიკის ხელით იწერებოდა ალექსანდრეს პროკლამაციები. უუფლებო და უმამულო ბატონიშვილი „მდიდრად და უხვებით წყალობას“ ჰპირდებოდა „საქართველოს თავადთა, აზნაურთა. მსახურთა და გლეხთა“, ყველას, ვინც მისდამი ერთგულებას გამოიჩენდა და მონაწილეობას მიიღებდა ერეკლეს წინააღმდეგ მოძრაობაში.

შეთქმულება უდღეური გამოდგა, სასტიკად დაისაჯნენ მისი მეთაურები — ალექსანდრე ბატონიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი. ბესიკს სიკვდილამდე შერჩა ერეკლესადმი სიძულვილის გრძნობა. იმერეთში ბესიკი კარის პოეტის მოვალეობასაც ასრულებდა. 1782 წელს მას შეუთხზავს სოლომონ მეფის მაღალფარდოვანი ხოტბა. დაახლოებით ამ დროს არის დაწერილი სახოტბო პოემა „რუხის ბრძოლა“ (ეს ბრძოლა მოხდა 1780 წელს).

1784 წელს გარდაიცვალა სოლომონ პირველი და იმერეთის საქმეები ძალზე აიწეწა. მეფეს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩა, ტახტს ერთმანეთს ეცილებოდა სამეფო გვარეულობის წევრი ორი დავითი: დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე. იმერეთის დიდკაცების, მათ შორის გაბაშვილების დახმარებით გამეფდა უფლისწული დავით გიორგის ძე. დავითისა და მისი მეუღლის, მამუკა ორბელიანის ასულ ანას წყალობით ბესიკმა დიდი გავლენა მოიპოვა სახელმწიფო საქმეებში.

იმერეთის სამეფო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის მსგავსად შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ (1783 წელს დადო ცნობილი ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის). ამ მიზნით 1787 წლის მაისში რუსეთში გაიგზავნა საგანგებო დიპლომატიური მისია, რომელსაც მეთაურობდა ბესარიონ გაბაშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს მაშინ ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი. უკანას-

---

5 იმერეთში გაბაშვილებს გაუჩაღებიათ კულტურული საქმიანობა. ისინი უპირატესად ეწეოღნენ მწიგნობრობას (ნ. მაისურაძე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, XIV, 1955, გვ. 89—101).

კნელის ბანაკი იყო კრემენჩუგში (უკრაინაში). 1787 წლის სექტემბერ-ოქტომბრიდან ბესიკი კრემენჩუგშია პოტიომკინთან[6].

კრემენჩუგში ჩასვლისთანავე ბესიკს პოტიომკინისათვის წარუდგენია საგანგებო მემორანდუმი („აზრი და სათხოველი" იმერთა მეფისა). ის, უწინარეს ყოვლისა, შეამდგომლობდა 1783 წლის ტრაქტატის ანალოგიური ხელშეკრულების დადებაზე იმერეთსა და რუსეთს შორის. მეორე მნიშვნელოვანი „სათხოვნელი" იყო ახალციხეში, ბათუმსა და ფოთში რუსეთის საკონსულოების გახსნა ოსმალეთის დივერსიული საქმიანობის ასალაგმავად („რათა არღა შეიძლოს ოთამანის კარმან დაფარული მტერობა არცა გარეგნით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა") და ტყვეებით ვაჭრობის აღსაკვეთად („რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა"), აგრეთვე ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გაძლიერებლად. თანახმად ბესიკის მემორანდუმისა, იმერეთს უნდოდა აფხაზეთის გამოხსნა ოსმალეთის მონობისაგან და ბათუმისა და ფოთის განთავისუფლება. ერთი სიტყვით, რუსეთის დახმარებითა და მფარველობით იმერეთი იმედოვნებდა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ძველების დაბრუნებას და ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ბესიკს არაერთხელ მოუხსენებია რუსეთის მთავრობისა და იმის სარდლობისათვის ოსმალეთის აგრესიის თაობაზე. ჯერ კიდევ 1784 წლის 15 სექტემბრის თარიღით ბესიკის მიერ შედგენილ მოხსენებაში აღნიშნული იყო: „ყოვლად დიდებულო ხელმწიფევ! თქვენის უძლეველის ძალით გაბოხსნილს ქვეყანაზე გარემოადგენ და ოხერყოფასა ეკლესიათასა და წარტყვევნასა გვექადიან ყოვლად ბოროტნი თათარ-ოსმანნი". იმდროინდელ, აგრეთვე ბესიკის მიერ შედგენილ მეორე წერილში იმერეთის მეფე აცხადებდა: „თავსა ჩვენსა აღარ მივსცემთ მონად (ოსმანთა) და არცაღა ჩვენგან მათი ყმობა იქნებაო". რუსეთ-ოსმალეთის ომის ატეხის შემდეგ ბესიკი მოითხოვდა რუსეთის სარდლობისაგან სამხედრო ოპერაციების წამოწყებას იმერეთიდან: „თათრების სამტროს დროებას ჩვენ ველარ ვნახავთ ამისთანასო". ბესიკს ახარებდა რუსეთის ლაშქრის წარმატებანი. მას კმაყოფილებით აღუნიშნავს თავის დღიურში ოჩაკოვის აღების ამბავი. ბესიკს დაულოცავს ოსმალთა წინააღმდეგ საომრად გამზადებული რუსეთის მხედრობა: „წმინდა გიორგი, შემწე ექმენო", ჩაუწერია პოეტს დღიურში. ბესიკს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთის შემუსვრა შეკებას მისცემდა მის ქვეყანას. კრემენჩუგიდან ბესიკი ერთხანს კიშინიოვში გადასულა, ხოლო 1790 წლის დამდეგიდან ის იასშია, რადგანაც იასში გადაინაცვლა პოტიომკინის ბანაკმა.

---

[6] ა. ო ს ე ლ ი ა ნ ი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი („ლიტერატურა და ხელოვნება", 11.X.51).

1789 წელს იმერეთის ტახტი ხელთ იგდო დავით არჩილის ძემ, რომელმაც სოლომონ მეორის სახელწოდება მიიღო. იმას განუახლებია ბესიკის რწმუნებანი. მიუხედავად ხშირი ავადმყოფობისა. იმერეთის დესპანი ძალღონეს არ იშურებდა მიზნის მისაღწევად. სხვათა შორის, იმ დროს კრემენჩუგში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს მისიაც მირიან ბატონიშვილის მეთაურობით. ბესიკს მიმოსვლა და პოეტური მიმოწერა ჰქონდა მირიანთან და იმის თანამშრომლებთან — ანტონ კათალიკოსთან[7], გაიოს არქიმანდრიტთან და სხვ. ქართლ-კახეთის წარმომადგენლებთან მჭიდრო შინაურ ურთიერთობას დიპლომატი გაბაშვილი, სამწუხაროდ, მარჯვედ იყენებდა ერეკლეს საწინააღმდეგო საიდუმლო დემარშებისათვის პოტიომკინის წინაშე.

დიპლომატიური მოღვაწეობის სარბიელზე ბესიკმა წარმატებას ვერ მიაღწია. მოლაპარაკება უკვე დამთავრებული ჰქონდა და უკან გამობრუნებას აპირებდა, როდესაც სიკვდილმა უსწრო. ბესიკი გარდაიცვალა 40 წლისა, 1791 წლის 24/25 იანვარს[8]. ბესარაბიის ცივმა მიწამ მიიბარა ქართველი პოეტის მხურვალე გული. თითქოს გედის სიმღერად უთქვამს უცხოეთში მყოფ პოეტს:

ჰაერი ცივნამიანი
ჩემთვის აღარ-ა დღიანი.

ბესიკის არქივი ჩვენ დრომდის მხოლოდ ნაწილობრივ არის მიღწეული. პოეტის ბევრი ნაწერი სამუდამოდ დაღუპულია, ბევრიც ჯერ კიდევ საძიებელია. არსებული მასალები მაინც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბესიკის პოეტურ ინდივიდუალობაზე.

თუმცა ბესიკის შემოქმედება თემატიკურად მრავალფეროვანია, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ის უპირატესად ცნობილია როგორც მგზნებარე სიყვარულის მომღერალი მგოსანი. ბესიკის საუკეთესო ლირიკული ლექსები („სევდის ბაღს შეველ“, „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა“, „ტანო ტატანო“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“ და სხვ.) გამოუწვევია პოეტის მხურვალე სატრფიალო გრძნობებს. ბესიკის პოეზიისათვის უცხოა მწიგნობრულ-მანერული გამოხატულება სამიჯნურო განწყობილებისა, პოეტისათვის ორგანული და ბუნებრივია ძლიერი სიყვარულის უშუალო განცდა. საგულისხმოა, რომ ბესიკი

---

[7] ეს ანტონი მეორეა, ერეკლეს ძე.

[8] ალ. ბარამიძე, ბესიკის გარშემო (თსუ შრომები, I, 1936, გვ. 151—158).

უგალობდა არა განყენებულ უსაგნობას, პოეტურ ფიქციას, არამედ კონკრეტულ, რეალურ პიროვნებას — მაია ყულარაღასის ქალს.

ბესიკის ტრფიალებას აქვს დაუცხრომელი, ეროტიკული გატაცების ხასიათი. ის უმღერის, უწინარეს ყოვლისა, სატრფოს გარეგნულ მოხდენილობას, სატრფოს სხეულის შნოსა და ღაზათს, სატრფოს ტანის ციალსა და რიტმულ რხევას („კვლავ მომკლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან"). ბესიკის პოეტური შედევრი „ტანო ტატანო" დიდებული ჰიმნია ქალის სხეულის სილამაზისა.

ბესიკის გაგებით, სიყვარულს აქვს ორმაგი ბუნება, ის ტკბილიც არის და მწარეც, შვების მომცემიც და უკურნებელი ჭირის შემყრელიც. „შენის ბაგისა ორნი მეცნეს — ტკბილი და მწარე", ეუბნება პოეტი სატრფოს და თან ევედრება:

ორკეცად შენი სიყვარული თაეს დამაფარე!

პოეტს არ აშინებს სიყვარულის შხამის სიმწარე, მას განუცდია სიყვარულის მაცდური ბანგის ძალა. „პირველ შაქრისა გემო ეყავ, ახლა ხარ მწარიო", თითქო უწყინარი საყვედურით უცხადებს პოეტი სატრფოს, მაგრამ „მე ტკბილის გულით შემოგყურებო", უმატებს. ადამიანური წაყვედრება სატრფოს მისამართით სხვა დროსაც დაცდენია მიჯნური პოეტის ბაგეს:

მე გული სრულად შემოგწირე, შენ ხმა არ გამეც.

მგოსანი უნებლიეთ გახლართულა კეკლუცი ქალის მიერ დაგებული ტრფობის მახეში, ის დათუთქულა სიყვარულის ცეცხლში!

მღიმარის პირით წამეპარე, დამიდგი მახე,
ასე მეგონა, შემრჩებოდა ეგ შენი სახე,
ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე.

სიყვარულით დადაგული მგოსანი მოკრძალებით სთხოვს მედიდურ სატრფოს: „დამწვარი მაინც შემიბრალე, ბესიკი ნახეო", „ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსაო". ჰირველულ, ეჭვიან სატრფოს უმოწყალოდ დაულახვრავს მგოსნის მგრძნობიარე გული. დაუტუქსავს იგი, ტრფობის ბაღიდან უნუგეშოდ გაუძევებია და მკვახე სიტყვებით გაუსტუმრებია:

ჩუგში, კიშინიოვში, იასში ბესიკი სიტყვიერად თუ წერილობით პოტომკინს ხშირად აგონებდა ხოლმე თავისი ქვეყნის „სათხოვნელს" და პასუხს ითხოვდა.

ხელი აიღეც მაგ სავანებით,
შემწე იძიე ბანის — ბანებით!
. . . . . .
სხვას გირჩეე გზასა და სხვას ძალებსა-ო.

გულმოკლული მგოსანი გაულევია უთანაგრძნობო სიყვარულს ჰირს, ის გამოტეხილად შესჩივის მკაცრ სატრფოს:

თვით შენმა გულმა კარგად იცის, ვარ შენი მკვდარი,
შენმა სურვილმან ჩამოლია გული კლდემყარი.

სიყვარულის უკურნებელი სენით შეპყრობილი მწუხარე პოეტი ვერ შორდება „სევდის ბაღის“ მიდამოს, თუმცა ვერც ნაღველს იქარვებს. ის გულწრფელ სამდურავს უთვლის უკუღმართ სიცოცხლეს („ვა, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო!“) და გამწირავ სოფელს. „სოფლის მკვლელი ბრუჟალებით“ გატანჯული პოეტი სიკვდილს აღარ ემალება, პირიქით, თითქო თავი აქვს მისთვის „შენაწონები“, და თავისი ორეული ბულბულის პირით თავდავიწყებით ეძახის:

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის სული.

პოეტი დანატრებულია სიკვდილს:

სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.

ბესიკის პოეზიაში ძლიერად გაისმის სევდა-ნაღველისა და კაეშნის კილო, საუცხოო პოეტური სახეებით გამოუხატავს მგოსანს თავისი მძიმე სულიერი განწყობილება:

სევდის ჟამი ვსვი, გულს დავისვი ეკალთა ნარი.

პოეტი ძლიერ ხშირად უჩივის თავის ბედს „ვა ჩემსა ბედსაო“, მისი „დღენი არს შესაზარი“. ის ყოფილა „ბედკრული“, „ბედბმული“, „ბედისაგან იავარქმნული“. მგოსანს „ჰკლავს და აწყლულებს სევდისა შხამი“, ამიტომაც „ღაწვები ცრემლით ნაღარი“ აქვს, „სტირს დღე და ღამე“. ბესიკის სევდიანი განწყობილება გამოწვეული იყო მისდროინდელი ხვედრის ვითარებით. მაგრამ ამასთან ისიც უდავოა, რომ პოეტის კაეშანს საზრდოს აძლევდა მძაფრი სატრფიალო განცდები.

ბესიკის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მოტივებს. ერთი მხრით, მას უწერია საისტორიო თემებზე, მეორე მხრით, საყოფაცხოვრებო საკითხებზე. საისტორიო თემატიკიდან გამორჩეულია პოემები „ასპინძისათვის“ და „რუხის ბრძოლა“. არსებითად ამავე თემატიკას განეკუთვნება „სამძიმარი“ (სამგლოვიარო ოდა) და დავით სარდლისადმი მიძღვნილი რიგი ეპისტოლური ლექსები. გან-

საკუთრებულ ინტერესს იწვევს „ასპინძისათვის“. 1770 წელს ასპინძის მიდამოებში გაიმართა დიდი ბრძოლა ერეკლე მეფის ლაშქარსა და ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად შემოჭრილ ოსმალეთის რაზმებს შორის. ოსმალებს მაშველად ჰყავდათ ლეკების რაზმებიც. ასპინძის ბრძოლა იმითაც არის საყურადღებო, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ერეკლეს მხარეზე უნდა გამოსულიყო რუსეთის საექსპედიციო კორპუსი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ავანტიურისტმა ტოტლებენმა თავი შეირცხვინა, უღალატა ერეკლეს, აწყურიდან უკან გაბრუნდა და ქართული ლაშქარი ბედის ანაბარა მიატოვა. ბესიკის სიტყვებით, გრაფმა ტოტლებენმა მეფე ერეკლეს ცილი დასწამა და თავისი მუხანათური საქციელით სახელი გაიტეხა („სახელი ვერა იქო“):

ვაი, მას დღის მომხსენებმან ვითარ ვინ რით განვაქიქო?!
ცილი დასდვეს მეფესა რუსთა: ჩვენთვის კეთილს არა იქო!
ღრაფი ჯარით გამობრუნდა, — მით სახელი ვერა იქო, —
სხვა პასუხი არვინ მისცა: სითაც მოეელ, წაეალ იქო!

ოსმალ-ლეკნი გაახარა და გაათამამა ტოტლებენის წასვლამ:

რა ნახეს, ლეკთა და ოსმალთ რუსისა გამგზავრებანი,
წელმაგრად შეხვდათ ნიშანი, აუხდათ დანატრებანი.

გათამამებულმა აგრესორებმა იერიში მიიტანეს ქართულ ლაშქარზე, მაგრამ ქართველობა არ შეშინებულა, ბრძოლის ცეცხლით ანთებულა სარდალი დავით ორბელიანი. ბესიკს საუცხოოდ აქვა აღწერილი სარდლის საარაკო მამაცური მხნეობა. პოეტი ამბობს:

მაშინ გულს დაჰკარ მჯიღითა, მიწანი შესძრენ რუეითა,
ცხენმან შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრეეითა;
თვალნი ნაკვერცხლად შეგექმნეს, აშეთდი სისხლმორევითა,
ცხვირისა ნესტვთა მოჰქროდენ ქარნი ქვეყნისა ნგრეეითა.

დავით სარდლის ხმალთა ტრიალმა და ქართული ჯარის ძოულოდნელმა ვაჟკაცურმა ყიჟინამ ოსმალნი დააფრთხო, „ძღარბივით ქურქში ბრუნევდა“ მტრის თავხედი მეთაური. უარესი დღე გაუთენდათ ოსმალთა მაშველ ლეკების რაზმებს:

კვლავ იქეთ ლეკთა ჩაუხდი, დამართნი ცისა გრეხანი,
წინა ჩაგისხდნენ დარჩევით ოსოქოლ და კატეხანი;
ერთად გამოსქდის ფინდიხი, ვითა რა მეხის ტეხანი,
გარდაუბრუნენ საფარნი, მიეცით მართ გატეხანი.

დავით სარდლის ქველობით გამხნეევებული და აღტყინებული ქართველი მეომრები დაერივნენ ზარდაცემულსა და დემორალიზებულ

[9] ერეკლეს.

მტრებს, ბევრმან უკან დასახევად წყალს მიაშურა, ვიწროებში და ხიდზე კი „ზოგნი ერთმანეთს ხოცდიან“. გზა დაიხერგა ოსმალთა ვეებერთა ცხედრებით, მტკვარი აივსო დამხრჩვალი ჯარისკაცებით, ასპინძის ველი მოირწყო მტრის სისხლით. მტრებმა იკადრეს იარაღის დაყრა და ლაჩრულად შეწყალების თხოვნა. „ძვირად შეექნათ თავაზი, მუხლს გეხვეოდენ საკოცადო“, ამბობს პოეტი. მხოლოდ მტრის საბოლოო განადგურების შემდეგ ჩაუგია ხმალი გმირ სარდალს: „ხრმალი ჩააგენ მაძღარი“ და „უბრძანეთ ალაფობანიო“. მეფეს ულოცავდნენ სახელოვან გამარჯვებას. „ასპინძის მიწა გიწამებსო“, აღტაცებით მიმართავს მგოსანი დავით სარდალს, თუმცა სხვაგან შენიშნავს: „ვიცი, არ გიყვარს ქებანი, ჩვეულ ვარ მე თქვენსა, დავით“.

„ასპინძისათვის“ ჟანრობრივად და შინაარსობრივად წარმოადგენს სამქებრო, სახოტბო თხზულებას. ბესიკი ქებათა-ქებას ასხამს ასპინძის სახელოვან გმირს, თავის მეგობარსა და პატივისმცემელს. ერთგან პოეტი ხაზს უსვამს მათს ძველ სიახლოვეს:

ოდითგან მახსოვს მე თქვენი: იყვენით ყრმად სახედია.
მუნითგან მოღმართ აქამდის შეგტრფოდის ყოველთა ბედია.

ბესიკს თვითონ უნახავს სახელმოხვეჭილი სარდლის საზეიმო შემოსვლა დედაქალაქში:

აწ მაშინდლისა ჟამისა რამცა ვითა ვთქვა ფერია,
მახსოვს შესრული ქალაქად, მით ცრემლი თვალთა მერია:
მიჯრით გამოკრფეს მნახავნი, სწყუროდათ შენი მზერია,
იგიცა დაგინატრიდენ, თუ ვინმცა გყვანდა მტერია.

ბესიკმა ამ ლექსით გამოხატა თავისი ღრმა პატრიოტული აღტყინება ქართველი მხედრების სამამაცო საქმეებით. მან ძლიერი მხატვრული სიტყვით აღბეჭდა მომხდურ ეერაგ მტერზე შესანიშნავი გამარჯვების საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ქართველობისათვის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტმა მაინც კერ დააღწია თავი ერთგვარ ცალმხრივობასა და ტენდენციურობას. ისტორიულად ცნობილია, რომ ასპინძის ბრძოლის სულისჩამდგმელი და მტრის განადგურების სტრატეგიული გეგმის ავტორი იყო ერეკლე მეორე. ერეკლეს გეგმის მიხედვით საუცხოოდ მოქმედებდა სარდალი დავით ორბელიანი. ბესიკმა გარკვეულად გვერდი აუარა ერეკლეს, ვინ საგანგებოდ შეამკო მხოლოდ სარდლის ქველობა. ბესიკმა დავით სარდალს მიაწერა ასპინძაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების პატივი. მართალია, პოეტი რამდენიმეჯერ ახსენებს მეფეს, მაგრამ აქტიურ როლს მას არ აკუთვნებს. მხოლოდ ლექსის დასაწყისში აღნიშნავს მას ერეკლეს საბრძოლო განწყობილების დამახასიათებელი შტრიხი:

თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლებოდენ. თვითონ ასპინძის ბრძოლაში ერეკლეს თითქოს უშუალო ღონისძიება არც კი მიუღია. ბრძოლის დამთავრების შემდეგ „მოულოცვიდენ მეფესაო", გაკვრით შენიშნავს ბესიკი. ესაა და ეს. ბესიკმა ობიექტურად ვერ დახატა ასპინძის ბრძოლის სურათი, მან საჭირო სისავსითა და სიმართლით ვერ გამოთქვა ასპინძის ბრძოლის ამბავი. თუ საანალიზო ლექსის აღნიშნულ მხარეს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ცხადი იქნება, რომ ის დაწერილი უნდა იყოს პოეტსა და ერეკლეს შორის მომხდარი კონფლიქტის შემდეგ, იმერეთში ან რუსეთში. ეს მით უფროა საფიქრებელი, რომ უცხოეთში, კერძოდ, კრემენჩუგში, ბესიკს შეუქმნია დავით სარდლისადმი მიძღვნილი ეპისტოლე-ლექსების მთელი ციკლი. ამ ლექსებით ბესიკი განაგრძობს დავითის სახელოვანი საქმეების მკობას. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს დავითის დამსახურებას ლეკების მოთარეშე ბრბოების ასალაგმავად. ჯართგაი, მაგალითად, ბესიკი ამბობს („რაც მიირეწა სოფელმან"):

თქვენ ოდენ შეიდნი თან გახლდენ კაცნი, სხვა არეინ მეტანი,
შეიდასთა ლეკთა დაუდგით მახენი გასაცეტანი,
მწუხრისა ჟამმან გაკმარნათ თქვენ მათი ცემა-ჟლეტანი,
მობრუნდი გამარჯვებული თეთრსავე მჯდომი მზეტანი.

დავით სარდალი იყო ერეკლეს სიჰე, ერეკლეს მისანდო პირი, რომელიც პოლიტიკურ ნიადაგზე განხეთქილების გამო ვადააყენეს სამხედრო ხელმძღვანელის პოსტიდან. დავით სარდლის დამხობას ბესიკი მიაწერს მედროვეებისა და ინტრიგანი ნაძირალების საქმიანობას. როგორც აღვნიშნეთ, პოეტს დაუზოგავად შეურისხავს დავით ორბელიანის ცილისმწამებელნი („ცრემლთა მდინარე"):

ნუთუმცა გველმან, ენით მკვლელმან,
გმირსა ჭედასა დაგდვა საცილო?!

საგულისხმოა, რომ ამის შემდეგ პოეტი განაგრძობს:

ვამე, თუ ხმითა შენცა მითა
შეგრთო სევდასა, სცნა საწადილო!

ამ სიტყვებით ბესიკი არაორაზროვნად ცილისმწამებელთა მოქმედების ნაყოფად თელის თავის გაძევებას ქართლის სამეფოდან. ამავე ლექსის ბოლო სტროფის სტრიქონებში პოეტი კვლავ ამხელს საკუთარ ჭმუნვას:

დ:მკრიბნა ზარნი საკუთარნი
სიკოცხლე ჴმახის, განატრი, სიკვდილო!

ბესიკს გულს უკლავდა ზნესრული სარდლის დაუმსახურებელი უპატიობა და მხნე ვაჟკაცის „უქმად დგომანი“. პოეტი პათეტიკურად ამბობს:

ლესული ხრშალი, სისხლდამშრალი,
ჭარქაშს ძევს ყრილი, ვა, უადგილო!

კრემენჩუგის ციკლის ლექსებიდან ჩანს, რომ „შორიშორ უცხოთა თემთა მავალ“ მგოსანს თავს დანათოდა „ვარსკვლავნი შავხი“. პოეტს იქ, უცხოეთში, უზომოდ მოსწყუროდა „ხილულთა დროთა ნიშატნი“, მას ჟამთა სიავისაგან შეჭირვებულს მოსძულებია ყოფა. ჰაფრი ნაღვლიანი განწყობილებით შენიშნავს ბესიკი („რაც მიირეწა სოფელმან“, 2):

ლისხლისა ცრემლთა დაწთობა საახლოდ მომსურვებია,
ხილულთა დროთა ნიშატნი საბავთოდ მომწყურვებია,
ოდესნი ჟამნი დამგვემენ, მით თავი მომძულებია;
ვაი, ღარიბსა[10] ღარიბი ცრემლითა შეგეწებია!

დაუდგრომელი ცხოვრების მსხვერპლი მგოსანი ერთგვარად იმეორებს თავის ადრინდელ პოეტურ სიტყვებს („ცრემლთა მდინარე“ 1, 4—6):

სოფლისა ბრჭყალმან, ვით გრიგალმან,
ჩემსა ბედასა უსწორა კილო.

ადრეც, მშობლიური ბუდიდან გაძევებული მგოსანი ცხარედ უჩიოდა სოფლის სიმუხთლეს („დედოფალს ანაზედ“, 1, 1—4):

ვარ უცხო ვინმე ყარიბი ამა სიტყვისა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი.

ამრიგად, ეჭვი არაა, რომ ბესიკის ნაღვლიან განწყობილებას, ბესიკის სევდასა და ცხოვრებით უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის მიზეზებიც.

ჩვენს ქვეყანას აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდა ლეკების თარეში. ლეკების მარბიელი ბრბოების თავგასულობამ იმატა მე-18 საუკუნეში. ლეკების მოულოდნელი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად ერეკლე მეფემ შექმნა რეგულარული ჯარის მსგავსი ინსტიტუტი, ე. წ. მორიგე ლაშქარი. ამ ლაშქრის ორგანიზაცია და უშუალო მეთაურობა ერეკლემ მიანდო თავის სახელოვან შვილს, ნიჭიერ სარდალსა და გულად მეომარს ლეონ ბატონიშვილს. ბესიკი ახლოს იყო ლეონთან. ლეონის მოულოდნელ სიკვდილს 1781 წ. ბესიკის ღრმა მწუხა-

---

[10] ე. ი. ყარიბს ანუ უპატრონოს, მიუსაფარს, გაძევებულს, გადახვეწილს.

რება გამოუწვევია. თავისი ეს განწყობილება პოეტს მკაფიოდ გამოუხატავს ერთ სპეციალურ ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „საძძიმარი". თხზულება მრავალმხრივ არის საყურადღებო. ესაა ახალი ჟანრის ნაწარმოები, სამგლოვიარო ოდა. ოდა-პოემა. „სამძიმარი" გამსჭვალულია მძაფრი სამგლოვიარო განწყობილებით. პოეტი, ერთი მხრით, ამკობს ლეონის სამაგალითო საეკლესიო თვისებებს, მეორე მხრით, ამხელს შესანიშნავი მამულიშვილის უდროო სიკვდილით გამოწვეულ თავის უზომო მწუხარებას. ბესიკი უჩივის ავ დროს („ვა დროსა ჩვენსაო"). პოეტი ამბობს, რომ ლეონის მიერ ნაშენ ქალაქს „ხელპყვეს რღვევად" და რომ „იროდი მეფობს, სისხლის მახვილს იქნობს"..., სიკვდილი ზეიმობს გამარჯვებასო („სიკვდილი შეკვეხობს"). მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბესიკის შემოქმედებაში „რუხის ბრძოლას". ეს ბრძოლა მოხდა 1780 წელს. აფხაზეთის განდიდებული მთავარი ზურაბ შარვაშიძე თავს დაესხა ოდიშს. ოდიშის მფლობელმა კაცია დადიანმა დახმარება სთხოვა სოლომონ პირველს. სოლომონმა არ დააყოვნა, გაეშურა დახმარების აღმოსაჩენად. ბრძოლა მოხდა რუხთან. გაიმარჯვეს სოლომონ მეფემ და კაცია დადიანმა. შარვაშიძე სასტიკად დამარცხდა. ეს თემა პოეტურად დაუმუშავებია ბესიკს. გაშლილია თემა სახოტბო პოეზიის ტრადიციების მიხედვით. ბესიკი ხოტბას უძღვნის როგორც მოკავშირეთა ჯარების მეთაურებს (სოლომონსა და კაციას), ისე ბრძოლის სხვა ხელმძღვანელებს თუ შედარებით. რიგით მონაწილეებს (სარდალ წერეთელს, გიორგი წულუკიძეს, ელიზბარ ერისთავს, ჩიჩუას...). პოემა დაწერილია უაღრესად მაღალფარდოვანი, ენაწყლიანი სტილით, ნაწილობრივ პროზაულად, ნაწილობრივ ლექსად. რიტორიკა თანაბრად ახასიათებს როგორც პროზითს, ისე ლექსითს ნაწილებს. ბესიკს საქმე ისე წარმოუდგენია, თითქო ერთ მხარეზე იყვნენ მშვიდობისა და ქრისტიანული სათნოების მოყვარულნი (იმერელნი და მეგრელნი), ხოლო მეორე მხარეზე სისხლისმსმელი „აგარიანნი". უკვე შესავალში პოეტი საზეიმო პათეტიკური კილოთი აცხადებს: „დღეს დაცემა იქმნა ქედმაღალთა მათ უცხო თესლთა აგაროვანთა და აღსდგა პირი დავრდომილი ჩვენ ქრისტეანთა". ბესიკის სიტყვით, შარვაშიძეებს „მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუცა შეესვათ გობითა". ასეთივე სურვილები ამოძრავებდათო სოლომონ პირველსა და კაცია დადიანს. სოლომონის შესახებ პოემაში ვკითხულობთ:

> აზრი ყოველი მეფისა შებმა იყო და სუროდა,
> თქვა: „მისთვის მოველ, ჩემთა სპათ სისხლი ვასვა, ვით სწყუროდა".

„ქების ღირსი დადიანი" ეძებდა ზურაბ შარვაშიძეს და გაიძახოდა:

> თე ვნახე, სისხლით დავსთვრეო, ხორცთა შევაქნევ ჰამასო

„რუხის ბრძოლა“ მკაფიოდ აღბეჭდავს საქართველოს გვიანფეოდალური ხანის უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის შემზარავ სურათს. ეს ბრძოლა იყო საბედისწერო გამოხატულება ჩვენი ქვეყნის შინაგანი ფეოდალური აშლილობისა, უთავბოლო ქიშპობისა და კინკლაობისა, ქართველ მეფე-მთავართა კუთხური იიტერესების შეჯახებისა და მომაკვდინებელი სეპარატისტული მიდრეკილებების გამარჯვებისა. „რუხის ბრძოლით“ უცხო ტომის მოსისხლე მტრებად მოჩანან შინაური ფეოდალური ომების ფერხულში ჩაბმული თანამოძმენი. თავისმა იმჟამინდელმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ საშუალება არ მისცა ბესიკს რუხის ბრძოლაში ამოეკითხა სამწუხარო ისტორიული სიმართლე, ეჩვენებინა ჩვენი ქვეყნის დაძაბუნებისა და ეროვნული უბედურების ნამდვილი სოციალური მიზეზები.

ცალკე ადგილი უჭირავს ბესიკის შემოქმედებაში პოემა „რძალდედამთილიანს“. ეს პოემა სატირული ხასიათისაა და ეხება საყოფაცხოვრებო საკითხს. პოეტი ჰკილავს ოჯახის წევრთა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა (დედამთილისა და რძლის) ტრადიციულ შუღლს, რაც არღვევს ოჯახის მყუდროებასა და მშვიდობიანობას, ზიანს აყენებს ოჯახის კეთილდღეობას. „რძალდედამთილიანის“ თემა ხალხურია. ქართულ მწერლობაში ეს თემა პირველად ბესიკმა ღაამუშავა; მას უნდა ესარგებლა ხალხური მაჯალებით, თუმცა ამბავი გახგებ შორეულ უცხო ქვეყანაში გადააქვს და უცხოური საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად აცხადებს. შესავალში ავტორი წერს:

> სოფელსა ვიყავ სამარყანდს, ენახე საქმე საკვირველი, —
> დილა მუნვე გავითენე, სახლსვე ვიყავ წამომსვლელი, —
> აქ ვიხილე: ყივილითა ქალი მოქრის თავშიშველი,
> ზილფთა შუა გამოსჩვირდა დანაკაწრი ბროლის ყელი.

„რძალდედამთილიანი“ სახუმარო კილოზეა გაწყობილი და თითქოს შეთხზულია მკითხველთა თავშესაქცევად. პირველსავე სტროფში პოეტი შენიშნავს:

> ამბავსა ქველსა მოგითხრობ გულისა ამოდ მლხენელსა,
> გახარებთ, დია შეგაქცევთ ამა საქმისა მსმენელსა,
> მოკაეშნეთა მოგიძღვნით მუფარახისა მფენელსა.

ბესიკი მოსწრებულად ამხილებს და კიცხავს რძლისა და დედამთილის ურთიერთობის სასაცილო მხარეებს. ეს სასაცილო მოვლენები აფორიაქებს ოჯახს. ამიტომაც პოეტის სახუმარო კილო მწარე სატირაში გადადის. პოემის მიხედვით რძალი და დედამთილი — ორივე ასახიერებენ ჭირვეული, ავი და დაუნდობელი ბუნების ხასიათს. დე-

დამთილი და რძალი არაფრად აგდებენ ოჯახის ღირსებასა და პატივს, ერთმანეთს ლანძღავენ და ათრევენ ქუჩური, უწმაწური სიტყვებით. სიტყვიერი ბრძოლით რომ გულს იჯერებენ, მერე მჯიღებით შეტევაზე გადადიან. ახალგაზრდა რძალი ძალ-ღონით სჯობნის მოხუც დედამთილს, სარგებლობს მისი უმწეობით. შეუბრალებლად „სწიხლავს, მჯიღავს, მიმოათრევს“, სასიკვდილოდ იმეტებს. სამაგიეროდ, დედის ჯავრი იყარა იმისმა შვილმა. გაშმაგებული ქმარი ცოლს „მოსაალავად არ იწყალდა, ვით ყასაბსა ბერი ვაცი“. ქმარმა მხეცურად გვემა თავისი თანამეცხედრე, სიკვდილის დღე გაუთენა. ცბიერმა და ფლიდმა რძალმა მოშაქრული, შემპარავი სიტყვებით მაინც მოახერხა თავის დაძვრენა და ქმრის მოტყუება. როცა შემდეგ დრო იხელთა, რძალმა დედამთილს კეტით მოუწრაფა სიცოცხლე. პოემა იხურება ავტორის ირონიული შეგონებით, რომლითაც დაუზოგავად არის გამთრახებული საზოგადოდ ავი რძლების შეუფერებელი და მავნე საქციელი:

დასრულდა ესე ამბავი ტკბილად სასმენი რძლებისა,
დედამთილს ჰყვანდეს მორჩილი რძალი ესეთი ნებისა:
მას სცემდეს, სახლსა აქცევდეს, იყოს გამყრელი ძმებისა,
ქმარს თავსა სჭრიდეს სიყოცხვით, იყოს შემკვრელი გრძნებისა.

ავი რძლისა და მობუზღუნე დედამთილის გაკიცხვასთან ერთად, ბესიკი ამხილებს ქმრის დესპოტურობასა და უსულგულობას მეუღლესთან დამოკიდებულებაში. პოემაში მოქმედ პირად არის გამოყვანილი ანგარებიანი და მსუნაგი ტერტერა, რომელიც მოხერხებულად სარგებლობს ოჯახის მოუწესრიგებელი მდგომარეობით პირადული გამორჩენის მისაღწევად. საგულისხმოა, რომ ბესიკმა აქაც გაუცხოურების ხერხს მიმართა, ქართველი სამღვდელოების ზნეობრივი მანკიერება სხვა კულტის წარმომადგენელს მიაწერა. რასაკვირველია, „რძალ-დედამთილიანის“ მკითხველი საზოგადოება ტერტერაში კარგად იცნობდა ქართველი მღვდელ-დიაკვნების საძრახის სახეს.

ბესიკს საკმაოდ უწერია პირადული ხასიათის სახუმარო-საოხუნჯო და გესლიანი სატირული ლექსები. საოხუნჯო შინაარსისაა ბესიკის მიმოწერა მირიან ბატონიშვილთან და გაიოს არქიმანდრიტთან. გესლიანად დამცინავი ლექსები კი მან უძღვნა ჭაბუა ანუ მზეჭაბუკ ორბელიანს. გარკვეულ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს სწორედ ბესიკისა და ჭაბუას მწვავე პოეტური პაექრობანი. ჭაბუა იყო დიდი გვარიშვილი და ღიდი თანამდებობის მჭონე პირი (მდივანბეგი), განათლებული, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი და მახვილგონიერი პიიტიკოსი, ამასთან გარეგნულად მახინჯი (დაბალი, მრგვალი, კუზიანი), ხასიათით პილწი, ავი და შურიანი. ჭაბუა ორბელიანს თავი მოჰქონდა თავისი

გვარიშვილობითა და მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობით. შურიან არისტოკრატ პოეტს მოთმინებას უკარგავდა მდაბიო სოციალური წრიდან გამოსული ბესიკის წარმატება (გაბაშვილების წინაპრები ყოფილან მეტივე და მენახშირე გლეხები). ჰაბუას შურდა ბესიკის ტანადობა, ჭკუა, დარდიმანდული ქცევა, პოეტური ნიჭი. სხვა მხრით უღონო ბესიკის წინააღმდეგ, იგი უკბილოდ დაცინოდა პოეტის ჩამომავლობას, ხოლო მის ბრწყინვალე ლექსებს ბლიაძურს უწოდებდა (ბლიაძე იყო სახალხო მოშაირე, მესტვირე). ვირტუოზული ოსტატობითაა დაწერილი ჰაბუას წინააღმდეგ მიმართული ბესიკის ერთი ლექსი, რომლის პირველი სტროფი აქ მოგვყავს:

დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულღადარაო,
ეშმაკთ ბუდეო, ბეკმრუდეო, კერპ სადარაო,
არუზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,
ხილვად საშიშო, გულმავიშო, გარსაგარაო,
მე შენი ჭება მომენება, არ დავფარაო!

ბესიკი ქართული ლექსის, ქართული მხატვრული სიტყვის დახელოვნებული ოსტატია. პოეტური სიტყვიერი ინვენტარით ის ზოგჯერ დავალებულია ძველი ქართველი კლასიკოსებისაგან, განსაკუთრებით რუსთველისაგან, ნაწილობრივ თეიმურაზ პირველისაგან (ომონიმებით). ამასთან ბესიკი შეეცადა გადაეხალისებინა მეტაფორული სახეების ტრადიციული სქემები და ფიგურული გამოთქმები. მან შექმნა რიგი ახალი, ორიგინალური მეტაფორები, როგორც მაგალითად: „სევდის ბაღი“, „სევდის ჯური“, „სევდის ჟამი“, „სევდის შხამი“, „ცრემლთა ისხარნი“, „ცრემლთა მდინარე“, „შავნი შაშვნი“ (თვალები) და სხვ. მოხდენილი პოეტური სახეებია „ტანის ტატანი“, „ორკეცი სიყვარული“, „ვარსკვლავნი შაბნი“, „წყალთა ჩქერანი“, „მწუურვალე ხრმლის თრობა“, „შუბლის შარავანდობა“. „მიწის წამება“, „ფიქრი მიმარინდი“ და ა. შ. შესანიშნავი მხატვრული შედარებაა „ძლარბივით ქურქში ბრუნევდა“ (გზამოჭრილი და განწირული ვერაგი მტერიო). ბესიკის ლექსები მუსიკალურია, ხმიერია, მდიდარია ალიტერაციებით. საკმარისია დავიმოწმოთ მისი „ტანო ტატანო“. ლექსში „დედოფალს ანაზედ“ რიგი ტაეპებისა ზმურად გამოხატავს ადრესატის სახელს, მაგალითად:

ეფიცავ, მე არვინ მიხილავს, რომ არს შვენებით ანაო,
მთვარესა ეზრახებოდა: „შენ ვერ ხარ ჩემისთანაო!“
ვარსკვლავნი მისდა სამონოდ გარს უდგენ თანისთანაო.
მხილველნო, დამემოწმენით! კარგი ყოფილა განაო?

ბესიკის პოემები (და ზოგიერთი ლირიკული ლექსი) ძირითადად შაირის მეტრზეა გაწყობილი, ოღონდ შიგადაშიგ შაირს ენაცვლება

ჩახრუხაული (პოემები „რძალდედამთილიანი“, „რუხის ბრძოლა“). როგორც თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, „რუხის ბრძოლა“ ნაწილობრივ პროზაულად არის დაწერილი. შაირიც და ჩახრუხაულიც ბესიკს ხშირად გართულებული აქვს ტრადიციული ნორმებისაგან გაწსხვავებული რითმებით. მაგალითად, ბესიკის ბევრი შაირის სტროფი შეიცავს შინაგან რითმას. ასე („რძალდედამთილიანი“, 21).

თავს დაკრა დედაბე რ ა ს ა, გაართხა მიწა-მტვე რ ა ს ა,
აგლეჯდის თმისა წვე რ ა ს ა, სისხლს სდენდის ჰიის ფ ე რ ასა.
ვითა წიწილა ძე რ ა ს ა შეეპყრა ლაჯებს ქვე რ ა ს ა,
მალ-მალ სცის თხემთა ზე რ ა ს ა, ვერ უძლო მისსა მზე რ ახა.

ჩახრუხაულ ლექსებში ბესიკის ზოგი გარეგანი და შინაგანი რითმა ერთგვარია. შინაგან და გარეგან რითმათა ეს ერთგვარობა სრულიად ახლებურ მუსიკალურ ინტონაციას აძლევს ჩახრუხაულის ტაეპებს, მაგალითად (იქვე, 21):

მიუგო რძალმან სიტყვა ნასები, უთხრა პასუხად ასჯერ ასები:
„გუეე აჩემებით ვითა ხასები, ნიადაგ მეცვა ძაძა-ფლასები.
ხმა ჩაიდუმე, ნუ გაქვს ხასები, კაია, ნუღარ მებაასები,
შენამც გათრევენ ქვესკნელს დასები, სატანას ხელით
დაიფასებით“

ორიგინალური საზომით არის დაწერილი „სამძიმარი“. ამ სამგლოვიარო ოდის ყოველი სტროფი ათ-ათი ტაეპისაგან შედგება (სულ ოდაში 34 სტროფია). კენტი ტაეპები ხუთმარცვლოვანია, ლუწი ტაეპები კი შვიდმარცვლოვანი. შესაძლებელია წყვილ-წყვილი ტაეპები მივიჩნიოთ მთლიან სალექსო სტრიქონებად, მაშინ ტაეპზე მოვა თორმეტ-თორმეტი მარცვალი. „სამძიმრის“ სტროფების დიდ უმრავლესობას აქვს ერთიანი რითმა ყველა ტაეპისათვის. ზოგ სტროფში კი ერთმანეთს ერითმება მხოლოდ წყვილი ტაეპი. მოვიყვანთ ამ უკანასკნელის ერთ ნიმუშს.

ლეონის თოფი
ნეტარ თუღა არს მყოფი?
ლეონის ხრმალი,
ვაი, თუმცა არს მშრალი?
ლეონის შუბი
აწ თუ სხვათ შენატყუბი?
ლეონს დამბაჩა
ცოცხალღღა თუ დარჩა?
ვა, სატევარი
უმისოდ საწყევარი!

ბესიკის ლირიკული ლექსები სხვადასხვა ზომაზეა გაწყობილი. უფრო ხშირად აქვს თოთხმეტმარცვლიანი ტაეპები. მაგალითად:

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარები!
(„ტანო ტატანო")
მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჰირებსა
(„მე შენმა ფიქრმა მიმარინდა")

ბესიკს უწერია შვიდ, ათ, თორმეტ და თოთხმეტმარცვლიანი სა-ზომის ლექსებიც. ასე:

იადონს ის ევარდა (7-მარცვლიანი).
სევდის ბაღს შეველ შენაღონები (10-მარცვლიანი).
შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი (11-მარცვლიანი).
მოვედ, აწ, ძმაო, ლხინად საკმაო! ვზი ჰირთა მთქნელად
(15-მარცვლიანი)

ბესიკს აქვს ნარევი მეტრის ლირიკული ლექსებიც. ასეთია „დედოფალ ანაზედ". როგორც ცნობილია, საიათნოვასთან ერთად ბესიკმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში მუხამბაზური კილო. ბესიკის ბევრი საუკეთესო ლექსი სწორედ მუხამბაზური ყაიდისაა. თავისი ლექსებით ბესიკმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც მისდროინდელ პოეზიაზე, ისე XIX საუკუნის პირველი ათეული წლების პოეტების შემოქმედებაზე. ე. წ. გარდამავალი პერიოდის ბევრი მგოსნის ლექსს მიწერილი აქვს „ბესარიონის ხმა", „სევდის ბაღის ხმა" და ა. შ. საგულისხმოა, რომ მუხამბაზური კილოს მოძულე ვახტანგ ორბელიანი ბესიკის ლექსების შესახებ აღტაცებით წერს: „აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსაო". დიდად აფასებდნენ ბესიკის პოეზიას იოვანე და თეიმურაზ ბატონიშვილები.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბესიკის ბევრი ლექსის ენა შედარებით მძიმეა, ზედმეტად მშვენრია, ზოგჯერ ხელოვნურიც. ბესიკი ჭარბად ხმარობს არქაულ ფორმებსა და ლექსიკას, ხშირად შეგნებულად ართულებს და არსებითად აბუნდოვანებს პოეტურ სახეებს და ფრაზეოლოგიას, ერთი სიტყვით, წერს მაღალფარდოვნად და ღვლარჭნილად, საყურადღებო ისაა, რომ ღვლარჭნილობა იგრძნობა არა მარტო სახოტბო დანიშნულების ლექსებში, არამედ პოეტის მშვენიერ სატრფიალო ლირიკაშიც, პოეტურ ეპისტოლეებში, დიპლომატიკური ხასიათის საქმიან წერილებში თუ კერძო მიმოწერაში. ღვლარჭნილობა იმდროინდელი მწერლობის ნიშანდობლივი სტილური თვისებაა, რაც ანტონ კათალიკოსმა და იმისმა სკოლამ დააკანონეს. ბესიკიც პოეტურად აღბეჭდავს დროის ამ მწიგნობრულ-სტილურ ტენდენციებს. რა თქმა უნდა, ეს ტენდენციები ჩრდილს ვერ აყენებს პოეტის ლირიკულ შედევრებს.

ბესიკი იყო ქართული პოეზიის მშვენება. მის შემოქმედებითს მემკვიდრეობაზე იზრდებოდა და იწაფებოდა ქართველ პოეტთა მთე-

ლი თაობები. საკმარისია თუ ვიტყვით, რომ ბესიკის პოეზიის შთამაგონებელი ზემოქმედება განუცდია ჩვენს სახალხო პოეტს იასებ გრიშაშვილს.

როგორ ვიცით, ბესიკის ნაშთი მიიბარა რუმინეთის მიწამ. ჩვენი პოეტის საფლავის წარწერიანი ქვა სათუთად არის დაცული იასის მუზეუმში. ბესიკის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბუქარესტსა და იასში იმართება ქართველი პოეტის ხსოვნის საღამოები, მისი ლექსები ითარგმნება რუმინულ ენაზე. ბესიკი თავისებური სიმბოლოა ქართველი და რუმინელი ხალხების ძმობა-მეგობრობისა.

1962

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ერთსულოვნად არის მიჩნეული, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო მისდროინდელი საქართველოს სახელოვანი რჩეული კაცი — აღზრდით, განათლებით, ჭკუით, საღი ეროვნულ-პოლიტიკური სულისკვეთებით და ხალასი პოეტური ნიჭით.

მოწინავე ოჯახის შვილი, თვითონაც ჩინებული მეოჯახე იყო, დარბაისელი, გულიანი სტუმართმოყვარე და პურადი მასპინძელი. ალ. ჭავჭავაძის სახლი თბილისში წარმოადგენდა ინტელექტუალური საქართველოს აღიარებულ კერას. იქ ყველა სტუმარი თავს გრძნობდა შინაურად — ქართველი, რუსი, უცხოელი — მწერალი, მეცნიერი ხელოვნების სფეროს მოღვაწე.

ალ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოაზროვნე, აგრძელებდა ქართული ლიტერატურის ძველ ტრადიციებს, განიცდიდა წარსულის ძლიერ ზემოქმედებას, მაგრამ ახალი, საკუთარი გზების მაძიებელი იყო და წარმატებით ართმევდა თავს ამ ზემოქმედების ინერციას.

ისიც სათქმელია, რომ თუმცა ალ. ჭავჭავაძის ადრინდელი ლექსებისათვის ნიშანდობლივია მოჭარბებულად მეტაფორული, ორნამენტული და ერთგვარად ღვლარჭნილი სტილი. მაჯამურ-მუხამბაზური კილო. ამ კილოშიც შეჰქონდა მას გარკვეული კორექტივი[1].

უთუოდ თვალსაჩინოა ალ. ჭავჭავაძის პოეზიაზე თეიმურაზ პარველისა და ბესარიონ გაბაშვილის ზეგავლენის ნაკვალევი, ოღონდ ამ

1 ამ მხრივ საყურადღებოა პოეტისა და მკვლევრის ეშხარ კვიტაიშვილის სპეციალური დაკვირვებანი — „მეტაფორული აზროვნების თავისებურებანი ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში“ (იხ. კრებული „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, თბ., 1986, გვ. 52—77).

ზეგავლენის პირობებშიც ახერხებდა იგი ორიგინალური გააზრების და ინდივიდუალური ხმის წარმოჩენას. სანიმუშოდ დავიმოწმებ ალ. ჭავჭავაძის ერთ, ერთტაეპოვან ლექსს „მაჯამა“.

სევემ მიწვიმა მანანა,
მომივლინა მან ანა,
მას თან მოჰყვა მანანა,
მინანავა მან ნანა.

ეს მშვენიერი მელოდიური ლექსი მხოლოდ ომონიმურ სიტყვათა თავისებურად განლაგების ხერხს ემყარება, თორემ სხვა მხრივ მას აღარაფერი აქვს საერთო თეიმურაზის მიერ დაკანონებული „მაჯამის“ სპეციფიკურ სახეობასთან.

ალ. ჭავჭავაძის „მაჯამა“ კონსტრუქციულად და მუსიკალურად სრულიად ახალი, ჭავჭავაძისეული წყობის დამოუკიდებელი და საკუთრებით ორიგინალური ნაწარმოებია.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში თანდათანობით უფრო და უფრო გაძლიერდა და გამკვიდრდა ის იდეური ნაკადი, რასაც ილია ჭავჭავაძე „მამულიშვილურ გულისტკივილს“ უწოდებდა და რაც შემდეგ მესამოცდაათნელებმა გააღრმავეს და განავითარეს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი აზრის მწვერვალია და მთელი ქართული პოეზიის შედევრი ლექსი „გოგჩა“.

გოგჩა (გოქჩა) სევანის ტბის თურქული სახელწოდებაა (ნიშნავს „ლურჯ წყალს“, ქართულ წყაროებში ზოგჯერ (მაგალითად გურამიშვილის „დავითიანში“) მოიხსენიება „გელაქუნის“ სახელითაც.

გოგჩა იწყება ამ ულამაზესი მთიანი ტბის ამაღლებული პოეტური აღწერილობით:

გოგჩა ტბა ერცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზეირთთა აღქაფებით ჰქელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილოდ, წმიდა, უძრავი,
თეის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.

პოეტი მოგვითხრობს, რომ გოგჩის ტბის სანაპიროზე ძველად გაშენებული და აყვავებული იყოო „ქალაქნი ვრცელნი“ სამეფო სასახლეებით, ტაძრებით, მდიდარი სავაჭროებით, სასპორტო მოედნებით... იქ იმართებოდაო სამხედრო აღლუმები, ასპარეზობანი, რაინდების („ჭაბუკების“) შეჯიბრებანი — „ტაიჭთა სრბოლა“, ჩოგნით ბურთობა, „შუბთა ტრიალი, ჯირითით ტყორცნა და ისართ სროლა“.

ვინ იტყვის, საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ ბანოვანთა რამდენი რიგი „მიეზიდავს ნაპირს ამ ტბისას“ და მათი სიკეკლუცე აურეკლავს „სარკესა წყლისას!“

გოგჩის სანაპირო ქალაქებში თურმე ცხოვრება ძალუმად დუღდა: ლხინი, განცხრომა და სიხარული სუფევდა ირგვლივ. რაღა თქმა უნდა, იქ სიყვარულსაც თავი მოჰქონდა თავისი მეუფებით და „ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანეთთა“.

ცხოვრებას აქვს თავისი ულმობელი, მკაცრი კანონები — და მოჩვენებითად უდარდელი ბედნიერების ამ საუფლოშიც „უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად“. აქაც ბრძანებლობდა „წყალობათა და რისხვის მფრქვეველი ძალი მაღლის ტახტისა“.

ეს ყველაფერი იყო წარსულში.

— ახლა?

ახლა პოეტის თვალწინაა გაშლილი მძიმე ფიქრების აღმძვრელი გავერანების, გაპარტახების, გაველურების შემზარავი სურათები.

„დროთა მსრველის ცელით“ უღვთოდ „წარწყმედილა“ და ალგვილა პირისაგან მიწისა გოგჩის სანაპიროთა კეთილნაშენი შემოგარენი: ირგვლივ თვალსაწიერზე მხოლოდ ნანგრევებია და ნანგრევები, ხავსმოკიდებული ლოდები და შავი ქვა-ღორღი, სრული „უდაბურება, მჩუმარება, არარაობა“, საუფლო „ბუთა და ნატამალთა“.

გაჩანაგებისა და გადაშენების „საგლოვო ნაშთნი“ „თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ“. სევდა-კაეშნით გამსჭვალულა ჩვენი პოეტიც, „ოხვრით“ აღმოხდომია მას გულის სიღრმიდან:

> აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
> აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
> აჰა ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი.

უსაზღვროა და უნაპირო გრძნობიერი პოეტის ჭმუნვა. მას ზაფრავს არა მარტო აწმყოს ეს შემაძრწუნებელი სანახაობა, არამედ — და კიდევ უფრო მეტად — უნუგეშო „მომავლის ნამდვილი ხატი“.

უიმედობისა და უსასოობის მწარე შეგრძნება შხამავს ალექსანდრე ჭავჭავაძის მთელ არსებას. მას ეუფლება ამაოებათა აძაგების განცდის მტანჯველი სატკივარი. ესაა საკაცობრიო უკურნებელი ჭმუნვის საძირკველი, ესაა მარადიული მსოფლიო სევდა.

მსოფლიო რომანტიკული სევდის გამოხატვის სიმძლავრით და მისი შესატყვისი პოეტური ენის გამომსახველობითი ძალით ალექსანდრე ჭავჭავაძე ტოლს არ დაუდებს თავის პრცერთ აღმოსავლელ თუ დასავლელ დიდ თანამოძმეს. თქმულის უფლებას გვაძლევს ჩვენ „გოგჩა“.

საგულისხმო ისიცაა, რომ სულ სხვაა „გოგჩის“ პოეტიკა, „გოგჩის“ ემოცია, სხვაა მისი ენა ადრინდელი ორნამენტული ღვლარჭნილობისაგან თავისუფალი, ნათელი, სადა, მსუბუქი, ბუნებრივი და ადვილად აღსაქმელი.

„გოგჩა“ ქართული პოეზიის მშვენებაა.

მართლაც საოცრად მომხიბლავი იყო გოგჩა (სევანი). ვიმეორებ და ხაზს ვუსვამ ზმნის ნამყო ფორმას: იყო. ვაგლახ, რომ იყო და აღარ არის!

ჟამსა ყმაწვილკაცობისასა მეც მინახავს გოგჩის ბრწყინვალება მინახავს და დავმტკბარვარ მისი სილამაზით, მინახავს გოგჩის გოლიათური ზვირთების აღქაფებით მრისხანე ღელვა, მომისმენია ზღვისა მბაძავი მისი ხმიანობა, მიხილავს მის კლდოვან კუნძულიდან ამაყად გადმომზირალი ორი შესანიშნავი ძველი მონასტერი, იმათთან რომ მხოლოდ ნავით შეიძლებოდა მიახლოება.

ახლა, ჩემი ხანდაზმულობის ჟამს, გოგჩა აღარ ხმაურობს, აღარ ღრიალებს, აღარ ახეთქებს კლდოვან ნაპირებს დიდროვან ტალღებს. გოგჩა დაკნინდა, დაპატარავდა, ძველ სანაპიროებს მოწყდა და ვიწრო კალაპოტში ჩაგუბდა. ჩაგუბდა და შრება. საშიშ ნიშნამდე დავიდა წყლის სარკის დონე, რაც უფრო საშიშია დღესაც გრძელდება წყლის დონის კატასტროფული კლება[2]. იმძლავრა რიყემ. გაქრა პაწაწა ნაეთსადგური, შესაბრალისად გაირიყა მონასტრები. ახლა აღარ ბდღვრიალებს ტბაში კალმახი...

გოგჩას აკლდება მასულდგმულებელი წყარო. გოგჩა განსაცდელშია, გოგჩა იღუპება, გოგჩა სულს ღაფავს, ისევ გაჩნდა, „სომხეთის წყლულთა“ მწვავე სატკივარი. სომხეთის დიდ ვარპეტს, ავეტიქ ისააკიანს საფლავში ჩაჰყვა ეს სატკივარი. „მიხედეთ სევანს, უშველეთ სევანს“, — ეს მისი ანდერძია.

გოგჩის განსაცდელი გამოიწვია ბუნებაზე ძალის დატანებამ, ბუნების უდიერად ხელყოფამ.

ამას წინათ ჩვენი ქვეყნის კეთილმა მეგობარმა, დიდმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა შეგვახსენა — „მეტის-მეტად ნუ შეგვაცდენს ჩვენი გამარჯვებანი ბუნებაზე. ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის იგი შურს იძიებს“.

გოგჩის ტბის მაგალითი მწარე გაკვეთილია. ნუ შევლახავთ, ნუ ხელვყოფთ უხეშად ჩვენი ქვეყნის წარმტაც ბუნებას. გაუფრთხილდეთ ჩვენს მთასა და ბარს, ჩვენს ზღვას, ჩვენს ტყეებსა და ჭალებს, ჩვენს მდინარეებსა და ტბებს, ჩვენს ფლორასა და ფაუნას.

შევუნახოთ შთამომავლობას ალექსანდრე ჭავჭავაძის მუუდრო სავანე — პოეტური წინანდალი.

1986

---

2 Зорий Балаян. Умирающий родник («Литературная газета», I.X.86, № 40).

ვაჟა-ფშაველას ძეგლის გახსნა თბილისში

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო,

ნება მიბოძეთ ქართველ მეცნიერთა მრავალრიცხოვანი ოჯახის სახელით გულითადად მივესალმო და დღევანდელი დღესასწაული მივულოცო თბილისის მკვიდრთ და მათთან ერთად ვთელ ქართველ ხალხს.

ამიერიდან ჩვენ დედაქალაქს დაამშვენებს უკვდავი ვაჟას დიდებული ძეგლი.

თბილისი საქართველოს უძვირფასესი სპეკალია ანუ თვალი-პატიოსანი, ვაჟას პროსპექტი კი — ამ თვალპატიოსნის ლამაზი ჩინი (თვალის ჩინი).

ვაჟა-ფშაველა ქართული პოეტური კულტურის მაღალი მწვერვალია, რუსთველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის სულიერი შთამომავალი, ილიასა და აკაკის ღირსეული თანამოსაგრე, გალაკტიონის დიდებული წინამორბედი.

ვაჟა-ფშაველამ მომხიბლავი ენით გამოთქვა ქართველი ერის საუკვარი გულის ნადები. დიდ გულთამხილავს სულს უმწარებდა და სიცოცხლეს უშხამავდა „წყლულები საქართველოსი". მაგრამ ვერავითარმა სატკივარმა ვერ შეურყია პოეტს რწმენა და სასოება ვერ წარუკვეთა. სევდანარევი ღეჭსით მაინც კოხტად უქცევდა ფშაურ კილოზე: „სიცოცხლემ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შავირგე".

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე", „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე" — დღე-ნიადაგ შთამაგონებლად დუდუნებდა „გულითა გაუტეხელი" და დაუღალავი მკლავითა" მგოსანთ-მგოსანი.

ვაჟა-ფშაველამ შექმნა გმირულ სახეთა დიდი ანსამბლი. მაინც უბადლოა სახე დაჭრილი მებრძოლი არწივისა. ალბათ, ყველას მშვენივრად ახსოვს როგორი მამაცური შეუპოვრობით ეომებოდა ყვავყორანთა ლაშქარს მძიმე წყლულებით შეჭირვებული, მხარ-დალეწილი, სისხლით შელებილი ფრინველთ მეუფე. იგი მხოლოდ სინანულით ჩიოდა გულში:

ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა.

მძიმედ დაჭრილი, დაწყლულებული, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე, ამაყი, შეუპოვარი და ქედმოუხრელი მშვენიერი ფრთოსანი ხომ ძველი საქართველოს მხატვრული სიმბოლოა. ვაჟა აღტაცებული შეჰყურებდა არწივის ბრძოლას, სჯეროდა მისი გამარჯვების უცილობლობა, კიდეც ვნახავო, გაიძახოდა, „სიმართლის გამარჯვებასა მთაზე არწივი ყიოდეს".

მართალია, პოტი ველარ მოესწრო მისი სამშობლოს ყვავთაგან დახსნას, ქართული პოეზიის ჰეშმარიტ ტიტანს საფლავში ჩაჰყვა გულის ვარამი.

დღეს ჩვენ შეგვიძლია განვუცხადოთ ვაჟა-ფშაველას აჩრდილს, რომ მის საყვარელ არწივს დაუშუშდა მწვავე წყლულები, ძლიერი ფრთებიც გაუშლია და ლაღად ნავარდობს მშობლიური ცის სივრცე-ებში. განახლებული და სვებედნიერი ვაჟას სამშობლო, მტკიცე ნაბიჯით რომ გზას იკვალავს საუკეთესო მერმისისაკენ.

ჩვენ შეგვიძლია პოეტს მივმართოთ მისივე სიტყვით:

მგოსანო საქართველოსავ,
წამოიხედე ზეზედა,
იხილე შენი სამშობლო,
მიმოიარე მზეზედა...
აღარ ვართ გუშინდელები,
ვიქცენით ერთი ორადა,
წამოგვეზარდნენ ჰაბუკნი,
წამოგვეზარდნენ ჰაბუკნი,,
ჰნახო, სცნობ არწივ-ქორადა...
და ივერიის დიდებას
ხალხს უამბობენ შორადა.

დიახ, ჩვენ აღარ ვართ გუშინდელები. თბილისი, ჩვენი საერქადულო დედაქალაქი, აღარაფრით ჰგავს ვაჟასჟამინდელ ან გუშინდელ თბილისს. სადღაა ძველი საბურთალო? სადღაა მისი ოღრო-ჩოღრო, ტალახიანი და დატბორილი მიდამოები?

არა. ჩვენ არც იმას ვმალავთ ვაჟა-ფშაველას ლანდის წინაშე, რომ აქა-იქ ჩვენს ქვეყანაში ერთხანს ბოგინობდნენ ცალკეული ვიგინდარა უსაქმურები თუ „კარგი ჭართველის“ ქურქში გახვეული სხვადასხვა ჯურის საქმოსანი არამზადები, ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ მათი საქმენი სამარცხვინონი საბოლოოდ განწირულია და დათვლილია მათი პარპაშის დღენი. უკვე საკადრისი ფასი ეძლევა მოქალაქეობრივი სინდისის ძალას, პატიოსან შრომას, გარჯას და წესრიგს.

დიდება ვაჟა-ფშაველას ხსოვნას!

1972

ეგნატე ნინოშვილი

(1859—1894)

ეგნატე ნინოშვილმა პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. სწავლასთან ერთად მწყემსობდა. 1876—1878 წლებში სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. მეოთხე კლასში რომ გადავიდა, სასწავლებლიდან გარიცხეს სასწავლებლის ბიუროკრატი გამგის, ყოველგვარი პროგრესული აზრის ჩამხშობ დეკანოზ სიმონ ქიქოძის წინააღმდეგ მოწყობილი გაფიცვის მოთავეობისათვის.

თვითგანვითარებით გარკვეულ წარმატებას მიაღწია და სახალხო მასწავლებლის მოწმობა მოიპოვა. ერთხანს კიდევაც მასწავლებლობდა. სწავლას უზომოდ მოწყურებული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ეგნატე ნინოშვილი მის კეთილისმყოფელთა შორის შეგროვილი სახსრით 1886 წლის ნოემბერში საფრანგეთში გაემგზავრა, ჭალაქ მონპელიეში. აპირებდა იქაურ უნივერსიტეტში შესვლას. „ფრანციკული თითქმის გვარიანად შევისწავლე, ლექციების გაგება შემიძლიაო“, წერდა ეგნატე თავის ბიძას ალექსის. სწავლობდა აგრეთვე გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს. რუსულს სავსებით სრულყოფილად ფლობდა.

უცხოეთში ეგნატემ დიდი გაჭირვება გადაიტანა. დაპირებული დახმარება არ მიუვიდა, ვერც რაიმე სამუშაო იშოვა. შიმშილობდა. ერთ დროს განზრახული ჰქონია ინგლისში წასვლა, იქიდან „შეიძლება ამიერკავკასიაშიც წავიდეო“. ყველა გეგმა ჩაეფუშა. 1887 წლის მარტის გასულს სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძო „მშიერი კუჭისათვის“ ზრუნვა. მუშაობდა სოფლის კანცელარიის მწერლად, ტელეგრაფისტად, რკინიგზის მუშად, მტვირთავ მუშად ბათომის ნავსადგურში, იქვე ნავთობის ჭარხანაში აგრეთვე მუშად. სხვადასხვა დროს მსახურობდა კანტორის მოხელედ ზესტაფონსა და გომში, იყო ასოთამწყობად (თბილისში). თანამშრომლობდა საფილოქსერო დასში. ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა. ბუნებით სუსტსა და ავადმყოფს (ჭლექით სნეულს) უჭირდა მძიმე, მომჭანცავი შრომა, ისიც სულის შემბუთველ გარემოში.

ეგნატე ნინოშვილი კარგად გრძნობდა, რომ მისი მოწოდება იყო მწერლობა, ლიტერატურული სარბიელი.

როგორმე „მომიხერხე „ივერიის“ რედაქციაში მუდმივი სამუშაოს შოვნაო“, თხოვდა ე. ნინოშვილი თედო სახოკიას 1892 წლის 7 აგვისტოს („სხვა ადგილი, რაც გინდა ადგილი იყოს“, არ მინდაო, საგანგებოდ ურთავდა).

ეგნატე ნინოშვილი მუდამ დროის უქონლობას უჩიოდა. როგორღაც მაინც ახერხებდა წიგნების კითხვას. ძალიან ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით, როცა თბილისში იყო. „მაცივებს, მოწყენილი ვარ,

ხმის გამცემი არავინ არისო", წერდა ნინოშვილი თავის ერთ მეგობარს სოფლიდან. გული თბილისისაკენ მიუწევდა. მაგრამ ღონე არ ჰქონდა, „ფრთებდაჭრილ ფრინველს" ამსგავსებდა თავის თავს ავადმყოფი მწერალი.

საგულისხმოა, რომ თედო სახოკიას სთხოვდა (14.2.93) ფრანგული ჟურნალის (Petit Journal) მოწოდებას საკითხავად.

ეგნატე ნინოშვილი თავის დროისათვის იყო ფრიად განვითარებული და ფართოდ განსწავლული კაცი. მშვენივრად იცნობდა მშობლიურ, რუსულ და უცხოურ (დასავლეთევროპულ) ლიტერატურას.

ჯანმრთელობა და ლუკმაპურისთვის ზრუნვა ძლიერ უშლიდა ხელს მთელი ძალ-ღონით გამოედო თავი მწერლობისათვის. ამისდა მიუხედავად, 35 წლის ასაკში გარდაცვლილმა მწერალმა საკმაოდ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა (მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, კორესპონდენციები, კერძო წერილები). ბევრი რამე მისი ნაწერებიდან დაკარგულად ითვლება.

ნინოშვილი იშვიათად მორიდებული, თავმდაბალი და უპრეტენზიო იყო. მაგალითად, თავის შესანიშნავ „გოგია უიშვილზე" ამბობს: „ეს მოთხრობა ჩემის ფიქრით, ყველაზე უგლახესია ჩემს მოთხრობებშიო" (ეგნატე ნინოშვილი. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1960, გვ. 312). „ქრისტინე" ვერაფელი შვილიაო (იქვე, გვ. 319). 1892 წლის 14 დეკემბერს ნინოშვილი წერდა თედო სახოკიას: „ვიცი მკითხავ — რა დასწერეო. აბა რა უნდა დასწეროს ასეთ მდგომარეობაში კაცმა! (დღე და ღამე „ლოგინში ვწევარ უძლურების გამოო"), მე კი მაინც არ დავუჯერე თავს, ძალა დავატანე და ერთი უხეირო მოთხრობა (სახელად „პარტახი") დავჯღაბნე" (იქვე, გვ. 317). ნამდვილად კი „პარტახი", ისე როგორც „ქრისტინე", მშვენიერი მოთხრობაა.

ეგნატე ნინოშვილი იყო პროფესიონალი მწერალი, პროგრესულად მოაზროვნე პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის მესვეური მხატვრულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, ე. წ. მესამე დასის სულის ჩამდგმელი იდეოლოგი და პრაქტიკოსი ორგანიზატორი.

ეგნატე ნინოშვილი საუცხოოდ ხატავდა ბატონყმობის შემდეგდროინდელი გლეხკაცის, კერძოდ, გურული გლეხკაცის დუხჭირი ცხოვრების სურათს. ნინოშვილის თითქმის ყველა მოთხრობას საფუძვლად უდევს კონკრეტული რეალური ამბავი, მოთხრობის პერსონაჟებს ჰყავთ კონკრეტული პროტოტიპები. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი რეალისტი მწერალი, ის არასოდეს იზღუდება კერძოობითი მოვლენების ვიწრო ფარგლებით, კონკრეტულ ფაქტებსა და სიტუაციებს ტიპობრივად განზოგადებულ სახეს აძლევს. ნინოშვილი პირდაპირ აცხა-

დებს: „ჩემის ფიქრით მოთხრობების მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არას დროს არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობის დედააზრად ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპები (общие принципы) უნდა იხატებოდეს მოთხრობაში“ (11, 312).

ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ნინოშვილი თავის თხზულებებში. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ნინოშვილი ეძიებდა ადამიანებში ზნეობრივი სიკეთის თესლს, დაუზოგავად ამხილებდა უკეთურების ყოველგვარ გამოვლინებას საზოგადოებრივსა თუ საოჯახო ცხოვრებაში. იგი არ აიდეალებდა თავისთავად გლეხკაცს, ბევრი გლეხკაცის მანკიერი თვისება აქვს შეუფერავად აღწერილი, ზოგიერთი თავად-აზნაურისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლის ღირსებაც მკაფიოდ გამოუხატავს თავის მოთხრობებში.

გლეხკაცის დაბეჩავების საბედისწერო მიზეზად ნინოშვილი გაუნათლებლობასაც თვლიდა, უმეცრებას, ცრუმორწმუნეობას, დრომოჭმული ადათ-წესების მიმდევრობას და ა. შ.

ეგნატე ნინოშვილი იღვწოდა სიკეთისათვის, ებრძოდა სოციალურ უსამართლობას, მეფის გახრწნილი მოხელეების ძალმომრეობას (მოსე მწერალი და სხვ.), გადიდკაცებულ და გაქნილ გააზნაურებულ მდაბიოთა თავგასულობას და გარყვნილებას (დროიძეები, ტარიელ მკლავაძე...).

ეგნატე ნინოშვილი ოცნებობდა სოციალურ-პოლიტიკურად თავისუფალი, განათლებული, ზნეობრივად განსპეტაკებული, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითს ფერხულში ჩაბმული ადამიანის ღირსეულ ცხოვრებაზე.

ეგნატე ნინოშვილი იყო უკუღმართი ცხოვრების პირობებით გატანჯული, მაგრამ ქედმოუხრელი, შეუპოვარი, უკომპრომისო, მშრომელი ხალხის სიკეთისათვის მებრძოლი მწერალი და მოაზროვნე.

მადლიერმა ქვეყანამ საპატიო ადგილი მიუჩინა ეგნატე ნინოშვილს თავის სახელოვან შვილთა სულიერ სამკვიდრებელში.

1984

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავის გამო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ქართველ ერს მისი საამაყო შვილის — — დიდი პედაგოგის, შესანიშნავი მწერლისა და პუბლიცისტის, უზადო საზოგადო მოღვაწის და მგზნებარე მამულიშვილის — იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის საიუბილეო დღეს.

უწვეულო სიყვარულითა და ღრმა პატივისცემის გრძნობით ახსენებს ყველა ქართველი გოგებაშვილის ბინდუკრავ სახელს. „ხალხის ღვიძლმა შვილმა, შუა ქართლში დაბადებულმა და დაბადებიდანვე ხალხის კალთაში აღზრდილმა“ ხალხის ჭირ-ვარამი გაიზიარა, განიცადა მისი სატკივარი, უმკურნალა მის წყლულებს.

იაკობ გოგებაშვილი ეკუთვნოდა ერის იდეურ მესვეურთა მცირერიცხოვან რჩეულ გუნდს. მადლიერი შთამომავლობაც ღირსეულად აფასებს მის ფასდაუდებელ ამაგს. საკმარისია თუ ვიტყვით, რომ იაკობ გოგებაშვილს ქართველი ხალხი გვერდში უყენებს თავის სათაყვანებელსა და საფიცარ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს.

ჩვენი კულტურული ცხოვრების არც ერთი სფერო არ დარჩენილა გასულ საუკუნეში, გოგებაშვილის ჭირისუფლური მზრუნველობა რომ არ დატყობოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელმოხვეჭილმა მოღვაწემ კარგად იცოდა, რომ ნამდვილი „ბურჯი ეროვნებისა“, ერის სულიერი ცხოვრების უშრეტი წყარო, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მისი ენაა. — „რა ენა წახდეს. ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ (გრ. ორბელიანი). ერის ამ სიწმიდის სადარაჯოზე იდგა გოგებაშვილი მთელი მისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში.

დიდ განსაცდელში მყოფ მშობლიურ ენას გოგებაშვილმა თვითონ ჩაუდგა ისეთი ბურჯი, რომ ჟამთა სიავის ვერავითარმა წამლეკავმა ნიაღვრებმა და სუსხიანმა ქარტეხილებმა ვეღარ შეურყიეს მას საძირკველი.

გოგებაშვილის რწმენით, ზნეფაქიზი, განათლებული და ეროვნულ-საზოგადოებრივი შეგნებით აღჭურვილი ახალი თაობა აწმყოში ერის მასულდგმულებელი ძალაა და საოცნებო მერმისის საიმედო საყრდენი.

ახალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შეწირა გოგებაშვილმა თავისი ხალასი ნიჭი, გამჭრიახი გონება და მოქალაქეობრივი შემართება.

სიტყვითა და საქმით გოგებაშვილი ფართოდ ნერგავდა ჩვენს ქვეყანაში ერთიანი სალიტერატურო ქართულის ტრადიციებს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს მოჰფინა მან პატარა ქართველის აღტაცებული პატრიოტული სიმღერა და ხევსურის შთამაგონებელი ღაღადისი: „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“.

მოზარდთა მრავალ თაობას შეაყვარა გოგებაშვილმა ჩვენი ქვეყნის დიდი წარსული და მის თავდადებულ შვილთა გმირული სახეები. გოგებაშვილმა შეგვაყვარა ჩვენი სამშობლოს წარმტაცი ბუნება, ჩვენი მშვენიერი, ტკბილი ქართული ენა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ვეფხისტყაოსნის შემდეგ ჩვენ ხალხს არ ჰქონია უფრო სანუკვარი და უფრო საყვარელი წიგნი, ვიდრე „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა... დედაენა ქართული“ (გ. ლეონიძე).

ქართველი ერი ვერ დაივიწყებს ამ უკვდავი წიგნის უკვდავ შემოქმედს.

1960

გალაკტიონ ტაბიძე — ვინმე მესხი მელექსე

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრება იყო დაუცხრომელი შრომა და უკომპრომისო ბრძოლა ყოველივე დრომოჭმულის, რუტინისა და ხავსმოდებულის წინააღმდეგ პოეზიაში. ასევე შეუპოვარი იყო იგი ძიების გზაზე. „მინდა ახალი გზები, მინდა ახალი რამე, გაბრწყინებული მთები, განათებული ღამე“, ამბობს პოეტი ერთს, შედარებით ადრინდელ ლექსში („მგზავრის სიმღერა“). გალაკტიონი ეძიებდა და პოულობდა თავის საწადელს. სიამის გრძნობით ავსებს ჭეშმარიტი პოეზიის ყველა დამფასებლის გულს გალაკტიონის საოცარი პოეტური მიგნებანი და ხილვანი. ოღონდ ახლის ძიებათა სტიქიას მიყოლილი პოეტი უდიდესი მოკრძალებით ეკიდებოდა წარსულის ნაანდერძევ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

გალაკტიონ ტაბიძე სამაგალითო მეცნიერული სიღრმით სწვდებოდა ამ მემკვიდრეობას, ნათელი გონების შუქით ამოწმებდა მის სიავკარგეს, აგრძელებდა, აღორძინებდა და ავითარებდა ძველი პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციებს. ახალი დროის ქართველ პოეტებიდან გალაკტიონმა ყველაზე უფრო უშუალოდ, ბუნებრივად და ფაქიზად განიცადა რუსთველის პოეზიის შინაგანი ცხოველმყოფელი ზემოქმედება. რუსთველის სახე, სახეები რუსთაველის დიდებული გმირებისა, რუსთველური მხატვრული სამკაულები გამჭვირვალედ თინათინობენ გალაკტიონის არაერთ ლექსში. რვამარცვლიანი შაირის მეტრით არის შეთხზული გალაკტიონის „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“. სხვა იშვიათ ღირსებებთან ერთად ეს საუცხოო ლექსი დიდად საინტერესოა რუსთველის ბიოგრაფიის ტაბიძისეული კონცეფციის თვალსაზრისით. რუსთველურად უქცევს ლექსის ლირიკული გმირი:

მე რუსთველი ამა ზღვიდან
შემოვდივარ ჩემს ქვეყანას.

გალაკტიონ ტაბიძე თვითონაა სამშობლოზე შეყვარებული შმაგი მიჯნური, თანამედროვე მესხი მელექსე („ვწერ ვინმე მესხი ძველქსე"):

შმაგი, ვით ველხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე ვინმე მესხი მელექსე.

ცნობილზე ცნობილია გალაკტიონ ტაბიძის „პოეზია უპირველეს ყოვლისა". ამის ერთგვარ დაკონკრეტებას წარმოადგენს მისი აღსარება „საქართველო უპირველეს ყოვლისა". მთელი თავისი გატაცებათა და გზნებით უმღეროდა პოეტი საქართველოს სასიქადულო წარსულს, ჯალალედინის, თემურლენგისა და აღა-მაჰმად ხანის ურდოების წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლ გმირ ქართველ ხალხს. გალაკტიონის აღტაცებას იწვევდნენ ნარიყალას, გორის ციხისა თუ ნიკორწმინდის მშენებელი უცნობი დიდოსტატები, ქართული ანბანის შემქმნელი ჯადოქარი ხელოვანი, ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორი და ქართლის ცხოვრების ჟამთააღმწერელნი.

სამშობლო, მისი აწმყო, ნამყო და მყოფადი იყო გალაკტიონ ტაბიძის საფიცარი უკვდავი ღმერთი, კერპი თუ ხატი. ვინ დაივიწყებს მის ეულ ღაღადისს:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს დიდებას,
წინაპართა ძვლებს დავიცავ.

1982

წერილი „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას

ამას წინათ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" (15.2.84) დაიბეჭდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მარია ფილონა-რამიშვილის საინტერესო წერილი „Творец содружества". წერილი ეძღვნება ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობრის მიკოლა ბაჟანის კიევში 1982 წელს უკრაინულ ენაზე გამოცემულ წიგნს „ფიქრები და მოგონებანი". ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი ჰქონია ქართულ თემატიკას, კერძოდ, დავით გურამიშვილს. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ თვითონ ბაჟანის მოგონების თანახმად, ამ დიდ უკრაინელ პოეტსა და სწავლულს ერთ დროს გადაუდვია უველა სხვა

საქმე, რათა მისი მშობელი ხალხისათვის გაეცნო გურამიშვილის შემოქმედებითი სამყარო, „ეს იყოო 1952 წელს“. ანალოგიური რამ ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა. 1979 წელს თბილისში ქართულ ენაზე გამოვიდა მიკოლა ბაჟანის წიგნი „საქართველოს გზებზე“. აქ მოთხრობილია, რომ ვეფხისტყაოსნის გადათარგმნის შემდეგ ბაჟანს განზრახული ჰქონია გადაეთარგმნა გურამიშვილის „დავითიანი“, მაგრამ დიდი სამამულო ომის გამო ხელი შეშლია. ომის დამთავრების შემდეგ მას გადაუწყვეტია ადრინდელი განზრახვის შესრულება. სიმონ ჩიქოვანისა და ამ სტრიქონების ავტორის გულისხმიერი დახმარებით ენერგიულად შეუდექი გურამიშვილის ცხოვრება-შემოქმედების შესწავლას და მისი ლექსების თარგმნასო, მით უფრო, რომ ახლოვდებოდაო გურამიშვილის დაბადების „ორასი წლისთავი“ (გვ. 76). სიმონ ჩიქოვანმა იზრუნაო, წერს მიკოლა ბაჟანი, „რათა 1952 წლის შემოდგომაზე ხანგრძლივად დავრჩენილიყავი საქართველოში და მხოლოდ დავითის პოემების თარგმნაზე მემუშავა. ბორჯომის ხეობაში, მესხეთის ზეგნის დასავლეთ კალთაზე, ატკვრის პირას, დარაჯის უკაცრიელ ქოხში სიმონმა მომინახა მყუდრო თავშესაფარი...“ (გვ. 76, კურსივი ჩემია, მრავალწერტილი ბაჟანისაა, ა. ბ.).

ამრიგად, მიკოლა ბაჟანი „დავითიანის“ თარგმნას თითქოს შესდგომია ქვიშხეთში 1952 წლის შემოდგომაზე. ჩვენი კეთილი მეგობრის ცნობა მთლად ზუსტი არ არის. ფაქტი ისაა, რომ „დავითიანის“ უკრაინული თარგმანის პირველი გამოცემის მომზადებაში მცირედენი წვლილი მეც მიმიძღვის, შევეცდები აღვადგინო დოკუმენტურად ზუსტი სურათი. რა თქმა უნდა, საეჭვო არ არის, რომ „დავითიანის“ თარგმანზე ბაჟანს უნდა ემუშავა ქვიშხეთშიც, ოღონდ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე 1952 წელია. 1950 წლის 12 მაისის თარიღით მიკოლა ბაჟანი კიევიდან მწერდა „დღე და ღამეს ვასწორებ დავითიანის თარგმანზეო“ („буквально дни и ночи сижу над переводом“). მას გადაწყვეტილი ჰქონდა როგორმე იმავე 1950 წელს მოეთავებინა „დავითიანის“ თარგმნაც და გამოცემაც (წინ სხვა ბევრი გადაუდებელი საქმეები მაქვს და ამისათვის მეტს ვეღარ მოვიცლიო). მიკოლა ბაჟანს მართლაც თავი გამოუდვია, თარგმნა დაუმთავრებია, შანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის ერთი ცალი სტამბისათვის გადაუცია ასაწყობად 1950 წლის ივლისის დასაწყისში (სტამბის ცნობით, ტექსტი წარმოებას მიუღია 1950 წლის 5 ივლისს), ხოლო თვითონ თბილისში გამოშურებულა თარგმანის საბოლოოდ შესამოწმებლად. ივლისის თვის 15 დღე მიკოლამ ჩვენთან გაატარა აგარაკ კიკეთში. ნამდვილად დღე და ღამეს ვასწორებდით, ვუჯექით თარგმანს (ხელთ გვქონდა მანქანაზე გადაბეჭდილი მეორე ცალი), ვუდარებდით ქართულ დედანსა და რუსულ პწკარედს, საჭირო შესწორებები ბაჟანს შეჰქონდა სასტამბო ტექსტში. ასე „გაი-

ჩალხა“ საბოლოოდ „დავითიანის“ უკრაინული თარგმანი (ჩემს ფოტოარქივში დაცულია ბაჟანთან ერთად კიევში გადაღებული ფოტოსურათი). მიუხედავად ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობისა, თავისი თარგმანის სატიტულო ფურცელზე ბაჟანს მაინც ჩაუბეჭდავს „ალ. ბარამიძის რედაქციით“.

აგვისტოში მიკოლა ბაჟანი კიევში დაბრუნდა და პირადად უხელმძღვანელა წიგნის ბეჭდვას. წლის ბოლოს (1950 წლის ბოლოს) „დავითიანის“ ბეჭდვა დასრულდა. ნაბეჭდი სასიგნალო ცალი მიკოლამ აღტაცებული სამახსოვრო წარწერით გამომიგზავნა 1951 წლის 30 იანვარს. ამას საგანგებო წერილიც მოაყოლა. „ვერ დავფარავ ჩემს სიხარულსო“, მწერდა, ბოლოსა და ბოლოს უკრაინულმა „დავითიანმა“ მზის სინათლე იხილაო.

ასეთია „დავითიანის“ უკრაინული თარგმანის საბოლოოდ გამზადებისა და გამოცემის ზუსტი ისტორია.

30.3.84

წერილი „მრავალთავის“ რედაქციას

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მრავალთავის“ XIII წიგნიც („მეცნიერება“, 1986. 144 გვ.) ჩვეულებისამებრ დიდად საინტერესოა; გამოკვლევებთან ერთად, აქ დაბეჭდილია ექვთიმე თაყაიშვილის, იროდიონ სონღულაშვილისა და კალისტრატე ციხცაძის პირადი ფონდის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალები. ჩემი ყურადღება მიიპყრო ირ. სონღულაშვილის მშვენიერი მემუარების პუბლიკაციამ. ირ. სონღულაშვილი იყო ექვ. თაყაიშვილის უახლოესი თანამშრომელი და უერთგულესი მეგობარი. თაყაიშვილის უცხოეთში გამგზავრების შემდეგ სერგი გორგაძესთან ერთად ის ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკას (ს. გორგაძე იყო გამგე, ი. სონღულაშვილი მისი მოადგილე; გორგაძის გარდაცვალების — 1927 წლის — შემდეგ სონღულაშვილი ასრულებდა მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას). იროდიონ სონღულაშვილი იყო თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე და უკეთილშობილესი ადამიანი (ჩემი ცხოვრების მანძილზე იშვიათად შემხვედრია ირ. სონღულაშვილის მსგავსი ადამიანური ღირსებებით შემკობილი პიროვნება). ირ. სონღულაშვილი იყო მწერალი-ბელეტრისტი. მწერლის მადლიც დაჰყოლია მის მემუარებს. სამწუხაროდ, მემუარისტს მოსდის ორი უნებლიე შეცდომა (უტყობა, ირ. სონ-

ღულაშვილი თავის მეხსიერებაზე დანდობით წერდა მემუარებს. ეს შეცდომებია:

1. იროდიონ სონღულაშვილი მოგვითხრობს, რომ 1941 წლის 18 ნოემბერს, საღამო ჟამს, ეწვია ბინაზე მის ყოფილ მასწავლებელს საღვთო სჯულში კალისტრატე ცინცაძეს(მაშინ უკვე კათალიკოს-პატრიარქს). იმ საღამოს კ. ცინცაძესთან სხვებიც ყოფილან (ეტყობა, 18 ნოემბერი შეხვედრის დათქმულ დღედ ჰქონიათ დანიშნული). მასპინძელმა „ჩაიზე მიმიწვიაო, — იგონებს მემუარისტი, — ბოთლი ღვინო მოატანინა. ლაპარაკი მეცნიერებაზე გაიბა და ჩვენი მეცნიერნი და მათი შრომები ვახსენეთ. ივანე ჯავახიშვილზე მეც ვერდით. 11 საათზე შინისაკენ გამოვემართე. ჩემი ახალგაზრდა მოკეთე შემომხვდა. — ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა — მითხრა "აკრწუნებული კილოთი .." (გვ. 93—94).

მოთხრობილი ამბავი უნდა მომხდარიყო არა 1941 წლის 18 ნოემბერს, არამედ ერთი წლით ადრე, 1940 წლის ნოემბერში. როგორც კარგად ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს. 1941 წლის ნოემბერში მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ასე გვიან ღამით („11 საათზე შინისაკენ გამოვემართე") ქუჩაში თავისუფალი მოძრაობაც კი შეუძლებელი იქნებოდა.

2. იროდიონ სონღულაშვილი გვიამბობს: „1929 წლის მაისში უნივერსიტეტის შენობიდან დავძარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმთან ერთად საზოგადოების წიგნთსაცავიც" (გვ. 92). ქონება გადავზიდეთ საქართველოს მუზეუმში. ჩვენი საზოგადოების წიგნთსაცავიდან ცალკე გამოყვეს ხელნაწერები, ხელნაწერი ფონდებიდან კი მალე შეიქმნა სპეციალური განყოფილება („ხელნაწერთა ანუ პალეოგრაფიული განყოფილება", ა. ბ.), რომელსაც „სათავეში ჩაუდგა პავლე ინგოროყვა"-ო (იქვე). ეს ყველაფერი სწორია, იქნებ მოთხრობილი ამბავი მოხდა ერთი წლით გვიან, სახელდობრ 1930 წელს. საქმე ისაა, რომ თბილისის უნივერსიტეტის შენობაში საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის გარდა მოთავსებული იყო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავიც (ამ სიძველეთსაცავში შედიოდა ყოფილი საეკლესიო კომიტეტისა და ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერი ფონდები, „უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი" იმ დროს უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენდა და მას ქართული მწერლობის კვლევა მეურვეობდა — (გამგე კ. კეკელიძე).

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სკოლის რეორგანიზაცია. ამ დადგენილებით თბილისის უნივერსიტეტი დაიშალა და მის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სპეციალური სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი. უნივერსიტეტის ახლანდელი პირველა

კორპუსის მეორე და მესამე სართული დაიკავა თბილისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციასთან და უნივერსიტეტის დაშლასთან დაკავშირებით მანამდის უნივერსიტეტში მოთავსებული უნივერსიტეტის სიძველეთსაცავისა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციები გადაეცა საქართველოს მუზეუმს. ვიმეორებთ, ყველაფერი ეს მოხდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილების საფუძველზე. 1930 წლის 1 სექტემბრისათვის უნივერსიტეტში დაცული ყველა სამუზეუმო ქონება უკვე საქართველოს მუზეუმში იყო გადატანილი და მალე იქ ჩამოყალიბდა ორი ახალი განყოფილება. მათ შორის ხელნაწერთა განყოფილება.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. ყოველივე აქ აღნიშნულს დაინტერესებული მკითხველი უფრო დაწვრილებით გაეცნობა გიორგი გამყრელიძის წიგნით (თბილისის უნივერსიტეტი, 1948) და ჩვენი ნარკვევით — „ქართულ ხელნაწერთა ფონდების წარსულიდან“ (მწიგნობარი — 1983, გამოვიდა 1984 წელს, გვ. 65—68).

22.5.86.

საყურადღებო არქეოგრაფიული ნაშრომი

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის საძზადისს შეუდგა, გადავწყვიტეთ საგულდაგულოდ შეგვემოწმებინა და შეგვესწავლა სიძველეთსაცავთა და სახელმწიფო თუ კერძო (საოჯახო) არქივები ჩვენთვის საჭირო მასალების გამოსავლინებლად.

პირველი შედეგები საიმედო აღმოჩნდა.

გუმანით, და, რასაკვირველია, შესაფერისი საცნობარო და საარქეოგრაფიო-სამეცნიერო ლიტერატურით ვიცოდით, რომ საჩვენო რამ აღმოჩნდებოდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის სახელობის ბიბლიოთეკის ორდროპისეულ ფონდში. სადირექტივო ორგანოსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მხურვალე მხარდაჭერით ინგლისში მივავლინეთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოსაცემად მომამზადებელი ძთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი გურამ შარაძე.

გ. შარაძემ გამოიჩინა შესაშური მონდომება. ენერგია და შრომისმოყვარეობა, შედარებით მცირე დროის განძავლობაში გაჩხრიკა, გამოავლინა, გადმოიწერა (თუ ფოტოპირები გაადმოიღო) და ჩამოეტანა

მნიშვნელოვანწ ლად უცნობი დიდძალი ლიტერატურული მასალა, შუქს რომ ჰფე ს როგორც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმე. დები ი მოღვა ეობის, ისე საზოგადოდ ახალი ქართული სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი აზრისა და მწერლობის ისტორიის არაერთ მხარეს.

გ. შარაძის სამეცნიერო მივლინებას შედეგებს მიეძღვნა მისი წერილების ციკლი — „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის" 1981 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთი მოზრდილი ნაწილი გ. შარაძემ გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობში" (1983, №№ 1, 2, 3).

ინგლისში მოპოვებული მასალები შესაფერისი სამეცნიერო აპარატით, შენიშვნა-კომენტარებით, ბიბლიოგრაფიითა და პირთა საძიებლით შესულია სარეცენზიო წიგნში: „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე" (თბ., 1984, 494 გვ., რედაქტორი გიორგი ბედინეიშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო").

გ. შარაძის წიგნის პირველი თავია — „ინგლის-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ფესვები და ქართველოლოგიის აღმოცენება ინგლისში" (გვ. 3—34). აქ მოკლედ, შემჭიდროებულად და საკმაო სისრულით მიმოხილულია ინგლისურ-ქართული კულტურული ურთიერთობის თაობაზე არსებული ცნობები ძველი დროიდან (XIII საუკუნიდან) უორდროპების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდე. ს. ავტორი აანალიზებს იმ მწირ დოკუმენტურ მასალას, რაც კი აღნიშნულ საკითხზე მოიპოვება და ასკვნის: „აი, ასეთ ორმხრივი. ინგლისურ-ქართულ და ქართულ-ინგლისურ გაცხოველებულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა პირობებში XIX საუკუნის შუა ხანებიდან ინგლისში თანდათან აღმოცენდა და განვითარდა ქართველოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა" (გვ. 20). ამ დასკვნის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ საჭოთიროდ გვეჩვენება მოსაზრება ურთიეროობათა „ორმხრივობის" შესახებ.

გ. შარაძის სიტყვით, ინგლისური ქართველოლოგიის ნამდვილი ფუძემდებლები არიან მარჯორი (1869—1909) და ოლივერ (1864—1948) უორდროპები. სწორედ ასეა დასათაურებული განსახილავი წიგნის მეორე თავი—„მარჯორი და ოლივერ უორდროპები—ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებლები" (გვ. 35—133). წიგნის ეს თავი იმით იწყება, რომ 1887 წელს საქართველოში ჩამოვიდაო მოგზაურობის ტრფიალი ახალგაზრდა განათლებული ინგლისელი ოლივერ უორდროპი, რომელსაც მოუვლია ჩვენი ქვეყნის „თითქმის ყველა კუთხე", გასცნობია მის წარმტაც ბუნებას, შეუსწავლია მისი წარსული და აწმყო, მოხიბლულა ნახულითა და მოსმენილით. ო. უორდროპი სწვევია ბევრ მოწინავე ქართველ მოღვაწეს, მათ შორის ილია ჭავჭავაძესა და

ივანე მაჩაბელს. შეძენილი ცოდნისა და მდიდარი შთაბეჭდილების საფუძველზე ოლივერ უორდროპს დაუწერია და უკვე მომდევნო, 1888 წელს, ლონდონში გამოუქვეყნებია წიგნი — „საქართველოს სამეფო“.

გ. შარაძეს ძალიან ვრცლად აქვს გადმოცემული ო. უორდროპის წიგნის შინაარსი, იქიდან ბევრი ვრცელი ციტატაა დამოწმებული სტეფანე ჭრელაშვილის ძველი თარგმანის მიხედვით (გვ. 61, შენ. 13).

ოლივერ უორდროპს საუცხოოდ აქვს აღწერილი ჩვენი ქვეყნის ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი, საინტერესოდ აქვს მიმოხილული ჩვენი ისტორიული წარსული, ჩვენი კულტურა, ჩვენი მწერლობა უძველესი დროიდან. განსაკუთრებით ვრცლად ეხება და დიდად აფასებს იგი შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანს. საქართველოს გმირული წარსულით აღტაცებული ინგლისელი მწერალი ამბობს: „საქართველოს წარსული ღვაწლი იმეთი ღირსებისაა, რომ შეუძლია დაამშვენოს დიდება თვით რომისა და საბერძნეთისაო“. გ. შარაძის წიგნში მოთხრობილია იმ გამოხმაურებათა შესახებ, რაც მოჰყოლია უორდროპის შრომის გამოსვლას ინგლისსა და საქართველოში (გვ.60—62). თვითონ ოლივერს თავმდაბლურად აღუნიშნავს: „მე კარგად ვგრძნობ, რომ ჩემი თხზულება არ არის სრული და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. დიდად მოხარული ვიქნები, თუკი გამოჩნდებიან სხვა მწერლები, რომელთაც ჩემი წიგნი გამოადგებათ გზის მაჩვენებლად“. ამას გ. შარაძე ურთავს, რომ ის „სხვა მწერალი“, რომელიც ოლივერის გზას გაჰყვა, იყო მისივე დაი მარჯორი (გვ. 37).

მარჯორი უორდროპს საფუძვლიანად შეუსწავლია ქართული ენა (ქართული ისწავლა ოლივერმაც). და-ძმამ იცოდნენ რამდენიმე უცხო ენა, ოლივერი თავისუფლად ფლობდა რუსულს (იგი დიპლომატურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსეთშიც). მარჯორი და ოლივერი იმთავითვე დიდი წარმატებით შეუდგნენ ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმნას ინგლისურ ენაზე. მარჯორის პირველი თარგმანი იყო „ქართული ზღაპრები“ (ლ., 1894), შემდეგ ავტორის თანხმობით მან გადაიღო ილიას „განდეგილი“ (ლ., 1895). ოლივერმა ცაგარლისეული რუსული გამოცემის მიხედვით ინგლისურად გადათარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (ლ., 1894). ეს თარგმანი ქართული დედნისათვის შეუდარებია და „შეუსწორ-შემოუსწორებია“ მარჯორის. მოგვიანებით ოლივერმა გადათარგმნა „ვისრამიანი“ (ლ., 1914) და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ (დაბეჭდა 1915 წელს ინგლისის „სამეფო სააზიო საზოგადოების“ ჟურნალში). არმენოლოგ კონიბირთან (1856—1924) ერთად ოლივერ უორდროპმა ინგლისურად გადათარგმნა იაკობის „ყამისწირვის“ უძველესი ქართული ვერსია (პარიზი, 1915). საინტერესოა აღინიშნოს, რომ კონიბირის აზრით, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ქართულიდან ბერძნულად გადაუთარგმნია

ექვთიმე ათონელს. და-ძმა უორდროპებს დიდი შრომისა და რუდუნების შედეგად ეროპლივად უთარგმნიათ ინგლისურად „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (ლ., 1900). გარდა დამოწმებული ძეგლებისა, მარჯორის გადაუთარგმნია. მაგრამ არ გამოუქვეყნებია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“, აკაკის ლექსები („სულიკო“, „სალამური“, „იმერული ნანინა“), დუტუ მეგრელის „ცრემლები“ რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი — ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანის) „სვანეთი“, მოსე ჯანაშვილის „თამარ მეფე“ და ფრაგმენტები ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნიდან. ოლივერს კი გადაუთარგმნია ილია ჭავჭავაძის „ავტობიოგრაფია“ (გ. შარაძე, გვ 334—340).

რასაკვირველია, განსაკუთრებულია მარჯორი უორდროპის მიერ გაწეული ღვაწლი ვეფხისტყაოსნის თარგმანზე. 1891 წლიდან გარდაცვალებამდე (1909 წლამდე) მარჯორი შეუწყვეტლივ და ინტენსიურად მუშაობდა ამ თავისი უსაყვარლესი წიგნის თარგმანის გასრულებაზე. მის სრულყოფაზე; ასწორებდა, ხვეწდა, აუმჯობესებდა ტექსტს. იშვიათი პასუხისმგებლობის გრძნობის პატრონი მშვრალი ქალი მაინც არ იყო კმაყოფილი მიღწეულით და თავის სიცოცხლეში არც უცდია თარგმანის ბეჭდურად გამოქვეყნება. ვეფხისტყაოსნის მარჯორისეული ინგლისური თარგმანის ტექსტი შესანიშნავი წინასიტყვაობა და შენიშვნებით გამოსცა 1912 წელს ლონდონში ოლივერ უორდროპმა. გამომცემელი ღირსეულად აფასებს ვეფხისტყაოსნის იდეურსა და მხატვრულ მნიშვნელობას. ასევე ღირსებისამებრ მიუზღავს მთარგმნელის ღვაწლს, აღნიშნავს, თუ როგორი სათუთი სიყვარულითა და ფანატიკური გატაცებით მუშაობდა იგი ამ თარგმანზე. ოლივერ უორდროპი მადლობას უცხადებს ყველას, ვინც კი რაიმე სახით ხელი შეუწყო მარჯორის შრომის სრულყოფას, განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის მისგან წერეთელს (რომელსაც ხელნაწერში გადაუკითხავს მთელი თარგმანი) და ნიკო მარს. ავტორის ნებართვით თავისი გამოცემისათვის ოლივერს დაურთავს მარის ცნობილი ნაშრომის („ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლო სტროფები“) ერთი ნაწილი, მისეული ინგლისური თარგმანი. გამოცემას ახლავს აგრეთვე რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

რაღა თქმა უნდა, საქართველოში აღტაცებით შეხვდნენ ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის გამოქვეყნებას. კვალიფიციური წერილები მიუძღვნეს მას ვ. ვაზიანმა (ვარლამ ჩერქეზიშვილმა) და თედო სახოკიამ. ვაზიანის წერილში ბლომად არის დამოწმებული ციტატები ოლივერის ნაშრომიდან (გ. შარაძე, გვ. 206—212). ხოლო თ. სახოკიას წერილს თან ახლავს წინასიტყვის ქართული თარგმანის მთელი ტექსტი (გვ. 213—233). დიდად აფასებენ ვეფხისტყაოსნის მარჯო-

რისეულ თარგმანს ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი... ნ. მარის სიტყვით, დედანთან სიახლოვითა და „სიზუსტით ეს საუკეთესო თარგმანია“. გ. შარაძის წიგნში ისიც მოთხრობილია, თუ როგორ შეხვდა გემზე ატლანტის ოკეანეში კონსტანტინე ბალმონტი ოლივერ უორდროპს, როგორ გაეცნო ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანს ჯერ კიდევ კორექტურული ანაბეჭდების სახით, როგორ გაიტაცა და შთააგონა დიდი რუსი პოეტი ჩვენმა სწორუპოვარმა პოემამ და როგორ განაწყო იგი ამ პოემის რუსულ ენაზე გადასათარგმნელად.

გ. შარაძის წიგნში ისიც აღბეჭდილია, თუ როგორ ფასდება ვეფხისტყაოსნის მარჯორისეული თარგმანი თანამედროვე რუსთველოლოგიაში და როგორი ადგილი ეთმობა მას პოემის მრავალრიცხოვან უცხოურ თარგმანთა შორის.

გ. შარაძის წიგნის შემდეგი (მესამე) თავია — „უორდროპები საქართველოში“ (რევოლუციამდელი ქართული პრესის ქრონიკები) (გვ. 135—246).

ოლივერ უორდროპი პირველად ჩამოვიდა საქართველოში 1887 წელს. მეორედ ჩამოსულა იგი 1894 წლის ოქტომბერში, ხოლო იმავე წლის დეკემბრის თვის დასაწყისში ჩამოუყვანია დედა და დაი (მარჯორი). ეს იყო მარჯორის პირველი სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში. დარჩენილან ორ თვეს. ამ მგზავრობის ამბავი დაწერილებით აქვს აღწერილი თვითონ მარჯორი უორდროპს — „შენიშვნები 1894—1895 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“, რომელიც ხელნაწერის სახით დაცულია ოქსფორდში (ბოდლის ბიბლიოთეკაში). აი, ერთი ნაწყვეტი ამ ნაშრომიდან: „ეს იყო ჩემთვის პირველი ხილვა ქვეყნისა, რომელსაც ხშირად ვიხატავდი ჩემს ფონებში — ღამის ჩვენებებსა თუ ღრის ოცნებებში, მას შემდეგ, რაც გამეღვიძა ინტერესი საქართველოს უძველესი სამეფოს, მის მშვენიერ სანახაობათა, მისი მამაცი და ლამაზი მკვიდრების, მისი მდიდარი ლიტერატურისა და, ყველაზე მეტად, მისი სევდიანი, მაგრამ დიდებული ისტორიისადმი. ვნატრობდი იმ დღეს, როდესაც შევძლებდი ეწვეოდი ადგილებს, რომელთა შესახებ ბევრს ვკითხულობდი და ვფიქრობდი. სადაც, ალბათ, შევხვდებოდი იმ პოეტებს, რომელთა ნაწერებს ჩემთვის ბევრი სიამოვნება მოუნიჭებიათ.

საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო და სწორედ ახლა შევდიოდი ამ მომაჯადოებელი ქვეყნის საზღვრებში“ (გვ. 151, თარგმანი ლ. თაქთაქიშვილ-ურუშაძისა).

თბილისიდან უორდროპები გამგზავრებულან დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში. ისინი საგანგებოდ სწვევიან ნიგოითში თავად დიმიტრი მაჭუტაძეს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ინგლისელი

ქალი ანა ტარსეი, ადრე ლევ ტოლსტოის უფროსი შვილების აღმზრდელი და „ანა კარენინას“ ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპი. გ. შარაძეს გამოუჩინებია ანა ტარსეის საინტერესო თავგადასავალი (გვ. 156—164), რის შესახებაც იგი მოგვითხრობდა თავის საგაზეთო წერილშიც — „პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე“ (გაზ. „კომუნისტი“, 22.8.82).

ნიგოითიდან ჩვენი სტუმრები ჯუმათზე გავლით ჩასულან ოზურგეთში („გურიის დედაქალაქში“). აქაც ელოდათ აღტაცებული შეხვედრები, გულუხვი მასპინძლობა, ნადიმები, სადღეგრძელოები. ოზურგეთიდან უორდროპები გამგზავრებულან ბათუმში, ბათუმიდან კი — სამშობლოში.

უორდროპების ოჯახი (უოლივეროდ) მეორედ 1896 წელს ჩამოსულა საქართველოში და ზაფხულის ორი თვე (ივნის-ივლისი) აქ გაუტარებია. თბილისის შემდეგ უორდროპები კახეთს სწვევიან, კახეთიდან ქართლში გადასულან, ქართლიდან — იმერეთში და კვლავ ბათუმის გზით დაბრუნებულან ქერჩში (იქ ოლივერს ბრიტანეთის კონსულის თანამდებობა ეკავა). უორდროპები დასწრებიან ილიაობას საგურამოში. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მასპინძლობას გაუწევდა სასურველ სტუმრებს დიდი ქართველი პოეტი და მამულიშვილი. ქართული პრესა ვრცლად აშუქებდა უორდროპების სტუმრობის დღეებს, რაც სათანადოდაც არის აღბეჭდილი გ. შარაძის წიგნში. ეს იყო მარჯორი უორდროპის მეორე და უკანასკნელი ყოფნა საქართველოში. მან აქ ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეიძინა. გააბა მათთან მიმოწერა. საქართველოზე შეყვარებული ქალი კვლავ აპირებდა მის ხილვას, მაგრამ, საუბედუროდ, აღარ დასცალდა. მარჯორი უორდროპი გარდაიცვალა ორმოცი წლისა ქალაქ ბუქარესტში 1909 წლის 5 დეკემბერს. თავზარდამცემი იყო ეს უღვთო სიკვდილი. ქართველობამ უზომო მწუხარება განიცადა თავისი ეგოდენ მოამაგე უცხოელი ქალის გარდაცვალების გამო.

მალე ცნობილი გახდა, რომ მარჯორის ანდერძის თანახმად, უორდროპების ოჯახმა ოქსფორდის უნივერსიტეტს გადასცა სოლიდური თანხა სპეციალური ფონდის შესაქმნელად, რომელიც უნდა მოემარებოდა ქართული კულტურის საქმეს.

მარჯორის გარდაცვალების შემდეგ, 1911 წლის იანვარში, ოლივერი ცოტა ხნით მესამედ ჩამოსულა საქართველოში. ქართველობა კვლავინდებურად ღირსეულად დახვედრია ინგლისელ სტუმარს გაუმართავთ საზეიმო ნადიმი, რომელსაც მთელი ჩვენი მაშინდელი თავკაცობა დასწრებია. ბევრი თბილი სიტყვა თქმულა ოლივერისა და მისი სახელოვანი დის ღვაწლზე. სხვათა შორის, მშვენიერი სიტყვა წარმოუთქვამს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც მართლაც „ევროპაში

ქართველოლოგიის აღმოცენების მოკლე, მაგრამ შესანიშნავი მეცნიერული მიმოხილვაცაა". ეს სიტყვა მთლიანად დაიბეჭდა გაზეთ „თემში" (1911, № 5) და შესულია გ. შარაძის წიგნშიც (გვ. 201—206).

გ. შარაძის წიგნი საერთოდ დაწვრილებითს ინფორმაციას გვაწვდის უორდროპების საქართველოში ყოფნისა და ჩვენი კულტურისათვის მათი სამაგალითო ღვაწლის თაობაზე, ოღონდ ეს შეეხება 1887—1911 წლებს. ოლივერ უორდროპი შემდეგაც იყო ჩვენს ქვეყანაში. გ. შარაძე იმოწმებს დევიდ ლანგის ერთ წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ პირველი მსოფლიო ომის ფაქტობრივი დამთავრების შემდეგ ოლივერ უორდროპი დაინიშნა დიდი ბრიტანეთის „უმაღლეს წარმომადგენლად" ამიერკავკასიაში, მაგრამ „სუსტმა ჯანმრთელობამ იგი იძულებული გახადა ვადაზე ადრე დაეტოვებინა სამსახური "(გვ. 237). დ. ლანგის ინფორმაცია მკითხველს ვერ აკმაყოფილებს. გ. შარაძის წიგნიდან არ ჩანს, თუ როგორ შეეგება ქართველობა ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენლის როლში მის ძველ გულწრფელ მეგობარს. როგორი კონტაქტი დამყარდა ქართველ ინტელიგენციასა და ოლივერ უორდროპს შორის, როგორ ეჭირა თავი ოლივერ უორდროპ-დიპლომატს და ა. შ. ყოველივე ეს მით უფრო საინტერესოა, რომ გ. შარაძის მიერ მოხმობილი იოსებ იმედაშვილის წერილიდან ჩანს, რომ: „ინგლისის სარდლობა ჩვენს ქვეყანაში ყალბის ცნობებით გაბერილი ჩამოვიდა" და რომ „ზოგიერთი მათგანი ცალმხრივობას იჩენდა" (გვ. 242). დასამალი არ არის, რომ ინგლისის ჯარის ნაწილები და მათი საოდლობა საქართველოში შემოვიდნენ დამარცხებული გერმანელების ჯასვლის შემდეგ როგორც ოკუპანტები. ინგლისელებს თავი მედიდურად ეჭირათ და ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ჩვენს ეროვნულსა და სოციალურ სატკივარს. ვიმეორებ, საინტერესო იყო მაშინ ოლივერ უორდროპის ოფიციალური პოზიცია, თუკი საამისო ცნობები მოიპოვება. ეტყობა, ოლივერი მაშინაც არ გაურბოდა ქართველ საზოგადოებასთან შეხვედრას. ოქსფორდში დაცული ყოფილა სანდრო შანშიაშვილის სიტყვის ქართული ტექსტი (და ოლივერის მიერ შესრულებული მისი ინგლისური თარგმანი), რომელიც ახალგაზრდა პოეტს წარმოუთქვამს ოლივერთან შეხვედრის დროს სილნაღში 1919 წლის 9 ნოემბერს (გვ. 394—396). ჩემი ყურადღება მიიქცია შანშიაშვილის მიერ გადაკრული ფორმით გამოხატულმა სიტყვის ერთმა ნაწყვეტმა: „თქვენ(). მისტერ უორდროპ. საქართველოსთვის თქვენს დასაბერ კეთილი გსურთ — ამას ჩვენი ხალხი გულში იდუმალად ჰგრძნობს, თუნდაც რომ ამის შესახებ თქვენ ერთი სიტყვაც არ გაგვიცხადოთ. თ ქ ვ ე ნ ი დ უ მ ი ლ ი უ ფ რ ო მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ უ რ ი ა პ ა ტ ა რ ა და მ ძ ა ვ ა ლ ტ ა ნ ჯ ულ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს" (კურსივი ჩემია, — ა. ბ.).

ოლივერ უორდროპი გარდაიცვალა 1948 წელს. მისი გულითადი

სიმპათიები ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი იმაშიც გაითიხატა, რომ თავის სამივე შვილს ქართული სახელები დაარქვა — ფარნაოზი, ანდრო და ნინო. ქართველ ქალთა საზოგადოებას ამ ნინოსათვის მიურთმევია საჩუქრად ნინოობის დღეს (14 იანვარს) ძველებური ბეირფასი ჯვარი (გვ. 238—241, 472—477).

გ. შარაძის შრომის ყველაზე დიდი თავია ბოლო, მეოთხე თავი („ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე", გვ. 247—469). ამ თავის სათაურით არის დასათაურებული მთელი წიგნი. აქ ბევრი ქვეთავია, რომელთაგან ბოლო ორ ქვეთავს პირდაპირი კავშირი არც აქვს მთელი თავის შინაარსთან (ეს ქვეთავებია: „ქართველოლოგია ტეტჩერის წიხაალმდეგ" და „მეოცე საუკუნის მუზა"). მეოთხე თავი შეიცავს ძვირფას ეპისტოლურ მასალას. მნიშვნელოვანწილად ეს მასალა პირველად ქვეყნდება. მკითხველი ეცნობა ილია ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის მიმოწერას უორდროპებთან. აქვეა მიმოწერა უორდროპებთან ივანე და ტასო მაჩაბლებისა, ელიზაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა; წერილები ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა, განდეგილისა (დომინიკა ერისთავმდივნისა), იაკობ გოგებაშვილისა, შიო ჭუჩუკაშვილისა (შიო მღვიმელისა), ფილიმონ ქორიძისა, სამსონ ფირცხალავასი და სხვათა. დიდ ყურადღებას იქცევს მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტების წერილი — ადრესი მარჯორი უორდროპისადმი. საინტერესოა ეკატერინე გაბაშვილის მოგონებანი მარჯორის სტუმრობაზე თბილისში. გ. შარაძის წიგნში დაბეჭდილია ლექსები, რომლებიც მიუძღვნიათ მარჯორისათვის როგორც ცნობილ, ისე უჩინარ ავტორებს. კარგად ცნობილია აკაკის ბრწყინვალე ლექსი, გრძნობიერია ბარბარე ჯორჯაძის, განდეგილის, ნინო ორბელიანის, სილოვან ხუნდაძის ლექსები. ცალკე აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების წერილების სერია უორდროპებისადმი. ამ წერილების ავტორებია ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი, მოსე ჯანაშვილი, ეკვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე.

გ. შარაძის წიგნში შესული ეპისტოლური მასალა აშუქებს ქართული სულიერი კულტურის ბევრ სხვადასხვა მხარეს და შეიცავს უორდროპების ღვაწლის ღირსეულ დაფასებას. ამ მასალებით ქართულ, შედარებით მწირ, ეპისტოლურ მემკვიდრეობას შეემატა დიდი განძი.

წიგნის ერთი მონაკვეთი განეკუთვნება რუსთველოლოგიას.

გ. შარაძეს შეუსწავლია და აღუწერია ბოდლის ბიბლიოთეკის აღუწერელი ცალი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისა ცნობილია, რომ სათარგმნელად მარჯორი უორდროპი იყენებდა ვეფხისტყაოსნის გრიგოლ ჩარკვიანის 1887 წლის გამოცემას. მთარგმნელი სარგებლობდა აგრეთვე ქართველიშვილისეული მდიდრული გამოცემითაც, რომელიც მისთვის უსახსოვრია საგანგებო წარწერით ივანე

მაჩაბელს. ბოდლის ბიბლიოთეკაში (უორდროპების ფონდში) დაცულია ვეფხისტყაოსნის ორი ძველი ხელნაწერი — W 27 და W 17. ჩვენ გვაქვს ამ ხელნაწერების მიკროფირები, ისინი ბევრჯერ არის აღწერილი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს W 17, ეგრეთ წოდებული მზეხათუნისეული ხელნაწერი, რომელიც ძალიან დაწვრილებით აქვს აღწერილი გივი მიქაძეს (ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, 1974, გვ. 114—147). გ. შარაძეს ადგილზე გაუსინჯავს ეს ხელნაწერი და გამოუვლინებია ერთი საყურადღებო ფაქტი, რაც ფოტოპირით არ ჩანდა და შეეხება მისი შეძენის ისტორიას. W 17 ხელნაწერს ჩაკრული თუ ჩაკინძული ჰქონია ერთი ფურცელი ქაღალდი, რომელიც თურმე შეიცავს ოლივერ უორდროპის მიერ შესრულებულ ამ ხელნაწერის მოკლე აღწერილობას და მის ცნობას, რომ ხელნაწერი ბოდლის ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს („უჩუქნია“) საჩხერელ თავადს გიორგი სიმონის ძე წერეთელს „კნეინა ვენერა წერეთლის მეშვეობით“ 1911 წლის 8 ოქტომბერს. მაშინ ოლივერ უორდროპი თვითონ იმყოფებოდა საჩხერეში (გვ. 445). უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ხელნაწერის თაობაზე ოლივერი სწერდა ექვთიმე თაყაიშვილს ინგლისიდან 1912 წლის 14 იანვარს რუსულ ენაზე, ვეფხისტყაოსნის ერთი დასურათებული ხელნაწერი (იგულისხმება მზეხათუნისეული W 17 ხელნაწერი) „შარშან შეწირეს, როგორც საჩუქარი, ოქსფორდის ბიბლიოთეკასო“. ოლივერ უორდროპისავე სიტყვით ხელნაწერი ჰკუთვნებია თავად გიორგი სიმონის ძე წერეთელს“ (ელენე კელენჯერიძე. უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა ე. თაყაიშვილისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 213). ოლივერი აქ არაფერს ამბობს კნეინა ვენერა წერეთლის შესახებ, ხოლო W 17 ხელნაწერში ჩაკინძულ თავის აღწერილობაში კი ნათქვამი ყოფილა: „(მარჯორი უორდროპის) ბიბლიოთეკას აჩუქა საჩხერელმა თავადმა გიორგი სიმონის ძე წერეთელმა 1911 წლის 8 ოქტომბერს, კნეინა ვენერა წერეთლის მეშვეობით, რომელიც როსტომ წერეთლის მეუღლე და სიო (სიმონ) ბერიძის ასულია ხიდისთავიდან გურიაში. ვენერა მარჯორი უორდროპის საუკეთესო მეგობარი იყო“ (გვ. 445).

ცნობილი ანტიკვარისა და მწერლის, აწ განსვენებული პაპუნა წერეთლის მოგონების მიხედვით (რასაც იმოწმებს და ნდობას უცხადებს გ. შარაძე), ვენერა ბერიძე-წერეთლისა უორდროპებს გაუცვნიათ 1895 წელს გურიაში ტელემაქ გურიელის ოჯახში. ვენერა ყოფილა ტელემაქის ცოლის ნინოს დაი, ლამაზი გარეგნობის პატრონი, განათლებული ქალიშვილი. უორდროპებს ისე მოსწონებიათ ვენერა ბერიძე, რომ ოლივერს თითქოს მისი ცოლად შერთვა განუზრახავს. ქალის ბიძაშვილებს თავი შორს დაუჭერიათ, შვილი უცხოეთში დაგვეკარგებაო.

მაინც ვენერასა და უორდროპებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულა. ოქსფორდის მარჯორისეულ ფონდს შემოუნახავს ვენერა ბერიძის „რამდენიმე ათეული წერილი". მასვე მარჯორისათვის მიუძღვნია ერთი ლექსიც (გვ. 446—450). ვენერა ბერიძე საბოლოოდ ქუთაისში დამკვიდრებულა, გამწესებულა მასწავლებლად და მოგვიანებით როსტომ წერეთელზე გათხოვილა. პაპუნა წერეთლის მონათხრობის თანახმად, სიკვდილის წინ მარჯორი უორდროპს თითქოს უთხოვია ოლივერისათვის, წასულიყო საქართველოში, ენახულა ვენერა (ჩაეტანა მისთვის საგანგებოდ მომზადებული საჩუქრები) და შეერთო ცოლად. აი, ამ მიზნითო, იგონებს პ. წერეთელი, ოლივერ უორდროპი ჩასულა საჩხერეში 1911 წლის ოქტომბერში, მაგრამ „ვენერა უკვე როსტომ წერეთელზე ყოფილა დანიშნული" (თუ გათხოვილი?) და ცოლად მაშინ „კნეინა ვენერა წერეთლის მეშვეობით" მიუღიათ ოლივერს საჩუქრად მარჯორის ფონდისათვის მზეხათუნისეული ხელნაწერი W 17 (გვ. 447).

მე ვერ ვიტყვი, რამდენად სწორია პაპუნა წერეთლის მიერ მოთხრობილი და გურამ შარაძისაგან გაზიარებული თავისდათავად დიდად საინტერესო ეს რომანტიკული ისტორია. როგორ უნდა ეფიქრა მარჯორი ან ოლივერ უორდროპს, რომ 1895 წელს გურიაში გაცნობილი, მაშინ უკვე დაქალებული და გასათხოვარი ვენერა 14—16 წლის შემდეგ გაუთხოვარი დარჩებოდა (თუმცა ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი საერთოდ გვიან გათხოვილა) და ოლივერის მეუღლეობას დაელოდებოდა. მით უფრო, რომ მათი შეუღლება გარკვეული მიზეზის გამო არ შემდგარა. გ. შარაძე არაფერს ამბობს, არის თუ არა რაიმე მინიშნებული შესაძლებელი გათხოვების თაობაზე ვენერა ბერიძის მრავალრიცხოვან წერილებში. ისიც სათქმელია, რომ ოფიციალურად ოლივერ უორდროპი 1911 წელს საქართველოში ჩამოვიდა მარჯორი უორდროპის ახლად დაარსებული ფონდისათვის საჭირო ლიტერატურის შესაძენად და ამ ფონდის სამომავლოდ ლიტერატურით მომარაგებისათვის შესაფერისი კონტაქტების დასაძყარებლად ქართველ საზოგადოებასთან (ელ. კელენჯერიძე, დას. ნაშრომი).

ინგლისში ყოფნის დროს გ. შარაძეს იქაურ თანამემამულეთაგან გაუგია, რომ თურმე დროდადრო ლონდონში აუქციონით იყიდებოდა ქართული ხელნაწერები. ასე, 1952, წლის 28 იანვარს გაყიდულა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი ძველი ნუსხა. „სოტბის სააუქციონერო საზოგადოების ნაბეჭდი კატალოგის თანახმად, ასევე უნდა გაყიდულიყო ვეფხისტყაოსნის ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი XIV საუკუნისა. თუ ეს ცნობა ნამდვილია, მაშინ მართლდება პლატონ იოსელიანის მოწმობა. რომ მას უნახავს და გაუსინჯავს ვეფხისტყაოსნის ორი ძველი ხელნაწერი, ერთი მათგანი 1443 წელს გადაწერილი.

მიუხედავად დიდი ძიებისა, პ. იოსელიანის მიერ დასახელებული ხელნაწერების კვალი არსად ჩანდა. და თითქოს... არსებითად ამაზე წყდება ახალი ძიება. ვინ იცის, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და მართლაც ამოტივტივდეს სადმე ეს სანუკვარი ხელნაწერი. ძიება უნდა გაგრძელდეს, ამას გვაფიქრებინებს გ. შარაძის მონათხრობი (გვ. 432—434).

გ. შარაძის წიგნი შეიცავს ძირითადად ეპისტოლურ, მემუარული თუ სხვა ხასიათის დიდძალი მასალის პუბლიკაციას. ბევრ მათგანს ახლავს გამომცემლის კომენტარი. ზოგი კომენტარი ზუსტი არ ჩანს, ზოგიც მცდარია. დავიმოწმებ ერთ აშკარად მცდარი კომენტარის მაგალითს. „სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპისეულ თარგმანთან დაკავშირებით გ. შარაძე წერს: „ყურადღების ღირსია ცნობა საბასა და ლაფონტენის მეგობრობისა და დიდი ფრანგი მეიგავის მიერ ქართველი მწერლისაგან ზოგიერთი იგავ-არაკის ნასესხობის თაობაზე“, რასაც „შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიება სჭირდებაო“ (გვ. 58). მართლაც, ერთ დროს ჩვენში გავრცელდა დაბოწმებული შეხედულება, სულხან-საბა ორბელიანისა და ლაფონტენის პირადი ნაცნობობის თვალსაზრისს ავრცელებდა თავის შრომებში ალექსანდრე ხახანაშვილი, ამან გამოხატულება იპოვა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის პირველ გამოცემაში (თბ., 1923, გვ 372). მაგრამ ამ „ისტორიის“ მეორე ტომის პირველ გამოცემაში (თბ., 1924) კ. კეკელიძე შენიშნავდა: „არსებობს აზრი, რომ საბაზე გავლენა მოუხდენია ლ ა ფ ო ნ ტ ე ნ ს, რომელიც მას თითქოს ევროპაში ოგზაურობის დროს გაუცვნია (А. Хаханов, Очерки, III, 233). სამწუხაროდ, აქედან ეს შეცდომა ჩვენც შეგვეპარა ჩვენს „ქართულ ლიტერატურის ისტორიაში“, I, 372; მაგრამ ეს მართალი არაა. საბა ევროპაში 1713—1716 წლებში ვერ გაიცნობდა ლ ა ფ ო ნ ტ ე ნ ს, რომელიც 1694 წ. (—უნდა 1695 წ., ა.ბ.) გარდაიცვალა. არც ლაფონტენის იგავ-არაკების გავლენას ვხედავთ ჩვენს იგავ-არაკებზე; თუ რაიმე ამის მსგავსი არის, იმდენად, რამდენადაც ორივენი ერთად ესპეს გავლენას განიცდიან“ (გვ. 305, შენ. 4).

ერთი სიტყვით, ახლა შეუძლებელია სიტყვის ჩამოგდება სულხან-საბასა და ლაფონტენის ნაცნობობაზე (რომ არაფერი ვთქვათ მათ მეგობრობაზე),. მით უფრო ფრანგი მწერლის მხრივ „სიბრძნე სიცრუით“ სარგებლობაზე.

გ. შარაძის წიგნს დართული აქვს მოკლე რეზიუმეები რუსულსა და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე პირთა საძიებელი, სამწუხაროდ, შეცდომებით: მაგალითად, ვენერა ბერიძესთან არის გატანილი ვახტანგ ბერიძე. ალბათ იმიტომ, რომ, ორივე სახელი იწყება ვინთ). ეკატერინე გაბაშვილთან კი მიწერილია მკვლევარი ვალერიან გაბაშვილი და მხატვარი გიგო გაბაშვილი (მათ ხომ საერთო აქვთ მხოლოდ გვარი).

გ. შარაძის წიგნი „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ საჭირო და სასარგებლო, საყურადღებო არქეოგრაფიული ნაშრომია.

მარტი-აპრილი, 1984.

P. S. რეცენზია-ანოტაცია გ. შარაძის წიგნზე დავწერე 1984 წლის მარტსა და აპრილში. ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ხელი შემიშალა იგი სასტამბოდ გამეწყო და თავის დროზე გამომექვეყნებინა. აპრილში გ. შარაძე მეორედ გაემგზავრა ინგლისში სამეცნიერო მივლინებით. ბუნებრივი იყო დავლოდებოდი ამ მივლინების შედეგებს. გ. შარაძემ არც დააყოვნა და გაზეთ „თბილისში“ (მაის-ივლისის ნომრებში) დაბეჭდა ინგლისური დღიურების დიდი ციკლი — „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“. ეს ციკლი არსებითად გაგრძელება და შევსებაა სარეცენზიო წიგნისა. ამ პოსტსკრიპტუმით მინდა ავბოლოო პასუხი გავცე ზემოთ დამოწმებულ მონათხრობს კენერა ბერიძის ვითომდა რომანტიკული თავგადასავლის თაობაზე. ზემოთ უკვე გამოვთქვი ეჭვი და ვერ შევიწყნარე ამ რომანტიკული ისტორიის ვერსია, რომლის ავტორია მწერალი და ბიბლიოფილი პაპუნა წერეთელი (პ. წერეთლის ვერსია ირწმუნა გ. შარაძემ). ახალი ციკლის მასალებმა („თბილისი“, 28.6.84) საესებით გაამართლა ჩემი ეჭვი და ცხადი გახადა ამ ვერსიის უსაფუძვლობა. საინტერესოა საქმის მეორე მხარეც. სწორედ უწყებული ვერსიის კვალობაზე ოლივერ უორდროპი თითქოს გარკვეული მიზნით ჩავიდა საჩხერეში 1911 წლის 8 ოქტომბერს და მაშინ აჩუქეს მას ვეფხისტყაოსნის დასურათებული ხელნაწერი მარჯორი უორდროპის ფონდის შესავსებად. ახლა კი გაირკვა, რომ ვენერა ბერიძე-წერეთელს ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერი „საიმედო პირის“ ხელით გაუგზავნია ინგლისში ოლივერ უორდროპისათვის გადასაცემად (იხ. ვენერა წერეთლის წერილი ოლივერ უორდროპისადმი 1911 წლის 31 ოქტომბრის თარიღით; გაზეთი „თბილისი“, 28.6.84). ეს კია, რომ წერილის ავტორი ამ შემთხვევაშიც გარკვევით ამბობს, რომ ხელნაწერი ოქსფორდის ბიბლიოთეკას შეთავაზებით მე და როსტომის (ვენერას მეუღლის, ა. ბ.) ბიძაშვილმა გიორგი სიმონის ძე წერეთელმაო“.

20.7.84.

ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსების ისტორიიდან

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლა საქართველოში დაკავშირებულია თბილისის უნივერსიტეტის აღდგენასთან. ფორმალურად განახლებული უნივერსიტეტი იწყებს მოქმედებას 1933 წლის I თებერვლიდან[1], რეალურად კი, — I სექტემბრიდან. რექტორად დაინიშნა განათლებული, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, ენერგიული საზოგადო მოღვაწე და ჰუმანური პიროვნება, პროფესორი ლევან აღნიაშვილი (1897—1937). აღნიაშვილის თაოსნობით 1933 წლის 10 ივნისის თარიღით ოფიციალურად დაარსდა უნივერსიტეტის წიაღში ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ელხი)[2]. ამ ინსტიტუტის წესდების შედგენა დაევალა უნივერსიტეტის ისტორია-ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანს, ცნობილ მკვლევარს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს სიმონ ხუნდაძეს (1894—1933). სამწუხაროდ, სიმონ ხუნდაძე მოულოდნელად გარდაიცვალა იმავე 1933 წლის 21 აგვისტოს, იგი ვეღარ მოესწრო „ელხის" მუშაობის დაწყებას.

„ელხი" მუშაობას შეუდგა სექტემბრიდან. მისი პირველი დირექტორი იყო ნიჭიერი ჟურნალისტი, გაზეთ „კოლექტივიზაციის" რედაქტორი აკაკი ჭყონია (1898—1937)[3], სწავლულ მდივნად დაინიშნა ვარლამ თოფურია (1901—1966). „ელხი" აერთიანებდა ჰუმანიტარული დარგების სხვადასხვა სპეციალისტებს, მუშაობა მიმდინარეობდა სექციებში. ფაქტობრივ მოქმედებდა მხოლოდ ენისა და ლიტერატურის სექტორი (ისტორიისა და ხელოვნების სექტორებს საქმიანობა „ელხში" არც დაუწყია). თავის მხრივ სექციებს ჰქონდა ქვესექციები. ლიტერატურის სექციაში შედიოდა ძველი და ახალი ქართული მწერლობის ქვესექციები, მოგვიანებით გამოიყო ფოლკლორის ქვესექციაც.

„ელხი" მოთავსებული იყო უნივერსიტეტის იმ კორპუსში. სადაც ახლა უნივერსიტეტის გამომცემლობაა და ვაჟა-ფშაველას კაბინეტი. პირველ ხანებში ხელფასს ღებულობდა მხოლოდ ინსტიტუტის დირექტორი, დანარჩენები (მათ შორის სწავლული მდივანიც). მუშაობდნენ საზოგადოებრივ საწყისზე. ლიტერატურის სექციაში ირიცხებოდნენ კ. კეკელიძე, მ. ზანდუკელი, ვ. კოტეტიშვილი, ალ. ბარამიძე, გ. ჯაკო-

---

[1] გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, თბ., 1949, გვ. 127.

[2] ზუსტი არაა ს.ჯორბენაძის ინფორმაცია, თითქოს 1933 წელს შეიქმნა „ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი", გამორჩენილია — ისტორია (ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1968, გვ. 57).

[3] კანდიდ ჩარკვიანი ვრცლად და საინტერესოდ მოგვითხრობს ა. ჭყონიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავს, ოღონდ არაფერს ამბობს მის დირექტორობაზე „ელხში" (კ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბ., 1985, გვ. 18—21, 54—57).

ბია, გ. ქიქოძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ყუბანეიშვილი, გ. იმედაშვილი, ბ. ჟღენტი, ტ. რუხაძე... ლიტერატურის სექციაში პირველი მოხსენების წაკითხვის პატივი მე მხვდა წილად. მოხსენების თემა იყო „თეიმურაზ პირველის ლირიკა“. ეს მოხსენება შედგა 1933 წლს 3 ნოემბერს.

ახლად დაარსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თავდაპირველ ძირითად ამოცანას შეადგენდა ფირდოუსისა და რუსთველის საიუბილეო ღონისძიებათა მომზადება და ჩატარება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დაარსების პირველ წლისთავზე, 1934 წლის აგვისტოში მოხდა „ელხის“ რეორგანიზაცია, შეიქმნა „რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი“, რაც ასახულია საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილებაში (ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 6—7).

ინსტიტუტს ჰქონდა საკუთარი ორგანო — „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. გამოქვეყნდა ამ ორგანოს მხოლოდ ერთი (პირველი და უკანასკნელი) სოლიდური ტომი (თბილისი, 1935; „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ ფაქტობრივი რედაქტორი იყო გიორგი ლეონიძე).

1933 წლის ბოლოს თუ 1934 წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ 1934 წლის შემოდგომაზე მთელი კულტურული კაცობრიობა აღნიშნავდა დიდი სპარსელი პოეტის ფირდოუსის დაბადების მე-1000 წლისთავს. საუბილეო სამზადისს შეუდგა საბჭოთა კავშირიც. რესპუბლიკებიდან ტაჯიკეთის შემდეგ პირველი სიტყვა ეკუთვნოდა საქართველოს. ფირდოუსის განთქმული პოემა „შაჰნამე“ ანუ „მეფეთა წიგნი“ ქართულ ენაზე უნდა არსებულიყო ჯერ კიდევ XII საუკუნეში, თუმცა იმას ჩვენ დრომდის არ მოუღწევია, XV—XVIII საუკუნეებში კი ჩვენში ჩამოყალიბდა „შაჰნამესა“ და მისი ციკლის მრავალი ვერსია (ზოგი პროზაული, ზოგი ლექსითი). უკვე 1916 წელს იუსტინე აბულაძემ გამოსცა ქართული „შაჰნამეს“ პირველი ვეებერთელა ტომი („შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებს შეერქვა „როსტომიანი“, პოემის უმთავრესი გმირის როსტომის სახელის გამო). ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიის მეორე მონუმენტური ტომი (იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1934). ამაზე კოტაათი ადრე დაიბეჭდა ჩემი მონოგრაფიული ნარკვევი „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“ (თბ., 1934, რედაქტორი აკაკი ჭყონია). სხვათა შორის, ეს იყო ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი ბეჭდური პუბლიკაცია. საქართველოს მუზეუმში მოეწყო დიდი გამოფენა; დაიბეჭდა მისი კატალოგი ქართულსა და რუსულ ენებზე (ავ-

ტორები პ. ინგოროყვა და ალ. ბარამიძე). 1934 წლის ოქტომბერში ჩატარდა საგანგებო სამეცნიერო სესია და გაიმართა დიდი საზეიმო სხდომა. ფირდოუსის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობა მიიღო სპარსეთის გამოჩენილმა მწერალმა და მეცნიერმა საიდ ნაფისიმ.

როგორც ცნობილია, 1934 წლის აგვისტოში შედგა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა, რომელმაც მოისმინა მალაქია ტოროშელიძის გახმაურებული თანამოხსენება (ნამდვილად მოხსენება)— ქართული მწერლობის განვითარების გზებზე უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით. მოხსენების შემზადებაში მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურის ინსტიტუტის წევრებმა (პ. ინგოროყვამ, ალ. ბარამიძემ, გ. ქიქოძემ, მ. ზანდუკელმა, ბ. ჟღენტმა).

მწერალთა ყრილობა დამთავრებული არ იყო, რომ გამოქვეყნდა დადგენილება რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ 750-ე წლისთავის იუბილეს შესახებ. ამ დადგენილებამ მთელი ჩვენი ხალხის უზომო აღტყინება და სულიერი აღმავლობა გამოიწვია. ასე მეჩვენება, რომ ეს ისტორიული დადგენილება შეაპირობა მწერალთა საკავშირო ყრილობამ და ფირდოუსის მსოფლიო მასშტაბის იუბილემ.

ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა პირველ ამოცანაა წარმატებით გაართვა თავი.

1934 წელი მიიწურა. დამთავრდა ფირდოუსის ეპოპეა და დაიწყო ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის, რუსთველის საიუბილეო დღეების სამზადისი. დამოწმებული დადგენილების მე-5 მუხლში ნათქვამია: „სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადოს ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემა და საამისო მუშაობა დაამთავროს 1936 წლის დამლევისათვის“.

1934 წელს გამოქვეყნდა ცნობილი პოეტისა და რუსთველოლოგის კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. ეს გამოცემა არსებითად განსხვავდებოდა პოემის ყველა წინანდელი გამოცემისაგან ტექსტის სტროფული შემადგენლობის მხრითაც და რედაქციული გამართულობის მხრითაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კ. ჭიჭინაძემ „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილად მიიჩნია და თავის გამოცემაში შეიტანა ერთი მთელი მოზრდილი ეპიზოდური ამბავი, ე. წ. ინდოხატაელთა ამბავი. ეს ამბავი არ იყო არც ვახტანგის და არც სხვა ბეჭდურ გამოცემებში, თუმცა იგი მოიპოვება პოემის ხელნაწერ ნუსხებში და ვეფხისტყაოსნის ჩანართებიანი კაკაბაძისეულ პუბლიკაციებში (თბ., 1913). „ვეფხისტყაოსნის“ ჭიჭინაძისეულმა გამოცემამ დიდი ცილობა გამოიწვია. 1934 წლის შემოდგომაზე ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა და მწერალთა კავშირმა ორჯერ მოაწყო კ. ჭიჭინაძის გამოცემის საჯარო განხილვა. განხილვის შედეგად სადისკუსიო საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა.

რუსთველოლოგიური სამუშაოები რომ გაჩაღდა, 1935 წლის დასაწყისში ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი აკაკი ჭყონია გაანთავისუფლეს და დანიშნეს ოპერის თეატრის ხელმძღვანელად. საუბედუროდ, 1937 წლის აპრილში ჭყონია ტრაგიკულად დაიღუპა. ჭყონიას შემდეგ ინსტიტუტის დირექტორად გამოგზავნეს ალექსანდრე დუდუჩავა (1901—1937). მალე ის 1937 წლის მსხვერპლი გახდა. ალ. დუდუჩავა ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტზე შეცვალა კორნელი კეკელიძემ.

ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის მოსამზადებლად ინსტიტუტში შეიქმნა რუსთველოლოგთა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდნენ: იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა, სოლომონ იორდანიშვილი (კომისიის მდივანი), სარგის კაკაბაძე. კორნელი კეკელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ა. შანიძე (კომისიის მეორე თავმჯდომარე), კ. ჰიპინაძე. კომისიას დახმარებას უწევდა ინსტიტუტის თანამშრომელთა ორი სპეციალური ჯგუფი. ამ ჯგუფებს მეთაურობდნენ ილია აბულაძე და გიორგი წერეთელი. აბულაძის ჯგუფი ამზადებდა პოემის ტექსტის ვარიანტებს, წერეთლის ჯგუფი კი — სალექსიკონო, საბიბლიოგრაფიო და სხვა საცნობარო მასალებს. ამ სპეციალურ ჯგუფებში ირიცხებოდნენ ს. ყუბანეიშვილი, გ. იმედაშვილი, ტ. რუხაძე, მ. დუდუჩავა, მ. ხუბუა, სტ. ჩხენკელი...

კომისიამ მონდომებით და ბეჯითად იმუშავა და დათქმულ ვადაში პოემის ტექსტის დადგენა დაამთავრა (აღვნიშნავ, რომ პ. ინგოროყვა არსებითად კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობდა, იგი მხოლოდ იმ სხდომებს დაესწრო, რომლებიც ვეფხისტყაოსნის დაბოლოების, ე. ი. ინდო-ხატაელთა ამბის საკითხს იხილავდა).

1936 წელს ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი დაიშალა. ეხათმეცნიერების ინსტიტუტი გადავიდა სკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში (იქ ჩამოყალიბდა ე. წ. ენიმკი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი). რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა განაგრძო უკვე დამოუკიდებელი არსებობა უნივერსიტეტში. ბინად მიეცა რამდენიმე ოთახი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მესამე სართულზე, იქ, სადაც ახლა ქართული ენის ლაბორატორიებია. ლიტერატურის ინსტიტუტს დარჩა „ელხის ბიბლიოთეკა თავისი ნაბეჭდი წიგნებითა და ასამ-

---

4 ეს კოლექცია შემდეგ გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც თავმოყრილი იყო ქართული ხელნაწერი ფონდები.

დე ხელნაწერი კოლექციით[4]. უნივერსიტეტის წიაღში ლიტერატურის ინსტიტუტმა იარსება 1942 წლის აგვისტომდის.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1942 წლის 13 აგვისტოდან უნივერსიტეტის ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

დაარსების დროს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი პატარა იყო. სულ 13 მეცნიერ მუშაკს ითვლიდა. დირექტორად დაინიშნა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, სწავლულ მდივნად — გრიგოლ კიკნაძე. ინსტიტუტში იყო სამი განყოფილება: 1. ძველი ქართული მწერლობისა (ხელმძღვანელი შეთავსებით ინსტიტუტის დირექტორი), 2. ახალი ქართული ლიტერატურის (ხელმძღვანელი ალ. ბარამიძე), 3. ქართული ფოლკლორისა (ხელმძღვანელი კარპეზ დონდუა). ძველი მწერლობის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლებად ირიცხებოდნენ: ს. ყუბანეიშვილი, გ. იმედაშვილი, ტ. რუხაძე, თ. ჭყონია; ახალი მწერლობის განყოფილებაში — შ. რადიანი, გრ. კიკნაძე, ს. ჭილაია, გ. აბზიანიძე; ფოლკლორის განყოფილებაში — ქ. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი.

კი, — ნამდვილად ინსტიტუტი პატარა იყო, მაგრამ დიდი იყო მონდომება და საქმის სიყვარული. სასიკეთო შედეგებმაც არ დააყოვნა უკვე მეორე. 1943 წელს გამოვიდა ინსტიტუტის ორგანოს („ლიტერატურული ძიებანი") პირველი მოზრდილი ტომი.

1987

ასკეცი სიყვარულით

(მიხაი ზიჩი საბადების 150-ე წლისთავის გამო)

მიხაი ზიჩი მარი ბროსეს, არტურ ლაისტსა და მარჯორი უორდროპთან ერთად იმ უცხოელთაგანია, რომლის სახელს ქართველობა განსაკუთრებული მოწიწების გრძნობით, პატივისცემითა და სიყვარულით ახსენებს ხოლმე ყოველთვის.

მიხაი ზიჩის სახელი განუყრელად დაუკავშირდა ქართველი ერის შემოქმედებითი დიდებისა და მშვენების შოთა რუსთველის სახელს. XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიკოსის აზრით ჭაბუკაძის თვალსაზრისით, რუსთველის უკვდავი პოემა ვეფხისტყაოსანი იყო ის სწორუპოვარი და თავმოსწო-

ნებელი მხატვრული ძეგლი, რომელსაც თვალნათლივ უნდა დაესაბუთებინა განათლებული კაცობრიობის წინაშე ქართველი ხალხის სრული კულტურული მოწიფულობა და ამის საფუძველზე ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის უცილობელი საშარავიანობა. ამან შეაპირობა ვეფხისტყაოსნის სანიმუშო გამოცემისათვის საგანგებო ზრუნვა.

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დიდი ჯგუფი (გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, ოთარ მეუნარგია, ივანე მაჩაბელი...) პრაქტიკულად შეუდგა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შეგროვებას და პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენაზე მუშაობას. პოემის ახალი გამოცემის მოთავეთა საერთო აზრით, რამდენადაც კი მოხერხდებოდა, ეს გამოცემა უნდა ყოფილიყო შინაარსობრივად უნაკლო, გარეგნულად შთამბეჭდავი, მდიდრული და დასურათებული. საჭირო ხარჯის გაღება იკისრა ცნობილმა ქველმოქმედმა გიორგი ქართველიშვილმა (1830—1901), წიგნის გაფორმება დაევალა მხატვარ-გრავიორ გრიგოლ ტატიშვილს, ხოლო დასურათება თხოვეს იმჟამად თბილისში მყოფ სახელმოხვეჭილ უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის. ლაიოშ კოშუტისა და შანდორ პეტეფის იდეურმა თანამოსაგრე მამულიშვილმა ეს თხოვნა დიდი კმაყოფილებით შეიწყნარა.

მისი ზიჩი მოხიბლა ვეფხისტყაოსანმა. იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართველი ხალხის ისტორიას, მის სულიერსა და მატერიალურ კულტურას, მის ყოფას, ზნეობას, ადათ-წესებს. რამდენადმე დაეუფლა ქართულ ენასა და დამწერლობას. ასე მომზადებული შეუდგა მიხაი ზიჩი რთულ, მაგრამ შთამაგონებელსა და სიხარულის მომნიჭებელ შემოქმედებითს მუშაობას. ზიჩი გატაცებით ეძებდა ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების შესატყვის ცოცხალ სამოდელო ტიპაჟს, ადგენდა ჩანახატებს, ესკიზებს, დგამდა ცოცხალ ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, „ცხოველ“ სურათებს, ყურს უგდებდა საზოგადოებრივ აზრს, ამოწმებდა თავის ჩანაფიქრს. აქე შეიქმნა ვეფხისტყაოსნის ზიჩისეული უნიკალური ილუსტრაციები, რომლებიც დღემდის ინარჩუნებს თავის იშვიათ მხატვრულ ღირებულებას.

მიხაი ზიჩიმ თვითონ დაამზადებინა სურათების ფოტოპირები და კლიშეები და დააბეჭდვინა ისინი უცხოეთში საუკეთესო პირობებში. ეს დიდი შრომა და ხარჯი ზიჩიმ გასწია სრულიად უსასყიდლოდ. ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების მისეული ალბომი კეთილშობილმა მხატვარმა უსახსოვრა ქართველ ერს ჭეშმარიტად ამაღელვებელი წარწერით: „ქართველ ერს ჩემი თანაგრძნობისა და გულითადი ერთგულების ნიშნად. სანკტპეტერბურგი, 10 მარტი, 1889 წელი“.

ზიჩის ილუსტრაციებმა დაამშვენა პოლიგრაფიული ხელოვნების თვასაზრისით ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული ბრწყინვალე გამოცემა 1888 წლისა. ამ გამოცემას ქართველი მკითხველი საზოგადოება ინახავდა და ინახავს როგორც უძვირფასეს ეროვნულ რელიკვიას. მშვენივრად ამბობს ზიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი ბენო გორდეზიანი, რომ დიდ უნგრელ მხატვარს ნივთიერი ჰონორარის სამაგიეროდ მადლიერმა ქართველმა ხალხმა მიაგო ღრმა სიყვარული და გულითადი პატივისცემა.

ჩვენ ვერც იმას დავივიწყებთ, რომ პირადად მიხაი ზიჩის შთაგონებით ჩვენი სასიქადულო პოემა უნგრულ ენაზე გადათარგმნა ცნობილმა პოეტმა და მეცნიერმა ბელა ვიკარმა (1859—1945). ეს არის ვეფხისტყაოსნის ერთი პირველი სრული პოეტური თარგმანი დასავლეთევროპელი ხალხის ენაზე. იგი დაიბეჭდა ბუდაპეშტში 1917 წელს. რა თქმა უნდა, პოემის ამ უნგრულ გამოცემას ამკობს მიხაი ზიჩის ილუსტრაციები.

მიხაი ზიჩიმ თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და შესანიშნავი შემოქმედებით ღრმა კვალი დატოვა როგორც უნგრელი, ისე რუსი და ქართველი ხალხების კულტურის ისტორიაში. მიხაი ზიჩი ქართულ-უნგრული მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის მტკიცე ბურჯია. ქართველობა ასკეცი სიყვარულით უხდის უნგრელ ბელოვანს თავის ფასდაუდებელ ამაგს.

1977

ჩემი არქივიდან

საკვალიფიკაციო შრომების რეცენზიები და გამოხმაურება-შეფასებანი

სოლ. ყუბანეიშვილი

ძართველი პოეტები XVIII საუკუნის უკრაინაში

(თბილისი, 1961, გვ. 460, მანქანაზე დაბეჭდილი)

სარეცენზიო შრომა წარმოდგენილია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მისი ავტორი სოლომონ ყუბანეიშვილი, საკმარისად არის ცნობილი ქართველ მეცნიერთა წრეში. იგი ჩუმი, უპრეტენზიო და ნაყოფიერი მუშაკია. მ.ს კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ხასიათის არა ერთი და ორი ნაშრომი

ქართული მწერლობის ისტორიიღან. ს. ყუბანეიშვილი სპეციალურად სწავლობს და იკვლევს ძველი ქართული მწერლობის საკითხებს, თუმცა არც ახალ მწერლობას ტოვებს უყურადღებოდ. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია მისი ცნობილი ნარკვევი „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე", თბილისი, 1940 (ან „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი", თბილისი, 1961.

ს. ყუბანეიშვილს ბევრი სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებული ტექსტოლოგიის დარგში. მან შეადგინა და გამოსცა ძველი ქართული მწერლობის ქრესტომათია ორ დიდ ტომად (მიღებულია სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში). მისი რედაქციით მომზადდა და დაიბეჭდა ქართული კლასიკური მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი (სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუისა, ალ. ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, ი. დავითაშვილის და სხვათა ნაწერები..) ცალკე აღსანიშნავია, რომ ს. ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციის ტექსტი ჩანართებითა და დანართებით (1956), ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების პირველი წიგნი (1960), ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა (1959). ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაციები დიდად უწყობს ხელს ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენას.

ბევრი შრომა და ენერგია მოახმარა ს. ყუბანეიშვილმა მე-18 საუკუნეში რუსეთსა და უკრაინაში გარდახვეწილი ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. კერძოდ, ბევრი გააკეთა მან დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების საკითხების გასარკვევად. ნარკვევთა ამ ციკლის საფუძველზეა აგებული ს. ყუბანეიშვილის წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი. აქ ერთადაა თავმოყრილი და ერთიანადაა გააზრებული აღნიშნული ციკლის ავტორისეული უმთავრესი ნაშრომები და პუბლიკაციები. ავტორს ხელახლა გადაუსინჯავს, შეუვსია, შეუსწორებია და დაუხვეწია თავისი ადრინდელი შრომები.

სარეცენზიო ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია რუსეთსა და უკრაინაში ქართული ახალშენების შექმნის საერთო საკითხები, აგრეთვე ამ ახალშენებში მოღვაწე ქართველი მწერლების ცხოვრება და საქმიანობა. სპეციალური თავები აქვთ მიძღვნილი დავით გურამიშვილს, იტია ფავლენიშვილს, ჯავახიშვილს (სახელი უცნობია) და თომა ბარათაშვილს. შიგადაშიგ ავტორი ჩერდება ზოგიერთ სხვა მწერლებზედაც, კერძოდ, საყურადღებო შენიშვნებს უძღვნის გაბრიელ გელოვანს. წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია დოკუმენტური მასალა. შრომას ახლავს ლიტერატურის ინდექსი და დოკუმენტებში თუ ნარკვევში მოხსენიებულ პირთა საძიებლები (სასიებლები აადვილებს დოკუმენტებით სარგებლობას).

ს. ყუბანეიშვილის ნაშრომი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და ვლადიმირის სიძველეთსაცავები და არქივები; სისტემური, თანამიდევრული და სკრუპულოზური კვლევა-ძიების შედეგად გამოუვლენია და გამოუქვეყნებია პირველხარისხოვან დოკუმენტთა მთელი სერია, რაც ხელს უწყობს რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობისა და რუსეთსა და უკრაინაში მე-18 საუკუნის მანძილზე მოღვაწე ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხების გარკვევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ს. ყუბანეიშვილს მოუპოვებია ჩვენი უკვდავი დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული თხუთმეტი ფასდაუდებელი დოკუმენტი (დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გარდა თვითონ „დავითიანისა", ძალიან მცირე წყარო მოგვეპოვება). დიდია ამ დოკუმენტების მოპოვების მნიშვნელობა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ს. ყუბანეიშვილი შემთხვევით კი არ წააწყდა ამ ძვირფას განძს. მან ის მოიპოვა ხანგრძლივი, ბეჯითი კვლევა-ძიების შედეგად.

როგორც ვიცით, დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები ისეა ერთმანეთში გადახლართული და ისეთ ორგანულ მთლიანობას ქმნის, რომ ბიოგრაფიული ხასიათის ყოველი წვრილმანი ფაქტიც კი გვეხმარება პოეტის რთული სახეობრივი სისტემის გახსნისა და გააზრებისათვის. ს. ყუბანეიშვილის მიერ მოპოვებული და ძირითადად სწორად გაანალიზებული საბუთები ახალ შუქს ჰფენს დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების რიგ საყურადღებო საკითხს (მაგდებურგის ტყეობასთან დაკავშირებული გარემოებანი, პოეტის განთავისუფლება სამხედრო სამსახურიდან და უკრაინაში დამკვიდრება, მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და სხვ..).

ს. ყუბანეიშვილმა დაასაბუთა, რომ პოემა „ვახტანგიანის" ავტორი ყოფილა ოტია(?) ფავლენიშვილი. მანვე გაარკვია ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

საინტერესო ცნობები აქვს ს. ყუბანეიშვილს თავმოყრილი ჩვენთვის სრულიად უცნობ პოეტ ჯავახიშვილზე, რომელსაც ვახტანგის წრეში იმღენაც აფასებდნენ, რომ აჯიბრებდნენ დავით გურამიშვილთან.

ს. ყუბანეიშვილმა თითქმის ამომწურავი სისრულით აღადგინა პოეტ თომა ბარათაშვილის საინტერესო და რთული ცხოვრების სურათი. მან ახალი საყურადღებო ფაქტებით წარმოგვიდგინა სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გადასვლისა და ბოლოდროინდელი დიპლო-

მატური მოღვაწეობის ამბები, საბოლოოდ გაარკვია დიდი ქართველი მეიგავის გარდაცვალებისა და დასაფლავების საკითხები.

ერთი სიტყვით, სადისერტაციო ნაშრომი ქართული კულტურის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი მონაკვეთისადმი მიძღვნილი და გულმოდგინედ დამუშავებული ისეთი სამეცნიერო გამოკვლევაა, რომელიც დიდ შენაძენს წარმოადგენს.

ნაშრომის მთავარ ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ ავტორი კმაყოფილდება თითქმის მარტოოდენ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხების კვლევა-ძიებით, იგი შეგნებულად უვლის გვერდს მწერალთა შემოქმედების, საკუთრივ ლიტერატურული თვალსაზრისით განხილვას. გურამიშვილის შესახებ ს. ყუბანეიშვილი პირდაპირ ამბობს (გურამიშვილი სარეცენზიო წიგნის მთავარი ფიგურაა): „დავით გურამიშვილის მდიდარი, მრავალფეროვანი და ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული პოეზიის საკითხები საფუძვლიანად არის გამოკვლეული კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, გ. ლეონიძის და სხვათა მიერ. ამიტომ ამ საკითხზე ჩვენ აქ არ შევჩერდებითო“ (გვ. 181). დისერტანტი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში აანალიზებს გურამიშვილის პოეტური შემოქმედების ზოგიერთ მხარეს, როდესაც ამის საბაბს იძლევა ახლად გამოვლენილი დოკუმენტური წყარო. აქვე ვიტყვით, რომ ძლიერ საინტერესოა, თუმცა სადავო ს. ყუბანეიშვილის მხრივ პოემა „ქართლის ჭირის“ 564 და 581 სტროფების ანალიზი (გვ. 139—143, 176—178).

გვაქვს რამდენიმე წვრილმანი შენიშვნა.

1. არსაიდან ჩანს, თითქოს სულხან-საბა ორბელიანს დავალებული ჰქონდა პეტრე პირველისათვის განკუთვნილი წერილის წაღება (გვ. 31—34).

2. შესაძლებელია დაუზუსტებელი იყოს გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევებისა და მოსკოვში ჩასვლის თარიღები, როგორც ამას ფიქრობს ს. ყუბანეიშვილი (გვ. 133), მაგრამ დაუსაბუთებელია მისი ზოგადი მოსაზრება, თითქოს „პოეტის დატყვევება, მისი ორჯერ გაშპარვა და თერგში გადასვლა იმავე წელს არის სავარაუდებელი, რა წელსაც ის დაატყვევეს“ (გვ. 134). საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში საამისო საბუთები არ არის, ვითომც გურამიშვილს დაყოვნებოდეს ჩრდილოეთ-კავკასიაში ყოფნა (გვ. 134—137).

3. ნებისმიერად გვეჩვენება ს. ყუბანეიშვილის მიერ პოემა „ქართლის ჭირის“ 587 და 588 სტროფების ანალიზი. ამ სტროფებს ერთმანეთთან უშუალო და ორგანული კავშირი აქვთ. შეუძლებელია გაზიარებული იქნას ს. ყუბანეიშვილის მოსაზრება, თითქოს 588 სტროფი შეიცავდეს გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევების ამბის მოგონებას (გვ. 178).

4. სწორად არ არის ფორმულირებული დისერტანტის განცხადება, თითქოს: „უკრაინა მისთვის (გურამიშვილისათვის, ა. ბ.) გახდა ისეთივე სამშობლო, როგორც საქართველო" (გვ. 180).

5. „ვახტანგიანის" სათაურის ანალოგიად არ გამოდგება „დავითიანი" და „ლოცვანი" (გვ. 200).

6. როგორც აღვნიშნეთ, ს. ყუბანეიშვილის წიგნის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი ემყარება თვითონ ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილ დიდძალ პირველწყაროებს. მით უფრო იწვევს გაკვირვებას ის გარემოება, რომ დისერტანტი ზოგჯერ უგულებელყოფს ამ მხრივ სხვების ღვაწლს, უკეთ რომ ვთქვათ, საჭირო ლიტერატურაზე არ მიუთითებს (შდრ. გვ. 158, 179).

ჩვენ შესაძლებლად ვთვლით წარმოდგენილი შრომის საფუძველზე მის ავტორს მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

შალვა ღლონტი

ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხები. თბილისი 1961, 517 გვ. (მანქანაზე გადაბეჭდილი)

საზღვარგარეთაც მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქართველოლოგიურ მეცნიერებას მნიშვნელოვანი მიღწევები მოეპოვება. რომ ქართველ მეცნიერთა მუშაობა რუსთველოლოგიურ პრობლემებზე ინტენსიურია და ნაყოფიერი[1]. რუსთველოლოგიის მიღწევად ვთვლით ჩვენ შალვა ღლონტის შრომას „ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხები". რომელიც დღეს საჯარო პაექრობაზეა გამოტანილი მისი ავტორისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად.

შალვა ღლონტი პირველად არ ჩნდება სამეცნიერო სარბიელზე. მას გამოქვეყნებული აქვს რიგი საყურადღებო ნაშრომი, რომელთაგან აქ საგანგებოდ მინდა დავასახელო: 1. ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი, სოხუმი, 1957, გვ. 176; 2. ვეფხისტყაოსნის სიმფონიის გამოცემის გამო (ლიტერატურული ალმა-

---

[1] გიორგი ნოზაძე, Publications recentes dans le domaine de Karthvelologie B K № 32—33, პარიზი, 1959, გვ. 150).

ნახი. X, სოხუმი, 1957, გვ. 214—221); 3. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, 315 გვ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შ. ღლონტს შედგენილი აქვს ვეფხისტყაოსნისა, თამარიანისა და აბდულმესიანის სიმფონიები, (რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ არ დაბეჭდილა). საღისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს შ. ღლონტის წიგნის — ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემის—რამდენადმე გადამუშავებულსა და გაერცობილ ვარიანტს. იგი ხუთი კარისაგან შედგება: 1. საკითხის ისტორია (გვ. 9—87); 2. მხატვრული ენის სპეციფიკისა და მისი ანალიზის საკითხისათვის (გვ. 88—98); 3. ვეფხისტყაოსნის ლექსიკური შემადგენლობის საკითხი (გვ. 99—178); 4. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის მასალობრივი მხარე და მისი ხასიათი (გვ. 179—237); 5. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე (გვ. 238—370).

ამის გარდა, ნაშრომს აქვს შესავალი (გვ. 1—8) და ვრცელი დამატება — ვეფხისტყაოსანში ოშვიათად ნახმარი სიტყვები (გვ. 372—501). ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ინდექსი (გვ. 502—515).

როგორც სათაურიდანაც ჩანს, სარეცენზიო ნაშრომი ეძღვნება რუსთველოლოგიის ფრიად აქტუალურსა და საჭირბოროტო სპეციფიკურ პრობლემას. ავტორი საერთოდ სწორად აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხების შესწავლის მხრივ ცოტა როდია გაკეთებული, ოღონდ ამ საგანზე სპეციალური „მონოგრაფიული ხასიათის შრომა დღემდის არ გვაქვსო“ (გვ. 9). ავტორის სიტყვით, „მრავალი საინტერესო გამოკვლევა დაწერილა რუსთველის პოეტურ სახეთა და ხერხთა შესახებ, მაგრამ ეს შრომები არ ს ე ბ ი თ ად აღ წ ე რ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა. ამ სახის სამუშაოები უთავოდ საჭიროა, მაგრამ საკმარისი არაა ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკური მხარეების წარმოსაჩენად“ (გვ. 179, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). რა თქმა უნდა, უმართებულო იქნებოდა ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ლიტერატურის ერთი ხელაღებით მთლიანად აღ წ ე რ ი თ ი ხასიათის მქონედ გამოცხადება, ამ მხრივ დისერტანტი აჭარბებს. წიგნში აქა-იქ შეინიშნება ერთგვარად შეუფერებელი პრეტენზიული კილო და პათოსით სიცხარე (ეს უმთავრესად ნაშრომის პირველ კარში). დისერტანტი ამბობს: „როცა ვარკვევთ მწერლის მხატვრული ენის სპეციფიკას იქას კი არ უნდა წამოვწეველეთ წინა პლანზე, რა გამომსახველობითს საშუალებებს მიმართავს შემოქმედი. მთავარია, გაირკვეს მხატვრული სახისათვის გამოყენებული ენობრივი მასალის ბუნება, მისი იდეური გააზრება და პრინციპი, რომლის საფუძველზედაც აგებულია პოეტური

ოქმები“ (გვ. 92). ეს მოსაზრება საერთოდ მისაღებია. პოეტური ტექსტის ანალიზისას, ცხადია, ზომიერებაა საჭირო. არც იმით დაშავდება რაიმე, თუ მხატვრული ძეგლის იდეური შინაარსის გახსნის მიზნით ხაზი გაესმება ავტორის გამომსახველობითს საშუალებებს. ზოგჯერ ეს საჭიროცაა. უარსაყოფია მხოლოდ მხატვრული ხერხებისა და გამომსახველობითი საშუალებების თვითმიზნური ძიება, ფორმალისტური ვარჯიში.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სარეცენზიო შრომის ავტორი გადაჭრით თვლის: „ვეფხისტყაოსანი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვაკაზმული ლიტერატურის ძეგლია და მისი მხატვრული ენის თავისებურებათა შესწავლისას ამოსავალი უნდა იყოს ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისი, ესთეტიკური პრინციპები. რუსთველის გამოთქმების პოეტური სემანტიკის გახსნისათვის სხვა დარგებს მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება შეუძლიათ“ (გვ. 85, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია, ა. ბ.). ჩვენ მივესალმებით ლინგვისტიკური დისციპლინის წარმომადგენლის მხრივ შემდეგ განცხადებას: „ვეფხისტყაოსანი, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოებია და არა ისეთი დარგის ძეგლი, რომელიც შედარებით უფრო ადვილად ითმენს და ემორჩილება გრამატიკის კანონებს. ამით იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს მხატვრული ქმნილება გრამატიკული წესების გარეშე იდგეს. ემყარება რა სალიტერატურო ენის ნორმებს, მას აქვს თავისი შინაგანი ბუნებაც, რომელზედაც ძირითადი გრამატიკული კანონების მექანიკური გავრცელება შეუწყნარებელია“ (გვ. 52). ისიც უდავოა, რომ: „არ შეიძლება პოეტური ქმნილების ყოველი ელემენტი გრამატიკულ კანონებს დაეუქვემდებაროთ“ (გვ. 59). მიუღებელია „რუსთველის პოეტურ მეტყველებაზე გრამატიკის ძალდატანების ტენდენციით ხელმძღვანელობა“ (გვ. 57).

კვლევა-ძიებისათვის შ. ღლონტი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ემყარება ისტორიულ-შედარებითს მეთოდს (გვ. 98), მასალების ისტორიულ-შედარებითი გაანალიზების გზით ცდილობს გამოავლინოს პოემის მხატვრული ენის ის „განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც საკუთრივ რუსთველურია“ (გვ. 87). იგი მართებულად ასკვნის: „თითქმის არაფერს იძლევა ისეთი ძიება, რომელიც შედარებითი ანალიზის პროცესში მხოლოდ და მხოლოდ მსგავსი მომენტების წარმოჩენას ისახავს მიზნად“ (იქვე).

დისერტანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი შრომის მანძილზე იგი ავლენს ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის მასალებრივად ორგანულ კავშირს რუსთველამდელი და რუსთველის დროინდელი ქართული მწერლობის ძეგლების (მათ შორის ნათარგმნი ძეგლე-

ბის) ენასთან, მაგრამ, ამასთან ერთად, დამარწმუნებლად ასაბუთებს რუსთველის მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციურად სამაგალითო ორიგინალობასა და მხატვრულ სრულყოფილობას. საილუსტრაციო მასალის სიუხვე და მოხმობილი პარალელების თვალსაჩინოება სარეცენზიო ნაშრომის დამახასიათებელი მხარეებია.

ნაშრომის პირველ თავში შ. ღლონტს თითქმის ამომწურავი სისრულით მიმოხილული აქვს საკითხის ისტორია. ჩემი აზრით, საჭირო იყო მას მსჯელობაში მიეღო მოსე გოგიბერიძის ფრიად საინტერესო წერილები რუსთველის ენამზეობასა და ესთეტიკაზე. ავტორი არ კმაყოფილდება სხვადასხვა მკვლევრის შეხედულებათა სისწორით დალაგებას, იგი მათ კრიტიკულადაც იხილავს.

მეორე თავში განხილულია მხატვრული ენის სპეციფიკა და მისი ანალიზის ზოგადი საკითხები. ავტორის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკის ნათელსაყოფად საჭიროა გაირკვეს: 1. ვეფხისტყაოსნის ლექსიკური შემადგენლობის საკითხი, 2. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის მასალობრივი მხარე და მისი ხასიათი, 3. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე (გვ. 98).

დასმული ყველა საკითხი დისერტანტს გარკვეული აქვს, როგორც ვთქვით, უხვი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე. მკვლევარი მენიშნავს: „სიტყვათა სიუხვე მწერლის პოეტური აზროვნების მაღალი კულტურის მაუწყებელიაო“ (გვ. 99). რუსთველის ენის სისადავე და, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის ლექსიკური შემადგენლობის სიმდიდრე მკვლევარს ნაჩვენები აქვს ზუსტი და კონკრეტული ცოცხალი მაგალითებით.

შ. ღლონტს გაუწევია ჭეშმარიტად კოლოსალური შრომა, რის შედეგად მას შეუდგენია ვეფხისტყაოსნის ენის მთელი სიმფონია და მასალები დაულაგებია სხვადასხვა საინტერესო მაჩვენებლების მიხედვით. შ. ღლონტის გამოკვლევის თანახმად, ვეფხისტყაოსანში „ნახმარი ყოფილა 7.065 დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული“ (გვ. 101). აქედან 3.767 სიტყვა თურმე მხოლოდ ერთჯერ გვხვდება, რაც პოემის სიტყვიერი მარაგის 53,5% შეადგენს (იქვე), 3.298 სიტყვა ორჯერ და მეტჯერ (გვ. 107), მათ შორის მხოლოდ 2-ჯერ მეორდება 1.076 სიტყვა, 3-ჯერ —458, 4-ჯერ —347, 5-ჯერ —213, 6-ჯერ—162, 7-ჯერ—112 და ა. შ. (გვ. 107). დამატებაში ყველაფერი ეს ზუსტადაა აღნუსხული. ვეფხისტყაოსნის ენობრივ მონაცემთა აღრიცხვა და კლასიფიცირება ჯერ არავის მოუხდენია. ესაა შ. ღლონტის ნაშრომის ერთი მნიშვნელოვანი ღირსებათაგანი. შ. ღლონტს სტატისტიკური მონაცემები აინტერესებს არა თავისთავად, არამედ ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკური ბუნების შესასწავლად. საგულისხმოა, რომ, მაგალითად, ვე-

ფხისტყაოსანში ერთჯერ ნახმარი სიტყვების ნახევარზე მეტი, 56,2%, ხატვრული მიზნით ყოფილა გამოყენებული (102). მასალის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე ის არკვევს კეფხისტყაოსნის ენის მხატვრულობის ხასიათს. ადრეც შენიშნული იყო (ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მიერ), რომ ვეფხისტყაოსნის ენისათვის განსაკუთრებულად ნიშანდობლივია ზმნათა სიუხვე. დისერტანტი მოხდენილად ამბობს, რომ: „ზმნა — ქართული ენის დედაძარღვი — რუსთველის პოეზის სუნთქვა და სულია“ (გვ. 112). ეს დებულება ილუსტრირებულია საუცხოო დიდძალი მაგალითით. ტექსტში სიტყვის სხვადასხვა ფორმითა და განსხვავებული ნიუანსური მნიშვნელობით ხმარების საჩვენებლად დისერტანტს განხილული აქვს „გული“ (ეს სიტყვა პოემაში ას-ჯერ ყოფილა ნახმარი). სათანადო საილუსტრაციო მასალასა და ავტორისეულ ანალიზს უპირავს ნაშრომის 119—177 გვერდები. ავტორს უფლება ჰქონდა დაესკვნა: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკური შემადგენლობის საკითხის ანალიზმა ნათელი გახადა რუსთველის ენის ამოუწურველი სიმდიდრე“ (გვ. 177).

ნაშრომის მეოთხე თავში ავტორი არკვევს ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის მასალობრივ მხარესა და მის ხასიათს. ვეფხისტყაოსნის ენის ქართული მწერლობის რუსთველამდელი პერიოდის დიდძალი ძეგლებისადმი შეპირისპირების ნიადაგზე მკვლევარი ადგენს, რომ: „რუსთველი ემყარება ჩვენი ეროვნული ლიტერატურის მდიდარ ენობრივ მემკვიდრეობას“. (გვ. 235), ოღონდ საკუთარი შინაარსობრივი გააზრებითა და მიუწვდომელი მხატვრული შესრულებით. რუსთველის ორიგინალური პოეტური აზროვნების ერთ-ერთი სამაგალითო ნიშანთვისების ილუსტრაციას წარმოადგენს სახე-პეიზაჟი (გვ. 201—207), რომლის გარკვევა ჩვენი დისერტანტის დამსახურებაა.

მეხუთე თავში განხილულია ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარეები. ავტორი არკვევს ბგერწერის რიტმის, რითმის, სიტყვათწარმოების, სიტყვათა ორიგინალური ფორმებისა და მისთ. ფუნქციურ მნიშვნელობას რუსთველის მხატვრული ენის სპეციფიკის ნათელსაყოფად.

ამ თავში დისერტანტი გვთავაზობს არაერთ საგულისხმოსა და ანგარიშგასაწევ საკუთარ დაკვირვებასა და მოსაზრებას. კერძოდ, საყურადღებოა მისი მოსაზრებანი მაღალი და დაბალი შაირის ფუნქციათა თაობაზე. წინაამდეგ რიგი მკვლევრის შეხედულებისა, დისერტანტი ამტკიცებს, რომ: „მაღალი და დაბალი შაირის ძირითადი ფუნქცია თხრობის ტემპითაა შეპირობებული“ (გვ. 266). „საერთოდ კი ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მთავარია თვით პოეტის მიზანდასახულობის გათვალისწინება“, შენიშნავს იგი და განმარტავს: „ეს კი შემდეგში მდგომარეობს: თუ მას სურს ჩქარა გვაუწყოს საქმის ვითარე-

ბა, — მიმართავს მაღალ შაირს. პირიქით შემთხვევაში კი დაბალი შაირია გამოყენებული. თავისდათავად მოქმედების შინაარსი კი არ განსაზღვრავს ლექსის რიტმს, არამედ გარკვეული შინაარსისა და მოტივისადმი თვით პოეტის დამოკიდებულება, ე. ი. ის თვალსაზრისი, თუ რა გარემოებას თვლის ავტორი მოცემულ მომენტში განმსაზღვრელ ფაქტორად მოქმედების განვითარებისათვის" (გვ. 269—270).

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოყვანილია და გაანალიზებული „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი" (სტროფები 376—380). ეს ანალიზი, სამწუხაროდ, პირადად ჩვენზე არ ტოვებს მკვლევრისათვის სასურველ შთაბეჭდილებას. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დამოწმებულ ნაწყვეტში ოთხგზის განმეორებული ნაწილაკი კი სტილისტიკურად უფერულად გვეჩვენება.

პრინციპული ასპექტით ავტორთან სადავო არა მაქვს რა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შენიშვნებს იწვევს ზოგიერთი წვრილმანი საკითხი.

1. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკის დასადგენად შ. ღლონტს ბლომად აქვს მოხმობილი შესაპირისპირებელი ტექსტობრივი მასალები რუსთველამდელი და რუსთველის ეპოქის ქართული მწერლობის ძეგლებიდან. ოღონდ რატომღაც იგი ამ მხრივ სრულიად უყურადღებოდ ტოვებს იმათ ყოველმხრივ მნიშვნელოვან ძეგლს, როგორიც არის ამირანდარეჯანიანი.

2. დისერტანტი საერთოდ სწორად მსჯელობს რუსთველურ მაჯამებზე. სწორია მოსაზრება, რომ „რუსთველი არაა მაინცდამაინც გატაცებული მაჯამების შექმნით" (გვ. 287) და რომ „რუსთველს ლექსის გამართვის მაჯამური მანერა არ გაუხდია თვითმიზნად" (გვ. 288). ოღონდ ვერ გავიზიარებთ იმ დებულებას, თითქოს: „ვეფხისტყაოსანში მაჯამები თავისუფალია ყოველგვარი ხელოვნური დანართისაგან.. რუსთველის მაჯამების სპეციფიკა მის(?) ბუნებრიობაში მდგომარეობს" (გვ. 288, დაყოფა ავტორისაა, ა. ბ.). რუსთველს შეღავათები არ სჭირდება. მაჯამის სწორედ საერთო სპეციფიკური ბუნების გამო ვეფხისტყაოსნის მაჯამური ტექსტებიც, უთუოდ, ატარებს ხელოვნურობის დაღს, რის გამოც პოეჭის მაჯამური სტროფების შინაასობრივ-აზრობრივი თვალსაზრისით განმარტება ძლიერ ჭირს. საგულისხმოა, რომ შ. ღლონტის მოჭარბებული აღტაცება გამოუწვევია 1537-ე სტროფს:

ეტყვის: მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,
მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო,
თქვენ საპურეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო.

მოყვანილი მაჯამური სტროფის გამო შ. ღლონტი ამბობს: „რა შეედრება თავის ელასტიკურობით, დინამიკითა და აზრთა თავისუფალი მდინარებით მაჯამურად გაწყობილ რუსთველის ამ სტროფს" (გვ. 289).

სამწუხაროდ, მკვლევარს შეურჩევია რუსთველის შედარებით უფრო სუსტი მაჯამური სტროფი, რომელიც ვერ იმსახურებს აღტაცებულ შეფასებას. სხვა არა იყოს რა, აქ მაჯამური ლექსის აგების პრინციპია დარღვეული. 1537-ე სტროფი ნაკიანი, კოჭლი მაჯამაა. თუმცა სამაჯამო სიტყვაა ოთხმარცვლიანი დარიანო, მეოთხე ტაეპში გვაქვს: და არ იანო, ხუთმარცვლოვანი შედგენილობის სიტყვათა კომბინაცია (შედგენილი მაჯამა). მაჯამა აქ იმ შემთხვევაშიც დაირღვეოდა, თუ მეოთხე ტაეპში საომონიმოდ ვივარაუდებდით სიტყვებს არ-იანო (მაშინ გვაკლდება საყრდენი დონი).

ერთი სიტყვით, როგორადაც არ უნდა მივუდგეთ, საანალიზო მაჯამური სტროფი ნაკლულია, საკმაოდ ხელოვნური, ყოველ შემთხვევაში სანიმუშოდ ვერ გამოდგება.

3. დისერტანტი ერთგან წერს:: „ქართულ მწერლობაში ჩვენ არ გვეგულება მეორე ნაწარმოები. რომელშიც ძვირფასი ქვები ისე მრავალჯერ და წმინდა მხატვრული ფუნქციით იყოს ნახმარი, როგორც ეს ვეფხისტყაოსანში გვაქვს" (გვ. 233, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). ჩვენ არ გვესმის, რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში „წმინდა მხატვრული ფუნქცია". ეს მით უფროა აღსანიშნავი, რომ ავტორის ფიქრით, ძვირფასი ქვების სიუხვე ვეფხისტყაოსანში აიხსნება რუსთველის ეპოქის საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით. ამას მოჰყვება დასკვნა: „მხატვრული ენის მასალად იმ საგნების ამსახველი ლექსიკის გამოყენება, რომლებიც მწერლის ეპოქაში დიდი პატივით სარგებლობდა, მოწმობს, რომ რუსთველის პოეტური მეტყველების უშუალო წყაროს თანამედროვეობის დიდი საზოგადოებრივი მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები წარმოადგენდა" (გვ. 233, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). დასკვნა ნაძალადევად მეჩვენება. რა დიდი საზოგადოებრივი მოვლენების აღმნიშვნელია ძვირფასი ქვები?. ეს სიტყვები ხომ წინათაც იხმარებოდა ჩვენ მწერლობაში თუმცა მათ ადრე „არსებითად ესთეტიკური მიზანდასახულობა" არ ჰქონდათ და „სამკაულის ფუნქციას" ასრულებდნენო (გვ. 232). თუ ასეა, ვეფხისტყაოსნის ძვირფასი ქვები მხოლოდ იმდროინდელობის დიდი საზოგადოებრივი მოვლენების აღმნიშვნელად ვერ გამოდგება. ბოლოს საკითხავია, რომელ ისტორიულ ეპოქაში არ სარგებლობდა ძვირფასი ქვები დიდი პატივით?

4. დისერტანტი არასწორად აშუქებს ვეფხისტყაოსანში გამოყენებული შერითმვის ერთ-ერთ სახეობას. ალიტერაციის გარკვეული სახეობა მას რუსთველური რითმის სპეციფიკურ სახეობად აქვს გაგებული. ამ ნიადაგზე მიღებულია შორს მიმავალი დასკვნები რუსთველური რითმის თავისებურების შესახებ ჩახრუხაძე — შავთველის რითმებთან შეპირისპირებით (იხ. გვ. 275—276; შდრ. გვ. 279).

5. არა მგონია მხოლოდ ვეფხისტყაოსნისათვის იყოს სპეციფიკური „პერსონაჟების სინონიმებად ან შედარების ობიექტებად მზისა და მთვარის ხმარება“ (გვ. 229).

6. საეჭვოა, რომ ხის სახე გამოდგეს მოძრაობის ამსახველ პოეტურ ფიგურად (გვ. 227).

7. ერთგან დისერტანტი უმართებულოდ აკრიტიკებს აკად. ვ. შიშმარიოვს (გვ. 205, შენ.). ვ. შიშმარიოვი არსებითად იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც მას დისერტანტი მიაწერს. ის რაც სარეცენზიო შრომით მიეწერება ვ. შიშმარიოვს, ნამდვილად წარმოადგენს ნ. მარის მოსაზრებას (იხ. Н. Я. Марр, Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. ИАН, 1917, გვ. 420—421).

8. ვფიქრობთ, უმართებულოდ გვედავება დისერტანტი რუსთველური ალიტერაციის მხატვრული ფუნქციონალური ბუნების გაგების საკითხში[2]. (შდრ. სადისერტაციო შრომის გვ. 257—258; აგრეთვე გვ. 252—253 ჩვენს მონოგრაფიას „შოთა რუსთველი“, თბილისი 1958, გვ. 271—274; 258—259).

9. ჩვენთვის გაუგებარია, რად არ ისარგებლა დისერტანტმა თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტების“ იმედაშვილისეული გამოცემით (თბილისი, 1960) და გამოკვლევის ტექსტში (გვ. 15), ისე როგორც გამოყენებული ლიტერატურის ინდექსში (გვ. 515), პირდაპირ ხელნაწერ წყაროს ასახელებს.

10. ავტორს უნდა განემარტა წინასიტყვისა თუ ბოლოსიტყვის სახით სადისერტაციოდ წარმოდგენილი შრომის მიმართება ბეჭდურად გამოქვეყნებული მისივე ანალოგიური ხასიათის შრომისადმი „ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“ (სოხუმი, 1961).

ჩვენი ღრმა რწმენით, სარეცენზიო შრომის საფუძველზე მის ავტორს თამამად შეიძლება მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1962

---

[2] სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დავა გამოიწვია ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის წაკითხვამ და გაგებამ (1412,3). შ. ღლონტმა გაიზიარა დავის შინაწილე ერთი მხარის შეხედულება, მაგრამ მას არ უცდია მეორე მხარის საბუთების დარღვევა (შდრ. გვ. 344—345).

ნიკოლოზ კანდელაკი

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება

(თბილისი, 1961, 424 გვ.)

სარეცენზიო ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ზოგადი საკითხები (7—96): მჭევრმეტყველების განსაზღვრა; ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო წყაროები; ქართული მჭევრმეტყველების ტერმინოლოგია; ქართული მჭევრმეტყველების კერები, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდები; ქართული მჭევრმეტყველების დარგებისათვის.

მეორე ნაწილია ქართული მჭევრმეტყველების დარგები (გვ. 99—215): სამქადაგებლო მჭევრმეტყველება, სადარბაზო მჭევრმეტყველება, სამხედრო მჭევრმეტყველება, სამოსამართლო მჭევრმეტყველება. სადღესასწაულო მჭევრმეტყველება, საზეგლოვიარო მჭევრმეტყველება.

მესამე ნაწილში პორტრეტული წესით გარჩეულია 25 ქართველი ავტორის სამჭევრმეტყველო შემოქმედება (გვ. 219—386) ეს პირებია: ფარსმან პირველი, ბაკური. გუბაზ მეფე, აიეტი, ფარტაზი, იოანე საბანის ძე, იოანე ბოლნელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, არსენ ბერი, სულხან-საბა ორბელიანი, ზაქარია გაბაშვილი. ანტონ კათალიკოსი, საბა ნინოწმინდელი, გაიოზ რექტორი. სოლომონ ლიონიძე, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, იოანე ბატონიშვილი, იონა ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, გაბრიელ ქიქოძე. ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი.

წიგნს უძღვის შესავალი (გვ. 7—10) და ერთვის საძიებელი: პირთა სახელები (391—400), ეთნიკური სახელები (400—401), გეოგრაფიული სახელები (401—404). ძირითადი ლიტერატურის ინდექსი (405—421).

ნ. კანდელაკი არის ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის საკითხების საკმაოდ ცნობილი მკვლევარი. გარდა სარეცენზიო წიგნისა, მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, რომელთაგან ცალკეა გამოქვეყნებული 1. სოლომონ ლიონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე. ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წარუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა, თბილისი, 1957, გვ. 118;2) ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები. შეკრიბა, ნარკვევი წარუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა, თბილისი, 1958, 378 გვ.

ორივე ნაშრომით ნ. კანდელაკს ვეცნობით როგორც გამოცდილ ტექსტოლოგსა და დაკვირვებულ მკვლევარს. სოლომონ ლიონიძის

სიტყვა გამოცემულია ფაქიზად და საკითხის კარგი ცოდნით. მეორე ნაშრომში თავმოყრილია ქართული მწევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშები. ეს ნიმუშები სპეციალურად გარჩეულია სარეცენზიო წიგნში.

„ქართული კლასიკური მწევრმეტყველება“ წარმოადგენს ქართული მწევრმეტყველების ისტორიის სერიოზულ ნარკვევს. ავტორის სიტყვით, მას მიზნად დაუსახავს ქართული ორატორული ხელოვნების შემოქმედებითი პროცესის ისტორიული განვითარების ჩვენება (გვ. 10). ეს ამოცანა ძირითადად წარმატებით არის შესრულებული

ნ. კანდელაკს თვითონ მოუხდა მწევრმეტყველების ძეგლთა გამოძიება, დიდძალი წყაროს შესწავლა და მათში გაბნეული მასალების გამოჩხრეკა. ნ. კანდელაკმა პირველმა დაადგინა და დააგროვა საკვლევი ტექსტები, გამოიძია და აღადგინა სპეციალური ტერმინოლოგია. მკვლევარს დასჭირდა დიდი დრო და ენერგიის დახარჯვა, დიდი შრომის გაწევა. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად თავმოყრილი წერილობითი მასალები მან შეარჩია, დაახარისხა, დაასისტემა, დაალაგა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, საუკეთესო ნაწილი და გამოაქვეყნა კიდევაც ბეჭდურად შესაფერისი კომენტარების დართვით. მასალების ბეჭითი შესწავლისა და საკითხის საფუძვლიანი განხილვის წყალობით, ნ. კანდელაკმა შექმნა ქართული მწევრმეტყველების ისტორიის სასარგებლო სისტემური კურსი. ესაა სარეცენზიო ნაშრომის მთავარი და უცილობელი ღირსება. ავტორს სწორად აქვს განსაზღვრული ქართული მწევრმეტყველების ისტორიის პერიოდიზაცია, მართებულია დასკვნა: „ქართული მწევრმეტყველების ისტორიის პერიოდები საერთოდ ემთხვევა ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებსო“ (გვ. 82).

სარეცენზიო ნაშრომის ღირსება ისიცაა, რომ ავტორის მსჯელობა ჩვეულებრივ ნათელია, მკაფიოა, ლოგიკურია, აკადემიურია და საბუთიანია. ერთი სიტყვით, ნ. კანდელაკის „ქართული კლასიკური მწევრმეტყველება“ ქართული მეცნიერების ფასეული შენაძენია.

როგორც ყოველი საყურადღებო ნაშრომი, სარეცენზიო წიგნიც იწვევს შენიშვნებს.

პირველ ყოვლისა, დაუზუსტებლად მეჩვენება წიგნის სათაური „ქართული კლასიკური მწევრმეტყველება“. რას გულისხმობს ავტორი სიტყვით „კლასიკური“.

ქართული მწევრმეტყველების ისტორიის განხილვა სარეცენზიო წიგნში იწყება უძველესი დროიდან, მიყვანილია კი გაურკვეველ დრომდის, იხურება წიგნი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ორატორული პორტრეტების დახატვით. რატომ, რა საბუთით? თუ ავტორი გვეტყვის, რომ მას საქმე ჰქონდა ქართულ კ ლ ა ს ი კ ურ მწევრმეტყველებასთან, მაშინ რად შეიტანა ძველი მწერლობის ნაწილში ყველა,

ცოტად თუ ბევრად ცნობილი, მშვერმეტყველი? ნუთუ ყველა ისინი კლასიკოსები არიან თავიანთი დარგისა? ასეთი კლასიკოსები რევოლუციამდელ საქართველოში, ალბათ, სხვანიც იქნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ახალი დროის ორატორული ხელოვნების „დიდ წარმომადგენლებად“ ილიასა და აკაკისთან ერთად ნ. კანდელაკი თელის იყავე მაჩაბელსა და ნიკო ნიკოლაძეს (გვ. 185). ავტორი იქვე შენიშნავს: „აქვე უნდა დავასახელოთ იმავე პერიოდის გამოჩენილი ვეჭილები: ლუარსაბ ლოლუა, დავით ლორთქიფანიძე და მოსე ჭიჭოძე“. „უახლოესი პერიოდის“ ცნობილი იურისტების ჯგუფიდან დასახელებული არიან“ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, შალვა მუსხიშვილი, „და სხვანიო“ (იქვე). გაუგებარია, რად არაფერი სთქვა ავტორმა ქართული მშვერმეტყველების ამ „დიდ“, „გამოჩენილ“ და „ცნობილ“ წარმომადგენლებზე!

კომპოზიციურად წიგნი ვერაა მტკიცედ შეკრული. ნაშრომიდან არ ჩანს, რად შეწყვიტა ავტორმა საუბარი აკაკი წერეთელზე, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა იგი განსახილავ პირთა შერჩევის დროს.

სარეცენზიო წიგნის უმთავრეს სადავო საკითხად ჩვენ ვთვლით საისტორიო თუ სხვა ხასიათის ძეგლების პერსონაჟთა ავტორობის საკითხს. ნ. კანდელაკი იძულებული ხდება ძალიან ხშირად, ზოგჯერ გადაჭრით, ზოგჯერ ყოყმანით, ამა თუ იმ სამშვერმეტყველო სიტყვის ნამდვილ ავტორად ჩაიანგარიშოს ესა თუ ის პირი. ოთომელთაც ისტორიკოსი (ან საზოგადოდ მწერალი) სიტყვების წარმოთქმის პატივს მიაწერს. მრავალთაგან ჩვენ შევეხებით თამარ მეფისა და გრიგოლ ხანძთელის ავტორობის საკითხს. ნ. კანდელაკს განხილული აქვს როგორც თამარ მეფის შემოქმედების ნაყოფი ის სიტყვები, რომელთაც მეფეს მიაწერს ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი (გვ. 139, 159—160). „ეს სიტყვები, ამბობს მკვლევარი, ჩვენი კლასიკური მშვერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებიაო“ (გვ. 37). ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შეფასებას[1]. ნ. კანდელაკს სრული უფლება ჰქონდა მართლაც მშვერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებად ჩაეთვალა საისტორიო წყაროს ტექსტები. ოღონდ ეჭვებს ბადებს ტექსტების ავტორობის საკითხი. მკვლევარი ჯერ მოსაწონი სიფრთხილით შენიშნავს, რომ აღნიშნული ტექსტების „ლიტერატურული დამუშავება ძეგლის ავტორის ამაგია და მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ საგულვებელია საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების ოფიციალური ჩანაწერებიც, რომელთა მიხედვით შეეძლო ისტორიკოსს ან თვითონ აღედგინა ნათქვამის შინაარსი, ან პირდაპირ გადმოეღო ჩაწერილი ტექსტი“ (გვ.

---

1 ბასილი ეზოსმოძღვარი მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს თამარის ისტორიის ავტორად.

37 იქვე). ამის შემდეგ, ავტორს მაინც საჭიროდ დაუნახავს უკვე კატეგორიული კილოთი დაესკვნა: „ორივე შემთხვევაში ისტორიკოსის მიერ შენახული სიტყვა იმის ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ, ვისაც იგი საისტორიო წყაროში (იქვე), ე. ი. სიტყვები, რომლებიც თამარს მიეწერება. თამარის „ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ“, იგი თამარის შემოქმედების ნაყოფად გამოვაცხადოთ. თუ ასეა, მაშინ როგორღა შეიძლება სიტყვების ლიტერატურული სრულყოფა საისტორიო ძეგლის ავტორის „ამაგია და მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს“. ორში ერთი, წყაროთი დამოწმებულ მჭევრმეტყველების უდავოდ შესანიშნავი ლიტერატურული ნიმუშის ავტორია ან ისტორიკოსი, ან ისტორიული პერსონაჟი. ორივეს ავტორობა შეუძლებელია. ვფიქრობთ, თამარის მიერ ოფიციალურად წარმოთქმული სიტყვების დედნებიც რომ გვქონდეს, მაშინაც გაჭირდებოდა შემთხზველ-ავტორად თამარის აღიარება[2].

საგულისხმოა, რომ ზოგ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში ნ. კანდელაკი სალიტერატურო ძეგლის ავტორის (და არა ლიტერატურული პერსონაჟის) სასარგებლოდ იხრება. მაგალითად „აბიბოს ნეკრესელის წამების“ გამო მკვლევარი ამბობს: „ეს ცოცხლად გადმოცემული პაექრობა, უწინარეს ყოვლისა, ავტორის მჭევრსიტყვაობას გვიჩვენებს, მაგრამ, შესაძლოა, პერსონაჟის ორატორულ ღირსებაზეც მიუთითებდეს“ (გვ. 69, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია ა. ბ.) ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ნ. კანდელაკს, რომ აბიბოს ნეკრესელის სიტყვები, უწინარეს ყოვლისა, სწორედ თხზულების ლიტერატურულ ღირსებებსა და მისი ავტორის შემოქმედებითს პოტენციას ცხადყოფს.

ნ. კანდელაკი ერთგან იმოწმებს ჟამთააღმწერლის ტექსტიდან ბექა ჯაყელის სიტყვას და განმარტავს: „სიტყვა გამართულია მტკიცე ენობრივი ფორმით, რომლის ძარღვიანი სტილი გკეთრად გადმოგვცემს სათქმელის აზრს და ენერგიულ გავლენას ახდენს მსმენელის გრძნობასა და ნებისყოფაზე“ (გვ. 162). ავტორს დაავიწყდა ეთქვა ის „ძარღვიანი სტილი“ ჟამთააღმწერლის წელილია, თუ ბექა ჯაყელისა.

საცილობელი საკითხის მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულეს მაგალითი. როგორც ცნობილია, გიორგი მერჩულეს თხზულების ვითომცდა პირდაპირ მონა-

---

2 სხვათა შორის, კარის ისტორიკოსის მიერ თამარისადმი მიწერილი სიტყვები რაღაცნაირად მიუთვალა დედოფალს პაულე ინგოროყვამ. ეს სიტყვები „მოწმობს თამარის ბრწყინვალე საორატორო ტალანტსო“ (თამარ მეფის იამბიკონი. „მნათობი“ 1941, № 3, გვ. 152). როგორც ჩანს, პ. ინგოროყვას ამ ნაშრომს ნ. კანდელაკი არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში მას არ ასახელებს.

ცემთა საფუძველზე მკვლევარმა პ. ინგოროყვამ მერჩულისავე თხზულებაში „აღმოაჩინა“ გრიგოლ ხანძთელის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც მერჩულეს თითქოს მთლიანად ჩაურთავს თავის ტექსტში. ნ. კანდელაკს, ეტყობა, უდავოდ მიაჩნია ინგოროყვას დებულება, იგი ავრცობს და ავითარებს ამ დებულებას. ყოველ შემთხვევაში ყოველგვარი შენიშვნის გარეშე გრიგოლ ხანძთელს მიაწერს შატბერდისაკმი მიმართულ გამოსათხოვარ სიტყვას „კეთილად აღორძინდი შატბერდო“ (გვ. 28), და სამგლოვიარო სიტყვას წარმოთქმულს აშოტ კურაპალატის გარდაცვალების გამო (გვ. 206—207, 211, 212). ნ. კანდელაკი საერთოდ დიდად აფასებს ხანძთელის „ლიტერატურულ მემკვიდრეობას“ (გვ. 192). მკვლევარს მხედველობაში არ მიუღია ამ საგანზე არსებული კრიტიკული მოსაზრებანი (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე). საყურადღებო ისაა, რომ პ. ინგოროყვაც კი არ თვლის ხანძთელისეულად გამოსათხოვარსა და სამგლოვიარო სიტყვებს. ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ინგოროყვა თანმიმდევრული არ არის. თუ მისი თვალსაზრისიდან გამოვიდოდით, მაშინ აღნიშნული სიტყვები. მართლაც, გრიგოლისეულად უნდა ჩაგვეთვალა (ალ. ბარამიძე. გიორგი მერჩულეს გარშემო, თსუ შრომები, ტომი 71, 1958 გვ. 31—37). მაგრამ ეს ცოტაა, მშვენიერი სიტყვები მიეწერება გიორგი მერჩულეთი უცნობ კლარჯს („ქებაი ხანძთისაი“), გაბრიელ დაფანჩულსა და სხვებს. მერჩულე იუარამ მამფალს უწოდებს“ ფრიად სიტყუა — ხელოვანს“. რატომ გამორიცხა სარეცენზიო წიგნის ავტორმა ეს პირები ქართული მჭევრმეტყველების ისტორიიდან? ნ. კანდელაკს, რომელიც ინგოროყვას გზას მიჰყვება და ამ გზას აგრძელებს კიდევაც. უცნობი კლარჯი, გაბრიელ დაფანჩული და სხვები ისევე უნდა ჩაეთვალა მწერალ-ორატორებად, როგორათაც თვლის გრიგოლ ხანძთელს. სხვაგვარად ულოგიკობა გამოდის. მეორე მხრივ, თუ ყველა დასახელებულ პირს შემოქმედ-ავტორად ვალიარებთ, მაშინ ისე დავშლით და დავანაწევრებთ გიორგი მერჩულეს თხზულებას, რომ მის ნამდვილ ავტორს აღარაფერს დაეუნარჩუნებთ (ალ. ბარამიძე, გიორგი მერჩულეს გარშემო, გვ. 36). ნ. კანდელაკს ანგარიში უნდა გაეწია დასახელებული ნაშრომისათვის, მაგრამ, ეტყობა, ის მას არ იცნობდა.

სხვათა შორის, აქვე შეენიშნაეთ, რომ მკვლევარს ზუსტი მნიშვნელობით არ აქვს მოხმობილი გრიგოლ ხანძთელისეულად მიჩნეული „საწელიწდოი იადგარი“ (გვ. 191).

ნ. კანდელაკის სარეცენზიო წიგნი იწვევს ცალკეული ხასიათის შენიშვნასაც. შეეხებით ზოგ მათგანს წიგნის გვერდების კვალდაკვალ.

1. საჭოთიროა ავტორისეული ფორმულა „ქართული ენა იყო და

არის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა და გამომხატველი ფორმა" (გვ. 7).

2. ცილობას იწვევს ზეპირი და წერითი მეტყველების დახასიათებათა ის ფორმულა, რომელიც მოცემულია მე-13 გვერდზე.

3. დაუსაბუთებელია ავტორის მიერ გახიარებული მოსაზრება, თითქოს, ე. წ., კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში საფიქრებელია, რომ სწავლება მიმდინარეობდა ქართულსა და ბერძნულ ენებზე (გვ. 25). უხერხულად ჟღერს გამოთქმა „ფოთის აკადემია" (174), მით უფრო, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლა მდებარეობდა არა ფოთში (ფაზისში), არამედ მის მახლობლად (გეორგიკა, 1, 45, 52 და სხვ.).

4. ქადაგების მსგავსი ტერმინები „სწავლა და მოძღვრება" სინონიმური სიტყვებია და არა ომონიმური (49). ქვემოთ ავტორი სწორად მსჯელობს, როდესაც სწავლასა და მოძღვრებას სწორედ სინონიმური პარალელიზმის სახეობად თვლის (გვ. 50).

5. გამოთქმითაც და აზრობრივადაც შეუფერებლად გვეჩვენება ავტორის სიტყვები „ქართული სუფრა და ქართული სამგლოვიარო რიტუალი" საჯარო მეტყველების ცენტრებიაო (გვ. 60, აგრეთვე 61—62).

6. მცდარია ავტორის ახსნა-განმარტება, თითქოს თანამედროვე საუბარი ეტიმოლოგიურად უბანს (მოედანს) უკავშირდება (გვ. 63 64). საუბარი წარმოდგება არაბულ-სპარსული სიტყვისაგან „სოჰბათ"

7. საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული სარეცენზიო წიგნში ვეფხისტყაოსნის თაობაზე, ოღონდ ავტორი, ეფიქრობთ, აჭარბებს, როდესაც ამბობს: „პოემა საუკუნეთა მანძილზე ასრულებდა ერთული ორატორული ხელოვნების თეორიული საუნჯისა და პრაქტიკული სავარჯიშოს მოვალეობას და ჩვენი რიტორიკის ერთგვარ ეროვნულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა" (გვ. 136). ჩვენ არ გვესმის, როგორ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის ლაშქრული სურათების ჩათვლა „წერილობითი მჭევრმეტყველების გენიალურ ნიმუშებად?" (გვ. 165).

8. სულხან-საბა ორბელიანზე არ შეიძლება ითქვას „დროებით ბევრად აღკვეცილიო" (გვ. 70). „საღა მეტყველებად" ვერ ჩავთვლით „სწავლების" ენას (გვ. 273).

9. ჩვენ არ ვიცით, მართლაც „შესანიშნავად ფლობდა" თუ არა ბერძნულ ენას იოანე ზოსიმე და წარმოთქვამდა თუ არა იგი ამ ენაზე საეკლესიო ჰომილიებს (გვ. 120). არა გვგონია, რომ ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, იშხნის, წყაროსთავის, ტბეთის, ოშკის, ხახულის, ბერთისა და პარხლის სავანეებში „ქართველი ორატორები" ბერძნულ ენაზედაც ეწეოდნენ საჯარო მქადაგებლობას (იქვე).

10. არასაიდან ჩანს, თითქოს ჩვენი წინაპრების შეგნებაში განუყოფელია მოსამართლისა და მშვერმეტყველის არსებითი ბრალები (გვ. 184).

11. არ არის სწორი მოსაზრება: ანტონ კათალიკოსის „ორატორული მემკვიდრეობა... თავის დროზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა, რაც მისი მძიმე და ბელოვნური სტილით უნდა აიხსნასო" (გვ. 290). პირიქით, ანტონის სტილი თავის დროზე განუხრელად ბატონობდა ქართველ სამწიგნობრო სალიტერატურო წრეებში და სასწავლებლებში.

12. გაძნელდებოდა უცხოურ ენაზე შემონახული ჩანაწერის მიხედვით ფარტახის სიტყვიერი შემოქმედების სპეციფიკური თვისებების დახასიათება „შემკულია ეროვნული ხასიათის სიტყვიერი ორნამენტით და შეფერილია მშობლიური ენამშვენრობის კოლორიტით", (239).

13. სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ. „ფეოდალურ საქართველოში, სამეფო კარის სიტყვის ოსტატთა შორის, პოეტის. მწერლის და მემატიანის გვერდით მშვერმეტყველიც უნდა ვიგულოთ (გვ. 266): „ამრიგად, კარის პოეტთა, მწერალთა და ისტორიკოსთა გვერდით კარის მშვერმეტყველიც უნდა ვიგულისხმოთ" (გვ. 267). სამეფო კარის „შემსწავლელ-შემამკობელ" მეხოტბეებს, რა თქმა უნდა, მოეთხოვებოდათ მშვერმეტყველების გამოჩენა, მშვერმეტყველის სპეციალური თანამდებობის არსებობა კი საფიქრებელი არაა.

14. „ქალმასობის" ლიტერატურული და მეცნიერული ღირსებები საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ, ვფიქრობთ, გადაჭარბებულია მისი დახასიათება, როგორც „რთული კონსტრუქციის" მქონე ნაწარმოებისა (გვ. 335).

15. იოანე ბატონიშვილის არქაისტად გამოცხადება არ იქნებოდა მართებული (გვ. 335).

16. თუ არქაისტული ჯგუფის „უკანასკნელი თვალსაჩინო წარმომადგენელია „იონა ხელაშვილი (გვ. 340), მაშინ რა ადგილი უჭირავს ამ მხრივ სოლომონ დოდაშვილს (შდრ. გვ. 335).

17. მკვლევარი ერთგან შენიშნავს, გაბრიელ ქიქოძის მქადაგებლობის „სუსტი", „ვიწრო" მხარე ისაა, რომ „ორატორის მსოფლმხედველობა გამსჭვალულია რელიგიური ცრურწმენისა და ქრისტიანული მისტიციზმის ყალბი შინაარსითო". (გვ. 352). მაგრამ ეს „ყალბი შინაარსი" ხომ მთელ ძველ-ქართულ სასულიერო სამშვერმეტყველო ლიტერატურულ მემკვიდრეობას ახასიათებს?. რაღა მარტო გაბრიელ ქიქოძეს ჩაუთვალა მკვლევარმა საძრახის თვისებად თეოლოგიური მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობა?

18. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების დროს წარ-

მოთქმულ სიტყვაში, ილია ჭავჭავაძეს უთქვამს: „როცა ადაიაწუს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, უწინარეს ამას იკითხავს.— რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო". აქედან ნ. კანდელაკს გამოაქვს დასკვნა: „აქ თანაბარ სიმაღლეზეა დაყენებული მთქმელი და მწერალი — ზეპირად მეტყველი და წერით შემოქმედი" (გვ. 370, დაყოფა კანდელაკისაა, ა. ბ.). არა მგონია, ილია ჭავჭავაძეს, თანაბარ სიმაღლეზე" დაეყენებინა ზეპირად მთქმელი და მწერალი. მთქმელად ილია ჭავჭავაძე უნდა გულისხმობდეს პოეტს და არა „ზეპირად მთქმელს" საზოგადოდ თუ ორატორს კერძოდ (შდრ. გვ. 374, 378)

19. წინააღმდეგობის შემცველ დებულებებად გვეჩვენება ავტორის მოსაზრებანი გაიოზ რექტორის საორატორო ხელოვნების თაობაზე. მკვლევარი, ერთი მხრივ, ზოგადად და, ასე ვთქვათ, რიტორიკულად ამბობს, რომ გაიოზ რექტორის სამშვევრმეტყველო შემოქმედებაში „ლაღი სიდინჯითა და მედიდური რხევით მოედინება მტკიცედ შეკრული და მოხდენილად აგებული ზეპირი სიტყვა"... (გვ. 300). მეორე მხრივ, თურმე, „ორატორი (ე. ი. გაიოზ რექტორი ა. ბ.) არ ცდილობს სტილის შელამაზებას, მ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ა ხ შ ი რ ა დ მ ო უ ქ ნ ე ლ ი ა, ზ ო გ ჯ ე რ გ ა უ რ ა ნ დ ა ვ ი ც" (იქვე). როგორღა მოედინება დინჯად და „მედიდური რხევით" ორატორის ხშირად მოუქნელი და ზოგჯერ გაურანდავი სიტყვა".

20. ჩვენ არ გვესმის, რატომ ერთი ხელაღებით „მცდარად და უმართებულოდ" აცხადებს ნ. კანდელაკი მკვლევართა მიერ გაიოზ რექტორის გვარად მისაჩნევ ყველა ვარაუდს — ბარათაშკილი, თაყაიშვილი, ნაცვლიშვილი (გვ. 294).

21. სარეცენზიო წიგნი დაწერილია კარგი, მკაფიო.. გამომეტყველი და საერთოდ სადა ენით. მით უფრო თვალში გეცემათ ზოგიერთი, ჩვენი თვალსაზრისით უხერხული გამოთქმა, როგორც, მაგალითად: ა. „ჩვენს ინტერესს იწვევს ჯუანშერის ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", რომლის ფურცლებზე ფართოდ აღბეჭდილია მეფის მეთაურობით გამართული საჯარო სხდომები" (გვ. 131). ბ. „ორატორი მკვეთრად ცვლის მღელვარების ტონის იერს". (გვ. 368), გ. ფართოდ სახელგანთქმული მჭევრმეტყველიო", ამბობს მკვლევარი ერთგან (გვ. 350). ჩვეულებრივია გამოთქმა „ფართოდ ცნობილი", (широко известный), მაგრამ არ გამიგონია „ფართოდ სახელგანთქმული" ((широко знаменитый). დ. ავტორი, ვგონებ, უაღგილოდ ხმარობს ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „მედიდური სტილი" (გვ. 134), „მედიდური მოწოდება" (გვ. 162), „მედიდური რხევა" (გვ. 300) და მისთანანი. ჩვენი შენიშვნები ჩრდილს ვერ მიაყენებს ნიკოლოზ კანდელაკის საყურადღებო მეცნიერულ ნაშრომს.

1961

პროკლე კეკელიძე

აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები

„თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, ტექსტოლოგიური გამოკვლევა. თბილისი 1961, 0270—509 გვ.

— ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის დოც. პროკლე კეკელიძის ვეებერთელა ნაშრომს (57,82 თაბახის მოცულობისა) სატიტულო ფურცელზე ქვესათაურად უწერია ტ ე ქ ს ტ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა. სარეცენზიო შრომა არსებითად სწორედ ასეთია, მაგრამ იგი არ იფარგლება მარტოოდენ ტექსტოლოგიური პრობლემატიკის სფეროთი. ავტორს საფუძვლიანად და ზედმიწევნითი სისრულით შეუსწავლია და გამოუძიებია „თორნიკე ერისთავის“ და „ნათელას“ მრავალფეროვანი ისტორიული თუ სხვა ხასიათის (მაგალითად, ფოლკლორული) წყაროები: თავი მესამე — პოემა თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი ს ისტორიული წყაროები და მათი გამოყენების ზოგიერთი თავისებურება (გვ. 0134—0200);

თავი მეხუთე — პოემა ნ ა თ ე ლ ა ს ისტორიული წყაროები და მათი გამოყენების ზოგიერთი თავისებურება (გვ. 0221—0270).

თავისი მიზანდასახულობა დისერტანტს უპრეტენზიოდ აქვს გამოხატული: „ჩვენ შევეცდებით დავადგინოთ პოემის ღეფინიციური ტექსტი და რამდენადმე მაინც გამოვარკვიოთ თხზულების (ლაპარაკია „თორნიკე ერისთავზე“, ა. ბ.) ისტორიული წყაროები“ (გვ. 034).

ნაშრომს უძღვის ფრიად საყურადღებო შესავალი თავი: „თავი პირველი — წარსულისა და ისტორიული თემატიკისადმი აკაკის დამოკიდებულების საკითხისათვის“ (გვ. 05—034), სადაც პრინციპული ასპექტით მკაფიოდ არის გარკვეული ისტორიული თემატიკის ადგილი და ხასიათი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.

დისერტანტი გამოთქვამს საკმაოდ სწორ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აკაკი წერეთელი, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, თავისი ისტორიული პოემებით (კერძოდ „თორნიკე ერისთავით“ და „ნათელათი“) ავითარებს გარკვეულ კონცეფციას, რომ დიდი პოეტი ადგას მებრძოლი ოპტიმიზმისა თუ მებრძოლი პატრიოტიზმის თვალსაზრისს (გვ. 05, 014, 016, 273), რომ წარსულის ასახვით იგი ემსახურება ერის სასიცოცხლო აწმყოს და მომავლის საქმეს, „წარსულის სამოსელში აკაკი მოხდენილად ახერხებდა თანამედროვეობის მწვავე პოლიტიკურ პრობლემების გაშუქებას, პროგრესული აზრის გამოთქმასა და პროპაგანდას. მასებზე ძლიერი, გამამხნევებელი და შთამაგონებელი ზეგავლენის მოხდენას, ხალხის შეგნების ამაღლებას და მის მომზადებას არსებული უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (გვ. 020). აკაკი წერე-

თელი თავისი ფართო მიზანდასახულობის შესაბამისად წარსულიდან საგანგებოდ ირჩევდა დასამუშავებლად შესაფერის ეპოქებს, შესაფერის სიტუაციებსა და შესაფერის პერსონაჟებს (0211; 0169).

დისერტანტი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ აკაკი წერეთელი „შორს არის წარსულის კულტის შექმნისა და ძველი ცხოვრების რომანტიკული იდეალიზაციისაგან“ (გვ. 017). აკაკი წერეთელი ერთი მხრივ, „სასტიკად ილაშქრებდა წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ. იგი ებრძოდა წარსულის უარისმყოფელ ნიჰილისტებს და ცილისმწამებლებს, მეორე მხრივ, უარყოფდა და გმობდა წარსულის კულტს“ (გვ. 024). მხატვრული ენით ამხილებდა წარსული საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრების მანკიერ მხარეებს (025), „ისტორიულ ცხოვრებას ხატავდა რეალიზმის პოზიციებიდან“ (გვ. 026, 031 და სხვ.).

პირველ, მესამე და მეხუთე თავებში წყაროების ძიების საკითხებთან დაკავშირებით დისერტანტს შემთხვევა ეძლევა დაკვირვებულად განიხილოს და გაარკვიოს აკაკის ისტორიული პოემების ისტორიულ-შინაარსობრივი მხარეები და პოეტის მხატვრულ-სახეობრივი სისტემა. აღნიშნულის კვალობაზე მკვლევარს გამოაქვს საწორი შემაჯამებელი დასკვნები აკაკი წერეთლის მხატვრული აზროვნების შესახებ საზოგადოდ.

სრულიად დამაჯერებლად, ამომწურავი სისრულითა და სიზუსტით აქვს პრ. კეკელიძეს გარკვეული (ან ზოგჯერ დადასტურებული) აკაკი წერეთლის ორი დასახელებული პოემის სხვადასხვა წყარო. თუმცა დისერტანტი გამოწვლილვით იძიებს აკაკი წერეთლის მიერ გამოყენებულ წყაროებს, იგი არ ეხება ამ წყაროებით შემონახული ცნობების თავისდათავად საისტორიო ღირებულებას (რასაკვირველია, ეს არც შეიძლება ყოფილიყო მისი კვლევის საგანი). „თორნიკე ერისთავში“ გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი გაბრიელ ბერის ცხოვრების ასახვას“, ამბობს დისერტანტი და შენიშნავს, რომ ამ გაბრიელის მოღვაწეობის დროდ წყაროები სხვადასხვა საუკუნეს უჩენებს, პოემის მიხედვით კი, იგი იოანესა და თორნიკეს თანამედროვე და მახლობელი პირიაო. დისერტანტს არ უცდია საკითხის ისტორიული მხარის შემოწმება, ის ამბობს: „ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს გაბრიელ ბერის ცხოვრების შესახებ არსებული მასალების წარმოქმნისა და მათი დანიშნულების შესწავლა; არც იმის გარკვევა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს აღნიშნული პირის შესახებ არსებული გადმოცემები. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ იმ წყაროების, გადმოცემებისა და ლეგენდების ცადგენა, რომლებითაც უნდა ესარგებლა აკაკის გაბრიელ ბერის სახის დასახატავად“ (გვ. 0164—0165).

გაბრიელ ბერის შესახებ აქ კერძოდ თქმულს შრომისათვის აქვს ზოგადი მნიშვნელობა,

პოემების წყაროების ძიებისას დისერტანტი ფართოდ იყენებს ტექსტოლოგიური ხასიათის მონაცემებს — რედაქციულ ფორმებს, საავტორო შესწორებებს, ვარიანტებსა და მისთანებს.

პრ. კეკელიძის ნაშრომის უმთავრესი ნაწილი მიძღვნილია საკუთრივ ტექსტოლოგიური პრობლემებისადმი. წიგნის ეს ნაწილი გამოირჩევა მასალის დიდი სიუხვით, კვლევა-ძიების სიღრმით, სკრუპულოზური სიზუსტით. როგორც ტექსტოლოგიური გამოკვლევა, პ. კეკელიძის ნაშრომი შესანიშნავია, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურული ძეგლების ასეთი სპეციალური ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის მხრივ მას თითქმის არ ჰყავს წინამორბედი. აქ უნდა დავასახელოთ ისევ პ. კეკელიძის მიერვე 1946 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავის ავტოგრაფი" (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXIX b. გვ. 101—186). როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, თავისი ეს ადრინდელი ნაშრომი პ. კეკელიძეს შეუტანია ახალ წიგნში (გვ. 1—88) „მთლიანობის უზრუნველსაყოფად და განხილული პრობლემების საილუსტრაციოდ". წინან. დელთან შედარებით, ავტორს ახლად აქვს გამოქვეყნებული აკაკი წერეთლის ცნობილი თანამებრძოლის კირილე ლორთქიფანიძის მიერ გადანუსხული ტექსტი „თორნიკე ერისთავისა" სათანადო შენიშვნებითა და ვარიანტებით (გვ. 89—157). მასალების მეცნიერულ-კრიტიკულად გულმოდგინე შესწავლის შედეგად, პ. კეკელიძეს დაუდგენია „თორნიკე ერისთავის" დეფინიციური ტექსტი (გვ. 159—225). ნაშრომს დართული აქვს ამ პოემის სიტყვათა ინდექსი (გვ. 271—332), ავტოგრაფის სიმფონია (გვ. 333—445), საძიებლები (გვ. 445—451). ავტოგრაფული ნუსხის ფოტოპირები —43 ტაბულა (გვ. 455—503), აგრეთვე ფოტოპირები პოემის პირველი გამოცემისა (გვ. 507—509). ზედმიწევნითი სისრულით არის შესწავლილი და გაანალიზებული პოემა „ნათელას" ავტოგრაფთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური საკითხები (227—269).

დისერტანტი ასაბუთებს, რომ აკაკი წერეთელს „დიდი და ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობა ჩაუტარებია თხზულების („თორნიკე ერისთავი", ა. ბ.) ტექსტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება — სრულყოფისათვის" (033). ამასთან, პოეტი „განუწყვეტლივ მიისწრაფვის პოემის მაღალმხატვრული სრულყოფისაკენ. იგი სისტემატურად და დაუღალავად ასწორებს ნაწარმოების ცალკე თავებს, სტროფებს, ტაეპებსა და სიტყვებს; იდეური შინაარსის შესაბამისად ეძებს, არჩევს და აქანდაკებს მხატვრულ სახეებს; საჭირო შემთხვევაში ცვლის ლექსის სტრუქტურას, რიტმსა და რითმს" (?) (გვ. 043—044).

თქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს ბიზანტიის ტახტზე ისხდნენ მცირეწლო-

ვანი ბასილი და კონსტანტინე, რეგენტად ითვლებოდა მათი დედა თეოფანია. მთელ რიგ საისტორიო წყაროში დედოფლად დასახელებულია ზოია, ზოგით თეოდორა. პოემის ადრინდელ რედაქციაში აკაკის ჰქონია თეოდორა, შემდეგ რედაქციაში კი იგი შეუსწორებია სახელით — თეოფანია (გვ. 0195—0196). დისერტანტს გამოძიებული აქვს ორივე რედაქციის წყარო. ეს მაგალითი ცხადყოფს, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს აკაკი წერეთელი, როგორ გულმოდგინედ სწავლობდა წყაროებს, უპირისპირებდა ერთმანეთს სხვადასხვა ცნობას, კრიტიკულად იხილავდა მათ და მასალის ღრმად შესწავლისა და აწონდაწონის შემდეგ იმუშავებდა საკუთარ შეხედულებას.

აკაკი წერეთლის მხრივ ტექსტის იდეური თვალსაზრისით დახვეწისა და გაუმჯობესების მშვენიერი მაგალითი აქვს პრ. კეკელიძეს მოყვანილი თავისი შრომის 052—053 გვერდებზე.

აკაკი წერეთლის გულმოდგინე მუშაობის ბეჭედი აღუბეჭდავს პოემა „ნათელასაც“. დისერტანტს გამორკვეული აქვს, რომ: „პოემის შავი ავტოგრაფის შემდეგ აკაკის დაუმუშავებია 38 ახალი სტროფი (152 ტაეპი). ამით პოეტს საგრძნობლად გაუფართოებია თხზულების შინაარსი, შეუვსია იგი ცალკე ეპიზოდების ამსახველი სტრიქონებით და ნაწარმოები გაუმართავს როგორც აზრობრივად, ისე მოვლენათა ლოგიკური თანამიმდევრობის გაშლითა და ნათელი სიტუაციების ჩართვით“ (გვ. 0212).

დისერტანტს თავის მთავარ მიზნად დაუსახავს აკაკის ორი ისტორიული პოემის კრიტიკული (დეფინიციური) ტექსტის დადგენა. მის განკარგულებაში ყოფილა: „თორნიკე ერისთავის“ ავტოგრაფი და საუკეთესო ხელნაწერი ნუსხა (გადაწერილი კირილე ლორთქიფანიძის მიერ), „ნათელას“ ავტოგრაფი და ორივე პოემის რამდენიმე ბეჭდური გამოცემა.

დისერტანტი სამართლიანად აკრიტიკებს ზოგიერთი რედაქტორ-გამომცემლის ცდას ახალი სალიტერატურო ნორმების მიხედვით შეესწორებინა აკაკის ტექსტები. ასე მოქცეულან ისეთი სერიოზული რედაქტორებიც კი, როგორიც იყვნენ სერგი გორგაძე და ალექსანდრე აბაშელი (გვ. 064). დისერტანტის სწორი მოსაზრებით, არც ის იქნებოდა მართებული, რომ კრიტიკულ ტექსტში უბრალოდ განმეორებულიყო ავტოგრაფის რედაქცია. დეფინიციური ტექსტის დასადგენად ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, გარდა ავტოგრაფისა, საცენზურო კომიტეტის მასალები და პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ბეჭდური გამოცემანი (გვ. 065). მით უფრო, რომ აკაკი წერეთელი თვითონ ადევნებდა თვალყურს თავისი ნაწერების ბეჭდვას და ბეჭდვის პროცესში შეჰქონდა ტექსტში შესწორებანი. (გვ. 044—045).

მის განკარგულებაში მყოფი მრავალფეროვანი მასალა დისერტანტს საშუალებას აძლევს სანდოდ დაადგინოს პოემების კრიტიკული ტექსტები, ხოლო განსხვავებული წაკითხვები უჩვენოს სქოლიოებში (დისერტანტს მომარჯვებული აქვს ტექსტების მეცნიერული გაშიფრებისათვის საჭირო აპარატურა). ძალიან იშვიათი გამონაკლისის სახით დისერტანტს წარმოუდგენია საკუთარი კონიექტურაც: აი, ამის მაგალითი. ერთგან „თორნიკე ერისთავში“ იკითხება:

და, აბა, ახლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორი-შორს.
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვჰკიდოთ ორივემ ო რ-ო რ ს.

წარმოდგენილი რედაქციით იკითხება თურმე ეს ნაწყვეტი ავტოგრაფულ ნუსხაში, ლორთქიფანიძისეულ ხელნაწერში და ყველა ბეჭდურ გამოცემაში. (060). მაგრამ დისერტანტი უთუოდ სწორად აღგენს, რომ სიტყვა ო რ-ო რ ის ნაცვლად უნდა მიეღოთ ოროლი (ჰოროლი), საშუალო საუკუნეების ცნობილი სამომარი იარაღი (იხ. 062), „ავტორს გადამწუსხველსა და ბეჭდური ტექსტის რედაქტორებს ვერ დაუცავთ ამ სიტყვის სწორი ორთოგრაფია და იგი ღრმად შეუმჩნეველი დარჩა პოემის გამომცემლების და კომენტატორების მხრივაც“ (გვ. 060).

პროკლე კეკელიძეს დიდი სიფრთხილით დაუდგენია „თორნიკე ერისთავის“ კრიტიკული ტექსტი, თუმცა მისი სიტყვით, ეს სამუშაო დასრულებული არ არის, „ჯერ კიდევ მთელი მეცნიერული სიზუსტით არ არის დადგენილი პოემის დეფინიციური ტექსტი“, შენიშნავს (გვ. 338). ამ შემთხვევაში ის გულისხმობს პოემის კანონიკურ ტექსტა „ჯერ საჭიროა პოემის კანონიკური ტექსტის დადგენაო“, (იქვე).

როგორც უნდა იყოს, წარმოდგენილი სახითაც პროკლე კეკელიძემ სპეციალისტებს მისცა საუკეთესო საჩუქარი — აკაკი წერეთლის ორი პოემის ყოველმხრივ შემოწმებული, სანდოდ გამართული და საიმედოდ დადგენილი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.

სარეცენზიო ნაშრომის დიდ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ „თორნიკე ერისთავის“ მეცნიერულ-კრიტიკულ ტექსტს ახლავს დიდი სიზუსტით შედგენილი „სიტყვათა ინდექსი“ და სათანადოდ ილუსტრირებული „სიმფონია“. ეს სრულიად ახალი სიტყვაა ახალ ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლის საქმეში. სწორია დისერტანტის განცხადება: „ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ღირსშესანიშნავ ნაწარმოებთა მეცნიერულად დამუშავებული სიმფონიები სრულიად არ მოგვეპოვება“ (გვ. 338). ინდექსი და სიმფონია თვალსაჩინოს ხდის აკაკი წერეთლის ლექსიკის სიმდიდრეს, ენის სიმსუბუქეს, ხალხურობას. დისერტანტის შრომა მით უფროა დასაფასებელი,

რომ ინდექსში „წარმოდგენილია სიტყვებისა და ფორმების იმ სხვაობანი, რომლებიც შეინიშნება ავტოგრაფის ტექსტთან შედარებით ხელნაწერ ნუსხასა და ძირითად გამოცემებში. დაინტერესებულ პირს ამგვარ ინდექსზე დაკვირვებით შეუძლია წარმოიდგინოს ლექსიკის თუ სიტყვათა ფორმისა და დაწერილობის ევოლუცია პოემის ავტოგრაფის ტექსტიდან დაწყებული, მისი უკანასკნელი გამოცემის ჩათვლით, ე. ი. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დღემდე" (გვ. 275).

რამდენიმე შენიშვნა:

1. სარეცენზიო წიგნის სატიტულო ფურცლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მკითხველი მოელის, რომ აკაკის ორივე პოემა — „თორნიკე ერისთავი" და „ნათელა" — დამუშავებული იქნება ერთნაირი წესით. მაგრამ მკითხველის მოლოდინი არ მართლდება. დისერტანტს გამოყენებული აქვს „თორნიკე ერისთავის" ავტოგრაფული და დეფინიციური ტექსტები ინდექსითა და სიმფონიით. „ნათელა" კი წარმოდგენილია მხოლოდ ავტოგრაფული ტექსტით, მას არც ინდექსი ახლავს და არც სიმფონია. მე დიდ ფუფუნებად მიმაჩნია ერთი და იმავე პოემისათვის სიტყვათა სრული ინდექსის შედგენაც და სიმფონიის დართვაც, მით უფრო, რომ მეორე პოემა უსაძიებლოდ არის დატოვებული („თორნიკე ერისთავს" აქვს საძიებელიც).

2. „თორნიკე ერისთავის" ვარიანტები სამჯერ მეორდება. (ერთი და იგივე ვარიანტები აქვს დართული ავტოგრაფს, ხელნაწერ ნუსხასა და დეფინიციურ ტექსტს). (შდრ. გვ. 9,99, 161).

3. სრულიად ზედმეტია სქოლიოებში ვარიანტების ჩვენებისას დედნისეული ტექსტის განმეორება „მაგიერის" აღმნიშვნელი დათქმული ნიშნით. მაგალითად: დასთვალოს — დათვალოს. აღნიშნული ვარიანტი ამავე სახით სამჯერ მეორდება. ეს ზრდის ისედაც დიდტანიან წიგნს.

სარეცენზიო შრომა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

1961

ჯუმბერ ჯუმბურიძე

ქართული კრიტიკის ისტორია

(მე-19-ს. 70-იან წლებამდე, თბილისი, 1962, XVII—520 გვერდი (მანქანაზე გადაბეჭდილი).

სარეცენზიო ნაშრომი სამი თავისაგან შედგება: 1. სალიტერატურო კრიტიკა ძველ ქართულ მწერლობაში, 2. სალიტერატურო კრიტიკა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, 3. სალიტერატურო კრიტიკა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. შრომას უძღვის შესავალი (XVII გვ.).

ჯუმბერ ჯუმბურიძე საკმაოდ ცნობილი, გამოცდილი და დახვ-ლოვნებული მკვლევარია, რიგი საყურადღებო ნაშრომის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯ. ჯუმბურიძის ნაშრომები ქართული კრიტიკის ისტორიის დარგში. სარეცენზიო გამოკვლევა ავტორის ამ რიგის ნაშრომთა შეჯამებასა და განზოგადებას წარმოადგენს. ჯ. ჯუმბურიძე არ აზვიადებს და სწორად აღნიშნავს, რომ: „ქართული კრიტიკის ისტორიის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ ჩვენს დროს დაიწყო“, რომ უკვე მოგვეპოვება ცალკეული საინტერესო ნარკვევები და მიმოხილვანი, გამოიცა ქართული კრიტიკის ისტორიის ქრესტომათია ორ წიგნად (შემდგენელი ს. ხუციშვილი), მაგრამ გვაკლდა სინთეზური ხასიათის შემაჯამებელი ნაშრომი“. ჩვენი ავტორს სიტყვით: „ლიტერატურისმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა უჩვენოს ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებისა და მომწიფების პროცესი და ამ თვალსაზრისით მოგვცეს მისი თანმიმდევრული, სისტემატური მიმოხილვა“ (XVII). ეს ამოცანა, უნინარეს ყოვლისა, ჯ. ჯუმბურიძეს თავისთვის დაუსახავს. ამ ამოცანის გადაჭრის ცდას წარმოადგენს სარეცენზიო წიგნი. ჩვენი აზრით, ეს საპასუხისმგებლო ამოცანა ავტორს ძირითადად გადაუჭრია და გადაუჭრია წარმატებით. სარეცენზიო ნაშრომის სახით ჩვენ, მართლაც, გვაქვს ქართული კრიტიკის ისტორიის თანმიმდევრული, საკმარისად სრული და სისტემატური მიმოხილვა უძველესი დროიდან მოკიდებული, ვიდრე მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე. ჯ. ჯუმბურიძე ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალისტია, მაგრამ სეროზულ და სპეციალურ დაინტერესებას იჩენს ძველი ქართული მწერლობის საკითხებითაც. სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავი „სალიტერატურო კრიტიკა ძველ ქართულ მწერლობაში“ (გვ. 1—86) ამისი საბუთია.

ჯ. ჯუმბურიძეს დაკვირვებულად გამოუწვლილავს, განუხილავს და გაუანალიზებია ძველი მწერლობის ძეგლებში გაბნეული კალკეული ცნობები, მოსაზრებანი და შეხედულებანი ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის ზოგად პრინციპულ საკითხებზე. ასე დაუხატავს მას ძველი ქართული კრიტიკის ისტორიის ერთი მთლიანი, თუმცა საერთოდ მკრთალი სურათი. რა თქმა უნდა, სურათის სიმკრთალის მიზეზია, უმთავრესად, მასალის სიმცირე და არა მკვლევრის დაუდევარი დამოკიდებულება მასალისადმი. როცა მასალა შესაძლებლობას იძლევა, ავტორიც გასაჭანს პოულობს და საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს. ასეთია, მაგალითად, დაკვირვებანი არჩილზე (გვ. 31—51). ოღონდ ამას ვერ ვიტყვით იმ ნარკვევზე, რომელიც მიძღვნილი აქვს შოთა რუსთველს. ვფიქრობ, ვეფხისტყაოსნის ars poetica მეტი ყურადღების ღირსი იყო, საქმიანი მსჯელობის მეტ შესაძლებლობასაც იძლეოდა.

თავის მიმოხილვას ჯ. ჯუმბურიძე იწყებს ეფრემ მცირით (ე-11 ს.), შემდეგ ჩერდება საერო მწერლობის აღმოცენებაზე და ამ მწერლობის მწვერვალზე—შოთა რუსთველზე. მეტი სისრულე და სისტემურობა იგრძნობა ე. წ. ქართული აღორძინების პერიოდის (მე-16—18) მიმოხილვის დროს. გარდა არჩილისა, ავტორის ყურადღებას იქცევს ფეშანგი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI. მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ პირველი, იოვანე და თეიმურაზ ბატონიშვილები. დაკვირვებანი, როგორც ვთქვით. საერთოდ საფუძვლიანია.

ჩვენზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიმოხილვამ. უთუოდ ღირსშესანიშნავია ის ნარკვევები, რომლებიც შეეხება ს. დოდაშვილს, მიხეილ თუმანიშვილს, ნიკოლოზ ბერძენიშვილს. ლავრენტი არდაზიანს, პლატონ იოსელიანს, სარდიონ ალექსი-მესხიშვილს, ალექსანდრე ორბელიანს და სხვ. საქმის ცოდნით, გულმოდგინებითა და პროფესიული მიდგომით არის დაწერილი სარეცენზიო ნაშრომის მესამე (უკანასკნელი) თავი — სალიტერატურო კრიტიკა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილია ჭავჭავაძეს, აკაკის, კირილე ლორთქიფანიძეს, გიორგი წერეთელს და განსაკუთრებით ანტონ ფურცელაძეს. ავტორს საფუძვლიანად აქვს განხილული ძველი და ახალი თაობის იდეური ბრძოლის ვითარებანი, ობიექტურად არის ასახული ამ ბრძოლის გარემოებანი. გაშუქებულია ბრძოლის ისტორიულ-სოციალური მიზეზები, ავტორი მკაცრი ისტორიზმის ნიადაგზე დგას და შედეგიანად იცავს საჭირო წონასწორობას ბრძოლის მონაწილე ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა დახასიათების დროს. ჯ. ჯუმბურიძეს კარგად აქვს ნაჩვენები კრიტიკული აზროვნების განვითარების პროცესი მე-19 საუკუნის საქართველოში, ის „მემკვიდრეობითი კავშირი“ (ავტორის გამოთქმაა), რომელიც არსებობს მე-19 საუკუნის მესამოციანელთა და პროგრესულად განწყობილ მათ წინამორბედ მწერალ-მოაზროვნეთა და კრიტიკოსთა შორის. ამ მხრივ ავტორი ზოგჯერ არღვევს ძველ, ტრადიციულ შეხედულებებს და ახალ თვალსაზრისს ავითარებს. მკაფიოდაა დახასიათებული ჟურნალები „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“. ჯ. ჯუმბურიძე აცოცხლებს გარდასულ დროთა ლიტერატურული ცხოვრების და ბრძოლის შინაარსიან ისტორიას.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა როგორც ზოგადი, ისე კერძოობითი ხასიათისა.

ზოგადიდან უმთავრესი ჩვენი შენიშვნა ისაა, რომ სარეცენზიო წიგნში შესაფერისს სიმაღლეზე არ დგას წყაროების საკითხი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეორადი წყაროები, საგნის სპეციალური ლი-

ტერატურა. პირველი წყაროების მხრივ, სარეცენზიო ნაშრომი საერთოდ უზადოა. სამაგიეროდ ავტორი ძალიან ცუნწია სპეციალური ნაბეჭდი ლიტერატურული წყაროების, ასე ვთქვათ, მეორადი წყაროების დასახელების მხრივ. თქმული სპეციალურად შეეხება ნაშრომის მეორე და მესამე თავებს, განსაკუთრებით — მეორე თავს (სალიტერატურო კრიტიკა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში). აქ თითქმის ვერ ნახავთ სქოლიოებს და სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებას. ესა თუ ის მკვლევარი ჩვენ ავტორს, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ აგონდება, როდესაც მასთან რამე სადავო აქვს. ნაშრომიდან ყოველთვის არ ჩანს, კონკრეტულად რა სიახლე შეიტანა ჯ. ჯუმბურიძემ (სხვა მკვლევრებთან შედარებით) მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის სალიტერატურო კრიტიკის შესწავლის საკითხებში. ნუთუ ისე ღარიბია ჩვენი სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომიდან ჩანს? აი შესავალში (გვ. XVII) ავტორი თვითონ აცხადებს: „ამჟამად უკვე მოგვეპოვება ზოგიერთი ქართველი მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებათა სერიოზული ანალიზი, გვაქვს ქართული კრიტიკის ცალკეული პერიოდების მიმოხილვაცო".

გვაკვირვებს ისიც, რომ ასეთ ვრცელსა და სერიოზულ (და ისიც საკვალიფიკაციო) ნაშრომს არ ახლავს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსი და საძიებლები.

გვეჩვენება, რომ სარეცენზიო ნაშრომი ძალზეა დატვირთული წყაროებიდან ჭარბად მოხმობილი მასალებით. ციტატების ხვედრითი წონა სარეცენზიო ნაშრომში ისე დიდია, რომ აშკარად არღვევს იმ საჭირო წონასწორობას, რომელიც უნდა არსებობდეს საკუთრივ მასალასა და ამ მასალაზე დამყარებულ ანალიზს შორის. ჩვენ გვესმის შრომის საერთო ხასიათი. გვესმის მასალების სიუხვის მნიშვნელობა. მაგრამ მაინც, ვფიქრობთ, რომ ავტორი ვერ იცავს სასურველ პროპორციას. ეტყობა, ივი გრძნობდა ამას და ერთხელ საჭიროდ დაუნახავს კიდევაც აღენიშნა, „ამონაწერი ცოტა ვრცელი მოგვეიდაო" (გვ. 375).

რამდენიმე კერძო ხასიათის შენიშვნაც:

1. სწორი, ყოველ შემთხვევაში, ზუსტი არ იქნებოდა ექვთიმე მთაწმინდელის შესახებ გვეთქვა, თითქოს იგი „მეტად თვითნებურად ეპყრობოდა სათარგმნ ტექსტს, ნებისმიერად უმატებდა და აკლებდა დედანს..." (გვ. 7, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია ა. ბ.). თავის მხრივ, ნამდვილ „ისტორიულ საფუძველს" მოკლებულია ის „შესანიშნავი" ახსნა, რომელიც ამ შემთხვევისათვის არის მოხმობილი (იქვე). არ მგონია, „ეფრემ მცირე იძულებულია აღნიშნოს, რომ ექვთიმე და გიორგი (მთაწმინდელები) ჩემს მასწავლებლებად ცნობილნიაო" (გვ. 8).

2. მე ვფიქრობ, რომ სარეცენზიო შრომის ავტორი ტყუილად და უსაგნოდ მართავს პაექრობას (გვ. 11) რუსთველის ერთი ცნობილი ტაეპის გარშემო („კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი").

3. ვერ დავეთანხმებით ავტორს, თითქოს მე-16—17 საუკუნეების ქართულ მწერლობაში რუსთველთან დამოკიდებულების მხრივ „არ ჩანს კონკრეტული მსჯელობა, ან თუნდაც მითითება ვეფხისტყაოსნის ღირსებასა და ნაკლზე. არ ჩანს ის საფუძველიც კი, რომლის მიხედვითაც ერთი ავტორი რუსთველის ქმნილებაზე მაღლა აყენებდა თავის პოეზიას, მეორე კი — დაბლა" (გვ. 28). წარმოდგენილი მსჯელობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს თეიმურაზ პირველის, არჩილისა და თეიმურაზ მეორის მაგალითები.

4. არ ჩანს, რომ არჩილი „მცირე ლექსის" ჟანრის გამო იწუნებდა გარსევან ჩოლოყაშვილს, მით უფრო უსაფუძვლო იქნებოდა მსგავსი თვალსაზრისით აგვეხსნა არჩილის დამოკიდებულება ბაყა დვალიძისა და დათუნა ქვარიანის მიმართ. დათუნა ქვარიანის ლიტერატურული მოღვაწეობის ხასიათი საკმარისად არის ცნობილი და ამიტომაც ყოველ შემთხვევაში იმის შესახებ არ შეიძლება ითქვას „როგორც ვარაუდობენ, სახალხო მთქმელი უნდა ყოფილიყოო" (გვ. 36).

5. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ფეშანგი გამოხატავდა მ ო წ ი ნ ა ვ ე (და არა უ მ ა ღ ლ ე ს ი) ქართველი საზოგადოების „უკვე მომწიფებულ აზრს" (გვ. 54).

6. როგორადაც უნდა გავიგოთ ანტონის ე. წ. სამი სტილის თეორია, არა გვგონია, რომ ის „დღესაც გასაზიარებელი" იყოს (გვ. 78).

7. ს. დოდაშვილის ცნობილი სტატიის ანალიზის დროს მკვლევარმა არ უნდა დავიწყებოდა, რომ დოდაშვილმა პირველმა მოგვცა ძველი ქართული მწერლობის პერიოდიზაციის გარკვეული ცდა. დოდაშვილისეული პერიოდიზაცია არსებითად გაზიარებული იქნა მკვლევართა შემდგომი თაობების მიერ (შდრ. გვ. 94—97).

8. დ. ჩუბინაშვილის პოლემიკის განხილვისას ავტორს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ დ. ჩუბინაშვილი თვითონ იყო მონაწილე ვეფხისტყაოსნის ბარტდინსკისეული თარგმანისა (შდრ. გვ. 100—107).

9. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჯ. ჭუმბურიძე თავის შრომაში დიდ ადგილს უთმობს ანტონ ფურცელაძეს. მით უფრო საკვირველია, რომ მკვლევარი არ იყენებს ანტონ ფურცელაძის ცნობილ მონოგრაფიას გიორგი სააკაძეზე, სადაც მკაფიოდ არის აღბეჭდილი ავტორის ტენდენციური დამოკიდებულება ე. წ. ქართული აღორძინების პერიოდის ისეთი გამოჩენილი მწერლის მიმართ, როგორიც იყო თეიმურაზ პირველი.

10. სარეცენზიო წიგნში ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება, მაგალითად, ასეთი მსჯელობა: „ქართველ რომანტიკოსთა პლეადას სალიტერატურო კრიტიკის განვითარებაში, გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს გ ა მ ო, თითქმის არავითარი წონაწილობა არ მიუღია“ (გვ. 466, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). ჩვენ არ ვიცით, რა იყო ეს „გარკვეული ობიექტური მიზეზები“.

11. ძველი ქართული მწერლობის ძეგლების დამოწმებისას სარეცენზიო შრომის ავტორი ზოგჯერ სარგებლობს დაძველებული და უვარგისი გამოცემებით, მაშინ როდესაც მოგვეპოვება იმავე ძეგლების ახალი, უფრო ხელმისაწვდომი და კარგი გამოცემები (შდრ. გვ. 3, 23). გაუგებარია, რატომ არ სარგებლობს მკვლევარი თეიმურაზ ბაგრატიონის „გაშმარტების“ ბეჭდური პუბლიკაციით (შდრ. გვ. 98—99).

ჩვენი ეს წვრილმანი შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს სარეცენზიო შრომის მეცნიერულ ღირებულებას. შრომა კი წარმოდგენილია საკვალიფიკაციოდ. ავტორისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ჩვენი აზრით, ჯ. ჭუმბურიძის „ქართული კრიტიკის ისტორია“ (მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე) იძლევა იმის საფუძველს, რომ მის ავტორს მიენიჭოს საძიებელი სამეცნიერო ხარისხი.

1962

ელენე ვირსალაძის სადისერტაციო შრომის შესახებ

ქართული სამონადირო ეპოსი (უძველესი ციკლები). ნაწილი პირველი. გამოკვლევა. თბილისი, 1962. 322 გვ. (მანქანაზე გადაბეჭდილ.); ნაწილი მეორე. ტექსტები. 1962. 228 გვ. (მანქანაზე გადაბეჭდილი).

ელენე ვირსალაძე კარგად ცნობილი, ნიჭიერი და ნაყოფიერი მკვლევარი ფოლკლორისტია, ათეული შრომების ავტორია ქართულსა და რუსულ ენებზე, ნაწილობრივ უცხოურზეც. განსაკუთრებით და გამორჩეულად მინდა აღვნიშნო მისი მონუმენტური „ქართველ-მთიელთა ზეპირსიტყვიერება“ (თბილისი, 1958, 586 გვ.). სადისერტაციო შრომის უმთავრესი ნაწილებიც ბეჭდურადაა გამოქვეყნებული. აქედან ღავსახელებ მხოლოდ პუბლიკაციას გერმანულ ენაზე — „Die Amiranisage und des grusinische[1] Jagdepos“ (Acta Et ographica Academiae scientiarum Hungaricae, X, 3—4, Budapest, 1961, s. 363—387).

[1] უნდა goorgische.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილი მოიცავს გაპოკლევისათვის (ე. ი. სადისერტაციო შრომის პირველი ნაწილისათვის) საილუსტრაციოდ საჭირო ტექსტობრივ მასალას. ავტორს მოხმობილი აქვს როგორც ბეჭდური ისე გამოუქვეყნებელი საარქივო ნიმუშები. ამ მასალათა დიდი წილი თვითონ დისერტანტის მიერაა შეკრებილი (ადგილებზე ჩაწერილი). ტექსტებს ახლავს საჭირო პასპორტი და შენიშვნები.

სადისერტაციო შრომის პირველ ნაწილს კარგად ეტყობა გამოცდილი და დახელოვნებული მკვლევარის ხელი. შესავალში ავტორი ლაპარაკობს მონადირეობის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე საზოგადოდ კაცობრიობის სამეურნეო საქმიანობის უძველეს საფეხურზე. იქ უძველესი დროიდანვე მომდინარეობს სამონადირეო ეპოსის არა ერთი და ორი ფოლკლორული ძეგლი, რომლებიც მიუხედავად შემდეგდროინდელი პლასტების დართვისა, საკმაო არქაულობით ინარჩუნებენ ოდინდელ სახეს. ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს სამონადირეო ეპოსის ქართული ხალხური ძეგლების არქაულობას და ამასთან დაკავშირებით ეხება ფოლკლორისტიკის ზოგიერთ ზოგად პრინციპულ თეორიულ საკითხს. შესავალშივე დისერტანტი ჩერდება საკვლევი პრობლემის შესწავლის ისტორიაზე, იძლევა სამონადირეო ეპოსის ჟანრობრივსა და თემატიკურ კლასიფიკაციას. განმარტავს სადისერტაციო თემის სპეციფიკის ხასიათს.

ჩვენ არ შეუდგებით სადისერტაციო შრომის აღწერასა და შინაარსის გადმოცემას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უმთავრეს ყურადღებას იქცევს მეორე და მეოთხე კარები, სადაც განხილულია სამონადირეო ეპოსის უძველესი ციკლის ძირითადი სიუჟეტი — დაღუპული მონადირე. ე. ვირსალაძეს გაანალიზებული აქვს მრავალი ტექსტი, რომლებიც ახლა მეტწილად დეფორმირებულია და ცალკეული ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლექსები ყურშაზე. ამ ლექსის მწიგნობრული ვარიანტი შემოგვინახა მე-18 საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა. „ყურშას“, სვანური „ბეთქილისა“ და რაჭული „ივანე ქვაციხისელის“ თქმულებათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე დისერტანტს აღდგენილი აქვს ზოგად ქართული გავრცელების უძველესი სიუჟეტი სამონადირეო ტაბუს დარღვევისა მონადირის მიერ და ამის გამო მისი დასჯა ნადირთპატრონის, ტყის უფალი ქალისაგან. დისერტანტმა სრული დამარწმუნებლობით გახსნა ყურშას მხატვრული სახე. თვალსაჩინო მაგალითებით აჩვენა ამ თქმულების თანდათანობითი ტრანსფორმაცია უძველესი მითოლოგიური ფორმიდან აწინდელ ბალადამდის. ამასთან დაკავშირებით ავტორი უძებნის პარალელებს ძაღლისა და დაღუპული მონადირის სახეებს მსოფლიო ფოლკლორში

(თავი მეექვსე). დამაჯერებელია, მაგალითებრ, ზოგიერთი პარალელი ქართულ ეპოსსა და გილგამეშიანს შორის. გამოკვლევის ამ ნაწილში ავტორი იჩენს დიდ ერუდიციას და ფართო სამეცნიერო ინტერესებს. საყურადღებო მოსაზრებები აქვს დისერტანტს გამოთქმული დაღუპული მონადირისა და ამირანიანის ურთიერთობის თაობაზე (თავი მეხუთე). კარგად არის დამუშავებული მეშვიდე თავი „ნადირთ ღვთაებათა შესახებ წარმოდგენები ქრისტიანულ ეპოქაში და მათი ასახვა სამონადირეო ეპოსში". ცოცხალი, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ავტორი თვალსაჩინოს ხდის სამონადირეო ეპოსის ზემოქმედებას შრომის სიმღერებზე. საწესო პოეზიაზე, საგმირო ლექსებზე და ფოლკლორის სხვა დარგებზე.

გემოვნებითა და საქმის ცოდნითაა გაანალიზებული სამონადირეო ეპოსის მხატვრული მხარეები.

ჩვენ თავს ვერ მივცემთ ნებას შევეხოთ ფოლკლორის სპეციალურ საკითხებს ელ. ვირსალაძის შესანიშნავი ნაშრომი იწვევს ჩვენი, როგორც ლიტერატურისმცოდნის, რამდენიმე შენიშვნას. დისერტანტი მისთვის ჩვეული ოსტატობით აანალიზებს საფერხულო ლექსს „ია მთაზედა, თოლიანზედა", რომელიც ასე იწყებაო (გვ. 164):

ია მთაზედა, თოლიანზედა,
ია დავთესე, ვარდი მოსულა.

დისერტანტი ამტკიცებს, რომ ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს ქართული სამონადირეო ეპოსის უძველეს ფენას (გვ. 161). „მიუხედავად სიუჟეტის სიმძაფრისა და უდიდესი რეალისტურობისა". — ამბობს დისერტანტი, — აქ „იგრძნობა იდუმალი ქვეტექსტი, რომელიც ამ სიმღერის ძუნწ. ლაკონიურ, თითქოს ქვიდან გამოძერწილ სახეებს თავიდან ბოლომდე გასდევს. ამ ლექსის თითოეული სიტყვა მხატვრული სიმბოლოა, რომლის იქით საუკუნეთა სუნთქვა იგრძნობა" (გვ. 165). დაბოლოს ასკვნის: „ჩვენი სიმღერის ია და ვარდი, უნდა ვიფიქროთ, ნადირთ პატრონის მიერ დაღუპული ვაჟის თოვლზე დაღვრილი სისხლის სიმბოლო იყო..." (გვ. 172). უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ ლექსმა ჩვენ პირადად ვერ გვაგრძნობინა „საუკუნეთა სუნთქვა" და ავტორმა ვერ დაგვარწმუნა, რომ თავისთავად ის მშვენიერი ბალადა სამონადირეო ეპოსის უძველესი ნიმუშთაგანი იყოს. სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ ძირითად ტექსტში დამახინჯებული ჩანს ბალადის დასაწყისი. სწორია ის ვარიანტები (11, 87, 89), რომლებიც გვაძლევს წაკითხვას:

ა იმ მთაზედა, თოლიანზედა,
ია დავთესე, ვარდი მოსულა.

„ა იმ მთაზედა" ლექსის სიძველე მით უფრო მიგვაჩნია საეჭვოდ, რომ დისერტანტი მის გვერდით იხილავს და, როგორც ჩანს, წარმო-

შობით აგრეთვე უძველესი პერიოდისად თვლის ერთ ხალხურ ლექსს, რომელიც „მთაში შეკრებილის“ სახით დაბეჭდილი ყოფილა „ივერიაში“ 1885 წელს:

მტრისაგან დაღონებული
მთაც ჭარებულის ჰყიოდა,
მე მონადირე მეგონა,
თურმე მას გული სტკიოდა.

იქვეა მოყვანილი ლექსის ფშაური ვარიანტი:

შალვა შერისა მძებნელი
მთას ჭორებულა კიოდა,
მე მონადირე მეგონა,
თურმე მას გული სტკიოდა.

დისერტანტი აქვეყნებს ამ ლექსის ქართლურ ვარიანტსაც, რომელიც თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია:

მთიდან მოსული ვაჟკაცი
გეზელ-ქორივით კიოდა,
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა.
სამოცი ლეკი მოეკლა,
ევაჟკაცობას ჩიოდა.

დისერტანტის სიტყვით, სულ სხვა ყოფილა სრული ფშაური კარიანტი, რომელიც „ჩვენთვის უკვე ნაცნობ ხურათს გვიშლისო“ (გვ. 170). მოგვყავს ამისი სრული ტექსტიც:

დილას რო გარეთ გამოველ,
ქალ ჭორებულად ჰკიოდა,
მე მონადირე მეგონა,
იმას კი წყლული სტკიოდა,
გულს ესვა თეთრი ისარი,
სისხლი ყიადამ სდიოდა;
სისხლი ყიაზედ ნადენი
კაბის ბოლოზედ სდიოდა.
კაბის ბოლოზედ ნადენი
ბორტეს (ბელტო) გველებურ ძვრებოდა;
ბორტს გველებურად ნაძრომი
ჰალას ლიხათა (ყინული) დგებოდა.

დისერტანტის მოსაზრებით, ის პირი, რომელსაც ლექსის მიხედვით „სისხლი გადმოსდიოდა“, „წყლული სტკიოდა“ და ამიტომ „ჰკიოდა“, უნდა ყოფილიყო ქალი, სახელდობრ ნადირთპატრონი ქა-

ლი, „დაჭრილი ვინმე უვიცი, წეის დამრღვევი ან მოღალატე მონადირის მიერ“ (გვ. 171). ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია დამოწმებული ლექსის ეგოდენი სიძველე, ხოლო მისი პერსონაჟი უნდა ყოფილიყო არა „მკვანი ქალი“, მით უფრო ნადირთპატრონი, არამედ წყლულებისაგან შეპირვებული გამყიარი ვაჟკაცი. შემთხვევითი არაა აქ ლეკის ხსენება. ერთი რამ აშკარაა, ლექსს ძლიერად დაჰკრავს მწიგნობრული იერი, რაც ვეფხისტყაოსნის ზეგავლენით აიხსნება. ამ ხალხურ ლექსს შემორჩენია ფრიდონის ამბის ნაკვალევი:

ზახილი მესმა, შევხედენ. მოყმე ამაყად ყიოდა,
შემოირბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკიოდა!
ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექადდა. წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა. (

ხალხურში ღცვლელად არის გამეორებული რუსთველური გამოთქმები და სახეები: „წყლულ- სტკიოდა“, „სისხლი ჩამოსდიოდა“ (— სისხლი გადმოსდიოდა. სიახლე, სდიოდა). ჩიოდა. კიოდა ან ჰკიოდა მიღებულია სიტყვისაგან ყიოდა. ქართლური ვარიანტით, პერსონაჟს „თავი ხმლით ჭრონდა დაჭრილი“, ისე როგორც ხრმლით იყო დაჭრილი ფრიდონიც. დასასრულ. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ. როგორც კი ხალხური ლექსი სცილდება ვეფხისტყაოსანს. ერთგვარად იცვლება მისი რიტმი.

„ავთანდილ გადინადირა“. უთუოდ, სამონადირეო ეპიზოდის ცნობილი ნიმუშია (გვ. 233). ოღონდ დისერტანტს ცოტა რამე მაინც უნდა ეთქვა ამის გენეზისის თაობაზე. ესეც ხომ პრეისტორიულ ხანას არ ეკუთვნის?

მიუღებლად ვთვლით ხალხური და ლიტერატურული ფოლკლორის ურთიერთობის რთული პრობლემის ისეთ ჯიქურ გადაწყვეტას, რასაც ადგილი აქვს ელენე ვირაბაშვილის სადისერტაციო შრომაში (გვ. 116. 214).

საეჭვოდ გვეჩვენება სადისერტაციო შრომის ავტორის მხრივ ზოგიერთი ხალხური ლექსის ალეგორიული ახსნა. მაგალითად. დისერტანტი იმოწმებს ცნობილ ხალხურ ლექსს:

აფრინდა ქორი, აფრინდა, არაგვი ჩაინადირა,
მცხეთას დაეცა დედალსა, ავჭალას მტევრი ადინა.

ამის გამო იგი განმარტავს: „აფრენილი ქორი საქართველოში შემოსეული მტერია, ხოლო მცხეთის აწიოკებული დედალი და ავჭალის ადენილი მტევრი საქართველოს აოხრებული. გულია“ (გვ. 254). არა გეგონა!

იქვე მოყვანილია ამ ლექსის კუთხური ვარიანტი:

დუშეთით ქორი აფრინდა, არაგვი შეინადირა,
ხევსურეთ ქათამს დაეცა, იქ ნაბუარი ადინა.

ამ შემთხვევაში თითქოს სხვა სიმბოლოებთან გვაქვს საქმე. „დუშეთით აფრენილი ქორი ქართველი მთიელის მოსისხლე მტრის, მისი მაოხრებელი ფეოდალის ზურაბ ერისთავის სახეაო", შენიშნავს დისერტანტი (გვ. 254).

სამაგიეროდ, დისერტანტი დამარწმუნებლად გვიჩვენებს, რომ საქორწილო სასიმღერო ლექსი „მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი", უთუოდ, თავისებური გაღმონაშთია ძველთაძველი სამონადირეო ლექსისა, სადაც ხაზი ესმება სიძის (ნეფის)დახელოვნებას სამონადირეო საქმიანობაში, ხოლო ლამაზი ხოხობი — ლამაზი დედოფალია.

დისერტანტი უმართებულოდ ხმარობს სიტყვებს: მეფა, ქალმერთა. ეს არის ქართული ენის ერთი თავისებურების (გრამატიკული სქესის უქონლობის) უგულებელყოფა.

მიუხედავად ამ მცირე შენიშვნებისა, ელენე ვირსალაძის ნაშრომი საერთოდ და მთლიანად შესანიშნავი სამეცნიერო მონოგრაფიაა და მისი ავტორი უთუოდ ღირსია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა.

1963

დავით ბრეგაძე,

ვახტანგ მეექვსე (ცხოვრება და შემოქმედება), ქუთაისი, 1962, ბანჭანაზე გადაბეჭდილი 699 გვერდი (ორ წიგნად).

დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ვახტანგ მეექვსე (1675—1737) ძველი საქართველოს ერთი უჩინებულესი სახელია — პროგრესული პოლიტიკური და კულტურული მოღვაწე, სჯულმდებელი მეფე და მეცნიერი (ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, ასტრონომი, ქიმიკოსი), მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, მკვლევარი-კომენტატორი, რედაქტორი, მესტამბე.

გამოკვლეული და შესწავლილია ვახტანგის ცხოვრებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის ბევრი მხარე. ოღონდ გარ-

კვლევით იგრძნობოდა საჭიროება ისეთი მონოგრაფიული ნარკვევისა, რომელიც წარმოგვიდგენდა ვახტანგის მთლიან სახეს, შეაჯამებდა და განაზოგადებდა საკითხის შესწავლის შედეგებს. ასეთი ნაშრომის შექმნა ფრიად ძნელი და რთული საქმეა. ეს რთული და ძნელი საქმე იტვირთა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დავით ბრეგაძემ.

დისერტანტი ამბობს: „მიუხედავად ვახტანგის შესახებ არსებული ლიტერატურის სიჭარბისა, ჩვენ ჯერ ჯერობით მაინც არ გვაქვს ერთი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, რომელიც ასე თუ ისე მოიცავდა მისი (ე. ი. ვახტანგ მეექვსის — ა. ბ.) ფართო და ნაყოფიერი საქმიანობის ყოველ მხარეს, ნაშრომი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ვახტანგის ნაღვაწ-ნაამაგარი და რომელიც ნაოელ წარმოდგენას მისცემდა მკითხველ საზოგადოებას მის განუზომელ დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე. ასეთი წიგნის შექმნას ისახავს მიზნად წინამდებარე შრომის ავტორი“ ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ დისერტანტის მიზანდასახულობა (გვ. 12. დაყოფა ჩემია, ა. ბ.). ძირითადად მიღწეულია: მან დაგვიწერა ვრცელი, სოლიდური მონოგრაფია, რომელიც საკმარისად სრულია და მთლიან წარმოდგენას გვაძლევს ვახტანგ მეექვსის რთულ პიროვნებაზე, მის მრავალმხრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობაზე. დავით ბრეგაძის მონოგრაფიით მნიშვნელოვნად შევსებულია ქართული კულტურის ისტორიის ერთი დიდი ხარვეზი.

დისერტანტს გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით, თითქმის ამომწურავი სისრულით, შეუსწავლია და დაუმუშავებია დიდძალი პირველწყარო და მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა (გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა 487 დასახელებას ითვლის). განსაკუთრებით ისაა აღსანიშნავი, რომ დისერტანტს დაწვრილებით შეუსწავლია საარქივო მასალები. მას გამოუძიებელი არ დარჩენია საქართველოსა და რუსეთის (მოსკოვ-ლენინგრადის) მდიდარი საარქივო ფონდები და ხელნაწერთა კოლექციები, დაუგროვებია და გამოუყენებია დღემდის უცნობი პირველხარისხოვანი საისტორიო ფაქტები (სანიმუშოა, მაგალითად, სადისერტაციო ნაშრომის 442—443-ე გვერდებზე დამოწმებული ცნობები). მის მიერვე მოპოვებული მასალები საშუალებას აძლევს დისერტანტს უფრო სრულად, ფართოდ და სწორად გაგვიშუქოს ვახტანგის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის გარემოებანი. საგულისხმოა, მაგალითებრ, ახალ მასალებზე დამყარებული დასკვნა დისერტანტისა: „გაერცელებული აზრი, თითქოს ვახტანგმა ასტრახანში დასახლების შემდეგ თავი დაანება პოლიტიკურ საქმიანობას, არ შეე-

ფერება სინამდვილეს" (გვ. 527). რა თქმა უნდა, ასტრახანში წასელით ვახტანგმა, უთუოდ, გაიზიხატა თავისი უკმაყოფილება რუსეთის მთავრობის მერყეული პოლიტიკის გამო, მაგრამ, ეტყობა, ქართლის ნომინალურ მეფეს მთლად არ აუღია ხელი პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

მონდომებითა და ცოდნით არჩევს დისერტანტი მისი სპეციალობისაგან დაშორებულ ვახტანგისეულ ასტრონომიულ, ასტროლოგიურ და ქიმიურ ნაშრომებს. ესენია: „აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი — ზიჯი თალა მასალა" (გვ. 344—354) და „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა" (გვ. 320—344). დისერტანტს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ვახტანგის „კეინკლოსი" (გვ. 354—359). რასაკვირველია, ამ ნაშრომებს დისერტანტი იხილავს, უწინარეს ყოვლისა, როგორც ფილოლოგოსი. არკვევს ძეგლების შემუშავების ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. ვრცლად და საინტერესოდ აქვს დისერტანტს გარჩეული ვახტანგისეული, „სამართლის წიგნი" და „დასტურლამალი" (გვ. 78—117). სისრულითაა განხილული სადისერტაციო ნაშრომში ვახტანგის ღვაწლი „ქართლის ცხოვრების" ახალი რედაქციის ჩამოყალიბებაზე (გვ. 117—145). საყურადღებოა სადისერტაციო ნაშრომის ის დიდი თავი, სადაც გაშუქებულია ვახტანგისეული სტამბის მოწყობისა და საგამომცემლო საქმიანობის საკითხი (გვ. 146—246).

როგორც მოსალოდნელი იყო, დ. ბრეგაძის მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვახტანგის მოღვაწეობას მწერლობის სარბიელზე. დისერტანტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით იხილავს ვახტანგის მრავალფეროვან ლიტერატურულსა და სარედაქციო საქმიანობას. პირველად მოდის ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის საკითხები (გვ. 196—246). მონოგრაფიის სპეციალურ თავში „რუსთაველი და ვახტანგი" (გვ. 635—645) დისერტანტი არკვევს ვახტანგის შემოქმედებითს კავშირს შოთა რუსთველთან. დიდი საუბარია სადისერტაციო შრომაში ვახტანგის ღვაწლზე „ქილილა და დამანას" ქართული ვერსიების შემუშავებაში (გვ. 288—320). დისერტაციის ბოლო თავებში დ. ბრეგაძე აანალიზებს ვახტანგის პოეტურ შემოქმედებას (გვ. 533—551), ვრცლად არჩევს ვახტანგის მიერ გალექსილ „ამირნასარიანსა" და „სიბრძნე მალალობელს" (გვ. 552—634). ამირნასარიანი იგივე „ყაბუსნამეა", რომელიც ვახტანგს ჯერ პროზაულად უთარგმნია სპარსული ენიდან და შემდეგ თვითონვე ლექსად შეუწყვია; „სიბრძნე მალალობელი" — ერასტი თურქესტანიშვილის მიერ რუსულიდან ნათარგმნი „აპოლოგემატას" გალექსილი რედაქციაა. დისერტანტი დაწვრილებით იხილავს პროზაული და გალექსილი ტექსტების ურთიერთმიმართებას. დამაჯერებლად არკვევს ვახტანგისეული გალექსილი ვერსიების მნიშვნელოვან რედაქციულ თავისებურებებს

ხასიათს, მათს იდეურ შინაარსს. შრომის ამ ნაწილში (ისე როგორც ზოგჯერ სხვაგანაც) დისერტანტი გვაწვდის ტექსტოლოგიური ანალიზის საყურადღებო შედეგებს. ოღონდ ასე გვეჩვენება, რომ დისერტანტს ძალზე დაუტვირთავს ნაშრომი ზედმეტი მაგალითების მოხმობით. ვახტანგის ლირიკული ლექსების ანალიზისას დისერტანტი გვთავაზობს ავტორისეული „სალვთო მიჯნურობის“ თუმცა სადავო, მაგრამ თავისთავად საინტერესო ინტერპრეტაციას („სალვთო მიჯნურობის“ გაგების თვალსაზრისით აჯობებდა, რომ დისერტანტს შეეპირისპირებინა ვახტანგის ლირიკული ლექსების მოტივი ვეფხისტყაოსნის მისსავე „თარგმანებასთან“).

დ. ბრეგაძის სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული ღირებულება ჩვენთვის სრულიად უდავოა. თემა აქტუალურია და საშური. დამუშავებულია საჭირო ცოდნითა და სიყვარულით. მონოგრაფიის ნაწილები დროდადრო ქვეყნდებოდა ბეჭდურად. ჩვენი ფიქრით, უნდა გამოქვეყნდეს ეს მონოგრაფია მთლიანად. სასურველი იქნება ავტორისა გაითვალისწინოს ის შენიშვნები, რომელთაც აქვე ვურთავთ.

I. მონოგრაფიის მთავარ ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ ავტორი შედარებით მოკლედ და ზოგადად იხილავს ვახტანგის პოეტურ შემოქმედებას, კერძოდ — ვახტანგის პოეზიის ძხატვრულ მხარეებს. ავტორს უფრო მკაფიოდ და უფრო ნათლად უნდა განესაზღვრა ვახტანგის ადგილი ქართული პოეტური კულტურისა და მხატვრული აზროვნების ისტორიაში. როგორც ლიტერატურის ისტორიკოსს, დ. ბრეგაძეს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ვახტანგის მხატვრული შემოქმედების საკითხზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება.

II. არ მაკმაყოფილებს საკითხის ისტორია, რომელსაც გვთავაზობს დისერტანტი (გვ. 4—12). ეს ისტორია აქ ოდნავადაც არ არის ამოწურული. დისერტანტს არ გაუთვალისწინებია ამ ისტორიის უმნიშვნელოვანესი და უძირითადესი საკითხები, იგი, უმეტეს წილად, უფრო მოკლედ და ზოგადად მსჯელობს. თანაც ნარკვევში დარღვეულია თანმიმდევრობისა და ქრონოლოგიის პრინციპები (დისერტანტი იწყებს თანამედროვე მკვლევრებით — კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ა. შანიძე, ქ. შარაშიძე, თ. ჭყონია, შ. კვასხვაძე, ს. ცაიშვილი, ვ. დონდუა, ი. სურგულაძე, თ. ენუქიძე; შემდეგ მე-19 საუკუნის მკვლევრები — დ. ბაქრაძე, პ. უმიკაშვილი; მერმე ისევ თანამეროვენი — გ. პაიჭაძე, გ. პაპავა, ს. ყუბანეიშვილი, ი. ჯღარკავა, ე. მეტრეველი, ლ. მენაბდე). არაფერია თქმული და მხოლოდ დასახელებული არიან ისეთი მკვლევრები, როგორიც იყვნენ ბროსე, ა. ხახანაშვილი, ა. ცაგარელი, ივ. ჯავახიშვილი და სხვ.

III. უკვე აღვნიშნეთ, რომ დისერტანტს გამოყენებული და დამოწმებული აქვს დიდძალი წყარო. ტექსტში ჭარბადაა ციტირებანი,

ძალზე ბევრია მითითებები. ოღონდ ზედმეტ, წვრილმან მითითებათა გვერდით ზოგჯერ დავიწყებულია არსებითი და მნიშვნელოვანი. მაგალითად:

1) დისერტანტი ეხება ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ „თარგმანს“ და ასკვნის: „ამგვარად, ვახტანგი გარკვეულად თვლის ვეფხისტყაოსანს სამღვდო და საერო ნაწარმოებად და არა მხოლოდ სამღვდოდ, რ ო გ ო რ ც ე ს ზ ო გ ჯ ე რ გ ა ი ს მ ი ს ა ქ ა - ი ქ“ (გვ. 205, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). დისერტანტი სრულიად არაფერს ამბობს ამ საკითხის ირგვლივ გამართული პოლემიკის თაობაზე და ძხოლოდ ყრუდ შენიშნავს „აქა-იქ გაისმისო“ (სად? ვისთან?).

2) ქილილა და დამანას დავითისეული თარგმანის ისტორიიდან უგულებელყოფილია პირველი წყარო (შდრ. გვ. 289).

3) ერთგან დისერტანტი კატეგორიული კილოთი აცხადებს: „ხელნაწერის გათვალისწინების შემდეგ უნდა მოიხსნას ე. თაყაიშვილის დებულება, თითქოს ვახტანგის ღვაწლი ქილილა და დამანას მიმართ მხოლოდ S 3174 ხელნაწერის რედაქციული შთანაწერებით განისაზღვრებოდეს“ (გვ. 299). ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო დისერტანტს დაურღვევია (თუ მოუხსნია) ე. თაყაიშვილის პრინციპული დებულება. ეს დებულება კი კარგა ხანია, რაც მოხსნილია.

4) დისერტანტს უგულებელუყვია აზრთა ის სხვაობა, რომელიც შეიქმნა ვახტანგის ე. წ. მცირე ელჩობის ხასიათის თაობაზე, სამაგიეროდ იგი ჩერდება ამ ელჩობის უმნიშვნელო წვრილმან საკითხებზე (გვ. 455—456).

5) დისერტანტი იმოწმებს „ქილილა და დამანას“ ერთ მრჩობლედს და სქოლიოში შენიშნავს „ძალაუნებურად გაგონდება ერთი ფსევდორუსთველური სტროფიო“ და მოჰყავს სათანადო ტექსტი (გვ. 35). ჰოგონება და შეპირისპირება სწორია, მაგრამ რად არ მოაგონდა დისერტანტს ამ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა? (შ. ონიანი, ხალხში გავრცელებული ერთი ლექსის შესახებ, „ლიტერატურული გაზეთი“, 1. III—57); ალ. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები, „ლიტ. ძიებანი“, X, 1958, გვ. 29—30).

6) სადისერტაციო ნაშრომში დოკუმენტების ტექსტები. ჩვეულებრივ, მოყვანილია გაუმართავად, უპუნქტუაციოდ, ისე როგორც დედანშია (იხ. მაგალითად, ბარძიმ ერისთავის წერილი ვახტანგისადმი, გვ. 508—509). სასვენი ნიშნების სწორად დასმაზე კი ხშირად ზევრად არის დამოკიდებული ტექსტის სწორი გააზრება.

IV. დისერტანტი ზოგჯერ გვერდს უხვევს სადავო პრობლემებია გარშემო თავისი გარკვეული, პრინციპული პოზიციის დადგენას, მაგალითად, აზრთა სხვადასხვაობა სუფევს ვეფხისტყაოსნის პირველი, 1712 წლის გამოცემის შემდგენელ-რედაქტორის ვინაობის თაობაზე.

ამ საკითხზე ორი შეხედულება ჩამოყალიბდა: ერთი შეხედულებით, ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის შემდგენელ-რედაქტორი და კომენტატორი უნდა იყოს ვახტანგი, მეორე შეხედულების თანახმად, ამ გამოცემის საერთო თაოსნობასთან ერთად ვახტანგი ყოფილა მხოლოდ კომენტატორი, ხოლო ნამდვილი შემდგენელ-რედაქტორი კი — მესტამბე მიქელ დეკანოზისშვილი. დისერტანტი გვთავაზობს მესამე, კომპრომისულ შეხედულებას: ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის „რედაქტორ-გამმართველი“ იყოო მიქელ დეკანოზისშვილი, ხოლო ვახტანგი — „მთავარი რედაქტორი“ (გვ. 185, 192, 244—245). თავისთავად საინტერესო ფორმულაა, მაგრამ დისერტანტს არ განუხილავ. ძველი დებულებების ავკარგიანობა და არც თავისი მოსაზრების დასაბუთება უცდია.

V. დ. ბრეგაძის სადისერტაციო შრომაში გვხვდება ზოგი უნებლიე შეცდომა თუ ლაფსუსი, უზუსტობანი, მკაფიოდ გამოუხატავი თუ ერთგვარად ბუნდოვანი მოსაზრებანი და მისთანანი. რამდენიმე სანიმუშო მაგალითი:

1. მე-17 საუკუნეში მოხდაო, ამბობს დისერტანტი, „საქართველოს განაწილება ორად — აღმოსავლეთ ნაწილს ირანი დაეპატრონა, დასავლეთს კი — თურქეთი. ამ განაწილებით საუკუნეობრივი ქიშპი ირან-თურქეთს შორის დროებით მოისპო...“ (გვ. 14).

ირანი და თურქეთი (ოსმალეთი) საქართველოს ურთიერთშორის გავლენის სფეროებად განაწილების თაობაზე შეთანხმდნენ მე-16 საუკუნეში.

2. გიორგი და ლევანი ვერ შეთავაზებდნენ არჩილს, რომ „კახეთ-იმერეთის მეფობა ეკისრა“ (გვ. 28). ლევანი არ ყოფილა ქართლის მეფე (გვ. 29). „რუსეთი არჩილისათვის მიმზიდველი ქვეყანა იყო თავისი სივრცით, სამხედრო ძლიერებით, განათლების დონით და სარწმუნოებით“, წერს დისერტანტი (გვ. 61).

მთავარი მაინც უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მომენტი. ამაზე დისერტანტი არაფერს ამბობს. „ნიკოლოზის და არჩილის მიერ წამოწყებული კულტურული საქმიანობა არ შეწყვეტილა“ შემდეგო, ორჯერ იმეორებს დისერტანტი (გვ. 492). რასაკვირველია, ყოველთვის შეუძლებელია ნიკოლოზის (ერეკლესი) და არჩილის კულტურული საქმიანობის ერთ სიბრტყეზე დაყენება. რუსეთ-საქართველოს კულტურული თანამშრომლობის დიდ საქმეს ნამდვილი საფუძვლები ჩაუყარა არჩილმა.

3. ვახტანგის განზრახვას „იკლესიის მეთაურად თავისი ერთგული კაცი ჰყოლოდა, ვახუშტის სიტყვით... თითქოს ხალხმაც დაუჭირა მხარიო“ (გვ. 70, დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). გაუგებარია, ყოველ შემთხვევაში — ბუნდოვანი, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში სიტყვა ხალხი.

4. „რომის პროპაგანდის კოლეგიას“ თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნები ამოძრავებდა, როდესაც სხვა აღმოსავლურ ენებთან ერთად ქართულ ენასაც სათანადო ადგილს უთმობდაო“ (გვ. 146). სწორია, მაგრამ განა სარწმუნოებრივი ინტერესები თავის როლს არ ასრულებდა?

5. ერთგვარი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პეტრე პირველი „საქართველოს ბედით დაინტერესდა“ არჩილის მეუღლე ქეთევან დედოფლის, არჩილის შვილებისა (დარეჯანის და ალექსანდრეს) და რძლის შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ი ს შედეგად (გვ. 381) და მას ქრისტიანული სახელმწიფოს დაცვის სურვილი ამოძრავებდა (გვ. 382). სხვა საქმეა, თუ ვიტყვით, რომ პეტრეს თავი მოჰქონდა ქრისტიანული საქართველოს დაცვის სურვილით. აკი დისერტანტი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ პეტრემ „გადაწყვიტა ქრისტიანული მოსახლეობის დამცველის როლში გამოსულიყო. სარწმუნეობრივი მოტივი გამოეყენებია დაპყრობითი ომის საწარმოებლად“ (გვ. 386).

6. „(თბილისის) სტამბის მოღვაწეთა უმრავლესობა მეცნიერულ ალღოსთან ერთად პოეტური ტალანტითაც დაჯილდოებული ყოფილა“ (გვ. 187). დიდი გადაჭარბებაა.

7. ნანუჩა ციციშვილი იყო ინტერპოლატორი და არა კომპილატორი (გვ. 191).

8. რუსეთს გარდახვეწილი ვახტანგის ამალაში არ შედიოდა 1400-მდე კაცი და ქალი (გვ . 448). ჩვენ ხომ ამალის შემადგენლობის სიაც მოგვეპოვება (ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბილისი 1955, გვ. 121—144). თვითონ დისერტანტი იუწყება, რომ „გენერალ-მაიორ კროპოტოვის გაანგარიშებით (ვახტანგის) ამალაში 1186 სული ყოფილა“ (გვ. 451), სხვა ცნობით კი—1207 სული (გვ. 471).

სადისერტაციო ნაშრომში ბევრია ისეთი მძიმე კორექტურული შეცდომა, რომელიც აზრს ამახინჯებს. დაეიმოწმებთ რამდენიმე მაგალიზმის წარმო ობისათვის სპარსულ ლიტერატურაში (გვ. 158—256), ვეობის“ ნაცვლად — „მურნეობა“ (გვ. 179), „გაწყობის“ ნაცვლად — „განწყობა“ (458, 494), „ჰუმანისტურის“ ნაცვლად — ჰუმორისტული (ეს შეცდომა მოიპოვება შრომის ბეჭდურად გამოქვეყნებულ ნაწილშიც. „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXVI, 1964, გვ. 159). ვერ გავიგე, თუ რას ნიშნავს „Оправдание о персидской (?) деле“ (გვ. 662); „Извлечение и путешествие г-на Оливье (გვ. 663), დედანში ალბათ არის „Извлечение из путешествия г-на Ольвие“ და სხვა მრავალი.

სადისერტაციო შრომაში ზოგჯერ უხეშად არის დამახინჯებული პირთა სახელები, მაგალითად: ნაცვლად ლ (ადო) ბელიაშვილისა და-

ბეჯდილია ნ. ბალიაშვილი (გვ. 648), ხობუა ნაცვლად ხუბუასი (გვ. 690) და სხვ. კარგად უნდა გადახედვა და გასწორება გამოყენებული და მითითებული ლიტერატურის ნუსხას. აჯობებდა ავტორს შემოეღო ლიტერატურის დასახელებათა შემოკლებანი, თორემ ზოგიერთი წყარო მრავალ ათეულჯერ არის დამოწმებული სრული დასათაურებით.

დ ა ს კ ვ ნ ა: დ. ბრეგაძემ საკვალიფიკაციოდ წარმოგვიდგინა სერიოზული მეცნიერული მონოკრაფია. ეს მონოგრაფია, ერთი მხრივ, აჯამებს ვახტანგ მეექვსის შესწავლის შედეგებს, მეორე მხრივ, ახალი ცნობებითა და დაკვირვებებით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ამ ყოველმხრივ შესანიშნავი პიროვნების შესახებ. წარმოდგენილი შრომის საფუძველზე მის ავტორს შეიძლება თამამად მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ლილი ჟუთათელაძე

დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები

(ფილოლოგიური გამოკვლევა და ტექსტები. I ნაკვეთი. თბილისი, 1971. 238 გვ. II ნაკვეთი, თბილისი, 1971, 349 გვ.).

სადოქტორო დისერტაციად გამიზნული ამ ვრცელი ნაშრომის პირველი ნაკვეთი („დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები") ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1967 წელს. ნაშრომის მეორე ნაკვეთში არსებითად გაფართოებულია, გაშლილია და გაღრმავებული ის კვლევა-ძიება, რაც ასახულია პირველ ნაკვეთში და შეეხება მთლიანად იოანე ბაგრატიონის მოღვაწეობას ქართული ლექსიკოლოგიის დარგში. დისერტანტს მიზნად დაუსახავს იმის გარკვევა თუ „როგორ მუშაობდა იოანე ბაგრატიონი თავის ქართულ ლექსიკონზე. რა წყაროებს იყენებდა იგი, ახალი რა შეიტანა მასში პირველ წყაროსგან (საბასგან) განსხვავებით და რა ტიპისაა მისი უკანასკნელი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი" (11, 12). ამიტომაც ერთგვარ გაკვირვებას იწვევს, რად ეწოდება ამ მეორე ნაკვეთს „დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები". თავისთავად კი ლილი ჟუთათელაძის მონოგრაფიის ორივე ნაკვეთი სერიოზული კვლევა-ძიების ნაყოფია და ქართული ლექსიკოლოგიური მეცნიერების, უდავოდ, საყურადღებო შენაძენი.

სარეცენზიო ნაშრომით ლილი ჟუთათელაძე აგრძელებს იმ ჭრი-

ად სასარგებლო მუშაობას. რომელიც მან წამოიწყო სულხან-საბა ორ-
ბელიანის ქართული ლექსიკონის შესწავლით. ამ გამოკვლევაშიც ლ.
ქუთათელაძე არა ერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სულხან-
საბას ლექსიკონი დარჩა ქართული ლექსიკოგრაფიის პირველ წყაროდ
და ფუძედ (11, 83). XVIII—XIX საუკუნეთა ლექსიკოგრაფები ცდი-
ლობდნენ შეევსოთ, გაეფართოებინათ და გაემდიდრებინათ, ხოლო
საჭირო შემთხვევაში შეესწორებინათ კიდეეც და ახალი დროის მო-
თხოვნილებათა კვალობაზე სრულეყოთ საბას ლექსიკონი. ასეთი მი-
ზანი ჰქონია დასახული ბაგრატიონთა ყოფილი სამეფო ოჯახის ორ სა-
ხელოვან წევრს — დავით (1767—1819) და იოანე (1768—1830) ბაგ-
რატიონებს. ბაგრატიონთა სამეფოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით
რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ საჭიროდ დაინახა გაესახ-
ლებინა საქართველოდან სამეფო ოჯახის მრავალრიცხოვან წევრთა
მთელი შემადგენლობა. გადასახლებულთა შორის პირველი იყვნენ და-
ვით და იოანე ბაგრატიონები, რომლებიც თავიანთ უმცროს ძმა თე-
იმურაზთან (1782—1846) ერთად ბაგრატიონთა ოჯახის უნიჭიერეს და
უგანათლებულეს წარმომადგენლებად უნდა იქნენ მიჩნეული (თეიმუ-
რაზი აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად).
ერეკლე II-ისა (1762—1798) და გიორგი XII-ის (1798—1800) შვი-
ლები თითქმის ყველანი უკლებლივ, ქალები და კაცები, ქართული
მწიგნობრობის სარბიელზე მოღვაწეობდნენ. როგორც აღვნიშნეთ,
განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულ-
ტურის ისტორიაში ძმებმა — დავითმა, იოვანემ და თეიმურაზმა. სა-
შივენი იყვნენ ენციკლოპედიურად განსწავლული და მწერლობისა თუ
მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ ფრიად ნაყოფი-
ერად.

ლილი ქუთათელაძეს მიზნად დაუსახავს ორი ბაგრატიონის, და-
ვითისა და იოანეს, საკუთრივ ლექსიკოგრაფიული მუშაობის საგანგე-
ბო და დაწვრილებითი შესწავლა. ეს მიზანი მიღწეულია დიდი წარმა-
ტებით. დისერტანტი გვისაბუთებს, რომ დავით და იოანე ბაგრატიონ-
ნი მოწინავე განმანათლებლური იდეოლოგიისა და პატრიოტიზმის პო-
ზიციებიდან იღვწოდნენ ეროვნული სულიერი კულტურის სარბიელ-
ზე. განსაკუთრებით ფასეულია ის დიდი შრომა, რომელიც ლილი ქუ-
თათელაძემ მოანდომა იოანე ბაგრატიონის ლექსიკოლოგიური საქმი-
ანობის გამორკვევას, თუმცა იოანე არსებითად თავისი უფროსი ძმის,
დავითის, წამოწყებულ საქმეს აგრძელებდა (1, 51).

დისერტანტის საერთოდ სწორი მოსაზრებით, „იოანე ბაგრატიონი
იყო პეტერბურგის ქართული კოლონიის სულის ჩამდგმელი, ამ კოლო-
ნიის წევრთა... ყოველგვარი კულტურული საქმიანობის წამომწყები და
ორგანიზატორი“ (11, 6). ეს მოსაზრება სწორია საერთოდ იმი-

ტომ ვამბობთ, რომ შემდგომ, უთუოდ, ანალოგიური იყო უმცროსი ბაგრატიონის, თეიმურაზის როლიც.

როგორც დავითი, ისე, — და განსაკუთრებით, — იოანე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაუღლელად შრომობდა ქართული ლექსიკონის შესადგენად. საგულისხმოა, რომ ეს მწიგნობარი-მამულიშვილი გულმოდგინედ იბრძოდა მშობლიური ენის უცხო ლექსიკით დანაგვიანების წინააღმდეგ (1,70), მკითხველს უღვივებდა პატრიოტულ გრძნობებს და უსახავდა ეროვნულ იდეალებს. ამ მხრივ სანიმუშოა განმარტება სალექსიკონო ერთეულისა „ნუ გათათრდები“ ანუ ეგვიპტის გვრიტი (11,29—30).

ლილი ქუთათელაძე დამაჯერებლად არკვევს, რომ იოანე ბაგრატიონმა ჯერ იყო და თავისებურად შეავსო საბას ლექსიკონი, ამასთან, შეადგინა სახელდახელოდ სახმარი მცირე ზომის გამოკრებული ლექსიკონი (11.2), შემდეგ ორი რედაქციით გადმოთარგმნა რუსული აკადემიური (ორ-და-ექვსტომიანი) ლექსიკონები (11,68). დასასრულ, თანდათანობით შეაგროვა მასალები, შეამზადა და შეუდგა საკუთარი, ახალი დროისა და გარემოების შესაფერისი. ქართულსა და უცხო მდიდარ წყაროებზე დამყარებული სრული ენციკლოპედიური ტიპის ლექსიკონის ჩამოყალიბებას: სადისერტაციო შრომაში ნათლად არის დასაბუთებული, რომ იოანე ბაგრატიონს ბოლომდე მიუყვანია საქმე და ლექსიკონის ტექსტი გაუსრულებია. თუმცა ჩვენ დრომდე მას არ მოუღწევია. იოანეს გარდაცვალების შემდეგ სალექსიკონო მასალები დაფანტულა და გაბნეულა, გადარჩენილა მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტები. დისერტანტი საბუთიანად გვარწმუნებს, რომ იოანეს ლექსიკონით საკმარისად უსარგებლიათ ცნობილ ლექსიკოგრაფებს ნიკო ჩუბინაშვილსა და პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს დავით ჩუბინაშვილს (ჩუბინოვს).

ჩვენ ვერ შევუდგებით დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკონთა საკუთრივ ლექსიკოლოგიური მნიშვნელობის დახასიათებას (ამას გააკეთებენ ჩვენი კოლეგა ენათმეცნიერი ოპონენტები). მე აღვნიშნავ, რომ ლილი ქუთათელაძის სადისერტაციო ნაშრომს, გარდა საკუთრივ ლინგვისტიკური მხარისა, აქვს დიდი ისტორიულ-კულტურული, ფილოლოგიურ-ლიტერატურული მნიშვნელობა. ავტორმა დასვა და გაარკვია რიგი სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი (თარიღები, წყაროები, ძეგლების ურთიერთისადმი მიმართებანი და მისთანანი). ყველაფერი ეს კი შესრულებულია სათანადო მეცნიერული დონეზე.

ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის თვალსაზრისით ფრიად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს იოანე ბაგრატიონის დღემდის უცნობი თხზულება „პატარა ეფემი-

განძება“ (11,11), რომელიც დისერტანტმა გამოავლინა და მისი ტექსტი დამატების სახით დაურთო ნაშრომს (11,285—302). ტექსტს წამძღვარებული აქვს სპეციალური, კარგად დაწერილი ნარკვევი (11,272—284). ასევე საინტერესოა სადისერტაციო შრომაშივე ჩართული „აღსარების“ ტექსტიც ნარკვევითურთ (11,303—388). ორივე ტექსტს ახლავს ლილი ქუთათელაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (11,329—336).

ლილი ქუთათელაძის შრომა გარეგნულადაც კარგად არის გაფორმებული. შესრულებულია ფაქიზად, მით უფრო სამწუხაროა, რომ უცხოურ წყაროთა დასახელებისას (დისერტანტის ხელით რომ არის ტექსტი ჩაწერილი). ავტორი უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომებს (მაგალითად, იხ., 11,58. შდრ. 11,349; 11,60, შდრ. 11,349). ერთგან უხეში შეცდომით არის ჩახატული სპარსული სიტყვა არაბული ალფაბეტით (11,115). ეს, რა თქმა უნდა, წვრილმანია. საქმე ისაა, რომ შრომა საერთოდ ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შრომის საფუძველზე ლილი ქუთათელაძე იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების პატივს. 1972

ჯ. ფალავა

კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში

(თბილისი, 1970. X—524 გვ. მანქანაზე გადაბეჭდილი)

დოცენტი კონსტანტინე ფალავა თავის დარგში ცნობილი სპეციალისტია. დახელოვნებული და აღიარებული მკვლევარი. მას გამოქვეყნებული აქვს არა ერთი და ორი საყურადღებო ნაშრომი სპარსულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობისა და, საკუთრივ, სპარსული მწერლობის საკითხებზე. სარეცენზიო ნაშრომი შემაჯამებელი ხასიათის მქონეა და ხანგრძლივი, დაკვირვებული, სერიოზული კვლევა-ძიების ნაყოფი.

ნაშრომს უძღვის პატარა (სულ ორგვერდიანი) წინასიტყვა, სადაც მკაფიოდ და ნათლად არის მოხაზული ავტორისეული მიზანდასახულობა. შემდეგ მოდის ვრცელზე ვრცელი შესავალი (გვ. 111—XCV), მთავარი გამოკვლევა სუთი თავისაგან შედგება. ესენია:

I. ირანის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში (გვ. 1—157).

2. მირზა ფათალი ახუნდოვის მხატვრული შემოქმედების ესთეტიკური შეხედულებებისა და პუბლიცისტური ნაზრევის როლი რეალიზმის წარმოშობისათვის სპარსულ ლიტერატურაში (გვ. 158—256).

ამას აქვს ორი ქვეთავი:

ა) რეალიზმი ახუნდოვის შემოქმედებაში (158—216),

ბ) ირანის ფეოდალური დესპოტიზმისა და რელიგიური ფანატიზმის კრიტიკა ახუნდოვის პუბლიცისტურ და ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში (217—256).

3. უცხოური ლიტერატურიდან თარგმნის მნიშვნელობა რეალიზმის წარმოშობისათვის სპარსულ ლიტერატურაში (257—306).

4. რეალიზმის სათავეები XIX საუკუნის მეორე ნახევრის სპარსულ დრამატურგიაში (307—414).

5. პირველი რეალისტური რომანი სპარსულ ლიტერატურაში „იბრაჰიმბეგის მოგზაურობა" (415—514).

გამოკვლევა იხურება საერთო დასკვნებით (515—522). შესაფერისი მოკლე-მოკლე დასკვნები აქვს ყველა ცალკეულ თავს.

კ. ფაღავას ვეებერთელა ნაშრომი მთლიანად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. წიგნი თავიდან ბოლომდე იკითხება შეუნელებელი ინტერესით. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ავტორის დიდი ნაკითხობა, ფართო ერუდიცია. საკვლევი მასალის კარგი ცოდნა, ანალიზისა და განზოგადების სანაქებო უნარი. კ. ფაღავა მოსაწონი პატივისცემით ეკიდება ძველი თუ ახალი თაობის ყველა მკვლევარს, რომელთაც რაიმე წვლილი შეუტანია საძიებელი პრობლემის შესწავლაში. თუმცა ავტორის განცხადების თანახმად (და ეს ასეა ნამდვილად), მას არ ჰყავს წინამორბედი საჭირო სიღრმითა და სისრულით რომ ეცადა საკვლევი საკითხების სპეციალური, მონოგრაფიული დამუშავება. პოლემიკის დროს დისერტანტი მორიდებულია და თავაზიანი, პირუთვნელი, პრინციპული.

წინასიტყვის პირველსავე სტრიქონებში, როგორც ვთქვით, მკაფიოდ არის განსაზღვრული ავტორისეული მიზანდასახულობა. „წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ, — ამბობს დისერტანტი, — შეგვესწავლა სპარსულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ჩასახვის მიზეზები და საწყისები, მისი წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები და ყოველივე ამის საფუძველზე გვეჩვენებინა, თუ რა სახე მიიღო მან XIX საუკუნის დასასრულისათვის".

ჩვენი მოსაზრებით, კ. ფაღავამ სავსებით გაართვა თავი თავის ამოცანას. ავტორი მოკრძალებით შენიშნავს, რომ იგი არ იჩემებს საძიებელი საკითხის „სრულად შესწავლის" პატივს (გვ. 1). ჩვენ ვადასტურებთ, რომ სადისერტაციო ნაშრომი „დაწერილია პირველი წყაროებისა და საარქივო მასალების გამოყენებით" (გვ. 11).

შესავალ თავს უჭირავს თითქმის ასი გვერდი (III—XCV). აქ განხილულია რეალიზმის ელემენტები, თუ რეალისტური ნაკადი სპარსულ ლიტერატურაში X საუკუნიდან XIX-მდის. ეს დიდი დრო მოიცავს სპარსული მწერლობის როგორც კლასიკურ პერიოდს (X—XV სს.), ისე დაქვეითების ხანას (XVI—XVIII სს.). რეალიზმის ელემენტების ძიების თვალსაზრისით კ. ფაღავას საგანგებოდ შეუსწავლია ირანული სამყაროს ისეთი დიდი მწერლები, როგორიც იყვნენ რუდაქი, ფირდოუსი, ნიზამი (სპარსულენოვანი აზერბაიჯანელი პოეტი), ომარ ხაიამი, საადი, ჰაფეზი, ჯამი და XVI—XVIII საუკუნეების ცოტად თუ ბევრად ყველა მნიშვნელოვანი ავტორი. დასახელებული თუ დაუსახელებელი ავტორების ნუსხიდან კარგად ჩანს, თუ რა კოლოსალური შრომა გაუწევია დისერტანტს, რომ მისთვის საჭირო მასალები გამოეწვლილა. კ. ფაღავა თვალნათლივ გვიჩვენებს ძველი სპარსელი მწერლების გარკვეულ ორიენტირებას სინამდვილეზე, ზოგჯერ მძლავრ რეალისტურსა და მატერიალისტურ ნაკადს მათ შემოქმედებაში (მატერიალისტური ნაკადი განსაკუთრებით შესამჩნევია ომარ ხაიამისა და საადის შემოქმედებაში). რასაკვირველია, ამ დიდძალ მასალას დისერტანტი სწავლობდა და იკვლევდა ორიგინალის ენაზე, სპარსულ დედნებში (დისერტანტი მშვენივრად ფლობს სპარსულ ენას).

გაკვირვებას მხოლოდ ის იწვევს, რომ კ. ფაღავას თავისი მონოგრაფიის შესავალი ნაწილი გარეგნული ნიშნების მიხედვით ცალკე გამოუყვია და განსხვავებული პაგინაციით (რომაული ციფრებით) დაუნუსხავს. ვითომ რატომ?

ძალზე გაზრდილია ნაშრომის პირველი თავი — „ირანის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს თავიც სიამოვნებით წაიკითხეთ და იქ ბევრი რამ საგულისხმიერო ვიპოვეთ. მაგრამ მაინც ზომაზე მეტია თქმული ირანის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, შეინიშნება განმეორებანიც. კარგადაა მოხაზული კულტურული ფონი, შთამბეჭდავად არის გაშუქებული ირანის „გამოღვიძების“ პერიოდის პრესა (განსაკუთრებით საზღვარგარეთული).

სადისერტაციო ნაშრომის მეორე დიდი თავი მთლიანად ეძღვნება მირზა-ფათალი ახუნდოვის შემოქმედებას და მის მნიშვნელობას რეალიზმის წარმოშობისათვის სპარსულ მწერლობაში (ახუნდოვის თაობაზე შიგადაშიგ საუბარია მონოგრაფიის სხვა ნაწილებშიც). კ. ფაღავა ახუნდოვის შემოქმედების ჩინებული მცოდნეა. ადრეც ცოტა რამ უწერია ამ დიდ აზერბაიჯანელ მწერალზე. სადისერტაციო ნაშრომშიც მკვლევარი იმ აზრს ავითარებს, რომ ახუნდოვი კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელია აზერბაიჯანულ ლიტერატურაში, მაგრამ „თა-

ვისი აღზრდით, კულტურით, განათლებითა და მოღვაწეობით (იგი) ორგანულადაა დაკავშირებული ირანულ სინამდვილესთან“ (გვ. 90). და. აი, პუშკინის თაყვანისმცემელი და ბელინსკის ლიტერატურულ-ესთეტიკურ პოზიციებზე მდგომი ფათალი ახუნდოვი დიდ ზეგავლენას ახდენს ირანის საზოგადოებრივ აზროვნებაზე და მწერლობაზე. კერძოდ, რეალისტური მიმდინარეობის ჩასახვა-განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ ახუნდოვის ნაწერების დიდი ნაწილი (პუბლიცისტური და ფილოსოფიური წერილები, რეცენზიები, ეპისტოლენი) პირდაპირ სპარსულ ენაზეა შეთხზული, ხოლო მისი კომედიები იმთავითვე საუცხოოდ იქნა გადათარგმნილი სპარსულ ენაზე. ამასთან, ახუნდოვის ზოგი კომედია მაინც ირანის სინამდვილეს ითვალისწინებს, მკაცრად ამხილებს და დასცინის აზერბაიჯანისა და ირანის სოციალურ-პოლიტიკურ და ყოფითი ცხოვრების საერთო მახინჯ მხარეებს, აშიშვლებს არა მარტო ისლამის კულტის მსახურთა ზნედაცემულობას, არამედ თვითონ ისლამის რელიგიის საფუძვლებსაც კი დაუნდობლად აკრიტიკებს. ფათალი ახუნდოვის განთქმული ფილოსოფიური ნაშრომი „ქიმალ-უდ-დოვლეს წერილები“, რომელიც სპარსულად არის დაწერილი, განმანათლებლობისა და მატერიალიზმის პოზიციებიდან „მთლიანად მიმართულია ისლამის რელიგიის წინააღმდეგ“ (გვ. 131). ერთი სიტყვით, შესაფერისი სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგის მომზადების პირობებში, ფათალი ახუნდოვის ზემოქმედებას (ზოგიერთ სხვა ფაქტორთან ერთად) გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა სპარსულ ლიტერატურაში რეალიზმის ჩასახვისა და განვითარების საქმეში. საგულისხმოა, რომ საზოგადოდ დიდი იყო აზერბაიჯანის (როგორც არაქსის აქეთა მხარეს, ისე გაღმა მხარეს) კულტურული წრის როლი და მნიშვნელობა ირანის „გამოღვიძების“ პერიოდში (ახუნდოვი, მარაღაი, თალიბოვი და სხვ.).

კ. ფაღავას იმაშიც უნდა დავეთანხმოთ, რომ მან სწორედ კუთვნილი ადგილი მიუჩინა ახუნდოვის შემოქმედებას და ამ აზერბაიჯანელი მწერლის დრამატურგიულ თხზულებათა განხილვა არ გადაიტანა თავისი ნაშრომის მომდევნო თავში (რომელსაც სათაურად აქვს „უცხოური ლიტერატურიდან თარგმნის მნიშვნელობა რეალიზმის წარმოშობისათვის სპარსულ ლიტერატურაში“), თუმცა ახუნდოვის კომედიებიც თარგმანებს წარმოადგენს. დამოწმებულ თავში დისერტანტი დამარწმუნებლად არკვევს ევროპული ენებიდან მომდინარე თარგმანების მნიშვნელობას რეალისტური მიმდინარეობის განვითარებისათვის სპარსულ მწერლობაში. მოხდენილად აქვს კ. ფაღავას გაანალიზებული ჯეიმს მორიერის (1780—1849) განთქმული სათავგადასავლო რომანის— „ჰაჯი ბაბა ისპაჰანელის თავგადასავლის“ სპარსული თარგმანი. მკვლევარს ერთმანეთისათვის შეუდარებია დედნისა და თარგმანის ტექსტე-

ბი და ნაჩვენები აქვს „ჰაჯი-ბაბას“ გასპარსულებული რედაქციის უმთავრესი ნიშანდობლივი თავისებურებანი.

სარეცენზიო ნაშრომის მეოთხე თავში („რეალიზმის სათავეები XIX საუკუნის მეორე ნახევრის სპარსულ დრამატურგიაში“) საკითხის ასეთივე საფუძვლიანი ცოდნით, პროფესიული დახელოვნებითა და კარგი ლიტერატურული გემოვნებით გარჩეულია ირანის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებელი მწერლის მალქომ-ხანისა (1833—1908) და ანონიმის („ქერიმ შირეის“ უცნობი ავტორის) შემოქმედება. კ. ფაღავა ცხადლივ ნათელყოფს რამდენად მძლავრი იყო სპარსულ მწერლობაში დრამატურგიული (კომედიური) ჟანრი და რამდენად განსაზღვრა ამ ჟანრის ჩამოყალიბება და ხასიათი ფათალი ახუნდოვის თხზულებების შექმნამ. მკვლევარი იმასაც წიგნიერად გვიხსნის, თუ რა გარემოებებმა შეაპირობა რეალისტური მიმდინარეობის წარმოშობა სპარსულ მწერლობაში. უკეთ რეალისტური მწერლობის საწყის პერიოდში კომედიური ჟანრის ბატონობა.

მონოგრაფიის ბოლო თავში („პირველი რეალისტური რომანი სპარსულ ლიტერატურაში“) ვრცელი მეცნიერული საუბარია გამართული სპარსული რეალისტური მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლის ჰაჯი ზეინ ალ-აბედინ მარაღაის (1838—1910) სამნაწილიანი რომანის „იბრაჰიმ-ბეგის მოგზაურობის“ თაობაზე. მკვლევარი ასაბუთებს, რომ ეს არის პირველი, ფართოპლანიანი და ევროპული მაშტაბის რომანი, რომელიც კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან შთამბეჭდავად ასახავს XIX—XX საუკუნეთა მიჯნის ირანის ცოცხალ სინამდვილეს. აწმყოზე გულგატეხილი, წარსულის რომანტიკულად მოტრფიალე და შომავლის მოიმედე, უცხოეთში გარდახვეწილი გულმხურვალე პატრიოტი თავისი ქვეყნისა აბედინ მარაღაი დაუნდობლად აშიშვლებს და ამხილებს ყაჯარების ირანის შემზარავ სიდუხჭირეს. დისერტანტს ეპიგრაფად გამოუტანია მარაღაის შესანიშნავი აღსარება: „მე მოვიქეცი ისე, როგორც იქცევიან ევროპელი მწერლები: პირდაპირ და აშკარად ვთქვი ჩვენი სამშობლოს შვილების ჩაგვრაზე, ექსპლოატაციასა და უმეცრებაზე“. მარაღაის მამხილებელი სიტყვის მახვილი მიმართულია როგორც მისი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის შინაური მჩაგვრელების. ისე უცხოელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ევროპელ მწერლებად, რომელთაც მარაღაი ახსენებს და რომელთა ზეგავლენა მან განიცადა, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმებიან რუსი კლასიკოსები. საქმე ისაა, რომ მარაღაი არა მარტო ლიტერატურული შემოქმედებით, არამედ თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით, მთელი თავისი ბიოგრაფიით უშუალოდ იყო დაკავშირებული რუსეთთან და, სხვათა შორის, საქართველოსთანაც. ერთხანს მარაღაი ცხოვრობდა და მსახურობდა ქუთაისში, მერე ყოფილა თბილისში, ბა-

თუმში და საქართველოს ზოგიერთ სხვა დაბა-ქალაქში, ხოლო ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა ყირიმში, იალტაში (იქვეა დაწერილი მისი რომანი).

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ კ. ფალავა დიდი ობიექტურობით აფასებს როგორც მარაღაის, ისე ახუნდოვის, მალქომ-ხანისა და სხვათა შემოქმედებას. არკვევს მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის დადებითს მხარეებსაც და უარყოფითსაც. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გამოჩენილი სპარსელი რეალისტი მწერლები ისტორიული ვითარებით შეზღუდულობის გამო ვერ გაცდნენ მამხილებლობის ფარგლებს, მათ ვერ დაძლიეს ბურჟუაზიული ლიბერალიზმის იდეალები და კლასობრივი შეგნების დონემდე ვერ ამაღლდნენ. ამიტომაც სპარსელი რეალისტი მწერლების მიერ გამოხატული სიმართლე მაინც ცალმხრივია, არათანამიმდევრული და წინააღმდეგობრივი.

კ. ფალავა, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ ტოვებს საანალიზო ძეგლების ენობრივ-მხატვრულ მხარეებს. იგი ხაზს უსვამს ენის დემოკრატიზაციის იმ ტენდენციას, რაც ასე ნიშანდობლივია რეალისტური მიმდინარეობის სპარსული პროზისათვის. ბევრია ნაშრომში თქმული ყასიდის დეგრადაციის თაობაზედაც. არც ისაა უგულებელყოფილი, რომ რეალისტური ყაიდის ძეგლებს ზოგჯერ დაჰკრავს რომანტიკული ელფერი (გვ. 495. 513).

შენიშვნები? ზოგი წვრილმანი შენიშვნა უკვე გავაკეთე. პრინციპულად სადავო ავტორთან არა მაქვს რა. სადისერტაციო ნაშრომი, როგორც თავშიც აღვნიშნე, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც იტყვიან ხოლმე, იგი მაღალ მეცნიერულ-პროფესიულ დონეზეა შესრულებული. ამ შრომის ავტორი სავსებით იმსახურებს საძიებელ სამეცნიერო ხარისხს, ე. ი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. ოღონდ მაინც უნდა ვთქვა, რომ სადისერტაციო ნაშრომი თავისი საერთო ხასიათის გამო, ნებსით თუ უნებლიეთ, ზოგჯერ ამჟღავნებს მიმოხილვის თვისებებს. თემა მეტისმეტად ფართოა. ეს გარემოება აიძულებდა მკვლევარს მიმოეხილა მდიდარი სპარსული მწერლობის თითქმის მთელი ისტორია. ამიტომაც ეს მიმოხილვანი ყოველთვის ვერაა სრულყოფილი და ემპირიულობის დაღს ატარებს. ვგონებ, აჯობებდა მკვლევარს განსახილველად აეღო ერთი რომელიმე მონაკვეთი, ერთი რომელიმე ავტორი ან ერთი რომელიმე მნიშვნელოვანი ძეგლი. ამას, რასაკვირველია, სხვათა შორის ვამბობ და მას რაიმე არსებით მნიშვნელობას არ ვაძლევ. გამოცემისათვის (მონოგრაფია, უსათუოდ. უნდა გამოიცეს ბეჭდურად) მონოგრაფიას დასჭირდება ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით ერთგვარი შალაშინი. უნდა გასწორდეს უხეში კორექტურული შეცდომები, რომლებიც აზრს ამახინჯებს (არის ერთად, უნდა ერად; კულტურის — კულტის; ეპიგრამად—

ეპიგრაფად; მოწამე — მოწაფე და სხვ. იხ. გვ. 85, 103, 165, 179). რომ ყოველთვის მეისრე (ე. ი. მემანქანე. მბეჭდავი ქალი) არ არის დამნაშავე, ამის ერთ საბუთს მოვიყვან: დისერტანტს ორჯერ საკუთარი ხელით აქვს ჩაწერილი: Divana Commedia (გვ. 425). ეფიქრობ, უხუსტობაა დაშვებული XXVI გვერდზე: ჭაიქაუსის ნაცვლად უნდა იყოს ჭაიხოსრო. გამოყენებულ ლიტერატურას მკვლევარი იმოწმებს სქოლიოებში. აჯობებდა ლიტერატურის ნუსხა დაერთო ბოლოშიც. ეს უფრო თვალსაჩინოს გახდიდა გამოყენებული წყაროების სიუხვეს.

ესაა და ეს. ჩემი დასკვნა სრულიად ნათელია და უყოყმანო. კონსტანტინე ფალავამ, უეჭველად, დაიმსახურა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1971

ალექსანდრე გვახარია

სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები

(მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი (I), თბილისი, 1970, 380 გვ., სტამბურად დაბეჭდილი გამოცემა (II), თბილისი, 1968, 244 გვ.)

ალ. გვახარიას სადოქტორო დისერტაცია წარმოდგენილია ორ წიგნად: ერთი ხელნაწერია (მანქანაზე გადაბეჭდილი), მეორე — ბეჭდური გამოცემაა: მეორე წიგნი მოიცავს „ბახთიარ-ნამეს“ (გამოკვლევა, კრიტიკული ტექსტი, მოკლე რუსული რეზუმე, საკუთარ სახელთა საძიებელი). ნაბეჭდი წიგნი ხელნაწერი წიგნის ბუნებრივი გაგრძელებაა, ორივე ერთად თემატიკურად, შინაარსობრივად და კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული ერთი მთლიანი ნაშრომია.

სარეცენზიო ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია სპარსული ხალხური დასთანების საკითხები საზოგადოდ. მეორე კი ეხება საკუთრივ სპარსული ხალხური დასთანების ქართულ ვერსიებს. აქედან ცხადზე ცხადია ალ. გვახარიას ნაშრომის ორმხრივი მნიშვნელობა, იგი თანაბრად განეკუთვნება სპარსული (უკეთ, სპარსულენოვანი) და ქართული ლიტერატურის დიდად საყურადღებოსა და ნაკლებად დამუშავებულ პრობლემატიკას.

დასთანი სპარსულად ნიშნავს ამბავს, მოთხრობას, თქმულებას: „ხალხური დასთანი გულისხმობს საზღაპრო პროზას, ხალხურ რომანს, ნოველათა კრებულებს“ (სადისერტაციო ნაშრომი. II გვ. 3, შენ. 1).

დასთანი „ლიტერატურისა და ფოლკლორის მიჯნაზე მერყეობს და უფრო ხშირად ფეხი წერილობითი ჟანრისკენ წაუცდება“ ხოლმე (1, 136). დასთანის ავტორობის საკითხი ამდენადვე რთულია, დასთანური თხზულება, ჩვეულებრივ, ანონიმურია, თუმცა წარმოშობით უპირატესად მაინც ინდივიდუალური შემოქმედების დაღს ატარებს. ზოგჯერ ფოლკლორია ლიტერატურული დასთანის წყარო, ზოგჯერ (და თითქოს უფრო ხშირად) ლიტერატურული ამბავი გადადის ხალხში და ზეპირი გზით ვრცელდება. მაინცადამაინც ორივე შემთხვევაში დასთანი მდაბიოთა შემოქმედების სფეროა, მდაბიოთა ლიტერატურაა, „ადაბიათე ამიანე“, „Народная лубочная литература“. სპარსულენოვან სამყაროში დასთანური ლიტერატურა ჩასახულა და განვითარებულა, როგორც გვარწმუნებს დისერტანტი, ვაჟარ-ხელოსანთა საზოგადოებრივ წრეებში (1,58). შინაარსობრივად დასთანური ნაწარმოები მრავალფეროვანია. იგი შეიძლება იყოს საგმირო-საფალავნო ფანტასტიკური მოთხრობა („ამირ ჰამზასა“ და „ყარამანიანის“ ტიპისა), ასევე ფანტასტიკური სამიჯნურო-რომანტიკული სათავგადასავლო ამბავი („ბარამგულანდამიანის“ ტიპისა), ფაბულური ჩარჩოთი გაერთიანებული დიდაქტიკური კრებული ნოველებისა თუ იგავ-არაკებისა („ბახთიარ-ნამეს“ ტიპისა)... დასთანი ერთ-ერთი ძველთაძველი ჟანრია, გავრცელებულია ეთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით პოპულარული იყო აღმოსავლეთში, სპარსულენოვანი ლიტერატურის მქონე ხალხთა შორის. ძალიან მოსწონდათ დასთანური ამბები გვიანფეოდალურ საქართველოშიც. სპარსული ლიტერატურის ისტორიისათვის ნიშანდობლივია დასთანური ჟანრის აყვავება XVI—XVIII საუკუნეებში (1, 104, 113). სწორედ იმავე საუკუნეებში ეს ჟანრი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართულ მწერლობაშიც. ეს არ არის მოულოდნელი. დისერტანტის მართებული შენიშვნით, ჩვენი ქვეყანა „ძველთაგანვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარეობდა და... საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო ისტორიული და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ირანთან“ (1,165).

სარეცენზიო შრომის პირველ ნაწილში ავტორი საფუძვლიანად არკვევს სპარსული ხალხური დასთანების რაობას, დასთანების აღმოცენებისა და გავრცელების საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და ისტორიულ-კულტურულ ვითარებას, აგრეთვე დასთანების ეროვნულ-ირანულსა და საერთაშორისო მნიშვნელობას. ნაშრომის მეორე ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ეძღვნება სპარსული დასთანების ქართულ ვერსიებს.

ალ. გვახარია სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემათა ცნობილი მკვლევარია. უკანასკნელი წლების მანძილზე იგი დიდი მონდომებით სწავლობდა სპეციალურად სპარსულ-ქარ-

თული დასთანების საკითხებს. ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს რიგი საგულისხმო ნარკვევი. სარეცენზიო გამოკვლევა ხანგრძლივი მუშაობის შედეგია, იგი ერთგვარი განმაზოგადებელი და შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომია. სპარსული დასთანების შესწავლა მხოლოდ ბოლო დროს დაიწყო. საჭირო მასალა ჯერ აღნუსხულიც კი არ არის. ალ. გვახარიას მოუხდა პირველი, მძიმე, ე. წ. შავი სამუშაოს შესრულებაც, საბჭოთა კავშირის ბევრი კულტურული ცენტრის (ლენინგრადის, მოსკოვის, ტაშკენტის, დუშანბეს, ბაქოს, თბილისის...) სიძველეთსაცავების გამოწვლილვით გაჩხრეკა, სპარსულენოვანი და, ნაწილობრივ, თურქულენოვანი ხელნაწერი მასალების გასინჯვა. დაწვრილებით გამოიძია მან საქართველოს სიძველეთსაცავების მასალებიც. შედეგი ნაყოფიერი აღმოჩნდა. ალ. გვახარიამ ამომწურავი სისრულით დაამუშავა საკვლევი საკითხის სპეციალური ლიტერატურა პირველ წყაროებში ქართულ, რუსულ, სპარსულ და ევროპულ ენებზე. საბოლოოდ მან წარმოგვიდგინა ჩინებულად შესრულებული და გარეგნულადაც კარგად გაფორმებული სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც შეუქს ჰფენს სპარსულ-ქართული ლიტერატურული წარსულის ბევრ საყურადღებო მხარეს. თვითონ დისერტანტი მოკრძალებით შენიშნავს, რომ ამ ეტაპზე მის მიზანს შეადგენდა „მთელი იმ მასალის აღნუსხვა, რომელიც, ასე თუ ისე, პირდაპირ თუ შუალობით, სპარსულ ხალხურ დასთანებს უკავშირდებაო“ (1,238). ჯერ უნდა მოწესრიგდესო ხალხური დასთანების აღნუსხვის საქმე. შემდეგ მონოგრაფიულად უნდა იქნასო შესწავლილი თვითეული დასთანი (1,5, 11,7—8). პირველად საჭიროა „სპარსული ხალხური დასთანების სხვა ენებზე არსებული ვერსიების გათვალისწინება“ (II, 7; კურსივი ავტორისაა, ა. ბ.). სხვა ენებიდან, რა თქმა უნდა, დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულს. ასეთი მუშაობის შემდეგ თუ მოხერხდებაო სრული სურათის აღდგენა და სრული დასკვნების გამოტანა (II,8). ახლა, ამ ეტაპზე, შესაძლებელი გახდა შესაფერისი მასალის „მეტ-ნაკლებად სრული თავმოყრა და პირველადი დახასიათება წყაროებთან დამოკიდებულების მხრივ“ (1,348).

სადისერტაციო ნაშრომითო, ამბობს ალ. გვახარია, მხოლოდ „მერყევ და ბუნდოვან საძირკველზე (ეგულისხმობთ სპარსული ხალხური დასთანებისა და მათი ქართული ვერსიების შესწავლის თეორიულ დონეს) ვცადეთ სანიმუშოდ ერთი თვალი ოთახის ამოყვანა“ (1,6). არა, დისერტანტმა გააკეთა გაცილებით მეტი. თავისი გამოკვლევით მან უკვე აგვიგო მრავალთვალიანი შესანიშნავი შენობა, რომელიც ჩადვა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საუკეთესო ნაგებობათა მწკრივში. იმედი გვაქვს, რომ იგი არ დააყოვნებს ამ ჩინებული შენობის შემდგომ მოპირკეთებას და მდიდრულად მორთვას.

ძლიერ ნაყოფიერი და შედეგიანია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ქართული ნაწილი. ჯერ ერთი, დისერტანტმა გამოაქვეყნა ქართულ ენაზე შემონახული, მაგრამ დღემდის უცნობი რამდენიმე დასთანური ძეგლი („სეიფ-ალ-მულუქი", „რაზმაშას ამბავი", „ბაღდადის მეფის ამბავი"). დაძებნა „სეიფ-მულუქის" წყარო და ნათელყო ქართული ტექსტის დედანთან მიმართება, უეჭველი გახადა დასტურ ჩანართი ორი მოთხრობის სპარსულიდან მომდინარეობა და გაარკვია მათი საერთო ლიტერატურული ხასიათი. თუ მხედველობაში მივიღებთ დისერტანტის განცხადებას, რომ დღეისათვის სპარსული ხალხური დასთანების „მხოლოდ წვეთია აღნუსხული" (1,122). მაშინ გასაგები იქნება ა. გვახარიას წვლილი სპარსული და ქართული დასთანური ლიტერატურის საგანძურის გამდიდრებით. ქართული ვერსიების დახმარებით ზოგჯერ ხერხდება სპარსული დედნების სადავო ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა (ასეთია, მაგალითად, „ბახთიარ-ნამეს" სულხანიშვილისეული თარგმანის მნიშვნელობა). ქართული თარგმანები პირველხარისხოვანი წყაროა სპარსული ტექსტების კრიტიკული გამოცემების მოსამზადებლად. რასაკვირველია, დედნების მოშველიებით შესაძლებელი ხდება ქართულის დამახინჯებათა გასწორება. ჩვენ დამარწმუნებლად ვთვლით „ბახთიარ-ნამეს" ქართული ტექსტების გასწორებათა უმრავლესობას.

ალ. გვახარიამ გამოიძია დასთანური ჟანრის სპეციფიკური ელემენტები კლასიკური ხანის ქართულ მწერლობაში, შეისწავლა ე წ. აღორძინების ხანის დასთანური მწერლობის მთელი მემკვიდრეობა (ორიგინალური თუ ნათარგმნი). უყურადღებოდ არ დაუტოვებია ამ მემკვიდრეობის არც ერთი ნიმუში. ზოგი ძეგლის შესახებ მოცემულია მოკლე, მაგრამ მეცნიერულად შემოწმებული და დაზუსტებული ცნობები. ზოგიც განხილულია საგანგებოდ და მონოგრაფიულად. ასეთებია — „ჩარდავრიშიანი", „მირიანი", „ბარამგულანდამიანი" (რამდენადმე ბარამგულჯანიანიც") და „ბახთიარ-ნამეს" ვერსიები (ე. წ. კახტანგისეული და სულხანიშვილისეული). ალ. გვახარიამ საბოლოოდ და ეჭვმიუტანლად დაადგინა დასახელებული ძეგლების სპარსული წყაროები. ქართული ტექსტები დაწვრილებით შეუდარა სპარსულ დედნებს, ცხადი გახადა ქართულის სპარსულისაგან დამოკიდებულების ყველა ასპექტი. გვიჩვენა ქართულის ნამდვილი თუ მოჩვენებითი თავისებურებანი, გააანალიზა ქართული ლიტერატურულ-მხატვრული მხარეები, გააშუქა ძეგლებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები (თარიღები, ავტორობა, რედაქციული ნაირობანი, ლიტერატურული გავლენისა თუ ზემოქმედების ვითარებანი და სხვ.). ყველაფერი ეს შეჯამებულ-განზოგადებულია სადისერტაციო

ნაშრომში და ერთი მთლიანი, სოლიდური მონოგრაფიის სახითაა ჩამოყალიბებული. ალ. გვახარიამ ფართოდ განიხილა და ბევრი რამ სწორად გადაჭრა სპარსულ-ქართული ლიტერატურული წარსულის ცხოვრებიდან. მან ერთგვარად ამოავსო სპარსულ-ქართული მწერლობის ხარვეზი, გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ამ მწერლობის ერთი მნიშვნელოვანი დარგის თაობაზე. ალ. გვახარიას მონოგრაფია მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევაა. ამ შრომის საფუძველზე მის ავტორს უყოყმანოდ უნდა მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

რამდენიმე შენიშვნა.

1. გადაჭარბებულად მეჩვენება დასთანური ლიტერატურის განვითარების ისე მჭიდროდ დაკავშირება ქვეყნის კონკრეტულ სოციალურ ვითარებასთან. რასაც დისერტანტი გვთავაზობს. თუ დასთანური ლიტერატურის წინსვლას აწონასწორებდა საქალაქო ცხოვრების გაჩაღება და ვაჭარ-ხელოსანთა საზოგადოებრივი წრის პოლიტიკურ სარბიელზე დაწინაურება, მაშინ ასახსნელია ე. წ. ქართული აღორძინების პერიოდში ამ ჟანრის „მოზღვავება“, დისერტანტი რომ აღნიშნავს (I!, 8). ნუთუ ასე განახლდა მაშინ ჩვენში სამოქალაქო ცხოვრება? (შდრ., I,230).

2. დისერტანტი ძლიერ აზვიადებს, თითქოს ჩვენ მოგვეპოვებოდეს დასთანური ძეგლების მეოცე და ზოგჯერ მეორმოცე გამოცემები (გვ. 238).

3. დისერტანტი მართალია, ვეფხისტყაოსანში შეინიშნება სპარსული მწერლობით ცნობილი ზოგიერთი სიუჟეტური დეტალის გამოხატულება. მაგრამ „ეს შეხვედრები საეჭვოა გაცდეს ცალკეული სიუჟეტური ელემენტების ფარგლებს“ (1,12). მკვლევრის მიერ დამოწმებული „შეხვედრები“ ნიშანდობლივია სპარსული მწერლობისათვის და არა სპეციფიკურად დასთანური ჟანრისათვის. თუ ალ. გვახარია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგის „ესე ამბავი სპარსული“ გულისხმობს „თხრობის აღმოსავლურ-მაჰმადიანურ ფონს, პოემის გმირთა აღმოსავლურ-მაჰმადიანურ სარბიელს“ და არა სპარსულ პროზაულ მოთხრობას (1, 206), მაშინ გამორიცხულია „რაღაც (კონკრეტული) ამბის“ გამოყენება რუსთაველის მხრივ. ამ შეუთანხმებლობას მკვლევარი გრძნობს და აღნიშნავს კიდევაც (1,207). როგორ აპირებს იგი შენიშნული წინააღმდეგობის მოხსნას? ჩემი ფიქრით, მეტი გარკვეულობაა საჭირო ვეფხისტყაოსნის ფაბულის საკითხში.

4. აშკარად მცდარი გვეჩვენება ალ. გვახარიას ვარაუდი, თითქოს „ინდო-ხატაელთა ამბის“ 1614-ე სტროფი ფირდოუსის გულისხმობს და თითქოს ამ სტროფის შეგონება ფირდოუსიდან არის „ამოღებული“

(1,202). ამის თაობაზე არსებობს დასაბუთებული სხვაგვარი შეხედულება. დისერტანტს ჯერ უნდა დაერღვია ის შეხედულება, შემდეგ კი თავის მოსაზრებათა დასაბუთებას უნდა შედგომოდა. მას არც ერთი გაუკეთებია და არც მეორე.

5. ამირანდარეჯანიანის წარმოშობის ე. წ. მესამე გზა (დისერტანტის სიტყვით, „ჰეშმარიტებასთან უფრო ახლო მდგომი გზა"). რომელიც თითქოს „გამოუკვეთია და ჩამოუყალიბებია" პროფესორ კარჰეზ დონდუას (1,223—224), არსებითად ადრე იყო მინიშნებული. ყოველ შემთხვევაში კ. დონდუას არ უცდია თავისი თვალსაზრისის დასაბუთება. უფრო საბუთიანად გვეჩვენება თვითონ დისერტანტის საბოლოო დასკვნა (1,224—225).

6. ბევრასფისა თუ აჯეჰაკის შესახებ ლეგენდა შეთხზული უნდა იყოს XIX საუკუნეში. მისი ძველი ფოლკლორული წყარო არსად ჩანს. დისერტანტს არ მოუცია ამ საკითხის ანალიზი (1,179—180).

7. დასაზუსტებელია მოსაზრება თითქოს „მობიდანი ირანულ მოძღვრებათა ქადაგებას უწყობდა ხელს" (1,176). მობიდანი, სხვა არა იყოს რა, ქრისტიანი მღვდელთმთავარი ყოფილა, თუმცა მწვალებლური საცთურის მიმდევარი.

8. „საქართველოში ვრცელდებოდნენ (1) ძველი ირანული ლეგენდები როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახითო", ამბობს ალ. გვახარია და სქოლიოთი იმოწმებს „შუშანიკის წამების" ტექსტს და აკადემიკოს გ. წერეთლის ცნობილ გამოკვლევას (1,175, შენ. 14) დამოწმება უსაგნო ჩანს.

9. დამარწმუნებლად არ გვეჩვენება დისერტანტის მოსაზრება, ვითომც „მცირე დეტალის" მომარჯვებით „ბარამგულანდამიანის" ქართული ვერსიის ავტორი (მთარგმნელი) ტექსტს აძლევს „მშობლიურ ელერს" (1,307).

10. ვეთანხმებით ალ. გვახარიას, რომ „ბახთიარ-ნამეს" ქართულ ვერსიებს აქვს თავისი ხმა" (11,80). შესაძლებელია ჩვენ შესაფერისად ვერ დავაფასეთ „ბახთიარ-ნამეს" ე. წ. ვახტანგისეული ვერსიის მხატვრული მხარე, მაგრამ, ვგონებთ, რომ დისერტანტი მეორე უკიდურესობას ადგას, როდესაც ხაზგასმით და დაბეჯითებით ქართველ მთარგმნელს უწოდებს დიდოსტატს (11, 43—47). ამით ჩვენ ვკარგავთ სწორი ორიენტირების თვალსაწიერს, თვითონ ცნება დიდოსტატისაც ჰუნდოვანი ხდება.

11. სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია მშვენიერი ხატოვანი ენით. ორიოდე მაგალითი მინდა დავიმოწმო კიდევაც:

„... მისმა სიმკაცრემ შემოდგომის რთველის სუსხივით დაჰკრა გამოღვიძებული ქართული მხატვრული მწერლობის ჯეჯილს" (1,229).

„სპარსული ხალხური დასთანების ზღვას ასი ვარსკვლავის სხივიც ვერ დააშრობს“ (1.239).

„სპარსთა ტკბილი ენის მუსიკობას“ ხმლების ჩახაჩუხიც კი ვერ ახშობდა ავბედი საუკუნეების ჟამთა სრბოლაში“ (11.7).

ერთი რამ მაინც შევნიშნე. ალ. გვახარია ზოგჯერ სწორად ვერ იყენებს „მო“ ნაწილაკს. ორი მაგალითი (ერთი ხელნაწერიდან, ერთი ნაბეჭდი შრომიდან):

XVIII საუკუნეში გაჩნდაო სპარსული „ჩაჰარ დარვიშის“ გადმოკეთება ურდუ ენაზე“ (1,153). უნდა „გადაკეთება“. იქვე კვლავ ლაპარაკია ფარსულის „ინდურ გადმოთარგმნა-გადმოკეთებაზე“ (1,154), გადათრგმნა-გადაკეთების ნაცვლად.

„1932 წელს ვაჰდასთგერდიმ უცვლელად გადმობეჭდა ბაჰთიარ-ნამეს ბერტელსისეული გამოცემის ტექსტი“ (II, 23). გ ა დ მ ო ბ ე ჭ დ ა ს ნაცვლად, ცხადია, უნდა გ ა დ ა ბ ე ჭ დ ა.

შენიშვნები შენიშვნებია, ხოლო სარეცენზიო ნაშრომი კი, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ჩინებული მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს ახალგაზრდა ავტორის შრომ-თა რიგს.

1970.

ელგუჯა ხინთიბიძე

მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში

(თბილისი, 1970, 475 გვ. მანქანაზე გადაბეჭდილი)

საკვალიფიკაციოდ წარმოდეგნილი ამ ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ავტორს უკვე ბეჭდურად აქვს გამოქვეყნებული, რაც მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი.

ე. ხინთიბიძის მონოგრაფია სოლიდური მეცნიერული გამოკვლევაა. იგი საყურადღებო წვლილია როგორც ქართული საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში საზოგადოდ, ისე და განსაკუთრებით რუსთველოლოგიაში.

ე. ხინთიბიძის მონოგრაფია, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, ფილოლოგიური ნაშრომია. ავტორი დიდი დაკვირვებითა და სიფრთხილით იკვლევს ვეფხისტყაოსნის რიგ რთულსა და სადავოდ ქცეულ ტექსტოლოგიურ საკითხებს, ვეფხისტყაოსნის ტექსტების მისებურ

გაგებაზე აფუძნებს თავის შეხედულებას რუსთველის მსოფლმხედველობრივ პრობლემატიკაზე. ასეთებია, მაგალითებრ, ნარკვევები: „მთვარის მოვანება“, „ავთანდილის ძალნი ზეციერნი“, „ვეფხისტყაოსნის კრონოსი“, „ნესტანის ცხრა და შვიდი ცა“, „მართალი სამართლის ცნებისათვის“, „ვეფხისტყაოსნის მოცალეობა“; აგრეთვე, ერცელი საგანგებო შენიშვნები (კომენტარები) ისეთ სპეციალურ რუსთველურ გამოთქმა-სახეებზე, როგორიცაა „მზიანი ღამე“, „უეამო ჟამი“, „ერთარსებისა ერთისა“, „ბუნება-ზიარი“ და სხვ.

ამრიგად, ე. ხინთიბიძე, მიზნად ისახავს გაარკვიოს რუსთველის ძირითადი მსოფლმხედველობრივი საკითხები. ე. ხინთიბიძე იმ აზრისაა, რომ რუსთველი ეყრდნობა, აგრძელებს და ავითარებს იმგვარ თვალსაზრისს, რომელიც XII—XIII საუკუნეების საერთო ქრისტიანული სამყაროს პროგრესული აზროვნების სახელით არის ცნობილი; რომ ძველი საქართველოს პოეტი-ჰუმანისტი გაცდა თავის ეპოქას და რენესანსული აზროვნების დონეზე ამაღლდა.

ე. ხინთიბიძე ასაბუთებს, რომ რუსთველი ავითარებს და აღრმავებს საკუთრივ XI—XII საუკუნეების მოწინავე ქართული აზროვნების ტრადიციებს. სადისერტაციო შრომის თანახმად. რუსთველი რაციონალისტია, რომ პოეტი რწმენას უპირისპირებს გონებას (ინტელექტს), ქრისტიანული დოგმატიკიდან იგი იმას ღებულობს, რისი ახსნა და დამტკიცება შეიძლება ადამიანური გონების ძალით. ლოგიკის გზით.

ე. ხინთიბიძის უძირითადესი დებულება ისაა, რომ რუსთველის პოეზიაში გარკვევით იგრძნობა არისტოტელეს ეთიკისა და ქრისტიანული მორალის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ქრისტოლოგიის) თავისებური სინთეზი. ეს სინთეზი (შერწყმა), ავტორის ფიქრით, ხდება არისტოტელიზმის ნიადაგზე.

რენესანსული განწყობილება განსაზღვრავს, ე. ხინთიბიძის მოსაზრებით, რუსთველური სიყვარულის ბუნებასა და ხასიათს (მკვლევარი თვლის, რომ რუსთველური სიყვარული არსებითად განსხვავდება შუა საუკუნეთა ევროპული რაინდული სიყვარულის რეგლამენტირებული პირობითობისაგან).

მთლიანად, ე. ხინთიბიძის ნაშრომი სერიოზული, ორიგინალური გამოკვლევაა, რუსთველოლოგიური მეცნიერების გარკვეული შენაძენია. რა თქმა უნდა, შრომაში რიგი სადავო და საცილობელი მოსაზრებაა გამოთქმული (რაც ოდნავად არ ამცირებს ნაშრომის პოზიტიურ მნიშვნელობას). ვფიქრობთ, რომ მკვლევარი აჭარბებს ასტროლოგიური ცოდნის მეცნიერული მნიშვნელობის შეფასებაში, ისე როგორც აჭარბებს არისტოტელური ნაკადის ადგილის თაობაზე რუსთველის აზროვნებაში.

..სადისერტაციო ნაშრომის საფუძველზე, ჩემი აზრით, ე. ხინთიბიძემ დაიმსახურა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების უფლება.

1971

თენგიზ გორელიშვილი

სინდბად-ნამეს სპარსული და ქართული ვერსიები

(თბილისი, 1964, 258 გვ. მანქანაზე გადაბეჭდილი)

თ. გორელიშვილს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემატიკიდან. საკვალიფიკაციოდ წარმოდგენილ სარეცენზიო ნაშრომამდეც მან უკვე დასტამბა ამ ნაშრომის ძირითადი შინაარსისა და დასკვნების შემცველი ორი ნარკვევი: 1. სინდბად-ნამესა და თიმსარიანის ურთიერთობისათვის (თსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 145—152); 2. სინდბად-ნამე (თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 157—189). ხოლო სულ უკანასკნელ დროს (საკვალიფიკაციო შრომის წარმოდგენის შემდეგ) გამოსცა თიმსარიანის ქართული ვერსიის ტექსტი.

სარეცენზიო ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია სინდბად-ნამეს სპარსული ვერსია, მეორე ნაწილში — ქართული ვერსია (სინდბად-ნამეს ქართულ ვერსიას ეწოდება თ ი მ ს ა რ ი ა ნ ი: თიმსარი ან თიმსალი ნიშნავს იგავ-არაკს. სინდბად-ნამე თიმსარების კრებულია, აქედან წარმოდგება მისი ქართული ვერსიის სახელწოდება).

დისერტანტი სამართლიანად ამბობს, რომ „ლიტერატურათმცოდნეობაში (სინდბად-ნამეს) სპარსული ვერსიების რაობისა და ერთმანეთთან მიმართების საკითხი ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი" (გვ. 48). საკმარისია თუ ვიტყვით, რომ თ. გორელიშვილის წყალობით დადგინდა სინდბად-ნამეს სპარსული ლექსითი რედაქციის ავტორობის საკითხი. თ. გორელიშვილმა აღმოაჩინა სინდბად-ნამეს ლექსითი ვერსიის მეორე უცნობი ხელნაწერი (მანამდის ცნობილი იყო მხოლოდ ერთი დეფექტური ნუსხა). ამ ხელნაწერის გულდასმითი შესწავლის შედეგად მან გაარკვია. რომ სინდბად-ნამეს სპარსული ლექსითი რედაქციის ავტორი ყოფილა ვინმე ა ზ ა დ ი (თუ ა ზ ო დ ი), რომელსაც თავისი თხზულება გაუწყვია ერთი წლის განმავლობაში. მის მიერვე აღმოჩენილი ხელნაწერი

ტექსტის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად თ. გორელიშვილი ამტკიცებს, რომ აზადის ლექსითი რედაქციის წყარო უნდა ყოფილიყო მე-12 საუკუნის მწერლის ზაჰირი სამარყანდელის სპარსული პროზაული ვერსია. ეს პროზაული ვერსია აზადის გაულექსავს (ლექსად შეუქცევია). თავისი ნარკვევით თ. გორელიშვილმა გარკვეული წვლილი შეიტანა სინდბად-ნამეს სპარსული ვერსიის შესწავლის საქმეში. წინასწარი, მოკლე ცნობები აზადის ვერსიის შესახებ თ. გორელიშვილმა გამოაქვეყნა 1962 წელს (თუშ, 99, გვ. 151—152). ვრცლად ეხება მას სადისერტაციო შრომაში (გვ. 115—141).

ერთგვარი წვლილი შეაქვს თ. გორელიშვილს ზაჰირი სამარყანდელის სპარსული პროზაული ვერსიის შესწავლის საქმეშიც. სადისერტაციო ნაშრომის პირველი ნაწილი მიძღვნილი აქვს უმთავრესად ამ ზაჰირი სამარყანდელის ვერსიას. შესავალში ახალგაზრდა მკვლევარი იხილავს სინბად-ნამეს აღმოცენებისა და მთელ მსოფლიოში გავრცელების ისტორიას (ეს ნაწილი ძალზე გადატვირთულია). საგანგებოდ ჩერდება სპარსულ ვერსიებზე, კერძოდ, ზაჰირი სამარყანდელის იმ პროზაულ ვერსიაზე, რომელიც ქართული თიმსარიანის დედანს წარმოადგენს. ავტორს ძალიან წინგიერად და მოზომილად აქვს დახასიათებული ყარახანიდების დროინდელი მაევრანაჰრის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება (სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ ავტორი ზოგჯერ ხმარობს ფორმას ყარახანიდი. ზოგჯერ კი — ყარახანიანი, ასევე ხან აქვს გამოთქმა სამანელები, ხანაც სამანიდები). მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ყარახანიდების დროინდელი მწერლების ამაყ ბუხარელის, სეზანი სამარყანდელისა და არუზი სამარყანდელის შესახებ. ოღონდ საკვირველია, რომ არუზი სამარყანდელის „ჩაჰარ მაყალას" ციტატები ჩვენს მკვლევარს მოჰყავს არა დედნიდან ან მისი თარგმანიდან (რუსული კარგი თარგმანი გამოვიდა მოსკოვში 1963 წელს), არამედ ლიტერატურის ისტორიის კურსებიდან (შდრ. სადის. ნაშრომი, გვ. 37). ამის შემდეგ მოდის დისერტაციის მთავარი საგანი ზაჰირი სამარყანდელის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვა. თ. გორელიშვილი ვრცლად და საფუძვლიანად არკვევს ზაჰირი სამარყანდელის სინდბად-ნამეს იდეურ-შინაარსობრივ. კომპოზიციურ და ენობრივ-მხატვრულ მხარეებს.

დღემდის შედარებით ცოტა იყო გაკეთებული სინდბად-ნამეს ქართული ვერსიის შესასწავლად, არ მოგვეპოვებოდა სპეციალური გამოკვლევა სინდბად-ნამეს ქართული ვერსიის სპარსულ წყაროსთან დამოკიდებულების თაობაზე. ამ საკითხს გაკვრით შეეხო მხოლოდ ს. ოლდენბურგი (О персидской прозаической версии Книги Синдбада, СПБ, 1897), რომელიც ნაწილობრივ იცნობდა ქართულ მასალებს.

ს. ოლდენბურგის დასკვნებს იმეორებდა თიმსარიანის უველა მკვლევარი. თ. გორელიშვილმა დაწვრილებით შეუდარა და შეუპირისპირა თიმსარიანი მის სპარსულ დედანს, ზაჰირი სამარყანდელის სინდბად-ნამეს. შედარება-შეპირისპირების შედეგად ახალგაზრდა მკვლევარმა დაადგინა, რომ „არაკთა შედგენილობისა და თანამიმდევრობის მხრივ გარკვეული სხვაობაა თიმსარიანსა და სინდბად-ნამეს შორის" (გვ. 154), ამასთან ერთად, სპარსულ-ქართული არაკები ხშირად შინაარსობრივადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ქართულში ზოგჯერ იცვლება „არაკის მიზანდასახულობა" (გვ. 156). „თიმსარიანში, — შენიშნულია სხვაგან, — ვხვდებით სერიოზულ სხვაობას გავრცობისა და სრულიად ახალი ეპიზოდის ჩართვის სახით" (გვ. 195). მკვლევარი ასკვნის: „თიმსარიანი არ არის ზუსტი, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, როგორც ტექსტების დაწვრილებითმა ანალიზმა გვიჩვენა, ქართველი მთარგმნელი ორიგინალის მიმართ ზომაზე მეტ თავისუფლებას იჩენს: ნებისმიერად ავრცობს, ამოკლებს, უმატებს მრავალ ახალ დეტალს (იშვიათად ეპიზოდსაც), იძლევა პერსონაჟთა სრულიად განსხვავებულ პორტრეტებსა და ბუნების აღწერას" (გვ. 217, დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

დისერტანტის ვარაუდით, თიმსარიანის ტექსტის ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობანი „მთარგმნელისეულია" (გვ. 196). მკვლევარი ფიქრობს, რომ დედნისგან გადახვევები „სინდბად-ნამეს ენის სირთულითაც უნდა იყოს გამოწვეული" (გვ. 217), „რომ მთარგმნელს ყოველთვის კარგად არ ესმოდა რა სათარგმნელი ტექსტის ესა თუ ის ადგილი, მას თავისი გემოვნების მიხედვით აქართულებდა" (გვ. 218).

სინდბად-ნამესა და თიმსარიანის დაწვრილებითი შედარება-დაპირისპირების გზით დისერტანტმა ფრიად საყურადღებო სურათი დაგვიხატა, ოღონდ, ჩვენი აზრით, შესაფერისად დასაბუთებული არ არის მისი დასკვნები, ამდენად ამ დასკვნებს აკლია დამარწმუნებლობითი ძალა. დაეუშვათ რომ მთარგმნელს ზუსტად არ ესმოდა სპარსული დედნის ესა თუ ის რიტორიკული ნაწყვეტი, განა ამას შეეძლო გამოეწვია მის ტექსტში რიგი ახალი სიუჟეტური მოტივისა და მით უფრო ახალი ეპიზოდის შეტანა? საეჭვოა!

ერთგან თიმსარიანში მოთხრობილია მიჯნურთა განცხრომის ამბავი. მთარგმნელი ურთავს: „მათ უსაყვარლესი მიჯნურნი არც ვისი და რამინი ყოფილან, არც ყაისი და ლეილი, არც ტარიელი და ნესტანდარეჯანი, რომე იმათ ეს ღამე ისიამოვნესო: (სად. ნაშრომ, გვ. 188). ნუთუ ამ და სხვა ამისი მსგავსი „ჩანართი" ტექსტების წარმოშობა სპარსული დედნის ენის სირთულის დაუძლეველობას უნდა გამოეწვია? ისიც უნდა დავძინოთ, რომ საზოგადოდ სადისერტაციო ნაშრომის ამ მონაკვეთში მცირეა ანალიზის ხვედრითი წონა, დისერტანტი უფრო

ფაქტობრივ მასალას გვთავაზობს (ამ მხრივ ნაშრომი მდიდარია და ესაა მისი ერთ-ერთი დიდი ღირსება). საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ავტორს მოჰყავს საინტერესო მასალა, მაგრამ გაანალიზებისაგან სრულიად იკავებს თავს და უბრალოდ შენიშნავს: „ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ კომენტარიები აღარ ყოფილიყო საჭირო, ვფიქრობთ, უკომენტაროდაც ყველაფერი ნათელია“ (გვ. 181), „ვფიქრობთ კომენტარიები ზედმეტია“ (გვ. 163 და სხვ.). არა, ავობებდა, დისერტანტს მეტი ადგილი დაეთმო ანალიზისა და „კომენტარიებისათვის“. მაშინ, იქნებ, უფრო დამაჯერებელი გამხდარიყო მისი დასკვნები. მაინც დისერტანტს დიდად საჭირო და სასარგებლო შრომა გაუწევია. მას წარმოდგენილი აქვს ტექსტობრივი შეპირისპირების მაილუსტრირებელი უხვი სანდო მასალა.

საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი ავტორის მოსაზრებანი თიმსარიანის ტექსტის გარშემო. მას ამომწურავი სისრულითა და გულდაბმით შეუსწავლია თიმსარიანის ყველა ცნობილი ხელნაწერი. თხზულების ტექსტობრივ თავისებურებას მკვლევარი ზოგჯერ (და სამართლიანად) გადამწერის წვლილად თელის. ბევრ შემთხვევაში სავსებით დასაბუთებულია ქართული ტექსტის წარყვნილი ადგილების გასწორების ცდანი. მაგალითად, ხელნაწერებით ჩვეულებრივ ერთი არაკი დასათაურებულია როგორც „გ ზ ი რ ი მრეცხელი“, თუმცა არაკში საუბარია მრეცხავზე და გზირი სრულიად არაფერ შუაშია. სპარსული დედნის დახმარებით დისერტარტმა გაარკვია, რომ გ ზ ი რ ი დამახინჯებაა სპარსული სიტყვისა გ ა ზ ო რ, რაც მრეცხავს ნიშნავს. ორ ქართულ ხელნაწერში კიდევაც აღმოჩენილა სპარსულის შესატყვისი ფორმა გ ა ზ ი რ (გვ. 236). ჩვენ დამარწმუნებლად გვეჩვენება დისერტანტის მიერ მე-6, მე-7, მე-9, მე-11, მე-12, მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-20, 21-ე, 23-ე, 24-ე, 30-ე, 39-ე, 42-ე, 53-ე, 58-ე და 59-ე ნომრებად მოყვანილი მაგალითები. საეჭვოდ და მიუღებლად გვეჩვენება მე-5, მე-19, 26-ე, 28-ე, 31-ე, 45-ე და ზოგიერთი სხვა მაგალითი. საერთოდ და მთლიანად, ნაშრომის ეს ნაწილი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. დისერტანტს გაუაზრებია და გაუსწორებია ტექსტის ბევრი წარყვნილი და დამახინჯებული ადგილი.

ჩვენ აქ არ ვეხებით ზოგიერთ წვრილმან ნაკლოვანებას, რაც შესამჩნევი ხდება სადისერტაციო ნაშრომის გადაკითხვის დროს (იხ. გვ. 24, 144, 148—149, 150 და სხვ.). მთავარი ისაა, რომ სადისერტაციო ნაშრომის სახით წარმოდგენილია საყურადღებო გამოკვლევა, რომელიც მნიშვნელოვნად ავსებს ქართული მწერლობის ისტორიის ერთ ხარვეზს და ერთგვარი წვლილი შეაქვს სპარსული მწერლობის ისტორიის საკითხებშიც.

თენგიზ გორელიშვილი სავსებით მომზადებული მეცნიერი მუშაკია. დაკვირვებული ტექსტოლოგი და ნიჭიერი მკვლევარი. სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე მას უყოყმანოდ უნდა მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1965

ბორის დარჩია

ვეფხისტყაოსნის რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება „ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით

ხელმძღვანელის მოკლე დახასიათება

ბ. დარჩიამ გამოკვლევის საგნად გაიხადა ვეფხისტყაოსნის ერთი მნიშვნელოვანი დანართი ეპიზოდი (გაგრძელება), რომელსაც „ხვარაზმელთა ამბავი“ ეწოდება. ამასთან დაკავშირებით მას მოუხდა საფუძვლიანად შეესწავლა ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეული ყველა ხელნაწერი, რომ გაერკვია „ხვარაზმელთა ამბის“ რედაქციული მიმართება პოემის ძირითად ტექსტთან. მკვლევარმა წამოაყენა, ჩემის აზრით, სავსებით დამარწმუნებელი დებულება, რომ „ვეფხისტყაოსნის ყველა ნაწილი რედაქციულად მტკიცედ უკავშირდება ერთმანეთს“ (გვ. 19). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ხვარაზმელთა ამბის“ შემცველ ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფები არსებითად ეთანხმება თვითონ ვეფხისტყაოსნის ძირითადი ამბის ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების ნაირსახეობას. ამდენადვე „ხვარაზმელთა ამბის“ რედაქციულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ ვეფხისტყაოსნის რედაქციულად შესწავლისათვის“ (გვ. 19—20).

ახალგაზრდა მკვლევარმა დაასაბუთა, რომ ΛΒ რედაქციული ჯგუფით შემონახული შედარებით ვრცელი ტექსტი „ხვარაზმელთა ამბისა“ პირველადია, ხოლ D რედაქციის ნუსხები, თუმცა შეიცავს უფრო მოკლე, დახვეწილ და ამბის თანმიმდევრული განვითარების თვალსაზრისით უკეთ გამართულ ტექსტს, იგი რედაქციული გადაკეთების შედეგია და წარმოშობით მეორადია (გვ. 146—147). აღნიშნულ ხელნაწერთა ჯგუფების რედაქციული ნაირსახეობა და მათი ურთიერთ-

მიმართება ერთგვარია ამბის ტექსტის როგორც სტროფული შედგენილობის, ისე წაკითხვების ხმრითაც (გვ. 159).

ნაკლებ დამარწმუნებლად გვეჩვენება ბ. დარჩიას მოსაზრება, თითქოს სარგის თმოგველის შეთხზული ლექსები უნდა ვეძიოთ არა „ხვარაზმელთა ამბის“ გარეთ, არამედ შიგნით, თვით ამ თხზულებაში, რომ თვით ეს თხზულება იყო ნარევი ტექსტით შესრულებული“ (გვ. 181).

საერთოდ და მთლიანად ბ. დარჩიას ნაშრომი საყურადღებო სპეციალური ტექსტოლოგიური გამოკვლევაა. ამ გამოკვლევის საფუძველზე მისი ავტორი სავსებით იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

5.XI.1967

მარინე მამაცაშვილი

თეიმურაზ პირველის ლეილ-მაჯნუნიანის სპარსული წყაროს საკითხისათვის

(თბილისი, 1963, გვ. 228, საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი საკანდიდატო შრომა).

გარდა წინასიტყვაობისა (გვ. 1) და შესავლისა (გვ. 2—13), სარეცენზიო ნაშრომს აქვს სამი თავი: 1. ლეილი და მაჯნუნის აღმოსავლური ვერსიები (გვ. 14—91). 2. ქართული ლეილ-მაჯნუნიანი და მიმბაძველთა აღმოსავლური ვერსიები (გვ. 91—141). 3. თეიმურაზ პირველის მხატვრული ენა (თარგმნილი და ორიგინალური თხზულებების მიხედვით) (გვ. 141—220). შრომას დართული აქვს დამოწმებული ლიტერატურის სია (გვ. 220—227).

თეიმურაზ პირველი (1589—1663) მე-17 საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა და სახელმოხვეჭილი პოეტი. რომელსაც ზოგჯერ რუსთველსაც კი უყენებდნენ გვერდით (თუთონ თეიმურაზი თავის თავს რუსთველზე მაღლა აყენებდა). გარდა ორიგინალური თხზულებებისა, თეიმურაზს სპარსულიდან გადმოღებული, გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული აქვს ოთხი პოპულარული პოემა: ლეილ-მაჯნუნიანი, იოსებ-ზილიხანიანი, ვარდ-ბულბულიანი და შამ-ფარვანიანი.

ჩვენ შეგნებულად ვხმარობთ გამოთქმას გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული. მიუხედავად ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, დღემდის საბოლოოდ დადგენილი არ არის, თეიმურაზი პირ-

დაპირ თარგმნიდა სპარსულ ტექსტებს, თუ იგი თავისი შეხედულებისამებრ ამუშავებდა (აქართულებდა) მისთვის ნაცნობ უცხოურ სიუჟეტებს. თქმული თანაბრად შეეხება დასახელებულ ოთხივე პოემას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და იწვევს მთელ აღმოსავლურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ლეილ-მაჯნუნიანი (ლეილასა და მაჯნუნის სიყვარულის ამბავი). სარეცენზიო შრომის ავტორს აღრიცხუაქვს მარტო სპარსულ-თურქული ლეილ-მაჯნუნიანის სამოცამდე ვერსია (გვ. 59—69). აქედან ორი ვერსია ცნობილი გახდა ჩვენი დისერტანტის წყალობით. შეიძლება ბეჯითად ითქვას, რომ აღრიცხულით ვერ ამოიწურება ლეილ-მაჯნუნიანის ვერსიათა საერთო რიცხვი.

თეიმურაზის ნათარგმნი პოემებიდან საგანგებო შესწავლის საგნად დისერტანტს აუღია სწორედ ლეილ-მაჯნუნიანი. ლეილ-მაჯნუნიანის საკითხის გარკვევა ნამდვილად შუქს მოჰფენს თეიმურაზის მთარგმნელობით-შემოქმედებითი საქმიანობის საერთო ხასიათს. ამიტომაც დისერტანტის არჩევანი კანონზომიერია.

მარინე მამაცაშვილი კარგა ხანია იკვლევს ლეილ-მაჯნუნიანის თეიმურაზისეული ვერსიის საკითხს. მას უკვე გამოქვეყნებული აქვს ორი სპეციალური ნარკვევი: 1. თეიმურაზის ლეილ-მაჯნუნიანის სპარსული წყაროს საკითხისათვის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. II, 1960, გვ. 111—134). 2. შეიხ საადედ-დინ რაჰაი ხაფელის პოემის ლეილი ვო მაჯნუნიანისა და, ქართული ლეილ-მაჯნუნიანის ურთიერთობისათვის (იმავე ინსტიტუტის მოამბე. III, 1961, გვ. 87—94). ეს ნარკვევები ზოგიერთი ცვლილებით შესულია სადისერტაციო ნაშრომში.

თავისი ნაშრომის პირველ თავში დისერტანტი ეხება ლეილ-მაჯნუნიანის სიუჟეტის წარმოშობას. შემდეგ საფუძვლიანად იხილავს ამ სიუჟეტის განვითარებას სპარსულ-თურქულ მწერლობაში, კერძოდ, სპარსულ მწერლობაში. დისერტანტი საგანგებოდ ჩერდება ლეილ-მაჯნუნიანის კლასიკურ სპარსულ რედაქციებზე (ე. ი. ნიზამი განჯელისა, ბოსრო დეჰლევისა და ჯამის ვერსიებზე), არკვევს ამ რედაქციებისადმი სპარსელი (და თურქი) მიმბაძველების დამოკიდებულებას. აღნიშნული დისერტანტს იმისათვის სჭირდება, რომ გაარკვიოს: „რა ტიპის სპარსული ვერსია უნდა დასდებოდა საფუძვლად თეიმურაზის პოემას, სად და როდისაა იგი საძიებელი“ (გვ. 1). დისერტანტს სწორი გეზი აქვს აღებული. საკითხებიც მიმოხილული და ფაქტები გაანალიზებული აქვს საქმის ცოდნით და სიღრმით. დისერტანტი თავისუფლად ფლობს სპარსულ ენას, მშვენივრად ერკვევა სპარსული მწერლობის სპეციალურ საკითხებში და გვთავაზობს მრავალ საყურადღებო დაკვირვებას,

რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს სპარსული მწერლობის ისტორიისათვის.

მარინე მამაცაშვილის სიტყვით, „ქართული ლეილ-მაჯნუნიანის მიმართება სპარსულ ვერსიებთან აქამდე მხოლოდ ნიზამის, ჯამის და, ნაწილობრივ, ჰილალის პოემების შესწავლით ამოიწურა“ (გვ. 5). თეიმურაზისეული ლეილ-მაჯნუნიანის ნიზამისა და ჯამის ანალოგიურ პოემებთან შედარებამ ვერ გადაწყვიტა ქართულის წყაროს საკითხი, ამით „გაირკვა მხოლდ ის, რომ თეიმურაზის ლიტერატურული წყარო არ შეიძლება იყოს დასახელებული პოემებიო“ (გვ. 7). დისერტანტის ფიქრით, „დასკვნების გამოტანა ნაადრევია, ვიდრე ქართული ლეილ-მაჯნუნიანი შედარებული არ იქნება თეიმურაზ პირველის თხზულების შექმნამდე არსებულ ყველა სპარსულ რედაქციასთან“ (გვ. 7).

დისერტანტი იზიარებს და ადასტურებს ადრე გამოთქმულ იმ პრინციპულ მოსაზრებას, რომ: „თეიმურაზის ლეილ-მაჯნუნიანის ლიტერატურული წყარო თუ პროტოტიპი საძიებელია თემურიდებისა და სეფიანთა ხანის სპარსულ ლიტერატურაში“ (გვ. 139). მკვლევრის განკარგულებაში ყოფილა ლეილ-მაჯნუნიანის თხუთმეტი ხელნაწერი (ძირითადად სპარსული, ნაწილობრივ — თურქული) ვერსია. ამ ვერსიების თეიმურაზისეულ პოემასთან შედარებით შესწავლას გამოუკვეთია ლეილი და მაჯნუნის „ის ლიტერატურული ტიპი, რომელთანაც თავისი სიუჟეტური არნაგობით ახლოს უნდა იდგეს თეიმურაზ პირველის ვერსია. აშკარა გახდა აგრეთვე ისიც, რომ სიუჟეტის ყველა კომპონენტი თეიმურაზს უნდა ჰქონდა სპარსული პროტოტიპიდან და მასში ამ მხრივ ორიგინალური არაფერია“ (გვ. 8. დაწერილია ავტორისაა, ა. ბ., შდრ. აგრეთვე გვ. 138—139).

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებითად ასე გვესახებოდა ჩვენც თეიმურაზისეული პოემის სიუჟეტური არნაგობის საკითხი, რაც გამოთქმული გვაქვს ერთ-ერთ ნარკვევში, რომელსაც დისერტანტი იცნობს და საიდანაც საჭირო ციტატასაც იმოწმებს (გვ. 5). რა თქმა უნდა, აღნიშნული დებულება დისერტანტმა განავითარა, გააფართოვა და გაამყარა დღემდის გამოუყენებელი და შეუსწავლელი რიგი ახალი მასალის მოხმობის საფუძველზე.

დისერტანტი გვიცხადებს, რომ იგი შორსაა პრეტენზიისგან საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩათვალოს „თეიმურაზის ლიტერატურული წყაროს დადგენის საკითხი“ (გვ. 8). ჩვენ ჩვენის მხრივ უნდა დავძინოთ, რომ მარინე მამაცაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შედეგად საკმაო მანძილით მიეუახლოვდით თეიმურაზისეული ლეილ-მაჯნუნიანის წარმოშობის მეტისმეტად რთული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის საბოლოო გადაჭრის შესაძლებლობას.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ საბოლოო სიტყვასაც ისევე ბარიხე მამაცაშვილისგან მოვისმენთ.

დაგვრჩენია გავაკეთოთ ერთი შენიშვნა. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ თეიმურაზისეულ ლეილ-მაჯნუნიანში ერთგან პოემის პერსონაჟის, ბასრელი ამირის, კარის გარემო შედარებულია სულთან ჰუსეინ ბაიყარას (1469—1506) სამეფო კართან. ისე როგორც სულთან ჰუსეინის კარი, ბასრელი ამირის კარიც იზიდავდაო „მოლექსე-მოშაირეთ“ (სტროფი 98). ამან უფლება მოგვცა გვეფიქრა, რომ: „თეიმურაზის ლეილ-მაჯნუნიანის პროტოტიპის ავტორი გამოსულიო უნდა იყოს სულთან ჰუსეინის პოეტთა წრიდან“-მეთქი[1]. ჰუსეინი თვითონ იყო რიგიანი პოეტი და განთქმული მეცენატი, რომელიც თავის კარზე იწვევდა და მფარველობდა პოეტებს, მწიგნობრებს, მხატვრებს. მარინე მამაცაშვილი გვედავება და ბეჯითი კილოთი აცხადებს: „თეიმურაზის ლეილ-მაჯნუნიანის პროტოტიპის ავტორისა და ჰუსეინ ბაიყარას თანამედროვეობისა და თანადროულობის საკითხი“ უ ნ დ ა მ ო ი ხ ს ნ ა ს ო (გვ. 12). „განა მოგვიანო ხანის, ვთქვათ, სეფიანთა ეპოქის პოეტს არ შეეძლო მსგავსი პარალელის გავლებაო“, გვეკითხება დისერტანტი (გვ. 12—13), ისიც გასარკვევიაო, განაგრძობს „ვის ეკუთვნის ეს სიტყვები — თეიმურაზ პირველს თუ წყაროს ავტორსო“ (გვ. 13). თუ საკითხს მეტ-ნაკლები შესაძლებლობის თვალსაზრისით მივუდგებით, რასაკვირველია, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟის კარის ბრწყინვალების ჰუსეინის კარის ბრწყინვალებასთან შედარებას უფრო ამ კარის პოეტი მიმართავდა, ვიდრე სეფიანთა დროის მოღვაწე, როცა ჰუსეინი უკვე მივიწყებული ჰყავდათ. მით უმეტეს მიუღებელია იმის ვარაუდი, რომ თეიმურაზი თავისით შეიტანდა ქართულ ვერსიაში მსგავს თემატიკურ მოტივს. თვითონ დისერტანტიც ხომ იძულებულია აღიაროს: „ჩვენ არ გვსურს იმის მტკიცება, თითქოს პროტოტიპის ავტორი ჰუსეინ ბაიყარას ლიტერატურული წრიდან არ უნდა გამოსულიყო“-ო (გვ. 12). კი მაგრამ, აკი დისერტანტმა უკვე მ ო ხ ს ნ ა თეიმურაზის ლეილ-მაჯნუნიანის პროტოტიპის ავტორისა და ჰუსეინ ბაიყარას თანამედროვეობისა და თანადროულობის შესაძლებლობა?

პრინციპული ასპექტით საინტერესოა სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავი — „თეიმურაზ პირველის მხატვრული ენა“ (თარგმნილი და ორიგინალური თხზულებების მიხედვით).

დისერტანტი გვისაბუთებს თეიმურაზის შემოქმედების დიდ კავშირს ქართული მხატვრული აზროვნების ტრადიციებთან, განსაკუთრე-

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954; ალ. ბარამიძე, თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ (ლიტერატურული ძიებანი, XII, 1959, გვ. 169—170).

ბით — რუსთველის პოეზიასთან. ხოლო შესაფერისად, ასკვნის, „ძალ-ზე სუსტად მჟღავნდება თეიმურაზის პოეზიაში სპარსული პოეტური კულტურის მოსალოდნელი გავლენაო". (გვ. 218). დისერტანტი ვა-რაუდობს, რომ მის მიერ გამოწვლილული მასალებით ნათელი მოე-ფინება თეიმურაზის „მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკას უცხო სიუჟეტის გამოყენების შემთხვევაში" (გვ. 1).

მეთოდოლოგიურად სავსებით გამართლებულია დისერტანტის ნა-ბიჯი. სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი საყურადღებოა თავისი დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობითაც და რამდენადმე იმ სპეციალური ამოცანების შესაბამისადაც, რაც მას დაუსახავს.

თეიმურაზის მიერ რუსთველის პოეტური ენის ტრადიციების ათ-ვისების საკითხში დისერტანტი ავითარებს არსებულ შეხედულებას, მაგრამ ბევრ ახალ დაკვირვებასაც იძლევა და აფართოებს კვლევის სფეროს. ეს არის სარეცენზიო შრომის უცილობელი ღირსება. ოღონდ გვეჩვენება, რომ დისერტანტი უკიდურესობაში ვარდება, ნებსით თუ უნებლიეთ, იგი ერთგვარად ჩქმალავს თეიმურაზის შემოქმედებაზე სპარსული ტრადიციების ზემოქმედების ძალას. ზოგჯერ დისერტანტი ჰკარგავს ზომიერების გრძნობას, უჩვეულო პოლემიკურ კილოს მიმარ-თავს და აქა-იქ ისეთ რამეს მიაწერს მკვლევართ, რაც მათ აზრადაც არ მოსვლიათ. თეიმურაზის ვითომცდა გამოსარჩლების მიზნით იგი შე-უფერებლად ახასიათებს ზოგ ქართველ მწერალს (მაგალითად, არჩილს) და ა. შ. ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით ამ საკითხებზე შეჩერებას, მით უფრო, რომ ამას არ აქვს პირდაპირი კავშირი სადისერტაციო თემას-თან. დისერტანტს ნაჩვენები აქვს თეიმურაზის შემოქმედებაზე სპარსუ-ლის გავლენის რიგი საგულისხმო ფაქტი (რედიფი. კალკირება). დისერ-ტანტს აღურიცხავს თეიმურაზის ლექსიკური ბარბარიზმები, თუმცა ზოგი რამ გამორჩენია.

საერთოდ და მთლიანად, მიუხედავად სადავო და მიუღებელი ცალკეული მოსაზრებებისა, მ. მამაცაშვილის სადისერტაციო ნაშრო-მის მესამე თავიც მდიდარია მასალებით, საინტერესოა ანალიზით და ავტორის განსწავლულობაზე, დახელოვნებასა და ნიჭიერებაზე მეტყ-ველებს.

თავისი ნაშრომით მარინე მამაცაშვილს გარკვეული წვლილი შე-აქვს როგორც ქართული, ისე სპარსული ლიტერატურის ისტორიაში. წარმოდგენილი შრომის საფუძველზე მას უყოყმანოდ ეკუთვნის ფი-ლოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1963

ვახუშტი კოტეტიშვილი

ჰაფეზის ლირიკის გაგებისათვის

(თბილისი, 1964, გვ. 242 მანქანაზე გადაბეჭდილი)

სარეცენზიო ნაშრომი წარმოდგენილია საკვალიფიკაციოდ (ავტორისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად). შრომას უძღვის ძალიან წიგნიერად დაწერილი ვრცელი შესავალი (ჰაფეზის ეპოქა, ლიტერატურული ცხოვრება, ბიოგრაფიული ცნობები, ჰაფეზოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები — გვ. 2—93). შრომის მომდევნო, ძირითად ნაწილში (გვ. 95—228) გარჩეულია ჰაფეზის შემოქმედება ავტორის მიერ სათაურშივე გამიზნული პრობლემის ასპექტით (ჰაფეზის ლირიკის გაგებისათვის). შრომას დართული აქვს „დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა“ (გვ. 229—242). აქვს სარჩევი (აკლია საძიებლები).

კომპოზიციურად შრომა კარგად არის აგებული. ოღონდ აჯობებდა ჰაფეზის ეპოქისა და ლიტერატურული ცხოერების მიმოხილვის შემდეგ ყოფილიყო „ჰაფეზოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები“ და არა „ბიოგრაფიული ცნობები“. ჰაფეზის ბიოგრაფია ჰაფეზოლოგიის ერთ-ერთი მხარეა.

დიდი სპარსელი პოეტის ჰაფეზის (დაიბადა დაახლოებით 1300 წელს, გარდაიცვალა 1389 წ.) გარშემო საკმაო ლიტერატურა არსებობს რუსულ, დასავლეთევროპელ და სპარსულ ენებზე. დისერტაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი იცნობს და შესაფერისად იყენებს კიდევაც ამ ლიტერატურას. მკვლევარი ბშვენივრად დაუფლებია სპარსულ ენას, სარგებლობს საანალიზო ძეგლების საუკეთესო გამოცემებით სპარსულ ენაზე, საილუსტრაციო ტექსტობრივ მასალას უხვად გვთავაზობს დედნის ენითაც და მის მიერვე შესრულებული საუცხოო თარგმანებითაც (ზოგჯერ პოეტური თარგმანებია მოხმობილი, ზოგჯერ და უფრო ხშირად პწკარედი).

ვ. კოტეტიშვილი საქმიანად და ცოდნით, დაკვირვებულად და კრიტიკულად იხილავს როგორც ძველ, ისე ახალ ჰაფეზოლოგიურ ლიტერატურას, ამჟღავნებს კარგ განსწავლულობასა და კვლევა-ძიების უნარს. ახალგაზრდა მკვლევარი მთელი შრომის მანძილზე საბჭოთიანად მსჯელობს და კამათობს, მასალას აანალიზებს გონივრულად, დასკვნებს აზოგადებს, ადგენს საკუთარს, ხშირად დამარწმუნებელ, ორიგინალურ მოსაზრებებს. მაშინაც, როცა ესა თუ ის მოსაზრება მთლად ვერ გაკმაყოფილებთ არგუმენტების ძალით, მაინც გხიბლავს დისერტანტის აზრიანი მსჯელობა.

შრომა დაწერილია მშვენიერი ენით, სიყვარულით, გატაცებით, გ-
მოვნებით. იკითხება შეუნელებელი ინტერესით. მაღალ მსატვრულ-
და მეცნიერულ დონეზეა კოტეტიშვილისეული თარგმანები.

დისერტანტი მართალია, როდესაც ამბობს: „ჰაფეზის პოეზია —
დღევანდლამდე სათანადოდ შესწავლილი არ არის" (გვ. 66). იქნებ,
ისიც სწორი იყოს, რომ: „ჰაფეზის შემოქმედების შესახებ დაწერილ-
სრულყოფილი მონოგრაფიული გამოკვლევა არ მოგვეპოვება" (გვ. 67)
მით უფრო ღარიბია ჰაფეზილოგიური ლიტერატურით ქართული ბი-
ბლიოთეკა (გვ. 92). უნდა დავეთანხმოთ დისერტანტს, რომ ჰაფეზი დღ-
დის უფრო „დაფასებულია და არა შეფასებული" (გვ. 66), რომ ჰაფე-
ზის შემოქმედების გარჩევისას „დასკვნები ჭარბობს მსჯელობას, შე-
დეგი — ანალიზს" (გვ. 108). ვ. კოტეტიშვილის ნაშრომი, უთუოდ,
ერთ-ერთი სპეციალური საყურადღებო გამოკვლევაა ჰაფეზის შემოქმე-
დების უძირითადესი საკითხის შესახებ.

სარეცენზიო შრომის დასაწყისშივე დისერტანტი აცხადებს: „სა-
უკუნეთა მანძილზე ჰაფეზის პოეზიის გაგება ორ განსხვავებულ სიბრ-
ტყეზე წარიმართა. ზოგიერთნი მის პოეტურ სახეებში მისტიკურ ზმა-
ნებებს ხედავდნენ, სხვანი კი ჰაფეზის პოეზიას იგებდნენ, როგორც სი-
ნამდვილის მხატვრულ ასახვას. ეს ორი უკიდურესი მოსაზრება დღე-
ვანდლამდეა შემორჩენილი და ჯერ კიდევ ინარჩუნებს ეჭვებისა თუ
ორჭოფობის ელფერს" (გვ. 1—2). „საკითხი ასე დგას, — განაგრძობს
დისერტანტი,—როგორ გავიგოთ ჰაფეზის პოეზია — მისტიკურად თუ
რეალურად? როგორია მისი პოეზიის ბუნება — ალეგორიული თუ პირ-
დაპირი?", „ჩვენი მიზანია ამ საკითხის გარკვევაო" (გვ. 2). ჩვენ ახალ-
გაზრდა მკვლევარს დიდზე დიდი ამოცანის ამოხსნა უკისრია. საქმე
ისაა, რომ ამ პრობლემას თაეს ამტვრევდნენ და ამტვრევენ სპარსულ-
ტაჯიკური ლიტერატურის ავტორიტეტულ მკვლევართა თაობები. ვ.
კოტეტიშვილი იმოწმებს ორი ცნობილი რუსი ირანისტის, ა. კრიმსკი-
სა და ე. ბერტელსის, მოსაზრებებს საძიებელ საკითხზე. ა. კრიმსკის
სიტყვით, „вероятно этот вопрос навеки останется неразрешенным
(გვ. 82), ხოლო ე. ბერტელსი, თავის მხრივ, ურთავს: „Решить
этот вопрос окончательно едва-ли когда нибудь удастся, да и ну-
жно-ли это? Красота Хафеза слишком убедительна сама по себе
и ни в каких толкованиях не нуждается" (გვ. 83). დისერტანტი
თვითონ გვიდასტურებს, რომ ჰაფეზის პოეზიას ახასიათებს არაჩვეუ-
ლებრივი „აზრობრივი ელასტიკურობა", რაც ტექსტის სხვადასხვაგვა-
რი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევაო" (გვ. 64). „ჰაფეზის პოე-
ზიაში უხვად მომდინარე სისხლჭარბი ჰედონიზმი უ მ რ ა ვ ლ ე ს შ ე მ-
თ ხ ვ ე ვ ა შ ი მისტიკურ ელფერს სავსებით მოკლებულიაო", შენ-
შნავს დისერტანტი", (გვ. 167, დაყოფა ჩემია. ა. ბ.). მას მოჰყავს ამ

დებულების დამასაბუთებელი ბევრი თვალსაჩინო მაგალითი, თაგრაც მაინც იძულებულია აღიაროს, რომ საქმე შეეხება არა ყველას, არამედ „უმრავლეს“ შემთხვევას. „ჩვენ გვაინტერესებსო ჰაფეზის ისეთი ყაზალები, რომელთა გაგებაც სუფიურ ინტერპრეტაციას ვერ ეგუება“-ო (გვ. 209). მაშასადამე, მასალები ერთგვარად ცალმხრივად ყოფილა შერჩეული, დისერტანტს საგანგებოდ გამოუწვლილავს მისი მოსაზრებების მოსარგები მაგალითები. მართლაც, დისერტანტის მიერ მოხმობილი მასალების დიდი უმეტესობა ნამდვილად უცილოა და მხარს უჭერს მკვლევრის ვარაუდებს. ეჭვს იწვევს მხოლოდ ორიოდე ნიმუში. ასე, ერთგან ჰაფეზი ამბობს: „დაფისა და ჩანგის ქვითინში შესვა დილის გამოსაფხიზლებელი ჯამი, სალამურისა და უდის ჰანგებში ღ ა ბ ა ბ ი დ ა უ კ ო ც ნ ე მერიქიფეს“.

მოყვანილი ტექსტის გამო დისერტანტი ამბობს: „მერიქიფეს დაბაბის კოცნაში ღვთაებასთან შერწყმის იდეის დანახვა ძნელია და წარმოუდგენელიც“ (გვ. 160—161). სწორია, რომ „მერიქიფის ღაბაბის კოცნაში“ ახლა ძნელია „ღვთაებასთან შერწყმის იდეის დანახვა და წარმოდგენა“, მაგრამ ჰაფეზის დროისათვის (და სუფისტური პოეტიკისათვის, საერთოდ) აქ უჩვეულო და, მით უფრო, წარმოუდგენელი არა არის რა. სხვათა შორის, იგივე მაგალითი დისერტანტს სხვაგანაც აქვს დამოწმებული, იქ უფრო თამამად ასკვნის: „ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია, ვინაიდან ამ სტრიქონებში ესთეტიზმს უკვე სექსუალური დეტალების საფრთხე ემუქრება“ (გვ. 214). საანალიზო ბაითს რომ ნამდვილად „სექსუალური“ გაგების საფრთხე ემუქრებოდეს, მისი ალეგორიულად განმარტების შესაძლებლობა მაინც არ იქნებოდა გამორიცხული. თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ ვიცავდეთ ჰაფეზის პოეზიის ალეგორიულობისა და მისტიკურობის თვალსაზრისს. მაგრამ მსგავსი თვალსაზრისის დარღვევა და გაბათილება, თუ გინდ შერყევა, მეტისმეტად ძნელი და რთული საქმეა. ჩვენი დისერტანტი ამ რთულსა და ძნელ საქმეს ღონივრად შეეჭიდა, გარკვეული წარმატებებიც მოიპოვა, ბევრი დამარწმუნებელი საბუთი მოგვიყვანა და ბევრი ხალასი მოსაზრება წარმოგვიდგინა. ამ საკითხის რადიკალური ფორმით საბოლოო გადაჭრის დაჩემება მაინც საჩოთიროდ გვეჩვენება. დისერტანტს ვეთანხმებით, რომ ჰაფეზის „ყაზალებში უხვად მოიპოვება ისეთი აზრები თუ პოეტური სახეები, რომელთა სუფიური გაგება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“ (გვ. 225). მაინც გაძნელდებოდა ამ დასკვნის უყოყმანოდ გავრცელება ჰაფეზის მთელ შემოქმედებაზე.

საბუთიანია და ანგარიშგასაწევი დისერტანტის შენიშვნები ჰაფეზის პოეზიის ანაკრეონტულად გაგების წინააღმდეგ (გვ. 124 და შმდ.).

ჰაფეზმა რომ ყაზალი განვითარების უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, ეს დავას არ იწვევს (დისერტანტს კარგად აქვს ნაჩვენები ყაზალის განვითარების საფეხურები სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ისტორიაში). ოღონდ გადაჭარბებულად გვეჩვენება დისერტანტის სიტყვები, თითქოს „თუ სხვა პოეტთა შემოქმედებაში სატრფიალო და სალაღობო სიმღერები, ე. წ. ყაზალები, ერთ-ერთ ჟანრს წარმოადგენს, ჰაფეზთან იგი ერთადერთია“ (გვ. 186, დაყოფა ჩემია. ა. ბ.). დისერტანტი საგანგებოდ შენიშნავს: „ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არ ვიღებთ ორიოდ ყასიდასა და მესნევის ფორმით დაწერილ ორ ნაწარმოებს, ვინაიდან ისინი ჰაფეზის შემოქმედების ტონის მომცემნი და დამახასიათებელნი არ არიან“ (გვ. 186). საგულისხმოა, რომ თუ დამოწმებულ ციტატაში მკვლევარი „ორიოდ ყასიდაზე“ ლაპარაკობს, სხვაგან გვაუწყებს — ჰაფეზს „სამიოდე ყასიდა დარჩაო“ (გვ. 59). დისერტანტის ცნობის თანახმად, ჰაფეზის ჩვენ დრომდის მოღწეულ ქოლიათში (თხზულებათა კრებულში) ყოფილა სამი ყასიდა, ორი — მესნევი (მათ შორის, ერთი განთქმული „საყი-ნამე“), 33— ყეთაე, 42— რობაი და 495— ყაზალი (გვ. 95). მაშასადამე, ყაზალი ჰაფეზისათვის თუმცა არის ძირითადი და წამყვანი, იგი არ არის პოეტისათვის ერთადერთი ჟანრი.

ვ. კოტეტიშვილი ბეჯითად იბრძვის ჰაფეზის პანეგირისტად გამოცხადების ტენდენციის წინააღმდეგ (გვ. 89). თუმცა ვერ უარყოფს, რომ დიდ სპარსელ პოეტს „ეპოქის მოთხოვნილებებისადმი გარკვეული ხარკი გაუღიაო (გვ. 90). მკვლევარი ალიარებს, რომ ჰაფეზს ზოგჯერ ყაზალებში შეაქვს სახოტბო ბაითები (იქვე). „ჰაფეზის მიერ ყაზალებში სახოტბო სტრიქონების ჩართვას, ვფიქრობთ, უფრო იძულებითი ხასიათი უნდა ჰქონოდა, ვიდრე ნებაყოფლობითიო“, ურთავს (იქვე). ნებისმიერი დასკვნაა. უფრო სწორია პირველი დებულება, სახოტბო ლექსებით ჰაფეზმა გარკვეული ხარკი გაიღო „ეპოქის მოთხოვნილებების“ მიმართო. ჩვენ უფლება გვაქვს შევეკითხოთ დისერტანტს, გახა ალეგორიზმი და სუფისტური მისტიციზმი არ იყო ნიშანდობლივი „ეპოქის მოთხოვნილებებისათვის?“ ჯიქურსა და გადაჭრით დასკვნებს ჩვენ ვამჯობინებდით მსჯელობის უფრო ფრთხილ კილოს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სარეცენზიო შრომა მშვენიერი ენითაა დაწერილი. ამისდა მიუხედავად, აქა-იქ იშვიათად მაინც გვხვდება სტილისტურად გაუმართავი და უშინაარსო ცალკეული ფრაზები. სანიმუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. შრომაში ვკითხულობთ: „პოეტი დიდი ოსტატობით ქმნის პოეტურ ტონებით აღსავსე ტილოებს“ (გვ. 137). ნაშრომში გაპარულია მძიმე კორექტურული შეცდომები.

საერთოდ და მთლიანად ვახუშტი კოტეტიშვილის ნაშრომი მნიშვ-

ნელოვან სამეცნიერო წარკვევს წარმოადგენს. სადისერტაციო ნაშრომის ავტორის სახით ქართულ ირანისტიკას შეეძინა ახალი, საიმედო, მომზადებული და ნიჭიერი მკვლევარი. სარეცენზიო ნაშრომის საფუძველზე ვ. კოტეტიშვილი უყოყმანოდ იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

1964

გ. შაყულაშვილი

საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით

(ტრანსკრიპცია, თარგმანი, ლიტერატურული მიმოხილვა და შენიშვნები)
თბილისი, 1967, გვ. 276 (მანქანაზე გადაბეჭდილი).

სარეცენზიო ნაშრომი ოთხი თავისაგან შედგება:

თავი პირველი: აშუღური პოეზიის გენეზისისა და საქართველოში მისი დამკვიდრების საკითხისათვის.

(გვ. 19—61)

თავი მეორე: თეიმურაზ ბატონიშვილისეული დავთარი და საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები.

(გვ. 62—131).

თავი მესამე: ლიტერატურული ანალიზი (გვ. 132—214);

თავი მეოთხე: თეიმურაზისეული და ერევნის დავთრების შედარება, კომენტარები, ზოგიერთი სიტყვის განმარტება (215—267).

თითოეულ თავს აქვს რამდენიმე ქვეთავი. შრომას უძღვის წინასიტყვაობა (გვ. 1—5) და ლიტერატურის მიმოხილვა (გვ. 6—18). ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (გვ. 268—275) და სარჩევი (გვ. 276).

გ. შაყულაშვილის სარეცენზიო ნაშრომი წარმოდგენილია საკანდიდატო დისერტაციად.

საიათნოვა ამიერკავკასიის ხალხთა გამოჩენილი აშუღი პოეტი იყო, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში (დაბადებისა და გარდაცვალების წლები ზუსტად ცნობილი არ არის). იგი თხზავდა ლექსებს, უქმნიდა მათ მუსიკალურ კილოს და ამღერებდა საკრავების აკომპანემენტით სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საიათნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს. გ. შაყულაშვილის ნაშრომი მათ შორის ერთ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს კვლევის აკადემიური სიდინჯით, სიღრმით და საკითხთა რიგის სიფართოვით. სპეციალურ თავში დისერტანტს კრიტიკულად მიმოხილული აქვს საგნის მნიშვნელოვანი სპეციალური ლიტერატურა (გვ. 6—18). ავტორი სამართლიანად ჩივის, რომ საიათნოვას შემოქმედებას სწავლობენ არა მთლიანად, არამედ სხვადასხვა ეროვნული კუთხიდან. სომხეთში ისწავლება უმთავრესად აშუღის სომხური ლექსები, აზერბაიჯანში — აზერბაიჯანული, საქართველოში — ქართული. დიდი პოეტი-აშუღის შემოქმედების შეფასებისათვის არ არის გაწოძებნილი ერთიანი, ობიექტური კრიტერიუმი. დისერტანტის სიტყვით, ძალიან ბევრი გაკეთდა საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის სომხეთში, მაგრამ იქ აშუღის „პოეტური პოტენციალი მეტად გადაჭარბებულად შეაფასეს“ (გვ. 7), „გვგონია, ჩვენს წინაშე XVIII საუკუნის აშუღი კი არ იდგეს, არამედ დღევანდელი ინტელექტუალური გმირი სოციალ-ეკონომიური თეორიებით აღჭურვილი, ჩაგრული ადამიანის სადარაჯოზე მდგარი და მისთვის მსხვერპლად შეწირული“ (გვ. 11), თითქოს საიათნოვა იყო ერეკლე მეფის „მრჩეველი და პირადი მეგობარი“ (გვ. 157. შეწ. 55), „ფეოდალური კლასის მიმართ მუშტ მოღერებული გმირი“ (გვ. 166).

გ. შაყულაშვილის მოსაზრების თანახმად, განსაკუთრებული გაზვიადებით ფასდება საიათნოვას შემოქმედების სოციალური მხარეები. ამ მხრივ მკვლევარი არც ჩვენ გვზოგავს და ამბობს, რომ „ალ. ბარამიძეს, გვგონია, რომ საერთოდ ზედმეტად აქვს შეფასებული საიათნოვას სოციალური მოტივი“, თუმცა „კარგად აქვს შენიშნული საიათნოვას დამოკიდებულება სასახლის კართანო“ (გვ. 45).

დისერტანტი აცხადებს, რომ საიათნოვა ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი, ჯერ არ გვაქვს საიათნოვას სომხურ-ქართულ-აზერბაიჯანული ლექსების მთლიანი, მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემები, არ გვაქვს საჭირო კომენტარები, დაუდგენელია ბევრი ფაქტი პოეტ-აშუღის ცხოვრება-მოღვაწეობიდან, ჯერ კიდევ ვერცელდება აშკარა ლეგენდები პოეტის ცხოვრების მოწამეობრივ აღსასრულზე და სხვ. „ვიდრე მთელი მისი (ე. ი. საიათნოვას ა. ბ.) პოეტური მემკვიდრეობა კრიტიკულად არ დადგინდება, ვიდრე არ ჩატარდება სრულყოფილი ტექსტობრივი სამუშაო, ვიდრე სამივე ენაზე არ იქნება თარგმნილი შეუმცდარად“, არ მოხერხდება საიათნოვას მოღვაწეობისა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილი შეფასება“-ო (გვ. 171).

გ. შაყულაშვილი სავსებით არის მომზადებული საიათნოვას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად. მან კარგად იცის ქართული და აზერბაიჯანული, სარგებლობს სომხური წყაროებით. იგი ამომწურავი სისრულით იცნობს სპეციალურ ლიტერატურას, დაჯილდოებულია ნიჭით და კვლევა-ძიების კარგი უნარით, აქრც ლიტერატურული გემოვნება აკლია. ყველაფერმა ამან განაპირობა სადისერტაციო ნაშრომის უცილობელი მეცნიერული ღირსებანი. დისერტანტს საყურადღებო დაკვირვებები აქვს საიათნოვას სომხურ და ქართულ ლექსებზე, მაგრამ იგი საგანგებოდ იკვლევს პოეტ-აშუღის ლიტერატურულ მემკვიდრეობას აზერბაიჯანულ ენაზე. მისი საკვლევი საგანი ერთგვარად კონკრეტული ფარგლებით არის შემოზღუდული. სადისერტაციო შრომის თემაა „საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით". საქმე ისაა, რომ საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები შემონახული აქვს ორ ძველ სანდო ხელნაწერს — ე. წ. ერევნულ დავთარს და აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ფონდში დაცულ თეიმურაზისეულ ნუსხას H 21. როგორც ჩანს, საიათნოვა ფლობდა სომხურ და ქართულ დამწერლობას, არაბული ანბანი მას არ სცოდნია. ამიტომაც აზერბაიჯანულ ლექსებს ის წერდა ქართული და სომხური ალფაბეტით. ერევნის დავთრის აზერბაიჯანული ლექსები სომხური და ქართული ანბანით არის შესრულებული (სად. ნაშრომი, გვ. 63—64), თეიმურაზისეული ნუსხის ლექსები კი — მხოლოდ ქართულით (თეიმურაზისეული კრებული შედგენილია საიათნოვას შვილის ივანე სეიდოვის მიერ 1823 წელს). დისერტანტი ამბობს, რომ მისი „კვლევის ობიექტია ამ დავთარში (ე. ი. თეიმურაზისეულ დავთარში ა. ბ.) მოთავსებული აზერბაიჯანული ლექსები" (გვ. 64). წინასიტყვაობაშიც აღნიშნულია: „შევისწავლეთ საიათნოვას აზერბაიჯანული პოეზიის ერთი ნაწილი (მოთავსებული თეიმურაზ ბატონიშვილის დავთარში), რითაც შევედით საიათნოვას პოეზიის აზერბაიჯანულ სამყაროშიო" (გვ. 4). დისერტანტი ძალზე მორიდებულია და უპრეტენზიო. ნამდვილად მას შესწავლილი აქვს არა მარტო თეიმურაზისეული დავთრის აზერბაიჯანული ლექსები, არამედ საზოგადოდ ყველა ცნობილი აზერბაიჯანული (და არა მარტო აზერბაიჯანული) ლექსი. თეიმურაზისეული დავთარი დისერტანტის მხოლოდ საგანგებო და სპეციალური დაკვირვების ობიექტია. მკვლევრის სამართლიანი სიტყვით, „კვლევის სრულყოფილი პრეტენზია ვერ გაჩნდება მანამ, სანამ უკლებლივ არ იქნება გაშიფრული საიათნოვას მთელი აზერბაიჯანული ლირიკა" (გვ. 214).

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ გ. შაყულაშვილს კრიტიკულად აქვს მიმოხილული საიათნოვას შესწავლის ვითარება, საზოგადოდ, კერძოდ კი — აზერბაიჯანული ლექსების შესწავლის მდგომარეობა.

მკვლევრის დასკვნით, „საიათნოვას აზერბაიჯანული ლირიკა კონკრეტულად ჯერ კიდევ არ გამხდარა კვლევის საგნად აზერბაიჯანელ მეცნიერთა შორის" (გვ. 10), რომ აზერბაიჯანელი სერიოზული მკვლევარებიც კი არ იცნობენ, მაგალითად, საიათნოვას ქართულ ლექსებს და სათანადო ლიტერატურას ქართულ ენაზე (გვ. 8. 191—192 და სხვ.).

გ. შაყულაშვილი შესაფერისად არის შეიარაღებული, რომ ამოავსოს არსებული ხარვეზები. მან დიდი წარმატებით გაშიფრა და აღადგინა თეიმურაზისეული დავთრის ყველა 24 აზერბაიჯანული ლექსი (უნდა ვიცოდეთ, რომ ივან სეიდოვი კრებულს ზეპირ ადგენდა და ბევრი შეცდომა მოსვლია), თეიმურაზისეული დავთარი შეუდარა ერევნის დავთრის ლექსებს, შეავსო ორივე დავთრის ტექსტუალური დანაკლისები, კრიტიკულად დაადგინა თეიმურაზისეული კრებულის ლექსები, თარგმნა ისინი ქართულად და დაურთო ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები. თავის მხრივ, დისერტანტი მოკრძალებით შენიშნავს, რომ „ჩვენ მიერ გაშიფრული ლექსები არ იქნებიან იდეალურად სრულყოფილნი" (გვ. 218), თუმცა „წარმოდგენილი მასალა მაინც იძლევა ერთგვარ სურათს აშუღის პოეტური სამყაროს შესახებო" (გვ. 214).

დისერტანტი არ იზღუდება თემის კონკრეტული ფარგლებით. შრომის პირველ კარში მან მოგვცა აშუღური პოეზიის აღმოცენების, გავრცელებისა და საქართველოში მისი დამკვიდრების კვალიფიციური მიმოხილვა, აგრეთვე ამ პოეზიის (აშუღური პოეზიის) რაობის მკაფიო დახასიათება. სწორია გ. შაყულაშვილის განცხადება, რომ „აშუღური პოეზიის წარმომავლობისა და საქართველოში მისი დამკვიდრების შესახებ საფუძვლიანი, მეცნიერული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა" (გვ. 55). მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აშუღური პოეზიის სოციალურ მოტივებს და აშუღების საზოგადოებრივ-კლასობრივი რაგვარობის საკითხს. იგი საბუთიანად ამტკიცებს, რომ აშუღები სოციალურად ერთგვარნი არ ყოფილან. აშუღური პოეზიაც საზოგადოების რომელიმე ერთი ფენისა თუ წრის ინტერესებს არ გამოხატავდა. კერძოდ, „თქმა იმისა, რომ აშუღური პოეზია მხოლოდ დაბალი კლასის ინტერესებს გამოხატავდა, მცდარია" (გვ. 40, 45). სწორია, რომ „ბევრი მკვლევარი რატომღაც წინა პლანზე და ხშირად გადაჭარბებულად წინ სწევს სოციალურ მოტივებს, აშუღთა პოეზიას მიიჩნევს სამეფო კარის წინააღმდეგ მებრძოლ პოეზიად" (გვ. 40). მკვლევრის სამართლიანი მოსაზრებით, ამა თუ იმ აშუღი პოეტის შემოქმედების კონკრეტულმა ანალიზმა უნდა ცხადყოს მისი იდეურობის ნამდვილი ხასიათი.

აღნიშნული ერთადერთი სწორი წანამძღვრით იხილავს დისერტანტი საიათნოვის ცხოვრების, მოღვაწეობის და შემოქმედების საკითხებს. მშვენიერია დისერტანტის მიერ ჩატარებული ლიტერატურული ანალიზი საიათნოვას პოეზიისა, ძალიან კარგად არის ნაჩვენები საიათნოვას პოეტური ოსტატობა, კვალიფიციურად არის დახასიათებული საიათნოვას ლექსების ფორმა (ავალ-ახირი, ზინჯირლამა, მუხამბაზი და სხვ.).

საიათნოვას დისერტანტი თვლის აშუღად, აშუღ-პოეტად, აშუღური პოეზიის საუკეთესო, მაგრამ ტიპიურ წარმომადგენლად (133). საიათნოვა, პირველ ყოვლისა, — ამბობს დისერტანტი, — „წარმომადგენელია აშუღური პოეზიისა იდეითაც, ლექსითაც, გამომსახველობითი საშუალებებითაც" (გვ. 15). ეს არაა ლიტონი განცხადება. ამ დებულებას ავტორი გვთავაზობს საიათნოვას პოეზიის სერიოზული ანალიზის შედეგად.

სწორია დისერტანტის მოსაზრება საიათნოვას ბიოგრაფიის თაობაზედაც — „საიათნოვას ბიოგრაფია დღემდე არ არის შესწავლილი დაუკმაყოფილებლად" (გვ. 122). სამწუხაროდ, არც ჩვენს დისერტანტს მოუცია რაიმე ღნიშვნელოვნად ახალი. იგი უფრო კრიტიკული შენიშვნებით კმაყოფილდება. საინტერესოა, მაგალითად, მოსაზრებანი „მტკვარო ამღვრეულოს" თაობაზე (გვ. 154—156), თუმცა მთლად დამარწმუნებელი არაა. საბუთიანად უკუგდებულია მოსაზრება, თითქოს საიათნოვა მონაწილეობდა პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში ერეკლეს წინააღმდეგ (გვ. 156—158). სწორად წყვეტს დისერტანტი საკითხს საიათნოვას „ტრფიალის ობიექტის" შესახებ (გვ. 150—151). ვფიქრობთ, ავტორს უფრო მეტის თქმა შეეძლო მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით საიათნოვას დაბადების, ცხოვრების პერიპეტიებისა და გარდაცვალების დროის თაობაზე. ჩემი აზრით, მეტი დაკვირვების ღირსია საიათნოვას „ვუჯუდნამე" (გვ. 127—130), თავისებური სათავგადასავლო შინაარსის მქონე ლექსი. მართალია, საიათნოვა ამ შემთხვევაში ტრადიციას ეხმაურება და უხვად იყენებს ტრადიციულ სახეებს, მაგრამ შესაძლებელია ამ ლექსიდან კონკრეტული ფაქტების ამოკითხვაც. ჩვენ საკმარისად არ გვეჩვენება მკვლევრის დასკვნა: „ლექსი საკმაოდ რთული გასაგებია. პოეტურ სახეებში წარმოდგენილი ბიოგრაფიული მომენტები ძნელი დასადგენია"-ო (გვ. 130).

აღარ ვჩერდებით ზოგიერთ სადავო წვრილმან საკითხზე. მიგვაჩნია, რომ გ. შაყულაშვილმა საიათნოვას მიუძღვნა შესანიშნავი ორიგინალური გამოკვლევა, რომელიც. უსათუოდ, მთლიანად უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდურად. ხოლო ამგზობის შრომის ავტორს საკვლებით

დამსახურებულად უნდა მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1967

შეფასება-დასკვნა

ალექსანდრე ალექსიძე

ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII—XIV სს.) თბილისი, 1976, 354 გვ.

1. ალ. ალექსიძის გამოკვლევა არღვევს ჩვენში გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ბიზანტია არ იცნობდა ნამდვილ საერო-მხატვრულ ლიტერატურას.

2. ალ. ალექსიძე საუცხოოდ აშუქებს ბერძნული სარაინდო რომანის ხასიათს, მკაფიოდ არკვევს ბერძნული სარაინდო რომანის აღმოცენების, დამკვიდრების და განვითარების საფეხურებს.

3. ალ. ალექსიძე კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს შუა საუკუნეთა ბერძნული რომანის კავშირს ანტიკურ სამყაროსთან.

4. ალ. ალექსიძე ნათელს ხდის, როგორი ზემოქმედება მოახდინა ბერძნულმა სატრფიალო ლიტერატურამ დასავლეთევროპული, კერძოდ, ფრანგული სარაინდო რომანის ჩამოყალიბებაზე და მისი ხასიათის განსაზღვრაზე.

5. ალ. ალექსიძე წინათქმაშივე შენიშნავს, რომ ბიზანტიური საერო მწერლობისადმი და, კერძოდ, რომანებისადმი მისი ინტერესის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი".

მართლაც, მთელ დიდ მონოგრაფიას შინაგანად მსჭვალავს ეს ინტერესი. ავტორი თვალსაჩინოს ხდის მთელი რიგი ტიპოლოგიური ნიშნების არსებობასXII საუკუნის ბიზანტიურ-ფრანგულსა და ქართულ რომანებს შორის. საყურადღებოდ არის გამოკვლევაში მინიშნებული შესაპირისპირებელ ძეგლთა სახეობანი: Chanson de geste — ამირანდარეჯანიანი: ბიზანტიურ-ფრანგული სატრფიალო-სარაინდო რომანები — ვეფხისტყაოსანი.

შეპირისპირებისას მკვლევარი ადგენს ტიპოლოგიური მსგავსების ნიშნებს, მაგრამ არავითარ გენეტიკურ კავშირს მათ შორის იგი არ ხედავს და არ ამყარებს.

6. ალ. ალექსიძის კვლევა-ძიება ემყარება უამრავი პირველწყა-

როს ღრმა ცოდნას. ეს კვლევა-ძიება ფართოდ მასშტაბურია. კრიტიკა (ამა თუ იმ მკვლევარის მისამართით) ყოველთვის პრინციპულია, მაგრამ თავაზიანი და კორექტული. ალ. ალექსიძე დიდი წარმატებით ეპაექრება დასავლეთევროპელ რიგ აღიარებულ სპეციალისტ მედიევისტებს.

7. მთლიანად ალ. ალექსიძის გამოკვლევა ღრმად ორიგინალურია, ნამდვილად მაღალი მეცნიერული ღირსებისაა, მიღებული შედეგები საბუთიანია და დამარწმუნებელი.

8. ერთი შენიშვნაც. ალ. ალექსიძე სამართლიანად უარყოფს იმ აზრს, თითქოს „სიყვარული არის ფრანგული XII საუკუნის გამოგონება“ (გვ. 90), მაგრამ მეორე უკიდურესობაში ვარდება, როდესაც თავისი ნაშრომის ერთ კარს ასათაურებს: „სიყვარული — ბერძნული რომანის აღმოჩენა“ (გვ. 90—98).

„ბერძნული სარაინდო რომანის საიყაროს“ საფუძველზე ალექსანდრე ალექსიძე სავსებით და უყოყმანოდ იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებას.

1977

ნოშრევან ჯიშკარიანი

XII საუკუნის ქართული და სპარსულენოვანი აზერბაიჯანული სალიტერატურო პოეზია

ნოშრევან ჯიშკარიანის მიერ საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის თემას პირველად შეეხო აკადემიკოსი ნიკო მარი თავის განთქმულ წიგნში «Древнегрузинские одописцы» (ТР, ИУ, СПБ, 1962). ნ. მარის ნაშრომის შემდეგ საკმაო ახალი მასალა დაგროვდა და სავსებით მომწიფდა საჭიროება ამ თემის სპეციალურად დამუშავებისათვის. ამდენად, წარმოდგენილი ნაკვეთი დროულია, კანონზომიერი და მეცნიერულად აქტუალური, მისი დამუშავება არც პრაქტიკულ მნიშვნელობას არის მოკლებული. ნ. ჯიშკარიანის გამოკვლევა თავისი ხასიათით საინტერესოა როგორც ქართული, ისე სპარსული და სპარსულენოვანი სამყაროს, პირველ რიგში, აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორიისათვის.

ნ. ჯიშკარიანმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილება, სტუდენტობისას შეისწავლა სპარსული ენა და ლიტერატუ-

რა. ეს ცოდნა გააღრმავა და გააფართოვა ასპირანტობის პერიოდში, წარმატებით გამოიყენა სადისერტაციო შრომის დასამუშავებლად. დისერტანტი მოხერხებულად სარგებლობს ლიტერატურათა ტიპოლოგიურად შესწავლის ცნობილი პრინციპებით, შეპირისპირების წესით უდარებს ერთმანეთს ორი მეზობელი ქვეყნის ერთი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ვითარებას, იხილავს საკარო-სახოტბო პოეზიის აღმოცენების პირობებს, ანალიზებს პოეზიათა იდეურ-მხატვრულ შინაარსს, სწავლობს მსგავსი ლიტერატურული მოვლენების ბუნებას და აღმოცენება-განვითარების ხასიათის კვლევა-ძიების პროცესში დისერტანტს გზადაგზა უხდება ლიტერატურულ ურთიერთობათა და ლიტერატურულ ზემოქმედებათა საკითხების გაშუქება. დისერტანტი საბუთიანად ამტკიცებს, რომ XII საუკუნის ქართული სახოტბო პოეზია აღმოცენდა ეროვნულ ნიადაგზე, რომ იგი (ქართული სახოტბო პოეზია) თავისი ძირებით ეფუძნება ძველი ქართული სასულიერო პოეზიის, ე. წ. ჰიმნოგრაფიის ტრადიციებს, მნიშვნელოვანწილად იკვებება ძველქართული დიდად განვითარებული ამ ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნაყოფით. დისერტანტი, რა თქმა უნდა, არც იმას ფიქრობს თითქოს გამოსარიცხავია ქართულ და სპარსულენოვან აზერბაიჯანულ საკარო-სახოტბო პოეზიათა ურთიერთ კეთილი ზემოქმედება. მოყვანილია საამისო საილუსტრაციო ორმხრივი კონკრეტული ფაქტები.

ნოშრევან ჯიშკარიანის ნაშრომი კარგად არის გააზრებული, დამუშავებული და გაფორმებული. უხვადაა მოხმობილი საკვლევაძიებო მასალა, მწყობრია, თანმიმდევრულია და დამაჯერებელი ავტორისეული მსჯელობა. პოლემიკის შემთხვევაში კილო აკადემიური აქვს, კამათობს ტაქტიანად და საქმიანად. დედნის ენა დახვეწილია. ვფიქრობ, წარმოდგენილი შრომის საფუძველზე ნ. ჯიშკარიანი იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას.

1980

დარეჯან მენაბდე

ქართული აგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

(თბილისი, 1981. 202 გვ. რემინგტონის მანქანაზე გადაბეჭდილი)

დარეჯან მენაბდე სტუდენტობის დროსაც გამოირჩეოდა ნიჭიერებით, შეუყაირობით, კრიტიკული განსჯის უნარით და კვლევა-ძიებისადმი მიდრეკილებით. როგორც ასპირანტი, იგი სამაგალითო იყო ბევრი

თობით, დისციპლინით, აკურატნობით. ყოველივე ამის შედეგია საკანდიდატო დისერტაციის სახით წარმოდგენილი მისი ნაშრომი „ქართული აგიოგრაფიისა და სა-სტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი". „ზოგიერთი საკითხიო" ამბობს დისერტანტი მორიდებით. ნამდვილად კი მან მიზნად დაისახა ძველი ქართული მწერლობის ერთი ძირითადი, აქტუალური პრობლემის საფუძვლიანი მონოგრაფიული შესწავლა. ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ დარეჯან მენაბდემ თემას თავი გაართვა, მიზანს მიაღწია და განსახილველად წარმოადგინა მოზრდილი ნაშრომი, რომელიც თითქმის სავსებით გამზადებულია სასტამბოდ და მცირეოდენი გადახედვის შემდეგ თამამად შეიძლება (და საჭიროა!) მისი ბეჭდურად გამოქვეყნება (შრომის ცალკეული ნაწილები უკვე გამოქვეყნებულია).

დისერტანტმა გულდასმით შეისწავლა და კრიტიკულად აითვისა საგნის დიდძალი პირველწყარო და სამეცნიერო ლიტერატურა. მოსაწონი პრინციპულობითა და საბუთიანობით, მაგრამ დიდი ტაქტით, მოკრძალებითა და თავაზიანობით ეპაექრება არაერთ გამოჩენილ მკვლევარს, რომელთაც კი სადისერტაციო შრომაში აღძრულ სხვადასხვა საკითხზე გაეოუთქვამთ თავიანთი მოსაზრებანი ძველად თუ ახლად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფიის პირველი შესავალი კარი. იგი ნაშრომის ერთგვარი თეორიული ნაწილია. დისერტანტი დამარწმუნებლად არღვევს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის გაბატონებულ შეხედულებას, თითქოს ქართული მდიდარი აგიოგრაფია საისტორიო მწერლობის დარგს წარმოადგენს. დისერტანტი ბეჯითად ამტკიცებს, რომ აგიოგრაფია განეკუთვნება სიტყვაკაზმული მწერლობის დარგს, რომელიც საისტორიო წყაროს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და, აშდენად, „ერთობ ახლოსაა საისტორიო მწერლობასთან" (გვ. 38). ისე კი „აგიოგრაფია შეასაუკუნეობრივი ბელეტრისტიკაა, ბხატვრული ლიტერატურის, სიტყვაკაზმული მწერლობის ორგანული ნაწილია" (იქვე).

აღნიშნული შესავალი პოზიციიდან დ. მენაბდე შესაპირისპირებელი უხვი კონკრეტული მასალის მოხმობით დაწვრილებით იკვლევს, „თუ რა სახის ურთიერთობა არსებობდა აგიოგრაფთა და მემატიანეთა შორის და როგორ აისახა ეს ურთიერთობა აგიოგრაფიასა და „ქართლის ცხოვრებაში" (გვ. 33). დისერტანტი მართალია — „ამ მიმართულებით ღრმა და საფუძვლიანი საგანგებო მუშაობა თითქმის არავის ჩაუტარებია. ეს ჩვენი მეცნიერების შესამჩნევი ხარვეზია" (გვ. 34). სადისერტაციო ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის ამოვსების სერიოზული და წარმატებით შესრულებული ცდაა.

დარეჯან მენაბდის სადისერტაციო ნაშრომი დაწერილია კარგი ლიტერატურული ენით, კომპოზიციურად სრულყოფილია, საკითხები

განხილულია თანმიმდევრულად ავტორისეული ყოველი დებულება თუ ცალკეული შეხედულება შემაჯამებულია კარგად გაანალიზებული საილუსტრაციო მასალებით. ნაშრომის ყოველ ცალკე კარს და მონოგრაფიას მთლიანად ახლავს ზუსტად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასკვნები. განხილვა თავიდან ბოლომდის ინტერესით იკითხება.

ჩემი ღრმა რწმენით, წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე დარეჯან მენაბდე საკმაოდ იმსახურებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

1981

პასუხი

ჟურნალ „მნათობის“ შეკითხვაზე

ჩემი ფიქრით, მეცნიერებას აქვს, ყოველ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს, თავისი პოეზია. სწორია მოსაზრება, რომ პოეზიის უპირველესი თვისება› გრძნობა, ემოცია. ოღონდ, რა თქმა უნდა, პოეზიის თვისება ვერ შეზოიზღუდება მარტოოდენ ემოციის ფარგლებით. გრძნობას (ემოციას) უნდა აცხოველებდეს პოეტურად განსახოვნებული ნათელი, ჰეშმარიტი აზრი. რუსთველი ხომ გვასწავლის — „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. სწორედ ბრძნული აზრის ემოციური განსახოვნება ქმნის ნამდვილ პოეზიას. მეცნიერი ცნებებით აზროვნებს და ანალიზის, განსჯის გზით გამოხატავს თავის საფიქრალს, თავის ნააზრევს. ოღონდ (აქაც გვჭირდება ეს ოღონდ!) მოსაწყენია ემოციურობისაგან დაცლილი, ცივი, მშრალი, განყენებული განსჯა, რომელიც გულს არ სწვდება, მკითხველს არ აღელვებს და არ განაწყობს აზრის ჰეშმარიტების შესამეცნებლად. ორიგინალურად მოფიქრებული მეცნიერული საკითხის მკაფიო, ხატოვანი (თუ გნებავთ, ემოციური) ენით განსჯა-გაანალიზება, უთუოდ, გაზრდის მკითხველის ინტერესს და ხელს შეუწყობს საგულვებელი აზრის უკეთ აღქმას. აი, აქაა მეცნიერების პოეზიის კეთილი სარბიელი. პოეზია იქაა, სადაც სიყვარული და შთაგონებაა. უსიყვარულოდ, შთაუგონებლად კი სრულფასოვანი მეცნიერული შრომა ვერ შეიქმნება. ისიც ცხადია, რომ ადვილი როდია რთული მეცნიერული განსჯის გზით მკითხველის გრძნობების ამოძრავება. მაგრამ ეს უკვე მეცნიერის უნარზეა დამოკიდებული და საკითხის პრინციპულ მხარეს აღარ ეხება.

1984

საშურ საქმედ გვესახება

კვირას, 11 სექტემბერს, ლამისყანაში გაიმართა დიდი სახალხო ზეიმი „გურამიშვილობა“. ზეიმს დიდძალი ხალხი დაესწრო, ადგილობრივი მკვიდრნიც და სტუმრებიც ახლომახლო სოფლებიდან, მცხეთიდან, საკურამოდან, კასპიდან, გორიდან, დუშეთიდან, ყაზბეგიდან, დედაქალაქიდან. შთამბეჭდავი და გულის გამახარებელი სანახაობა იყო, ნამდვილად ეროვნული, მასობრივი, სახალხო დღესასწაული.

გხიბლავდა უშუალობა და გულითადობა. მიტინგიც მოეწყო, მგზნებარე სიტყვები წარმოითქვა, გაჩაღდა ლექსების კითხვა, სპორტული ასპარეზობანი, სხვადასხვა გასართობი ერთმანეთს ენაცვლებოდა. ყველა ლამისყანელის ოჯახში გაშლილი იყო სადღესასწაულო სუფრა და სტუმრებს იპატიჟებდნენ. ზეიმმა და სახალხო სეირნობამ საღამომდის გასტანა. ეს იყო კულტურული დასვენებისა და გონივრული გართობის სამაგალითო დემონსტრაცია. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ისიც უთუოდ საკრძნობია, რომ საქართველოში დღემდის არ გვაქვს გურამიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი, სწორედ ისეთი, როგორიცაა გურამიშვილის ნაშთის პარადიული განსასვენებლის ადგილას — უკრაინის ქალაქ მირგოროდში.

ვფიქრობთ, დროა ვიზრუნოთ ჩვენი უკვდავი პოეტის მემორიალური სახლ-მუზეუმის დასაარსებლად ჩვენშიც. ამისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია სწორედ ლამისყანა. თუ მოვინდომებთ, არ გაძნელდება შენობის გამონახვაც. უპრიანი იქნებოდა ამ მიზნით გამოყენებული ყოფილიყო ლამისყანის ორბელიანისეული სახლი (ახლა იქ სკოლაა მოთავსებული). სხვათა შორის, ამ სახლში 1913 წელს ივანე ჯავახიშვილმა იპოვა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი და უსრულესი ნუსხა („ანასეული ქართლის ცხოვრება“). როგორ დაამშვენებდა „დავითიანთან“ ერთად ეს ნუსხა გურამიშვილის მომავალ მემორიალურ სახლ-მუზეუმს!

ჩვენი თხოვნაა, ყურად იღონ ჩვენი წინადადება კულტურისა და განათლების სამინისტროებმა. ხელისუფლების რაიონული ორგანოები, ქართველი მწერლები და მეცნიერები მხარში ამოუდგებიან მათ ამ მაგულიშვილური საქმის განხორციელებისათვის.

1979

საქართველოს საზოგადოებათა ისტორიიდან

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილემ პროფესორმა როინ მეტრეველმა 1980 წლის 26 დეკემბრის თარიღით მთხოვა მიმეწოდებინა მისთვის ცნობები საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ. მეტრეველი მწერდა:

> ...ბატონო ალექსანდრე! საისტორიო საზოგადოების დავალებით ვაგროვებ მასალებს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით 1925 წლიდან (ეს კარგად ჩანს იმ მასალებიდან, რომელიც ხელთ მაქვს დღესდღეობით) და ივ. ჯავახიშვილთან,

კ. კეკელიძესთან, ს. ჯანაშიასთან, ა. შანიძესთან ერთად დიდ მამულიშვილურ საქმიანობას ეწეოდით.

უმორჩილესად გთხოვთ, იქნებ წერილობით მომაწოდოთ თქვენი მოგონება ამ საზოგადოების შესახებ, განსაკუთრებით მისი ბოლო პერიოდის საქმიანობის შესახებ (როდის შეწყდა არსებობა, ჩემს ხელთ არსებული მასალიდან არ ჩანს)

დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით რჩება მეტრეველი.
26 დეკემბერი, 1980 წ.

მეც არ დავაყოვნე და პატარა მოგონების სახით მას წერილობით ვუპასუხე. აქვე ვათავსებ ამ პასუხის ტექსტს:

ბატონო რჩება!

თქვენს შეკითხვაზე გაცნობებთ შემდეგს.

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე საქართველოში არსებობდა ორი ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოება — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაკარგა თავისი სამოქმედო ფუნქცია და არსებობაც შეწყვიტა. მისი ქონება — ნაბეჭდი წიგნების ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა კოლექცია და ილია ჭავჭავაძის კაბინეტი გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს. უნივერსიტეტსვე გადაეცა აგრეთვე ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია. უნივერსიტეტმა თვითონაც შეიძინა ხელნაწერი მასალები და შექმნა ხელნაწერთა საკუთარი კოლექცია. უნივერსიტეტში თავმოყრილი ხელნაწერი კოლექციების საფუძველზე ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო სიძველეთსაცავი (გამგე კ. კეკელიძე, სწავლული მცველები უფროსი ასისტენტების წოდებით — მოსე ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი. დავით კარიჭაშვილი გარდაცვალების, ე. ი. 1927 წლის, შემდეგ მე შევცვალე). წ. კ. საზოგადოების ნაბეჭდი წიგნები შევიდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საკუთარი კოლექციის სახით. ილია ჭავჭავაძის კაბინეტი ჩაიბარა ყვარლის ილია ჭავჭავაძისეული სახლ-მუზეუმის დირექტორმა პლატონ კეშელავამ.

უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის გვერდით, მესამე სართულზე, მოთავსებული იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რომელსაც განაგებდა სერგი გორგაძე (1876—1929). ეს მუზეუმი ექვემდებარებოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეო-

ბას. ე. თაყაიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ, გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი (მდივნად, მგონი, 1923 წლიდან — სიმონ ჯანაშია). დროდადრო ხდებოდა საზოგადოების გამგეობის შემადგენლობის გადარჩევა (ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია უცვლელად დარჩნენ თავიანთ ადგილებზე). საზოგადოებაში (საქართველოს მუზეუმის სხდომათა დარბაზში) სისტემატურად იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები ქართველოლოგიის ყველა დარგში.

ასე გრძელდებოდა 1930 წლის ზაფხულამდე. 1930 წლის გაზაფხულის სემესტრის შემდეგ უნივერსიტეტი გაუქმდა, უკეთ, იგი დაიშალა. უნივერსიტეტის საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, კერძოდ, უნივერსიტეტის შენობის მეორე და მესამე სართულები დაეთმო პედაგოგიკურ ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტის ტერიტორიაზე აღმოჩნდა განლაგებული უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი და საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ინსტიტუტის დირექტორის — ივანე ვაშაყმაძის განკარგულებით (ალბათ, მას ჰქონდა სათანადო რწმუნება) ორივე ეს დაწესებულება სასწრაფოდ გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

1930 წლის შემოდგომიდან საქართველოს მუზეუმში ჩამოყალიბდა პალეოგრაფიული ანუ ხელნაწერთა განყოფილება (გამგედ დაინიშნა პავლე ინგოროყვა). ამ განყოფილებაში გაერთიანდა ხელნაწერთა ოთხი კოლექცია: ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა (A კოლექცია), ყოფილი წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა (S კოლექცია), ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა (H კოლექცია) და ყოფილი უნივერსიტეტის სიძველეთსაცავისა, რომელსაც დაემატა საქართველოს მუზეუმის საკუთარი ფონდიც (Q კოლექცია). საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის მდიდრულმა ეთნოგრაფიულმა მასალებმა საფუძველი დაუდო საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას (გამგე იროდიონ სონღულაშვილი).

ამრიგად, 1930 წლის მეორე ნახევრიდან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩამოერთვა მისი საბაზო მუზეუმი. თუმცა საზოგადოება განაგრძობდა მოქმედებას. პირადად მე 1930 წლის 21 დეკემბერს წავიკითხე მოხსენება ამ საზოგადოებაში დავით გურამიშვილზე.

1931 წლის დასაწყისში ჩატარდა ე. წ. კონდრატიევშჩინის კამპანია, რის შედეგადაც ივანე ჯავახიშვილი გაანთავისუფლეს პროფესორის თანამდებობიდან. ამ დროიდან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფაქტობრივ შეწყვიტა მოღვაწეობა, თუმცა, — რამდენადაც ვიცი, — ივი ოფიციალურად გაუქმებული არ ყოფილა.

(ინტერვიუ გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტთან)

ჩემი ერთ-ერთი პირველი ჟურნალისტური მცდელობა სწორედ ბატონ ალექსანდრე ბარამიძესთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ რამდენიმე ინტერვიუ ჩამოვართვი სხვადასხვა საკითხზე ქართული ფილოლოგიური აზროვნების უხუცეს წარმომადგენელს. არ დამავიწყდება მისი თავშეკავებული (არასოდეს ღალატობს ზომიერობა და აკადემიურობა!), მაგრამ შინაგანი დრამატიზმითა და ემოციით დამუხტული ნაუბარი 1921 წლის თებერვლის იმ საბედისწერო გმირულ დღეებზე, როცა სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ბარამიძე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, მეგობრებთან ერთად სოღანლუღთან დაუხვდა მტერს... მერე იყო ხანგრძლივი ცხოვრების გზა, უნივერსიტეტის აუდიტორიები, ლექციები, შრომები, მეცნიერებისადმი უანგარო სამსახური, ერის მიერ მისი ღვაწლის დაფასება... ვფიქრობ, ბატონი ალექსანდრეს ეს ინტერვიუ მკითხველს მიახვედრებს, რომ ოთხმოცდაცხრა წლის კაცი არ განდგომია ცხოვრებას და ნიადაგ ფიქრობს სამშობლოს ბედზე. შესაძლოა, ვინმემ არ გაიზიაროს ბატონი ალექსანდრეს ზოგიერთი მოსაზრება, მაგრამ ერთი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ესაა გულწრფელი განდობა იმისა, რაც მას ყველაზე მეტად აწუხებს და აფიქრებს.

ზურაბ მჭედლიშვილი

ბატონო ალექსანდრე, რას იტყვით, თქვენი პარტიულობის თაობაზე?

— მოწაფეობისა და ნაწილობრივ სტუდენტობის დროს თანავუგრძნობდი სოციალისტ-ფედერალისტებს, ვთანამშრომლობდი მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში, ყოველთვის მაწუხებდა ეროვნული საკითხი. მალე პოლიტიკის სფეროს ჩამოვშორდი, ვმსახურობდი და ვსწავლობდი, 1922 წელს ოცდაექვსმაისობა რომ გააუქმეს, ერთდღიან საპროტესტო გაფიცვაში ვმონაწილეობდი. უნივერსიტეტში დატოვების შემდეგ მთლიანად სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში ჩავები. დიდი დრო და ენერგია წაიღო სამეცნიერო-ადმინისტრაციულმა საქმიანობამ (დეკანობამ, პრორექტორობამ, აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შესრულებამ, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორობამ). ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარმა გამოდარების სიომ რომ დაუბერა, მაშინ გარკვევით მაგრძნობინეს, რომ საჭირო იყო ჩემი პარტიაში შესვლა. უკვე 75 წლის ხანდაზმული კაცი ვიყავი, კომუნისტური პარტიის წევრად რომ გამაფორმეს. კაცმა რომ თქვას, როგორც „იდეოლოგიური ინსტიტუტის“ მესვეური, პირველადი პარტიული ორგანიზაციის სხდომებს (მათ შორის დახურულ სხდომებსაც) მანამდეც სისტემატურად ვესწრებოდი, პარტიაში შესვლის შემდეგ რაიმე სხვა პარტიული დავალების შესრულებას არც მთხოვდნენ. კეთილსინდისიერად და დროულად ვიხდიდი საწევროს. ყოველთვის თანადგომას ვუწევდი ახალგაზრდობის (ძირითადად თბილისის

უნივერსიტეტის სტუდენტობის) ეროვნულ მოძრაობას. 9 აპრილის ტრაგედიამ მთელი არსებით შემძრა. ჩემთვის აშკარა გახდა, კოჰაბიტაციასთან მაკავშირებდა მხოლოდ ფორმალური მდგომარეობა (და არა იდეური შეგნება). 1990 წლის 12 თებერვალს ეს ფორმალური კავშირიც საბოლოოდ გავწყვიტე და პარტიის რიგები დავტოვე. ახლა უპარტიო ვარ. მთელი გულით თანავუგრძნობ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. „ჩემი ხატია სამშობლო", ყველას გავუწევ თანადგომას, ვინც ერთგულად ემსახურება საქვეყნო საქმეს, ორგანიზაციულად მხოლოდ რუსთაველის საზოგადოების წევრად ვითვლები. შეძლებისდაგვარად, მატერიალურ დახმარებას ვუწევ საქველმოქმედო საზოგადოებებს და ასოციაციებს. ამით შევეწევი იმ ერთი დიდი მიზნისაკენ სვლას, რომელიც ყველა ქართველს გვამოძრავებს.

რა ურთიერთობა გაქვთ საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან და ქართულ ემიგრაციასთან?

ეს დიდი თემაა და სპეციალური საუბრის საგანი. ზოგ რამეს მოგახსენებთ ძალიან მოკლედ. ჩემი თაობის უცხოელ ქართველოლოგებთან ყოველთვის მქონდა საუკეთესო ურთიერთობა, ცოცხალიც და წერილობითიც. სტუმრად ჩაწოსულებს ვუწევდი მასპინძლობას, ვამარაგებდი ლიტერატურით, ვუწევდი კონსულტაციებს. „ვეფხისტყაოსნის" უცხოელ მთარგმნელებს დამხმარედ მივუჩინე პოემის ტექსტის მცოდნე კარგი სპეციალისტები (რა თქმა უნდა, არც ჩემს პირადულ უურადღებას ვაკლებდი მათ). ასე მომზადდა პოემის ცნობილი თარგმანები იარომირ იედლიჩკასი, ჰუგო ჰუპერტისა, ჰერმან ბუდენზიგისა, ქეთრინ ვევიანისა, შაბიერ კინტანასი, ოლავი ლინუსისა (ფინელია) და სხვათა. მჭიდრო კონტაქტები მქონდა და მაქვს შევიცარიელ ქართველოლოგებთან — იოლანტა მარშევთან, ლეა ფლურთან და რუთ ნოიკომთან. დიდად ვაფასებდი და ვაფასებ ინგლისელი ქართველოლოგის დევით ლანგის ღვაწლს, თუმცა მას ზოგ რამეში არ ვეთანხმებოდი და კეთილმოსურნეობის პოზიციებიდან ვეკამათებოდი კიდევაც. ვმეგობრობდი ჰანს ფოგტს, ლუის სოლანოს, ლაიოშ ტარდის და სხვებს.

ქართულ ემიგრაციასთან, როგორც პოლიტიკურ დაჯგუფებასთან, არავითარი კავშირი არ მქონია, მაგრამ დიდი და სახიფათო რისკის ხარჯზე მიხდებოდა კონტაქტების დამყარება ცალკეულ მეცნიერ ემიგრანტებთან. არადა, რიგი ქართველი ემიგრანტებისა, მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები ბევრს აკეთებდნენ ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. ეს ყველასათვის ცხადი გახდა განსაკუთრებით ბოლოდროინდელი პუბლიკაციებით (მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, ჩემი მოწაფის, გურამ შარაძის პუბლიკაციები).

ადრე კი ტაბუდადებული იყო ყოველგვარი ემიგრანტული ლიტერატურა. მაგალითად, სრულიად აკრძალული იყო ისეთი შესანიშნავი მეცნიერის ხსენება, როგორიცაა ვიქტორ ნოზაძე. ბატონმა ვიქტორმა როგორღაც ჯერ კიდევ ჩილედან მომწერა და მისთვის საჭირო ხელმიუწვდომელი მასალის მიწოდება მთხოვა. გავბედე და ვუპასუხე, თხოვნაც შევუსრულე (რაც, სხვათა შორის, დიდი მადლიერებით აღნიშნა თავის ცნობილ გამოკვლევაში. „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება"). ერთხანს მერეც ვახერხებდით მიმოწერას. 1966 წლიდან ტაბუ უფრო გამკაცრდა. კატეგორიულად აიკრძალა ნოზაძის ხსენება, ჩამომართვეს მისეული „კავკასიონის" XII წიგნი (ჩამომართვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რწმუნებულმა), ასევე დაატყვევეს ამ შესანიშნავი ჟურნალის შემდეგი ნომრები. შედარებით ადვილი იყო კონტაქტები ნინო და კალე სალიებთან. განსაკუთრებით მას შემდეგ, 1957 წლიდან, როცა მათი სახსრებითა და რედაქციით გამომავალი ქართული ჟურნალი „ბედი ქართლისა" ფრანგულენოვანი გახდა, მიმართულებითაც ჩადახალისდა და საბჭოური ცენზურის რისხვას თავი დააღწია. ჩადახალისებული „ბედი ქართლისას" (რევიუ დე ქართველოლოჟის) პირველი ქართველი საბჭოთა თანამშრომლის პატივი მე მერგო წილად, რასაკვირველია, სალიების მიწვევითა და დაბეჯითებული თხოვნით.

ბოლო დროს მომიხერხდა კონტაქტის დამყარება ნიუ-იორკში მცხოვრებ უხუცეს ქართველ მეცნიერთან გიორგი ნაკაშიძესთან (ეს ის ნაკაშიძეა, რომელმაც დაალაგა, მოაწესრიგა და მეცნიერულად აღწერა ამჟამად ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივი). გიორგი ნაკაშიძე ჩემზე უფროსი იყო, თუმცა უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთში, ქართულ ეროვნულ უნივერსიტეტს მიაშურა და ისევ სტუდენტური ცხოვრება წამოიწყო. ბედმა იმ პერიოდში დამაახლოვა გიორგი ნაკაშიძესთან. მან უზომო ამაგი დამდო. თბილისში ჩამომიყვანა, თავის ერთოთახიან ბინაში მომცა დროებითი თავშესაფარი, სტუდენტად ჩარიცხვაშიც დამეხმარა, ფეხზე დამაყენა და ცხოვრების გზა დამილოცა (ამდენი სიკეთე მიყო ამ კეთილშობილმა კაცმა)... საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ შეურიგდა და 1922 წელს სტუდენტთა ერთ დიდ ჯგუფთან ერთად იგი სამშობლოდან გააძევეს. მისი კვალი დამეკარგა. მხოლოდ სულ ბოლო დროში გახდა ჩემთვის ცნობილი ჩემი მოამაგის დუხჭირი ცხოვრების თავგადასავალი. შარშან თავის ემიგრანტ ვაჟთან ამერიკაში ჩასულ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორს გივი ჟორდანიას შეხვედრია ნიუ-იორკში გიორგი ნაკაშიძე და ბატონ-ა გივიმ მისგან დიდი სითბოთი აღბეჭდილი პატარა ბარათი ჩამომიტანა, საკვირველი არიან, უფალო, საქმენი შენნი...

საინტერესოა თქვენი აზრი უმაღლეს სასწავლებლებში წლეულანდელი მისაღები გამოცდების თაობაზე. თქვენ ხომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ბრძანდებით.

უმაღლესი სასწავლებლების, კერძოდ, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობით დაკომპლექტების შარშანდელმა თავსმოხვეულმა უკეთურმა წესმა (უკეთ უწესობამ) ხენეში ნაყოფი გამოიღო. არ ვიცი, რა სიტყვებით გაიოვხატო ჩემი უსაზღვრო გულისწყრომა ამ უმსგავსი ამბების გამო (რასაც ვეღარ ამოშლი ისტორიიდან), როცა ვითომ სწავლამოწყურებულმა ზოგიერთმა ვაიაბიტურიენტმა თუ მისმა მშობელმა თავს ნება მისცა შეებილწა მეცნიერების წმინდა ტაძრის კედლები, ქვებით დაემტვრია მისი ფანჯრები. გაუგონარი მკრეხელობაა, ბარბაროსული ძალადობაა! აბიტურიენტთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი (ჩვენდა სამარცხვინოდ) ცოდნის მიღებისათვის კი არ იბრძვის, არამედ დიპლომის დაუფლებას ელტვის. რა დასამალია, ახალგაზრდობა მნიშვნელოვანწილად გადაეჩვია სწავლას, ისე როგორც ჩვენს „მუშურ-გლეხურ“ სახელმწიფოში (სადაც დეკრეტის ძალით დამყარდა „შრომის სუფევა“) საზოგადოება გადაეჩვია შრომას და გარჯას...

ამ ვითარებაში ერთ-ერთ საიმედო საშუალებად თითქოს სწავლის ჭირის (ფასიანი სწავლების) შემოღება მესახება. პრინციპული ასპექტით ამას მეც ვუჭერ მხარს, ვნახოთ... ოღონდ, ჩემი ღრმა რწმენით, განათლების საქმეს დიდი ზიანი მოუტანა სავალდებულო საშუალო სწავლების დაკანონებამ. კი, ყოველი ნორმალური ადამიანი ერთგვარად წიგნიერი უნდა იყოს, მაკრამ სად გაგონილა (თუ არა ჩვენში) მოზარდი აიძულო, უთუოდ დაამთავროს ათწლედი და ცოდნის სფეროში მოწიფულობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაინაღდოს. სწორედ ამიტომაა, რომ ხშირ შემთხვევაში „სიმწიფის ატესტატი“ უმწიფობის ფარატინა ქაღალდად იქცა. „უმწიფარი“ ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი კიდევ უმაღლესი სასწავლებლების დიპლომის მოპოვებისათვის ხარჯავს ღვთით მომადლებულ ენერგიას. იქმნება მოჯადოებული წრე. გვყავს ბევრი, ძალზე ბევრი „დიპლომიანი“ სპეციალისტი, მაგრამ სანთლით საძებნელია, მაგალითად, ონკანის შემკეთებელი ხელოსანი...

რაზე მუშაობთ ამჟამად, რა გეგმები გაქვთ?

ამ კითხვამ, ერთი, ცოტა არ იყოს, ანეკდოტური ამბავი მომაგონა. უკვე ღრმად მოხუც პროფესორ კორნელი კეკელიძეს (ისე როგორც სხვებსაც) მოსთხოვეს 15—20 წლიანი სამუშაო გეგმის შედგენა (მოგეხსენებათ საბჭოური გიგანტომანიის მასშტაბები). ბატონი კორნელი

გაუცებული და გაოგნებული იყო — ალბათ, დაბეჩავებული... მე, 88 წელს გადაბიჯებულ კაცს, აბა რა საზომავლო გეგმებზე შემიძლია ფიქრი? ისე კი, ჯერჯერობით მეხსიერებას მაინცდამაინც არ ვუჩივი, აზროვნებისა და წერის უნარი შენარჩუნებული მაქვს. გამომცემლობა „მეცნიერება“ ბეჭდავს და მომავალი წლის პირველ ნახევარში გამოვა ჩემი „ნარკვევების“ მეცხრე წიგნი, ხოლო „მერანს“ დაგეგმილი აქვს ჩემი „მეცნიერების“ („ახლო წარსულიდან“) მეორე წიგნის გამოშვება. ახლა ამაზე ვმუშაობ. დიდად მეხმარებიან ჩემი უმცროსი კოლეგები და კეთილი მეგობრები — ალექსანდრე გვახარია, ბორის დარჩია და გურამ გვერდწითელი (რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ). ჟურნალ-გაზეთებში გადაცემული მაქვს გამოსაქვეყნებლად სტატიები, ნარკვევები და რეცენზიები. ვაპირებ „მეგობრული რეპლიკების“ გამოქვეყნებასაც (ესაა შენიშვნები ახალ მემუარულ ლიტერატურაში გაპარულ უზუსტობათა შესახებ). უკვე დაიბეჭდა და საცაა წიგნის ბაზარზე გამოჩნდება „ქალმასობის“ სრული აკადემიური ტექსტის პირველი ტომი (იგი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ ჩემი საერთო რედაქციითა და შესავალი წერილით). აქტიურად ვმონაწილეობ ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოსაცემად განზრახული ქართული მწერლობის ისტორიის ფუნდამენტური ათტომეულის მომზადებაში. და ბოლოს, წარმოებას გადაეცემა „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეული სრული რუსული თარგმანის, ასე ვთქვათ, აკადემიური ტექსტი. ამ გამოცემის ძირითად ტექსტს დართული აქვს ადრინდელ გამოცემათა განსხვავებული ვარიანტები. ეს საინტერესო გამოცემა სასტამბოდ მოამზადა სერგი სერებრიაკოვმა, ჩემია რედაქცია და შესავალი წერილი...

ესაუბრა

ზურაბ მჭედლიშვილი

1990

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

„ნარკვევების“ ეს IX წიგნიც ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაშრომების კრებულია. ნაშრომების ერთი ნაწილი დაბეჭდილი იყო. საკმაოდ დიდი ნაწილი კი პირველად იბეჭდება.

კრებული ოთხი განყოფილებისაგან შედგება.

I რუსთველოლოგიური საკითხები.

II. ძველი, ახალი და თანამედროვე მწერლობის საკითხები.

III. ჩვენი სულიერი თანამოძმენი.

IV. ჩემი არქივიდან:

1. საკვალიფიკაციო შრომების რეცენზიები და გამოხმაურება-შეფასებანი.

2. Varia — სხვადასხვა.

აქვე ვათავსებთ საბიბლიოგრაფიო ხასიათის ცნობებს.

1. შოთა რუსთველი — დაიწერა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის. გამოქვეყნდა შემოკლებით და ჩალხგაკრულად (კსე. VIII.1984, გვ. 506—508). ვაქვეყნებთ სრულად. წერილის სტილი ენციკლოპედიის ჟანრისაა.

2. ისევ ვეფხისტყაოსნის დევნის გარშემო — პირველად დაიბეჭდა ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნეში“ (1986, № 3, გვ. 5—27).

3. აკრძალული ილეთებით პაექრობის გამო — დაბეჭდილია „მაცნეში“ (1985, № 2, გვ. 164—179).

4 ნიკო მარის დასაცავად — იბეჭდება პირველად.

5. ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის — დაბეჭდილია „მნათობში“ (1968, № 8, გვ. 164—178).

6. იძულებითი პასუხი — დაბეჭდილია „მნათობში“ (1970. № 3, გვ. 170—178).

7. მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა — დაბეჭდილია შ. ნუცუბიძის „შრომების“ VII ტო?ის ბოლოსიტყვად: რედაქტორისაგან (თბ., 1980, გვ. 569—573).

8. რუსთველოლოგიური შენიშვნები: ქ ა ლ ი და დ ი ა ც ი ვეფხისტყაოსანში — დაბეჭდილია კრებულში — აკაკი შანიძე — 100 (თბ., 1987, გვ. 261—266).

9. ვეფხისტყაოსნის ეახტანგისეული განმარტებანი — დაბეჭდილია „თბილისის უნივერსიტეტის შრომებში“ (თბ., 1964, № 108, გვ. 39—44).

10. ილია ჭავჭავაძე და ინდო-ხატაელთა ამბავი — ამ სახით იბეჭდება პირველად.

11. აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი — დაბეჭდილია „მნათობში“ (1990, № 12, გვ. 110—114).

12. აკაკი შანიძე რუსთველოლოგი — ამ სახით იბეჭდება პირველად.

13. ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის — დაბეჭდილია „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ (IX, თბ., 1929, გვ. 121—131). ავტორის ერთ-ერთი უადრინდელესი ნაშრომია (წაკითხული იყო მოხსენების სახით საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1927 წლის 14 ოქტომბერს). დოკუმენტური სიზუსტისათვის იბეჭდება უცვლელად.

14. ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის რუსული ვარიანტის გამოქვეყნების გამო (მხოლოდ მცირე რეპლიკა). იბეჭდება პირველად.

15 ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნააზრევიდან — დაიბეჭდა კრებულში მწიგნობარი — 90 (1990, გვ. 147—159).

16. ვენორი ქვაჩახიას მონოგრაფიის გამო — იბეჭდება პირველად. განსვენებული მკვლევრის ნაშრომის („ვეფხისტყაოსნის საიდუმლო ანუ ანდერძი რუსთაველსა") წინასწარი რეცენზიაა. დაწერილია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის მწერალ გურამ ფანჯიკიძის თხოვნით.

17. დიდი მგოსნის აღსარება და მისი თარგმანება — იბეჭდება პირველად (ვახტანგ კუპრავას წიგნის წინასწარი რეცენზიაა). ესეც დაწერილია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის თხოვნით.

20. დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფიის გამო — იბეჭდება პირველად.

21. „სიბრძნე სიცრუისა" იბეჭდება პირველად.

22. წერილი რედაქციას — (რეპლიკა „კავკასიონში" გამოქვეყნებული ერთი წერილის გამო). იბეჭდება პირველად.

23. ქართული ლიტერატურის ისტორია გერმანულ ენაზე — დაბეჭდილია „ლიტერატურულ საქართველოში" (2.4.65).

24. ბესიკი — მცირეოდენი განსხვავებით დაბეჭდილია ბესიკის თხზულებათა 1962 წლის გამოცემის შესავალ წერილად. როგორც ვ. მაჭარაძემ გაარკვია, ბესიკის დიპლომატიურ მისიას წარმატება არ ჰქონია (ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 188).

24. ალექსანდრე ჭავჭავაძე — იბეჭდება პირველად. 1986 წლის 13 ოქტომბერს საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვის ტექსტია (საღამო მიეძღვნა ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადების მე-200 წლისთავს).

25. ვაჟა-ფშაველას ძეგლის გახსნა თბილისში — იბეჭდება პირველად (ვაჟას ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე წარმოთქმული სიტყვაა, 16.VI.73).

26. ეგნატე ნინოშვილი — ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე (2.10.84). წარმოთქმული შესავალი სიტყვაა. იბეჭდება პირველად.

27. იაკობ გოგებაშვილი — სიტყვაა საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმული რუსთაველის თეატრში (24.10.60). იბეჭდება პირველად.

28. გალაკტიონ ტაბიძე — ვინმე მესხი მელექსე დაბეჭდილია გაზეთ „სახალხო განათლებაში" (3.12.82)

29. წერილი „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას (20.4.84) „დავითიანის" უკრაინული თარგმანის თაობაზე.

30. წერილი „მრავალთავის" რედაქციას — იბეჭდება პირველად.

31. საუურადღებო არქეოგრაფიული ნაშრომი — იბეჭდება პირველად.

32. ლიტერატურის ინსტიტუტის ისტორიიდან — დაბეჭდილია „მაცნეში" (1987, № 3, გვ. 205—208).

33. ასკეცი სიყვარულით (მიხაი ზიჩი — 150) დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტში" (14.10.77).

34. სოლომონ ყუბანეიშვილი, ქართველი პოეტები მეთვრამეტე საუკუნის უკრაინაში — იბეჭდება პირველად.

35. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხები (რეცენზიაა შალვა ღლონტის საკვალიფიკაციო ნაშრომზე), იბეჭდება პირველად.

36. ნიკოლოზ ჯანდელაკი. ქართული კლასიკური მწერლობა — იბეჭდება პირველად.

37. პროკლე ქაქელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები — იბეჭდება პირველად.

38. ჯუმბერ ჭუმბურიძე. ქართული კრიტიკის ისტორია — იბეჭდება პირველად.

39. ელენე ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი — იბეჭდება პირველად.

40. დავით ბრეგაძე, ვახტანგ მეექვსე — იბეჭდება პირველად.

41. ლილი ქუთათელაძე, დავით და ეოანე ბატონიშვილების ლექსიკოლოგიური ნაშრომები — იბეჭდება პირველად.

42. კონსტანტინე ფაღავა. კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში — იბეჭდება პირველად.

43. ალექსანდრე გვახარია. სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები — იბეჭდება პირველად.

44. მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში, (ელგუჯა ხინთიბიძის საკვალიფიკაციო ნაშრომის მოკლე შეფასებაა). იბეჭდება პირველად.

45. თენგიზ გორელიშვილი სინდბად-ნაშეს სპარსული და ქართული ვერსიები — იბეჭდება პირველად.

46. ბორის დარჩია. ვეფხისტყაოსნის რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება „ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით — იბეჭდება პირველად.

47. მარინე მამაცაშვილი, თეიმურაზ პირველის ლეილ-მაჯნუნიანის წყაროს საკითხი — იბეჭდება პირველად.

48. ვახუშტი კოტეტიშვილი. ჰაფეზის ლირიკის გაგებისათვის — იბეჭდება პირველად.

49. გიორგი შაყულაშვილი. საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დაკვრის მიხედვით — იბეჭდება პირველად.

50. ალექსანდრე ალექსიძე. ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო — იბეჭდება პირველად.

51. ნოშრევან ჯიშკარიანი. XII საუკუნის ქართული და სპარსულენოვანი აზერბაიჯანული სახოტბო პოეზია — იბეჭდება პირველად.

52. დარეჯან მენაბდე. ქართული აგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი — იბეჭდება პირველად.

53. პასუხი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის შეკითხვაზე — დაბეჭდილია „მნათობში“ (1984, № 9, გვ. 138).

54. საშურ საქმედ გვესახება — მწერალთა და მეცნიერთა ჯგუფის წერილია (ჩემი დაწერილია), დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტში“ (24.4.79).

55. საქართველოს საზოგადოებათა ისტორიიდან — იბეჭდება პირველად.

56. მიზანი ყველას ერთი გვაქვს — ინტერვიუ გაზ. „თბილისის“ კორესპონდენტთან (ჩაიწერა ზურაბ მჭედლიშვილმა, „თბილისი“, 15.XI.90).

ᲐᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ*

აბაშელი ალ. 53, 310
აბაშიძე გრ. 235
აბაშიძე ირ. 4, 13, 90, 114, 152
აბაშიძე კიტა 61
აბესალომი 96
აბზიანიძე გ. 55, 285
აბიბის ნეკრესელი 302
აბრამიშვილი ა. 136
აბულაძე ილია 80, 83, 206, 284
აბულაძე იუსტ. 61, 104, 156, 158, 161--163, 166, 167, 182, 282, 284
აბესერიძე ტბელი 88
ავალიშვილი ზ. 182
ავთანდილი 8, 11, 78, 96, 118, 119, 137, 141, 142, 158, 164, 171, 178, 179, 202, 203, 206, 207, 345
აზადი (აზოდი) 346, 347
აიეტი 299
აიოზ (?) 158
ალექსანდრე არჩილის ძე 328
ალექსანდრე ბაქარის ძე 237
ალექსანდრე დიდი 24
ალექსი-მესხიშვილი დ. 236
ალექსი-მესხიშვილი ს. 314
ალექსიძე ალ. 365, 366
ამაშუკელი რეზო 202
ამაყ ბეხარელი 347
ამბროსი ნეკრესელი 299
ამილახვარი ალ. 239
ამირანაშვილი შ. 85
ამირანი 96
ამირინდო 96
ანა (ბაქარის მეუღლე) 32
ანდრონიკაშვილი ლ. 301
ანტონ I, 14, 15, 16, 23, 25, 27, 28, 29, 30, 31, 33-37, 35, 41, 42, 54, 75—86, 86, 96, 97, 106—108, 137, 231, 235—238, 241, 253, 299, 305, 314, 316
ანტონ ტბელი 88, 111
ანტონ ჭყონდიდელი 299
არაბული გ. 135
არაგონი ლუი 200
არდაზიანი ლ. 232, 314
არისტოტელე 345
არსენ ბერი 299
არსენიძე რ. 189
არუზი სამარყანდელი 347
არჩილ მეფე 4, 26, 33, 74, 75, 79, 80, 107, 124, 132, 157, 220, 221, 231, 314, 316, 327, 358, 355
არჯასპი 161
ასმათი 120, 137, 207
აფაქიძე ა. 63
აფრასიობი 104
აღა-მაჰმად ხანი 265
აღნიაშვილი ლ. 281
აშოტ კურაპალატი 303
ახუნდოვი მირზა ფათალი 333—337
აჯეჰაკი 343

ბაგრატ მეხრან ბატონი 81, 82
ბათიაშვილი გ. 63
ბაირონი 232
ბაკური 299
ბალაიანი ზ. 257
ბალშონტი კ. 12, 173, 200, 204
ბაჟანი მ. 265—267
ბარათაშვილი 306
ბარათაშვილი თომა 288,289

---

* შეადგინა ცირა კალაძემ.

ბარათაშვილი იოსებ 301
ბარათაშვილი მამუკა 314
ბარათაშვილი ნიკოლოზ 232, 258, 305
ბარამიძე ალ. 13, 15, 18, 23, 35, 36, 50, 54, 58, 59, 62, 67—69, 73, 76, 80, 81, 84, 90, 103, 111, 116, 118, 122, 127, 139, 148, 157, 165, 175, 178—180, 212, 222, 236, 241, 267, 281—285, 290, 303, 325, 326, 354, 361, 372, 375
ბარამიძე რ. 20, 213, 215, 216, 219, 224, 225
ბარდა სკლიაროსი 309
ბარნოვი ვასილ 33
ბარნოვი გ. 43, 46, 48, 49, 50, 51, 53, 54, 55, 57, 59, 60, 62, 63, 65, 66, 69, 70, 165
ბარტდინსკი 316
ბარძიმ ერისთავი 326
ბასილი ეზოს მოძღვარი 301, 309
ბაურა მ. 11
ბაქარ ბატონიშვილი 32, 40, 271
ბაქრაძე დ. 325
ბეატრიჩე 188
ბევრასღი 343
ბედინეიშვილი გ. 270
ბელიაშვილი ა. 235
ბელიაშვილი ლ. 328
ბელინსკი 335
ბენაშვილი დ. 209
ბეჟანი 96, 104, 105
ბერიძე ვახტანგ 279
ბერიძე (წერეთლისა) ვენერა 277—280
ბერიძე ვუკოლ 45, 51, 61, 201, 284
ბერიძე სიო 277
ბერტელსი ე. 344, 357
ბერძენიშვილი ნ. 57, 80, 314
ბესიკი 231, 235, 238—254
ბესტავაშვილი ა. 165, 171
ბექა ჯაყელი 302
ბირნსი 205
ბლიაძე 251
ბოლხოვიტინოვი ე. 16, 21—27, 36, 38, 40
ბრეგაძე დ. 322—329
ბროსე მ. 21, 58, 128, 131, 138, 195, 285, 325
ბუაჩიძე თ. 62
ბუდენზიგი ჰ. 207, 375
ბურჯანაძე შ. 235

გაბაშვილი ბ. იხ. ბესიკი
გაბაშვილი გიგო 279
გაბაშვილი ეკ. 276, 279
გაბაშვილი ე. 270
გაბაშვილი ზ. 30, 31, 235—238, 299
გაბაშვილი ტ. 4, 15, 20, 27, 29—31, 86, 128
გაბრიელ დაფანჩული 303
გაბრო 131
გაბესკირია ე. 185
გაბიძაშვილი ე. 32
გაბრიელ ბერი 308
გაიოზ არქიმანდრიტი (რექტორი) 241, 250, 299, 306
გალაქტიონი 234, 258, 264, 265
გამსახურდია ზ. 31, 37
გამსახურდია კ. 62, 234
გამყრელიძე გ. 189, 269, 281
გამყრელიძე თ. 63
განჯეგილი (დ. ერისთავი) 276
გაწერელია ა. 14, 15, 45
გელოვანი გ. 288
გვახარია ა. 338—343, 378
გეერდწითელი გ. 378
გიგინეიშვილი ი. 45
გივი 96, 104
გიორგი არაგვის ერისთავი 32
გიორგი ბატონიშვილი 236
გიორგი ბრწყინვალე 271
გიორგი მესამე 8, 19, 167, 198, 234
გიორგი XI 213
გიორგი XII 330
გიორგი XIII 27, 29
გიორგი მეფე 20, 21, 34, 35, 123, 168, 327
გიორგი ვახტანგის ძე 237
გიორგი მერჩულე 230, 302, 303
გიორგი მთაწმინდელი 299
გიორგი მცირე 299

გოგებაშვილი ი. 61, 67, 68, 262, 263, 276
გოგიბერიძე მ. 45, 294
გოლერძი 96, 161
გორგანელი 169
გორგანი 20
გორგაძე ს. 267, 310, 372
გორგიჯანიძე ფ. 19
გორდეზიანი ბ. 287
გორელიშვილი თ. 346—349
გოსტასაბი (გოსტაშაბი) 96, 161
გრიგოლ ხანძთელი 301—303
გრიშაშვილი ი. 133, 234, 254, 282
გუარამ მამფალი 303
გუბაზ მეფე 299
გურამიშვილი დავით 39, 144, 221, 231, 258, 265, 266, 288—291, 314, 318, 328, 372, 374
გურგენი 96
გურიელი ნინო 277
გურიელი ტელემაქ 277
გუტნბერგი ი. 132

დადიანი კაცია 248
დადიანი ლევან 4, 108, 109
დადიანი ნიკო 299
დადიანი შალვა 233
დადიანი ცოტნე 228
დავარი 17, 120, 121, 193, 195
დავით არჩილის ძე 239, 241
დავით აღმაშენებელი 78, 140, 167—169, 234
დავითაშვილი ი. 288
დავით ბაგრატიონი 329—331
დავით გარეჯელი 89
დავით გიორგის ძე 239
დავით რექტორი 73, 76, 80
დავით სოსლანი 5, 20, 140
დავით ტბელი 88, 111
დანტე 171, 188
დარეჯანი 328
დარჩია ბ. 134, 350, 351, 378
დეეტერსი გ. 175, 230—234
დეკანოზისშვილი მ. 327
დემნა ბატონიშვილი 20
დვალიძე ბაჟა 316
დიონისე არეოპაგელი 10, 171, 182—184, 345
დილარგეთი 74
დოდაშვილი ს. 259, 305, 314, 316
დომენტი კათალიკოსი 36—41
დონდუა ვარლამ 32, 40, 325
ღონდუა კარპეზ 285, 343
დროიძე 262
ღუდუჩავა ა. 284
დუდუჩავა მ. 284
დულარდუხტი 120
ღუმბაძე ნოდარ 44, 62, 226
ღურმიშიძე ს. 62
დუტე მეგრელი 272
ელიოტი ტომას 171
ენუქაშვილი ს. 183
ენუქიძე თ. 325
ერეკლე მეფე 30, 231, 236—241, 244, 246, 330, 361, 364
ერისთავი ბარძიმ 326
ერისთავი გიორგი 232
ერისთავი ელიზბარ 248
ერისთავი ვარლამ 16, 22
ერისთავი რაფიელ 286
ერისთავი-ხოშტარია ა. 233
ესპი 24, 279
ეფრემი 96, 97
ეფრემ მცირე 214, 315
ექვთიმე ათონელი 230, 272, 315

ჟამა-თშაველა 61, 66—69, 182, 232, 258, 259, 281
ჟარჭენ პიტიახში 227, 228
ჟაშაყმაძე ი. 373
ჟაშაძე დ. 189
ჟვანიძე ბარძიმ 109
ვახტანგ გორგასალი 227
ვახტანგ VI 6, 13, 24—27, 30, 33, 37—41, 75, 80, 81, 107, 121, 123—131, 137, 138, 145—153, 166, 213, 231, 237, 283, 289, 314, 322—329, 341, 343
ვახუშტი ბატონიშვილი 39, 231, 314, 327
ვაჰიდ დასთგერდი 344
ვესელოვსკი ჯ. 45

ვივიანი ქეთრინ 14, 375
ვოკარი ბ. 287
ვირსალაძე ელ. 317—322
ვისი 348
ვულერსი ი. 160

ზაალი 96, 158
ზაზა ტფილელი 85, 109, 110
ზანდუკელი მ. 281, 283
ზაპირი სამარყანდელი 347, 348
ზეინ ალ-აბედინ მარაღაი 335—337
ზიჩი მიხაი 132, 285—287
ზოია დედოფალი 309
ზურაბი 96, 103—105

თავაქარაშვილი მამუკა 85, 108
თბილბოელი 335
თამარ მეფე 5, 8, 9, 19, 20, 24,47 58, 80, 85, 86, 91—94, 112, 140, 142, 143, 164, 166—170, 195, 196, 198, 231, 301, 302
თარხან-მოურავი მ. 229
თაქთაქიშვილი-ურუშაძისა ლ. 273
თაყაიშვილი ე. 56, 57, 61, 72—74, 83, 102, 103, 106, 158, 267, 273—277, 306, 326, 372
თეიმურაზ ბაგრატიონი 71, 72, 80, 82, 86, 105, 106, 121, 150, 298, 314, 317, 320, 331, 360, 362
თეიმურაზ I 3, 26, 33, 34, 74—77, 106—108, 124, 231, 236, 237, 251, 254, 282, 316, 351—355, 362, 363
თეიმურაზ II 33, 75, 77,81, 107, 235, 316
თემურლენგი 265
თეოდორა დედოფალი 309, 310
თეოფანია დედოფალი 309, 310
თვარაძე რ. 62
თითმერია ჯ. 63—65, 165
თინათინი 8, 18, 196, 119—122, 137, 141, 167, 179, 193, 203, 206
თორნიკე 308
თოფურია ვარლამ 281
თუმანიშვილი მიხეილ 314
თუმანიშვილი-წერეთლისა ა. 276
თუმიანი 104
თური 158
თურქესტანიშვილი ე. 324

იაკობ ცურტაველი 226—230
იაშვილი პაოლო 233
იედლიჩკა იაროშირ 375
იესე 39
იმედაშვილი გ. 43, 44, 51, 134, 147, 178, 282, 284, 285, 298
ინგოროყვა პ. 13, 14, 44, 45, 53—57, 62, 84, 85, 89, 90, 124, 152—156, 163, 164, 182, 185, 189, 193, 196, 205, 268, 282—284, 302, 303, 373
იოანე ოქროპირი 95
იოანე ბატონიშვილი 73, 74, 80, 106, 231, 253, 299, 305, 308, 314, 329—331
იოანე ბოლნელი 299
იოანე კათალიკოსი 75
იოანე ზოსიმე 304
იოანე მტბევარი 111
იოანე საბანის ძე 299
იორდანიშვილი სოლ. 204, 284
იოსები 236
იოსებ სამებელი 36
იოსებ ტფილელი (საკაძე) 85
იოსელიანი ა. 240
იოსელიანი ე. 34
იოსელიანი ო. 34, 35
იოსელიანი პლატონ 15, 24, 27—29, 34—39, 51, 74, 80, 278, 279, 314
ისააკიანი აეტიქ 257

კაკაბაძე სარგის 84, 89, 134, 142, 143, 153, 154, 159, 163, 164, 283, 284
კანდელაკი ნ. 42, 299—303, 305
კაპანელი კ. 45
კარბელაშვილი პ. 134, 135
კარიჭაშვილი დ. 61, 154, 372
კასტელი 170
კახაბერი 189
კახაბრიშვილი ც. 378
კეკელიძე კორნელი 15, 17, 32, 36, 54, 58, 59, 62, 73, 74, 84, 88, 90, 91, 94,

101, 102, 111, 129, 147, 148, 152, 155, 163, 164, 185, 208, 209, 211, 222, 276, 279, 281—285, 290, 303, 325, 372,
კეკელიძე პრ. 307—311
კელენჯერიძე ელ. 278
კეშელავა პლ. 373
კვასხვაძე შ. 325
კიკვიძე ც. 378
კიკნაძე გრიგოლ 45, 285
კინტანა შაბიერ 375
კლდიაშვილი დავით 233
კონიბირი 271
კონსტანტინე 309
კოტეტიშვილი ვახტანგ 281
კოტეტიშვილი ვახუშტი 356—360
კოშუტი ლაიოშ 286
კრიმსკი ა. 357
კროპოტოვი 328
კუკავა თ. 41, 42
კუპრავა ვ. 199—208

ლაისტი არტურ 285
ლანგი დევიდ 275, 375
ლაფონტენი279
ლევან ბატონიშვილი 123, 211—215, 218, 236, 247, 248, 327
ლეილი 348, 352, 353
ლეონიძე გიორგი 234, 235, 282, 290
ლერმონტოვი 232
ლივენსონი ვ. 229
ლინესი ო. 376
ლიონიძე სოლ. 299
ლინესი ო. 375
ლოლუა ლ. 301
ლომოური ნოდარ 165
ლორთქიფანიძე დ. 301
ლორთქიფანიძე ი. 236
ლორთქიფანიძე კირილე 309, 314
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 235
ლორთქიფანიძე ნიკო 233
ლოსევი ს. 112

მაია ყულარაღასის ქალი 237, 242
მაისურაძე ნ. 239
მაღლომ-ხანი 336, 337
მაღხაზოვა მ. 171
მამაცაშვილი მ. 351—355
მამუკა მდივანი 109, 110, 156
მანველაშვილი ალ. 189
მანიჟავი 104
მანუელ მეფე 94
მანუჩარ (ნანუჩა) იხ. ციციშვილი მანუჩარ
მარი ნიკო 43, 45—66, 69, 77, 88, 103, 112, 113, 120, 128, 140, 161, 172, 178, 190, 272, 273, 276, 298, 366
მარშევი იოლანტა 375
მაჩაბელი იოანე 67, 68, 271, 276, 286, 301
მაჩაბელი ტასო 276
მაჭარაძე ვ. 235
მაჭუტაძე დ. 273
მაჯუნი 352, 353
მახათაძე მ. 129
მენაბდე დარეჯან 367—369
მენაბდე ლევან 139, 325
მერაბი 96
მესხიევი სარ. 54
მესხიშვილი შ. 301
მეტრეველი ელ. 27, 31, 62, 63, 70, 97, 103, 325
მეტრეველი როინ 371, 372
მეუნარგია იონა 286
მზეხათუნი 277
მირიან ბატონიშვილი 241, 250
მირცხულავა (მაშაშვილი) ა. 235
მიქაძე გ. 277
მიქელ მოღრეკილი 230
მიხა მწყემელი 189
მკლავაძე ტარიელ 262
მობიდანი 343
მოლი ქ. 162
მორიერი ჯ. 335
მოსე ხონელი 24
მურვანი 89
მუჰამედ ალ-ჰამაი 78
მჭედლიშვილი ზ. 374, 378

ნადირაძე გ. 45
ნათაძე ნ. 201 201
ნაკაშიძე გ. 376

ნარიმანი 96
ნაფხისი საიდ 283
ნაცვლიშვილი 306
ნესტან-დარეჯანი 7—9, 16—18, 96, 119—122, 137, 141—143, 154, 155, 180, 185, 193—200, 202, 206, 296, 345, 348
ნიზამი განჯელი 334, 352, 353
ნიკოლაოს მიტროპოლიტი 76
ნიკოლაძე ნიკო 67, 68, 301
ნიკოლოზ (ერეკლე) 327
ნინო 276
ნინოშვილი ეგნატე 233, 260—262
ნიქარაძე ბეს. 272
ნოდარი 96
ნოზაძე გიორგი 173, 174, 291
ნოზაძე ვიქტორ 172—191, 376
ნოიკომი რუთ 375
ნუცუბიძე შალვა 10, 14, 45, 114—118, 182, 184, 209, 379

ოთარაანთ ქვრივი 132, 133
ოლდენბურგი ს. 347, 348
ოლივიე 328
ომანი 96
ონიანი შ. 134, 326
ოქეგოვი 120
ოსკარ მეორე 132
ორბელიანი ალექსანდრე 314
ორბელიანი გრიგოლ 232, 263, 286
ორბელიანი დავით 236, 238, 244—246
ორბელიანი ვახტანგ 33, 77, 232, 253
ორბელიანი ანა 239
ორბელიანი ნინო 276
ორბელიანი სულხან-საბა 33, 75, 83, 102, 121, 124, 169, 206, 210, 212, 213, 219—225, 231, 271, 278, 279, 288—290, 299, 304, 314, 329—331
ორბელიანი ჰაბუა (მზეჰაბეკ) 236, 250, 251

პაატა ბატონიშვილი 108, 364
პავლე 111
პაიჭაძე გ. 325
პანამიხაილი გ. 111, 112
პაპავა ა. 189—191
პაპავა გ. 325
პეტეფი შანდორ 286
პეტრე იბერიელი 184
პეტრე I 290, 328
პეტრაშვილი გ. 44
პეტრიწი 182
პიკე მარიო 169
პოლიკარპოს 93, 94
პოლუმორდვინოვი (ზედგინიძე) ე. 235
პოტიომკინი 239—241
პუშკინი 335

ჩანენი რ. 112
ჭორდანია გ. 376
ჭორდანია თ. 27, 36—38
ჭღენტი ბ. 282, 283

რადიანი შ. 285
რახიკაშვილი თ. 320
რამაზი 96
რამინი 96, 348
რატიანი პ. 70—114
რაფაელი 162
რობაქიძე გრ. 233
როგავა ა. 30—35, 38, 40
როდამი 96
რომანოზ მიტროპოლიტი 32
როსტევანი 96, 131, 151, 197, 203
როსტომი 96, 103, 104, 158, 161, 282
როშაქი 119
რუდაქი 334
რუსთველი (რუსთაველი) შოთა 3—8, 10—15, 18—21, 24, 26, 29, 31, 33, 34, 45—54, 58, 59, 66, 67, 71, 72, 74—77, 80—89, 94—97, 103—112, 115—118, 124—127, 130—135, 139—142, 145, 152, 163—170, 176, 177, 187, 188, 191—201, 205, 231, 251, 258, 264, 271, 272, 281, 283, 285, 286, 293—298, 313, 314, 316, 324, 345, 351, 355, 365, 371, 376
რუსუდანი 195
რუჭა 210—219
რუხაძე ტრ. 282, 284, 285

ხაადი 334
ხაკაძე გიორგი 316
ხაში 96. 158, 161
ხაბა ნინოწმინდელი 299
ხაბაშვილი სერაპიონ 81—85, 100—105, 159, 163
ხალიები (ქალე და ნინო) 165, 376
ხაიათნოვა 231 253, 360—364
ხალადინი 168
ხალიში 158
ხარჯიშვილი ალ. 56, 140
ხარგის თმოგველი 24, 33, 74, 75, 77, 154—157, 351
ხარიდანი 96, 149, 150, 198
ხახოკია თედო 260, 261
ხედრაჭი 211, 212, 215, 216, 219
ხეიდოვი ივ. 362, 363
ხერებრიაკოვი ს. 118, 378
ხეფედაელე 96
ხვანიძე ალ. 204
ხვიმონი 39
ხიაოში 96
ხიხარულიძე ქს. 285
ხლოვინსკი ა. 231
ხოლანო ლ. 375
ხოლომონ მეფე 237, 239. 241, 248
ხოლოხინი ვ. 226
ხონღულაშვილი ირ. 267, 373
ხპანდიერი 96
ხტეფანე მტბევარი 88, 111
ხტივენსონი რ. 205
ხტოვბუნი ი. 112
ხუზანი სამარყანდელი 347
ხულაკაური არჩილ 70
ხულხანიშვილი ა. 341
ხურგულაძე ი. 325
ხუტნერი ა. 51

ტაბიძე გ. იხ. გალაკტიონი
ტაბიძე ტიციან 233
ტარდი ლაიოშ 376
ტარიელი 7. 11, 16—18, 78, 96, 119, 137, 138, 141, 149, 153, 154, 158, 160, 186, 193—207, 231, 348
ტარსეი ანა 274
ტატიშვილი გრ. 132, 286
ტეტჩერი მ. 276
ტლაშაძე იესე 41, 144
ტოლსტოი ლევ 274
ტოროშელიძე მ. 283
ტოტლებენი 244

შმიკაშვილი პეტრე 286. 325
უორდროპები 274—278
უორდროპი ანდრო 276
უორდროპი მარჯორი 270—274, 276—278, 280, 285
უორდროპი ნინო 276
უორდროპი ოლივერ 60, 61, 270—275, 277, 279, 280
უორდროპი ფარნაოზ 279
უსენი 198
უშაკოვი დ. 120
უშანგი 96

შავლენიშვილი ოტია 288, 289
ფარემუზი 96
ფარნაოზი 276
ფარსადანი 7, 96, 119, 149, 150, 180, 193—198, 200
ფარსმან I 299
ფარტაზი 299
ფატმანი 12, 96, 119—122, 137, 171, 178, 179, 198, 206
ფაღავა კ. 332—337
ფეტი 171
ფეშანგი 96, 314, 316
ფილინა-რამიშვილი მ. 265
ფინეზი 212, 219
ფირანი 96
ფირდოუსი 20, 84, 109, 162, 208, 282, 283, 334, 342
ფირცხალავა ს. 276
ფლური ლეა 375
ფოგტი ჰანს 375
ფრიდონი 12, 116, 137, 141, 142, 149, 158, 164, 203, 321
ფურცელაძე ანტონ 314, 316

ჭავთარაძე ივ.42
ქავთარაძე მიხ. 172, 173
ქავთარია მ. 32, 41
ქაიხოსრო 104, 161, 338
ქართველიშვილი გიორგი 131, 132, 276, 286
ქეთევან დედოფალი 328
ქვარიანი დ. 316
ქვაჩახია ვენორ 192—198
ქიაჩელი ლეო 233
ქიქოძე გაბრიელ 282, 283, 299, 305
ქიქოძე მოსე 301
ქიქოძე სიმონ 260
ქიშვარდი 161
ქორიძე ფილ. 276
ქუთათელაძე ლილი 329—332
ქუჩუკაშვილი შიო (შიო მღვიმელი) 276

ღაზნელი 96
ღლონტი ალ. 83, 136
ღლონტი შ. 45, 291—298

უაზბეგი ალ. 232, 288
უაისი 348
უარამანი 96
უაუხჩიშვილი ს. 78
უიზილ-არსლანი 94
უიფშიძე ი. 61
უუბანეიშვილი სოლ. 37,38, 40, 116, 138, 203, 282, 284—291, 325, 328

შავთელი 56, 57, 139, 140, 298
შათირიშვილი ალ. 189
შანიძე აკაკი 4, 13, 23, 34, 42, 43, 45, 61, 62, 76, 90, 91, 107, 114, 116, 118, 127, 145—152, 178, 282, 325, 372
შანშე ანისელი 164
შანშიაშვილი სანდრო 275
შარაშიძე ქრ. 39, 128, 325
შარაძე გ. 21, 22, 25—28, 31, 32, 34, 36, 38, 39, 269—280,, 375
შარვაშიძე ზ. 248
შარია ვ. 198
შაყულაშვილი გ. 360—363
შეიხ საად ედ-დინ რაჰაი
ხაფელი 352
შენგელაია დემნა 235
შექსპირი 171
შიშმარიოვი ვ. 298
შოთა კუპარი 72, 86
შოთა მეტურგლეთუხუცესი 4, 5
შოშიაშვილი ნ. 89, 101,110
შუშანიკი 227

ჩარკვიანი გრ. 276
ჩარკვიანი კ. 281
ჩაშნიგირი 119
ჩახრუხაძე 24, 39, 53—59, 74, 75, 77, 139, 140, 206, 298
ჩერნი ვაცლავ 169
ჩერქეზიშვილი (ვ. ვაზიანი) 272
ჩეხოვი 229
ჩიქობავა არნ. 42, 103
ჩიქოვანი მ. 87, 245
ჩიქოვანი სიმონ 45, 235, 266
ჩიჩუა 248
ჩოლოყაშვილი გარსევან 316
ჩუბინაშვილი დავით 121, 122. 128. 131, 133, 139, 169, 316, 331
ჩუბინაშვილი ნიკო 83, 102, 121, 169
ჩხენკელი სტ. 284

ცაგარელი ა. 76, 111, 127, 132, 273, 276, 325
ცაიშვილი სარგის 63, 97, 103. 150, 325
ცინცაძე კალისტრატე (კ. ეკაშვილი) 14—24, 36, 96, 97, 167, 267, 268
ციციშვილი გ. 64
ციციშვილი დ. 77
ციციშვილი მანუჩარ (ნანუჩა) 96, 132, 134, 137, 156, 157, 328

ძაგნაკორელი 74
ძიძიგურა შოთა 63

წერეთელი აკაკი 49, 51, 55—58, 61, 66—69, 136—144, 232, 258, 263, 276, 286, 288, 299—301, 307—310, 312, 314
წერეთელი გიორგი.(აკად.) 4, 13, 45, 83, 90, 114, 152, 284 343

წერეთელი გიორგი (მწერალი) 67, 68, 232, 314
წერეთელი გიორგი (ემიგრანტი) 189
წერეთელი გიორგი სიმონის ძე 277, 280
წერეთელი მიხეილ 13, 182, 185, 207, 272
წერეთელი პაპუნა 277, 278, 280
წერეთელი როსტომ 277, 278, 280
წერეთელი (სარდალი) 248
წულუკიძე გიორგი 248

ჭაბაშვილი მიხეილ 120
ჭავჭავაძე ალექსანდრე 232, 254—257
ჭავჭავაძე ზურაბ 43, 64, 165
ჭავჭავაძე-საგინაშვილისა ელისაბედ 276
ჭავჭავაძე ილია 3, 43, 45, 48—57, 59, 61, 65, 67—69, 129—132, 135, 140, 141, 232, 258, 263, 270, 272, 276, 286, 299—301, 306, 314, 373
ჭელიძე ვ. 62
ჭილაია ს. 285
ჭილაძე თამაზ 20, 43, 57, 63—65, 165—171, 179, 226—229
ჭინჭარაული ალექსი 120
ჭიჭინაძე კ. 45, 134, 138, 164, 201, 203, 283
ჭონქაძე დანიელ 232
ჭრელაშვილი სტ. 271
ჭუმბურიძე ჯ. 312—315, 317
ჭყონია ა. 281, 284
ჭყონია თ. 285, 325

ხაიამი 334
ხარაძე ევგენი 63
ხახანაშვილი ა. 276, 279, 325
ხელაშვილი. ოთა 299, 305
ხვარაზმშაჰ 153, 194, 197, 198
ხიდაშელი შალვა 43, 64, 165
ხინთიბიძე ე. 344—346
ხორნაული გ. 210, 211, 214, 220
ხოსრო დეჰლევი 352
ხუბუა ვ. 276, 284, 328
ხუნდაძე სილოვან 276
ხუნდაძე სიმონ 281
ხუციშვილი სოლ. 313

ჯაბადარი ივ. 67
ჯაფახიშვილი ივანე 9, 19, 35, 48, 56, 57, 61, 66, 78, 113, 120, 148, 268, 272, 325, 371, 373
ჯაფახიშვილი მიხეილ 233
ჯაფახიშვილი (პოეტი) 288, 289
ჯაფელიძე ე. 64, 165, 210, 213, 221—223
ჯაკობია გ. 281
ჯალალედინი 265
ჯამი 334, 352, 353
ჯანაშვილი მოსე 58, 272, 276, 372
ჯანაშია სიმონ 57, 79, 372, 373
ჯიბლაძე გ. 45, 62, 63
ჯიშკარიანი ნოშრევან 366, 367
ჯორბენაძე ს. 281
ჯორჯაძე ბარბარე 276
ჯუანშერი 306
ჯუმბერი 211—215, 223
ჯღარკავა ი. 325

ჰესეინ ბაიყარა 354
ჰაფეზი 334, 356—359
ჰილალი 353
ჰომეროსი 31
ჰონიგმანი ე. 184
ჰუპერტი ჰუგო 375

შ ი ნ ა ა რ ს ი

შოთა რუსთველი . . 3
ისევ ვეფხისტყაოსნის დევნის გარშემო 14
აკრძალული იღეთებით პაექრობის გამო 43
ნიკო მარის დასაკავად . . 61
ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის 70
იძულებითი პასუხი . . 97
მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა 114
ქ ა ლ ი და დ ი ა ც ი ვეფხისტყაოსანში 118
ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული განმარტებანი 123
ილია ჭავჭავაძე და ინდო-ხატაელთა ამბავი . . 129
აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი 136
აკაკი შანიძე რუსთველოლოგი . . 145
ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის . . . 152
ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის რუსელი ვარიანტის გამოქვეყნების გამო . . 165
ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნააზრევიდან 172
ვენორი ქვაჩახიას მონოგრაფიის გამო . 192
ვახტანგ კუპრავა. დიდი მგოსნის აღსარება და მისი თარგმანება 199
დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფიის გამო 208
„სიბრძნე სიცრუისა“ 210
წერილი რედაქციას (რეპლიკა „კავკასიონში“ გამოქვეყნებული ერთი წერილის გამო) 226
ქართული ლიტერატურის ისტორია გერმანულ ენაზე 230
ბესარიონ გაბაშვილი . . 235
ალექსანდრე ჭავჭავაძე . 254
ვაჟა-ფშაველას ძეგლის გახსნა თბილისში 258
ეგნატე ნინოშვილი . . . 260
იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავის გამო 262
გალაკტიონ ტაბიძე — ვინმე მესხი მელექსე . . 264
წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას 265
წერილი „მრავალთავის“ რედაქციას 267
საყუადღებო არქეოგრაფიული ნაშრომი 269
ლიტერატურის ინსტიტუტის ისტორიიდან 281
ასკეცი სიყვარულით (მიხაი ზიჩი—150) . . . 285
სოლომონ ყუბანეიშვილი, ქართველი პოეტები მეთერამეტე საუკუნის უკრაინაში . 287

ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხები (რეცენზია შალვა ღლონტის შრომაზე) 291
ნიკოლოზ კანდელაკი, ქართული კლასიკური მშვერმეტყველება 299
პროკლე კეკელიძე. აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები 307
ჯუმბერ ჰუმბერიძე. ქართული კრიტიკის ისტორია 312
ელენე ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი 317
დავით ბრეგაძე, ვახტანგ მეექვსე 322
ლილი ქუთათელაძე, დავით და იოანე ბატონიშვილების ლექსიკოლოგიური ნაშრომები 329
კონსტანტინე ფალავა. კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში 332
ალექსანდრე გვახარია. სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები . 338
მსოფლმხედველობრივი პრობლემები ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში (ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომის შეფასება) 344
თენგიზ გორელიშვილი, სინდბად-ნამეს სპარსული და ქართული ვერსიები . 346
ბორის დარჩია, ვეფხისტყაოსნის რედაქციები და მათი ურთიერთმიმართება „ხვარაზმელთა ამბის" მიხედვით 350
მარინე მამაცაშვილი, თეიმურაზ პირველის ღეილ-მაჯნუნიანის წყაროს საკითხი 351
ვახუშტი კოტეტიშვილი, პაფეზის ლირიკის გაგებისათვის . . 356
გიორგი შაუულაშვილი, საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით 360
ალექსანდრე ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო . 365
ნოშრევან ჯიშკარიანი, XII საუკუნის ქართული და სპარსულენოვანი აზერბაიჯანული სახოტბო პოეზია 366
დარეჯან მენაბდე, ქართული აგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი 367
პასუხი ჟურნალ „მნათობის" რედაქციის შეკითხვაზე 370
საშურ საქმედ გვესახება 370
საქართველოს საზოგადოებათა ისტორიიდან 371
მიზანი ყველას ერთი გვაქვს (ინტერვიუ) 371
შენიშვნები 379
პირთა საძიებელი 382

ნაწერებისა და ბეჭდური გამოცემების ვარიანტებს). ამავე დროს არაფერია თქმული ისეთ ლიტერატურაზე „პოემის მხატვრული თავისებურებების შესწავლას“ რომ ეხებოდესო. საქმე ისაა, რომ წინასიტყვაში ჩვენ საგანგებოდ დავასახელეთ მხოლოდ ძირითადი საცნობარო წყაროები (ყველა რუსთველოლოგის სამაგიდო წიგნები), რომლებიც დიდად დაგვეხმარნენ შრომის მომზადებაში. დანარჩენ ისტორიულ-ლიტერატურულ თუ სხვა ხასიათის ლიტერატურაზე ვუთითებთ ხოლმე წიგნის სქოლიოებში. კერძოდ, რუსთველის მხატვრული ენის თაობაზე დამოწმებულია ოცდაათამდე სხვადასხვა ავტორის სხვადასხვა სპეციალური ნაშრომი. მაგალითად, ა. ვესელოვსკის „ისტორიული პოეტიკა“ (ეხება ვეფხისტყაოსანსაც); გ. ნადირაძის გამოკვლევები („რუსთაველის ესთეტიკა“, „ხელოვნების ზოგიერთი საკითხი რუსთაველის ესთეტიკაში“, „ვარდის სიმბოლიკა ვეფხისტყაოსანში“); კ. ჰოჰინაძის „ალიტერაცია ქართულ პოეზიაში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“; ა. გაწერელიას „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, მოსე გოგიბერიძის „რუსთაველის ესთეტიკა“; კ. კაპანელის „შოთა რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი“, გ. ჯიბლაძის „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“; გ. წერეთლის შრომები (ომის მეტაფორებზე, მეტრსა, რიტმსა და რითმაზე); ს. ჩიქოვანის დაკვირვება ვეფხის ტყაოსნის სიმბოლიკის შესახებ; შ. ღლონტის ნარკვევები („ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“, „პეიზაჟის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში“); ეუკოლ ბერიძის „შოთას პოეტიკისათვის“; გრ. კიკნაძის „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“; ნ. მარის, ა. შანიძის, პ. ინგოროყვას, შ. ნუცუბიძის, ი. გიგინეიშვილისდა სხვ. სხვადასხვაცალკეული. საყურადღებო შენიშვნები ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის თაობაზე. რაღა თქმა უნდა, თავის ადგილასაა დამოწმებული ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი დაკვირვება ვეფხისტყაოსანში ხმების სიუხვისა და მისი მხატვრული ფუნქციის თაობაზე (ჩვენი მონოგრაფია, გვ. 303 და ნარკვევი ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემაზე, იქვე, გვ. 97...) და სხვ.

ცხადზე ცხადია, რომ გ. ბარნოვს ზერელედ წაუკითხავს ჩვენი წიგნი და ზერელედ გაცნობია მის შინაარსს.

გ. ბარნოვი გვაბეზღებს მკითხველის წინაშე, ვითომ გადაჭარბებით ვაფასებთ ნიკო მარის ღვაწლს და შესაფერისად ვაკნინებთ ღიდი ილია ჭავჭავაძის როლს. გ. ბარნოვის წერილის პათოსი ესაა. გ. ბარნოვი მოწადინებულია სახელი გაუტეხოს ნიკო მარს და ზედ მიაყოლოს „შოთა რუსთაველის“ ავტორი. გ. ბარნოვის სიტყვებით, ნ. მარს „ბოლომდე სწამდა, რომ ვეფხისტყაოსანი არ წარმოადგენდა ქართული ეროვნული სულის გამოვლინებას ლიტერატურაში... თავისი